

გამომცემლობა **არტანუჯი**

კორნელი კეკელიძის ხელნაწერთა ინსტიტუტი

0193, თბილისი, მერაბ ალექსიძის ქ., № 1/3, ტელ.: 36-41-85
www. manuscript.ge manuscripts@caucasus.net

კორნელი კეკელიძის ხელნაწერთა ინსტიტუტი

წმ. ეფთვიმე მთაწმიდელი

# წინამძღუარი

## (სარწმუნოებისათვის)

ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს
თორნიკე ჭყონიამ და ნანა ჩიკვატიამ

გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო
ნანა ჩიკვატიამ

თბილისი 2007

წინამდებარე ძეგლის, „წინამძღურის“ (მეორე სახელწოდებით – „სარწმუნოებისათჳს“) ავტორია ცნობილი ქართველი მოღვაწე, ათონის ლიტერატურული სკოლის ფუძემდებელი, ეფთვიმე მთაწმიდელი (X-XI სს.). ეს ძეგლი ნახევრად ორიგინალური, ნახევრად კომპილაციური თხზულებაა, რომელიც შედგენილია რამდენიმე ბიზანტიელი მწერლის (იოანე დამასკელი, ანასტასი სინელი, მიქაელ სვინკელოსი...) ნაწარმოებთა მიხედვით. „წინამძღუარი“ წარმოადგენს მართლმადიდებლური ღვთისმეტყველების პირველ ქართულ სახელმძღვანელოს. იგი ორი ნაწილისაგან შედგება: პირველი, ძირითადი ნაწილი ეძღვნება ქრისტიანული დოგმატიკის უმნიშვნელოვანესი საკითხების გადმოცემას, ხოლო მეორე – მწვალებელთა ისტორიასა და მათთან პოლემიკას.

რედაქტორი ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **მაია რაფავა**

წიგნი იბეჭდება ფონდ „გეოსკრიპტის“ მხარდაჭერით.

| | სსამეგრდ | სრ |
|---|---|---|
| | 8.01.2007 | № 143 |

ISBN 978-99940-59-36-2

© კ. კეკელიძის ხელნაწერთა ინსტიტუტი, 2007.

# წინასიტყვაობა

„წინამძღუარს“ ეფთვიმე მთაწმიდელის შემოქმედებით-მთარგმნელობით საქმიანობაში განსაკუთრებული ადგილი უკავია. განსაკუთრებულ სასიათს ამ თხზულებას ანიჭებს ის სპეციფიკური შინაარსი, მიზანდასახულობა და კომპოზიცია, რაც მას განარჩევს წინამავალი თუ თანამედროვე მწერლობის ჟანრობრივად მრავალფეროვანი ძეგლებისაგან.

„წინამძღუარი“ არის პირველი ნაწარმოები ძველ ქართულ მწერლობაში, რომელიც ერთ კონკრეტულ მიზანს ემსახურება: მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო დოგმების განმარტებასა და მათ შესახებ სხვადასხვა ერეტიკულ შეხედულებათა კრიტიკას. ამდენად, „წინამძღუარი“ არის მართლმადიდებლური ღვთისმეტყველების პირველი ქართული სახელმძღვანელო. ამით ეფთვიმე მთაწმიდელმა, თანახმად თავისი საგანმანათლებლო მისიისა, გაემდიდრებინა „ქართლისა ჭუეყანაჲ“ ახალი და ახალი თარგმანებით, შეავსო ის სიცარიელე, რაც არსებობდა ძველ ქართულ მწერლობაში დოგმატიკისა და პოლემიკის დარგებში.

„წინამძღუარი“ არის სრულიად განსაკუთრებული ნაწარმოები თავისი კომპოზიციითაც. კარგად არის ცნობილი ეფთვიმე მთაწმიდელის მთარგმნელობითი ტექნიკის პრინციპი „კლებისა და მატებისა“, მის მიერ სხვადასხვა წყაროების გამოყენების ფაქტები, მაგრამ მისი ყველა სხვა თარგმანისაგან განსხვავებით, „წინამძღუარში“ წყაროებით სარგებლობა ისეა უტრირებული, კომპილაცია ისეთ მაღალ შემოქმედებით დონეზეა განხორციელებული, რომ ფაქტიურად თითქმის ორიგინალურ ნაწარმოებთან გვაქვს საქმე.

„წინამძღურის“ სახით ეფთვიმე მთაწმიდელმა ქართულ მწერლობას შესძინა თავისი დროის ყველაზე სანდო საღვთისმეტყველო შრომებზე დაყრდნობილი, მოკლე, ადვილად აღსაქმელი სახელმძღვანელო.

ძველ ქართულ მწერლობაში თავიდანვე, ჯერ კიდევ ეფრემ მცირიდან მოყოლებული, დიდი იყო ინტერესი „წინამძღურის“ მიმართ. ასევე დიდი იყო თხზულებასთან დაკავშირებული პრობლემებით დაინტერესება სამეცნიერო ლიტერატურაში. მკვლევრები სხვადასხვა კუთხით იკვლევდნენ „წინამძღუარს“.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს განსვენებული მეცნიერის, თ. ჭყონიას მიერ „წინამძღუართან“ დაკავშირებით ჩატარებული კვლევა-ძიება. მას გადმოწერილი ჰქონდა „წინამძღურის“ ტექსტი და მითითებული სხვადასხვა ხელნაწერების ვარიანტები, მაგრამ მკვლევარს დაუდგენელი დარჩა კრიტიკული ტექსტი. ეს გარკვეულ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული.

საქმე ისაა, რომ თხზულების ტექსტი მოღწეულია მხოლოდ გვიანდელი (XVII-XVIIII სს-ის) ხელნაწერებით და მაშასადამე, იმდროინდელი ორთოგრაფიული და ენობრივი ნორმებით. ტექსტის გამოცემისთვის კი საჭირო იყო მისი გამართვა იმ ნორმებით, რაც ეფთვიმე მთაწმიდელის ენისთვის იყო დამახასიათებელი. როცა ჩვენ ტექსტის გამოცემა განვიზრახეთ, აუცილებლად ჩავთვალეთ თ. ჭყონიას მიერ გადმოწერილი ტექსტი შეგვედარებინა ყველა ხელნაწერისათვის. კრიტიკული ტექსტის დასადგენად შევარჩიეთ 5 ხელნაწერი, შევცვალეთ ვარიანტების მითითების პრინციპიც: ვარიანტებში არ მივუთითეთ აშკარად გვიანდელი ორთოგრაფიული და ენობრივი ფორმები.

წინამდებარე გამოცემაში „წინამძღურის“ ტექსტს ერთვის გამოკვლევა, რომელიც ძირითადად წარმოადგენს 1997 წელს ჩვენს მიერ დაცული საკანდიდატო დისერტაციის თემას. ძირითადად, ვამბობთ, რადგან შემდგომ წლებში ჩატარებული მუშაობის შედეგად ჩვენ რამდენადმე გავაფართოეთ ჩვენი კვლევა-ძიების შედეგები, კერძოდ გამოკვლევა შეივსო შემდეგი თავებით: „ეფთვიმე მთაწმიდელის დამოკიდებულება „გარეშეთა“ სიბრძნის მიმართ“ და „წინამძღურის“ პოლემიკური ნაწილი“. გამოკვლევაში, ბუნებრივია, განხილული გვაქვს ის კონკრეტული საკითხები, რომლებმაც თავი იჩინა ტექსტზე გაწეული კვლევა-ძიების დროს. ეს ეხება „წინამძღურის“ შედგენილობას, გამოყენებულ წყაროებს, ეფთვიმეს მთარგმნელობით ტექნიკას, მის ტერმინოლოგიას, ეფთვიმეს საღვთისმეტყველო რეფლექსიას წმინდა საეკლესიო-სარწმუნოებრივ და მეცნიერულ-ფილოსოფიურ სიბრძნესთან დამოკიდებულების თვალსაზრისით. შევეცადეთ „წინამძღუართან“ დაკავშირებული კონკრეტული საკითხები განგვეხილა ეფთვიმე მთაწმიდელის დროინდელი ზოგად ლიტერატურულ-კულტურ-ოლოგიური პრობლემების ფონზე. ყურადღება განსაკუთრებით

გავამახვილეთ იმის ჩვენებაზე, თუ რა შინაარსით და როგორი ფორმებით აისახა „წინამძღუარში“ კულტურული ორიენტაციის ცვლილების ის დინამიკა, რომელსაც ადგილი ჰქონდა ქართულ ლიტერატურულ პროცესებში ათონის მწიგნობრული სკოლიდან ვიდრე ელინოფილური მიმდინარეობის ჩამოყალიბებამდე.

„წინამძღურის“ ტექსტის როგორც დოგმატიკური, ისე პოლემიკური ნაწილების პუბლიკაციისათვის ანუ თანამედროვე მკითხველისთვის მათი აღქმის გაიოლების მიზნით საჭიროდ ჩავთვალეთ გარკვეული კომენტარების დართვა იმ ისტორიული პირების შესახებ, რომლებზეც საუბარია „წინამძღუარში“ და რომლებიც წარმოადგენდნენ, ერთი მხრივ, მართლმადიდებლური დოგმატების დამცველთა, მეორე მხრივ, მათ მოწინააღმდეგეთა რიგებს. ამ მიზანს ემსახურება ტექსტზე დართული საძიებლები.

„წინამძღურის“ ტექსტს ასევე ერთვის ტერმინთა ლექსიკონი სათანადო კონტექსტებით. ეფთვიმეს ტერმინოლოგიურ ერთეულებთან მითითებულია ეფრემ მცირისა და არსენ იყალთოელის შესაბამისი ტერმინები იმავე ტექსტების მათეული თარგმანებიდან. გამოკვლევის იმ ნაწილში, რომელიც ტერმინოლოგიას ეხება, ასევე ლექსიკონში ერთი და იგივე ბერძნული ორიგინალის (იოანე დამასკელის „გარდამოცემა“) სამი ქართული თარგმანის (ეფთვიმე მთაწმიდელის, ეფრემ მცირის, არსენ იყალთოელის) სურათია წარმოდგენილი, რაც საუკეთესო საფუძველს იძლევა ქართული საღვთისმეტყველო-ფილოსოფიური ტერმინების ჩამოყალიბებისა და განვითარების შესწავლის თვალსაზრისით.

„წინამძღუარი“ („სარწმუნოებისათვის“), როგორც სახელწოდებიდანაც ჩანს, არის პირველხარისხოვანი მნიშვნელობის ძეგლი ქრისტიანული სარწმუნოების რაობის შეცნობის მიზნით და ამდენად, იგი უაღრესად მნიშვნელოვანია თითოეული მორწმუნისათვის. „წინამძღუარი“ ასევე უაღრესად საყურადღებო და საინტერესოა ქართული ლიტერატურის, ენათმეცნიერებისა და ზოგადად, კულტურის შესწავლის მიზნით და ამდენად, განუზომელია მისი მნიშვნელობა ქართული მეცნიერებისათვის.

იმედს ვიტოვებთ, რომ წინამდებარე წიგნი ოდნავ მაინც შეძლებს თუნდაც კნინი სამსახური გაუწიოს იმ დიდი მისიის შესრულებას, რასაც მისი ავტორი, ათონის ლიტერატურული სკოლის დიდი მოღვაწე, „ქართველთა განმანათლებელი“ ეფთვიმე მთაწმიდელი ეწეოდა ქართული ლიტერატურისა და განათლების აყვავებისა და განმტკიცების მიზნით.

ამასთან დაკავშირებით არ შემიძლია მადლობით არ მოვიხსენიო ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომლები, რომლებმაც დახმარება გამიწიეს „წინამძღურის“ ტექსტზე მუშაობისას. ესენი არიან: დავით შენგელია, ნარგიზა გოგუაძე, ლია ახობაძე, ნათია ნაცვლიშვილი, მანანა დოლაქიძე, ქეთევან ასათიანი. განსაკუთრებული მადლობა მინდა მოვახსენო ქ-ნ ციალა ქურციკიძეს ტექსტის საბოლოოდ გამართვაში გაწეული დახმარებისთვის. ასევე მადლობას მოვახსენებ ქ-ნ დამანა მელიქიშვილს საყურადღებო შენიშვნებისთვის. უღრმეს მადლობას მოვახსენებ ალექსი შოშიაშვილს კომპიუტერული მომსახურებისათვის, რომელიც მან ქველმოქმედების სახით გაგვიწია.

ნანა ჩიკვატია

# თავი I

## „წინამძღურის“ ზოგად ლიტერატურულ-კულტუროლოგიური წანამძღვრები

X საუკუნის მიწურულს ბიზანტიაში ჰუმანიზმისა და კულტურის მძლავრ აღმავლობას ჰქონდა ადგილი. ამ დროისათვის ბიზანტიის მთელ ტერიტორიაზე ცენტრალიზებული ფეოდალური მონარქიისათვის დამახასიათებელია მმართველობის ერთიანი ფორმა. ქვეყნის ერთიანობისათვის, კულტურული წინსვლისათვის ზრუნავს ეკლესია, სახელმწიფო აპარატი. მთელ სახელმწიფოში იმარჯვებს ორთოდოქსული ქრისტიანობა, რომელიც ერთგულია 325 წელს ნიკეის კრებაზე მიღებული მრწამსისა. მიღწეულია კონფესიონალური ერთიანობა, რომელიც კიდევ უფრო გაძლიერდა ხატთაყვანისმცემლობის აღდგენის შემდეგ. ეს ერთიანობა და ძლიერება ქვეყნისა შესანიშნავად აისახა მწერლობაში. ბიზანტიაში ესაა ე.წ. „მაკედონური რენესანსი“, ცნობილი თავისი განმანათლებლური ტენდენციებით, ელინური და შემდგომი პერიოდის ლიტერატურული მემკვიდრეობის სისტემაში მოყვანის სურვილით. მუშავდება მისტიკური საღვთისმეტყველო თეორიები, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ანტიკური სამყაროს შესწავლას, აგროვებენ ძველ ხელნაწერებს, ვითარდება ფილოსოფია, ესთეტიკა, რიტორიკა, მუსიკა, ლიტერატურა (65, 17, 11-58, 129-215, 401-469, 557-570, 617-635).

საქართველო განათლების მხრივ დიდად ჩამორჩებოდა საბერძნეთს. „ქართლისა ქუეყანაჲ დიდად ნაკლულევან“ იყო წიგნთაგან. ბიზანტიელები ამრეზით უყურებდნენ ქართველთ. „ბარბაროზ წოდებულ ვიყვენით ელენთა მიერ უსწავლელობისათჳს და უმეცრებისა ჩუენისა“ — მოგვითხრობს გიორგი მცირე (54,108). ეს საკითხი აწუხებდა ქალკედონის ნახევარკუნძულზე გადმოხვეწილ მცირერიცხოვან ქართველობას, რომელიც თვალნათლივ ხედავდა ქართველი ერის განათლებისა და იმდროინდელ კულტურულ სამყაროსთან მისი აქტიური ურთიერთობის აუცილებლობას. „მე, გლახაკი ესე, ვითარცა ნარჩევი ყოველთა მონაზონთაჲ, იოვანე, მწუხარე ვიყავ ამის საქმისათჳს, რომელ-ესე ნაკლულევან იყო ქუეყანაჲ ქართლისაჲ წიგნთაგან“ — აცხადებს ათონის ქართული სამონასტრო ცხოვრების ერთ-ერთი ინიციატორი იოანე (28,14).

ეფთვიმე მთაწმიდელს ბავშვობიდანვე ასეთი სულისკვეთებით ზრდიდა მამა: „შვილო ჩემო, ქართლისა ქუეყანაჲ დიდად ნაკლულევან არს წიგნთაგან ... და ვხედავ, რომელ ღმერთსა მოუმადლებია შენდა. აწ იღუაწე, რაჲთა განამრავლო სასყიდელი შენი ღმრთისაგან“ (54,61).

და აი, ივირონის ქართველობა კისრულობს მისიას – ბიზანტიურ კულტურას აზიაროს ქართველი ერი. უცხოეთის მიწაზე მცხოვრები რამდენიმე ბერისათვის ეს თითქმის შეუძლებელი იყო. მაგრამ მათ უკან არ დაუხევიათ. იოანე-თორნიკემ და მისმა ძმამ, იოანე-ვარაზვაჩემ, „მრავალნი ფიჩოსანნი და სახელოვანნი მონაზონნი“ ჩამოიყვანეს ტაო-კლარჯეთიდან.

მონასტრის წინამძღვრობა იოანე ბერს დაეკისრა. თორნიკეს სურვილი იყო, რომ მომავალშიც მონასტრის წინამძღვარი ჩორდვანელთა სახლის წევრი ყოფილიყო, ხოლო მონასტერში მხოლოდ ქართველ ბერებს ეცხოვრათ. იგი თვლიდა, რომ მონასტერს მხოლოდ ასე შეუნარჩუნებდა ქართველებს. რაოდენ გამჭრიახი და შორსმჭვრეტელი აღმოჩნდა თორნიკე? მისი გარდაცვალების შემდეგ ათონელ ქართველთა სავანეში ბერძნებმა იმრავლეს. ეს სავალალო აღმოჩნდა ქართველთათვის. იოანეს და ეფთვიმეს სიცოცხლეში ბერძნები ვერ ბედავდნენ თავიანთი აგრესიის გამოჩენას, ამაში ხელს უშლიდა ათანასე ლავრელის დამოკიდებულება ქართველებისადმი და მამა-შვილის ავტორიტეტი. ცნობილია, რომ ათანასემ სამ ქართველს – იოანეს, ეფთვიმესა და გიორგის მიანდო „ზრუნვაჲ დიდისა ლავრისაჲ.“ მომრავლებულმა ბერძნებმა დიდ ურვაში ჩააგდეს ქართველები, რისი გამოძახილიც გვესმის გიორგი მცირის სიტყვებში: ბერძნები „ვითარცა ცეცხლი აღეგზნნეს ჩუენ ზედა და სრულიად აღმოფხურაჲ ჩუენი ენება და დაპყრობაჲ სამკჳდრებელისა ჩუენისაჲ... დიდსა ჭირსა შინა ვიყვენით... და საწუნელ და საძულელ მათდა. და თჳთოეულად არცა თუ შესაძლებელ არს ყოვლისავე წარმოთქუმაჲ, რაჲდენნი... შეურაცხებანი და ყუედრებანი მოიწეოდეს მათ მიერ ჩუენ ზედა დღითი-დღე, და ცემითა და გუემითა და მწვალებელად ხადითა შეიწრებულნი დიდსა ურვასა შინა ვიყვენით. და ესეცა ენება, რაჲთამცა სახელიცა მაშენებელთაჲ აღმოჰკოცეს“ (54, 95-96).

ელ. მეტრეველის დაკვირვებით, ჩორდვანელთა სახლის წევრების მონასტრის წინამძღვრად დაყენება მაინც არ იყო რადიკალური საშუალება ივირონის ბერძნული საკრებულოს ზრდის შესაჩერებლად; მათი პრეტენზიების ასალაგმავად საჭირო იყო თვით ქართველთა საკრებულოში წესრიგის დამყარება და მონასტრის სამეურნეო საქმიანობაში ქართველთა ჩაბმა. მამის დამოძღვრით ეფთვიმემ ჩამოაყალიბა წესი და განგება: ეს იყო პირველი კტიტორული ტიპიკონი, რომელიც გავრცელდა არა მხოლოდ ათონზე, არამედ სხვაგანაც, ყველა ქართულ მონასტერში (27,3-25). ამის შემდეგ ქართველი მწიგნობრები, რომლებიც ასე კარგად ერკვეოდნენ ბიზანტიაში მიმდინარე პროცესებში, დაუცხრომლად ზრუნავდნენ ქართული მწერლობის ბიზანტიურ კულტურასთან გათანაბრებისათვის. ასე შეიქმნა ათონზე ძლიერი სამწიგნობრო სკოლა.

იქმნებოდა და ითარგმნებოდა თხზულებები, რომლებიც ერის ინტერესებისათვის, ეკლესიის პრაქტიკული საჭიროებისათვის იყო აუცილებელი.

ათონელ მწიგნობრებს მჭიდრო კონტაქტი ჰქონდათ თანამემამულეებთან. ცნობილია, რომ გიორგი ჭყონდიდელი საქართველოდან წერილს უგზავნის ათონზე მამა ეფთვიმეს, რომელშიც სთხოვს, განუმარტოს საეკლესიო ცხოვრებასთან, საეკლესიო მწერლობასთან დაკავშირებული ზოგიერთი საცილობელი საკითხი: „გეკედრები შენ, ღმერთშემოსილო მამაო, მაუწყე, თუ რომელნი წიგნნი არიან, რომელთა-იგი წმიდაჲ კათოლიკე ეკლესიაჲ არა შეიწყნარებს“ (40,12). ათონელი მოძღვარიც ადგენს ბიბლიოგრაფიული ხასიათის თხზულებას, ინდექსს, რომელშიც დასახელებულია ქრისტიანული სარწმუნოებისათვის მიუღებელი აპოკრიფული თხზულებანი. ათონელი ქართველი მამების ღვაწლით დიდად იყო დაინტერესებული დავით კურაპალატი, „ეს ჭეშმარიტად მხედარი ქრისტესი და საღმრთოთა საქმეთა მაძიებელი.“ ყოველი თარგმანი მას ეგზავნებოდა. ჩვენამდე მოაღწია გადამწერის, იორდანე მაირენისელის, ანდერძმა, რომელსაც დავით კურაპალატის ბრძანებით 96 დღე უვლია „შორთა ქუეყანათაგან“. იგი შესთხოვს ღმერთს, რომ შეაძლებინოს „ნუსხა წმიდათა ამათ წერილთა“ მიუძღვნას ქართველთა მეფეს, „რომელ სურვიელ იყო და მოსურნე სმენად საღმრთოთა მათ თქუმულთა მოძღურებისათა და მიმლოდებელ“ (92,61).

ეფთვიმემ „მრავალნი წიგნნი წარსცნის წინაშე დავით კურაპალატისა, რომელნი-იგი იხილა რაჲ, ვითარცა იყო მორწმუნე, სიხარულით აღივსო და ადიდებდა ღმერთსა და იტყოდა: „მადლი ღმერთსა, რომელმაც ჩუენთა ამათ ჟამთა ახალი ოქროპირი გამოაჩინა.“ და ზედაჲსზედა მოუწერნ, რაჲთა თარგმნიდეს და წარსცემდეს“ (54,61).

თუ როგორ შესძლეს ათონელმა მამებმა თავიანთი უმძიმესი მისიის შესრულება, ამაზე მეტყველებენ ჩვენამდე მოღწეული ხელნაწერები: Ath.3, Ath.10, Ath.13. ეს ხელნაწერები, როგორც ე. მეტრეველი აღნიშნავს, წარმოადგენს ეფთვიმეს ავტოგრაფის ზუსტ პირს. მათში დაცულია იოვანეს და ეფთვიმეს ყველა ანდერძ-მინაწერი. სამწიგნეულს ახლავს გადამწერთა ანდერძებიც, რომლებიც ჯეროვნად აფასებენ მამა-შვილის ამაგს (28,9).

იოანემ უდიდესი ღვაწლი დასდო ათონის მწიგნობრული სკოლის ჩამოყალიბებას, მისი პროგრამის შედგენას. იოანე იყო „მიზეზ“, რომ ქართველი ერი ბერძენთა კულტურას ზიარებულიყო. მან „განზარდა და განსწავლა მამაჲ ეფთჳმე და ღირს გუყვნა ჩუენ ესეოდენთა კეთილთა“ (94, 260 r-v). ეფთვიმე „მოუწყინებლად თარგმნიდა“, მამა ხელს უწყობდა ამ დიდ საქმეში. ხოლო თანამოღვაწენი იწერდნენ და ავრცობდნენ თარგმანს, რომლის მსგავსი „არღარა გამოჩინებულ არს ენასა ჩუენსა და ვჰგონებ, თუ არცაღა გამოჩინებად არს“ (54,61).

მამა იოვანეს და მამა ეფთვიმეს შემდგომი დროის მოღვაწენი შემდეგნაირად აფასებდნენ: ისინი იყვნენ „შემდგომად ღმრთისა ამათ სულთა ცხორებისა მომცემელნი ქართველთა ნათესავსა“ (94,4v).

ეფთვიმემ შეუძლებელი შეძლო. „ვითარღა უძლო აღსრულებად ესოდენთა მოღუაწებათა?“ – კითხულობს მისი „ცხოვრების“ ავტორი (55,339). მართლაც, საოცარი იყო, როგორ შეძლო? ეფთვიმეს ხომ გარდა მწიგნობრული მოღვაწეობისა, აწუხებდა „საქმე მძიმე და მრავალფერი“. ეფთვიმე იყო ეპიტროპი ანუ მესულე (ე. მეტრეველის განმარტებაა) ათონის ლავრისა, არა მარტო ათანასეს ლავრისა, არამედ „მთაწმიდელთა უფროჲსნი საურავნი მის ნეტარისა მიერ იურვებოდის... არცა პროტი, არცა სხუანი მამასახლისნი, თჳნიერ მისისა ბრძანებისა, არარას იქმოდეს და იშჯთი დღე გარდახდის, რომელსა ათი ანუ ათხუთმეტი მამასახლისი არა მოვიდის მათ წინაშე“ (54,81). ეფთვიმეს ეკისრებოდა „სამასისა სულისა ზრუნვაჲ.“ „ძველი საბუთების გამოყენებით და ხელისუფალთა მხარდაჭერით განამტკიცებდა მონასტრის ძლიერებას... ყიდულობდა მამულებს და ზრუნავდა მათ შეუვალობაზე. იღვწოდა მოწესეთა შორის კეთილგანწყობილებისა და კარგი ურთიერთობის დამკვიდრებისათვის... არა მხოლოდ თვით ეწეოდა აღმშენებლობით საქმიანობას და ახალ ეკლესიებს აგებდა, არამედ არაქართველ მოღვაწეებსაც ეხმარებოდა და არაქართული სავანეების დაარსებაზეც ზრუნავდა“ (13,198).

„ზომად წერისათჳს შემინდევით“, – ითხოვს ეფთვიმე, – „უცალო ვიყავ და უფროჲსი ღამით მიწერია“ (40,139). წმინდა მამა „აღსასრულადმდე“ ერთგული იყო მცნებისა: „მინდობაჲ თავისა თჳსისა და თჳსსა ნებასა დამტკიცებაჲ კარი არს წარწყმედისაჲ და ფსკერი ჯოჯოხეთისაჲ, ხოლო განკითხვაჲ – წინამძღუარი ცხორებისა და ბჭე სასუფეველისაჲ“ (55, 338). ამიტომაც „მადლმან სულისა წმიდისამან მდიდრად დაიუნჯა მის შორის“ (55,57). ამიტომაც გახდა იგი „ქართველი ერის ნუგეშინისმცემელი“, მათი ინტელექტუალური ცხოვრების სწორად წარმმართველი.

დიდი საეკლესიო მამა წმინდანად იქნა შერაცხული არა მხოლოდ ქართული, არამედ ბერძნული ეკლესიის მიერაც. „მან უმეცრებისა იგი საბურველი მოსძარცუა გონებათაგან ჩუენთა“ (54,108). მამა ეფთვიმეს წყალობით ქართველები უკვე განათლების მხრივ დიდად როდი ჩამორჩებოდნენ ბერძნებს. „ჩვილობა“ უკვე განვლილი ეტაპი იყო და ერი „მტკიცისა საზრდელისა მოქენე“ შეიქმნა.

ეფთვიმეს მამის, იოანეს, ანდერძში (93,329r), რომელიც მოხმობილი აქვს გიორგი მთაწმიდელს თავის თხზულებაში (54,62-64), ჩამოთვლილია ეფთვიმეს თარგმანები.

იქვე აღნიშნულია, რომ ეს სია არასრულია. „რამეთუ თარგმნნა წიგნნი საღმრთონი, რომელთა აღრიცხუვაჲ კნინღა-და შეუძლებელ არს, რომელთაგანნი რაოდენნიმე მოვიკსენნეთ, რაჲთა მათ მიერ სხუათათჳსცა ეუწყოს ქრისტეს მორწმუნეთა, რამეთუ არა თუ ულუმბათა და მთაწმიდას ოდენ თარგმნნა, რაჲთამცა აღვრიცხუენით თითოეულად, არამედ სამეუფოსცა და გზასა და სხუათა ესევითართა ადგილთა“ (54,62).

„ქართველთა განმანათლებელი“ თარგმნისას ერის პრაქტიკული საჭიროებიდან გამოდიოდა, ერის პოლიტიკურ თუ კულტურულ ინტერესებს ითვალისწინებდა

მუდამ. სათარგმნი მასალა აურაცხელი იყო. ეფთვიმე თარგმნიდა იმ დარგებიდან, რომლებიც ნაკლებად ან სრულებით არ იყო ცნობილი ქართულ მწერლობაში" (25,5-6).

საგულისხმოა, თუ როგორ უყურებდა ეფთვიმეს შემოქმედებას სხვა ეპოქის წარმომადგენელი, დიდი მეცნიერი, ფილოლოგი და გრამატიკოსი ეფრემ მცირე, ცნობილია მათი თარგმანების განსხვავებული ხასიათი.

ათონის მწიგნობრულ სკოლას განსხვავებული მიზანდასახულობა ჰქონდა. ეფთვიმეს წინაშე აურაცხელი მასალა იყო სათარგმნი. ბიბლიოლოგია, ჰაგიოგრაფია, ჰომილეტიკა, დოგმატიკა, პოლემიკა, კანონიკა, ლიტურგიკა – ძველი მწერლობის თითოეული ეს დარგი ეფთვიმესთან წარმოდგენილია სრულიად გამორჩეული სერიოზული თხზულებებით, რომელთაგან ზოგი საეტაპო მნიშვნელობის მატარებელია. ქართველთათვის მათი აღქმა არც ისე ადვილი იყო. აკი ამიტომაც ეფთვიმე „სიჩჩოებასა ჩუენისა ნათესავისასა სძითა ზრდიდა და მხლითა... ურწყულობასა ძლიერისა ამის ღმრთისმეტყველისა წიგნისა ღუნისასა განაზავებდა წყალთაგან სულიერთა, რაჟამს სიტყუა-სიმოკლე მოძღურისაჲ განავრცის ლიტონისა ერისათჳს, რამეთუ მაშინ ჩუენი ნათესავი ლიტონ იყო და ჩჩულ მისდადმდი" (7,148-149). ეს პრობლემა იდგა ეფთვიმე მთაწმიდელის წინაშე და ამიტომაც იგი იძულებული იყო სადად, ცოცხალი სამეტყველო ენით, თანაც განმარტებებით გადმოეცა ურთულესი ბერძნული ტექსტები. ამიტომაც სჭარბობდა მის თარგმანებში „ზედადართული" და „თარგმანთაგანი". ეფთვიმეს თარგმანები ძირითადად „კლება-მატების" ხერხითაა თარგმნილი. არსებობს რამდენიმე თხზულება, რომლებსაც ეფთვიმე ამ პრინციპით არ თარგმნის, ესენია: მარხვისა და ნათლისღების საკითხავები (51,148-149).

ჩვენ დავამატებდით, რომ ასევე იქცევა ეფთვიმე იოანე დამასკელის თხზულების „შეზავებულისა ბუნებისათჳს" თარგმნისას, რომელიც 25-ე თავადაა შეტანილი „წინამძღუარში". ეფთვიმესეული თარგმანი დედნისაგან უმნიშვნელოდ სხვაობს.

ეფთვიმეს წინაშე მუდამ მკითხველის პრობლემა იდგა. ამ პრინციპით უთარგმნია ეფთვიმეს „მცირე სჯულისკანონი", ბასილი კესარიელის სწავლანი, გრიგოლ ნაზიანზელის ლიტურგიკული თუ არალიტურგიკული ჰომილიები, მაქსიმე აღმსარებლის „პიროსთან სიტყჳსგება"... არათუ ტექსტები, სათაურებიც კი ხშირად ისეთივე ვრცელი განმარტებაა, როგორ განმარტებებსაც და ვრცელ ჩანართებსაც იგი ურთავს თავის თარგმანებს. ორიგინალისა და სხვა ქართული თარგმანებისაგან განსხვავებით, ეფთვიმეს მიერ თარგმნილი სათაურები ისეა წარმოდგენილი, რომ ნამდვილ კომენტარს ჰგავს. გავრცობანი ზოგჯერ კომენტარებიდან აქვს მოხმობილი. გრიგოლ ნაზიანზელის ჰომილიათა ეფთვიმესეულ თარგმანებში მითითებულია ჰომილიის დაწერის ადგილი, ნაზიანზელის ცხოვრების დეტალები, დაწერის მიზეზი, სხვადასხვა საყურადღებო მომენტები (სათაურებთან დაკავშირებით იხ. 38,43; 5,22).

ეფრემ მცირე განსხვავებული სკოლის, სხვა ეპოქის წარმომადგენელია. როგორც მისი თარგმანებიდან, მისი თეორიული მოსაზრებებიდან ჩანს, შავი მთის სკოლა – ეს არის XI ს-ის ბიზანტიური სკოლა მდიდარი ტრადიციებით, განათლებული მწიგნობრებით. ამ დროისათვის ქართული კულტურა ეფთვიმესა და მის თანამოღვაწეთა წყალობით უკვე დიდად არ ჩამორჩებოდა ბერძნულს. ქართველი მწერლებისა და მთარგმნელების მთარგმნელობითი მეთოდი მკვეთრად შეიცვალა, შეიცვალა მათი დამოკიდებულებაც სათარგმნი მასალის მიმართ. ამიტომაც გაჩნდა საჭიროება ეფთვიმეს მიერ უკვე თარგმნილი გრიგოლ ნაზიანზელის 16 ლიტურგიკული სიტყვის კრებულის ხელახლა თარგმნისა.

ეფრემი მოწიწებითაა გამსჭვალული ათონელი და უფრო ადრინდელი მწიგნობრების მიმართ. აი, როგორი მადლიერებით წერს იგი მთაწმიდელი მოღვაწეების შესახებ: „არა საღრამატიკოსოთა, არცა საფილოსოფოსოთა, არამედ შემდგომნი თარგმანნი პირველ დამაშურალთა თარგმანთა წიგნებისაგან განვისწავლებით... მათითა ენითა ვზრახავ და მათითა ყურითა მესმის და მათითა კელითა ვშურები“ (7,148).

და მიუხედავად ამისა, ეფრემ მცირეს ხელახლა უთარგმნია ეფთვიმეს მიერ თარგმნილი დამასკელის „გარდამოცემა“ და გრიგოლ ნაზიანზელის ჰომილიები. მიზეზი იყო ეფთვიმეს თარგმანის საგრძნობი დაცილება დედნისაგან, ბერძენთა მიერ „საანჯმნო ქმნილი“.

ეფრემის წინაშე სხვა პრობლემა იდგა: ეფთვიმეს თარგმანებით გაწაფული ქართველი მკითხველისათვის ახლა საჭირო იყო ორიგინალთან მიახლოებული ტექსტი, რის არქონასაც გამუდმებით აყვედრიდნენ ბერძნები ქართველებს.

„რაჟამს ცვალებაჲ მინდის სიტყჳსაჲ, პირველად თარგმნითა გავჰმართი და თარგმანი არავე კმა ვიყვი უმეტესისა გულსავსებისათჳს, არამედ უმრავლესი მათ სიტყუათაჲ წერით ანტიოქს შევიტანი და დიდისა საპატრიაქოჲსა ფილოსოფოსთა და მიტროპოლიტთა და თჳთ მათ ყოველთა უბრძნესისა წმიდისა მეუფისა მიერ გამოვიძიე საეჭჳ ყოველივე“ (7,148). ასე დინჯად, ჩაკირკიტებით თარგმნიდა ეფრემი. ეფთვიმეს, უბრალოდ, დროც კი აღარ ჰქონდა, რომ ყველა წვრილმანზე ყურადღება გაემახვილებინა.

თვითონ ბიზანტიურ მწერლობაში ცნობილი იყო მაღალი სტილი ლიტერატურული ელიტისათვის და დაბალი – მოუმზადებელ მსმენელთათვის. ეფრემი „დიალექტიკის“ შესავალში ასახელებს სვიმონ ლოღოთეტს და ამბობს, რომ მას და სხვა ბერძენ მეცნიერებს ახასიათებდათ წიგნის კაზმვა. ბიზანტიურ მწერლობაში არსებულა „ჰამბავი გინა მოთხრობაჲ სოფლურითა უშუერითა სიტყჳთა აღწერილი“, არსებულა „მეტაფრასი“ ანუ „გარდაკაზმული“ (11,68), არსებობდა თეოდორე სტუდიელის „მცირე კატეხიზისი“ და „დიდი კატეხიზისი“. „თეოდორეს მცირე კატეხიზისი იმპროვიზირებული იყო ძმობასთან უშუალო ურთიერთობისას და ადვილი გასაგები იყო ბერებისათვის. დიდი კატეხიზისი კი არაა იმპროვიზირებული (οὐ σχεδιαστικῶς), არამედ დაწერილია მარტოობისას

(καθ' ἑαυτόν). ბიოგრაფის მიხედვით, ორივე გამოხატავს მჭევრმეტყველების ღვთაებრივ და ზეციურ მშვენებას" (5,264).

აქვე გვახსენდება ეფთვიმეს მიერ შედგენილი „მცირე სჯულისკანონი" და არსენ იყალთოელის მიერ თარგმნილი „დიდი სჯულისკანონი". „მცირე სჯულისკანონზე" ქვემოთ ვილაპარაკებთ. ასევე არსებობდა პავლეს ეპისტოლეთა მოკლე თარგმანება და სრული. კირილე ალექსანდრიელს ერთ-ერთი წმინდა მამის თხოვნით შეუდგენია მოკლე თარგმანება. მიზანი იყო „მოსწრაფებით მკითხველთათჳს" ადვილად გულისხმისსაყოფელი ყოფილიყო პავლე მოციქულის თხზულება. კირილე ალექსანდრიელი იქცევა ისე, როგორც ეფთვიმე მთაწმიდელი „წინამძღურის" შედგენისას. „არა ქელ-ვყავ ყოველსავე თავით ჩემით თარგმანებად" – ამბობს კირილე ალექსანდრიელი, რაკი „წმიდასა მამასა ჩუენსა იოანე ოქროპირსა უთარგმნიან ებისტოლენი ესე წმიდისა პავლესნი და რავდენიმე სიტყუანი მისნი ვპოენ დიდისა ბასილისა მიერცა კესარიელისა და გრიგოლ ღმრთისმეტყუელისა და წმიდისა ათანასეს მიერცა თარგმნილნი... მათ წმიდათა მიერ აღწერილთაგან გამოვკრიბე და რომელიმე ჩემ მიერცა შევსძინე და გავაწესე სიტყუათა თანა წმიდისა მის მოციქულისათა მოკლედ თარგმანი მათი" (95,15v), ე.ი. პავლეს ეპისტოლეთა სრული განმარტება უკვე მოუცია იოანე ოქროპირს, ხოლო ბასილი კესარიელს, გრიგოლ ღვთისმეტყველს, ათანასე ალექსანდრიელს მოუციათ რამდენიმე სიტყვის განმარტება. კირილე ალექსანდრიელს გაუკეთებია კომპილაცია იოანეს განმარტებებისა: უსარგებლია ზემოთ ჩამოთვლილ წმინდა მამათა განმარტებებითაც, თვითონაც ჩაურთავს საკუთარი განმარტებანი და ასე შეუდგენია მოკლე თარგმანება.

ეფრემი წერს მაღალი სტილით „იშჯთ გულისკმისმყოფელთათჳს", რადგან დაბალი სტილის უკვე საკმარისზე მეტი ლიტერატურა არსებობდა. ეფთვიმე „ურწყულობასა ღმრთისმეტყუელისა წიგნისა ღჳნისასა განჰზავებდა წყალთაგან სულიერთა" (96,31). სულიერი წყლით განაზავა ანუ ფართო მკითხველთათვის გასაგებად თარგმნა ათონელმა მამამ უამრავი ლიტერატურული ნაწარმოები. ეფთვიმეს წინაშე მკითხველის პრობლემა იდგა. ურთულესი ბიზანტიური თხზულებები მას ისე უნდა მიეტანა ქართველ მკითხველამდე, რომ იგი არ დაბნეულიყო, სულიერი საზრდო შესაბამისად აღექვა.

ყველაზე ზუსტი შეფასება თავისი საკუთარი და თავისი სათაყვანო მოძღვრისა ისევ ეფრემს ეკუთვნის. მისი სიტყვებით, ეფთვიმეს თარგმანები „ყოველთა ეკლესიათა ზედა განფენილი ბრწყინავს, ხოლო ესე იშჯთ ვიეთთჯსმე იდვას გულისკმისმყოფელთათჯს. ესე ცხად-ჰყოფდინ სიტყუა-სიმოკლესა და სიღრმესა დიდისა გრიგოლ ღმრთისმეტყუელისასა, ხოლო იგი – სიტყუა-სივრცესა და განათლებასა წმიდისა მამისა ჩუენისა ეფთჳმესსა... უკუეთუ ლომი ვერ ციდამტკაველებრ ხლდებოდა კარებსა ფილასოფოსთასა, ამას ანაცვალე ლომებრივობაჲ მისი და მეუფებრივობაჲ კრთომისაჲ, რამეთუ ყოველი მჭელი ღრმთისმეტყუელისაჲ მას აედვა ურემსა ქართველთასა, ხოლო მე მისითავე სანთლითა კუვილნიღა აღმიკრებიან დატჯრთვად ურემსა მისსა" (7,149).

თარგმნისას ეფთვიმეს მუდამ ახსოვდა, როგორი თარგმანი სჭირდებოდა მის მკითხველს. მას უნდა ეთარგმნა ისე, ვით „მას ჟამსა შეჰგუანა“. უნდა აღინიშნოს, რომ ეფრემის ანდერძებში ხშირად ცხვდებით ასეთ ფრაზებს: „ესე არა უწყი, თუ თჳთ მამასა ეფთჳმის გამოუკრებია, ანუ ბერძულად ესრეთ უპოვნია“ (11,69). „არა ვიცით... თუ წმიდასა მამასა ჩუენსა ეფთჳმის დედაჲ ესეგუარი მიჰხუდა“ (7,174). ბიზანტიური მწერლობის შესანიშნავმა მცოდნემ, ეფრემმა, იცოდა, რომ ბერძნულში არსებობდა ტრადიცია ტექსტების რედაქციული გადაკეთებისა, ამიტომაც უშვებს ის ალბათობას, რომ შესაძლოა, ბერძნულში არსებული დედნის მიხედვით გაეკეთებინა ეს ეფთვიმეს. ამაზე მეტყველებს გერმანე პატრიარქის „თხრობაჲ სასწაულთათჳს მთავარანგელოზისა მიქაელისათა“-ს ეფთვიმესეული თარგმანი. კ.კეკელიძე თვლიდა, რომ ეს იყო თავისებური რედაქცია გერმანე პატრიარქის შრომისა და ტიპური ნიმუში ეფთვიმეს მთარგმნელობითი მუშაობისა (14,237–268), მაგრამ როგორც მ. ვან ესბროკმა გამოიკვლია (74,73-107), არსებობს ამ თარგმანის ბერძნული მოდელი (Yat. 422), რომელიც გადაიწერა ათონზე 1004 წელს. 18 ფრაგმენტი, რომელსაც კ. კეკელიძე ეფთვიმეს ჩართულად თვლიდა, მასში სრულადაა შესული, აკლია მხოლოდ ერთი ფრაგმენტი. თუკი ბერძნულში ზუსტად იგივე მოდელი არ არის, ეტყობა, ეფთვიმეს თარგმანები იქმნებოდა ბიზანტიური კრებულების ანალოგიით. ასეთი მეთოდით არის შედგენილი ეფთვიმე ათონელის „მცირე სჯულისკანონი“ (31), პირველი კანონიკური კრებული ქართულ მწერლობაში. მანამდე კანონიკური მწერლობა საქართველოში არც არსებობდა. ეფთვიმე ცდილობს, ამ დარგშიც გაანათლოს ერი. იგი ბერძნულ მწერლობაში არსებული სხვადასხვა კანონიკური ძეგლებიდან ადგენს ტექსტს, „განწესებულსა სასწავლებლად და სარგებელად სულისა“. მთარგმნელი და შემდგენელი მიზნად ისახავს, განმარტოს, გააადვილოს ტექსტი, რათა ამ სფეროში გაუცნობიერებელმა მკითხველმა ადვილად შესძლოს მისი აღქმა და არ დაიბნეს: „ყოველივე პირი და სახე სხუათა მათ პირველთა მამათა მიერ აღწერილისა რჩულისკანონისა აქა შემოკრებილ არს და კეთილად განმარტებულ“.

მთარგმნელს ბერძნული დედანი თავისებურად გადაუმუშავებია: ჩაურთავს ქართული საღვთისმეტყველო პრაქტიკისათვის აქტუალური საკითხები, ქართული მასალა, ზოგი მუხლი თვითონ დაუწერია. ეფთვიმე ტოვებს არააქტუალურ საკითხებს, ავრცობს იმ საკითხებს, რაც მისი ეპოქის საეკლესიო ცხოვრებისათვის აუცილებელი თემა იყო. მაგ., იგი ვრცლად წარმოადგენს სომხურ საეკლესიო წეს-ჩვეულებებთან დაკავშირებულ საკითხებს.

I ნაწილი, ტრულის საეკლესიო კანონები, ისეა წარმოდგენილი, თითქოს ის VI მსოფლიო კრების კანონები იყოს. VI მსოფლიო საეკლესიო კრებას კანონები არ შეუმუშავებია. ე.გიუნაშვილის სიტყვებით, ეფთვიმეს დროს არსებობდა ტენდენცია, რომელიც ტრულის 692 წლის კრებას უწოდებს მსოფლიო კრებას და მას აიგივებს 680-81 წლის კრებასთან. ტრულის კრების 102 კანონიდან მთარგმნელი ბევრს ტოვებს, IV ნაწილში მას შეაქვს „ძეგლისწერა

სარწმუნოებისა.“ აქ მთარგმნელს შეაქვს ვრცელი ნაწილი ხატთმებრძოლეობის ისტორიიდან, რაკი ამ დროს ძალაშია სომეხ-ქართველთა საეკლესიო დავა, მწვავედ დგას ხატთმებრძოლეობის საკითხი.

„მცირე სჯულისკანონი“ წმინდა ქართული მოვლენაა, აღნიშნავს ე. გიუნაშვილი. იგი თვლის, რომ ბიზანტიური და ქრისტიანული აღმოსავლეთის სხვა ქვეყნების საეკლესიო სამართლის ისტორიამ მსგავსი კრებული არ იცის. მკვლევარი ჩამოთვლის ძეგლებს, რომელთა მიხედვითაც შეუდგენია ეფთვიმეს კრებული: ა) ტრულის 692 წლის საეკლესიო კანონები, ბ) „კანონარი“ იოანე მონაზონისა, გ) კანონიკონი უცნობი ავტორისა და დ) კონსტანტინეპოლის 843 წლის ადგილობრივი კრების ძეგლისწერა.

„მცირე სჯულისკანონზე“ თავისი შეხედულება აქვს მიშელ ვან ესბროკს. იგი თვლის, რომ საქმე ეფთვიმეს მიერ გაკეთებულ ადაპტაციასთან კი არა გვაქვს, არამედ დაკარგულ ბერძნულ დედანთან (74). აღსანიშნავია, რომ „მცირე სჯულისკანონის“ ერთ-ერთ თავს – „კანონნი შეცოდებულთანის“ – ეფთვიმე სათაურს უცვლის. მას იქიდან ამოუღია კანონარის ზოგადი დახასიათება. ამ თავს წინ უძღვის ეფთვიმესეული მოკლე შესავალი. შემდგომში დავინახავთ, რომ ეფთვიმეს საერთოდ ახასიათებდა მის მიერ შედგენილ-თარგმნილ თხზულებებზე ასეთი მოკლე შესავლების დართვა.

თ.ჟორდანიას გადმოცემით, ეფთვიმე მთაწმიდელს უთარგმნია „მცნებაჲ და განგებაჲ მსოფლიოთა ხუცესთაჲ ბერძული“. ეს ნაწარმოები და მეორეც –კანონიკურ-ლიტურგიკული შრომა ეფთვიმესი, რომელშიც განმარტებული იყო დისციპლინარული ხასიათის საკითხები, დაცული ყოფილა XIII საუკუნის კრებულში (41,83-87). ნაშრომი გამოსცეს თ.ჟორდანიამ და მ.საბინინმა. აქ განხილული განმარტებანი ეფთვიმეს დაუწერია გიორგი შეყენებულის თხოვნით.

ქართველი ერის მწვალებლობისაგან დაცვას ისახავდა მიზნად ეფთვიმეს მიერ შედგენილი აპოკრიფულ წიგნთა ინდექსი. აღნიშნული ინდექსი შეისწავლეს კ.კეკელიძემ (13,403-407), მ. ვან ესბროკმა (75,146-156), ე.ჭელიძემ (58,215-229). როგორც ე.ჭელიძე აღნიშნავს, აპოკრიფულ წიგნთა ქართული ინდექსის შედგენისას ეფთვიმემ გვერდი აუარა ბერძნულ- ლათინური ინდექსების მრავალ დასახელებას, რომლებიც თუმცა აღნიშნული ინდექსების მიხედვით არაკანონიკურ თხზულებებს მიეკუთვნებოდა, მაგრამ აღმოსავლური ეკლესიის ტრადიციის მიერ უარყოფილი არ იყო. მეორე მხრივ, მან ინდექსში შეიტანა ისეთი ძეგლები, რომლებიც ბერძნულ-ლათინურ ინდექსში არ ასახულა. მკვლევარი ამას იმით ხსნის, რომ ათონელი მამა ეყრდნობოდა რა უშუალოდ ლიტერატურულ წყაროებს, მან, როგორც ორთოდოქსმა მოძღვარმა, ცალკეულ შემთხვევაში დაუკანონა ქართველებს რამდენიმე ძეგლის შეუწყნარებლობა. სხვა ინდექსთაგან განსხვავებით, ეფთვიმე ყოველ დასახელებას მოკლე კომენტარს ურთავს.

ეფთვიმესვე უთარგმნია აპოკრიფული „მოსაკსენებელი მიმოსლვათათჳს და ქადაგებათა ყოვლად ქებულისა და დიდებულისა ანდრეასი“. რ.მიმინოშვილის სიტყვებით, „ეს არის კომპილაციური ნაშრომი, მასში გამოყენებულია როგორც ნიკიტა სერონელის, ისევე ეპიფანე მონაზონის, უპირატესად ამ უკანასკნელის თხზულება“ (30,59).

ჰომილეტიკაში ეფთვიმემ თარგმნა გრიგოლ ღვთისმეტყველის თექვსმეტი ლიტურგიკული სიტყვიდან თხუთმეტი, ასევე თარგმნა იმავე ავტორის არალიტურგიკული ჰომილიები.

გრიგოლ ნაზიანზელის ზოგიერთი ჰომილიის შესწავლის შედეგად კიდევ ერთხელ გამოვლინდა ეფთვიმე მთაწმიდელის მიერ სხვადასხვა დედნებისა და წყაროების კომპილაციის ხასიათი. ეს უკვე მერამდენე ძეგლია, რომელიც ავლენს ეფთვიმეს მიერ ბერძნული დედნებით მანიპულირების სურათს. რაც მთავარია, ამ მანიპულირებას ამ შემთხვევაშიც მთარგმნელის ინდივიდუალური მიზანდასახულობა განაპირობებს, კერძოდ, ქართველ მკითხველ საზოგადოებას გამოუკვეთოს ის თემა, რომელიც მას აქტუალურად მიაჩნია. ეფთვიმე მოხერხებულად ახდენს გრიგოლ ნაზიანზელის ორი ჰომილიის (2 და 3) კომპილაციას, or. 2-ის ტექსტის გარკვეული ნაწილი გადააქვს or.3-ში, ზოგან ჩართავს ქრისტეს სიმბოლურ სახეთა მოკლე კომენტარს. ასეთი გადატანის, ასეთი კომპილაციის შედეგად or. 2 გარკვეულად დაიწურა, თხრობა შეიკრა ერთი გარკვეული თემის გარშემო, ეს არის მოძღვრისა და მისი სულიერი შვილის ურთიერთობა (5,201-225).

გრიგოლ ნაზიანზელის ორი სხვადასხვა ჰომილიის ერთმანეთში ჩართვა და ერთმანეთზე მიბმა ადრითგანვე შეუმჩნევიათ არა მარტო ქართველებს, არამედ ბერძენ ბერებსაც. ქართველი მოღვაწეების მიმართ ისედაც აგრესიულად განწყობილ ბერძნებს ეს ფაქტი „საანჯმნოდ“ უქცევიათ და გარკვეული ბრალდებები წამოუყენებიათ კიდეც. ცნობილი ფილოლოგი და გრამატიკოსი ეფრემ მცირე აღნიშნავს: „ამათ ყუედრებათა და სხჳსა საკითხავისა სხჳსა თანა მოკრებათა აღპსძრნეს სხუანი იძულებად და მძლავრებად ჩუენდა დიდსა მას კადრებასა მეორედ თარგმნისასა“(7,174). ბერძენთა გულისწყრომა საფუძველს იყო მოკლებული, ვინაიდან ბიზანტიურ ლიტერატურაში იყო დამკვიდრებული ასეთი ტრადიცია. ცნობილია თვითონ გრიგოლ ნაზიანზელის შემოქმედებაში or.38-ის (შობის საკითხავის) და or.45-ის (ნათლისღების საკითხავის) დუბლეტები.

ეფრემ მცირე ცდილობს, ახსნას, რამ განაპირობა ამ ორი ჰომილიის (or.2 და or.3.) გაერთიანება. იგი უშვებს შესაძლებლობას, რომ მიზეზი შეიძლება იყოს or.3-ის „სიმცროება“, გადამწერთა ჩარევა, ან შეიძლება ბერძნულში არსებობდა „დედაჲ ესეგუარი“. ქ.ბეზარაშვილის და მ.მაჭავარიანის სიტყვებით, გადამწერებს არ ხელეწიფებოდათ ისეთი გააზრებული კომპოზიციური ცვლილება, როგორიც II და III ჰომილიებშია. მათივე ცნობით, ბიზანტინოლოგიაში „დედანი ესეგუარი“ არაა ცნობილი. ეს ჰომილიები აგებულია გრიგოლის თხზულებათა

ბერძნული ინტერპოლაციების მაგალითზე და გრიგოლის მხატვრული მეთოდის გათვალისწინებით თვითონ ეფთვიმეს მიერ. მოძიებული წყაროები ბერძნულია, მაგრამ კომპილატორი ეფთვიმეა. მიზანდასახულება ეფთვიმესი დიდაქტიკურია: ქრისტიანულ რელიგიაში გაანათლოს თავისი ერი (5).

ბერძნული პრაქტიკის ანალოგიით არის შედგენილი ეფთვიმე ათონელის „სწავლანი სულიერნი". წყაროების შერჩევა-დალაგების მიხედვით, შესაძლოა იგი ეფთვიმეს ორიგინალური ნაწარმოებადაც კი ჩავთვალოთ. ხელნაწერის სათაურში არსებული სიტყვები „თარგმანი ეფთჳმესი" მკვლევართ აფიქრებინებს, რომ ბერძნულადაც უნდა არსებულიყო ასეთი შედგენილობის თხზულება ან გრიგოლის თხზულებების ეფთვიმესეული თარგმანებიდან უნდა ყოფილიყო ეს მუხლები გამოკრებილი (6,58-77), სხვადასხვა ავტორის შეგონებების ასეულებად გაერთიანების ტრადიცია ბერძნულ მწერლობაშიც არსებობდა და ქართულშიც. ეფთვიმეს უთარგმნია და ალბათ, მისივე შედგენილია ბასილი კესარიელის (უფრო „ითიკიდან" გამოკრებილი) და მაქსიმე აღმსარებლის სწავლანი. მსგავსი თხზულება ბერძნულ კრებულშიც დადასტურდა, მაგრამ შედგენილობით ეფთვიმეს „სწავლანი" ზუსტად მისი გამეორება არაა.

მსგავსივე მეთოდითაა თარგმნილი მაქსიმე აღმსარებლის სიტყვა-მიგება „თალასეს მიმართ ხუცისა". მ. ვან ესბროკი აღნიშნავს, რომ ეფთვიმეს თარგმანი აშკარად განსხვავდება ბერძნული ორიგინალისაგან, რომელიც 65 კითხვა-მიგებისაგან შედგება. მთარგმნელს კითხვა-მიგებანი 100 თავამდე განუვრცია. ქართული 29-ე კითხვა წარმოადგენს განმარტებას და ერთგვარ პასუხს შესაქმეში არსებული ადგილისა დედამიწის გაყოფის შესახებ, ისე, როგორც ამას ვკითხულობთ იპოლიტეს ქრონიკებში, თუ ეპიფანე კვიპრელის Ancoratus-ში. Diametrismos წერილების კომენტარებში ჩართვის იდეას მხოლოდ აქ არ ვხვდებით. ასევე არსებობდა იდეა მაქსიმეს თხზულებებიდან 100 კითხვის შექმნის შესახებ. შეიძლება არსებობდა ბერძნული მოდელი. მკვლევარი ასკვნის: „თუნდაც ეფთვიმე იყოს ავტორი ქართული თარგმანის შედგენილობისა, იგი თავისუფლად გამოიყენებდა მის თანამედროვე ბერძენ ავტორთა თხზულებებს, რადგან კითხვა-პასუხი უხვადაა წარმოდგენილი ბერძნული კრებულებით" (74).

ბერძნული მოდელის მიხედვით შექმნილად თვლის ც.ქურციკიძე ბასილი დიდის ჰომილიას „სარწმუნოებისათჳს წმიდისა სამებისა". აქ ეფთვიმეს ჩაურთავს პასაჟი გრიგოლ ნაზიანზელის სიტყვიდან „ძისათჳს" (or. 29). ბასილის ჰომილიაში „სულისა წმიდისათჳს" ჩართულია ორი ფრაგმენტი გრიგოლ ღვთისმეტყველის ჰომილიიდან „სულისა წმიდისათჳს" (or. 31) (51,23-24). ბერძნულში ამ ჰომილიის ორი რედაქცია არსებობს, ვრცელი და მოკლე. მოკლე რედაქცია მთავრდება ზუსტად იქ, სადაც ქართულ თარგმანში მეორე შემატება იწყება. ც. ქურციკიძე თვლის, რომ ეფთვიმემ ისევე იგრძნო ამ ტექსტის შევსების საჭიროება, როგორც ბერძენმა რედაქტორმა, ოღონდ ბერძენმა სხვა წყაროს მიმართა, ქართველმა – სხვას.

საკითხს, თუ რატომ შეავსო ეფთვიმემ ბასილი დიდის ჰომილია გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებებით, მკვლევარი ასეთ ახსნას უძებნის: ბასილი დიდისა და გრიგოლ ნაზიანზელის მოღვაწეობისას გავრცელებული იყო არიანული ერესი. გრიგოლი მართლმადიდებლური მოძღვრების მიმართ ყოველთვის თანმიმდევრული იყო, ბასილი კი გარკვეულ კომპრომისებზე მიდიოდა. კომპრომისზე წასვლა მას იმიტომ სჭირდებოდა, რომ ნახევრად არიანული ერი შეენარჩუნებინა (ბასილი, როგორც ეპისკოპოსი, დიდაქტიკისა თუ დოგმატიკის საკითხებზე ჰომილია-ქადაგებებს მრევლს უკითხავდა). ამიტომაც იგი სადავო საკითხებს ან საგანგებოდ უვლის გვერდს, ან აბუნდოვანებს მათ. ამიტომაც შეავსო ეფთვიმემ თანმიმდევარი ორთოდოქსის, ნაზიანზელის, თხზულებიდან ამოღებული ნაწყვეტებით ბასილის ჰომილიაში არსებული ხარვეზი. ეფთვიმეს მიზანი იყო დაეცვა ერი მწვალებლობაში ჩავარდნის საშიშროებისაგან (4,070-071).

ეფთვიმეს ნაწარმოებები იწერება, როგორც თვითონ წერს მითოლოგიური კომენტარების სათაურში, „განსამტკიცებელად მორწმუნეთა“ (37). თარგმანებში ეფთვიმე ხაზს უსვამს თავის შეუწყნარებლობას მართლმადიდებლობიდან ყოველგვარი გადახრის მიმართ. დედნისეული ანტიკური სახეების ნაცვლად იგი ურთავს სასწაულებს, საკუთარი განწყობილებების გადმომცემ პასაჟებს.

ტექსტისადმი თავისუფალი მიდგომის იშვიათი ნიმუშია გრიგოლ ღვთისმეტყველის XLIII ჰომილიის ეფთვიმესეული თარგმანი. ც. ქურციკიძის დაკვირვებით (51,42-63), ეფთვიმემ ეპიტაფია გადააკეთა ჰაგიოგრაფიული ჟანრის ნაწარმოებად.

რაც შეეხება მაქსიმე აღმასრებლის „პიროსთან სიტყვსგების“ ეფთვიმე ათონელის თარგმანს, „ქართველთა განმანათლებელი“ აქაც მიზნად ისახავს ღვთისმეტყველებასა და ფილოსოფიაში გაუცნობიერებელი ერის განათლებას. აქაც ხშირია მართლმადიდებლური მრწამსის გამომხატველი წინადადებები, ენა სადაა, გასაგები, ტექსტი საგრძნობლად გამარტივებულია. როგორც შენიშნულია (61,82-101), ტექსტი გაცხრილულია რთული და ზოგადი თეოლოგიურ-ფილოსოფიური ხასიათის მსჯელობებისაგან, ისტორიული ხასიათის თხრობისაგან. დატოვებულია მხოლოდ მონოთელიტობა-დიოთელიტობის საკითხთან დაკავშირებული მსჯელობა.

ეფთვიმეს მოღვაწეობის კვალი ატყვია ქართულ ოთხთავსაც. ათონელმა მოღვაწემ შექმნა ამ ძეგლის ახალი რედაქცია. როგორც ძეგლის მკვლევარი ი.იმნაიშვილი აღნიშნავს (48), ეფთვიმეს თარგმანები ზუსტად არ მიჰყვებოდა ბერძნულ ვერსიას, ენა მოძველებული იყო. ამიტომაც ეფთვიმეს ქართულ თარგმანში შემდეგი ცვლილებები შეუტანია:

1. ლექსიკისა და გრამატიკული ფორმების განახლება;
2. თარგმანის მაქსიმალური სიზუსტე და სიახლოვე ბერძნულთან;
3. უცხოური ენის კონსტრუქციების გაქართულება.

ეფთვიმე მთაწმიდელის მიერ თარგმნილი თხზულებების, მის მიერ შედგენილი კრებულების, სპეციალური დანიშნულების მქონე ნაწარმოებების რაობისა და შედგენილობის ასეთი ზოგადი ფონის წარმოსახვა საჭიროდ მივიჩნიეთ „წინამძღურის“ რაობისა და მნიშვნელობის წარმოსაჩენად.

ჩვენს მიერ ეფთვიმეს მთარგმნელობითი საქმიანობის უძირითადესი მომენტების მოხაზვა მიზნად ისახავს ნათლად დაგვანახოს, თუ რამდენად ჯდება „წინამძღუარი“ ეფთვიმეს თარგმანთა სტერეოტიპებში. რამდენად შეესაბამება იგი ეფთვიმეს მთარგმნელობითი საქმიანობისათვის დამახასიათებელ პრინციპებს, რა არის „წინამძღუარი“, რა მიზნებით არის იგი შედგენილი?

წინამდებარე წიგნი წარმოადგენს ამ კითხვებზე პასუხის გაცემის ცდას.

# თავი II

## „წინამძღურის“ კვლევის ისტორია

„წინამძღუარი“ ძველი ქართული მწერლობის ცნობილი ძეგლია. თხზულებამ სრულიად გასაგები მიზეზების გამო თავიდანვე მიიპყრო მეცნიერ-მკვლევართა ყურადღება. უპირველესი საკითხი, რომელიც დაინტერესებას იწვევს, მდგომარეობს იმაში, რომ ნაწარმოები ორი სახელწოდებით არის ცნობილი ხელნაწერთა ტრადიციაში: ერთია „წინამძღუარი“, მეორე „სარწმუნოებისათჳს“. რამ განაპირობა ორი სათაურის არსებობა? თვითონ ნაწარმოების ტექსტმა.

საქმე ისაა, რომ თხზულებას უძღვის მოკლე წინასიტყვაობა, რომელიც დასათაურებულია შემდეგნაირად: „წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანე მონაზონისა და ხუცისა დამასკელისაჲ თქუმული მართლისა სარწმუნოებისათჳს სიტყჳსგებაჲ უთავოთა მიმართ მწვალებელთა, რომელნი ორთა მათ ბუნებათა ქრისტესთა უვარ-ყოფენ“. წინასიტყვაობის შემდეგ, უშუალოდ ტექსტის წინ, მეორე სახელწოდებაა: „დაწყებაჲ წიგნისაჲ ამის, რომელსა ეწოდების „წინამძღუარი“.

ამრიგად, ერთგან თხზულებას ჰქვია „მართლისა სარწმუნოებისათჳს“ და მის ავტორად გამოცხადებულია იოანე დამასკელი. იქვე ხაზგასმულია, რომ ეს არის სიტყვისგება, ანუ პოლემიკა მწვალებელთა მიმართ, რომელნიც ქრისტეს ორ ბუნებას უარყოფენ, მეორეგან კი წიგნის სახელწოდებად გამოცხადებულია „წინამძღუარი“.

ნაწარმოების ეს ორი სახელწოდება უცვლელად მეორდება ყველა ნუსხაში. სურათი სავსებით იდენტურია ყველგან. სახელწოდების დაზუსტების თვალსაზრისით სრული გარკვეულობა შეიძლებოდა გვქონოდა, თხზულების შემცველი ერთი ძველი ხელნაწერი მაინც რომ შემოგვრჩენოდა. მაგრამ, როგორც ცნობილია, „წინამძღურის“ შემცველი ხელნაწერები ყველა გვიანდელია, კერძოდ, XVIII საუკუნეს განეკუთვნება. ერთადერთია Jer.151, რომელსაც რ. ბლეიკი XI საუკუნით ათარიღებს, მაგრამ ხელნაწერში „წინამძღურის“ მხოლოდ ბოლო ორი თავია შემორჩენილი და ამდენად, სახელწოდების დაზუსტების მხრივ მას არაფერი შეუძლია შეგვმატოს. ასევე ძველი დედანიდან გადაწერილად იხსენიება A853 ნუსხა (1728 წელს მროველი ეპისკოპოსის, ნიკოლოზის,

ბრძანებით გადაწერილი). მინაწერის ცნობით, მისი დედანი „დიაღ, ძველი წიგნი იყოო", მაგრამ იმის გამო, რომ ხელნაწერი თავნაკლულია, ვერც ის გამოდგება სათაურის დასაზუსტებლად. ასეთ ვითარებაში, როცა თვით ნაწარმოების შემცველ გვიანდელ ხელნაწერებში აბსოლუტურად ერთი და იგივე სურათია, კერძოდ, ყველგან ორი სახელწოდება დასტურდება, საყურადღებოა, არსებობს თუ არა რაიმე ადრინდელი წერილობითი ცნობა ეფთვიმეს ამ თხზულების, კერძოდ, მისი სახელწოდების შესახებ? როგორ მოიხსენიება იგი წერილობით წყაროებში?

1. ამ თვალსაზრისით, უპირველესად, საინტერესოა ეფთვიმეს მიერ თარგმნილ წიგნთა ინდექსი, რომელიც მისი მამის, იოანეს, ანდერძისა და გიორგი მთაწმიდელის „ცხორების" მიხედვით არის ჩვენთვის ცნობილი.

ცნობილია, რომ ეფთვიმეს მამის ანდერძმა, რომელიც დაცულია ეფთვიმეს მიერ თარგმნილ მათეს სახარების განმარტებაში, რამდენიმე რედაქციით მოაღწია ჩვენამდე. ყველა მათგანში სხვადასხვა სურათია თარგმნილ წიგნთა რაოდენობის და მათი დასახელების მხრივ. ასეა თუ ისე, დადგენილია ამ ანდერძის შემცველ ნუსხათა ქრონოლოგიური მიმდევრობა: რომელია ყველაზე ძველი, რომელია მათში უფრო გვიანდელი. ანდერძის შემცველი ნუსხების მიმართ ჩვენი ინტერესი განპირობებულია იმით, რომ ინდექსში ეფთვიმეს ეს ნაწარმოები არ იხსენიება არც „წინამძღურის", არც „მართლისა სარწმუნოებისათჳს" სახელწოდებით, თუმცა თ.ჟორდანია სახელწოდება „წინამძღუარს" თითქოს ადასტურებს ერთ ხელნაწერში. თ.ჟორდანია ერთი, მის მიერ 1037-42 წლებით დათარიღებული, ნუსხის შესავსებად იყენებს სხვა, უფრო ძველ ხელნაწერს, რომელიც, მისი სიტყვებით, გიორგი ავალიშვილს გამოუტანია იერუსალიმიდან და ტარასი არქიმანდრიტს აღუწერია.

მკვლევარი არ ასახელებს იმ ძველ ნუსხას, მაგრამ ჩვენთვის საინტერესო ისაა, რომ ტარასი არქიმანდრიტის ნუსხაში ჩვენი თხზულება „წინამძღურის" სახელით ყოფილა მოხსენიებული (40,141-142).

თ.ჟორდანიას მიერ აღწერილი ტარასი არქიმანდრიტისეული ნუსხა ჩვენთვის უცნობია. სამაგიეროდ, ჩვენთვის ცნობილ ნუსხებში იოანეს ინდექსში დასტურდება ისეთი დასახელებანი, რომლებშიც შეიძლება სწორედ ჩვენი ნაწარმოები იგულისხმებოდეს.

იოანეს ანდერძის შემცველ ნუსხათაგან ყველაზე ადრინდელად ითვლება Ath.10, რომელიც რამდენჯერმე არის გამოქვეყნებული (67,87–88; 69,51–56; 18,65–66).

ალ. ცაგარელი და ი.ლოლაშვილი Ath.10-ს ეფთვიმეს ავტოგრაფად მიიჩნევენ. ეს მოსაზრება ეფუძნება ხელნაწერში დაცულ ეფთვიმეს ანდერძს: „აღესრულა თარგმანებაჲ ესე ნუსხად მათეს თავისაჲ სრულიად კელითა გლახაკისა ეფთიმესითა მთასა წმიდასა ათონას" (18,59).

სხვა აზრისაა ამ ხელნაწერზე ე.მეტრეველი. მისი აზრით, Ath.10 არის ნაწილი ერთი ხელნაწერისა, რომელიც სამ წიგნად ანუ სამ ნაწილად არის გადაწერილი. ეს სამი ხელნაწერია Ath.13, Ath.4 და Ath.10. სამივე ხელნაწერი წარმოდგენილი თანმიმდევრობით ერთმანეთს აგრძელებს. ეს სამწიგნეული წარმოადგენს 1008 წლის ნუსხას მათეს თავის თარგმანების ეფთვიმეს ავტოგრაფული ხელნაწერისა, რომელიც თავიდანვე სამ წიგნად ყოფილა დაწერილი. ე. მეტრეველი თვლის, რომ 1008 წლის ნუსხამ შემოგვინახა არა მარტო ეფთვიმეს ავტოგრაფის ზუსტი პირი, არამედ იოანეს და ეფთვიმეს ყველა ანდერძ-მინაწერი (28,9).

გამორიცხული არაა, რომ ეს ანდერძი Ath.10-ში გადამწერის მიერ იყოს გადმოტანილი იმ დედნიდან, შესაძლოა, ეფთვიმეს ავტოგრაფიდან, რომლითაც მან ისარგებლა. ეს სრულიად დასაშვებია, რადგან იმავე ანდერძში ეფთვიმე გადამწერებს სთხოვს, დაუკლებლად გადაწერონ მისი ანდერძიც: „ესე ანდერძი დაუკლებლად თანა დაწერეთ, ვინ არა დაწეროს, დიდსა ბრალსა თანამდებ არს“ (18,65-66).

ასეა თუ ისე, ყველა მკვლევარი ერთსულოვნად აღიარებს, რომ ყველაზე სანდო Ath.10 ხელნაწერია.

Ath.10 ნუსხაში წარმოდგენილ ინდექსში „წინამძღუარი“ არ იხსენიება. სამაგიეროდ, ეფთვიმეს ამ ნაწარმოებთან იდენტიფიკაციის თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს ორი დასახელება:

1. თავი 18: „თქუმული წმიდისა იოვანე დამასკელისაჲ ორისა ბუნებისათჳს ქრისტესისა“.

2. თავი 25: „სწავლანი წმიდისა მამისა ეფრემისნი თავი – „სარწმუნოებისათჳს“;

ჩნდება კითხვა: რა ნაწარმოები იგულისხმება მე-18 თავად გატანილ დასახელებაში? ავტორი იოანე დამასკელია, სახელწოდებაა „ორისა ბუნებისათჳს ქრისტესისა“.

იოანე დამასკელის ავტორად მოხსენიება და „ორისა ბუნებისათჳს“ დასახელება გვაფიქრებინებს: იოვანეს ანდერძში ამ სახელწოდების ქვეშ ხომ არ იგულისხმება ეფთვიმეს „წინამძღუარი“, ვინაიდან, როგორც ვიცით, ნაწარმოებს წინასიტყვაობის მიხედვით, დაახლოებით ასეთი სახელწოდება აქვს.

შევადაროთ იოანეს ანდერძის მე-18 თავის სახელწოდებას „წინამძღურის“ წინასიტყვაობის სახელწოდება:

„წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანე მონაზონისა და ხუცისა დამასკელისაჲ თქუმული მართლისა სარწმუნეობისათჳს სიტყჳსგებაჲ უთავოთა მიმართ მწვალებელთა, რომელნი ორთა მათ ბუნებათა ქრისტესთა უვარჰყოფენ“. როგორც ვხედავთ, მსგავსება დიდია: ავტორი ერთია, თემატიკაც ერთია. უბრალოდ ნაწარმოების სრული სახელწოდება „იოანეს ინდექსში“ შემოკლებულად არის მოტანილი.

რაც შეეხება იოანეს ანდერძში 25-ე თავად მოხსენიებულ თხზულებას „სარწმუნოებისათჳს“, სრულიად დასაშვებია, რომ აქ „წინამძღუარი“ იგულისხმებოდეს. „წინამძღურის“ იდენტიფიკაციას იოანეს ანდერძში 25-ე ნომრად "სარწმუნოებისათჳს" სათაურით დასახელებულ თხზულებასთან მხარს უჭერს ის ფაქტი, რომ „წინამძღუარი“ ხელნაწერთა ტრადიციაში ატარებს მეორე სახელწოდებასაც, ანუ იგი წოდებულია როგორც „სარწმუნოებისათჳს“. ინდექსში 25-ე თავად დასახელებული სახელწოდების შესახებ კ. კეკელიძის მოსაზრებასთან დაკავშირებით ცოტა ქვემოთ. თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ იოანეს მხედველობაში ჰქონოდა ეფთვიმეს მიერ თარგმნილი მიქაელ სჳნკელოსის „მართლისა სარწმუნოებისა წარმოთქუმაჲ“.

2. ეფთვიმეს მამის, იოანეს, ანდერძ-ინდექსის შემდეგ ყველაზე ადრინდელ ცნობას ეფთვიმეს „წინამძღურის“ შესახებ გვაწვდის ეფრემ მცირე. იგი ნაწარმოების მეცნიერულ შესწავლამდე ბევრად ადრე დაინტერესდა „წინამძღურის“ რაობით.

ეფრემ მცირე მისთვის ჩვეული კრიტიკულ-ლიტერატურული ალღოთი მსჯელობს „წინამძღურის“ შესახებ მის მიერ თარგმნილი იოანე დამასკელის „წყაროჲ ცოდნისაჲს“ წინასიტყვაობაში (11,66-70). აღნიშნული წინასიტყვაობა, ეფრემის სხვა ორიგინალური წინასიტყვაობის მსგავსად, შეიცავს საყურადღებო თეორიულ-ლიტერატურულ შეხედულებებს ქართული მწერლობისთვის მნიშვნელოვან მთელ რიგ საკითხებზე, მათ შორის „წინამძღურის“ რაობასა და მომდინარეობაზე.

უპირველეს ყოვლისა, საყურადღებოა ეფრემ მცირის გამონათქვამი ეფთვიმეს თხზულების სახელწოდებასთან დაკავშირებით. ეფრემი ჩვენს ნაწარმოებს უწოდებს „წინამძღუარს“, იგი წერს: „ვითარ-იგი ზედა-წარწერილსა ამისსა შინა ითქუმის, „გარდაცემა“ უწოდეთ წიგნსა ამას, რომელი-იგი ბერძულსა შინა ესრეთვე წარწერილ არს და „წინამძღუარ“ მასვე წმიდისა მამისა ეფთჳმეს თარგმნილსა სახელ-ედებოდენ“ (11,68).

ეფრემ მცირე თვითნებურად ვერ დაარქმევდა ეფთვიმეს თარგმანს „წინამძღუარს“, თვით ტექსტში რომ არ ყოფილიყო ეს სახელწოდება. იგი თავის თავს ვერ მისცემდა უფლებას, რომ ისეთი ავტორიტეტის, როგორიც ეფთვიმე მთაწმიდელი იყო, თარგმანისათვის სახელწოდება გადაერქმია. ეფრემ მცირის დამოკიდებულება ეფთვიმესადმი სრულიად გამორიცხავს ამას.

გამორიცხულია ის ვარაუდი, თითქოს ეფრემს შეეძლო ეს სახელი ეწოდებინა ეფთვიმეს თარგმანისათვის ანასტასი სინელის „წინამძღურის“ ანალოგიით იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ეფრემს არ სცოდნია ეფთვიმეს მიერ ანასტასი სინელის თხზულების გამოყენების ფაქტი. ეფრემი აღნიშნავს ეფთვიმეს მიერ დამასკელის „გარდამოცემის“ გამოყენების შესახებ და სიტყვას არ ძრავს ანასტასი სინელის თხზულებასთან მის კავშირზე.

ეჭვს გარეშეა, რომ ეფრემ მცირე, თხზულებას იცნობს სახელწოდებით „წინამძღუარი“. იგი მკვეთრად განასხვავებს მას ანასტასი სინელის „წინამძღურისაგან“. ეფრემის მხრივ ერთგვარი გაოცებაც კი არის გამოთქმული, რომ ეფთვიმეს შრომას ასეთი სათაური აქვს. იგი წერს: „წინამძღუარი“ სახელად წმიდისა ანასტასი სინელისა თქუმულთათჳს მინახავს ბერძულსა შინა, ხოლო ამის წიგნისათჳს – არასადა, თჳნიერ ქართულისა“ (11,68). ამ სიტყვებიდან აშკარად ვლინდება, რომ ეფრემ მცირე ეფთვიმეს მიერ თარგმნილ ტექსტს აღიქვამს როგორც იოანე დამასკელის „გარდამოცემის“ თარგმანს. „ამის წიგნისათჳს“ გულისხმობს სწორედ „გარდამოცემას“ და მის ბუნებრივ გაკვირვებას იწვევს სახელწოდება „წინამძღუარი“, რადგან ასეთი სათაური ბერძნულში აქვს მხოლოდ ანასტასი სინელის თხზულებას.

სახელწოდებასთან დაკავშირებით ასევე საყურადღებოა ეფრემ მცირის ის აზრიც, რომ იგი ეფთვიმეს შრომას „მოკლე წინამძღუარს“ უწოდებს. ცხადია, რომ ეფრემის ეს დეფინიცია განპირობებულია ეფთვიმეს შრომის შედგენილობით. ეფრემი წერს:

„რომელსა... მოკლე „წინამძღუარი“ უნდეს, წმიდისა მამისა ეფთჳმეს მიერ თარგმანებული, იგი შეიტკბოს“ (71,67). რატომ „მოკლე წინამძღუარი?“ ეფრემ მცირე ზუსტად განსაზღვრავს ნაწარმოების სახელწოდებას, რადგან მან მშვენივრად იცის, რომ ეფთვიმეს მიერ შექმნილი ნაწარმოები ბერძნულ დედანთან შედარებით სახეცვლილია. ეფრემის ცნობილი განსაზღვრით, ეფთვიმეს „მადლითა სულისა წმიდისაჲთა კელ-ეწიფებოდა შემატებაჲცა და დაკლებაჲცა“ და ცხადია, ბიზანტიური მწერლობის ბრწყინვალე მცოდნე ეფრემ მცირემ პირველმა შენიშნა, რომ „წინამძღუარი“ მოკლე რედაქციაა ბერძნული დედნისა. ამ ფაქტის შენიშვნა მას მითუმეტეს არ გაუჭირდებოდა, რადგან თვითონ თარგმნა „წინამძღურის“ უმთავრესი წყარო, დამასკელის „გარდამოცემა“ და ადვილად შეამჩნევდა, რომ „წინამძღუარი“ ძალზე მოკლე ვარიანტია „გარდამოცემისა“. ამის გამო სთხოვს ეფრემი მკითხველთ, რომ მის თარგმანს ეფთვიმეს თარგმანში ნუ აურევენ: „უკუეთუ ახალი ესე სწადდეს გარდაწერად, მას ამას თანა ნუ გაჰრევს, ნურცა ამას – მას თანა“.

მეტი დამაჯერებლობისათვის, ე. ი. „გარდამოცემის“ მისეული თარგმანისა და ეფთვიმეს თარგმანის გასამიჯნავად, ეფრემ მცირე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ისინი, შედგენილობის გარდა, სახელწოდებითაც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ეფრემი თავის თარგმანს, ბერძნული ორიგინალის ანალოგიით, „გარდამოცემას“ უწოდებს, ხოლო ეფთვიმეს თარგმანს „წინამძღუარი“ უნდა ერქვასო.

ეფთვიმე მთაწმიდელის „წინამძღურის“ იოანე დამასკელის „გარდამოცემიდან“ მომდინარეობის აღიარებასთან ერთად ეფრემ მცირის მახვილ ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიურ ალღოს შეუმჩნეველი არ დარჩენია, რომ „წინამძღუარი“ გამოკრებილი ნაწარმოებია: „ამისგანვე გამოკრებილ არს“. ამასთან დაკავშირებით, ეფრემის წინაშე თავს იჩენს კიდევ ერთი კითხვა: „ხოლო ესე არა უწყი, თუ თჳთ მამასა ეფთჳმის გამოუკრებია, ანუ ბერძულად ესრეთ უპოვნია, რამეთუ

სხუანი წიგნნი გამოკრებულნი ბერძულად ეგრეთვე გამოკრებულნი არიან“ (11,69).

ცხადია, ეფრემის მხრივ საძიებელია, რა მომდინარეობისაა გამოკრებილი „წინამძღუარი“. იგი ეფთვიმეს ორიგინალური საქმიანობის პროდუქტია, ე.ი. მას გამოუკრებია „გარდამოცემის“ ადგილები, თუ ბერძნულშივე არსებობდა ანალოგიური ხასიათის დედანი, ე.ი. არსებობდა „გარდამოცემის“ გამოკრებილ-შემოკლებული ტექსტი, რომელიც შემდეგ თარგმნა ეფთვიმემ. ეფრემ მცირისათვის ეს საკითხი გაურკვეველი დარჩენილა, მაგრამ,როგორც შემდგომ ვნახავთ „წინამძღურის“ შედგენილობის მეცნიერულმა შესწავლამ ნათელ-ყო, რომ იგი სხვადასხვა წყაროდან გამოუკრებია თვით ეფთვიმე მთაწმიდელს.

რომელიმე ნაწარმოების რედაქციების პარალელური არსებობა, ე. ი. ვრცელი ტექსტისა და მისგან გამოკრებილი მოკლე ტექსტისა, ჩვეულებრივი იყო როგორც ბიზანტიური მწერლობის ტრადიციაში, ისე ქართულ მწერლობაშიც. შორს რომ არ წავიდეთ, გავიხსენოთ „მცირე სჯულისკანონი“ და „დიდი სჯულისკანონი“, „მცირე სვინაქსარი“ და „დიდი სვინაქსარი“.

ჩვენს შემთხვევაში ასეთსავე ვითარებასთან გვაქვს საქმე: არსებობს „წინამძღუარი“ და „გარდამოცემა“ (ეფრემ მცირისა და არსენ იყალთოელის თარგმანები).

3. ეფრემ მცირის მიერ „წინამძღურის“ რაობისა და შეფასების შემდეგ, მომდევნო საუკუნეებში ამ თხზულების მიმართ ცხოველი ინტერესი და ყურადღება არ შენელებულა. ამაზე უტყუარად მეტყველებს ის ფაქტი, რომ ნაწარმოები მრავალგზის გადაუწერიათ. სრულიად უეჭველია, რომ არსებობდა ძველი ხელნაწერები. ერთ-ერთი მათგანი გადაუწერია XII ს.-ის ცნობილ მოღვაწეს, ეფთვიმე გრძელს. ამ ნუსხის არსებობას ადასტურებს მისი ანდერძი, რომელიც უცვლელად გადაუტანიათ თავიანთ ნუსხებში გვიანი ხანის გადამწერებს. ხელნაწერთა უმრავლესობა XVIII საუკუნეს განეკუთვნება. ხელნაწერთა სიმრავლე ბუნებრივად მეტყველებს ეფთვიმეს ნაწარმოების პოპულარობაზე, XVIII ს.-ის ქართული საღვთისმეტყველო აზროვნებისათვის „წინამძღურის“ უდიდეს მნიშვნელობაზე. ამაზე მეტყველებს თუნდაც მარტო ერთი, 853 ხელნაწერზე მროველი ეპისკოპოსის, ნიკოლოზის, მინაწერი. მას გადაუწერინებია „წინამძღუარი“ უძველესი, დაგლეჯილი ხელნაწერიდან. იგი წუხს, რომ თხზულება არასრულია. სამშობლოდან დევნილი ეპისკოპოსი ივედრება: „რომელსაც ღმერთმან ქართლის თათრისგან გამოხსნა გაღირსოს, ამის გათავებას ეცადენითო“ (84,137). როგორც ჩანს, ეფთვიმეს „წინამძღუარმა“ ქართულ საზოგადოებას ნამდვილად დაანახა მისი შემდგენლის რელიგიურ-იდეოლოგიური მიზანდასახულობა: ყოფილიყო „მართალი სარწმუნოებისა“ და ღვთისმეტყველების სახელმძღვანელო.

4. სრულიად ბუნებრივია, რომ ქართული ლიტერატურულ-კულტურული ცხოვრებისთვის ესოდენ ღირებული და პოპულარული ნაწარმოები ფართოდ

მოექცა ქართული მწერლობის მკვლევარ-მეცნიერთა და მწერალთა ინტერესების სფეროში.

საკითხები, რომლებიც მათი კვლევა-ძიებისა და საგანგებო შესწავლის ობიექტი გახდა, ძირითადად უკავშირდება ავტორის ვინაობის დადგენასა და თხზულების წყაროების გარკვევას.

განსაკუთრებით საყურადღებოა მკვლევართა შეხედულებანი ავტორობასთან დაკავშირებით.

1892 წ. თედო ჟორდანიამ პირველად გამოთქვა აზრი, რომ „მოკლე წინამძღუარი" თარგმნილი უნდა იყოს ეფთვიმე გრძელის მიერ (40,334).

თ. ჟორდანიას შეხედულებას, რომ „წინამძღურის" შემდგენელი ეფთვიმე გრძელია, საფუძვლად დაედო ის ფაქტი, რომ მას ხელთ ჩავარდნია ერთ-ერთი ნუსხა, S1147, ეფთვიმე გრძელის ანდერძით: „...რომელნი აღმოიკითხვიდეთ წმიდასა ამას და სულთა განმანათლებელსა წიგნსა, ლოცუა ჰყავთ ევფთიმი გრძელისათჳს, რომელმან ფრიადითა მოსწრაფებითა და მოღუაწებითა დავწერე სამოძღურებელად ჩუენთა და თქუენთათჳს" (98,266).

მკვლევარი ასკვნის, რომ „მოკლე წინამძღურის" მთარგმნელი ეფთვიმე გრძელია. მკვლევარს ეს უტყუარად მიაჩნია, მით უმეტეს, რომ ეფთვიმე ათონელის შრომათა სიაში გიორგი მთაწმიდელს არც მოუხსენებია ეს თხზულება (13,100).

როცა ამას შენიშნავს, თ. ჟორდანია წინააღმდეგობაში ვარდება მის მიერვე სხვა ადგილას გამოთქმულ მოსაზრებასთან. კერძოდ, მისივე სიტყვებით, მათეს სახარების იოანე ოქროპირისეული განმარტების შემცველ ერთ იერუსალიმურ ხელნაწერში, რომელსაც იგი 1033-1042 წლებით ათარიღებს, ყოფილა იოანეს ანდერძი, რომელშიც „წინამძღუარი" მე-20 ნომრად დასტურდება (40,141).

1920 წელს „წინამძღურის" შესახებ იგივე აზრი გაიმეორა სერგი გორგაძემ (13,90).

ს. გორგაძე წერს, რომ დამასკელის მთავარი თხზულებიდან (Πήγη γνώσεως) ქართველებს მხოლოდ ზოგიერთი ადგილი ამოუღიათ, ისიც შემოკლებით და მოუთავსებიათ ერთ პატარა სახელდახელოდ სახმარებელ წიგნში. მისი აზრით, „წინამძღუარი" ანუ „მოკლე წინამძღუარი" წარმოადგენს იოანე დამასკელის თითქმის ყველა დოგმატიკურ-პოლემიკური თხზულების კომპენდიუმს.

თ. ჟორდანიას და ს. გორგაძის აზრი, რომ „წინამძღურის" მთარგმნელი ეფთვიმე გრძელია, არ გაიზიარა კ. კეკელიძემ.

კ. კეკელიძე ეფრემ მცირის ანდერძის ანალიზის შედეგად ასკვნის: 1) ქართულ ენაზე ეფრემის დროს არსებობდა თხზულება, რომელსაც ანასტასი სინელის „წინამძღურისგან" გასარჩევად ეწოდებოდა „მოკლე წინამძღუარი". 2) ეს თხზულება იყო გამოკრებილი იოანე დამასკელის „გარდამოცემიდან" და ქართულად თარგმნილი წმიდისა მამისა ეფთვიმეს მიერ: ამ თხზულებას ორი სათაური ჰქონდა: „სარწმუნოებისათჳს" და „წინამძღუარი". კ. კეკელიძე აღნიშნავს, რომ ეფრემ მცირე ისეთი ეპითეტებით ლაპარაკობს წმიდა მამა

ეფთვიმეზე, რომ შეუძლებელია იქ სხვა ეფთვიმე ვიგულისხმოთ, გარდა ათონელისაო: შეუძლებელია სხვაზე თქმულიყო სიტყვები „მადლითა სულისა წმიდისაჲთა ყელ-ეწიფებოდა შემატებაჲცა და დაკლებაჲცა“. მკვლევარი იმოწმებს გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა თარგმანებზე ეფრემის მიერ წამძღვარებულ წინასიტყვაობას, რომელშიც იგივე აზრი, მსგავსი სიტყვებით გამოთქმულია ეფთვიმე ათონელის შესახებ (13,100-104).

ეფთვიმეს თარგმანების ინდექსში „წინამძღურის“ თითქოს მოუხსენებლობასთან დაკავშირებით კ.კეკელიძე გამოთქვამს აზრს, რომ გიორგი მთაწმიდელის მიერ „წინამძღურის“ მოუხსენებლობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ეფთვიმეს აღნიშნული თხზულება მის დროს არ არსებობდა. როგორც გიორგი მთაწმიდელი შენიშნავს: ეფთვიმეს ყველა შრომის აღრიცხვა შეუძლებელ არს, ამიტომ მათგან რამდენიმეს მოვიხსენებო (54,62). მიუხედავად ამისა, მკვლევარი თვლის, რომ გიორგი მთაწმიდელის ინდექსში არის ერთი დასახელება, რომელიც სწორედ ეფთვიმეს შრომა უნდა იყოსო. გიორგი მთაწმიდელის სიაში კი ვკითხულობთ: „სწავლანი წმიდისა მამისა ეფრემისნი „სარწმუნოებისათჳს“. მკვლევრის მოსაზრებით, აქ ორი სხვადასხვა თხზულება იგულისხმება: 1) სწავლანი ეფრემისნი (ასურისა) და 2) სარწმუნოებისათჳს (დამასკელისა). გადამწერს ეს ორი თხზულება შეცდომით შეუერთებია, მე-2 თხზულების სახელი წითელი მელნით არ დაუწყია. ათონის ხელნაწერში (Ath.67) არსებულ სიაში თხზულება ნაჩვენებია ოცდამეხუთე ნომრად, ეფრემ ასურის „სწავლათაგან“ გამოცალკევებით. იოანე ოქროპირის „მათეს სახარების თარგმანებაზე“ (რომელიც 1033 წლის ახლო ხანებისაა) დართულ იოანეს ანდერძში ეს თხზულება მეოცე ადგილასაა (ჩანს, ეს ნაწარმოები ეფთვიმეს უთარგმნია 998 წლამდე).

რაც შეეხება ავტორობის საკითხს, საპირისპიროდ თ. ჟორდანიას მოსაზრებისა, კ.კეკელიძე გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ „წინამძღურის“ ავტორ-შემდგენელი ეფთვიმე გრძელია. ტექსტის ბოლოს მოთავსებული ანდერძის სიტყვებს: „ლოცვა ყავთ ექვთიმე გრძელისათვის, რომელმან დავწერე ესე“, კ.კეკელიძე ხსნის შემდეგნაირად: „დავწერე“, ყოველთვის არ ნიშნავს გადმოთარგმნას ან შეთხზვას. მას მოჰყავს მიქელ დაღალისონელის მაგალითი, რომელსაც 1074 წელს გადაუწერია ეფთვიმეს ცხოვრება. მიქაელი ამბობს: „დავწერე ცხოვრება მათიო“ (2,175). „დავწერე“ ამ შემთხვევაში გადმომწერს გულისხმობს. არსებობს „წინამძღურის“ ერთ-ერთი ნუსხა, რომელშიც ეფთვიმე გრძელის ნაცვლად წერია მაკარი. აქ საქმე გვაქვს ანდერძის შაბლონთან, სადაც ყველას შეეძლო თავისი სახელი ჩაეწერა.

„გარდამოცემის“ ეფრემისეულ წინასიტყვაობაზე დაყრდნობით, კ. კეკელიძე თვლის, რომ ეფთვიმეს „სარწმუნოებისათჳს“ ან „წინამძღუარი“ არის შემოკლებული რედაქცია დამასკელის „გარდამოცემისა“ (13,202).

კ. კეკელიძეს საყურადღებო აზრი აქვს გამოთქმული „წინამძღურის“ შედგენილობის, მასში გამოყენებული წყაროების შესახებ. მკვლევარი შენიშნავს, რომ ეფთვიმეს თხზულება შემდეგი წყაროებიდან შეუდგენია: „გარდამოცემა“,

„დიალექტიკა“...წვალებათათჳს“, „წმიდა პარალელები“, „რთულისა ბუნებისათჳს“, „სამწმიდაობისა გალობისა“, „წმიდისა სამებისათჳს“ (Христианский Восток, т. II, вып. II). იმავეს იმეორებს იგი მოგვიანებით, ოღონდ დასახელებულ თხზულებათაგან ტოვებს „დიალექტიკას“ (13,202).

ივ. ჯავახიშვილი ნათარგმნ პატრისტიკულ ლიტერატურულ ძეგლებს შორის ასახელებს „წინამძღუარს“. იგი წერს, რომ დამასკელის „გარდამოცემის“ ორი თარგმანი გვაქვს: უძველესი – ეფთვიმე მთაწმიდელის, მოგვიანებით – ეფრემის თარგმნილი. ი.ჯავახიშვილი არ ასახელებს „გარდამოცემის“ მესამე მთარგმნელს, არსენ იყალთოელს. მკვლევარი თვლის, რომ თარგმნილია დამასკელის „წმიდა პარალელებიც“, უთითებს A853 ნუსხას, ჩამოთვლის სტატიებს, რომლებიც თითქოს „წმიდა პარალელებიდანაა“. სინამდვილეში ეს სტატიები ეფთვიმეს მიერ შედგენილი „წინამძღურიდანაა“.

დასახელებულ მკვლევარებთან შედარებით „წინამძღურის“ პრობლემატიკა ყველაზე ვრცლად განიხილა რ. მიმინოშვილმა სტატიაში „ექვთიმე ივერი, ბერძნული რომანის ავტორი“ (29). იგი მსჯელობს ეფთვიმეს წვლილზე ბიზანტიური ლიტერატურის განვითარებაში. მკვლევარს მხედველობაში აქვს ეფთვიმეს მიერ „ბალავარიანის“ ბერძნულად თარგმნა. იგი „ვარლაამ და იოდასაფის“ ლიტერატურულ წყაროდ „წინამძღუარს“ მიიჩნევს. მკვლევარი ასევე მსჯელობს ეფთვიმეს მთარგმნელობითი მეთოდის, ეფთვიმეს თარგმანის მიმართ ეფრემ მცირის დამოკიდებულების შესახებ. მეცნიერის დაკვირვებით, „ექვთიმე ათონელის „წინამძღუარი“ არის იოანე დამასკელის „წყაროჲ ცოდნისაჲს“ ყველაზე ადრინდელი ქართული ვერსია, შესრულებული არაუგვიანეს XI საუკუნის I მეოთხედისა. იგი ამავე დროს ამ თხზულების ერთ-ერთი ყველაზე ძველი ვერსიაა ბულგარეთის ეგზარხოსის, იოანეს, სლავურ თარგმანთან ერთად. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ პირველი ლათინური თარგმანი ამ თხზულებისა მხოლოდ 1144-1153 წლებში შეასრულა პეტრე ლომბარდიმ პაპის, ევგენიუს მესამის, დროს, თითქმის საუკუნენახევრით ადრე შესრულებული ექვთიმეს ვერსია განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. მით უფრო, რომ იგი „გარდამოცემის“ თავისებურ რედაქციას წარმოადგენს“ (29,173). მკვლევარი აღნიშნავს, რომ ეფთვიმეს შრომა ერთგვარი კომპენდიუმია და შეიცავს ნაწყვეტებს, გარდა „გარდამოცემისა, იოანე დამასკელის სხვა თხზულებებიდანაც. იგი ასახელებს შემდეგ თხზულებებს: „წვალებათათჳს“, „წმიდა პარალელებს“, „შეერთებულისა ბუნებისათჳს“. აღნიშნულ წერილში რ. მიმინოშვილი იძლევა ცხრილს, რომელშიც მიუთითებს, თუ „წინამძღურის“ რომელი თავი საიდანაა აღებული.

უფრო დეტალური და დაწვრილებითი შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ მკვლევრის მიერ მოტანილი ცხრილი ზოგიერთ უზუსტობას შეიცავს, რის გამოც საჭიროდ ვცანით მათში ზოგიერთი კორექტივი შეგვეტანა. ჩვენი კორექტივები ეხება შემდეგ თავებს:

I თავი „წინამძღურისა“, როგორც მკვლევარი წერს, „გარდამოცემის“ I თავიდანაა. სინამდვილეში იგი, როგორც თ.ჭყონიამ გამოიკვლია, იწყება ნაწყვეტით ანასტასი სინელის „წინამძღურიდან“.

მე-10 თავის წყაროდ დასახელებულია მე-18 თავი. სინამდვილეში კი ეს თავი შედგენილია მე-18, 44-ე, 45-ე თავების მიხედვით.

მე-14 თავი შედგენილია 50-ე – 53-ე თავებისგან (რ. მიმინოშვილი ასახელებს 51-ე, 52-ე და 55-ე თავებს).

მე-15 თავი „გარდამოცემის“ 54-ე თავისგანაა შედგენილი. ამას გარდა, ამავე თავში შეტანილია ნაწყვეტი დამასკელის თხზულებიდან „საწმიდაობის საგალობელი.“ რ.მიმინოშვილი მე-15 თავის წყაროდ ასახელებს „გარდამოცემის“ 53-ე, 55-ე თავებს.

მე-16 თავი შედგენილია „გარდამოცემის“ 56-ე თავის მიხედვით, მკვლევარი კი უთითებს 87-ე, 55-ე თავებს.

23-ე თავი „წინამძღურისა“ შედგენილია ანასტასი სინელის „წინამძღურის“ 4,5,6,7 თავების მიხედვით. რ.მიმინოშვილი კი წერს: „23-ე თავში ექვთიმეს გამოუყენებია ნაწილი თხზულებისა „წვალებათათჳს“ (29,174). სინამდვილეში კი ეს თხზულება საერთოდ არ გამოუყენებია ეფთვიმეს.

24-ე თავი მკვლევარს „წმიდა პარალელების“ მიხედვით შედგენილად მიაჩნია. ამ თავს კი ეფთვიმე ისევ ანასტასი სინელის „წინამძღურის“ მე-8, მე-9, მე-10 თავების მიხედვით აღგენს. ამავე თავში შეუტანია ათონელ მამას მიქაელ სჳნკელოსის მრწამსი. გარდა ამისა, ამ თავში შედის შეჩვენებანი, რომელთა წყაროებზე მოგვიანებით ვილაპარაკებთ.

ბოლო თავის შესახებ რ. მიმინოშვილი წერს: ეფთვიმეს 25-ე თავში ამოუკრეფია „გარდამოცემიდან,“ განსაკუთრებით 59-ე თავიდან, ანტიმონოფიზიტური ადგილები (იქვე). სინამდვილეში კი ეს თავი წარმოადგენს დამასკელის თხზულების „შეზავებულისა ბუნებისათჳს“ ეფთვიმესეულ თარგმანს (82).

რ. მიმინოშვილი სწავლობს რა „წინამძღუარს“ „გარდამოცემასთან“ მიმართებაში, მსჯელობს იმაზე, თუ რა საკითხებს ტოვებდა ეფთვიმე. მისი სიტყვებით, ათონელ მოძღვარს გამოუტოვებია ძირითადად ის თავები, სადაც ლაპარაკი იყო ღმერთის ბუნების მიუწვდომლობაზე, მის გარეშეუწერელობაზე, მის მიერ შექმნილ უსულო ბუნებაზე, ადამიანის აგებულებაზე, მის ბიოლოგიურ და ფიზიოლოგიურ თვისებებზე, გამოუტოვებია ცნობები იმდროინდელი მეცნიერების დარგებიდან. როცა დამასკელი საკუთარი მოსაზრების დამტკიცებას ცდილობს, მას მოჰყავს თავისი დებულების საწინააღმდეგო შეხედულებანიც. ეფთვიმე ამ სადავო აზრებს ტოვებს და მხოლოდ დამასკელისთვის მისაღებს თარგმნის. „გარდამოცემაში“ არის შემთხვევები, როცა დამასკელი გადაუხვევს ძირითადი პრობლემებიდან და შიგ ჩართავს მოშიჯნავე საკითხებს. „წინამძღურის“ შემდგენელი ამ საკითხების თარგმნას საჭიროდ არ თვლის.

რ. მიმინოშვილისავე შენიშვნით, ეფთვიმე არღვევს ბიბლიური კოსმოგონიის პრინციპს, რომელიც დაცულია „გარდამოცემაში“. იგი არ თარგმნის თავებს,

რომლებშიც უსულო საგნებზეა საუბარი. მკვლევარი ასკვნის, რომ „წინამძღუარი“ არის სპეციალურად მონოფიზიტების საწინააღმდეგოდ შედგენილი დოგმატური თხზულება.

განსაკუთრებული ღვაწლი ეფთვიმეს „წინამძღურის“ კვლევა-ძიებაში მიუძღვის თ. ჭყონიას. მკვლევარს განზრახული ჰქონია „წინამძღურის“ გამოცემა. ამ მიზნით მან გადმოიწერა და ვარიანტებს შეაჯერა „წინამძღუარი“, თუმცა ტექსტი საბოლოოდ დადგენამდე მას არ მიუყვანია. ამავე დროს მან ვრცელი და საყურადღებო ტექსტოლოგიურ-ფილოლოგიური გამოკვლევა უძღვნა „წინამძღუარს“. უპირველეს ყოვლისა, თ. ჭყონიამ გამოიკვლია და დაადგინა ამ თხზულების შემდეგი თავების წყაროები: 1, მე-4, მე-6, მე-7, მე-10, მე-14, მე-17, მე-19, მე-20, 21-ე, 22-ე, 23-ე. სისრულესთან ერთად მისი დაკვირვებანი სიახლესაც შეიცავენ.

წინამორბედ მკვლევართაგან განსხვავებით, თ. ჭყონიამ გამოავლინა ახალი წყარო „წინამძღურისა“. ეს არის ანასტასი სინელის (VII ს.) ცნობილი ნაწარმოები „წინამძღუარი“. მან დამაჯერებლად უჩვენა, რომ ეფთვიმე მთაწმიდელის „წინამძღუარი“ ძირითადად შედგენილია დამასკელის „გარდამოცემისა“ და ანასტასი სინელის „წინამძღურის“ მიხედვით. ამით მკვლევარი პასუხს სცემს ეფრემ მცირის მიერ 800 წლის წინ დასმულ კითხვას, თუ რატომ მისცა ეფთვიმემ ამ თხზულებას სახელწოდება „წინამძღუარი“. თ. ჭყონია წერს, რომ „წინამძღუარი“ ანასტასი სინელის თხზულებიდან ამოღებული ნაწყვეტების რკალშია მოქცეული. ბოლო – 22ე, 23-ე თავებიც ამავე თხზულებიდანაა. 22-ე თავი ისევ „გარდამოცემიდანაა“, 23-ე – ანასტასი სინელის თხზულებიდან. რაც შეეხება 24-ე თავს, იგი ძირითადად სინელის „წინამძღურიდანაა“, ოღონდ როგორც თ. ჭყონია აღნიშნავს, მასში ჩართულია ჩანართებიც: 1) მრწამსი, 2) განმარტება უსისხლო მსხვერპლის შეწირვის შესახებ, 3) ანათემები. პირველ ჩანართთან დაკავშირებით, მკვლევარი წერს: „ჩვენ მას პირობით ვუწოდებთ „მრწამსს“, რადგან იწყება აღიარებით – „გურწამს მამაჲ და ძეჲ და სული წმიდაჲ, სამებაჲ განუყოფელი და შეურწყუმელი“ და ძირითადად მოიცავს იმ საკითხებს, რომლებიც გაშუქებულია „წინამძღურის“ სამ თავში („გარდამოცემის“ ტექსტი). ექვთიმე მთაწმიდელი თვითონვე აღნიშნავს, მაგალითად, სამების საკითხებთან დაკავშირებით, რომ ეს უკვე იყო თქმულიო (60,19). სინამდვილეში, ეს ჩანართი წარმოადგენს მიქაელ სუნკელოსის თხზულების „მართლისა სარწმუნოებისა წარმოთქუმაჲ“-ს ოდნავ შემოკლებულ თარგმანს (ამ თხზულებას მოგვიანებით შევეხებით). თ. ჭყონია საინტერესოდ და ვრცლად მსჯელობს მეორე ჩანართის წარმომავლობაზე და ასკვნის: „წინამძღურის“ წყაროს ამ შემთხვევაში წარმოადგენს მეექვსე მსოფლიო საეკლესიო კრების XXXII კანონის ბერძნული ტექსტი, რომელიც გადამუშავებული სახით გამოუყენებია ქართველ მთარგმნელს. მეექვსე მსოფლიო საეკლესიო კრების XXXII კანონი ორი რედაქციით ყოფილა დაცული უძველეს ქართულ ლიტერატურაში: პირველი, მოკლე რედაქცია, რომელიც თარგმნილია X საუკუნეში, შეხვდება „წინამძღუარს“; მეორე

რედაქცია, XI ს.-ის დამდეგს გადმოთარგმნილი, VI მსოფლიო საეკლესიო კრების კანონებისა და აქტების შემცველ ხელნაწერებს" (60,19).

ასევე ცრცლად მსჯელობს თ. ჭყონია „შეჩვენებათა" წყაროებზე და რამდენიმეს უძებნის დედანს.

მკვლევარი განიხილავს ზოგ ტერმინს, რომელიც ეფთვიმეს გამოუყენებია. იგი ამტკიცებს, რომ შემდგენელს თხზულებაში შეუტანია ორთოდოქსული ქრისტიანობის ძირითადი საკითხები. თხზულების ყურადღების ცენტრში დგას მონოფიზიტობა. იგი საუბრობს იმის შესახებ, თუ რატომ ილაშქრებს ეფთვიმე ყველაზე მძლავრად მონოფიზიტობის წინააღმდეგ. აღნიშნავს, რომ მონოფიზიტობას მხარს უმაგრებდა იაკობიტობა სომხეთიდან. ქართველ-სომეხთა შორის რელიგიური გათიშვა მოხდა 627 წელს. IX საუკუნის ქართველი მწერალი არსენ საფარელი კათალიკოსი წერს ამ რელიგიური განყოფის ისტორიას, ხოლო X საუკუნის სომეხი ისტორიკოსი შეახსენებს თავის თანამემამულეებს, რომ „რელიგიური გათიშვის დროს, VII ს-ში დადგინდა, რომ სომეხ-ქართველთა შორის ყოველგვარი ურთიერთობა უნდა გაწყვეტილიყო, გარდა ვაჭრობისა". თ. ჭყონიას მოჰყავს ნიკიტა სტითატის სიტყვა სომეხთა მიმართ იმის დასამტკიცებლად, თუ რაოდენ ძლიერ იყო ფესვგადგმული მწვალებლობა და როგორ აღშფოთებაში მოჰყავდა მას ორთოდოქსი მორწმუნეები. მკვლევარი აღნიშნავს, რომ ნიკიტა სტითატის მიერ დასახელებულ მწვალებლობათაგან ზოგი საქართველოშიც იყო ფესვგადგმული.

ბელგიელი მკვლევარი მიშელ ვან ესბროკი ეფთვიმე მთაწმიდელისადმი მიძღვნილ წერილში შეეხო „წინამძღუარსაც". მისი ინტერესები ძირითადად მიმართულია იმის დადგენისაკენ, კომპილაციას ახდენს თვითონ ეფთვიმე, თუ იგი მზამზარეული ბერძნული დედნით სარგებლობს (74). მკვლევარი მსჯელობს ეფთვიმეს მიერ თარგმნილ სხვა ნაწარმოებებზეც: „მცირე სჯულისკანონზე", „მაქსიმე აღმსარებლის ცხოვრებაზე", „მცირე სვინაქსარზე", გრიგოლ ნაზიანზელის ჰომილიებზე. იგი ასკვნის, რომ თხზულებათა კომპოზიციას ზოგჯერ თავად ეფთვიმე ქმნიდა. მაგრამ ამ შემთხვევაშიც ეფთვიმე ბიზანტიური მწერლობის სტილის მიმდევარია. ბერძნულში არსებობდა ტრადიცია დამასკელის „გარდამოცემის" გამოკრებისა, მ. ვან ესბროკის მიხედვით, ბიზანტიურ მწერლობაში დამასკელის „გარდამოცემიდან" გამოკრებილი სხვადასხვა შედგენილობის მრავალი ვერსია არსებობს. ეფთვიმეს „წინამძღურის" შედგენილობა ამ ვერსიათა შორის არც ერთს არ ემთხვევა. მკვლევარი გამოჰყოფს ბოლო სამ თავს, რომლებიც სხვა თხზულებებიდან არის შედგენილი. იგი არ გამორიცხავს, რომ კომპოზიცია „წინამძღურისა" შეიძლება თვით ეფთვიმეს ეკუთვნოდეს, მაგრამ ეფთვიმე ბიზანტიურ მწერლობაში დამკვიდრებული ტრადიციისამებრ იქცევა.

ასეთია ეფთვიმე მთაწმიდელის „წინამძღურის" აღიარების, შეცნობისა და შესწავლის ისტორია. ჩვენ შევეცადეთ შეძლებისდაგვარად თავი მოგვეყარა მკვლევართა ცალკეული გამონათქვამებისათვის, შეგვეჯერებინა ურთიერთსაპირისპირო, თუ მსგავსი შეხედულებანი, მეცნიერთა მიერ მიღებული

დასკვნები და შედეგები შეგვემოწმებინა სკრუპულეზური ტექსტობრივი ანალიზით, უზუსტობის შემთხვევაში შეგვეტანა საჭირო კორექტივები, გაგვესწორებინა ზოგი დაშვებული შეცდომა.

ჩვენი გამოკვლევის ცალკეულ თავებში ვეყრდნობით დასახელებულ მკვლევართა მოსაზრებებს და ვითვალისწინებთ მათი კვლევა-ძიებით მიღებულ დასკვნებს.

განსაკუთრებით გვინდა გამოვყოთ თორნიკე ჭყონიას უდიდესი დამსახურება „წინამძღურის“ კვლევის ისტორიაში.

# თავი III

## „წინამძღურის“ შედგენილობა და მისი მიმართება გამოყენებულ წყაროებთან

### 1. „გარდამოცემა“ და ანასტასი სინელის „წინამძღუარი“, როგორც ძირითადი წყაროები

იმ პრობლემათა შორის, რომლებსაც „წინამძღურის“ ტექსტი მკვლევართა წინაშე აყენებს, ერთ-ერთი თხზულების შედგენილობის საკითხია. ეს საკითხი არ არის მხოლოდ ტექსტოლოგიურ-ფილოლოგიური ხასიათისა. საყურადღებოა ის იდეოლოგიურ-მსოფლმხედველობრივი ტენდენციები, რაც განაპირობებს წყაროთა გამოყენების ხასიათს. მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ „წინამძღუარი“ არა მხოლოდ საღვთისმეტყველო მიზანდასახულობის ლიტერატურული ძეგლი, არამედ ეფთვიმეს მოღვაწეობის სხვადასხვა წახნაგების წარმომჩენი ნაწარმოებია.

ეპოქის სააზროვნო მოთხოვნილებებიდან გამომდინარე, ეფთვიმე მთაწმიდელი მიზნად ისახავდა ქართველი ერის ზიარებას საშუალო საუკუნეთა ქრისტიანული ჰუმანიზმის იდეებთან. „წინამძღუარი“, თავისი შედგენილობით, საუკეთესოდ ესადაგება მკითხველის ქრისტიანული ღვთისმეტყველებით განათლებისა და განსწავლის მიზნებს. რასაკვირველია, ნაწარმოების მხოლოდ შედგენილობის მიხედვით მსჯელობა ეფთვიმეს განმანათლებლურ-სამოძღვრო მოღვაწეობაზე სისრულეს იქნება მოკლებული. ამისთვის, უპირველეს ყოვლისა, გასათვალისწინებელია ის მთარგმნელობით-ლიტერატურული მეთოდი, რითაც ხელმძღვანელობდა ეფთვიმე. შედგენილობა, მასალის შერჩევა, დალაგება და გაერთიანება უდავოდ გვიჩვენებს შემდგენლის საერთო მიზანდასახულობას, გამოხატავს მის ლიტერატურულ-მსოფლმხედველობრივ მრწამსს. აქედან გამომდინარე, „წინამძღუარი“ იმდენად ინდივიდუალური და თავისებურია, რომ იგი შეიძლება ჩაითვალოს არა უბრალოდ თარგმნილ თხზულებად, არამედ ეფთვიმეს ორიგინალურ ნაწარმოებად, რომელსაც ანალოგი არ ეძებნება ბერძნულ მწერლობაში.

ყოველ შემთხვევაში, ეფრემ მცირის ის ეჭვი, რომელიც მან გამოთქვა „წინამძღურის“ მიმართ: „ესე არა უწყი, თუ თჳთ მამასა ეფთვიმეს გამოუკრებია, ანუ ბერძულად ესრეთ უპოვნია“ (11,69) – დღესაც ძალაში რჩება.

ძალიან საეჭვოა „წინამძღურის“ ანალოგის არსებობა ბიზანტიურ მწერლობაში, თორემ იგი უთუოდ ეცოდინებოდა ეფთვიმე მთაწმიდელის ლიტერატურული მოღვაწეობის უბადლო მცოდნეს, ეფრემ მცირეს, რომელიც, როგორც ცნობილია, საგულდაგულოდ ეძებდა და არჩევდა ბერძნულ ხელნაწერებს და მთელ რიგ მოსამზადებელ სამუშაოებს ატარებდა საუკეთესო დედნის მოპოვების მიზნით (13,234-235; 7,148).

ცნობილია, რომ ეფთვიმე მთაწმიდელი რომელიმე ბერძნული თხზულების თარგმნისას შესაძლებლობას არ უშვებდა, რომ ამ თხზულების ტექსტი სხვა წყაროებით არ შეევსო. სათარგმნ ტექსტში იგი სხვა წყაროებიდან ჩართავს ცალკეულ ციტატებს, ფრაგმენტებს, დიდ მონაკვეთებსაც (13,168; 4,068-072; 29,173).

მეორე გზა, რომელსაც მიმართავდა ეფთვიმე, უფრო შემოქმედებითი იყო. იგი საკუთარ აზრებსა და შეხედულებებს ჩართავდა ორიგინალის ტექსტში. ამ ჩანართებსაც ტექსტის გავრცობის ხასიათი ჰქონდა, რადგან არ ირღვეოდა ორიგინალის სტრუქტურული პირველსახე (22,85; 44,85).

ამათგან განსხვავებით, ეფთვიმე მთაწმიდელის „წინამძღუარი“ სხვა პრინციპებით შედგენილი თხზულებაა. როგორც შემდგომ დავინახავთ, „წინამძღუარი“ ერთი რომელიმე ბერძნული ნაწარმოების თარგმანი კი არაა, არამედ შედგენილია რამდენიმე ბერძნული წყაროს საფუძველზე. ისინი ერთიმეორეს ავსებენ. ნაწარმოების მთლიან კომპოზიციაში ერთი წყარო აგრძელებს მეორეს.

ასე რომ, „წინამძღურის“ სახით რამდენიმე წყაროს საფუძველზე შედგენილი, სტრუქტურულად შეკრული ნაწარმოები გვაქვს, რომლის თითოეულ ნაწილს, ნაწარმოების საერთო მსოფლმხედველობრივ-იდეოლოგიური მიზანდასახულობიდან გამომდინარე, თავისი კონკრეტულ-შინაარსობრივი დატვირთვა აქვს.

ეფთვიმე მთაწმიდელის „წინამძღურის“ ბერძნულ წყაროებთან მიმართების თვალსაზრისით ეფთვიმეს ტექსტი ჩვენ შევუდარეთ ყველა იმ ნაწარმოებს, რომელიც მკვლევართა მიერ დასახელებული იყო, როგორც „წინამძღურის“ წყაროები. ჩვენი კვლევა ძირითადად ეყრდნობოდა იმ მოსაზრებებს, რაც თ. ჭყონიას გამოკვლევაშია გამოთქმული. უნდა ითქვას, რომ მკვლევრის დასკვნები უმთავრესად ზუსტია და ამომწურავი, რამაც ბევრად გაგვიადვილა ტექსტის სავარაუდო წყაროებთან შედარების პროცესი. ამ შედარებამ შესაძლებლობა მოგვცა რამდენადმე დაგვეზუსტებინა ის ცნობები, რაც არსებობდა „წინამძღურის“ ბერძნულ წყაროთა შესახებ და ამდენად ზოგი კორექტივი შეგვეტანა „წინამძღურის“ შედგენილობის შესახებ არსებულ შეხედულებებში. ჩვენს მიერ გამოვლენილ იქნა ზოგი დამატებითი წყარო, რომლითაც ეფთვიმე მთაწმიდელს უსარგებლია.

ვინაიდან „წინამძღურის“ შედგენილობის საკითხი ბუნებრივად უკავშირდება ეფთვიმეს მიერ ბერძნული წყაროების გამოყენების საკითხს, საჭიროდ მიგვაჩნია „წინამძღურის“ ტექსტისა და ბერძნული წყაროების პარალელების დეტალური ჩვენება თითოეული თავის შიგნით.

სანამ უშუალოდ ტექსტობრივ შედგენილობას შევეხებოდეთ, აღვნიშნავთ ნაწარმოების აგების იმ პრინციპს, რომლითაც იხელმძღვანელა ეფთვიმე მთაწმიდელმა.

ჩვენი აზრით, ეფთვიმე მთაწმიდელის „წინამძღუარი“ არა მარტო შინაარსობრივად არის დასესხებული იოანე დამასკელის „გარდამოცემას“, არამედ კომპოზიციურადაც აგებულია მისი „წყაროჲ ცოდნისაჲს“ ანალოგიით.

ცნობილია, რომ იოანე დამასკელის „წყაროჲ ცოდნისაჲ“ ტრილოგიას წარმოადგენს. მისი პირველი ნაწილია „დიალექტიკა“ ანუ ფილოსოფიური თავები, რომლებიც ერთგვარ პროპედევტიკულ ანუ შემამზადებელ საფეხურს წარმოადგენს ძირითადი ნაწილისათვის (იხ.იოანე დამასკელი, დიალექტიკა). მეორე ნაწილია „წვალებათათჳს“, რომელიც ერთგვარ ისტორიულ ფონს ქმნის, მესამე და ძირითადი ნაწილია „გარდამოცემა უცილობელი მართლმადიდებელთა სარწმუნოებისაჲ“. ეს უკანასკნელი არის ქრისტიანული სარწმუნოების რაობისა და მოძღვრების გადმოცემა.

„წყაროჲ ცოდნისაჲს“ ანალოგიით ჩანს შედგენილი ეფთვიმეს „წინამძღუარიც“, ოღონდ დამასკელის შრომისაგან განსხვავებით, ეფთვიმე ათონელმა ყურადღება გაამახვილა მხოლოდ ორ ნაწილზე: თეორიულ, სარწმუნოებრივ საკითხებზე და მწვალებელთა კრიტიკაზე. მისი ინტერესის სფეროში არ აღმოჩნდა ფილოსოფიური თავები.

როგორც ჩანს, ეფთვიმე მთაწმიდელისთვის ეს ნაწილი, რომელიც საღვთისმეტყველო ტერმინოლოგიის ფილოსოფიურ დასაბუთებას შეიცავს, არ იყო ისე აქტუალური, როგორც დანარჩენი ორი. ეფთვიმე მთაწმიდელის მიერ თარგმნილი სხვა ავტორთა თხზულებების საფუძველზე ასევე შენიშნულია, რომ ათონელი მამის დამოკიდებულება ფილოსოფიურ და ანტიკურ-წარმართულ თემებთან ცალსახად უარყოფითია (47, 37-39). სხვათა შორის, ეს ფაქტი თავის დროზე შენიშნული ჰქონდა ეფრემ მცირეს. გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა ეფთვიმე მთაწმიდელისეულ თარგმანებთან დაკავშირებით ბერძენთა მიერ გამოთქმული იყო საყვედურები. ეფრემ მცირემ თავისი წინამორბედი მოძღვარი გაამართლა იმით, რომ ეფთვიმე დიდი საქმეებით იყო დაკავებული და „უკუეთუ ლომი ვერ ციდამტკაველებრ ხლდებოდა კარებსა ფილოსოფოსთასა, ამას ანაცვალე ლომებრიობაჲ მისი და მეუფებრიობაჲ კრთომისაჲ“ (7,149).

ამის გათვალისწინებით გასაგები ხდება, თუ რატომ აუარა გვერდი ეფთვიმე მთაწმიდელმა ფილოსოფიურ თავებს და „წინამძღუარი“ კომპოზიციურად ააგო „წყაროჲ ცოდნისაჲს“ ორი ნაწილის შესაბამისად: „წინამძღურის“ პირველი და ძირითადი ნაწილი (1-22 თავები) დათმობილი აქვს სარწმუნოების ძირითადი საკითხების განხილვას, ხოლო ბოლო სამი თავი — მწვალებლობათა არსის ჩვენებასა და მასთან პოლემიკას.

ნიშანდობლივია კიდევ ერთი კომპოზიციური პარალელი, რომელიც არსებობს „წინამძღუარსა“ და „წყაროჲ ცოდნისაჲს“ შორის. ამ უკანასკნელს წამძღვარებული აქვს ავტორის, იოანე დამასკელის, ერცელი შესავალი. ამის ანა-

ლოგიით, ეფთვიმეს მიერ შედგენილ „წინამძღუარსაც“ წინ უძღვის ეფთვიმეს ორიგინალური მოკლე შესავალი.

ამრიგად, ჩვენი აზრით, „წინამძღურის“ კომპოზიციურ მოდელს წარმოადგენს ისევ დამასკელის ნაწარმოები „წყაროჲ ცოდნისაჲ“.

ახლა ცხრილების სახით წარმოვადგენთ „წინამძღურის“ ცალკეული თავების მიმართებას იმ წყაროებთან, რომლებიც გამოყენებულია ამ თავების შიგნით. ეს წყაროებია:

1. ანასტასი სინელი, „წინამძღუარი“, PG 89, c.36-310.[1]
2. იოანე დამასკელი, „გარდამოცემა“, Die schriften... გვ. 3-239.[2]
3. იოანე დამასკელი, „სამწმიდაობის საგალობელი“ PG 95, c. 22-63.
4. იოანე დამასკელი, „შეზავებულისა ბუნებისათჳს“, PG 95, c. 111-126.
5. მიქაელ სჳნკელოსის „მართლისა სარწმუნოებისა წარმოთქუმაჲ“, A200.
6. I-IV მსოფლიო კრებების აქტები, A266.
7. მსოფლიო კრებების აქტები.

| ეფთვიმე მთაწმიდელი „წინამძღუარი“ | წყაროები |
|---|---|
| შესავალი | |
| 1. თავი ა. დაწყებაჲ წიგნისაჲ ამის, რომელსა ეწოდების „წინამძღუარი“, თქუმული იოანე დამასკელისაჲ | 1. ანასტასი სინელი, „წინამძღუარი“, სარწმუნოებისათჳს და განსაზღვრებისა ქრისტეს ძისა ღმრთისა... „გარდამოცემა“ 1. მიუწთომელობისათჳს ღმრთისა და ვითარმედ არა ჯერ-არს ძიებაჲ და გამოწულილვაჲ არა მოცემულსა ჩუენდა წმიდათა წინაჲსწარმეტყუელთა, მოციქულთა და მახარებელთა მიერ |

[1] ანასტასი სინელის „წინამძღურის“ თავები მოგვაქვს არსენ იყალთოელის თარგმანის მიხედვით, იხ. S 1463, 1r-39r.

[2] „გარდამოცემის“ თავები მოტანილია წიგნიდან: იოანე დამასკელი, მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა, ორი ძველი ქართული თარგმანი (წმ. ეფრემ მცირისა და წმ. არსენ იყალთოელისა), გამოსაცემად მოამზადეს რ. მიმინოშვილმა, მ. რაფავამ, წინასიტყვაობა მ. რაფავასი. ძეგლი ბერძნულიდან თანამედროვე ენაზე თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ედ. ჭელიძემ, თბილისი, 2000). თავთა სათვალავი მოგვაქვს ბერძნულ გამოცემებში არსებული არაბული ციფრებით.

| | |
|---|---|
| 2. თქუმულთათჳს და გამოუთქუმელთა და საცნაურთათჳს და უცნაურთა | 2. თქუმულთათჳს და გამოუთქუმელთა, უცნაურთა და საცნაურთა |
| 3. გამოჩინებაჲ და დამტკიცებაჲ, ვითარმედ ჭეშმარიტად არს ღმერთი | 3. გამოჩინებაჲ, ვითარმედ არს ღმერთი |
| 4. ვითარმედ მიუწთომელ არს ღმერთი | 4. რაჲ-არსობისათჳს ღმრთისა, ვითარმედ მიუწთომელ არს |
| 5. წმიდისა სამებისათჳს | 8. წმიდისა სამებისათჳს<br>15. საუკუნეთათჳს |
| 6. დაბადებულთათჳს | 16. დამბადებელობისათჳს |
| 7. ანგელოზთათჳს | 17. ანგელოზთათჳს |

მე-7თავი თავისებურად არის დალაგებული ეფთვიმე მთაწმიდელის მიერ. აღნიშნული თავის ბოლოში იოანე დამასკელი იმოწმებს დიონისე არეოპაგელისა და გრიგოლ ღვთისმეტყველის ციტატებს ანგელოზთა შესახებ. ეფთვიმემ ორივე ციტატა დასახელებული თავის დასაწყისში გადაიტანა, ჯერ ღვთისმეტყველის ციტატა, შემდეგ კი — დიონისე არეოპაგელისა.

| | |
|---|---|
| 8. კაცთათჳს | 26. კაცისათჳს |
| 9. სამოთხისათჳს | 25. სამოთხისათჳს |
| 10. ეშმაკისათჳს | 18. სატანაჲსთჳს და ეშმაკთა<br>44. წინაჲსწარ ცნობისათჳს და წინაჲსწარ განსაზღვრებისა<br>45. საღმრთოჲსა განგებულებისათჳს და ჩუენდამომართისა სიტკბოებისა და ჩუენისა მაცხოვარებისათჳს |

მე-10 თავი საუკეთესო ნიმუშია ეფთვიმე მთაწმიდელის კომპილაციური საქმიანობისა. ეფთვიმეს აუღია „გარდამოცემის“ მე-18 თავის ნახევარი. შემდეგ ნაწილად აუღია 44-ე თავის ბოლო აბზაცი, რომელშიც ეშმაკის მიერ ადამის ცდუნებაზეა ლაპარაკი და რომელიც შინაარსობლივად მიესადაგება „წინამძღურის“ ზემოხსენებულ თავს (საყურადღებოა, რომ აღნიშნული 44-ე თავი „გარდამოცემისა“ ეფთვიმეს შემდეგ ცალკე თავად არ შეუტანია „წინამძღუარში“). აღნიშნული თავის მე-3 ნაწილად გამოუყენებია „გარდამოცემის“ 45-ე თავის ნაწილი. ეგევე 45-ე თავი ეფთვიმეს ცალკე თავადაც გაუტანია, მხოლოდ იმ ნაწილს, რაც წინა ნაწილში შეიტანა, მთარგმნელი აქ უკვე აღარ იმეორებს.

| | |
|---|---|
| 11. საღმრთოჲსა მის განგებულებისათჳს და ჩუენისა მის წყალობისათჳს და ცხორებისა, რომელ ყო უფალმან განკაცებითა თჳსითა | 45. საღმრთოჲსა განგებულებისათჳს და ჩუენდამომართისა სიტკბოებისა და ჩუენისა მაცხოვარებისათჳს<br>46. სახისათჳს მუცლადღებისა სიტყჳსა ღმრთისა და საღმრთოჲსა განხორციელებისა მისისა |
| 12. ორთა მათთჳს ბუნებათა | 47. ორთა ბუნებათათჳს<br>48. სახისათჳს ურთიერთას მიმცემელობისა |
| 13. ორთათჳსვე ბუნებათა | 49. რიცხჳსათჳს ორთა ბუნებათაჲსა<br>50. ვითარმედ ყოველი საღმრთოჲ ბუნებაჲ ერთისა გუამთა თჳსთაგანისა მიერ შეერთა ყოველსა კაცობრივსა ბუნებასა და არა კერძოჲ – კერძოსა |
| 14. ერთისა მისთჳს გუამისა ჩუენისა იესუ ქრისტესა | 51. ერთისათჳს გუამისა სიტყჳსა ღმრთისა<br>52. მეტყუელთა მიმართ, ვითარმედ შეერთებულისა ანუ განსაზღვრებულისაგან აღიყვანებიან რაოდენობად ბუნებანი უფლისანი<br>53. ამისსა მიმართ, ვითარმედ არა არს ბუნებაჲ უგუამოჲ, წინაგანწყობაჲ |

ეფთვიმეს ტექსტის 14,1-2 ემთხვევა „გარდამოცემის“ 51-ე თავის დასაწყისს, შემდეგ მთაწმიდელთან (14,3) გამოყენებულია ფრაგმენტი 50-ე თავიდან, ეფთვიმეს მომდევნო ტექსტი (14,4-5) ისევ უბრუნდება 51-ე თავს და ამავე თავის ფრაგმენტები დასტურდება (14,13-19) მუხლებში, „წინამძღურის“ ტექსტის გაგრძელებები (14,20-23) აღებულია „გარდამოცემის“ 52-ე თავიდან. მე-14 თავს ეფთვიმე ამთავრებს „გარდამოცემის“ 53-ე თავით.

| | |
|---|---|
| 15. წმიდაო ღმერთოჲსათჳს | იოანე დამასკელი „სამწმიდაობის საგალობელი“<br>„გარდამოცემა“<br>54. სამწმიდაობისათჳს |

ეს თავი ეფთვიმეს შეუდგენია დამასკელის ორი ნაწარმოების: „გარდამოცემის“ და „სამწმიდაობის საგალობელის“ მიხედვით ეფთვიმესთან გვხვდება ადგილები, რომლის წყაროდ შეიძლება მიჩნეულ იქნას ორივე ნაწარმოები (ეს ასეც იყო მოსალოდნელი, რაკი ავტორი და თემა ერთი და

იგივეა). მხოლოდ თანმხვედრი ადგილები რომ გვხვდებოდეს, ბუნებრივია, ამ თავის წყაროდ მხოლოდ „გარდამოცემას“ მივიჩნევდით, რაკი „წინამძღუარი“ ძირითადად „გარდამოცემიდანაა“. მაგრამ ეფთვიმესთან გვხვდება ისეთი ადგილი (83-84), რომელიც სხვაობს „გარდამოცემისაგან“ და მის წყაროდ გვევლინება „სამწმიდაობის საგალობელი“.

| | |
|---|---|
| 16. წმიდისა ღმრთისმშობელისათჳს | 56. ვითარმედ ღმრთისმშობელ არს წმიდაჲ ქალწული . |
| 17. თჳთებათათჳს ორთა ბუნებათაჲსა | 57. თჳთებათათჳს ორთა ბუნებათაჲსა |
| 18. ორთა მათ თჳთმფლობელთა ნებათათჳს უფლისა ჩუენისა ქრისტესთა | 58. ნებათა და თჳთმფლობელობათათჳს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესთა |
| | 59. ორთა მოქმედებათათჳს |
| 19. განღმრთობისათჳსაჲ მის კორცთა ქრისტესთაჲსა | 61. განღმრთობისათჳს ბუნებისა და ნებისა და კორცთა უფლისათაჲსა |
| 20. ბუნებითთა კაცებისა საქმეთათჳს | 64. ბუნებითთა და უგიობელთა ვნებათათჳს |
| | 65. უმეცრებისათჳს და მონებისა |
| | 66. წარმატებისათჳს |
| | 70. ვნებისათჳს კორცთა უფლისა ჩუენისა და უვნებელობისათჳს ღმრთეებისა მისისა |

„წინამძღურის“ მე-20 თავში გაერთიანებულია „გარდამოცემის“ ოთხი (64, 65, 66, 70) თავი.

| | |
|---|---|
| 21. ვითარმედ განუშორებელად ეგო ღმრთეებაჲ სიტყჳსაჲ სულისა მისგან სამეუფოჲსა და კორცთა მათგან წმიდათა ჟამსა მასცა სიკუდილისასა, რამეთუ ერთი გუამი ეგო ქრისტესი ორითა ბუნებითა | 71. განუშორებელად გებისათჳს ღმრთეებასა სიტყჳსასა სულისაგან და კორცთა სიკუდილსაცა შინა უფლისასა და ვითარმედ ერთივე იყო გუამი |
| 22. ჯოჯოხეთს შთასლვისათჳს | 72. განყოფილებისათჳს კრწნილებათასა |
| | 73. ჯოჯოხეთად შთასლვისათჳს |
| | 74. აღდგომისა შემდგომთათჳს |
| | 75. მარჯუენით მამისა დაჯდომისათჳს |

„წინამძღურის“ ამ თავში გაერთიანებულია „გარდამოცემის“ სამი თავი. ეს თავები ეფთვიმეს თავისებურად დაულაგებია. იწყება 73-ე თავით, შემდეგ მოდის 72-ე, 74-ე და 75-ე თავები, ეფთვიმე ტექსტს ავრცობს ბოლო ორი აბზაცით.

22-ე თავით მთავრდება „წინამძღურში“ ის ტექსტი, რომელიც დამასკელის „გარდამოცემიდან“ არის აღებული ეფთვიმე მთაწმიდელის მიერ.

## 2. ანასტასი სინელის „წინამძღუარი,“ როგორც წყარო

მომდევნო 23-ე თავი ეფთვიმეს შედგენილი აქვს ანასტასი სინელის „წინამძღურის“ ოთხი თავიდან (4,5,6,7) გამოკრებილი მასალით.

| „წინამძღუარი“ | ანასტასი სინელის „წინამძღუარი“ |
|---|---|
| 23. მართლმადიდებლობისათჳს და თუ ვინაჲ იწყეს მწვალებელთა შემოსლვად სოფლად | 4. სარწმუნოებისათჳს განგებულებისა ქრისტეს ძისა ღმრთისა წმიდისა მიმართ კათოლიკე ეკლესიისა ბაბილოვნელთაჲსა მიწერილი<br>5. ხოლო საჭირო არს ტკივილთ-მოყუარისათჳს ამისიცა მეცნიერებაჲ, ვიტყჳ უკუე წმიდათათჳს და მსოფლიოთა ოთხთა კრებათა, თუ რომლისა პირისა ანუ რომელთა წვალებათათჳს შემოკრბეს იგი<br>6. უწყებაჲ, თუ ვინაჲ აღმოეცენა ერთთუალი სევეროზის სარწმუნოებაჲ<br>7. გამოჩინებაჲ, ვითარმედ განჰკდის სევეროზ წმიდათა მამათა |

იწყება ეფთვიმეს შესავლით. იგი აცხადებს, რომ აქამდე საუბარი იყო ქრისტიანულ სარწმუნოებაზე. ახლა კი მან უნდა იმსჯელოს მწვალებლობაზე. ამის შემდეგ არის ტექსტი ანასტასი სინელის „წინამძღურიდან“.

## 3. 24-ე თავი, როგორც ეფთვიმეს კომპილაციის იშვიათი ნიმუში

შედგენილობის თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებოა 24-ე თავი, რომლის სახელწოდებაა „წამებანი ძუელისა და ახლისა წერილისაგან, ვითარმედ არა ერთ არს ბუნებაჲ და პირი“.

ეს თავი იშვიათი ნიმუშია ეფთვიმეს მიერ ჩატარებული კომპილაციური სამუშაოსი.

აღნიშნულ თავში, წმინდა დოგმატური საკითხის გარდა, რომელიც ეხება ბუნების და პირის ცნებებს, ჩართულია სხვა შინაარსის ტექსტებიც. ერთი არის სარწმუნოების კრედო ანუ მრწამსი. მეორე კი წარმოადგენს ე.წ. შეჩვენებებს, ანათემებს სხვადასხვა ერეტიკული შეხედულებებისა.

ამ თავის სათაურში წყაროებად ეფთვიმეს მიერ, ანასტასი სინელის მიბაძვით, ძველი და ახალი აღთქმის წერილებია დასახელებული, მაგრამ ტექსტობრივმა შესწავლამ გამოავლინა, რომ აქ სრულიად განსხვავებული ხასიათის წყაროებით სარგებლობა იჩენს თავს.

რა წყაროებია ისინი?

თავის დასაწყისში, სადაც განხილულია ბუნებისა და პირის საღვთისმეტყველო ცნებები, წყაროდ გამოყენებულია ისევ ანასტასი სინელის „წინამძღუარი", კერძოდ, მისი მე-8, მე-9 და მე-10 თავები.

| „წინამძღუარი" | ანასტასი სინელის „წინამძღუარი" |
|---|---|
| 24. წამებანი ძუელისა და ახლისა წერილისაგან, ვითარმედ არა ერთ არს ბუნებაჲ და პირი | 8. გამოჩინებაჲ ძუელისაგან და ახლისა აღთქუმისა, ვითარმედ არა იგივე არს ბუნებაჲ და პირი<br>9. ბუნებისათჳს და გუამოვნებისა წმიდისაგან კრებისა ნიკიისა<br>10. სახე, რომლითა განვეწყვენით სხუამადიდებელთა მიმართ ალექსანდრიას შინა...<br>**მიქაელ სჳნკელოსი „მართლისა სარწმუნოებისა წარმოთქუმაჲ"** |

ბუნებისა და პირის ცნებათა ანალიზს აღნიშნულ თავში მოსდევს ტექსტი, რომელსაც პირობითად შეიძლება ეწოდოს „მრწამსი". მოსალოდნელი იყო, რომ მრწამსის ტექსტიც ანასტასი სინელის თხზულებაში გვეგულვა, მაგრამ მსგავსი შინაარსის ტექსტი იქ არ დადასტურდა.

თ. ჭყონიას შესაძლებლად მიაჩნდა მისი დამასკელის „გარდამოცემასთან" დაკავშირება, რადგან „მრწამსის" ტექსტი მოიცავს იმ საკითხებს, რომლებიც გაშუქებულია „გარდამოცემის" მე-3 თავში.

ტექსტობრივმა შედარებამ გარკვეული ეჭვი დაბადა მკვლევართა შორის, „მრწამსის" ტექსტი „გარდამოცემიდან" ხომ არ იყო ალებული. მაგრამ შემდგომი ძიებით მოხერხდა ამ ადგილის ზუსტი წყაროს გამოვლენა. ეს არის მიქაელ სვინკელოსის „მართლისა სარწმუნოებისა წარმოთქუმაჲ" (A1158).

ცნობილია, რომ ეს თხზულება ეფთვიმეს ცალკეც აქვს თარგმნილი.

სხვათა შორის, ქართულ ხელნაწერებში ეს ორი თხზულება „წინამძღუარი" და მიქაელ სვინკელოსის „მრწამსი", ხშირად ერთიმეორის გვერდით დასტურდება (A240, A200, A1119ა, A1158, H28), ხოლო ერთ-ერთ ხელნაწერში (A1158)

„წინამძღურის“ ტექსტს მოსდევს მიქაელ სვინკელოსის „მრწამსი“ და „მრწამსის“ ბოლოს არის „წინამძღურის“ ზანდუკი.

ეფთვიმე მთაწმიდელმა, რომელმაც თარგმნა მიქაელ სვინკელოსის „მრწამსი“, ამჯერად ოდნავ შემოკლებული სახით შეიტანა იგი თავისი „წინამძღურის“ 24-ე თავში ანასტასი სინელის თხზულებიდან აღებული ადგილების შემდეგ.

იგივე ტექსტი, სვინკელოსის „მრწამსი“, ეფთვიმეს სხვა თხზულების თარგმანშიც ჩაურთავს. ეს არის „მაქსიმე აღმსარებლის ცხოვრება“ (13,179). ამ თხზულების ჩვენთვის ცნობილ ბერძნულ დედანში იგი არ დასტურდება. ეს ფაქტი საყურადღებოა ეფთვიმე მთაწმიდელის მთარგმნელობითი საქმიანობის დასახასიათებლად. ერთი და იგივე წყარო მას თავისი შეხედულებისამებრ ჩაურთავს სხვადასხვა ავტორთა ნაწარმოებების თარგმანებში. ამრიგად, გამოვლინდა „წინამძღურის“ ახალი წყარო: მიქაელ სვინკელოსის „მართლისა სარწმუნოებისა წარმოთქუმაჲ“.

## 4. ანათემები

ანასტასი სინელის „წინამძღურიდან“ აღებული ადგილებისა და მიქაელ სვინკელოსის „მრწამსის“ გარდა, როგორც აღვნიშნეთ, 24-ე თავში დასტურდება ანათემები, რიცხვით 14. არც ერთ ზემოდასახელებულ ბერძნულ წყაროში, რომლებიც გამოყენებულია ეფთვიმეს მიერ „წინამძღუარში“, ანათემათა ტექსტები არ დასტურდება. საძიებელი გახდა ის დამატებითი წყაროები, რომლითაც შეეძლო ესარგებლა ეფთვიმე მთაწმიდელს.

რა ხასიათისაა აღნიშნული ანათემები?

ცნობილია, რომ ანათემები საეკლესიო მწერლობაში ახლავს მწვალებლების ან სხვა რელიგიის მატარებელ პირთა ქრისტიანულ მრწამსზე მოქცევის წესებს. ამდენად ისინი საეკლესიო წესის და განგების შემადგენელი ნაწილია. მათ შინაარსს დოგმატიკური და პოლემიკური მიზანდასახულობა განაპირობებს. ქრისტიანულ მრწამსზე მოქცევის წესი და განგება, რამდენადაც სათანადო წყაროებზე დაკვირვებამ გვიჩვენა, სხვადასხვა სახეს ატარებდა, რასაც ალბათ საეკლესიო კანონიკა განაპირობებდა. მწვალებელთა მიღება ძირითადად ასე ხდებოდა: მწვალებელი მარხულობს, კითხულობს სახარებას, იმეორებს მრწამსს, დგება ემბაზთან, იგი აცხადებს, რომ ქრისტიანულ ეკლესიასთან მივიდა არა ზაკვით ან იძულებით, არამედ წრფელი გულით. წარმოთქვამს ანათემებს, რომლებშიც განიკვეთება ის დოგმატური ცდომილება, რომელსაც ატარებდა მწვალებელი. ბოლოს ახალმოქცეულებს ასმენინებენ საღვთო წერილს და ნათელს-სცემენ.

წმინდა მამები ხშირად მსჯელობენ შეჩვენებათა დასხმის აუცილებლობაზე, რათა მორწმუნენი „განტკეცილითა გზითა შევიდოდიან ეზოსა შინა ღვთისასა“ (97,221r). გელასი კესარიელი წერდა: „ამინ გეტყჳთ, ქრისტეანენო, კმობს

მეუფე, რჩეულთა ჩემთა დღე ყოველ ცნობავნებულთამიერისა შეჩუენებისაჲ, რაჲთა ვყო შურისძიებაჲ თქუენი და გისაჯო და მივაგო საშჯელი მტერთა და მოძულეთა ჩემთა და ვათრვნე ისარნი ჩემნი სისხლითა და ჴრმალი ჩემი ჭამდეს ჴორცთა სისხლთაგან და წყლულებათაჲსა“ (97,221v).

„წინამძღუარში“ დაცულ შეჩვენებათა წყაროების დადგენის მიზნით მოვიძიეთ მწვალებელთა მოქცევის წესები „კურთხევანებში“, „დიდ სჯულისკანონში“, „მცირე სჯულისკანონში“, „დოგმატიკონში“. უპირველეს ყოვლისა, იმ ანათემებმა მიიქცია ჩვენი ყურადღება, რომლებიც „კურთხევანის“ ერთ-ერთ ხელნაწერში, კერძოდ A450-ში, დადასტურდა. ისინი ასე იკითხება:

1. თუ ვითარ ჯერ-არს შეწყნარებაჲ, რომელნი ჰურიათაგან სარწმუნოებასა ქრისტეანეთასა მოუქცებოდის (99,295r-304v).

2. თუ ვითარ ჯერ-არს აღწერით შეჩუენებად წმიდად ღმრთისაჲ ეკლესიად მომავალთა მიერ მანიქეველთა წვალებისგან (99,338r-340v)

3. წესი, რომელი იქმნების მოქცეულსა ზედა სარკინოზთაგან წმიდისა მომართ და ჭეშმარიტისა სარწმუნოებისა ჩუენ ქრისტეანეთაჲსა (99,304v-312r).

4. წესი და განგებაჲ მათ ზედა, რომელნი მართლმადიდებლად მოიქცენ (99,357r-359v).

მეორე წყარო, რომელშიც დასტურდება მწვალებლობისაგან მოქცეულის წესი, არის არსენ იყალთოელის ცნობილი კრებული „დოგმატიკონი“. ზემოდასახელებულთაგან ორი განგება: 1. წესი, რომელი იქმნების მოქცეულსა ზედა სარკინოზთაგან, წმიდისა მიმართ და ჭეშმარიტისა სარწმუნოებისა ჩუენ ქრისტეანეთაჲსა (99, 338r-340v), და 2. თუ ვითარ ჯერ-არს შეწყნარებაჲ, რომელნი ჰურიათაგან სარწმუნოებასა ქრისტეანეთასა მოუქცებოდის (97, 304v-305v) – არსენ იყალთოელის მიერ შედგენილ „დოგმატიკონშიც“ გვხვდება. „დოგმატიკონში“ ჰურიათაგან მოქცევის წესს მოსდევს „აღწერაჲ უსრულესირე, თუ ვითარ ჯერ-არს შეწყნარებაჲ, რომელი ჰურიათაგან სარწმუნოებასა ქრისტეანეთასა მოუქცებოდის (97,304v). აქაც, როგორც სათაურიდანვე ჩანს, ჰურიათა მოქცევის განგებაზეა ლაპარაკი. ეს ტექსტი უფრო ვრცელია. წინამდებარე თხზულებისგან განსხვავებით, აქ არაა მსჯელობა მწვალებლობისაგან მოქცეულის ნათლისღების საჭიროებაზე. ამავე კრებულში დაცულია „ეპისტოლე კჳნტიანე ეპისკოპოსისა ასკულიანელთაჲსა პეტრეს მიმართ ანტიოქელ ეპისკოპოსისა, ვითარმედ არა ჯერ-არს ვნებულად თქუმაჲ სამებისაჲ“(97,304v); ასკლიპიადოს ტრალლელთა ეპისკოპოსისა პეტრეს მიმართ ანტიოქელ ეპისკოპოსისა, ვითარმედ არა ჯერ-არს ჯუარცუმისა თქუმაჲ სამწმიდაობისა თანა (97,222r-223r); ანტენეოს ეპისკოპოსი არსენოჲსაჲ პეტრეს მიმართ ეპისკოპოსსა ანტიოქიისასა (97,222r); წმიდისა კჳრილე ალექსანდრიელ ეპისკოპოსისა თარგმანებაჲ შემდგომითი-შემდგომად ათორმეტთა თავთაჲ ამათ მაბრალობელთა მიმართ (97,219r); შეჩუენებანი იაკობიტთა და

ყოველთა ერთბუნებიანთანი, რომელთა თანა არიან სომეხნიცა (97,183-186r); ანასტასი სინელი, წინამძღუარი (97, 1r-39r).

მწვალებელთა მოქცევის წესი ხშირად გვხვდება „დიდ სჯულისკანონში“: კანონნი ლაოდიკიას ფრიგჯსა შეკრებილთა მამათანი (9,254-260), კანონნი მამათანი კონსტანტინოპოლის შეკრებილთანი (9,260-264), კანონნი მეორედ ნიკიას შეკრებილთა მამათანი (9,418-430), კანონნი კონსტანტინოპოლის გუმბადსა შინა სამეუფოსა პალატსა შეკრებილთაჲ(9,365-418), ეპისტოლე, დაწერილი კონსტანტინოპოლით მარტჯრი ეპისკოპოსისა ანტიოქიელისაჲ (9,539-540).

რა მიმართებაა ზემოთ ჩამოთვლილ ნაწარმოებებსა და „წინამძღურის“ 24-ე თავში შეტანილ შეჩვენებებს შორის?

„მცირე სჯულისკანონში“, „კურთხევანში“, „დიდ სჯულისკანონში“, როგორც მოსალოდნელი იყო, მოქცეულთა წესი სრული სახითაა შეტანილი. იგივე სურათია „დოგმატიკონში“ დაცულ ორ ნაწარმოებში (ეს ის ნაწარმოებებია, რომლებიც გვხვდება „კურთხევანში“).

დანარჩენ ნაწარმოებებში, რომლებშიც მოქცევის წესსა და განგებაზეა საუბარი, სხვადასხვანაირი სურათია. რაში გამოიხატება ეს სხვაობანი?

დავიწყოთ ანასტასი სინელის „წინამძღურით.“ ანასტასი სინელი მწვალებლებზე მსჯელობისას რამდენჯერმე იმოწმებს კირილე ალექსანდრიელის თხზულებას „თარგმანებაჲ შემდგომითი-შემდგომად ათორმეტთა თავთაჲ ამათთა მაბრალობელთა მიმართ“. „წინამძღუარში“ რამდენიმე შეჩვენება გვხვდება. ეს ანათემები ნაწარმოებში აქა-იქაა მიმობნეული და წესის და განგების სახე არა აქვს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, 24-ე თავი ეფთვიმეს ანასტასი სინელის ნაწარმოებიდან აულია. ათონელი მამა სიტყვა-სიტყვით იმეორებს ანასტასი სინელის მსჯელობას პეტროზ მკაწრვალზე, ბოლოში კი ურთავს შეჩვენებას, რომელიც ანასტასი სინელთან არ გვხვდება.

კირილე ალექსანდრიელის ნაწარმოებში „თარგმანებაჲ შემდგომითი-შემდგომად ათორმეტთა თავთა ამათთა მაბრალობელთა მიმართ“, რომელსაც ჩვენ „დოგმატიკონის“ მიხედვით გავეცანით, მსჯელობაა, თუ რატომ არის საჭირო მწვალებელთა „მწინკულევანი“ რჯულის შეჩვენება და თითოეული ანათემის თარგმანება. ამის შემდეგ ჩამოთვლილია შეჩვენებანი კომენტარებითურთ.

შემდეგ თხზულებაში, რომლის სათაურია „ეპისტოლე კჳნტიანე ეპისკოპოსისა ასკულიანელთაჲსა პეტრეს მიმართ ანტიოქიელ ეპისკოპოსისა, ვითარმედ არა ჯერ-არს ვნებულად თქუმაჲ სამებისაჲ,“ კამათია მწვალებლებთან, ჩამოთვლილია თორმეტი შეჩვენება. ავტორი ასკვნის, რომ ანათემათა დასხმა აუცილებელია, რათა ყველას ეშინოდეს ამათი მსჯავრისო.

ასკლეპიადოს ეპისკოპოსი თავის თხზულებაში „ეპისტოლე პეტრეს მიმართ ანტიოქელ ეპისკოპოსისა, ვითარმედ არა ჯერ-არს ჯუარცუმისა თქუმაჲ სამწმიდაობისა თანა, მსჯელობს რა სამწმიდაობის, ძის ორი ბუნების შესახებ,

აკრიტიკებს ნესტორს, პავლე სამოსატელს, მოჰყავს მათ მიმართ ანათემები, ბოლოს მოუწოდებს მორწმუნეს: იჯმენ მათგანო.

ანტენეოს ეპისკოპოსის ეპისტოლეშიც პოლემიკაა მწვალებლებთან. ამ ნაწარმოებში გვხვდება მხოლოდ ერთი შეჩვენება.

I-IV მსოფლიო კრებების აქტებში გვხვდება „ეპისტოლე კირილოსის და კრებისა ალექსანდრიელისა ნესტორიოსის მიმართ“ (A266). ეპისტოლეში ლაპარაკია მწვალებლებზე, ქრისტეზე, სამებაზე. საინტერესოა, რომ ეს ნაწილი შინაარსობლივად ემთხვევა ეფთვიმესეულ მრწამსს, რომელიც წინ უძღვის ანათემებს. ამის შემდეგ ეპისტოლეშიც მოდის შეჩვენებანი, შეჩვენებათაგან ერთი მსგავსია, ხოლო ბოლო ანათემა ზედმიწევნით ემთხვევა ეფთვიმე ათონელის მე-8 ანათემას.

ბოლო ნაწარმოები, რომელსაც ეფთვიმეს ანათემებთან დაკავშირებით ვეხებით, არის უცნობი ავტორის „შეჩუენებანი იაკობიტთა და ყოველთა ერთბუნებიანთანი, რომელთა თანა არიან სომეხნიცა“ (A266). ამ ნაწარმოებსაც არა აქვს მოქცეულთა განგებისათვის დამახასიათებელი ტრადიციული შესავალი. უცნობი ავტორიც, მსგავსად ეფთვიმესი, ტექსტს იწყებს ანათემებით. გვიანდელ ხელნაწერებში ანათემები მთავრდება იმით, რომ მორწმუნე ლოცვას აღავლენს წმიდა სამების მიმართ. ძველ ნუსხებში განსხვავებული სურათია. მღვდელი კითხულობს ლოცვას, ნათელს სცემს მწვალებელს, არიგებს მას, რომ შვიდი დღე იმარხულოს, არც პირი დაიბანოს, იქცეოდეს, როგორც ახალმონათლული. მერვე დღეს კი, ჩვეულებისამებრ, განიბანოს. გამოთქმულია აზრი, რომ ტექსტის ბოლოს სამღვდელმსახურო რიტუალზე გადასვლა აშკარად არაბუნებრივი ჩანს, რადგანაც არც სათაურში, არც ტექსტის დასაწყისში არაფერი არ არის ნათქვამი იმაზე, რომ მწვალებლობისგან მოქცეულის მიღებისას შესასრულებელ წესზეა საუბარი, რომ მღვდელი ნათლავს მოქცეულს, როგორც ეს არის ბერძნულსა და სლავურ თარგმანში. საგულისხმოა, რომ მწვალებელთა მოქცევის წესი და განგება ზოგიერთ წყაროში ანათემათა გარეშე დასტურდება, ზოგიერთ წყაროში მხოლოდ ანათემებია წარმოდგენილი. ამ უკანასკნელ შემთხვევაში მიზანი პოლემიკურია: გაკიცხოს ის ცდომილება, რომელიც ამა თუ იმ დოგმის მართლმადიდებლური გაგებიდან გადახვევას შეიცავს (42).

რას ეხება „წინამძღურის“ 14 შეჩვენება?

I, II და IV შეჩვენება მიმართულია არიოზისა და საბელიოზის წინააღმდეგ.

არიოზი ქრისტეს უჟამო შობას უარყოფს. მას ორი აზრი მოეჩვენა საეჭვოდ: 1) მამა და ძე დასაბამიდან იყვნენ ერთად, 2) ძე დაიბადა მამის არსებიდან.

არიოზის საწინააღმდეგო მართლმადიდებლური აზრი ასეა გადმოცემული: მამაც მეყსეულად იყო და ძეც. ძის შობისას ჟამი არ იყო შუაში, რადგან ღმერთი დროში არ შობს, მისი ბუნება დროზე მაღლაა. მამა ძის გარეშე არ იწოდება მამად. თუ დასაბამიდან არ ვიტყვით ძის შობას, მამის გუამოვნების შეცვლას შემოვიღებთ. არამყოფი მამად მამა გახდა. არიოზისათვის სამება სამი

გვამია და სამი არსება. სამება, მართლაც, სამგვამოვანია. სამივე პირი სრულია. თითოეული ერთმანეთშია. „მე მამისა შორის და მამაჲ ჩემ შორის“. სამების წევრები მხოლოდ გუამოვნებით განირჩევიან, რაც შეეხება არსებას, სამება ერთარსებაა და არა სამი. ამიტომაც ვამბობთ არა სამ ღმერთს, არამედ ერთს. სამება განუყოფელია ადგილით, ნებით, საქმით. მის წევრთა შორის მსგავსება კი არაა, არამედ უცვლელი ერთობაა.

არიოზის საპირისპიროდ, საბელიოზი სამებას ერთგვამოვნად და ერთარსებად თვლიდა. მართლმადიდებლური პოზიციით კი სამება გუამოვნებით არ შეიერთება, არამედ თანამოქმედებითაა შემოკრებილი. სამება ერთპიროვანი რომ ყოფილიყო, მაშინ განხორციელდებოდა არა ძე ღმერთი, არამედ სამივე წევრი სამებისა.

არიოზი და საბელიოზი წარმართი არისტოტელეს დებულებას ეყრდნობოდნენ და ბუნებას და გვამს აიგივებდნენ. არისტოტელეს ამ მოძღვრებას ეყრდნობოდნენ სეველროზი, დიოსკორე, პეტროზ მკაწრვალი, ტიმოთე ელური, თევდოსი, ივლიანე და სხვა მრავალი მწვალებელი, ამიტომაც ებრძოდნენ არისტოტელეს მოძღვრებას იოანე ოქროპირი, ბასილი დიდი, გრიგოლ ღვთისმეტყველი, კირილე ალექსანდრიელი... ბუნებისა და გვამის არაიდენტურობის საკითხს არაერთხელ უბრუნდება ეფთვიმე მთაწმიდელი. ანასტასი სინელი ანათემას უცხადებს მათ, ვინც ბუნებას გვამთან აიგივებს, ამ საკითხზე იყო მსჯელობა ნიკიისა და ეფესოს საეკლესიო კრებებზე.

ათონელი მოძღვრის III, V, IX ანათემა ეხება ღვთისმშობლის საკითხს. მარიამის ღვთისმშობლობას უარყოფდა ნესტორი. იგი ამტკიცებდა, რომ მარიამი არაა ღვთისმშობელი, რადგან მან შვა არა ღმერთი, არამედ მხოლოდ კაცი. მარიამისგან შობილი კაცი იესო იყო მხოლოდ სამყოფელი ღვთისა და იარაღი ჩვენი ხსნის. ეს კაცი სულიწმიდის შესვლით გახდა ქრისტე მაცხოვარი. ასევე მარიამის ღვთისმშობლობას უარყოფდა ევტიქი.

ეფთვიმეს ანათემებიდან VI, VII, VIII, X, XII, XIII, XIV მიმართულია მონოფიზიტების წინააღმდეგ. თვითონ „წინამძღუარი“, როგორც სათაურიდანვე ჩანს, ძირითადად მონოფიზიტების კრიტიკას ისახავს მიზნად.

მონოფიზიტები ქრისტეში ორ ბუნებას ცნობდნენ განხორციელებამდე, განკაცების შემდეგ კი მხოლოდ ღვთაებრივ ბუნებას აღიარებდნენ. როცა მართლმადიდებლები მონოფიზიტებს მიუთითებდნენ სახარებისეულ ფაქტებს, რომლებშიც ქრისტეს ადამიანური ბუნების შესახებ არის საუბარი, მონოფიზიტები თვითონ ფაქტებზე არ კამათობდნენ, ისინი უშვებდნენ ქრისტეში კაცობრივ ბუნებას არა როგორც ფაქტს, არამედ როგორც პოტენციას. ქრისტეში მონოფიზიტები ცნობდნენ ადამიანურ თვისებებს, მართლმადიდებლები კი მაცხოვარში ცნობენ ადამიანურ ბუნებას, საიდანაც მომდინარეობს ეს თვისებები, როგორც მოქმედება. მონოფიზიტთათვის ქრისტეში ადამიანური ბუნება არ მოქმედებს.

მწვალებელი ევტიქისათვის ქრისტე ორბუნებოვანი იყო გაერთიანებამდე, შემდეგ კი ერთი გახდა. მას სწამს, რომ ქრისტეს სხეული ღვთისმშობლისგან

კი არაა, არამედ ციდან. იგი უარყოფს, რომ ქრისტე ჩვენი ერთარსებაა. მის აზრს იზიარებს დიოსკორე.

თეოდორე მომფსუესტელი თვლის, რომ განკაცების შემდეგ ორივე ბუნებას ერთი სურვილი აქვს, ერთი მოქმედება.

სევეროსს მიაჩნია, რომ ქრისტეს გააჩნია ადამიანური თვისებების კომპლექსი, ოღონდ სუბსტრატის გარეშე. ქრისტე იქცეოდა კაცივით, მაგრამ არსებითად ყოველთვის ღმერთი იყო. გაერთიანებამდე ბუნება ორია, გაერთიანების შემდეგ — ერთი. ერთი ბუნება რთულია შედგენილობით. ქრისტეს ბუნება ერთია: ღმერთკაცებრივი.

მოგვყავს 14-ვე ანათემა იმ თანმიმდევრობით, როგორც დასტურდება ტექსტში, თითოეულ მათგანთან პარალელურად ვუთითებთ ადგილებს უშუალო ან სავარაუდო წყაროებიდან. VI მსოფლიო კრების აქტები მოგვაქვს მათი რუსული თარგმანების მიხედვით.

## წინამძღუარი

I

რომელი არა აღიარებდეს ერთსა ბუნებასა და ერთსა არსებასა ერთისა მის განუყოფელისა ღმრთეებისასა სამგუამოვნებით განუყოფელად და შეურწყუმელად და არა ქადაგებდეს თჳთებასა მამისა და ძისა და სულისა წმიდისასა, შეჩუენებულ იყაენ 24,95.

II

რომელმან თქუას სამნი ბუნებანი ანუ სამნი არსებანი, ანუ სამნი ღმერთნი განყოფილნი, ანუ ერთი გუამი თქუას წმიდისა სამებისა და იკადროს არიოზისებრ წარმართთა მსგავსისა, ანუ შერწყუმაჲ საბელიოზისებრ, ჰურიათა მსგაესისა, შეჩუენებულ იყაენ 24,96.

## წყაროები

Деяния вселенских соборов, т. VI, 196

Если кто не исповедует Отца и Сына и Святого духа, Троицу единосушную, одно Божество в трех лицах, да будет анафема.

ანასტასი სინელი, „წინამძღუარი", S1463, 16r

საბელიოს, ერთსა პირსა და ერთსა არსებასა მეტყუელი წმიდისა სამებისასა, ხოლო არიოზ სამთა პირთა და სამთა არსებათა, ორნივე იგივე ყოფად იტყოდეს ბუნებასა და პირსა, რომელთა უღმრთოებისა და ესევითარისა სიჩუქურისა დამარღუეველი წმიდაჲ და სანატრელი და პირმშოჲ სული წმიდისაჲ მსოფლიოჲ კრებაჲ ნიკეას 318 მარადის კსენებულთა მამათაჲ, განცხადებულად მასწავლელი ჩუენდა, ვითარმედ სხუაჲ არს არსებაჲ, ესე იგი არს, ბუნებაჲ და სხუაჲ არს გუამი, ესრეთ კმობს.

Деяния вселенских соборов, т. I, 151

Блаженная Троица изчисляется не сущностями или естествами, или различными Божествами, или Тремя господствами. Да не будет этого, так безумно думают ариане вводящие почитание нового трехбожия и пустостословящие, будто в боге три сущности, и три естества, и три господства, а равно и три божества. А изчисляется оно ипостасями и разумными совершенными свойствами.

III

რომელი არა აღიარებდეს დაუსაბამოსა მას სიტყუასა ღმრთისასა, მამისაგან შობილსა და თანაარსსა მისსა, გარდამოსრულსა ზეცით ცხორებისათჳს ჩუენისა და განკორციელებულსა წმიდისაგან ღმრთისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისა, და ამისთჳსცა წმიდასა მას ქალწულსა არა აღიარებდეს ჭეშმარიტად ღმრთისმშობელად, შეჩუენებულ იყავნ 24,98.

კირილე ალექსანდრიელი, 12 ანათემატიზმა, S1463,183v

ვინცა ვინ არა აღიარებდეს ღმერთ ჭეშმარიტ-ყოფასა ემმანუილისასა და ამისთჳს ღმრთისმშობლობასა წმიდისა ქალწულისასა, რამეთუ შვა კორციელად, კორცქმნილი ღმრთისაგანი სიტყუაჲ, შეჩუენებულ იყავნ.

IV

რომელი არა აღიარებდეს ორთა მათ შობათა მხოლოდშობილისა ძისა ღმრთისათა, ერთსა მას პირველ საუკუნეთა მამისაგან უპორცოდ და უჟამოდ, და მეორესა მას უკუანაჲსკნელთა ჟამთა ქალწულისაგან კორციელად ერთითა გუამითა და ორითა ბუნებითა, შეჩუენებულ იყავნ 24,99.

ანასტასი სინელი, „წინამძღუარი“, S1463 15v-16r

ხოლო მეტყუელთა, ვითარმედ იყო, ოდეს არა ძე ღმრთისაჲ და პირველ შობისა არა იყო და ვითარმედ არაარსისაგან იქმნა, ანუ სხჳსა გუამოვნებისა ანუ არსებისაგან ყოფად მეტყუელისა ძისა ღმრთისათა ქცევადად ანუ ცვალებადად, ამათ შეაჩუენებს წმიდაჲ კათოლიკე და სამოციქულოჲ ეკლესიაჲ.

V

რომელმან არა შეაჩუენოს თეოდორე მომფსუესტელი და ნესტორი, მისი მოწაფე და მგმობარნი იგი წერილნი მათნი, ვითარცა ნეტარმან კჳრილე შეაჩუენნა, და რომელი არა აღიარებდეს ჭეშმარიტად ღმრთისმშობელად წმიდასა ქალწულსა მარიამს, შეჩუენებულ იყავნ 24,100.

Деяния вселенских соборов, т. VI, 197

Если кто не анафемствует сочинения Теодорита, противные правой вере святого Кирилла, и так называемое послание Ивы, и Феодора Мопсуетского с его сочинениями, и если кто не принимает сочинений святого Кирилла, и в особенности тех, которые направлены против Феодора, и Нестория, мудрствовавших или мудрствующих согласно и за одно с ними, да будет анафема.

VI

რომელი არა აღიარებდეს, თუ ორთა ბუნებათაგან, ღმრთეებისა და კაცებისა, იქმნა ერთი იგი გუამი და პირი ერთისა მის და მხოლოჲსა ქრისტესი, შეჩუენებულ იყავნ 24,101.

მსოფლიო კრებების აქტები, 266, 111

უკუეთუ ვინმე არა აღიარებს ღმერთსა, მამისაგან სიტყუასა არა გუამოვნებით კორცთადა შეერთებულად და ვითარმედ ერთ არს ქრისტე კორცთა მისთა თანა, იგივე ცხად არს, ვითარმედ თანად ღმერთი და კაცი, შეჩუენებულ იყავნ.

VII

რომელი არა აღიარებდეს, თუ ორითა ბუნებითა უწყი ქრისტე, ღმრთეებისა და კაცებისაჲთა, შეჩუენებულ იყავნ 24,102.

ეპისტოლე კვინტიანე ეპისკოპოსისა, S1463, 223v

ვინცა ვინ ყოველი, რომელი ერთსა იტყჳს ბუნებასა სიტყჳსა ღმრთისასა და კორცთასა და არა ორთა შეერთებულთა და განუწჳალებელთა, განიკუეთენ.

VIII

რომელმან თქუას ქრისტესთჳს ორნი გუამნი, ანუ ორნი ქრისტენი, ანუ ორნი ძენი, ანუ ორნი ბუნებანი მისნი გუამოვნებით განყჳნეს და განწჳალნეს თეოდორესებრ მომფსუესტელისა და ნესტორისებრ, მოწაფისა მისისა, ანუ ერთი ბუნებაჲ თქუას ქრისტესი ევტჳქისებრ და დიოსკორეს და სებეროსისებრ უთავოთაჲსა, შეჩუენებულ იყავნ 24,104.

ეპისტოლე კვინტიანე ეპისკოპოსისა, 223v

და ვინცა ვინ იტყჳს ორთა პირთა, რომელ არიან გუამნი და არა უფროჲსღა ორთა ბუნებათა ერთად პირად, გუამად შემოკრებულთა, განიკუეთენ.

IX

რომელმან წმიდასა ქალწულსა მარიამს უწოდოს კაცისმშობელ, ანუ ქრისტესმშობელ, ანუ საოცრად და სახელით ოდენ თქუას ღმრთისმშობელად და არა აღიაროს იგი ჭეშმარიტად და სამართლად ღმრთისმშობელად, შეჩუენებულ იყავნ 24,105.

შეჩუენებანი იაკობიტთა, 307r

რომელნი არა აღიარებენ უხრწნელსა დედასა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა მარიამს ჭეშმარიტად და საკუთრად ღმრთისმშობელად და მარადის ქალწულად, შეჩუენებულ იყავნ.

X

რომელი არა აღიარებდეს, ვითარმედ ერთი იგი ბუნებაჲ სიტყჳსა ღმრთისაჲ განკორციელდა და იქმნა ორითა ბუნებითა და თაყუანის-იცემების ერთითა თაყუანისცემითა კორცთა მისთა თანა, ვითარცა თქუეს წმიდათა მამათა ჩუენთა: ათანასე და კჳრილე და სხუათა ყოველთა მამათა, ანუ რომელმან ერთი ბუნებაჲ სიტყჳსა ღმრთისაჲ ესრეთ გულისჴმა-ყოს, ვითარცა შერეულებით და შერწყუმით, შეჩუენებულ იყავნ 24,106.

ანასტასი სინელი, „წინამძღუარი“ S 1463, 29

ყოველი, რომელი ერთსა იტყჳს ბუნებასა სიტყჳსა ღმრთისასა და არა ორთა შეერთებულთა და განუწვალებელთა, განიკუეთენ.

XI

რომელი არა შეაჩუენებს არიოზს, ევნომიოსს, საბელიოზს, მაკედონიოსს, აპოლინარის, ორიგენეს, თეოდორეს მომფსუესტელსა, ნესტორს, მოწაფესა მისსა და მათთა მათ წერილთა, და დიოსკოროსს და ევტჳქის და სებეროსს და პეტროზს და ყოველთა მწვალებელთა, რომელნიცა წინააღმდგომ მართლმადიდებლობისა არიან, შეჩუენებულ იყავნ. 24,107.

Деяния вселенских соборов, т. VI, 197

Если кто не анафемствует еретиков: Ария, Евномия, Македония, Аполлинария, Нестория, ненавистного Евтихия, эгеотов Кира и Иоанна, и всех, как им бы то не было образом противоречивших двенадцати главам святейшего Кирилла и умерших в сем заблуждений, и мудрствующих подобно им, да будет анафема.

XII

რომელი არა აღიარებდეს სიტყუასა ღმრთისასა კორცითა ვნებულად და კორცითა ჯუარცუმულად და კორცითა სიკუდილისა გემოჲსმხილველად და პირმშოდ მკუდართა აღდგომისა, და

კირილე ალექსანდრიელი, თორმეტი ანათემატიზმა,185v-186r

ვინცა ვინ არა აღიარებს სიტყუასა ღმრთისასა, ვნებულსა კორცითა და სიკუდილისა გემოჲსმხილველსა კორცითა, პირმშო მკუდართაგან ქმნი-

არა აღიარებდეს ღმრთეებით უვნებელად და ცხორებად ცხოველსმყოფელად, შეჩუენებულ იყავნ. და მათ თანამცა დაშჯილ არს, რომელნი მკლველ იქმნნეს ქრისტესა 24,108.

ლად, ვითარ-იგი ცხოველ არს და ცხოველსმყოფელ, შეჩუენებულ იყავნ.

XIII

ხოლო რომელნი „წმიდაო ღმერთოსა“ შინა ჯუარცუმასა შეურევენ უღმრთოჲსა მის პეტროზისებრ, ანუ უკუდავსა მას სიტყუასა ღმრთისასა იტყჳან მოკუდავად, ანუ სულსა მას მისსა უკუდავსა და სამებასა შინა ოთხებასა შემოიღებენ, შეჩუენებულ იყავნ 24,110.

ეპისტოლე კჳინტიანე ეპისკოპოსისა, 223v

ვინცა ვინ იტყოდის სამწმიდაობისა თანა ჯუარსა თჳნიერ ძისა ღმრთისა განხორციელებულისა, შეჩუენებულ იყავნ.

ვინცა ვინ ოთხებაჲ შემოიღოს სამწმიდაობისა თანა შემდგომად სამებისა დაწესებითა ჯუარცუმულისა ქრისტესითა, შეჩუენებულ იყავნ.

ხოლო ჩუენ ესევითართა მათ, რომელთა „წმიდაო ღმერთოჲსა“ თანა ჯუარცუმაჲ თქუან და სამებასა ოთხებაჲ შეჰმატონ, ანუ უვნებელისა მის და უკუდავისა ბუნებისა ვნებისა მიჩემებაჲ იკადრონ, შევაჩუენებთ და ეშმაკთა თანა შეგჳრაცხიან ბრძანებისაებრ წმიდათა მამათაჲსა 15,13.

ამისთჳსცა შემატებასა მას, რომელი „წმიდაო ღმერთოსა“ შინა ქმნა უკეთურმან მან პეტროს მკაწრვალმან, გმობად შევრაცხთ და შევაჩუენებთ მომპოვნებელთა მათ ესევითარისა გმობისასა, და ყოველთა, რომელნი შეუდგნენ წჳალებასა მისსა. რამეთუ მან უშჯულომან მეოთხე პირი შემოიღო და თჳსაგან განყო ძე ღმრთისაჲ, გუამოვანი იგი ძალი მამისაჲ და თჳსაგან ჯუარცუმული იგი, ვითარმცა სხუა იყო ძლიერისა მისგან კიდე. ანუ თუ ვნებულად შერაცხა ბოროტმან მან წმიდაჲ სამებაჲ და ჯუარცუმულად თქუა ძისა თანა მამაჲ და სული წმიდაჲ 24,1.

მცირე სჯულისკანონი, 47

ესეცა გუეუწყა, ვითარმედ ქუეყანასა მას სომხითისასა და სხუათა რომელთამე სოფელთა გალობასა მას „წმიდაო ღმერთოჲსასა“ ამას დაურთვენ: „წმიდაო უკუდაო, რომელი ჯუარს-ეცჳ ჩუენთჳს. შეგჳწყალენ ჩუენ“, რომელი-ესე ენასა მათსა „ხაჩეცარ“ ითქუმის, რომელ-ესე წმიდათა მამათა მიერ, ქალკიდონს შეკრებულთა, მომპოვნებელისა მის და გამომეტყუელისა თანა განიდევნა სალმრთოჲსა მის გალობისაგან. რამეთუ უცხო იყო წესისაგან ღუთისმსახურებისა და შეიჩუენა ესევითარისა მის სიტყჳსა მეტყუელი პეტროზ მკაწრვალი, რამეთუ მეოთხე პირი შემოიღო და თჳსაგან განყო ძე ღმრთისაჲ, რომელი-იგი არს გუამოვანი ძალი მამისაჲ, და თჳსაგან ჯუარცუმული იგი თქუა, ვითარმცა სხუაჲ იყო ძლიერი იგი და სხუაჲ იყო ჯუარცუმული. ანუ თუ ვნებულად შეჰრაცხა ბოროტმან მან წმიდაჲ სამებაჲ და ჯუარცუმულად თქუა ძისა თანა მამაჲ და სული წმიდაჲ.

XIV

ესეცა საცნაურ იყავნ ყოველთა მორწმუნეთა, ვითარმედ ამისთჳს, რომელ არა განაზავებენ ღჳნოსა თანა წყალსა ერთისა ბუნებისა მეტყუელნი მწვალებელნი, ემხილების მათ, ვითარმედ ერთსა ბუნებასა ღმრთეებისასა ოდენ აღიარებენ ქრისტესსა და კაცებისა მისისა ბუნებასა სრულიად უვარ-ჰყოფენ. ხოლო ჩუენ, მართლმადიდებელნი, ჟამსა მას დიდებულისა ჟამისწირვისასა წყალსა განვაზავებთ ღჳნოსა თანა, რაჲთა გამოვაჩინოთ, ვითარმედ ორთა ბუნებათა ქრისტესთა აღვიარებთ ერთგუამად შეკრებულთა 24,112.

მცირე სჯულისკანონი, 47

უკუეთუ ვინმე ებისკოპოსმან ანუ ხუცესმან არა განზაოს ღჳნოჲ წყლით და ეგრეთ შეწიროს უხრწნელი იგი შესაწირავი, აღ-მცა-ჴოცილ არს,' რამეთუ გარდამავალ არს წესისა მის წმიდათა მოციქულთა და მამათაჲსა და არა სრულებით ჰყოფს ქადაგებასა მას საიდუმლოსა მის საღმრთოჲსასა.

ჩვენს მიერ მოძიებული წყაროების უმრავლესობისაგან განსხვავებით, ეფთვიმეს „წინამძღუარში“ დასტურდება მხოლოდ ანათემები. 14 ანათემა მიმართულია სხვადასხვა სარწმუნოებრივი დოგმის დამრღვევთა წინააღმდეგ. არავითარი სხვა ტექსტი, რომელშიც მოქცევის წესი იქნებოდა განხილული, „წინამძღუარში“ არ დასტურდება. ეს სრულიად კანონზომიერია „წინამძღურისათვის“, როგორც სარწმუნოების არსის გადმომცემი და დამასაბუთებელი ნაწარმოებისათვის. ეფთვიმე 14 შეჩვენებას აყალიბებს მათ წინააღმდეგ, ვინც არღვევს იმ დოგმებს, რომელთა შესახებ ნაწარმოების წინა ნაწილებში იყო საუბარი. ანათემების მიზანდასახულობა პოლემიკურია, რადგან ისინი ემსახურებიან ქრისტიანული ორთოდოქსული დოგმების დაცვას.

„წინამძღუარში“ წამოყენებულ შეჩვენებათაგან რამდენიმეს დაეძებნა პარალელი. რამდენიმე შემთხვევაში ეფთვიმეს „შეჩვენება“ სიტყვასიტყვით ემთხვევა იმ ტექსტს, საიდანაც არის იგი აღებული.

ეფთვიმე მთაწმიდელის I შეჩვენება აღებულია მსოფლიო კრებების აქტებიდან (63, 196). XI შეჩვენებაც იქიდან მომდინარეობს (63, 197), XII შეჩვენება აღებულია I-IV მსოფლიო კრებების აქტებიდან (100, 137).

დანარჩენ შემთხვევაში „წინამძღურის“ შეჩვენებებს სხვა წყაროებთან მხოლოდ საერთო თემატიკა აახლოებს. აქაც და იქაც ერთისა და იმავე დოგმატური საკითხის დარღვევაზე ცხადდება შეჩვენება.

არავითარი საფუძველი არ არსებობს დავუშვათ, რომ ეფთვიმეს „შეჩვენებანი“ ამ წყაროებში არსებული ანალოგიური შინაარსის ადგილების თარგმანს წარმოადგენს. ამ შემთხვევაში ეფთვიმეს მოღვაწეობის ისეთსავე ფაქტთან უნდა გვქონდეს საქმე, როგორიც დადასტურდა მის მიერ შედგენილ აპოკრიფულ

წიგნთა ინდექსში. როგორც გაირკვა, ეფთვიმეს ინდექსი არ იმეორებს არც ერთ დღემდე ცნობილ ინდექსს (ბერძნულს, ლათინურს, სომხურს თუ სხვას) და წარმოადგენს მის ორიგინალურ შრომას (58).

ვფიქრობთ, „წინამძღუარში" არსებული შეჩვენებები თვით ეფთვიმეს მიერ არის დაჯგუფებული. სრული შთაბეჭდილება რჩება, რომ ეფთვიმემ 14-ვე შეჩვენება, გარკვეულ წყაროებზე დაყრდნობით, საკუთრივ შეადგინა. შესაძლებელია მან სხვადასხვა წყაროებიდან შეჩვენებათა თემა, ე. ი. ამა თუ იმ დოგმის დაცვა, ისესხა, მაგრამ შეჩვენების ფორმულირება, ჩვენი აზრით, მას უნდა ეკუთვნოდეს. 14 შეჩვენების ფორმულირებით ეფთვიმემ დასრულებული სახე მისცა მთლიანად „წინამძღუარს".

„წინამძღუარი" სრულიად შეგნებულად ისეა აგებული, რომ მისი კომპოზიცია სრულად ავლენს შემდგენლის, ეფთვიმე მთაწმიდელის, სპეციფიკურ მიზანმიმართულებას, შექმნას წიგნი ქრისტიანული სარწმუნოების ღვთისმეტყველების შესახებ, მიუთითოს ქრისტიანული დოგმების დამრღვევი ძირითადი მწვალებლობა-ცთომილებანი და ანათემათა სახით აჩვენოს მათთან ბრძოლის აუცილებლობა.

## 5. დამასკელის ერთი თხზულების ეფთვიმესეული უცნობი თარგმანი

„წინამძღუარში" გამოყენებულ წყაროთა შორის საგანგებო ყურადღებას იმსახურებს უკანასკნელი, 25-ე თავი, რადგან იგი სრულიად გამორჩეულია სხვა თავებისგან. ამ თავის სახელწოდება ასეთია: „თქუმული მისივე წმიდისა იოვანე დამასკელისაჲ შეზავებულისა და შეერთებულისა ბუნებისათჳს, უთავოთა მიმართ მწვალებელთა".

აღმოჩნდა, რომ „წინამძღურის" ეს ბოლო თავი არის სრული თარგმანი იოანე დამასკელის სულ სხვა თხზულებისა. ეს არის დამასკელის ნაწარმოები „შეზავებულისა ბუნებისათჳს" (85, 111-126).

ეფთვიმეს მიერ ამ წყაროს გამოყენების თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მას იგი სრულად უთარგმნია და არა ფრაგმენტების სახით, როგორც ეს გვაქვს სხვა შემთხვევაში.

ამრიგად, „წინამძღუარში" აღმოჩნდა იოანე დამასკელის ერთი თხზულების სრული თარგმანი, რომელიც აქამდე არ ყოფილა დაფიქსირებული მკვლევართა მიერ. ამ ტექსტის სახით ეფთვიმე მთაწმიდელის თარგმანებს შეემატა კიდევ ერთი ახალი ნაწარმოების თარგმანი.

იმაზე, რომ აქ მთლიან დამოუკიდებელ ნაწარმოებთან გვაქვს საქმე, მეტყველებს სახელწოდებაც „თქუმული მისივე წმიდისა იოვანე დამასკელისაჲ შეზავებულისა და შეერთებულისა ბუნებისათჳს, უთავოთა მიმართ მწვალებელთა".

სახელწოდება ნათლად მეტყველებს, რომ ის არ არის წინა წყაროების გაგრძელება, არამედ ახალი, სხვა ნაწარმოების დასაწყისია.

### წინამძღუარი

25. თქუმული მისივე წმიდისა იოვანე დამასკელისაჲ შეზავებულისა და შეერთებულისა ბუნებისათჳს უთავოთა მიმართ მწვალებელთა

იოანე დამასკელი, „შეზავებულისა ბუნებისათჳს“

როგორც აღვნიშნეთ, ამ ბოლო თავის წყაროა იოანე დამასკელის ერთი თხზულება, რომელიც დამოუკიდებელი ნაწარმოების სახით გამოქვეყნებულია PG-ს 95-ე ტომში, c. 111-126.

ეფთვიმეს თარგმანი საკმაო სიზუსტით მისდევს დედანს. იგი მიმართულია იმათ წინააღმდეგ, ვინც ქრისტეს ერთ შეზავებულ ბუნებას ცნობენ, მთავრდება იგი ქრისტეს შესახებ ჭეშმარიტი ღვთისმეტყველებით.

საფიქრელია, რომ ეს არის ბოლო დამაგვირგვინებელი თავი, რომლითაც შეიკრა „წინამძღუარი“, როგორც ორი ნაწილისაგან შემდგარი ერთი მთლიანი ნაწარმოები: 1 ნაწილი – სარწმუნოების არსის გადმოცემაა, 2 – მწვალებლობათა არსის ჩვენება, რომელშიც შედის შეჩვენებანი. ბოლო თავი სრულდება იმით, რითაც იწყება ნაწარმოები: ქრისტოლოგიური მრწამსის ჭეშმარიტების ჩვენება.

ასე რომ, „წინამძღუარში“ კომპოზიციურად ორი ნაწილი გამოიკვეთა: 1-22 თავები დოგმატიკას ეხება, 23-ე თავი, 24-ის დასაწყისი და 25-ე – ერესებს( 24-ე თავის ძირითადი ნაწილი – ანათემებს).

„წინამძღუარი“ თავისი შედგენილობით სრულიად გამორჩეული ნაწარმოებია და იმდენად ინდივიდუალური, რომ თუ მთარგმნელობითი თავისებურებებით განპირობებულ ორიგინალობასაც გავითვალისწინებთ, ეფთვიმე მთაწმიდელი თამამად შეიძლება ვაღიაროთ მის ავტორ-შემოქმედად.

# თავი IV

## თარგმნის ტექნიკა

### 1. ეფთვიმე მთაწმიდელის თავისუფალი თარგმანი

გარდა კომპოზიციური თავისუფლებისა, რომლითაც ეფთვიმემ შეადგინა ღვთისმეტყველების თავისი სახელმძღვანელო, მან თავის კომპილაციურ საქმიანობაში მკვეთრად გამოავლინა მთარგმნელობითი თავისუფლება და განუმეორებელი ინდივიდუალობა. ეფთვიმე მთაწმიდელის „წინამძღუარი“ შესრულებულია იმ მთარგმენლობითი მეთოდით, რაც ტიპური იყო მწერლისათვის და რომელიც ეფრემ მცირის სიტყვებით შეფასებულია, როგორც „კლებაჲ და მატებაჲ“.

ცნობილია, რომ ეფთვიმემ თავისი სპეციფიკური მთარგმნელობითი სტილი შექმნა, რომელიც ქართულ მწერლობაში ათონური სკოლის სტილით არის ცნობილი. ამ სკოლის ფართო მწიგნობრულ-განმანათლებლური პროგრამიდან გამომდინარე, მისი მთარგმნელობითი სტილი ითვალისწინებდა თხზულებათა ბერძნული ენიდან თარგმნისას მათ განმარტებას, ყოველი აზრისა თუ ცნების თვალსაჩინოებას და ამავე დროს, ბერძნული ტექსტის ერთგულ მიდევნებას.

„წინამძღურის“ ტექსტი შედგენილობის თვალსაზრისით შემდეგი თავისებურებებით ხასიათდება: მთარგმნელის მიერ შემოკლებულია ის წყაროები, რომლითაც მან ისარგებლა. „წინამძღუარი“ შედგენილია ამა თუ იმ წყაროდან ამა თუ იმ თავების, ამა თუ იმ ადგილების ამოკრებითა და კომპილაციით.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოიყოფა თარგმანის ორი ტიპი: თავისუფალი ანუ დინამიკურ-ეკვივალენტური და ზუსტი ანუ ფორმალური (68; 70; 71).

პირველ შემთხვევაში მთარგმნელი მკითხველზეა ორიენტირებული. იგი ცდილობს, ორიგინალში ნაგულისხმევი აზრი მკითხველს გასაგებად მიაწოდოს, დედნის ფორმობრივი და შინაარსობრივი სტრუქტურა დაუმორჩილოს თარგმანის ენის ბუნებრივ-გამომხატველობით საშუალებებს. ამიტომაც თარგმანი ბუნებრივია, ბუნდოვანებისგან დაზღვეული. თავისუფალ თარგმანში უმცირეს სათარგმნ ერთეულად აღებულია წინადადება, ფრაზა, ან ტექსტის მთელი მონაკვეთი. მთარგმნელი არ ცდილობს ზუსტად გადმოსცეს ყოველი სიტყვა, არ შეიშჩნევა ტერმინთა სტაბილურობა. იგი აკეთებს შინაარსობრივ თარგმანს. აქ უმცირესი სათარგმნი ერთეულის (ეს იქნება წინადადება, ფრაზა თუ მონაკვეთი) აზრია გადმოცემული (70,4-6).

ზუსტი ანუ ფორმალური თარგმანის შემთხვევაში კი მთარგმნელი ცდილობს ზედმიწევნითი სიზუსტით გადმოიღოს სათარგმნი ტექსტის შინაარსიც, ფორმაც, შექმნას დედნის სარკისებური გამოსახულება. მთარგმნელი ორიენტირებულია ტექსტზე და არა მკითხველზე. ზუსტი ანუ სიტყვასიტყვითი თარგმანის შემთხვევაში მთარგმნელი უმცირეს სათარგმნ ერთეულად იღებს ცალკეულ სიტყვას, ცდილობს ცალკეულ ტერმინს ერთი მყარი შესატყვისი შეუსაბამოს, შეინარჩუნოს ორიგინალის სიტყვათა წყობა, გრამატიკული კონსტრუქციები (70,4-6; 71,81-87).

შენიშნულია, რომ თარგმანთა ასეთი დაყოფა მაინც ხელოვნურია. დინამიკური და ფორმალური ჯგუფის თარგმანთა შორის შეიძლება გარდამავალი საფეხურებიც არსებობდეს. სინამდვილეში ბოლომდე არც ერთი თარგმანი არ არის ზედმიწევნით ზუსტი ან ზედმიწევნით თავისუფალი (70,82-87, 68,280). საჭიროა, განსახილველ თარგმანს მივუდგეთ მთარგმნელის პოზიციით (68,283).

ეფთვიმეს მიერ შედგენილი „წინამძღურის“ შედარებამ ბერძნულ ტექსტებთან გვიჩვენა, რომ იგი ბერძნულ ორიგინალს საკმარისად თავისუფლად თარგმნის.

იგი ცდილობს, სხვადასხვა მთარგმნელობითი ხერხის გამოყენებით მკითხველს გაუადვილოს ორიგინალის აზრის გაგება, ორიგინალის ტექსტი თარგმანის მკითხველისათვის გასაგები და ბუნებრივი ფორმებით გადმოსცეს.

ამდენად, ეფთვიმეს თარგმანი თავისუფალი თარგმანია, საპირისპიროდ ფორმალურ-ეკვივალენტური თარგმანისა, რომელიც დედნის ზუსტ, სიტყვა-სიტყვით თარგმანს წარმოადგენს და რომლის მიმდევრები იყვნენ ეფრემ მცირე და გელათური სკოლის მოღვაწენი.

მთარგმნელობითი ტექნიკა, რომლითაც შესრულებულია „წინამძღუარი“, ძალზე მრავალმხრივია. ამოუწურავია ის მთარგმნელობითი, ენობრივი, სტილისტური ხერხები, რომელთაც იყენებს ეფთვიმე „წინამძღურის“ თარგმნისას.

„წინამძღურის“ ქართულ თარგმანს ძირითადად ახასიათებს ორგვარი სახის ცვლილებები ორიგინალის ტექსტთან მიმართებით:

ა. დიდი კომპოზიციური ცვლილებები, რომლებიც ვლინდება ტექსტის დიდი მონაკვეთების მატებასა და კლებაში. ამგვარი ცვლილებები ჩვენს მიერ განხილულია წინა, მე-2 თავში „წინამძღურის“ შედგენილობასთან დაკავშირებით.

ბ. ცვლილებები, რომლებიც ვლინდება ტექსტის თარგმნილ ნაწილში. ამ სახის ცვლილებებიც თავისთავად რამდენიმე სახისაა: მატება, კლება, სტილისტური ცვლილებები და ა. შ.

ტექსტის თარგმნილი ნაწილი, თამამად შეიძლება ითქვას, რომ საუკეთესო ნიმუშია თავისუფალი თარგმანისა. ეფთვიმე მთაწმიდელი სრულ ორიგინალობას იჩენს ბერძნული დედნის თარგმნის პროცესში იმ თვალსაზრისით, რომ საკუთარი აზრითა და შეხედულებებით, საკუთარი განწყობით უდგება სათარგმნ ტექსტს. მთარგმნელის თავისუფლება, ერთი-ორი შემთხვევის გარდა, არასდროს არ ეხება

დედნის აზრობრივ მხარეს. ეფთვიმე მუდამ ერთგულია ბერძნული დედნისა მისი აზრის ზუსტად გადმოცემის საკითხში. თავისუფლება ეხება არა შინაარსს, არა რაიმე აზრს, არამედ ამ აზრის გამოხატვის, მათი უკეთ გადმოცემის საშუალებებს. ეს ცვლილებები მიმართულია ტექსტის მაქსიმალურად შემოკლებისკენ, პარალელურად კი — გავრცობისკენ მისი შინაარსის შეუცვლელად. ამ მხრივ ეფთვიმეს მთარგმნელობითი საშუალებანი, მართლაც, რომ ძალზე ფართო და მრავალმხრივია. ეფთვიმე, როგორც მთარგმნელი, თავისუფლად ერევა დედნის ტექსტში და სხვადასხვა კუთხით წარმოაჩენს მას: ა) მთარგმნელი ავრცობს ტექსტს, ჩასვამს მთელ რიგ სიტყვებს და ფრაზებს; ბ) ამოკლებს დედნისეულ ტექსტს; გ) ქართული ენობრივ-გრამატიკული ნორმებიდან გამომდინარე, ამარტივებს დედნის რთულ აზრობრივ პასაჟებს ადვილად გაგების მიზნით, აიოლებს ტექსტს; დ) არღვევს წინადადებათა იმ თანმიმდევრობას, რაც დედანშია; ე) დედნისგან განსხვავებით, აკეთებს თავისებურ გადაბმებს ტექსტში; უშვებს გამეორებებს; ვ) ზოგჯერ აკონკრეტებს ამა თუ იმ აზრს; ზ) ერთი სიტყვით ან ფრაზით გამოხატავს საკუთარ განწყობას, იძლევა დედნის ამა თუ იმ აზრის შეფასებას.

ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, როცა თარგმანში, ერთი შეხედვით, დედნისაგან განსხვავებული ტექსტობრივი წაკითხვა გვაქვს, ეს განსხვავება ემსახურება დედნისეული აზრის უკეთ გამოხატვისა და ქართველი მკითხველისათვის მეტი სიცხადით მიწოდების მიზნებს. ამ მხრივ ეფთვიმეს თარგმანი ვირტუოზულად არის შესრულებული. თარგმანის ტექსტი აზრობრივად მაქსიმალურად გასაგები და მარტივია. და ამავე დროს გამომხატველობითი ეფექტურობითაც გამოირჩევა.

## 2. ტექსტის გავრცობა

ყველაზე უფრო ხშირ და სისტემატურ ხასიათს ატარებს სათარგმნი ტექსტის გავრცობა. ეფთვიმეს მიერ გამოყენებული დედნისეული ტექსტი სისტემატურად გავრცობილია ამა თუ იმ წყაროს ბერძნულ დედანთან მიმართებით. პარალელური კონტექსტების ეფრემისა და არსენის თარგმანებთან შეპირისპირებით ნათლად ვლინდება, რომ ეფთვიმეს მიერ ტექსტის გავრცობა ძალზე ფართო და მრავალმხრივ ხასიათს ატარებს.

ტექსტი გავრცობილია ხან ერთი სიტყვით, ხან მთელი ფრაზით, ხან ვრცელი მსჯელობაა ჩართული და ყველგან გავრცობის მიზანი ერთია: გააღრმავოს ბერძნული წყაროს აზრი, იგი გასაგები გახადოს ქართველი მკითხველისათვის.

ამ საერთო მიზანდასახულობასთან ერთად აშკარად ვლინდება მეორე პლანიც ქართული თარგმანისა. ტექსტის გავრცობაში თვალნათლივ იხატება მთარგმნელის პიროვნული დამოკიდებულება ამა თუ იმ საკითხის მიმართ, მისი,

როგორც მოაზროვნისა და მწერლის, პოზიცია მთელი რიგი სარწმუნოებრივ-საღვთისმეტყველო პრობლემების მიმართ. მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ თითოეული მეტობა მწერლის ლიტერატურული თუ კონფესიონალური შეხედულებების გამომხატველია. ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ტექსტის მეტობას თავისებური მოტივირება აქვს, რაც მთლიანობაში ქმნის ეფთვიმე მთაწმიდელის ლიტერატურულსა და მთარგმნელობით კრედოს, მისი მოღვაწეობის განუმეორებელ სტილს.

ტექსტის გავრცობანი სხვადასხვა ხასიათისაა:

ა) უპირველეს ყოვლისა, აღვნიშნავთ ტექსტის გაერცობის ისეთ შემთხვევებს, როცა ორიგინალის ესა თუ ის სიტყვა სინონიმური ან ახლოს მდგომი მნიშვნელობის სიტყვებით არის გავრცობილი. ქართულ თარგმანებში ცალკეული ბერძნული სიტყვების ორი ან მეტი შესატყვისით გადმოტანა სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილი ფაქტია. (3,054-060; 4,062-062; 22,124; 47,41; 8,453-456). რაკი „ბერძნული ენა უფსკრულ ღრმა არს" და ერთ სიტყვას ხშირად უამრავი მნიშვნელობა აქვს, მთარგმნელი მართებულად თვლის, რომ ორიგინალის სიტყვა ორი ან მეტი შესატყვისით გადმოსცეს. კ. დანელიას სიტყვებით, „ამ ხერხს მთარგმნელი მაშინ მიმართავს, როცა თარგმანში დედნისეული სიტყვის ფარდი ერთეულის კონტექსტური მნიშვნელობა საჩოთიროა, არასტაბილურია, ნაკლებ ეკვივალენტურია. მცირე სინონიმური ერთეულის მოხმობით კი მეტ ეკვივალენტურობასთან ერთად მხატვრული ეფექტიც მიიღწევა. მეორეც, მთარგმნელი ანგარიშს უწევს არა მარტო თავისი ენობრივი წრის (დიალექტის) წარმომადგენელთ, არამედ სამწერლო ენის მომხმარებელ მთელ საზოგადოებას. ამიტომ ის თავიდან შერჩეულ ერთეულს, რომელიც პირველ ყოვლისა, მისთვის ახლობელი სამეტყველო რეგიონიდანაა აღებული, გვერდში უყენებს სინონიმურ სიტყვას, თავისსავე, ან უფრო სხვა დიალექტური წრისას, რომლითაც არამარტო ზუსტდება გადმოსაცემი ერთეულის შინაარსი, არამედ უფრო გასაგებიც ხდება სხვადასხვა დიალექტის წარმომადგენელთათვის" (8,453).

მოვიტანთ მაგალითებს[3]:

---

[3] ეფთვიმეს თარგმანის თავისებურებათა წარმოჩენისას ვიფარგლებით თითო-ოროლა ნიმუშით. შესადარებლად, რა თქმა უნდა, მოგვაქვს ბერძნული დედნის სათანადო ადგილი და პარალელურად ვუთითებთ იმავე ადგილებს „გარდამოცემის" ეფრემ მცირისა და არსენ იყალთოელის თარგმანების მიხედვით. ვსარგებლობთ შემდეგი გამოცემებით: 1) Patristische texte und studien, B.12 ; Die Schriften Des Johannes von Damaskos,῾Εκδοσις ἀκριβὴς τῆς ὀρθοδόξου πίστεως (Expositio Fidei), besorgt von P. Bonifatius Kotter O.S.B., Berlin-New York, 1973. 2). Patrologia Graeca, ed. J.P.Migne, t. 35,36,89,93,94,95,96. 3). წმ. იოანე დამასკელი, მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა, გამოსაცემად მოამზადეს რომან მიმინოშვილმა, მაია რაფავამ, ედიშერ ჭელიძემ, თბილისი, 2000. E-თი აღნიშნულია ეფთვიმე მთაწმიდელის თარგმანი, M – ეფრემ მცირის, I – არსენ იყალთოელის, S – ანასტასი სინელის „წინამძღუარი".

Ὅτι μὲν οὖν ἕτερόν ἐστιν οὐσία καὶ ἕτερον ὑπόστασις 116,2

E: ხოლო ესე საცნაურ არს, ვითარმედ სხუაჲ არს არსებაჲ და ბუნებაჲ და სხუაჲ არს გუამი და თჳთებაჲ და პირი 12,16.

MI: აწ უკუე ვითარმედ სხუაჲ ვიდრემე არს არსებაჲ და სხუაჲ გუამი 156, 78 r II. ეფთვიმეს ერთი ბერძნული ტერმინი οὐσία ორი შესატყვისით (არსება და ბუნება), ხოლო მეორე ტერმინი ὑπόστασις სამი ქართული შესატყვისით (გუამი, თჳთება, პირი) გადმოაქვს.

ეფთვიმე პლეონასტურ წყვილს იყენებს სათაურისეული სიტყვის გადმოსაღებად;

Ἀπόδειξις, ὅτι ἔστι θεός 10,1

E: გამოჩინებაჲ და დამტკიცებაჲ, ვითარმედ ჭეშმარიტად არს ღმერთი 3

MI: გამოჩინებაჲ, ვითარმედ არს ღმერთი 36,54vII

ὑπερουσίος (142,124)

E: „უზეშთაეს ყოვლისა სიტყჳსა და არსებისა 18,16.

M: უზეშთაეს არსებათაჲსა 185,93vI,

I: ზესთა არსება 185,83 rII.

სინონიმური ან მნიშვნელობით ახლოს მდგომი სიტყვები ხშირადაა საღვთისმეტყველო შინაარსის მსჯელობებში. მთარგმნელის მრავალსიტყვაობა სარწმუნოებრივი გატაცებითა და საღვთისმეტყველო აზრის თვალსაჩინოდ წარმოდგენის სურვილით ჩანს განპირობებული. დედნის ერთ საღვთისმეტყველო დეფინიციას ეფთვიმე სხვა დეფინიციებს უმატებს. დედანში არსებული ღვთის ერთი სახელის გვერდით იგი ღვთისმეტყველებაში ცნობილ სხვა სახელებს ჩართავს თავის თარგმანში.

Ἐν ἀρχῇ ἦν ὁ Θεὸς, καὶ ὁ Θεὸς ἦν ἐν ἀρχῇ, καὶ πρὸ ἀνάρχου ἀρχῆς ἦν ἀεὶ, καὶ ἔστι, καὶ ἔσται, ὁ Θεός PG 89 c.93, B3-5

E: რამეთუ პირველითგან იყო ღმერთი დაუსაბამოდ უწინარეს ყოველთა საუკუნეთა, სანატრელი იგი ბუნებაჲ, უშურველი იგი სახიერებაჲ, საწადელი იგი შუენიერებაჲ, დასაბამი ყოველთა არსთაჲ, წყაროჲ ცხორებისაჲ, მიუაჩრდილებელი ნათელი, თუალთშეუდგამი იგი სიბრძნე 23, 3.

C: დასაბამად იყო ღმერთი და ღმერთი იყო დასაბამად და პირველ დაუსაბამოჲსა და დასაბამისა. იყო მარადის და არს და იყოს ღმერთი S1463, 9r.

მოტანილი კონტექსტი აღებულია ანასტასი სინელის „წინამძღურიდან“. არც ბერძნულ ტექსტში, არც თხზულების არსენისეულ თარგმანში ღვთის ეპითეტები არ გვხვდება. ეფთვიმე ავრცობს სარწმუნოებრივი განწყობის ასამაღლებლად, რათა მკითხველმა ირწმუნოს ღვთის ყოველივეზე აღმატებულება, მისდამი სასოება.

ეფთვიმესთან გვხვდება ჰენდიადისური ტიპის წინადადებები, ანუ როცა მთარგმნელს ორიგინალის ერთი წინადადება ორი სინონიმური წინადადებით გადმოაქვს ἀγνοοῦμεν καὶ λέγειν οὐ δυνάμεθα 10,36

E: ესე საიდუმლონი უცნაურ არიან ჩუენგან, ვერცა გონებითა მივსწუდებით გულისკმისყოფად და ვერცა ენით შესაძლებელ ვართ გამოთქუმად 2,7

M: ამის ყოვლისა ცნობად და თქუმად უღონო ვართ 36,37rl

I: უმეცარ ვართ და თქუმად ვერ ძალ-გჳც 36,54 v l

მსგავსი შემთხვევა ეფრემ მცირის თარგმანებში დადასტურებული აქვს ნ. მელიქიშვილს (23,232).

ბ) სამეცნიერო ლიტერატურაში შემჩნეულია, რომ ეფთვიმეს თარგმანში თავისებურ სტილს ქმნის ხშირი გამოყენება ისეთი წინადადებებისა, სადაც წინადადების ორი ან მეტი წევრი ერთნაირი ხმოვნების შემცველი, ერთი ძირიდან წარმოქმნილი სიტყვაა. (4,058) ამ სტილური ხერხის წყალობით თხრობა უფრო დინამიური და ემოციური ხდება:

ὡ αὐτὸς ἀπεκάλυψεν 7,11

E: რომლისა მას უნდეს გამოცხადებად, გამოუცხადოს 1,4

M: მანვე გამოუცხადა 33,36rl

I: თჳთ გამოუცხადა მან 33,54rl

გ) გვაქვს ტექსტის გავრცობის ისეთი შემთხვევები, როცა დედნის ამა თუ იმ ფრაზას ან სიტყვას მთარგმნელი უმატებს საილუსტრაციო, განმარტებითი ხასიათის სიტყვას ან ფრაზას. ამის წყალობით ამა თუ იმ აზრს თარგმანში უფრო დასრულებული სახე აქვს, ვიდრე ორიგინალში. აშკარად იგრძნობა მთარგმნელის მიზანი, განმარტოს, სრულად გამოაჩინოს ის მნიშვნელობა, ის აზრი, რაც აქვს დედნის სათანადო ადგილს, გაუადვილოს მკითხველს მსჯელობის ძირითადი აზრის გაგება, ამაზე გაამახვილოს მისი ყურადღება.

Πάντων συνεκτικὴν καὶ συντηρητικήν, πάντων προνοητικήν, πάντων κρατοῦσαν καὶ ἄρχουσαν καὶ βασιλεύουσαν ἀτελευτήτῳ καὶ ἀθανάτῳ βασιλείᾳ 18,8-11

E: ყოველთა მპყრობელი და მფარველი, ყოველთა განმგებელი, ყოველთა უფალი და მეუფე, უკუდავი და დაუსრულებელი, რამეთუ სუფევისა მისისაჲ არა არს დასასრული 5,4.

M: ყოველთა მპყრობელ და მთავარ და მეუფე დაუსრულებელითა და უკუდავითა მეუფებითა 45,40vII

I: ყოველთა მპყრობელი და მფლობელი და მეუფე დაუსრულებელითა და უკუდავითა მეუფებითა 45,56 vII

ეფრემი და არსენი ტოვებენ ღვთის სახელებს. ეფთვიმე კი განმარტების მიზნით, თუ რატომაა ღმერთი დაუსრულებელი, ავრცობს კონტექსტს.

παραγενήσεται πάλιν εἰς ὕστερον 9,30-31

E: და კუალად, მოსლვად არს განკითხვად ცხოველთა და მკუდართა 2,6

M: და კუალად, უკუანაჲსკნელ მომავალ არს 36,37l

I: და კუალად, მოსლვად არს უკუანაჲსკნელ 36,54vII

ეფთვიმე ავრცობს, განმარტავს ქრისტეს მეორედ მოსვლის მიზანს. აქ სახარებისეული აზრის გავრცობაა.

დ) საინტერესოა გავრცობის ისეთი შემთხვევები, რომლებიც სამეცნიერო ლიტერატურაში „სიტუაციური გავრცობის“ სახელით არის ცნობილი. აზრის ნათელსაყოფად ეფთვიმე უმატებს სიტყვას ან ფრაზას, რაც დედნის ტექსტში არ დასტურდება, მაგრამ იგულისხმება, ანუ „პოტენციურად მათი არსებობა საგრძნობია ტექსტუალური სიტუაციით. ასეთ შემთხვევაში ქართველი მთარგმნელი უმატებს (უკეთ აღადგენს) კონტექსტში რეალურად საგულვებელ სიტყვებს, რითაც წინადადების აზრს დედანთან შედარებით არა მარტო მკაფიოსა და კონკრეტულს ხდის, არამედ წინადადების კომპონენტებს შორის გარკვეული ლოგიკური და რიტმული ორგანიზებაც შეაქვს“ (8,456).

აქ გასათვალისწინებელია ისეთი შემთხვევები, რომლებიც ბერძნული ენის გრამატიკული თავისებურებებით არის განპირობებული (მაგალითად მიმღეობური კონსტრუქციაა და არ არის ზმნა ან მსაზღვრელ-საზღვრულის სინტაგმა წარმოდგენილია მხოლოდ მსაზღვრელით და არ არის საზღვრული.

καὶ ἁπλῶς εἰπεῖν τελείως ἐχούσαις κατὰ τὸν ἑκάστῃ πρέποντα ὅρον τε καὶ λόγον 9,26-27.

E: სრულითა თითოეულისაებრ ორთა მათ ბუნებათა წესისა და სიტყჳსა 2,5

M: რაჲთა მარტივად ვთქუა, ვითარმედ სრულებით აქუს მას ორთავე მათ საზღვარი და სიტყუაჲ შემსგავსებული 35, 37rI

I: მარტივად ითქუმოდენ, სრულებისა მქონებელთა თჳთოეულისადა შესატყჳსთაებრ საზღვართა და სიტყუათა 35,54vI

ეფთვიმემ ფრაზაში დააკლო დანართი ἁπλῶς εἰπεῖν, სანაცვლოდ დაამატა ის მართული მსაზღვრელი, რომელიც ბერძნულში არაა, მაგრამ იგულისხმება.

განსაკუთრებით საყურადღებოა ისეთი შემთხვევები, რომლებიც კონფესიონალური შეხედულებებით არის განპირობებული, როცა ესა თუ ის მსჯელობა, რომელიც ლაკონურად, შეკუმშულად არის დედანში, გავრცობილია იმ სიტყვებით, რომლებიც სარწმუნოებრივად იგულისხმება, ფრაზა გავრცობილია ღვთისმეტყველური გაგებით.

Ταῦτα ἡμεῖς στέρξωμεν καὶ ἐν αὐτοῖς μείνωμεν μὴ μεταίροντες ὅρια αἰώνια μηδὲ ὑπερβαίνοντες τὴν θείαν παράδοσιν 8,26-28

E: <u>ესე წესი და ესე სიტყუაჲ</u> დავიმარხოთ და ნუ შევსცვალებთ საზღვართა საუკუნეთა, ნუცა გარდავჰკდებით წესთა მათ საღმრთოთა I,8

M: ამას ზედა უკუე ჩუენ განვმტკიცნეთ და ამათ შინა ვეგნეთ, ნუ გარდავჰკდებით საზღვართა საუკუნოთა, ნუცა ზეშთა აღვჰკდებით წესთა ღმრთივმოცემულთა 34,36r II

I: ესენი კმა-ვიყვნეთ ჩუენ და ამათ შინა ვეგნეთ. ნუ შევსცვლით საზღვართა საუკუნეთა, ნუცა ზესთა აღვჰკდებით საღმრთოთა მოცემათა 34,54r II

ეფთვიმეს მიერ ბერძნული ფრაზა გავრცობილია იმ სიტყვებით (<u>წესი და საქმე</u>), რაც იგულისხმება კონტექსტში.

οὐδὲν περαιτέρῳ τούτων ἐπιζητοῦντες 7,21-22

E: უმეტესსა მათ მიერ ქადაგებულისასა არას ვეძიებთ I,6 ·

M: არღარას უმეტესსა მათსა ვეძიებთ 34,36r II

I: არარაჲს მიერ კერძო მათსა მეძიებელნი 34,54r I

ეფთვიმე ამატებს სიტყვას „ქადაგებულისასა“, რაც იგულისხმება კონტექსტის მიხედვით.

Πῶς ἐκ Θεοῦ Θεὸς γεγένηται 9,32

E: ვითარ იშვა ღმრთისაგან მამისა ღმერთი ძე II,7

I ვითარ იშვების ღმრთისაგან ღმერთი 36,54vI

M: ვითარ არს შობაჲ და გამოსლვაჲ ღმრთისაჲ ღმრთისაგან 36,37vI

ეფთვიმემ საღვთისმეტყველო დოგმატში (ღმერთისაგან ღმერთის შობა) ჩაუმატა ის სიტყვები, რომლებიც იგულისხმება. მან ხაზი გაუსვა, რომ აქ მამისაგან ძის შობაზეა საუბარი. ამით მკითხველისთვის უფრო ადვილი აღსაქმელია ის, თუ რა იგულისხმება ღვთის ორჯერ დასახელებაში.

ე) გარდა ორიგინალში ნაგულისხმევი ცალკეული სიტყვების ან ფრაზის ჩართვისა, ეფთვიმე თავის თარგმანში საკუთარი შეხედულებებით ჩართავს საკმაოდ დიდ პასაჟს, რომელიც აშკარად აზრობრივ მეტობას წარმოადგენს.

E: ესრეთ არიან თჳთებანი ესე სამგუამოვნისა წმიდისა სამებისანი არსებით და ბუნებით განუყოფელისა ერთღმრთეებისანი, ვითარცა მადლითა სულისა წმიდისაჲთა გუასწავეს წმიდათა მოციქულთა და ღმერთშემოსილთა მამათა 5,36

ეს საღვთისმეტყველო პასაჟი მხოლოდ ეფთვიმესთან გვხვდება. იგი ზემოთ თქმული აზრის გასაცხოველებლად აკეთებს დასკვნას, იმოწმებს წმინდა მამებს. ასეთივე სახის მატებას წარმოადგენს შემდეგი კონტექსტი:

E: სახიერმან მან და ყოვლად ტკბილმან ღმერთმან გარდამატებულითა მით სახიერებითა სათნო იყო ქმნაჲ დაბადებულთაჲ მხილველად სახიერებისა მისისა. ამისთჳს არაარსისგან არსებად მოიყვანნა ყოველნივე უხილავნი და ხილულნი, და უხილავისაგან და ხილულისა შემზადებული კაცი 6,2

ვ) ზოგიერთი გავრცობა ნათქვამის განმარტებას, ილუსტრირებას კი არ წარმოადგენს, არამედ დედანში გამოთქმული აზრის გაშლაა, შევსებაა რაიმე საღვთისმეტყველო აზრთან მისი ანტითეზის დაპირისპირებით.

θανάτου καὶ ταφῆς πεῖραν ἐδέξατο 9,29

E: სიკუდილი თავს-იდვა და დაეფლა ბუნებითა კაცებისაჲთა. ხოლო ღმერთეებაჲ უვნებელად ეგო 2,6.

MI: სიკუდილისა და დაფლვისა გამოცდილებაჲ მიითუალა 36,37rI

ეფთვიმე ავრცობს საღვთისმეტყველო აზრს. იგი ამტკიცებს, რომ ჯვარცმისას ღვთაება არ ვნებულა. რაკი „წინამძღუარი“ გათვლილია საღვთისმეტყველო თეოლოგიაში გაუწაფავი მკითხველისთვის, ეფთვიმე ამ საკითხს არა ერთხელ უბრუნდება. იგი ხსნის, რომ ქრისტეს ერთ გვამში ორი არსება იყო: ერთი „მარადის უმიზეზოდ მყოფი მამისაგან, ხოლო მეორე — უკუანაჲსკნელქმნილი კაცთმოყუარებისათჳს“. ჯვარს ეცვა კაცობრივი ბუნება ქრისტესი. მისი

ღვთაებრივი ბუნება რომ ვნებულიყო, წმიდა სამებაც ვნებულად შეირაცხებოდა, რაც სრულიად მიუღებელია მართლმადიდებლური მრწამსისთვის.

ზ) საყურადღებოა, რომ თარგმანში საღვთისმეტყველო ხასიათის მეტობები ძალიან ხშირად ინფორმაციულ ხასიათს ატარებს. მთარგმნელი, დედნისგან განსხვავებით, უთითებს, ასახელებს იმ წყაროებს, საიდანაც არის აღებული ამა თუ იმ კონტექსტში გაცხადებული აზრი. წყაროდ მთარგმნელი ასახელებს წმ. წერილებს, ცნობილ წმ. მამათა ქადაგებებს, სწავლანს.

Ὅτι μὲν οὖν ἔστι Θεός, δῆλον 12,2

E: აწ უკუე სწავლისაგანცა წერილთაჲსა და საქმეთაგანცა ბუნებითთა უწყით, ვითარმედ არს ჭეშმარიტად ღმერთი ყოველთა დამბადებელი და მპყრობელი და განმგებელი. ესე უცილობელად საცნაურ არს 4,1

M: აწ უკუე ესე საცნაურ არს, ვითარმედ არს ღმერთი 39,38rII

I: რამეთუ ვითარმედ არს უკუე ღმერთი, ესე ცხად არს 39,55vI.

ღვთის არსებობის დასამტკიცებლად ეფთვიმე იყენებს საღვთო წერილს და საეკლესიო ცხოვრების ნორმებს, ღვთის ატრიბუტებს ავრცობს დამატებითი საღვთო სახელებით: „ყოველთა დამბადებელი“, „მპყრობელი“, „ყოველთა განმგებელი“.

თ) ზოგ შემთხვევაში ერეტიკული შეხედულებების კრიტიკა საკმაოდ საინტერესო ბიოგრაფიული მომენტებითა და ანტითეტური დებულებებით არის გავრცობილი ეფთვიმეს მიერ.

Μετὰ οὺν δέκα τινὰς χρόνους ἀνεφύη Εὐτύχιός τις ἀρχιμανδρίτης ἐν Κωνσταντινουπόλει, ἐξ οὐρανοῦ λέγων κατεληλυθέναι τὸ σῶμα τοῦ Χριστοῦ καὶ ἑτεροούσιον ἡμῶν αὐτὸ εἶναι, καὶ μίαν φύσιν τὸν Χριστὸν ὅλον τυγχάνειν PG 89 c. 100, d 3-7

E: ხოლო ვინაჲთგან მადლითა ღმრთისაჲთა ნეტარისა კჳრილეს მიერ შეიჩუენა და განვარდა ბილწი იგი, შემდგომად რავდენთამე ჟამთა გამოჩნდა კოსტანტინოპოლის მონაზონი ვინმე უღმრთოჲ, არქიმანდრიტი მონასტრისაჲ, რომელსა ეწოდებოდა დალმატისი და სახელი უშჯულოჲსა მის მონაზონისაჲ იყო ევტჳქი. ამან უკეთურმან აღმოიკითხნა წიგნნი მანიქეველთანი და ვალენტიანელთანი და მარკიანელთანი და არიანოზთანი და მათგან ისწავა ყოველივე ბოროტი, ამისთჳსცა აღმოსთხია მწჳრისა მისგან გულისა მისისა სიმყრალე ბოროტი და იტყოდა, ვითარმედ საოცრად იყო განკაცებაჲ ქრისტესიო. ამისთჳსცა არა შეიწყნარებდა, არცა აღიარებდა იგი ორთა ბუნებათა ქრისტესთა, არამედ ერთსა ბუნებასა იტყოდა ღმრთეებისა და კაცებისა მისისასა, და წმიდასა მას ქალწულსა არა აღიარებდა ღმრთისმშობელად, არამედ საოცრად იტყოდა მისგან შობასა მას ქრისტეს ღმრთისა ჩუენისასა 23,19–20.

S: ხოლო შემდგომად ათთა რათმე წელთა აღმოსცენდა ევტჳქი ვინმე კონსტანტინეპოლის, რომელი ზეცით გარდამოსრულად იტყოდა კორცთა ქრისტესთა და სხუა არსად ყოფად მათ და ყოვლითურთ ერთბუნებად ყოფასა ქრისტესსა 10r.

ეფთვიმე ევტიქიანელთა ერესს უფრო მკვეთრად აკრიტიკებს, უფრო მკაცრად უპირისპირებს მათ შეხედულებებს ორთოდოქსალურ საღვთისმეტყველო დებულებებს, აცხადებს, რომ ევტიქი არ ცნობდა მარიამის ღვთისმშობლობას (ასახელებს წყაროებს, რომლითაც იკვებებოდა ევტიქის ერესი).

ი) ეფთვიმე ავრცობს დედნის იმ ადგილებს, რომლებშიც მწვალებელთა შეხედულებების კრიტიკაა მოცემული. იგი საკუთარი პოზიციის გამომხატველი ტენდენციური ჩანართით ცდილობს, მკითხველი აარიდოს მწვალებლობის მთხრებლს.

E: ეჰა, მისი [იგულისხმება ნესტორი] იგი უშჯულოებისა სიცბილი! 23,18

კ) მთელი ნაწარმოების მანძილზე ეფთვიმე, დედნისგან განსხვავებით, განსაკუთრებით ვრცლად მსჯელობს სამგუამოვანი ღვთის ერთარსებობის შესახებ. წმინდა სამების ერთარსებობა ხომ ქრისტიანული მოძღვრების ერთ-ერთი საკვანძო საკითხია, რასაც ხშირად ეჭვქვეშ აყენებდნენ მწვალებლები. ამ საკითხს ეფთვიმე არაერთხელ უბრუნდება როგორც „წინამძღურის" სარწმუნოებრივი არსის გადმომცემ ძირითად ნაწილში, ისე ანათემებში (I და II ანათემა). როგორც ჩანს, ჯერ კიდევ ნიკეის მსოფლიო კრებაზე დასმული პრობლემა (წმ. სამების ერთ პირად და ერთ ბუნებად (საბელიოსი და მისი მიმდევრები) ან სამ პირად და სამ არსებად (არიოზი და მისი მიმდევრები) შერაცხვის უარყოფისა ისევ აქტუალური რჩება ეფთვიმეს „წინამძღურის" თარგმნის დროისთვისაც. ასევე გავრცობილია თარგმანში წმ. ქრისტოლოგიური ხასიათის მსჯელობები.

E: ოდეს ერთი სამგუამოვნებისა მისგანი მოვიგონო, სრულსა ღმერთსა ვიცნობ, სრულსა არსებასა. ხოლო ოდეს სამნივე შევაერთნე, ერთი ღმერთი ვიცი სრული, სამთა სრულთა შინა ერთი სრული, განუყოფელი და შეურწყუმელი. ხოლო ოდეს ურთიერთას სამგუამოვნებისა თჳსებაჲ გულისკმა-ვყო, უწყი მამაჲ, პირველი მიზეზი და წყაროჲ სახიერებისაჲ, რომლისაგან იშვა დაუსაბამოდ ძე და სიტყუაჲ ღმრთისაჲ, სიბრძნე და ძალი, ღმერთი სრული, სრულისაგან გუამოვნებისა სრული გუამოვნებაჲ იშვა, ვითარცა მან მხოლომან უწყის მშობელმან და შობილმან. და სული წმიდაჲ გამოვიდა მამისაგან არა შობით, არამედ გამოსლვით. ხოლო თუ რაჲ არს შობაჲ იგი ანუ გამოსლვაჲ, მან თავადმან უწყის—მამამან და ძემან და სულმან წმიდამან და სხუამან არავინ 5, 30-31

დედანში ეს საკმაო მოცულობის მონაკვეთი არ დასტურდება.

## 3. ტექსტის შემოკლება

ტექსტის გავრცობასთან შედარებით ტექსტის შემოკლება იშვიათია ეფთვიმეს თარგმანში. ჩვენ, რასაკვირველია, ამ შემოკლებებში არ ვგულისხმობთ ისეთ შემთხვევებს, რომლებიც ტექსტის შედგენილობისა და კომპოზიციის მიზნით მთელი რიგი ადგილების გამოკრებას ეხება. ამ სახის კლებაზე საუბარი გვქონდა ჩვენი გამოკვლევის მე-2 თავში, სადაც შედგენილობას ვეხებოდით. ტექსტის შემოკლებაში ვგულისხმობთ კლების ისეთ შემთხვევებს, როცა ერთსა და იმავე პარალელურ კონტექსტში ქართულ თარგმანს აკლია ბერძნულ ორიგინალთან შედარებით.

ტექსტის თარგმნილ ნაწილში საგრძნობია ტექსტის შემოკლებათა გზით ცალკეული ფრაგმენტების როგორც სტრუქტურის, ისე შინაარსის ნიუანსური შეცვლა.

ა) ეფთვიმეს მცირე შემოკლებათა ხარჯზე ისეთი ცვლილებები შეაქვს ტექსტში, რომლებიც მხოლოდ ფორმას, აგებულებას ეხება და აზრობრივ სხვაობას არ ატარებს. ეფთვიმე ძირითად აზრს აუცილებლად თარგმნის, მაგრამ ტოვებს ისეთ მსჯელობას, რომელიც ძირითადი აზრისთვის ერთგვარ შემზადებას წარმოადგენს, ძირითადის დამაკონკრეტებელი, მეორადი ხასიათის მსჯელობა ეფთვიმეს გამოტოვებული აქვს.

Πάντα τὰ ὄντα ἢ κτιστὰ ἐστιν ἢ ἄκτιστα. Εἰ μὲν οὖν κτιστά πάντως καὶ τρεπτά 11,21-22

E: ყოველნივე არსნი, რომელნიცა შეცვალებადნი არიან, დაბადებულნი არიან 3,5

M: ყოველნივე არსთაგანნი ანუ აგებულნი არიან, ანუ აუგებელნი. აწ უკუე აგებულთა მათ უეჭველად თჳს ეყჳს ქცევადობაჲცა 37, 37 vl

I: ყოველნივე მყოფნი ანუ აგებულნი არიან, ანუ აუგებელნი და უკუეთუ აგებულნი ვიდრემე, უეჭველად ქცევადნიცა 37,55rl

ეფთვიმე ტოვებს ფრაზას, რომ ყოველნი მყოფნი აგებულნი არიან ან აუგებელნი.

ასევე მთარგმნელი ტოვებს რამდენიმე ისეთ სიტყვას, ურომლისოდაც აზრი ნათელია:

Ὡς οὖν πάντα εἰδὼς καὶ τὸ συμφέρον ἑκάστῳ προμηθούμενος, ὅπερ συνέφερεν ἡμῖν γνῶναι ἀπεκάλυφεν, ὅπερ δὲ οὐκ ἐδυνάμεθα φέρειν, ἀπεσιώπησε 8,24-26.

E: ამისთჳს რომელი ჯერ-იყო და უმჯობეს ჩუენდა ცნობად, გუაუწყა და რომელი ვერ ძალ-გუედვა თავს-დებად, დაგჳფარა 1,7

M: ამისთჳსცა რომელი შემეტყუებოდა ჩუენ ცნობად, გამოგჳცხადა, ხოლო რომელსა ვერ შემძლებელ ვიყვენით დატევნად, დაიდუმა 34,36rll

I: ამისთჳს ვითარცა ყოვლისა მეცნიერმან და უმჯობესსა თითოეულისასა წინაგამგებელმან, რომლისაჲ შეგუეტყუებოდა ჩუენ ცნობაჲ, გამოგჳცხადა და რომლისა ვერ შემძლებელ ვიყვენით დატევნად, დაიდუმა 34,54rII

ხაზგასმული სიტყვები გამოტოვებულია ეფრემის თარგმანშიც. ამდენად, შეიძლება ეს ნაკლებობა დამახასიათებელი იყო იმ ბერძნული დედნისთვის, რომელიც წარმოადგენდა წყაროს ეფთვიმესა და ეფრემისთვის.

ბ) ხშირია შემთხვევა, როცა ეფთვიმე წინადადებაში, სადაც ჩამოთვლა ხდება, ტოვებს რამდენიმე კომპონენტს. მაგ. თხზულების მე-2 თავში „თქუმულთათჳს და გამოუთქუმელთა, და საცნაურთათჳს და უცნაურთა“ მსჯელობაა, თუ როგორია ღმერთი, რა ახასიათებს მას. ეფთვიმე ტოვებს ღმერთის ისეთ ატრიბუტებს, როგორიცაა „შეუზავებელი“, „გარეშეუცავი“, „განუსაზღვრებელი“, „გარეშეუსახველი“. ესენი ფრიად მნიშვნელოვანი ეპითეტებია ღმრთისა, მაგრამ მოცემულ კონტექსტში მათი გამოტოვებით საღვთისმეტყველო აზრის დაკნინება კი არ ხდება, არამედ იგი მხოლოდ გამჭვირვალე და მარტივი ხდება. სხვა შემთხვევებში ეფთვიმე ღვთის ამგვარ ეპითეტებს ხშირად მიმართავს.

გ) ეფთვიმე ზოგჯერ არ თარგმნის რაიმე მსჯელობის ისეთ შემადგენელ ნაწილს, რომელშიც უკვე გამოთქმული აზრის გამეორება ხდება. გამეორებული ფრაზის გამოტოვებით მსჯელობის აზრი, რასაკვირველია, არ იცვლება. პირიქით, იგი უფრო დახვეწილი და გამჭვირვალე ხდება. მაგ. მე-5 თავში (109-110) ერთ აბზაცში ორჯერ წერია: „რაოდენნი ჰქონან ძესა და სულსა, მამისაგან ჰქონან“ 5,17. ეფთვიმე მთაწმიდელი მათ მხოლოდ ერთხელ თარგმნის, გამეორებისაგან თავს იკავებს.

დ) ეფთვიმე ტექსტის სტრუქტურის შეცვლას მიმართავს წინადადებათა შეკუმშვა-შემოკლების გზით. კერძოდ, იგი არ თარგმნის განკერძოებულ სიტყვებს, სხვადასხვა დანართებსა და ჩართულებს: მაგ. იგი ხშირად არ თარგმნის καὶ αὐτῶν φήμι სიტყვებს, რასაც ბერძნულში ჩართულის ფუნქცია აკისრია.

ე) ეფთვიმეს მიერ წარმოებული კლებანი მიზნად ისახავს ტექსტის გამარტივებას. „წინამძღურის“ შედგენილობის შესახებ მსჯელობისას ჩვენ ვნახეთ, თემატიკის მიხედვით როგორ გამოკრიბა მთარგმნელმა „წინამძღუარი“ სხვადასხვა წყაროებიდან. მან თარგმნა წმიდა სამებისა და ქრისტოლოგიისთვის აუცილებელი ძირითადი საღვთისმეტყველო მსჯელობები და მთლიანად გამოტოვა ცალკეული განყენებული და რთული ფილოსოფიურ-საღვთისმეტყველო საკითხები, ასევე გამოტოვა ყველა არაძირითადი, შემავალი საკითხების შემცველი მსჯელობები. ტექსტის თარგმნილ ნაწილშიც ძირითადად იმავე პრინციპებით არის შესრულებული კლების შემთხვევები. ეფთვიმეს მიერ გამოტოვებულია ტერმინული მნიშვნელობის სიტყვები ან ზოგად-ფილოსოფიური ხასიათის დებულებების შემცველი წინადადებები. ქართველი მთარგმნელი არ ამახვილებს ყურადღებას ლოგიკურ არგუმენტაციაზე და უფრო მზამზარეული დებულებების სახით გადმოაქვს ამა თუ იმ მსჯელობის ძირითადი აზრი. ეს

ფაქტიც მიუთითებს, რომ ეფთვიმეს თარგმანი „ჩჩჯლი“, საღვთისმეტყველო განათლების არმქონე მკითხველისთვის იყო გამიზნული.

ერთგან გამოტოვებულია ტერმინული მნიშვნელობის სიტყვები, რომლებიც ზესთა არსებისა და ზესთა მყოფი ღმერთის ბუნებას გამოხატავენ.

Πάσης οὐσίας ἐξῃρημένην ὡς ὑπερούσιον καὶ ὑπὲρ τὰ ὄντα οὖσαν 18,14-15

E: ყოველთავე არსებათა უზეშთაეს არს 5,4

M: ყოველსავე არსებასა თანა წარჰქდების, ვითარცა ზეშთა არსებისაჲ და ვითარცა უმაღლესი არსთაჲ 46,41rI

I: ყოვლისა არსებისა აღმატებული, ვითარცა ზესთა არსებისაჲ და ზესთა მყოფთაჲსა მყოფი 46,56vII

საყურადღებოა კლების ისეთი შემთხვევები, რომლებიც ძის ბუნებას ეხება. ἢ πῶς ἑαυτὸν κενώσας 10,33.

M: თავი თჳსი დააცარიელა 36,37rI.

I: დამაცალიერებელი თავისა თჳსისაჲ 36,54 vI.

ეფთვიმე ამ მსჯელობას ტოვებს ალბათ იმიტომ, რომ საღვთისმეტყველო თეოლოგიაში ჩაუხედავი მკითხველისთვის შეიძლება გაუგებარი იყო, თუ რას ნიშნავდა ძის მიერ თავისი თავის დაცალიერება.

იმავე მიზეზით უნდა აიხსნას ისიც, რომ ეფთვიმეს „წინამძღუარში“ არასოდეს არ გადმოაქვს ტერმინი κατάφασις. იგი თვლის, რომ ტერმინის ზუსტი მნიშვნელობა, მისი სწორი გაანალიზება საძნელოა მკითხველისთვის.

არის შემთხვევები, როცა ეფთვიმე ამარტივებს მსჯელობას, აკეთებს მის შინაარსობრივ თარგმანს, ტოვებს აზრობრივ ნიუანსებს:

Ἐπινοεῖ καὶ τρίτον τινὰ ἀπάτης τρόπον ὁ πολύμορφος ὄφις. Ἀκούσας γὰρ τοῦ ἐν Εὐαγγελίοις ῥητοῦ τοῦ Κυρίου λέγοντος Ὅτι ἐὰν ἀπέλθω πρὸς τὸν πατέρα ἐρωτήσω αὐτὸν καὶ ἄλλον παράκλητον πέμψω ὑμῖν, ὑπέσπειρέ τισιν ἀνθρώποις μάγοις τε καὶ γόησι λέγειν ὅτι Ἐγώ εἰμιό παράκλητος ὃν ὑπέσχετο Χριστὸς ἀποστέλλειν τῶ κόσμῳ Ἐξ ὧν ἦν Μάνης, ὁ Μανιχαίων αρχηγὸς, καὶ Μοντανὸς PG 89 c.96 C 7-15

E: მაშინ კუალად აღადგინნა ეშმაკმან სხუანი მწვალებელნი— მანის და მონტანიოს, რომელნი იტყოდეს თავთა თჳსთა, თუ ჩუენ ვართო ნუგეშინისმცემელი იგი, რომელი თქუა ქრისტემან მოვლინებად 23,11.

S: მოიგონა მესამე რაჲმე საცთურებისა მახე მრავალსახემან გუელმან, რამეთუ ესმინა სახარებათა შინა სიტყუაჲ უფლისაჲ, მეტყუელი, ვითარმედ: უკუეთე წარვიდე მამისა მიმართ, ვჰკითხო მას და სხუაჲ ნუგეშინისმცემელი მოგივლინოს თქუენ. ამისათჳს შთაუთესა კაცთა ვიეთმე მოგუთა და გრძნეულთა თქუმად, ვითარმედ: მე ვარო ნუგეშინისმცემელი, რომლისა მოვლინებაჲ ქრისტემან აღუთქუა სოფელსა, რომელთაგანი იყო მანიქეველთა წინამძღუარი მანის და მონტანიოს S1463, 9r.

როგორც ზემოთ განხილული მაგალითებიდან ვხედავთ, ეფთჳმესეული შემოკლებები ტექსტის აზრობრივ ცვლილებას არ განაპირობებს.

## 4. ეფთვიმესეული „გაქართულება“

ეფთვიმეს ქართული თარგმანის აზრობრივი სიცხადე და გამომხატველობითი ეფექტი მიღწეულია არა მხოლოდ ტექსტობრივი გავრცობების, ავტორისეული განმარტებების წყალობით, არამედ იმ თავისუფალი თარგმანის ხასიათითაც, რომლითაც ეფთვიმე აქართულებდა ბერძნულ ტექსტს. ეფთვიმეს თარგმანი სიტყვასიტყვითი ზედმიწევნულობით როდი მისდევს ბერძნულ დედანს. ქართველი მოღვაწე ქართული ენის ბუნებრივი ენობრივ-გრამატიკული თუ სტილისტურ-გამომხატველობითი ფართო არსენალით სარგებლობს: ცვლის დედნის სიტყვათა წყობას, მიმართავს განსხვავებული წყობის წინადადებებს, დედნისეულ აზრს გამოხატავს სინონიმური მნიშვნელობის სიტყვებით, ბერძნული ფრაზის ერთ ნაწილს აქტიურად აძლიერებს მეორის ხარჯზე, ახდენს რამდენიმე ბერძნული წინადადების კომპილაციას და ა. შ.

ა) ეფთვიმე თავისუფლად თარგმნის თვით თავების დასათაურებას. თავის სახელწოდება თავისთავად მყარ ფორმულირებას წარმოადგენს, რომელიც აღნიშნული თავის შინაარსის ზუსტ განსაზღვრებას შეიცავს. თარგმანში მოსალოდნელი იყო სახელწოდების ზუსტად გადმოტანა, მაგრამ ეფთვიმე აქაც ერევა დედნის ტექსტში: (ეფთვიმე მთაწმიდელის მიერ სათაურების გავრცობა შემჩნეულია მის სხვა თარგმანებშიც. (22,121-122; 5,245-248). დამასკელის „გარდამოცემის“ ერთ-ერთი თავის სათაური ორიგინალში ასე იკითხება:

Περὶ τῆς θείας οἰκονομίας καὶ περὶ τῆς δι᾽ ἡμᾶς κηδεμονίας καὶ τῆς ἡμῶν σωτηρίας (106,1)

E: საღმრთოჲსა მის განგებულებისათჳს და ჩუენისა მის წყალობისათჳს და ცხორებისა, რომელ- ყო უფალმან განკაცებითა თჳსითა (11).

M: საღმრთოჲსა განგებულებისათჳს და ჩუენდამომართისა წყალობისა და ჩუენისა ცხოვნებისათჳს (45)

I: საღმრთოჲსა განგებულებისა და ჩუენდამომართისა სიტკბოებისა და ჩუენისა მაცხოარებისათჳს (45)

ეფთვიმე სათაურს ავრცობს ერთი ფრაზით, რომ ცხონება უფალმა ჰყო თავისი განხორციელებით.

Περὶ θελημάτων καὶ αὐτεξουσίων τοῦ κυρίου ἡμῶν Ἰησοῦ Χριστοῦ (137,1)

E: ორთა მათ თჳთმფლობელთა ნებათათჳს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესთა

18

M: ნებათათჳს და თჳთმფლობელობათა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესთა

58

I: ნებათა და თჳთმფლობელობათათჳს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესთა
58

მთაწმიდელი ხაზს უსვამს, რომ ნება ორია.

Περὶ ἀριθμοῦ τῶν φύσεων (118,1)

E: ორთათჳსვე ბუნებათა 13

MI: რიცხჳსათჳს ორთა ბუნებათაჲსა 49

ეფთვიმემ (და მის კვალდაკვალ ეფრემმა და არსენმაც) ბუნებათა რიცხვი დააკონკრეტა, ხაზი გაუსვა, რომ აქ ორ ბუნებაზეა საუბარი (მსჯელობა ეხება ქრისტეს ორ ბუნებას).

Περὶ τοῦ τί ἐστι θεός, ὅτι ἀκατάληπτον (12,1)

E: ვითარმედ მიუწთომელ არს ღმერთი 4

M: თუ რაჲ არს ღმერთი, ვითარმედ მიუწდომელ არს 4

I: რაჲ-არსობისათჳს ღმრთისა, ვითარმედ მიუწთომელ არს 4

ეფთვიმე ტოვებს სათაურის პირველ ნახევარს - „რაჲ -არსობისათჳს ღმრთისა“- შესაძლოა იმიტომ, რომ ეს ნაწილი ერთგვარ წინააღმდეგობაშია ამ თავში გამოთქმულ აზრთან. ავტორი გვიხსნის, რომ ღმერთი უხორცოა, დაუსაბამო, ყველა ნივთიერებაზე უზეშთაესი... იგი აცხადებს, რომ ეს სიტყვები „არა თუ რაჲ-იგი არს, მას გულისჴმა-გჳყოფს, არამედ რაჲ-იგი არა არს“. თუ ჩვენ ღვთის ბუნების შესახებ გვინდა ვისაუბროთ, უნდა აღვნიშნოთ, თუ რა არის იგი, ღვთისთვის კი „შეუძლებელ არს თქუმად, თუ რაჲ არს ბუნებაჲ მისი“. ამიტომ ღვთის შესახებ მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, თუ რა არ არის იგი.

ბ) ძალიან საინტერესოა ის შემთხვევები, როცა ეფთვიმე ცვლის დედნის ტექსტის სტილს: ბერძნულის თხრობითი წინადადებები თარგმნილია კითხვითი წინადადებებით ან პირიქით. განსხვავებული წყობის წინადადებებში ჩართულია მთარგმნელისეული გავრცობანი, ამით ფრაზას თარგმანში მეტი ემოციურ-გამომხატველობითი დატვირთვა აქვს, ვიდრე ეს დედანშია.

Τάχα γὰρ Νεστόριον ἰδοῦσα ἡ παναγία σάρξ τοῦ Χριστοῦ ἡ καθ' ὑπόστασιν ἡνωμένη αὐτῷ ἐχωρίσθε, καὶ ἔφυγεν ἐκ τοῦ θεοῦ Λόγου, καὶ ἀνούσιος, καὶ ἀνυπόστασις, καὶ ἀφανης γέγονε καὶ Μάνεντος διδασκαλίαν PG 89, c. 105, A2-6

E: რასა იტყჳ, შეჩუენებულო, ნესტორისგან შეეშინაა ყოვლად წმიდათა მათ ჴორცთა ქრისტესთა, რომელნი გუამოვნებით შეერთებულ იყვნეს სიტყჳსა თანა ღმრთისასა და დაუტევეს ღმრთეებაჲ და უჩინო იქმნნეს? ანუ რომლისა პირისათჳს იტყჳ, თუ შემდგომად ნესტორისა არღარა არს ქრისტე ორითა ბუნებითა. რასა იტყჳ, ცოფო, რაჲ იქმნა კაცებისა მისისა ბუნებაჲ? ჭეშმარიტად მანიქეელ ხარ შენ, რამეთუ იგინი იტყჳან ამას, თუ მზესა თანა დაუტევნა ჴორცნი თჳსნი ღმრთისა სიტყჳამან, აღვიდოდა რაჲ იგი ზეცად 23,33

S: რეცა იხილნა ნესტორ გუამოვნებით შეერთებულნი მისდა ყოვლად წმიდანი ჴორცნი ქრისტესნი განშორებულად და განყოფით ლტოლვად

სიტყჳსაგან და ღმრთისა და უარსო და უგუამო და უჩინოქმნილად და შიშულად დაშთომილად მათგან ღმრთეებაჲ სიტყჳსაჲ მოძღურებისაებრ მანენტოსისა, რამეთუ იგი იტყოდა ამას, ვითარმედ მზესა თანა დაუტევა კარავი ჴორცთა თჳსთაჲ, აღვიდოდა რაჲ ზეცად 11r.

ეფთვიმე აქტიურად ერევა ტექსტში, ურთავს მთელ წინადადებას, სიტყვას, თხრობით წინადადებას ცვლის კითხვითით, შემოაქვს მიმართვის ფორმა, მკვეთრად გამოხატავს თავის განწყობას, ულმობლობას ნესტორის თუ მანენტოსის ცთომილებათა მიმდევართა მიმართ.

Πότε δὲ καὶ δύο τὸν Χριστὸν λέξουσι φύσεων μιᾶς συνθέτου φύσεως αὐτὸν μετὰ τὴν ἕνωσιν λέγοντες; Ὅτι γὰρ μιᾶς ὁ Χριστὸς φύσεως πρὸ τῆς ἑνώσεως, παντί ποῦ δῆλον 112,37-38

E: კუალად ვჰკითხოთ მათ: ერთი ბუნებაჲ არსა ქრისტესი შეზავებული, ანუ ორნი? ხოლო იგინი იტყჳან, ვითარმედ: ერთი შეზავებული 12,44

M: ანუ ოდესღა თქუან ქრისტესი ორთა ბუნებათა ქონებაჲ, ვინაჲთგან შემდგომად შეერთებისა ერთითა შეზავებულითა ბუნებითა იტყჳან მას? რამეთუ-ესე ყოველთა შორის და ყოველთაგან ცხად არს 153,81vII

I: ანუ ოდეს თქუენ ორნი ბუნებანი ქრისტესნი ერთისა შეზავებულისა ბუნებისა მეტყუელთა მისთჳს შემდგომად შეერთებისა, რამეთუ ვითარმედ ერთისა ბუნებისაჲ იყო ქრისტე უწინარეს შეერთებისა, ყოვლით კერძო ცხად არს 153,77vII

თარგმანის ზოგიერთი ადგილი აზრობრივი ნიუანსით სხვაობს დედნისგან, რაც გამოწვეულია აზრის მარტივად, სხარტად გადმოცემის სურვილით.

Ἔστω γὰρ τὸ γενέσθαι τοῦ αὐτομάτου τίνος τὸ τάξαι 12,50-51

E: რამეთუ ესე უგუნურთაცა მიერ საცნაურ არს, ვითარმედ არა ეგებოდა თავით თჳსით მოსლვაჲ არსებად არაარსთაჲ 3,13

M: და დაღათუ თჳთმყოფ არიან, ვინ არს განმაწესებელ მათდა? 38,38rI

I: ხოლო იყავნ თავით თჳსით ქმნულებაჲ, ვისიღა იყოს განმაწესებელობაჲ? 38,55rII

დედანში არსებულ კითხვას, თუ დავუშვით არსებათა თავისთავადობა, ვინაა მათი მომწესრიგებელი? (რასაც ზუსტად იმეორებენ ეფრემი და არსენიც), ეფთვიმე თარგმნის ისე, რომ კითხვის ნაცვლად, მზა, უალტერნატივო პასუხს იძლევა: არარსებულის თავისთავად მოსვლა არ ეგების.

Καὶ εἰς ἕνα υἱὸν τοῦ Θεοῦ τὸν μονογενῆ τὸν κύριον ἡμῶν Ἰησοῦν Χρίστον, τὸν ἐκ τοῦ πατρὸς γεννηθέντα πρὸ πάντων τῶν αἰώνων 19,34-35

E: ეგრეთვე <u>გურწამს</u> ერთი ძე ღმრთისაჲ, მხოლოდშობილი უფალი ჩუენი იესუ ქრისტე, მამისაგან შობილი უწინარეს ყოველთა საუკუნეთა 5,8

I: ერთისა ძისა ღმრთისა, მხოლოდშობილისა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა, რომელი იშვა მამისაგან უწინარეს ყოველთა საუკუნეთა 46,57rI

M: ერთისა მიმართ ძისა ღმრთისა მხოლოდშობილისა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა, რომელი- იგი მამისაგან იშვა უწინარეს ყოველთა საუკუნეთა 46, 41rII

ეფთვიმემ ჩართო ზმნა „გურწამს“ და ამით ქართული წინადადების ბუნებრივი წყობა დაიცვა.

Ὁμοίως πιστεύομεν καὶ εἰς ἕν πνεῦμα τὸ ἅγιον. τὸ κύριον καὶ ζωοποιόν 25,172-173

E: ეგრეთვე გურწამს ერთი სული წმიდაჲ უფალი და ცხოველსმყოფელი 5,12

M: ხოლო ჩუენ ეგრეთვე გურწამს ერთისა მიმართ სულისა წმიდისა, უფლისა და ცხოველსმყოფელისა 53, 44rI ;

I: ეგრეთვე გურწამს ერთისა სულისა წმიდისა მიმართცა, უფლისა და ცხოველსმყოფელისა 53, 58rII

ეფთვიმე ქართულისათვის ბუნებრივი ფორმით თარგმნის: პირდაპირი ობიექტი სახელობით ბრუნვაშია, ეფრემი და არსენი კი ზუსტად ბერძნულის წყობას იმეორებენ εἰς წინდებულის გავლენით.

ὑπερβαίνοντος-მიმღეობისთვის ეფთვიმე ბუნებრივ ქართულ შესატყვისს მიმართავს, იგი გადმოაქვს პირიანი ფორმით: „გარდავჰდებით“, MI: „ზეშთა ავჰდებით“. არსენი და ეფრემი ბერძნულის კალკს მიმართავენ.

τῆς θεότητος ὑπερφυεῖ δυνάμει συνισταμένου πρὸς τὸ ἀδιάχυτον καὶ βάρει ὑλικῶν ποδῶν μὴ ὑπείκοντος 151,190-192

E: ძალითა მით ღმრთეებისაჲთა განემტკიცა და სიმძიმე იგი გუამისა მის იტჯრთა 18,328

M: ზეშთა ბუნებისა ძალითა ღმრთეებისაჲთა განმაგრებულ იქმნა, რაჲთა კეთილად იტჯრთოს სიმძიმე ნივთიერთა მათ კორცთაჲ 197, 98rI

I: ღმრთეებისა მისისა ზესთა ბუნებისა ძალითა შემტკიცებულ-ყო დაუთხეველობისა მიმართ და სიმძიმესა ნივთიერთა ფერჴთასა მტჯრთველობისა 197,85rII

ამ მაგალითში შესანიშნავად ჩანს ეფთვიმეს თავისუფალი თარგმნის ხასიათი. არსენი ბერძნულის მიმღეობურ კონსტრუქციას იმეორებს, ბერძნული კომპოზიტების კალკს იძლევა. ეფრემი უფრო ნაკლებად განიცდის ბერძნული ენის გავლენას. ეფთვიმეს თარგმანი კი იკითხება, როგორც ორიგინალი: ბერძნული მიმღეობური კონსტრუქცია აქტიური ზმნის შემცველი წინადადებით გადმოაქვს, რაც უფრო ბუნებრივი მოვლენაა ქართულისთვის. (4, 057; 8, 77).

Ἄρειος καὶ ἐν τῷ νῦν αἰῶνι, καὶ ἐν μέλλοντι κεχωρισμένος ἐστὶ ἐκ τῆς δόξης τοῦ Υἱοῦ τοῦ θεοῦ Ιησοῦ Χριστοῦ Εκήρυττε γὰρ ὁ αυτὸς Ἄρειος κτίσμα εἶναι τὸν Υἱὸν καὶ Λόγον τοῦ θεοῦ καὶ οὐ γεννηθεντα ἐκ τοῦ πατέρος πρὸ τῶν αιώνων PG 89 c. 100, A10-15

E: არიოზ ერთსა მას ბუნებასა და არსებასა ღმრთეებისასა განყოფდა, ხოლო საბელიოზ სამთა მათ გუამთა წმიდისა სამებისათა ერთად შეპრევდა 23,17

C: არიოზ აწინდელსაცა საუკუნესა და ყოფადსაცა განშორებულ არს დიდებისაგან ძისა ღმრთისა იესუჲს ქრისტესსა, რამეთუ ესე არიოზ დაბადებულობასა ქადაგებდა ძისა და სიტყჳსა ღმრთისასა და არა შობილობასა მამისაგან წინაჲწარ საუკუნეთა 97, 10r

ეფთვიმე თარგმნის თავისუფლად. დედანში და შესაბამისად მის წყაროში, ანასტასი სინელის „წინამძღუარში“, ლაპარაკია არიოზის მწვალებლობაზე, რომ იგი უარყოფდა იესოს შობას ჟამზე ადრე. ეფთვიმე კი წერს, რომ არიოზი ღმრთეების არსებასა და ბუნებას განყოფდა. იგი არიოზის მწვალებლობას სხვა კუთხით განიხილავს.

Ἀπολλινάριον φάσκοντα ἄψυχον καὶ ἄνουν καὶ ἀτελῆ ἄνθρωπον ἀνεληφέναι τὸν Χριστὸν PG 89 c. 96 D14-15.

E: და მათ თანა გამოჩნდა აპოლინარიცა, რომელი გმობდა, ვითარმედ: არა მიიღო ქრისტემან ბუნებაჲ კაცობრივიო 23, 13

C: აპოლინარი, რომელი უსულოჲსა და უგონებოჲსა და უვნებელისა კაცისა მიმღებელად იტყოდა ქრისტესა 97, 9v

ეფთვიმე აპოლინარელთა დოქტრინის აზრს ზოგადად გადმოგვცემს, არ არის დაკონკრეტებული, რომ აპოლინარი არ ცნობდა განკაცებისას ქრისტეს მიერ კაცობრივი გონების მიღებას.

Τοὺς δὲ λέγοντας· Ἦν ποτε, ὅτε οὐκ ἦν ὁ Υἱὸς τοῦ Θεοῦ, καὶ πρὶν γεννηθῆναι, οὐκ ἦν. Καὶ ὅτι ἐξ ουηκ ὄντων ἐγένετο, ἢ ἐξ ἑτέρας ὑποστασεως, ἢ οὐσίας, φάσκοντας εἶναι τὸν Υἱὸν τοῦ Θεοῦ, τρεπτὸν, ἢ ἀλλοιωτὸν, τοὺτους ἀναθεματίζει ἡ ἁγία, καθολικὴ καὶ ἀποστολικὴ Ἐκκλησία PG 89, c. 141, A 3-8

E: და საბელიოზ ერთსა გუამსა და ერთსა პირსა იტყოდა წმიდისა სამებისასა, ხოლო არიოზ — სამსა გუამსა და სამსა არსებასა, ამისთჳსცა ორნივე შეაჩუენა წმიდამან კრებამან ნიკიისამან და განცხადებულად ქადაგა წმიდაჲ სამებაჲ სამგუამოვნებით ერთი ბუნებაჲ და ერთი არსებაჲ, განუყოფელი და შეურევნელი 24, 42

C: ხოლო მეტყუელთა, ვითარმედ იყო, ოდეს არა იყო ძე ღმრთისაჲ და პირველ შობისა არა იყო და ვითარმედ არაარსისგან იქმნა, ანუ სხჳსა გუამოვნებისა ანუ არსებისაგან ყოფად მეტყუელისა ძისა ღმრთისათა ქცევადად ანუ ცვალებადად, ამათ შეაჩუენებს წმიდაჲ კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიაჲ 97, 16r

იგივე ეფთვიმე „წინამძღურში“ (24,98) წერს:

რომელი არა აღიარებდეს ორთა მათ შობათა მხოლოდშობილისა ძისა ღმრთისათა, ერთსა მას პირველ საუკუნეთა მამისაგან უკორცოდ და უჟამოდ,

და მეორესა მას უკუანაჲსკნელთა ჟამთა ქალწულისაგან ჴორციელად, ერთითა გუამითა და ორითა ბუნებითა, შეჩუენებულ იყავნ.

იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორია ეფთვიმეს თარგმანი, როგორ „აქართულებს“ იგი დედნის მორფოლოგიურ ნორმებსა და სინტაქსურ კონსტრუქციებს, ყოველი აზრის ნათელსაყოფად როგორ იყენებს იგი ქართული ენის ბუნებრივ ნორმებს, როგორ განსხვავდება მისი თარგმანი მომდევნო პერიოდის ე.წ. ელინოფილური თარგმანებისგან (ეფრემ მცირისა და არსენ იყალთოელისა), ტექსტის ერთ პატარა მონაკვეთს მოვუხმობთ:

Ἰστέον δέ, ὡς εἰ καὶ περιχωρεῖν ἐν ἀλλήλαις τὰς τοῦ κυρίου φύσεις φαμέν, ἀλλ' οἴδαμεν, ὡς ἐκ τῆς θείας φύσεως ἡ περιχώρησις γέγονεν, αὕτη μὲν γὰρ διὰ πάντων διήκει καθὼς βούλεται, καὶ περιχωρεῖ δὶ αὐτῆς δὲ οὐδέν 126, 57-60.

E: საცნაურ არს, ვითარმედ დაღაცათუ ვიტყჳთ შეერთებასა ორთა მათ ბუნებათასა ერთ გუამად, არამედ ვიცით, ვითარმედ შეერთებაჲ იგი საღმრთოჲსა მის ბუნებისა მიერ იქმნა, რამეთუ იგი ყოველსა ზედა მიიწევის, ვითარცა ენებოს და ვითარცა ჯერ-უჩნდეს.

ხოლო მას ზედა არარაჲ მიიწევის, არცა რაჲ შეეხების, რამეთუ იგი არს უფალი და მეუფე ყოველთაჲ. მისცემს იგი ჴორცთა თჳსსა მას დიდებულებასა და ბრწყინვალებასა, ხოლო ჰგიეს უვნებელად და ვნებათაგან ჴორცთა ბუნებისათა შეუხებელად.

რამეთუ უკუეთუ მზე მოეფინების ჩუენ ზედა და მოგუცემს ნათელსა და მრავალსა რას საქმეთა თჳსითა მით მჴურვალებითა და ბრწყინვალებითა აღასრულებს ჩუენ ზედა და ჩუენგან არცა ერთი რაჲ ვნებაჲ შეეხების მას, რაოდენ უმეტესად დამბადებელმან მან და უფალმან მზისამან და ყოველთა დაბადებულთამან აღასრულამცა ადვილად და უვნებელად ყოველივე, რაჲცა ენების, რამეთუ ყოველივე ძალ-უც 14, 18-19

M: საცნაურ იყავნ, ვითარმედ ურთიერთას დატევნასა ღათუ ვიტყჳთ უფლისა ბუნებათასა, გარნა უწყითვე, ვითარმედ საღმრთომან ბუნებამან დაიტია კაცობრივი ბუნებაჲ, რამეთუ იგი ჰმართებდა მას და დაიტევდა, ვითარცა უნდა. ხოლო იგი არა დაიტეოდა მისგან. და კუალად, ბუნებაჲ ღმრთეებისაჲ მისცემდა ბუნებასა ჴორცთასა დიდებულებისაგან თჳსისა, ხოლო თჳთ მიუახლებელად ეგო და შეუხებელ იყო ვნებათაგან კაცობრივთა. რომელი-ესე უკუეთუ მზესა ზედა ესრეთვე არს, რაოდენ უფროჲს შემოქმედსა ზედა მზისასა და უფალსა? 166, 86vII

I: შესწავებაჲ სათანადო არს, ვითარმედ დაღათუ ურთიერთას დამტევნელობასა ვიტყჳთ უფლისა ბუნებათასა, არამედ უწყით, ვითარმედ საღმრთოჲსა ბუნებისაგან იქმნა დატევნაჲ, რამეთუ იგი ვიდრემე ყოვლითკერძო განაგებდა, ვითარცა ენების და დაიტევდა მას, ხოლო მისგან – არასადა. და იგი უკუე საქადულობათაგან თჳსთა მისცემდა ჴორცთა, დადგრომილი თჳთ უვნებელად და ვნებისაგან ჴორცთაჲსა მიულებელად. რამეთუ უკუეთუ მზე მოგუცემდეს რაჲ

ჩუენ მოქმედებათა თჳსთა, ჰგიეს ჩუენთაგან მიუღებელად, რაოდენ უფროჲს შემოქმედი და უფალი მზისაჲ? 166, 80rI

არსენის თარგმანი ზედმიწევნითი სიახლოვით მისდევს ბერძნულ ორიგინალს, ეფრემის თარგმანიც ასევე ზედმიწევნითია, თუმცა რამდენიმე შემთხვევა არის ქართული ენის ბუნებრიობასთან შეხამებისა. რაც შეეხება ეფთვიმეს თარგმანს, იგი აშკარად თავისუფალი თარგმანია.

## 5. განსხვავებული თარგმანი

არის შემთხვევები, როდესაც ეფთვიმეს თარგმანში აზრობრივ ცვლილებას აქვს ადგილი. მთარგმნელის მიზანი, ამ შემთხვევაში, არის ის, რომ ტექსტი გასაგები გახადოს მკითხველისათვის:

Τὰ μὲν νοητά ἀγγέλους φημὶ καὶ ψυχάς καὶ δαίμονας, κατὰ προαίρεσιν τὴν τε ἐν τῷ καλῷ προκοπήν καὶ τὴν ἐκ τοῦ καλοῦ ἀποφοίτησιν, ἐπιτεινομένην τε καὶ ὑφιεμένην 11,29-31

E: ანგელოზნი იცვალებიან წარმართებითა კეთილსა შინა და უმეტესობითა, რომელი-იგი გონებათა მათთა წარმართებითა იქმნების, ეგრეთვე სულნი კაცთანი გინათუ კეთილისა მიმართ იცვალებიან, გინათუ ბოროტისა. ხოლო ეშმაკნი იცვალნეს კეთილისაგან ბოროტად და მარადის უძჯრესისა მიმართ მიიწევიან 3,6-7

M: საცნაურთა, ანგელოზთა ვიტყჳ და სულთა და ეშმაკთა, თჳთმფლობელობით აქუს აღრჩევაჲ კეთილად წარმატებისათჳს ანუ კეთილისაგან განკუებისათჳს, რომლითა წარემატებიან და მოაკლდებიან 37,37vII

I: გონიერთაჲ უკუე, ანგელოზთა ვიტყჳ და სულთა და ეშმაკთა, წინააღმრჩევლობით წარმატებითა კეთილსა შინა და სივლტოლითა ბოროტისაგან წარმართებული და შემტკიცებული 37,55rI

ეფთვიმეს თარგმანში მთლიანად შეცვლილია ბერძნული წინადადების კონსტრუქცია, რის გამოც აზრობრივად საკმაო ცვლილებას აქვს ადგილი. ბერძნულში ერთადაა დასახელებული ანგელოზები, სულები და ეშმაკები. ნათქვამია, რომ მათ არჩევანი აქვთ სიკეთეში წარმატებისა და სიკეთისგან განშორებისა. ამდენად, მიაღწევენ ან მოაკლდებიან მას, ეფთვიმე აცალკევებს ამ სამ სუბიექტს: ჯერ ეხება ანგელოზებს, რომ ისინი სიკეთეში წარემატებიან, ასევე ადამიანის სული მიემართება ან კეთილისკენ ან ბოროტისკენ, დაბოლოს, ეშმაკნი სიკეთისაგან ბოროტებად იცვალებიან და მარადის უარესისკენ ილტვიან. შეცვლილი აზრი თარგმანში მოწოდებულია ქართული ენისთვის ბუნებრივ ფორმებში: ბერძნული წინადადებების მიმღეობები გადმოტანილია ზმნის პირიანი ფორმებით, ჩამატებულია „იცვალებიან“, „იცვალნეს“, „იქმნების“ ზმნები, ჩამატებულია მთელი ფრაზაც: „მარადის უძჯრესისა მიმართ მიიწევიან“.

იოანე დამასკელი ერთ-ერთ თავში მსჯელობს ადამიანის შესახებ. იგი გვაუწყებს, რომ ღმერთმა შექმნა ადამიანი უმანკო, წრფელი, უზრუნველი, როგორც „მეორე სოფელი, დიდსა შინა მცირე". ეფთვიმე ბოლო ფრაზის პერიფრაზს იძლევა:

Ἐποίησεν οὖν ὁ θεὸς τὸν ἄνθρωπον ἄκακον... οἱόν τινα κόσμον δεύτερον, ἐν μεγάλῳ μικρόν 76,24-26

E: ესრეთ უკუე დაჰბადა კაცი უმანკოჲ... ვითარცა მეორე სოფელი, დიდი მცირესა შინა 8,2

M: აწ უკუე შექმნა ღმერთმან კაცი უმანკოდ... ვითარცა მეორე რაჲმე სოფელი, მცირე დიდსა შინა 111, 65rII

I: შექმნა უკუე ღმერთმან კაცი უბოროტოდ... ვითარცა მეორე რაჲმე სოფელი, დიდსა შინა მცირე 111, 69vII

## 6. კონტექსტუალური მნიშვნელობით თარგმნა

ეფთვიმეს თავისუფალი თარგმანის ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს სიტყვის თარგმნა არა მისი ქართული ეკვივალენტით, არამედ იმ მნიშვნელობით, რაც ამა თუ იმ კონტექსტის მნიშვნელობას ითვალისწინებს. მისთვის გადამწყვეტი არის სიტყვის კონტექსტუალური მნიშვნელობა, იგი ცდილობს ყოველ ცალკეულ შემთხვევაში სიტყვა თარგმნოს იმ მნიშვნელობით, რაც კონტექსტის გაგებას უფრო გამჭვირვალეს გახდის. ბერძნული პოლისემიური სიტყვების თარგმნისას ეფთვიმე არჩევს კონკრეტული კონტექსტისთვის ყველაზე შესაფერის მნიშვნელობას. ამის გამო მის თარგმანში არ ჩანს ის სტაბილურობა, რომელიც დასტურდება ეფრემ მცირის, არსენ იყალთოელისა და გელათური სკოლის მთარგმნელთა თარგმანებში ლექსიკურ შესატყვისობათა მხრივ. ერთი და იგივე ბერძნული სიტყვა ეფთვიმეს სხვადასხვა შესატყვისობებით გადმოაქვს და რაც მთავარია, რომელიმე კონკრეტულ შემთხვევაში ეს შესატყვისობა შეიძლება არ იყოს ზუსტი, ფორმალური თარგმანი ბერძნული სიტყვისა.

ერთ-ერთ თავში იოანე დამასკელი ასაბუთებს, რომ არსებობს ღმერთი. მისი სიტყვებით, ღვთის არსებობის შესახებ ცოდნა ჩვენში ბუნებით იყო დანერგილი. მაგრამ ბოროტების წამლეკავმა ძალამ ადამიანები წარწყმედის მთხრებლთან მიიყვანა და ათქმევინა, რომ არ არსებობს ღმერთი. იოანე დამასკელი ცდილობს, განუფანტოს ადამიანებს ეს ბნელი აზრი. იგი ბჭობს, რომ ყოველი არსი, თუ ქმნილია, ცვალებადია. რადგან რისი არსებობაც ცვალებადობით დაიწყო, ის უთუოდ ცვალებადობას ემორჩილება. ცვალებადი ქმნილია, ქმნილი შეუქმნელისგანაა გაჩენილი. ეს შეუქმნელი კი უეჭველად ღმერთია.

ამ პასაჟის გადმოღებისას არსენი და ეფრემი ერთგულად მიჰყვებიან ორიგინალს. ეფთვიმეს თარგმანი კი განსხვავებულია.

ὢν γὰρ τὸ εἶναι ἀπὸ τροπῆς ἤρξατο, ταῦτα τῇ τροπῇ ὑποκείσεται πάντως ἢ φθειρόμενα ἢ κατὰ προαίρεσιν ἀλλοιούμενα 11,23-24

E: რომელთა არსებაჲ არაარსისაგან არსად მოიყუანნა, ესენი უეჭუელად შეცვალებასა ქუეშე არიან 3,5

I: რომელთა ქცეულებისაგან იწყეს ყოფად, ამათ უეჭუელად თანა-აც ქცევადობაჲ 37,55rI

M: რომელთა ყოფად ქცეულებისაგან იწყეს, ამათ უეჭუელად თანა-ედვას ქცეულებაჲცა 37,37vII

ἡ τροπή-ს ზუსტი მნიშვნელობაა „ცვალებადობა“ ანუ „შეცვალება“. ბერძნულ ტექსტში ეს სიტყვა ორჯერ არის გამოყენებული ერთ წინადადებაში. ასევეა ეფრემის და არსენის თარგმანებში. ეფთვიმემ კი პირველ შემთხვევაში სიტყვა τροπή იმ მნიშვნელობით თარგმნა, რაც მას აქვს აღნიშნულ კონტექსტში: არაარსისაგან არსად მოყვანება, ამით მან გამეორება თავიდან აიცილა და ზუსტი აზრობრივი თარგმანიც გააკეთა.

სხვა შემთხვევაში და არც თუ იშვიათად, ეფთვიმე დედანში არსებულ ნაცვალსახელებს უმატებს ნაგულისხმევ სიტყვებს და აზრს მეტ დამაჯერებლობას ანიჭებს.

Ταῦτα ἡμεῖς στέρξωμεν καὶ ἐν αὐτοῖς μείνωμεν 8,26

E: ესე წესი და ესე სიტყუაჲ დავიმარხოთ 1,8

M: ამას ზედა უკუე ჩუენ განვმტკიცნეთ 34,36rII

I: ესენი კმა-ვიყვნეთ ჩუენ 34,54rII

αὐτὴν δὲ πηγὴν οὖσαν τοῦ εἶναι τοῖς οὖσι, τοῖς ζῶσι τῆς ζωῆς 18,19-20

E: მომცემელი ცხორებისაჲ 5,4

M: თჳთ წყაროჲ არს არსთა ყოფისაჲ და ცხოველთა ცხორებისაჲ 46, 41 rI.

I: იგი წყაროჲ არს ყოფისა მყოფთაჲსაჲ, ცხოველთა ცხორებისაჲ 46,56vII

Πηγή -ს მნიშვნელობებია: წყარო, ჭავლი, ნიაღვარი. ეფთვიმეს კი იგი კონტექსტუალური მნიშვნელობით ( „მომცემელი“) გადმოაქვს, რადგან კონტექსტში ღმერთის მიერ ცხოვნების მოცემა იგულისხმება.

Πιστεύομεν τοιγαροῦν εἰς ἕνα θεόν... προσκυνήσει πιστευομένην τε καὶ λατρευομένην ὑπὸ πάσης λογικῆς κτίσεως 19,2-25

E: და გურწამს ერთი ღმერთი... თაყუანისცემული ყოველთა მიერ პირმეტყუელთა ბუნებათა 5,5

M: გურწამს უკუე ერთისა მიმართ ღმრთისა... მსახურებულ ყოვლისაგანვე სიტყჳერისა აგებულებისა 46,41rI

I: გურწამს უკუე ერთისა მიმართ ღმრთისა... მსახურებული ყოვლისა სიტყჳერისა აგებულისა მიერ 467,56vII

ἡ κτίσις სიტყვის მნიშვნელობებია: დაარსება, შექმნა, მოქმედება, ღონისძიება, ქმნილება, ხელისუფლება, ძალა. ეფთვიმე კი „შექმნილი“, „აგებული“-ის ნაცვლად სხვა მნიშვნელობის სიტყვას, „ბუნებას“, უსადაგებს მას, რადგან იგულისხმება, რომ საღვთო შესაქმეში ბუნებაც აგებულია. აღნიშნულ კონტექსტში λογικῆς κτίσεως გულისხმობს ადამიანს, რაც ეფთვიმემ თარგმნა, როგორც „პირმეტყველი ბუნება“. აზრობრივად სრულიად სწორი თარგმანია: ადამიანზე შეიძლება ითქვას როგორც „სიტყვიერი არსება“, ისე „პირმეტყველი ბუნება“.

როგორც ვხედავთ, ეფთვიმემ უფრო თვალსაჩინოდ გადმოსცა კონტექსტში ნაგულისხმები მნიშვნელობა. სიტყვა ἡ κτίσις-ს კონტექსტისთვის შესაფერისი მნიშვნელობა გამოუძებნა.

Ἀρπάζει τὸ τῆς κρίσεως ἐκ τοῦ Χριστοῦ ὡς Ἀντίχριστος ἀξιώμα PG 89, c. 104B6-7

E: მიიტაცა განშჯისა საყდარი მეორემან მან ანტექრისტე 23,29

I: ვითარცა ანტექრისტე, მიიტაცა ძისაგან პატივი მსაჯულობისაჲ 10ა

სიტყვა ἀξίωμα-ს ბერძნულში აქვს შემდეგი მნიშვნელობები: ღირსება, პატივი, დიდება, მთავრობა, ვედრება, სათხოვარი, ჯერ-არსობა. ეფთვიმემ ამ შემთხვევაში სიტყვის კონტექსტუალურ მნიშვნელობას საეკლესიო-სარწმუნოებრივი ელფერი შესძინა: საყდარი, სადაც სიმართლის განსჯა ხდება.

ზოგჯერ ეფთვიმეს ერთი ბერძნული სიტყვა ორი შესატყვისით გადმოაქვს.

Πιστεύομεν τοιγαροῦν εἰς ἕνα θεόν...ἄπειρον 18,2-3

E: და გურწამს ერთი ღმერთი... მიუწდომელი გონებათაგან 5,3.

M: გურწამს უკუე ერთისა მიმართ ღმრთისა... მიუწდომელისა 45,40vII

I: გურწამს უკუე ერთისა მიმართ ღმრთისა... უსაზომოჲსა 45,56vI

ἄπειρον სიტყვის მნიშვნელობას (მიუწვდომელი) ეფთვიმე აკონკრეტებს, რომ მიუწვდომელი არის გონებით.

## 7. ბიბლიური ციტაცია

„წინამძღუარში“ დამოწმებული ბიბლიის ციტატები საყურადღებოა იმ თვალსაზრისით, თუ როგორ ეკიდება ეფთვიმე მთაწმიდელი წმიდა წერილის ტექსტს: მას არავითარი ცვლილება არ შეაქვს ამა თუ იმ ადგილის ციტირებაში, თუ ბიბლიის ტექსტსაც საკუთარი მიზანდასახულობით, უფრო სწორად „წინამძღურის“ წინაშე დასმული მიზანდასახულობით მოიმარჯვებს?

ა) ყველაზე ხშირია ისეთი შემთხვევები, როცა ბიბლიური ციტატა ყოველგვარი ნიუანსური შეცვლის გარეშე დასტურდება „წინამძღუარში“. ეფთვიმე ზუსტად იმეორებს ბიბლიის უკვე არსებულ თარგმანს.

ფსალ.54,23: მიუტევე უფალსა ზრუნვაჲ შენი და მან გამოგზარდოს შენ.

ეს ციტატა ასე იკითხება „გარდამოცემაში“:

Ἐπίρριψον ἐπὶ κύριον τὴν μέριμναν σου καὶ αὐτός σε διαθρέψει 72, 30-32

E: მიუტევე უფალსა გულისსიტყუაჲ შენი და მან გამოგზარდოს შენ 9,5

I: მიაგდე უფლისა ზედა ზრუნვაჲ შენი და მან გამოგზარდოს შენ 105,68vII

M: მიუტევე უფალსა ზრუნვაჲ შენი და მან გამოგზარდოს შენ 105,63vI

ეფრემ მცირე და არსენ იყალთოელი ბერძნულ μέριμναν-ს თარგმნიან „ზრუნვა" სიტყვით, ეფთვიმეს კი სხვა შესატყვისით ( გულისსიტყუაჲ) გადმოაქვს იგი.

რომ.VIII,9: უკუეთუ ვისმე სული ქრისტესი არა აქუს, იგი არა არს მისი.

Εἴ τις γὰρ πνεῦμα Χριστοῦ οὐκ ἔχει 30,290-291

E: რომელსა სული ქრისტესი არა აქუსო, იგი არა არს ქრისტესი 5,33

M:რომელსა სული ქრისტესი არა აქუსო 59,46rI

I: უკუეთუ ვისმე სული ქრისტესი არა აქუსო 59,59vI

ეფთვიმეს სრულად მოაქვს ბიბლიური ციტატა და არა ნახევარი, როგორც ეს დედანშია.

I კორინ. II, 2: რამეთუ ვინმე უკუე იცის კაცმან კაცისაჲ, გარნა სულმანვე კაცისამან, რომელი არს მის თანა, ეგრეცა ღმრთისაჲ არავინ იცის, გარნა სულმანვე ღმრთისამან.

Καὶ τὸ πνεῦμα δὲ τὸ ἅγιον οὕτως οἶδε τὰ τοῦ θεοῦ, ὡς τὸ πνεῦμα τοῦ ἀνθρώπου οἶδε τὰ ἐν αὐτῷ 7,9-10

E: და სულმან წმიდამანცა ესრეთ იცის ყოველი საქმე ღმრთისაჲ, ვითარცა სულმან კაცისამან –კაცისაჲ 1,3

M: და სულმან წმიდამან ესრეთ იცის ღმრთისაჲ, ვითარცა სულმან კაცისამან უწყის ყოველივე კაცისა შორის მყოფი 33,36rI

I: და სულმან წმიდამან ესრეთ უწყნის ღმრთისანი, ვითარცა სულმან კაცისამან უწყნის ნანდჳლვე მის შორისნი 33, 54rI

დამასკელი აკეთებს ბიბლიის ციტატის პერიფრაზს, ეფთვიმე დაახლოებით მიჰყვება დამასკელის ტექსტს, პირველ წინადადებაში მართულ მსაზღვრელთან უმატებს საზღვრულს („ყოველი საქმე"), მეორე წინადადებაში კი ნაცვალსახელით გამოხატულ ობიექტს ცვლის სახელით („კაცისაჲ"), რომელიც მასში იგულისხმება.

ბ) განვიხილავთ ისეთ შემთხვევებს, როცა „წინამძღურის" ბიბლიური ციტატა მეტნაკლებად სხვაობს როგორც წყაროში, ე.ი. „გარდამოცემაში" მოცემული ციტატისაგან, ისე თვით ბიბლიის ტექსტისგანაც.

„გარდამოცემაში" ბიბლიური ტექსტის პერიფრაზი დასტურდება. სათანადო ადგილას ეფთვიმეც პერიფრაზს მიმართავს, მაგრამ ეფთვიმესეული პერიფრაზი თითქმის არასდროს ზუსტად არ იმეორებს დამასკელის ტექსტს. ეფთვიმე, როგორც მას სჩვევია, ზოგ სიტყვას ჩართავს, ზოგს გამოაკლებს, ან გადასვამს

სიტყვებს–ამით ბიბლიური კონტექსტის საკუთარ რედაქციას იძლევა. ასე მაგალითად:

გალატ IV,4: ხოლო ოდეს მოიწია აღსასრული ჟამთაჲ, მოავლინა ღმერთმან ძე თჳსი, შობილი დედაკაცისაგან და იქმნა იგი შჯულისა ქუეშე.

Ἐξαπέστειλεν ὁ θεὸς τὸν υἱὸν αὐτοῦ τὸν μονογενῆ γεννώμενον ἐκ γυναικός 134,26-27

E: ოდეს მოიწია აღსასრული ჟამთაჲ, მოავლინა ღმერთმან ძე თჳსი, რომელი იშვა დედაკაცისაგან 16,5

I: გამოავლინა ღმერთმან ძე თჳსი მხოლოდშობილი, ქმნილი დედაკაცისაგან 176,81 rII

M: გამოავლინა ღმერთმან ძე თჳსი მხოლოდშობილი შობად დედაკაცისაგან176,90rII

დამასკელი ციტატას ამოკლებს: ფრაზის პირველ ნაწილს ტოვებს, „შობილის“ ნაცვლად წერს „მხოლოდშობილს“, ხოლო ეფთვიმეს ბიბლიის ციტატა უცვლელად გადმოაქვს და არა ისე, როგორც დასტურდება „გარდამოცემის“ ორიგინალში.

ებრ. I,3: ბრწყინვალებაჲ დიდებისაჲ და ხატი ძლიერებისა მისისაჲ

ὁ χαρακτὴρ τῆς τοῦ πατρὸς ὑποστάσεως 20, 39-40

E: ბრწყინვალებაჲ იგი დიდებისაჲ და ხატი ძლიერებისა მამისაჲ 5,9

MI: ბრწყინვალებაჲ დიდებისაჲ და ხატი მამულისა გუამოვნებისაჲ 47,57rI

„გარდამოცემაში“ ბიბლიის ციტატის პერიფრაზია: ორი საზღვრულის ნაცვლად ერთი (ὁ χαρακτὴρ) დასტურდება, „ძლიერებისა მისისა“-ს ნაცვლად არის „მამის გუამოვნება“. ეფთვიმეს ზუსტად გადმოაქვს ბიბლიური ციტატა, მხოლოდ ერთ სიტყვაში არის განსხვავება ბიბლიის კანონიკური ტექსტისაგან: მისისა-ს ნაცვლად ეფთვიმესთან (ისევე, როგორც დამასკელთან და არსენთან) არის „მამისაჲ“.

დაბადება II,9: და აღმო-ვე-აცენა ღმერთმან მერმე ჭუეყანით ყოველი ხე შუენიერი ხილვად და კეთილი საჭმელად და ხე ცხორებისაჲ შორის სამოთხესა და ხე იგი–ცნობად კეთილისა და ბოროტისა.

Ἐν μέσῳ τούτου ξύλον ζωῆς ὁ θεὸς ἐφύτευσεν καὶ ξύλον τῆς γνώσεως· Τὸ μὲν ξύλον τῆς γνώσεως ἀπόπειραν τινα καὶ δοκιμὴν καὶ γυμνάσιον τῆς τοῦ ἀνθρώπου ὑπακοῆς καὶ παρακοῆς. Διὸ καὶ ξύλον τοῦ γινώσκειν καλὸν καὶ πονηρὸν κέκληται 71,14-17

E: და შორის სამოთხისა დანერგა ღმერთმან ხე იგი ცხორებისაჲ და ხე იგი ცნობადისა კეთილისა და ბოროტისაჲ, რომელ-იგი იყო გამოსაცდელ მორჩილებისა და ურჩებისა კაცისა მის, ამისთჳსცა ხე ცნობადი კეთილისა და ბოროტისაჲ ეწოდა მას 9,3

M: ხოლო შორის სამოთხისა მის დაჰნერგა ღმერთმან ხე იგი ცხორებისაჲ და ხე იგი ცნობადისაჲ. რამეთუ ცნობადობითა მისითა ანუ გამოცდილებასა

მისცემდა და წარმოაჩინებდა ურჩებასა და მორჩილებასა კაცებისასა, ამისთჳსცა ეწოდა მას ხე ცნობადისა კეთილისა და ბოროტისაჲ 104,63rII

I: ამის უკუე სამოთხისა შორის ხე ცხორებისაჲ და ხე ცნობადისაჲ დაჰნერგა ღმერთმან, ხე ვიდრემე ცნობადისაჲ შესამეცნებელად რადმე და გამოსაცდელად და საუწყებელად მორჩილებასა და ურჩებასა კაცისასა, რომლისათჳსცა ხედ მცნობელობისა კეთილისა და ბოროტისად სახელ-ედების 104,62vI

ეფთვიმე ამ შემთხვევაში დამასკელის მიერ პერიფრაზირებულ ტექსტს უფრო მიჰყვება, ვიდრე ბიბლიის კანონიკურ ტექსტს.

დაბად. III, 7: და განეხუნეს თუალნი ორთანივე და აგრძნეს, რამეთუ შიშუელ იყვნეს და შეკერეს ფურცელი ლეღჳსა და ქმნეს თავთა თჳსთა გარემოსარტყმელნი.

Ὅπερ δὴ καὶ πέπονθεν ὁ Ἀδάμ· γευσάμενος γὰρ ἔγνω, ὅτι γυμνὸς ἦν. καὶ περίζωμα ἑαυτῷ περιεποιεῖτο 72, 22-24

E: რომელ-იგი შეემთხჳა ადამს გემოჲსხილვითა მით ძელისაჲთა, რაჟამს ცნა სიშიშულე თჳსი და იწყო მეყსეულად ზრუნვად საფარველისა 9,4.

M: რომელი-იგი შეემთხჳაცა ადამს, რამეთუ იხილა რაჲ გემოჲ ხისაჲ მის, ეუწყა, ვითარმედ შიშუელ იყო და გარე-მოიდვა საბლარდნელი104-105,63rII.

I: რომელი-ესე შეემთხჳა ადამს, რამეთუ იხილა რაჲ გემოჲ, ცნა, რამეთუ შიშუელ იყო და გარემოსაბლარდნელისა თჳსისათჳს იურვოდა 105,68vI.

ეფთვიმე ამ შემთხვევაშიც დამასკელის მიერ პერიფრაზირებულ ტექსტს მიჰყვება.

„გარდამოცემაში“ ერთგან დასტურდება პერიფრაზი კორინთელთა ეპისტოლიდან. ეპისტოლეში წერია: „ქრისტე ღმრთისა ძალ არს და ღმრთისა სიბრძნე“ (I,24). დამასკელს ეს ადგილი ასე მოაქვს:

ἡ ζῶσα σοφία καὶ δύναμις 20, 40. ამ ადგილის ზუსტი თარგმანი აქვთ ეფრემსა და არსენს: „ცხოველი სიბრძნე და ძალი“ 47,57rI. ეფთვიმე წინადადების ორივე კომპონენტს ურთავს ნაცვალსახელებს „იგი“ და „მისი“: „ცხოველი იგი სიბრძნე და ძალი მისი“8,9

საერთოდ, ნაცვალსახელების დართვა ეფთვიმე მთაწმიდელის თარგმანთა დამახასიათებელი „მეტობის“ ერთ-ერთი ნიშანია.

ბიბლიური ტექსტებიდან „წინამძღუარში“ დადასტურებულ ციტატებში ნათლად ჩანს ეფთვიმეს წინაშე მდგარი საერთო მიზანდასახულობა: ქართველ მკითხველს მაქსიმალურად გაუადვილოს სათარგმნი ტექსტის ყოველი ადგილი.

საყურადღებოა ისეთი ბიბლიური ციტატა, რომელიც მრწამსის ფორმულას წარმოადგენს და ამდენად მოსალოდნელი იყო მისი უცვლელად გამეორება ყველა მთარგმნელის მიერ. საქმე ეხება წმიდა სამების წევრებს და მათ როლს შემოქმედებით აქტში. დამასკელის „გარდამოცემაში“ მრწამსში სამების მესამე წევრი — სული წმინდა და მისი ფუნქცია გამოტოვებულია. სხვათა შორის, ეს მოვლენა დამახასიათებელია ახალი აღთქმის ზოგი რედაქციისათვის. ამჟამად

ჩვენთვის საინტერესოა ის, რომ ქართველი მთარგმნელები აღნიშნულ ციტატაში ჩართავენ სული წმინდას. ეს მეტობა ქართული თარგმანების თავისებურებას წარმოადგენს. ქართული თარგმანების საერთო სურათში ეფთვიმე სული წმინდის ფუნქციას განსხვავებულად თარგმნის. სული წმინდაზე ნათქვამია: „მის ძლით ყოველი“. ახალი აღთქმის ბერძნულ ტექსტში სული წმიდის როლი აღნიშნული ფორმულის მიხედვით არის εἰς αὐτὸν. ქართულად იგი ჩვეულებრივ თარგმნილია „მისსა მიმართ“, „რომელსა შორის“ (არსენის თარგმანი)) სიტყვებით. ეფთვიმე აღნიშნულ კონტექსტში ამ ფორმულას თარგმნის „ძლით“ სიტყვით: „მის ძლით“.

საყურადღებოა, რომ სხვადასხვა ადგილას „წინამძღუარში“ იგივე ფორმულაში სული წმიდისათვის სხვა შესატყვისი – „მისა მიმართ“ – დასტურდება: მამაზე ნათქვამია: მისგან, ძეზე – მის მიერ და სული წმიდაზე – მის მიმართ.

როგორც ვხედავთ, წმიდა სამების მიმართ ნახმარ ამ ფორმულასაც კი ეფთვიმე ერთნაირად არ თარგმნის, ერთგან წერია „მის ძლით“, მეორეგან – „მისა მიმართ“. ასეთ მკაცრ საღვთისმეტყველო-დოგმატური შინაარსის შემცველ ფორმულაშიც კი ვლინდება ეფთვიმე ათონელის მთარგმნელობის ინდივიდუალობა, მისი თავისუფალი თარგმნის პოზიცია.

გ) „წინამძღუარში“ სახარებისეული ადგილების თარგმნისას ეფთვიმე სახარების საკუთარ თარგმანს კი არ იმეორებს, არამედ თარგმნის ისე, როგორც ისინი ასახულია დამასკელის „გარდამოცემაში“, ე.ი. საღმრთო წერილთან მიმართებაშიც იგი ერთგულია სათარგმნი ორიგინალისა.

იოანე I,18: ღმერთი არავინ სადა იხილა, მხოლოდშობილმან ძემან, რომელი იყო წიაღთა მამისათა, მან გამოჰსთქუა.

იოანე I,18-ის ეფთვიმესეული თარგმანი ასეთია:

„ღმერთი არასადა ვინ იხილა, გარნა მხოლოდშობილმან ძემან, რომელ იყო წიაღთა მამისათა, მან გამოთქუა I, 13-14

Θεὸν οὐδεὶς ἑώρακε πώποτε. Ὁ μονογενὴς υἱὸς ὁ ὢν ἐν τοῖς κόλποις τοῦ πατρός, αὐτὸς ἐξηγήσατο 7,6-7

E: ხოლო ღმერთი არავინ სადა იხილა, არამედ მხოლოდშობილმან ძემან, რომელი არს წიაღთა მამისათა, მან გამოთქუა იგი I,2

M: ღმერთი არასადა ვინ იხილა. მხოლოდშობილმან ძემან, რომელი იყო წიაღთა მამისათა, მან გამოთქუა 33,36rI

I: ღმერთი არავინ იხილა ოდესცა. მხოლოდშობილმან ძემან, რომელი იყო წიაღთა მამისათა, მან გამოთქუა 33, 54rI

ნათელია ეფთვიმეს სახარებისეული თარგმანის განსხვავება „წინამძღუარში“ დადასტურებულ თარგმანთან: „არასადა ვინ“-ის ნაცვლად „არავინ სადა“ გვაქვს „წინამძღუარში“, „გარნა“ კავშირი შეცვლილია „არამედ“-ით და მეშველი ზმნა აწმყო დროში გვაქვს, ნაცვლად წყვეტილისა: „არს“ ნაცვლად „იყო“-სი, რაც დამასკელის დედნის ὤν-ით არის განპირობებული.

„გარდამოცემის“ ორიგინალის მიმართ ერთგულებასთან ერთად ეფთვიმე ზოგან გვერდს უვლის დამასკელის ტექსტს და ბიბლიური ციტატის საკუთარ თარგმანს იმეორებს.

მათე 11,27: არავინ იცის ძე, გარნა მამამან და არცა მამაჲ ვინ იცის, გარნა ძემან“

Οὐδεὶς γὰρ ἐπιγνώσκει τὸν πατέρα εἰ μὴ ὁ υἱός, οὐδε τὸν υἱὸν εἰ μὴ ὁ πατήρ 7,8

„წინამძღუარში“ აღნიშნული ციტატა ასე იკითხება: „არავინ იცის მამაჲ, გარნა ძემან, და არცა ძე ვინ იცის, გარნა მამამან“ I,3

როგორც ვხედავთ, ეფთვიმე დამასკელის ორიგინალს იმეორებს, როცა ცვლის რიგს: პირველად არის „მამა“ და შემდეგ, „ძე“. მაგრამ დამასკელის ტექსტისგან განსხვავებით, იგი ბიბლიის ამ ადგილის საკუთარ თარგმანსაც იმეორებს, როცა მეორედ იმეორებს ზმნას („ვინ იცის“). ეს უკანასკნელი დამასკელის ტექსტში არ იკითხება. შდრ. I: არავინ უწყის მამაჲ, გარნა ძემან, არცა ძე, გარნა მამამან 33,54rI

ამ ადგილას ეფთვიმემ „გარდამოცემაში“ მოხმობილი ციტატა მათეს XI,27-დან მოიტანა ისეთი სრული სახით, როგორიც ის არის ბიბლიის ტექსტში და არა ისე შემოკლებულად, როგორც წარმოდგენილია დამასკელის ბერძნულ დედანსა და ეფრემისა და არსენის თარგმანთა ტექსტებში.

გალატ. IV,4: ოდეს მოიწია აღსასრული ჟამთაჲ, მოავლინა ღმერთმან ძე თჳსი, შობილი დედაკაცისაგან

Ἐξαπέστειλεν ὁ θεὸς τὸν υἱὸν αὐτοῦ τὸν μονογενῆ γεννώμενον ἐκ γυναικός 134,26-27

I: გამოავლინა ღმერთმან ძე თჳსი მხოლოდშობილი, ქმნილი დედაკაცისაგან 176,81vI

M: გამოავლინა ღმერთმან ძე თჳსი მხილოდშობილი შობად დედაკაცისაგან 176, 90rII

E: ოდეს მოიწია აღსასრული ჟამთაჲ, მოავლინა ღმერთმან ძე თჳსი, რომელი იშვა დედაკაცისაგან 16,5

„გარდამოცემის“ ბერძნულ დედანსა და არსენის თარგმანშიც გამოტოვებულია პირველი წინადადება გალატელთა მიმართ ეპისტოლის ამ ადგილიდან ანუ აკლია სიტყვები: „ოდეს მოიწია აღსასრული ჟამთაჲ“. „წინამძღუარში“ კი ეფთვიმეს ციტატა სრული სახით მოჰყავს.

მოტანილი მასალა თვალსაჩინოს ხდის, რომ „წინამძღურის“ ავტორი, ეფთვიმე მთაწმიდელი, ბიბლიური ადგილების პერიფრაზირებისა თუ ზუსტი ციტირების შემთხვევებშიც არ იცავს ერთიან სურათს: იგი ხან დამასკელის თხზულებას მისდევს, ხან უშუალოდ მიმართავს ბიბლიის ტექსტს, ხან კი არც ერთსა და არც მეორეს არ იმეორებს და ბიბლიური ტექსტიდან აღებული ადგილების საკუთარ ინტერპრეტაციას იძლევა.

## 8. გრიგოლ ნაზიანზელის ჰომილიათა ციტაცია

იოანე დამასკელის „გარდამოცემა“ სხვა მრავალ მნიშვნელოვან პრობლემასთან ერთად იმითაცაა საყურადღებო, რომ თხზულებაში უხვად არის გამოყენებული მრავალი წერილობითი წყარო. ეს ნაშრომი მკვეთრად კომპილაციური ხასიათისაა. ავტორის აღიარებით, თავისი ნაწარმოების თემატიკის დამუშავებისას მას უსარგებლია თვალსაჩინო საეკლესიო მოძღვართა თხზულებებით: „ხოლო ვთქუა ჩემი არარაჲ, არამედ უწარჩინებულესთა მოძღუართა ნამუშაკევისა ერთად შემკრებელმან შემოკლებულ-ვყო სიტყუაჲ“ – აცხადებს დამასკელი თავისი ტრილოგიისათვის წამძღვარებულ შესავალში (11,74). „გარდამოცემის“ ბერძნულ გამოცემებში, როგორიცაა გ.მინეს გამოცემა (81) და ბ. კოტერის მიერ განხორციელებული კრიტიკული გამოცემა (73), ტექსტზე დართულ კრიტიკულ აპარატში მითითებულია ის ავტორები და თხზულებები, რომლითაც უსარგებლია იოანე დამასკელს. ბიბლია, ყოველგვარი კონკურენციის გარეშე, პირველია გამოყენებულ წყაროთა შორის. შემდეგ შეიძლება დავასახელოთ გრიგოლ ნაზიანზელის, ღვთისმეტყველის თხზულებები.

გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებებზე ყურადღების გამახვილება განპირობებულია იმ საყოველთაოდ აღიარებული აზრით, რომ ბიბლიის შემდეგ ყველაზე ხშირად ციტირებული ავტორი საეკლესიო მწერლობაში არის გრიგოლ ნაზიანზელი. ამ მხრივ გამონაკლისი არც „წინამძღუარია“ და არც მისი წყაროები.

გრიგოლ ღვთისმეტყველი, როგორც ცნობილია, უაღრესად პოპულარული ავტორი იყო მთელ შუასაუკუნეებში. მის ღვთისმეტყველებას ძალზე აქტიურად მიმართავდნენ როგორც ორთოდოქსი მართლმადიდებლები, ისე სხვადასხვა წვალებათა წარმომადგენლები. ცნობილია, მაგალითად, სომეხი მონოფიზიტების მიერ გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებების თავიანთ სასარგებლოდ კომენტირების და გამოყენების ფაქტი.

შუასაუკუნეთა ღვთისმეტყველნი გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებების მოშველიებით ცდილობდნენ, ეჩვენებინათ მართლმადიდებლური სარწმუნოების ჭეშმარიტი ბუნება. ამ შესაძლებლობას, ცხადია, ვერც იოანე დამასკელი გაუშვებდა ხელიდან. იოანე დამასკელის „გარდამოცემა“ თვალნათლივი დადასტურებაა იმისა, თუ როგორი გავლენა ჰქონდა გრიგოლ ღვთისმეტყველის საეკლესიო მოძღვრებას შემდგომი დროის საღვთისმეტყველო აზროვნებაზე. „გარდამოცემაში“ ხშირად დასტურდება ციტატები გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებებიდან.

ვინაიდან ეფთვიმე მთაწმიდელის „წინამძღუარი“ ძირითადად „გარდამოცემას“ ეყრდნობა, ბუნებრივია, „გარდამოცემაში“ ასახული გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა ციტატები მრავლად დასტურდება „წინამძღუარშიც“. თუ ამას იმ ცნობილ ფაქტთან კონტექსტში გავითვალისწინებთ, რომ გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებები ეფთვიმეს დამოუკიდებლივ აქვს თარგმნილი, ჩვენ

ძალზე საინტერესო მიმართების წინაშე აღმოვჩნდებით. ერთი მხრივ, გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებები > იოანე დამასკელის „გარდამოცემა“> ეფთვიმეს „წინამძღუარი“ და მეორე მხრივ, გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებები > ეფთვიმეს თარგმანები ამ თხზულებებისა.

გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა გამოყენების ძალზე საინტერესო სურათი ვლინდება „წინამძღუარში“: კერძოდ, ორი გზა ჩანს: პირველი უშუალო, გრიგოლის ჰომილიებით პირდაპირი სარგებლობისა და მეორე, შუალობითი, ნაზიანზელის თხზულებათა დამასკელის გზით სარგებლობისა.

საკითხი, რაც ჩვენი უპირველესი ინტერესების ობიექტს წარმოადგენს, მდგომარეობს შემდეგში: როგორ თარგმნის ეფთვიმე მთაწმიდელი გრიგოლ ნაზიანზელის ჰომილიებიდან აღებულ ციტატებს „წინამძღუარში“ და როგორ თარგმნის იმავე ადგილებს თვით ჰომილიათა თარგმანებში? ანუ ამა თუ იმ ციტატას იგი თარგმნის იოანე დამასკელის ტექსტის მიხედვით, თუ უშუალოდ მიმართავს პირველწყაროს, ე.ი. გრიგოლ ღვთისმეტყველს?

ამ საკითხზე პასუხის გაცემა მოითხოვდა გაგვერკვია, თუ თვითონ დამასკელი როგორ იყენებდა გრიგოლ ღვთისმეტყველის ციტატებს. მხოლოდ ამის შემდეგ გახდებოდა შესაძლებელი, გარკვეულიყო ეფთვიმეს მიერ ნაზიანზელის ციტატებით სარგებლობის ხასიათი.

ამ მიზნით იოანე დამასკელის მიერ გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებებიდან აღებული ციტატები შევუდარეთ თვით ჰომილიათა ტექსტებს. „გარდამოცემაში“ და „წინამძღუარში“ გვხვდება ციტატები ნაზიანზელის შემდეგი ჰომილიებიდან: 20, 28, 31, 38, 39, 40, 41, 45 (PG 35, 36).

ტექსტობრივი შედარებით გაირკვა, რომ ხშირ შემთხვევაში იოანე დამასკელი ტექსტის პერიფრაზირებას ახდენს, საკმაოდ თავისუფლად ცვლის დედნის ამა თუ იმ ადგილს.

იშვიათი გამონაკლისია, როცა დამასკელი ნაზიანზელის ტექსტიდან რომელიმე ადგილს სიტყვასიტყვით, უცვლელად იღებს. საქმე ისაა, რომ ნაზიანზელის ჰომილიები, როგორც ცნობილია, მათი სპეციფიკური სტილის გამო გასაგებად საკმაოდ რთულია.

მათი შეკუმშული, ლაკონური ფრაზები ძნელი აღსაქმელია. ნაზიანზელის სტილი ლაკონურია, აზრობრივად კი ღრმა და ტევადი (77). თავად გრიგოლ ნაზიანზელი თავის სიტყვას „უსრულესს და უშემოკლებულესს“ უწოდებს (101,191r). ამიტომაც დამასკელი ცდილობს ნაზიანზელის ტექსტი მსმენელთათვის იოლი, მისაწვდომი იყოს. ხშირია შემთხვევები, როცა დამასკელი ამარტივებს ტექსტს, აზრს სხვა სიტყვებით გადმოგვცემს. უფრო ხშირია შემთხვევები, როცა უკეთ გაგებინების მიზნით, იგი ავრცობს ტექსტს იმ სიტყვებით, რაც ნაგულისხმევია, ზოგჯერ სიტყვა სინონიმური შესატყვისებით გადმოაქვს, ავრცობს ბიბლიური ციტატებით, ამატებს განმარტებითი ხასიათის ფრაზებს, არ იცავს ტექსტის თანმიმდევრობას.

იოანე დამასკელის მიერ გრიგოლ ღვთისმეტყველის ჰომილიებიდან ციტატების პერიფრაზირების პარალელურად, იშვიათად, მაგრამ მაინც, გვხვდება შემთხვევები, როცა „გარდამოცემაში“ ნაზიანზელის რომელიმე ციტატა უცვლელად დასტურდება.

ახლა მივუბრუნდეთ „წინამძღუარსა“ და ეფთვიმე მთაწმიდელის მიერ ნაზიანზელის ციტატების თარგმნის ხასიათს. როგორც აღვნიშნეთ, ნაზიანზელის ჰომილიები ეფთვიმეს დამოუკიდებლად აქვს თარგმნილი. ეფთვიმესეული თარგმანების შემცველი კრებულების რამდენიმე ხელნაწერი არსებობს.

იმ მიზნით, რომ გაგვერკვია, თუ რა ხასიათი აქვს ეფთვიმე მთაწმიდელის მიერ ნაზიანზელის თხზულებათა ციტირებას, „წინამძღუარში“ არსებული ნაზიანზელის ციტატები შევუდარეთ უშუალო წყაროს, დამასკელის „გარდამოცემას“, თვით ნაზიანზელის ჰომილიათა ბერძნულ ორიგინალებსა და ამ ჰომილიათა ქართულ თარგმანებს (მრავალთავის ანონიმი ავტორი, ეფრემ მცირე, არსენ იყალთოელი).

ზოგადი სურათი, რომელიც წარმოჩინდა ასეთი სახის ტექსტუალური შედარებების შედეგად, შემდეგია:

1. იოანე დამასკელი ახდენს გრიგოლ ნაზიანზელის ციტატათა პერიფრაზირებას. ეფთვიმე მთაწმიდელი იმეორებს დამასკელისეულ პერიფრაზს, ე.ი. ეფთვიმე მიჰყვება იმ დედანს, რომელზე დაყრდნობითაც ადგენს თავის „წინამძღუარს“ ანუ დამასკელის „გარდამოცემას“.

მსგავსი მაგალითები წარმოადგენენ შემთხვევათა უმრავლესობას.

2. იოანე დამასკელი იძლევა ნაზიანზელის ციტატის პერიფრაზს. ეფთვიმე „წინამძღუარში“ იმეორებს არა დამასკელის თხზულებას, არამედ იძლევა ნაზიანზელის ტექსტის საკუთარ თარგმანს.

3. იოანე დამასკელი სიტყვასიტყვით იმეორებს ნაზიანზელის ციტატას, ეფთვიმეც დამასკელის მსგავსად, ზუსტ ციტირებას ახდენს.

4. იოანე დამასკელი ნაზიანზელის ერთსა და იმავე ციტატაში ერთ ნაწილს ზუსტად იმეორებს, მეორე ნაწილს პერიფრაზით გადმოსცემს. ეფთვიმეს „წინამძღუარი“ ასეთ კონტექსტებში ხან დამასკელის წაკითხვას იმეორებს, ხან ნაზიანზელის ტექსტს მისდევს.

5. „გარდამოცემაში“ დასტურდება ისეთი ორი შემთხვევაც, როცა იოანე დამასკელის მიერ ნაზიანზელისეული ციტატის პერიფრაზი გარკვეულ უზუსტობას შეიცავს.

მოყვანილი გვაქვს რამდენიმე ნიმუში, როცა დამასკელი ცვლის ნაზიანზელის ტექსტის აზრს. მიუხედავად იმისა, რომ ნაზიანზელი ლაკონურად და შეფარვით ურთულეს საკითხებს ეხება, მსჯელობისას ყოველთვის ითვალისწინებს ნიუანსებს, რათა მსმენელს მის აზრებში ეჭვი არ შეეპაროს, ორაზროვნება თავიდან აიცილოს. იოანე დამასკელი მსჯელობისას საკითხის ყველა სირთულეს არ განიხილავს, დეტალიზაციას და კონკრეტიზაციას ხშირად თავს არიდებს.

ამიტომ მისი მკითხველი შეიძლება შეცდომაში შევიდეს ურთულესი საკითხების ვერგაგების გამო. ეფთვიმე გრძნობს ამ შეუსაბამობებს, ამ სირთულეებს და თავისი კორექტივები შეაქვს ნაზიანზელის ციტატების გაგებაში.

საილუსტრაციოდ მოგვყავს გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებების რამდენიმე ციტატა და მათი დამასკელისა და ეფთვიმე მთაწმიდელისეული შესატყვისები.

Naz.: Προσκυνῶμεν οὖν Πατέρα, καὶ Υἱὸν, καὶ ἅγιον Πνεῦμα, τὰς μὲν ἰδιότητας χωρίζοντες, ἑνοῦντες δὲ τὴν θεότητα, καὶ οὔτε εἰς ἓν τὰ τρία συναλείφομεν, ἵνα μὴ τὴν Σαβελλίου νόσον νοσήσωμεν. Οὔτε διαιροῦμεν εἰς τρία ἔκφυλα καὶ ἀλλότρια ἵνα μὴτὰ' Αρείου μανῶμεν...εἰς μὲν Θεὸς, εἰς ἕν αἴτιον καὶ Υἱοῦ καὶ Πνεύματος ἀναφερομένων, οὐ συντιθεμένων, οὐδὲ συναλειφομένων Or. 20, PG 35, c. 1072 A1-4; c. 1073 A1-3

Dam.: Εἰς ἕν αἴτιον Υἱοῦ καὶ Πνεύματος ἀναφερομένων, οὐ συντιθεμένων οὐδὲ συναλειφομένων κατὰ τὴν Σαβελλίου συναίρεσιν ἑνοῦνται γὰρ, ὡς ἔφημεν, οὐχ ὥστε συγχεῖσθαι,ἀλλ' ὥστε ἔχεσθαι ἀλλήλων, καὶ τὴν ἐν ἀλλήλαις περιχώρησιν ἔχουσι δίχα πάσης συναλοιφῆς καὶ συμφύρσεως, οὐδὲ ἐξισταμένων ἢ κατ οὐσίαν τεμνομένων κατὰ τὴν 'Αρείου διαίρεσιν 29,260-265

Od: ერთსა ღმერთსა აღვიარებთ წმიდასა სამებასა– რამეთუ ერთად მიზეზად, რომელ არს მამაჲ, შეერთებულ არიან ძე და სული წმიდაჲ. არათუ შეირევიან, ანუ შეირწყუმიან წვალებისა მისებრ საბელიოზისა, რომელმან-იგი შერევნისა და შერწყუმისა გმობაჲ თქუა, რამეთუ შეერთებულ არიან, ვითარცა ვთქუ, არა თუ შერწყუმით, არამედ ერთბამად ყოფითა და განუშორებელობითა, თუნიერ ყოვლისავე შერეულებისა, არცა განიყოფებიან ანუ განიკუეთებიან არსებითა და ბუნებითა წვალებისა მისებრ არიოზისა 5,27

E: თაყუანის-ვცემთ უკუე მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, თჳთებათა გუამოვნებისათა განვჰყოფთ, ხოლო ღმრთეებასა შევაერთებთ და არცა სამთა მათ გუამთა ერთად შევჰრევთ, რაჲთა არა საბელიოზისა სენსა შთავცჳვეთ, არცა ბუნებასა ღმრთეებისასა განვჰყოფთ სამად უცხო გუარად და უცხო წესად, რაჲთა არა სიბორგილი იგი არიოზისა შეგუემთხჳოს... ერთ არს ღმერთი და ერთად მიზეზად ძე და სული წმიდაჲ შეიერთებიან, არცა შეირევიან, არცა შეირწყუმიან.

I: ვიტყჳთ ერთსა ღმერთსა – წმიდა სამებასა, ერთისა მიზეზისა მიმართ აღყვანებითა ძისა და სულისაჲთა, არა შერწყუმითა, არცა თანაგანლევითა საბელიოზის შერევნისაებრ, რამეთუ შეიერთებიან, ვითარცა ვთქუთ, არა ვითარმცა შეირწყუმოდეს, არამედ ვითარმცა ურთიერთას დაიტეოდეს და ურთიერთასისა შორის ყოფისა მქონებელ იყვნეს, თუნიერ ყოვლისა შერწყუმისა და შერევნისა, არცა განყოფითა ანუ არსებისა განკუეთითა არიოზისა განწვალებისაებრ 57-58, 59rII

იოანე დამასკელი ნაზიანზელის ტექსტის აღნიშნული კონტექსტის პერიფრაზს იძლევა. ამავე დროს ცვლის ტექსტის თანმიმდევრობას: ბოლო წინადადებები თავში გადმოაქვს.

არსენი დამასკელის ტექსტს ზედმიწევნითი სიახლოვით თარგმნის. წინადადებები აბსოლუტურად ბერძნული სინტაქსით არის გაწყობილი.

ეფთვიმე არსენისგან განსხვავებით, თარგმნის ისე, როგორც ბუნებრივია ქართული ენისათვის. იგი ორგან განმარტებითი ხასიათის ფრაზას ჩართავს, როცა ერთ მიზეზზეა საუბარი, ეფთვიმე საჭიროდ მიიჩნევს დაუმატოს: „რომელ არს მამაჲ".

ეს ადგილი „წინამძღურიდან" სხვაობს or 20-ის შესაბამისი ადგილის ეფთვიმესეული თარგმანიდან, რადგან ეფთვიმეს „წინამძღუარი" მისდევს დამასკელის „გარდამოცემას". ეფთვიმესთან ნაზიანზელის ჰომილიის თარგმნისას მეტობს სამი სიტყვა. ადგილი აქვს გავრცობას იმ სიტყვებით, რაც არ არის ორიგინალში, მაგრამ იგულისხმება.

Naz. ἢ τοσοῦτον ὅσον εἰδέναι ἀγγέλους τινὰς καὶ ἀρχαγγέλους, θρόνους, κυριότητας, ἀρχὰς, ἐξουσίας Or XXVIII, PG 36, c.72 B 1-3

Dam.: Καὶ πρώτην μὲν εἶναι φησι τὴν περὶ θεὸν οὖσαν ἀεὶ καὶ προσεχῶς καὶ ἀμέσως ἡνωσθαι παραδεδομένην τὴν τῶν ἐξαπτερύγων Σεραφίμ καὶ τῶν πολυομμάτων Χερουβὶμ καὶ τῶν ἁγιωτάτων θρόνων, δευτέραν δὲ τὴν τῶν Κυριοτήτων καὶ τῶν Δυνάμεων καὶ τῶν Ἐξουσιῶν, τρίτην δὲ καὶ τελευταίαν τὴν τῶν Ἀρχῶν καὶ Ἀρχαγγέλων καὶ Ἀγγέλων 48,69-74

E: და ესრეთ დაებადნეს ზეცისა ძალნი: ქერობინნი და სერაბინნი და საყდარნი და უფლებანი და კელმწიფებანი და ძალნი, მთავრობანი, მთავარანგელოზნი და ანგელოზნი 7,1.

I: პირველ ყოფად უკუე იტყჳს გარემოჲს ღმრთისა მყოფსა მარადის და შემშჭუალვით და უსაშუელოდ შეერთებულსა მოცემულისასა ექუსფრთეთა სერაფიმთა და მრავალთუალთა ქერუვიმთა და ყოველად წმიდათა საყდართა დასსა. ხოლო მეორედ – უფლებათა და ძალთა და კელმწიფებათა. ხოლო მესამედ და დასასრულისად – მთავრობათა, მთავარანგელოზთა და ანგელოზთა 78,63rII

ნაზიანზელი უბრალოდ ჩამოთვლის ზეციურ ძალებს. დამასკელი ავრცობს პირველწყაროს, ზეციურ ძალებს მოკლე კომენტარებს უმატებს. ეფთვიმე ამ იერარქიას ამარტივებს: მსგავსად ნაზიანზელისა, იგი არ ამბობს, რომელი ძალა შეიქმნა პირველად, მეორედ, მესამედ, ოღონდ მთაწმიდელი იცავს იმ თანმიმდევრობას, რაც დამასკელთანაა. არსენის თარგმანი ზუსტად მიჰყვება დამასკელის ტექსტს.

Οὕτω μὲν οὖν τὰ ἅγια τῶν ἁγίων, ἃ καὶ τοῖς Σεραφίμ συγκαλύπτεται καὶ δοξάζεται τρισὶν ἁγιασμοῖς εἰς μίαν συνιοῦσι κυριότητα καὶ θεότητα·

ὃ καὶ ἄλλῳ τινὶ πρὸ ἡμῶν πεφιλοσόφηται κάλλιστά τε καὶ ὑψηλότητα 130.33-36

E: ესრეთ არს წმიდაჲ იგი წმიდათაჲ, რომელსა სერაბინნი დაეფარვიან და შიშით ადიდებენ სამწმიდაარსობითა, რომელი-იგი ერთად შეკრბების უფლებად და ღმრთეებად და პირველითგანვე წმიდათა მოციქულთა მიერ და წმიდათა მამათა ესე გალობაჲ წმიდისა სამებისაჲ ესრეთ განწესებულ არს 15,6

I: ესრეთ უკუე არიან წმიდანი წმიდათანი, რომელნი სერაფიმთადცა დაიფარვიან და იდიდებიან სამითა სიწმიდითა, ერთად ღმრთეებად და უფლებად შემოკრებულნი, რომელნი სხჳსაცა ვისგანმე პირველ ჩუენისა იფილოსოფოსა ყოვლად კეთილად და უფროჲსად მაღლად 171, 80vII

E Or.45: ესრეთ უკუე არს წმიდაჲ იგი წმიდათაჲ, რომელსა სერაბინნი დაეფარვიან და ადიდებენ სამითა სიწმიდითა, რომელი შეკრბების ერთად ღმრთეებად და უფლებად, რომელიცა სხუამანცა ვინმე უწინარეს ჩუენსა გამოთქუა კეთილად და შუენიერად და მაღლად.

M Or.45: ესრეთ სადმე უკუე წმიდანი წმიდათანი, რომელნი-იგი სერაფიმთადცა დაიფარვიან და იდიდებიან სამითა სიწმიდითა, რაჲ ერთად უფლებად და ღმრთეებად შემოჰკრებდენ, რომელი სხჳსა ვისგანმეცა პირველ ჩუენსა იფილოსოფოსა შუენიერად და მაღლად.

M Or.38: ესრეთ უკუე არს წმიდაჲ წმიდათაჲ, რომელი სერაფიმთადცა იფარვის და იდიდების სამითა წმიდაობითა ერთად შემოკრებულებასა შინა უფლებისა და ღმრთეებისასა, რომელი სხჳსაცა ვისაგანმე პირველ ჩუენისა ისიბრძნისმოყუარა მაღლად და შუენიერებით.

E Or.38: ესრეთ უკუე არს წმიდაჲ იგი წმიდათაჲ, რომელსაცა სერაბინნი დაეფარვიან და ადიდებენ სამითა სიწმიდითა, რომელი შეკრბების ერთად უფლებად და ღმრთეებად, რომელი სხუამანცა ვინმე უწინარეს ჩუენსა გამოთქუა კეთილად, შუენიერად და მაღლად.

Mr. Or.38: ესრეთ არს წმიდაჲ წმიდათაჲ, რომლისაგან იფარვენ სერაბინნი და უგალობენ სამწმიდაობითა ერთღმრთეებასა და ერთსა უფლებასა, ვითარცა-იგი სიბრძნისმეტყუელა ერთმან, რომელი უწინარეს ჩუენსა კეთილად და პატიოსნად.

დამასკელს ზედმიწევნით ზუსტად გადმოაქვს გრიგოლ ღვთისმეტყველის ტექსტი. არსენი აქაც ერთგულად მისდევს დედანს. ეფრემის თარგმანი ზედმიწევნითია, ოღონდ „გაქართულებული“, რასაც მთარგმნელი აღწევს მიმღეობური კონსტრუქციების თავიდან აცილებით. Τὰ ἅγια τῶν ἁγίων, როგორც კონტექსტიდან ჩანს, მრავლობით რიცხვშია, ეფრემ მცირე Or. 45-ის თავის თარგმანში და არსენ იყალთოელი „გარდამოცემაში“ ამ სიტყვებს ასევე თარგმნიან: „წმიდანი წმიდათანი“. ხოლო ეფრემი Or. 38-ის ტექსტში, ეფთვიმე კი Or. 45-ისა და „წინამძღურის“ ტექსტებში მას შემდეგნაირად თარგმნიან: „წმიდაჲ იგი წმიდათაჲ“, მრავალთავის ანონიმ ავტორთან კი იკითხება: „წმიდაჲ

წმიდათაჲ“. Τρισὶν ἁγιασμοῖς ეფთვიმეს „წინამძღუარში“ თარგმნილი აქვს „სამწმიდაარსობა“ // „სამი სიწმიდე“ სიტყვებით, მრავალთავის მთარგმნელს – „სამწმიდაობა“, ხოლო ეფრემსა და არსენს –„სამი სიწმიდე“.

რაც მთავარია, ეფთვიმე აღნიშნულ მონაკვეთს განსხვავებულად თარგმნის „წინამძღუარში“ და განსხვავებულად – ნაზიანზელის 45-ე ჰომილიაში. განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ „წინამძღურის“ ტექსტში πεφιλοσόφηται სიტყვას (რაც სხვა თარგმანებში გადმოცემულია „იფილოსოფოსა“ (MI), „ისიბრძნისმოყუარა“ (M), „სიბრძნისმეტყუელა“ (Mr.) სიტყვებით, ეფთვიმე თავისი იდეოლოგიური მრწამსიდან გამომდინარე, თარგმნის სარწმუნოებრივ-საღვთისმეტყველო შინაარსით: „წმიდათა მოციქულთა მიერ და წმიდათა მამათა ესე გალობაჲ წმიდისა სამებისაჲ ესრეთ განწესებულ არს“. ნაზიანზელის ჰომილიაში კი მოციქულთა და წმიდა მამათა ხსენება არ არის, მაგრამ ტერმინი πεφιλοσόφηται მაინც თარგმნილია ნეიტრალური სიტყვით „გამოთქუა“.

Dam.:Ημῖν δὲ εἷς θεὸς ὁ πατήρ, ἐξ οὗ τὰ πάντα, καὶ εἷς κύριος Ἰησοῦς Χριστός, δι᾽ οὗ τὰ πάντα, καὶ ἓν πνεῦμα ἅγιον, ἐν ᾧ τὰ πάντα, τοῦ ἐξ οὗ καὶ δι᾽οὗ καὶ᾽ἐν ᾧ μὴ φύσεις τεμνόντων (οὐδὲ γὰρ ἄν μετέπιπτον αἱ προθέσεις ἤ αἱ τάξεις τῶν ὀνομάτων), ἀλλὰ χαρακτηριζόντων μιᾶς καὶ ἀσυγχύτου φύσεως ἰδιότητας. καὶ τοῦτο δῆλον. ἐξ ὧν εἰς ἕν συνάγονται πάλιν, εἴ τῳ μὴ παρέργως ἐκεῖνο ἀναγινώσκεται παρὰ τῶ ἀποστόλῳ, τὸ ἐξ αὐτοῦ καὶ δι᾽ αὐτοῦ καὶ εἰς αὐτὸν τὰ παντά. αυτῶ ἡ δόξα εἰς τοὺς αἰῶνας. Ἀμήν 129,19-26

Dam.=Gr. Naz. Or. 39 PG 36, c. 348 B 6

E: საცნაურ არს უკუე, ვითარმედ, რომელი-იგი თქუა მამისათჳს, თუ „რომლისაგან ყოველი“ და ძისათჳს, თუ „რომლისა მიერ ყოველი“ და სულისა წმიდისათჳს, თუ „რომლისა ძლით ყოველი“, არა ბუნებათა განკუეთს, ვითარ-იგი მწვალებელთა თქუეს. რამეთუ იგივე მოციქული მრავალგზის სცვალებს სიტყუათა ამათ. და რომელი აწ მამისათჳს თქუა, იტყჳს კუალად ძისათჳს და სულისა წმიდისა, და რომელი აწ ძისათჳს თქუა, იტყჳს მამისათჳს, და რომელი სულისა წმიდისათჳს თქუა, იტყჳს მამისათჳსცა და ძისა. არამედ აწ ამას ადგილსა ესე სიტყუანი თქუნა გამომსახველად ერთისა მის ბუნებისა შეურევნელთა თჳთებათა. და ესე საცნაურ არს, ვითარცა წმიდა გრიგოლი გუასწავებს, რამეთუ კუალად ერთად შემოკრებიან ესე სიტყუანი, ვითარცა იგივე მოციქული ერთობით იტყჳს, ვითარმედ: „ვინ-მე ცნა გონებაჲ უფლისაჲ, ანუ ვინ თანამზრახვალ ეყო მას“, რამეთუ მისგან და მის მიერ და მისა მიმართ არს ყოველი და მისი არს დიდებაჲ უკუნითი უკუნისამდე, ამენ 15,3-5.

I: ხოლო ჩუენდა ერთ არს ღმერთი მამაჲ, რომლისაგან ყოველნი და ერთ–უფალი იესუ ქრისტე, რომლისა მიერ ყოველნი და ერთ – სული წმიდაჲ, რომლისა შორის ყოველნი, „რომლისგანისა“ და „რომლისამიერისა“ და „რომლისა შორისისა“ მიერ არა ბუნებისა განმკუეთელობითა, რამეთუ არცამცა

იცვალებოდეს წინადადებანი და წესნი სახელთანი, არამედ დამსახველობითა ერთისა და შეურევნელისა ბუნებისა თჳთებათაჲთა და ესე ცხად არს მისგან, რომელ ერთად შეკრბებიან კუალად, არა თუ ვინმე გარეწარად იკითხვიდეს მისვე მოციქულისამიერსა მას, ვითარმედ: მისგან და მის მიერ და მისსა მიმართ ყოველნი, მისა დიდებაჲ საუკუნეთა, ამინ 170 – 171,80v II.

E Or. 39: ხოლო ჩუენდა ერთ არს ღმერთი მამაჲ, რომლისაგან არს ყოველი და ერთ არს უფალი იესო ქრისტე, რომლისა მიერ არს ყოველი და ერთ არს სული წმიდაჲ, რომლისა მიმართ არს ყოველი, და ესე სიტყუანი თუ: მისგან და მის მიერ და მისა მიმართ – არა ბუნებათა განჰყოფენ, რამეთუ არამცა შეიცვალებოდეს სახელნი ესე და ოდესმე მამისათჳს ითქუმოდეს, ოდესმე ძისა და ოდესმე სულისა წმიდისა, უკუეთუ თითოეულსა ზედა განწესებულ იყვნეს, არა ბუნებათა უკუე განჰყოფენ, არამედ გამოსახვენ ერთისა მის და შეურევნელისა ბუნებისა თჳთებათა.

და შეკრბებიან სიტყუანი ესე, უკუეთუ ვინ გონიერად და არა გარეწარად აღმოიკითხოს მისივე მოციქულისა მიერ თქუმული, ვითარმედ: მისგან და მის მიერ და მისა მიმართ არს ყოველი, მისდა დიდებაჲ უკუნითი უკუნისამდე.

M Or. 39: ხოლო ჩუენდა ერთ – ღმერთი მამაჲ, რომლისაგან ყოველი და ერთ – უფალი იესუ ქრისტე, რომლისა მიერ ყოველი და ერთ – სული წმიდაჲ, რომლისა შინა ყოველი, ვინაჲცა „რომელთაგანი“ და „რომლისამიერი“ და „რომლისაშინაჲ“ არა ბუნებათა განსჭრიან (რამეთუ არამცა გამოიცვალებოდეს წინადადებანი ესე და წესნი სახელთანი), არამედ გამოხატვენ ერთისა და შეურევნელისა ბუნებისა თჳთებათა და ესე ცხად არს, რომელთაგან კუალად ერთად შემოკრბებიან, უკუეთუ ვინმე არა გარეწარად აღმოიკითხვიდეს მას მისვე მოციქულისა მიერ: მისგან და მისთჳს და მისსა მიმართ ყოველი, მისა დიდებაჲ უკუნისამდე, ამენ.

Mr.: გარნა ჩუენდა – ერთი ღმერთი მამაჲ, რომლისაგან ყოველი და ერთი უფალი იესუ ქრისტე, რომლისაგან ყოველი და ერთი სული წმიდაჲ, რომლისაგან ყოველი. და რაჲთა არა ზეცისანიმცა ხოლო თაყუანისმცემელ იყვნეს ღმრთისა, არამედ ქუეყანისანიცა, რაჲთამცა აღივსო ყოველით კერძო დიდებითა ღმერთი A19, 183r.

გრიგოლ ნაზიანზელის „ნათლისღების“ საკითხავში (or. 39) ეს ადგილი მნიშვნელოვან საღვთისმეტყველო გაგებას შეიცავს. ნაზიანზელის მიერ გამოყენებულია პავლე მოციქულის რომაელთა მიმართ ეპისტოლის ერთი ადგილი (XI, 36). ამ ადგილას წმ. სამების სამი ჰიპოსტასის თვისებებზე და მათი ბუნებითი ერთობის შესახებ არის ლაპარაკი. „რომლისაგან“, „რომლისა მიერ“ და „რომლისა მიმართ“ ცნებებით გამოხატულია მამის, ძის და სული წმიდის ჰიპოსტასებით განსხვავება, ის სპეციფიკურობა, რითაც ისინი განიყოფებიან. მაგრამ ეს განყოფა არ ნიშნავს მათი ბუნების გაყოფას, ბუნებით სამივე ჰიპოსტასი ერთია. ასე არის გამოხატული სამგუამოვნების ერთარსებობა.

იოანე დამასკელის მიერ გრიგოლ ნაზიანზელის or.39-ის აღნიშნული კონტექსტი მცირეოდენი პერიფრაზირებით არის გადმოცემული „გარდამოცემაში“.

რა ვითარებაა ეფთვიმეს „წინამძღვარში“ და „გარდამოცემის“ არსენისა და ეფრემისეულ თარგმანებში? არსენიცა და ეფრემიც ზედმიწევნითი სიახლოვით მისდევენ დამასკელის ორიგინალს.

რაც შეეხება ეფთვიმე მთაწმიდელს, მას ნაზიანზელის or.39-ის მითითებული ადგილი ორჯერ აქვს თარგმნილი: პირველად, ნაზიანზელის აღნიშნული ჰომილიის საკუთარ თარგმანში და მეორედ, „წინამძღუარში“ იოანე დამასკელის „გარდამოცემაზე“ დაყრდნობით. გრიგოლ ნაზიანზელის or.39-ის თარგმანში ეფთვიმე შედარებით ზუსტ თარგმანს იძლევა, თუმცა ეფრემის თარგმანთან შედარებით მას გარკვეული ცვლილებები მაინც შეაქვს თავის თარგმანში. ბერძნულის უზმნო წინადადების თარგმნისას იგი ჩართავს მეშველ ზმნას „არს“ (განსაკუთრებით კონტექსტის დასაწყისში).

შემდეგ, ბერძნულისგან განსხვავებით, სამების ამ დოქტრინალური საკითხის განმარტების მიზნით იგი უმატებს ფრაზას: „ოდესმე მამისათჳს ითქუმოდეს, ოდესმე – ძისა და ოდესმე – სულისა წმიდისა“, რითაც მან განმარტა, რომ „მისგან“, „მის მიერ“ და „მისა მიმართ“ წმ. სამების მხოლოდ შეურევნელ თვისებებს აღნიშნავს და არა ბუნების განყოფას.

რაც შეეხება აღნიშნულ კონტექსტს „წინამძღუარში“, იგი ბევრად უფრო თავისუფალი სტილით არის თარგმნილი, ვიდრე or.39- ის ტექსტში.

ა) ეფთვიმე პირველივე ფრაზით ავრცობს ორიგინალის ტექსტს: მამის, ძისა და სული წმიდის თვისებების ფორმულირებას იგი წინ უმძღვანებს ფრაზას: „საცნაურ არს უკუე“, რითაც მიანიშნებს, რომ ეს ფორმულირება საყოველთაოდ ცნობილია.

ბ) ეფთვიმე ავრცობს ორიგინალის ტექსტს განმარტებითი ხასიათის ფრაზით: „ვითარ-იგი მწვალებელთა თქუეს“ და ამით ხაზს უსვამს იმას, რომ წმიდა სამებაში ბუნების გაყოფის შესახებ აზრი მწვალებლებს ეკუთვნის.

გ) ორიგინალის მოკლე ფრაზას, რომლის არსენისეული თარგმანია: „არამცა შეიცვალებოდეს სახელნი ესე“, ეფთვიმე ვრცლად განმარტავს: „რამეთუ იგივე მოციქული მრავალგზის სცვალებს სიტყუათა ამათ და რომელი აწ ძისათჳს თქუა, იტყჳს მამისათჳს და რომელი სულისა წმიდისათჳს თქუა, იტყჳს მამისათჳსცა და ძისა.

საგულისხმოა, რომ ეფთვიმე ბერძნული ორიგინალისა და სხვა ქართული თარგმანებისგან განსხვავებით, ასახელებს წყაროს, რომელშიც კომენტირებულ იქნა პავლე მოციქულის სიტყვები. იგი წერს: „ვითარცა წმიდაჲ გრიგოლი გუასწავებს“. ე.ი. ეფთვიმე ასახელებს გრიგოლ ნაზიანზელს და ამით ყველასგან დამოუკიდებლად ავლენს თავის განსწავლულობას და ბიზანტიელი ავტორის (გრიგოლ ნაზიანზელის) შემოქმედების ბრწყინვალე ცოდნას. ეს არცაა გასაკვირი.

მან ხომ თვითონ თარგმნა გრიგოლ ნაზიანზელის ჰომილიები. „წინამძღუარში“ გამოჩნდა, რომ ნაზიანზელის ჰომილიები მას უკვე თარგმნილი ჰქონდა.

გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა ექსცერპტების ეფთვიმესეული თარგმანი ცხადჰყოფს ათონელი მოძღვრის მიზანდასახულობას – გაუადვილოს ქართველ მკითხველს ურთულესი საღვთისმეტყველო საკითხების აღქმა.

## 9. კომპოზიციის ერთი სტილური თავისებურება

დაბოლოს, „წინამძღურის“ ქართულ თარგმანში დასტურდება ისეთი მოვლენა, რომელიც საინტერესოა არა მარტო იმ პრინციპების გასათვალისწინებლად, რითაც შესრულებულია თარგმანი, არამედ იგი საინტერესოა ეფთვიმეს, როგორც მთარგმნელის და მოღვაწის, ლიტერატურულ-შემოქმედებითი პოზიციის გასათვალისწინებლად.

საქმე ისაა, რომ თავებად დაყოფილ „წინამძღურის“ ტექსტში (რომელშიც მსჯელობა მიმდინარეობს ღვთისმეტყველების ცალკეულ საკითხებზე) მთარგმნელის მიერ თითოეული საკითხი საგანგებოდაა გამოყოფილი ერთი სტილური ხერხის წყალობით: რაიმე საკითხზე მსჯელობის დამთავრებისას გაკეთებულია შემაჯამებელი ხასიათის დასკვნა და ამის შემდეგ იწყება სხვა საკითხზე მსჯელობა. ეს დასკვნა შეიძლება იყოს ერთი ფრაზა ან რამდენიმე ფრაზისგან შემდგარი პასაჟი. ამ დასკვნების შემცველი ტექსტი ქართულ თარგმანში მეტია ბერძნულ დედანთან შედარებით. მათი შინაარსიდან გამომდინარე, აშკარად იგრძნობა, რომ ეფთვიმე მთაწმიდელი, რომელიც ერთი საკითხის შესახებ სხვადასხვა ბერძნული წყაროებიდან აკეთებს კომპილაციას, ამ განსხვავებული წყაროების ურთიერთგადასაბმელად, აზრის ბუნებრივი გაგრძელებისთვის მიმართავს ასეთ შემაკავშირებელ ფრაზებს. ასეთივე დასკვნები გაკეთებულია ერთი წყაროს ფარგლებში სხვადასხვა საკითხებზე მსჯელობისას. შემაჯამებელი ხასიათის ფრაზები დასტურდება როგორც ცალკეული თავის დასაწყისში, ისე შუაშიც და ბოლოშიც. ეს ერთგვარი გამაფრთხილებელი ხასიათის ფრაზებია იმ საკითხებზე მკითხველის ყურადღების გამახვილების მიზნით, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიაჩნია ეფთვიმეს. ეს ვითარება ეფთვიმეს შემოქმედებითი საქმიანობის პრინციპების გამოხატულება ჩანს. იგი აშკარად წარმოგვიდგენს ეფთვიმეს მთარგმნელობით ტექნიკას.

სრულიად ნათელია, რომ ეს არის ეფთვიმეს ინდივიდუალური სტილი, რამდენიმე წყაროს საფუძველზე ერთი ნაწარმოების შედგენისას. ამ სტილურ თავისებურებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან, ჩვენი აზრით, იგი აშკარად ავლენს ეფთვიმეს შემოქმედებით მიზანდასახულობას „წინამძღურის“ შექმნასთან დაკავშირებით.

ჩვენი აზრით, სტილის ეს თავისებურება ნაწარმოების ზოგადი მიზანდასახულობით არის განპირობებული. „წინამძღუარი“, როგორც არაერთგზის გვაქვს შენიშნული, გარკვეული პრაქტიკული მიზნებით არის შედგენილი, როგორც ღვთისმეტყველების მოკლე სახელმძღვანელო. ეფთვიმესთვის მთავარია, ქართველ მკითხველს მიაწოდოს ქრისტიანულ-სარწმუნოებრივი მოძღვრების უძირითადესი საკითხების საღვთისმეტყველო გაგება.

ქრისტიანული მოძღვრების ასეთი დაპროგრამებული საქრესტომათიო გადმოცემა აუცილებლად სასწავლო-საგანმანათლებლო მიზნებს ისახავს.

ეს ძალზე საყურადღებო მომენტია, რაც „წინამძღურის“ ავტორისეული ჩანაფიქრის დახასიათების და ამდენად სამწერლო მოღვაწეობის ახალი კუთხით დანახვის საშუალებას იძლევა.

# თავი V

## ეფთვიმე მთაწმიდელის დამოკიდებულება „გარეშეთა“ სიბრძნის მიმართ

ათონის ლიტერატურული სკოლის მოღვაწეობა ქრონოლოგიურად დაემთხვა საქართველოს პოლიტიკური და სოციალური ცხოვრების იმ ეტაპს, როცა დიდი გარდატეხა მოხდა ქართული სახელმწიფოს ცენტრალიზაციისა და ეკონომიკურ-კულტურული აღმავლობის თვალსაზრისით. ათონის სკოლის ლიტერატურული მემკვიდრეობა ნათლად ატარებს იმ გარდამავალი პერიოდის ნიშნებს, როცა ძველი პრინციპებისა და ტრადიციის ადგილას თავს იჩენს სრულიად ახალი, თვისობრივად განსხვავებული ტენდენციები ლიტერატურასა და ზოგადად კულტურაში.

გარდამავალი პერიოდისათვის ნიშანდობლივი სულიერ-იდეოლოგიური, კულტურულ-ლიტერატურული პრინციპების სისტემა ყველაზე უკეთესად გამოვლინდა ათონის ლიტერატურული სკოლის სულისჩამდგმელისა და მეთაურის ეფთვიმე მთაწმიდელის შემოქმედებაში.

ეფთვიმე მთაწმიდელის შემოქმედებით მოღვაწეობაზე ნათლად აისახა მისი სამშობლოს იმდროინდელი ისტორიული ხვედრი. ბიზანტიის იმპერიის ექსპანსიაზე არცთუ უმნიშვნელოდ დამოკიდებული სამშობლოს . მსგავსად ეფთვიმე მთაწმიდელმა გაიზიარა ყველა ეს გავლენა დადებითი თუ უარყოფითი შედეგებით. საქართველოს მოცილებული, იგი ბიზანტიის მიწა-წყალზე მოღვაწეობდა თავისი სულიერებით და ინტელექტუალური ცხოვრებით გამორჩეულ ათონელ ბერ-მოღვაწეთა ლავრაში. ათონის მწიგნობრულ ცენტრში გაჩაღებულ ლიტერატურულ საქმიანობაში ბუნებრივად ისახებოდა ყველა ის სიახლე და ტენდენცია, რაც ბიზანტიური კულტურის, ლიტერატურის, ფილოსოფიის განვითარების შინაგანი პროცესების სახით იჩენდა თავს.

ეფთვიმე მთაწმიდელის მოღვაწეობა ყველა იმ ნიშნით ხასიათდება, რაც ტიპური იყო იმდროინდელი ბიზანტიური ლიტერატურისათვის. ბიზანტიური ლიტერატურის გავლენა — ეს იყო ერთი წყარო, რომლითაც საზრდოობდა ეფთვიმეს შემოქმედება, მაგრამ როგორც უდიდესი მოღვაწის, ეფთვიმეს შემოქმედება მხოლოდ გავლენის დონეზე არ დარჩენილა. მთავარი წარმმართველი

ეფთვიმეს შემოქმედებით-მთარგმნელობითი საქმიანობისა იყო ქართველი ერის სულიერ-ინტელექტუალური ცხოვრების მიზნები და მოთხოვნილებანი. ამ დიდმა სულიერმა მოღვაწემ თავისი შემოქმედებით ქართული კულტურისა და მწერლობის ინტერესებს შეუხამა და მოარგო ბიზანტიური კულტურის სიახლენი და სულიერ-ინტელექტუალური მონაპოვრები.

ეფთვიმეს მოღვაწეობის უპირველესი ნიშანი არის მისი განმანათლებლური მისია: თანამოძმეების, ქართველთა ინტელექტისა და სულიერების გაზრდის გზით ერის კულტურისა და პროგრესის ამაღლება. იგი ბიზანტიის კულტურულ ცხოვრებაში მიმდინარე პროცესებს ისრუტავდა. ბიზანტიაში ქრისტიანული მენტალობის ტრადიციონალიზმს თანდათან შეერთო ახალი სააზროვნო დეფინიციები, ანტიკური ფილოსოფიური ცნებები, სამართლებრივი და მორალის ნორმები, რიტორიკული ხერხები. თანდათან მწიფდებოდა ნიადაგი მაღალი ბიზანტიური ჰუმანიზმისთვის, ქრისტიანულ რწმენასთან შერწყმული რაციონალიზმისთვის, რომლის წარმომადგენლად ბიზანტიაში მიქაელ ფსელოსი და იოანე იტალოსი ითვლებიან, ხოლო ქართულ მწერლობაში – იოანე პეტრიწი, რომელსაც საფუძველი მოუმზადა ეფრემ მცირის სქოლასტიზმმა.

მაგრამ მანამდე იყო სქოლასტიკის ეპოქა. სააზროვნო დეფინიციები შეერწყა კულტის (რელიგიის) მისტიკას. ლოგიკურ-აბსტრაქტული კატეგორიები დაუმორჩილეს ეკლესიის ინტერესებს. შეიქმნა შემოქმედის თვისობრივად ახალი ტიპი, რომელიც ახორციელებს ყოველგვარი ცოდნის, მათ შორის მეცნიერული ცოდნის, კატალოგიზაციას. იქმნება კომპენდიუმები, კომპილაციები, ენციკლოპედიები, სხვადასხვა თემატური ანთოლოგიები. მსგავსი შრომები გვიან ანტიკურ ეპოქასაც ახასიათებდა, მაგრამ მათ აპოგეას VIII-XI საუკუნეებში მიაღწიეს.

სქოლასტი მწერლისთვის ნაწარმოების უპირველეს ღირებულებრივ კრიტერიუმს მისი „სასკოლო-სამოძღვრო“ დანიშნულება წარმოადგენს. რამდენად სწორად არის შერჩეული თემა, როგორია მისი უტილიტარული, გამოყენებითი მნიშვნელობა.

სქოლასტიკის ყველაზე დიდ წარმომადგენლად ბიზანტიურ მწერლობაში იოანე დამასკელი ითვლება. ამ უკანასკნელმა ბრწყინვალედ განახორციელა რწმენისა და ცოდნის, მისტიკისა და გონების ერთობა.

როგორი შემთხვევითიც არ უნდა იყოს, ეფთვიმე მთაწმიდელის მოღვაწეობა ერთ რამეში დაემთხვა დამასკელისას. იოანე დამასკელი, ბიზანტიური ლიტერატურის ყველაზე ჩინებული სქოლასტი, ბიზანტიის საზღვრებს გარეთ მოღვაწეობდა. ასევე ეფთვიმე მთაწმიდელსაც, ქართული მწერლობის უდიდეს წარმომადგენელს, საქართველოს გარეთ მოუხდა მოღვაწეობა.

ალბათ, არც ის არის შემთხვევითი, რომ ეფთვიმე მთაწმიდელმა ბიზანტიური მწერლობის სხვა უამრავ ძეგლთა შორის თარგმნა და თავისებურად გადააკეთა იოანე დამასკელის „წყაროჲ ცოდნისაჲ“ – თეოლოგიის უპირველესი სახელმძღვანელო.

ჩვენი მიზანია, „წინამძღურის“ საფუძველზე წარმოვაჩინოთ ელინოფილური გავლენების კვალი ეფთვიმე მთაწმიდელის შემოქმედებით-მთარგმნელობით მოღვაწეობაზე. რა სახით აისახა „წინამძღურის“ ქართულ თარგმანში ბიზანტიური ლიტერატურისთვის ტიპური ტენდენციები, რა კრიტერიუმებით იხელმძღვანელა ეფთვიმე მთაწმიდელმა „წინამძღურის“, როგორც ღვთისმეტყველების ქართული სახელმძღვანელოს, შექმნისას?

გასაღები ეფთვიმე მთაწმიდელის შემოქმედებით-მთარგმნელობითი კრიტერიუმების დადგენისა, „გარეშეთა“ მოძღვრებისადმი მისი დამოკიდებულებისა პირველად მოგვცა ეფრემ მცირემ, მან ზუსტად განსაზღვრა ეფთვიმეს მიზნები და პრინციპები.

„უკუეთუ ლომი ვერ ციდამტკაველებრ ხლდებოდა კარებსა ფილოსოფოსთასა, ამას ანაცვალე ლომებრივობაჲ მისი და მეუფობრივობაჲ კრთომისაჲ...“ 7,149. ეფთვიმეს ეფრემი ადარებს ლომს, რომელიც არ აღებს ფილოსოფოსთა მოძღვრების კარებს, რადგან იგი ლომია და სხვა უამრავი ლომის წილი საქმეების კეთება უწევს.

აქ ეფრემი გულისხმობს იმ მასშტაბურ მთარგმნელობით საქმიანობას, რომელსაც ეფთვიმე ეწეოდა, რომ ქართულ მწერლობაში აემეტყველებინა უპირველესი მნიშვნელობის ძეგლები მწერლობის ყველა ძირითადი დარგიდან.

ასეთი ხასიათის საქმიანობისას, მას უბრალოდ დრო არ რჩებოდა, რომ ყველაფერს გასწვდომოდა. ეფთვიმემდე ქართულ ენაზე არ არსებობდა ღვთისმეტყველების სახელმძღვანელო, სადაც თავმოყრილი იქნებოდა ქრისტიანული მოძღვრების უძირითადესი საკითხები. ასეთი სახელმძღვანელო იყო იოანე დამასკელის „წყაროჲ ცოდნისაჲ“. და აი, ეფთვიმე მთაწმიდელი „ჩჩული“ ქართველი საზოგადოებისთვის თარგმნის დამასკელის შრომას. თხზულება სავსებით პასუხობს სასკოლო-სამოძღვრო მიზნებს ცნებებისა და თეზისების სიზუსტით, თემატური სისტემატურობით და გადმოცემის ფორმების სიმარტივით.

ეფთვიმე, როგორც ქართული კულტურის მესვეური, იზიარებს კომპილაციისა და სისტემატიზაციის სტილს, ძველ ბერძენ კომენტატორებს რომ ახასიათებდათ და არათუ იზიარებს, არამედ საკუთარი მიზანდასახულობიდან გამომდინარე, უფრო შორს მიდის და საკუთარი შეხედულებებით აფართოებს კომპილაციის მასშტაბებს.

როგორ მოიაზრებენ თვითონ ბიზანტიელი წმინდა მამები „გარეშეთა“ წიგნებს?

ბიზანტიელების დამოკიდებულება „გარეშეთა“ კულტურის მიმართ არაერთმნიშვნელოვანი იყო. მართალია, მათთვის მიუღებელი იყო გარეშეების ანუ წარმართების და ერეტიკოსების მოძღვრება, მაგრამ „კეთილ თესლზე“ ანუ იმ რაციონალურ მარცვლებზე, მათ ნაწერებში რომ იყო, მათ უარი არ უთქვამთ. ისინი ინტერესით ეცნობოდნენ პლატონს, არისტოტელეს, იამბლიხოსს, პლოტინეს, პროკლეს. ბიზანტიელ ავტორებთან მოხმობილია ციტატები, რემინისცენციები,

რიტორიკული ხერხები ანტიკური ლიტერატურიდან. კლიმენტი ალექსანდრიელი ელინ ფილოსოფოსთა საუკეთესო სწავლებებს „საღვთო საბოძვარად“ თვლიდა, მიქაელ პსელოსი კი იოანე ოქროპირსა და კაპადოკიელებს ანტიკურ მოღვაწეებს ადარებს, აღნიშნავს, რომ წარმართ მწერლებს, რიტორიკული ხერხების ფლობის თვალსაზრისით, უპირატესობაც კი აქვთ ქრისტიანებთან შედარებით. IV ს-ის ცნობილმა თეოლოგმა, გრიგოლ ნაზიანზელმა, ცხადყო, რომ ბერძნული ენა და განათლება თანაბრად ეკუთვნის როგორც წარმართებს, ისე ქრისტიანებს და ეროვნული ელინურობა განსხვავდება რელიგიური ელინურობისგან (72,290; 76,17-39).

თავის ეპისტოლეში კოზმა მაიუმელის მიმართ იოანე დამასკელი ამბობს, რომ წარმართთა ნააზრევშიც შეიძლება მოიძებნოს ჭეშმარიტების მარცვლები:

„და პირველად უკუე ელლენთა ბრძენთანი დავსხნე ურჩეულესნი... მიმსგავსებითა სახესა ფუტკრისასა მახლობელნი უკუე ჭეშმარიტებისანი გამოვკრიბნე და მტერთაგან მაცხოვრებაჲ მოვისთულა, ხოლო განვყარნე ყოველნი, რაოდენნი ურგებ და სახელმტყუარისა მეცნიერებისა მჭონებელ იყვნენ“ 11,72-73. „გარეშე“ სიბრძნიდან „თესლი კეთილი“ მართლმადიდებლობაში უნდა გამოვიყენოთ, ხოლო ბოროტებისაგან შორს დავიჭიროთ თავი. დამასკელის სიტყვებით, მწვალებელთა ზრახვის „მეცნიერ-ყოფა“ აუცილებელია, ამით შეიძლება განმტკიცება ჭეშმარიტებაში და მათთან ბრძოლა (11,73). X საუკუნემდე ბიზანტიელი მოღვაწენი არ იღებდნენ ანტიკურ თემატიკას, როგორც მსოფლმხედველობას, მაგრამ ანტიკურ სამყაროს იღებდნენ, როგორც თავიანთი განათლების შეფასების წყაროს (65,145). ძველ ქართულ მწერლობაში ელინოფილური მიმართულების დანერგვისა და განვითარების პროცესი პირველ რიგში „გარეშეთა“ წიგნების თარგმნაში ვლინდება. ქართულ სინამდვილეში ეს პროცესი X საუკუნიდან იჩენს თავს.

პირველი ქართველი მოღვაწე, ვინც ბიზანტიელთა მსგავსად იწყო კლასიკური მემკვიდრეობისა და ქრისტიანული დოქტრინის ურთიერთმიმართების გააზრება, ეფრემ მცირე იყო. სწორედ მან დანერგა ქართულ სინამდვილეში ელინოფილური იდეოლოგია. იოანე დამასკელის „დიალექტიკის“ თარგმანზე დართულ შესავალში იგი შენიშნავს: „ესევითარი არს საფილოსოფოჲ სწავლაჲ, რომელი-იგი აქაცა საჭიროდ საკმარად შემოულებიეს წმიდასა იოანე დამასკელსა, რაჲთა ამათ მიერ წინააღუდგებოდინ შვილნი ეკლესიისანი გარეშეთა მათ ფილოსოფოსთა და მათითავე ისრითა განჰგუმერდენ მათ, რამეთუ თჳნიერ ამათ სიტყუათასა, სხუებრ შეუძლებელ-არს სიტყჳსგებაჲ წინააღმდეგომთაჲ, სიტყუა-გჳგებდენ რაჲ გარეშენი იგი განუკუეთელისათჳს, რომელ არს გუამი, და ბუნებისათჳს, რომლისათჳსცა ჯეროვნად მოუხუმან ესე წმიდასა იოანე დამასკელსა და ამათითა ეკლოვნებითა მოუზღუდავს ვენახისა ამის თჳსისა ნაყოფთა შუენიერებაჲ“ (67). ეფრემ მცირემ, პირველმა სისტემატურად დანერგა ქართულ მწერლობაში „გარეშე“ სიბრძნისთვის დამახასიათებელი გამომსახველობითი ფორმების, ფილოსოფიურ-რიტორიკული დეტალების

ბერძნული მოდელების მიხედვით დამუშავება, ფილოსოფიური ტერმინოლოგიის შემუშავება და დახვეწა. ამან განაპირობა მისი თარგმანების სირთულე, მათი მიკუთვნება, ეფრემისვე სიტყვებით, „იშჯთ გულისკმისმყოფელთათჯს“.

ეფრემ მცირის მიერ ელინოფილური მიმდინარეობის დანერგვას ქართულ სააზროვნო ცხოვრებაში ნიადაგი მოუმზადა ათონის ლიტერატურულმა სკოლამ და კონკრეტულად, ეფთვიმე მთაწმიდელის შემოქმედებითმა და მთარგმნელობითმა მოღვაწეობამ.

ეფთვიმეს თარგმანები გარდამავალი საფეხურია ადრეული მთარგმნელობითი ტრადიციებიდან ახალ ელინოფილურ მიმართულებაზე გადასვლის პროცესში. „წინამძღუარი“ ყველაზე თვალსაჩინო ნიმუშია იმისა, თუ ადრინდელი იდეურ-მსოფლმხედველობრივი პოზიციებისა და სამწერლო-შემოქმედებითი პრინციპების გვერდით როგორ ისახებოდა ახალი ტენდენციები, როგორ ჩნდება ინტენსიური სწრაფვა ელინოფილიზმისკენ ბიზანტიურ მწერლობასთან მჭიდრო კონტაქტების გზით.

რატომ წარმოადგენს „წინამძღუარი“ ასეთ საზომს ქართულ მწერლობაში ელინოფილური მიმდინარეობის დანერგვის სავარაუდო დროისა თუ გამოვლენის ფორმების დასადგენად? იმიტომ, რომ არსებობს „გარდამოცემის“ (რის საფუძველზეც არის შექმნილი „წინამძღუარი“) ეფრემ მცირისა და არსენ იყალთოელის ელინოფილური ტრადიციებით შესრულებული თარგმანები, რაც საშუალებას გვაძლევს ეფთვიმეს „წინამძღურის“ ყოველი ასპექტი შეუდარდეს მათ თარგმანებს და გამოვლინდეს ეფთვიმეს სპეციფიკური შემოქმედებითი და მთარგმნელობითი პრინციპები, რაც თავისთავად გაამჟღავნებს მის დამოკიდებულებას ელინური ტრადიციების, „გარეშეთა“ სიბრძნის მიმართ.

თავიდანვე უნდა ითქვას, რომ „წინამძღუარში“ ტრადიციული ბიბლიურ-საეკლესიო და ახალი, ელინურზე მიმართული ტენდენციები ერთმანეთის გვერდით თანაარსებობენ. მათი თანაარსებობა ვლინდება ნაწარმოების როგორც შინაარსში, ისე სტრუქტურაში.

სანამ ამ კუთხით „წინამძღურის“ ანალიზს შევუდგებოდეთ, უნდა აღვნიშნოთ ის ძირითადი, რაც „წინამძღუარს“ აპრიორი ახასიათებს, როგორც „გარეშეთა“ სიბრძნეზე ორიენტირებულ თხზულებას. მხედველობაში გვაქვს ის ფაქტი, რომ „წინამძღურის“ უმთავრესი პრობლემები: საღვთისმეტყველო დოგმები და მოძღვრების ცალკეული საკითხები დაფუძნებულია „გარეშეთა“ სიბრძნიდან აღებულ ლოგიკურ-ფილოსოფიურ ცნებებზე.

„წინამძღურის“ შინაარსობრივი სიღრმე სწორედ „გარეშეთა“ მოძღვრებიდან აღებული ფილოსოფიურ-ლოგიკური ცნებებისა და მათი აღმნიშვნელი ტერმინების ანალიზს ეფუძნება. ესენია ბუნება, არსება, პირი, გუამი, განუკუეთელი, მოქმედება, ნება... ელინი ფილოსოფოსების გავლენა „წინამძღურის“ საღვთისმეტყველო აზრებისა და დოგმათა ფორმულირებაზე ისეთივე გამჭვირვალე და თვალშისაცემია, როგორც ეს გვაქვს იოანე დამასკელის „წყაროჲ ცოდნისაჲში“, ანასტასი სინელის „წინამძღუარში“ და მათ ქართულ (ეფრემის და არსენის) თარგმანებში. უკვე ამ

ნიშნითაც უცილობლად ყველაზე არსებითია და განუზომლად დიდი „გარეშეთა“ სიბრძნის გავლენა ეფთვიმეს „წინამძღუარზე“. მართლმადიდებლური დოგმატიკის სახელმძღვანელო უძირითადესი სარწმუნოებრივი დოგმების ჩამოყალიბებასა და განმტკიცებაში ორიენტირებულია ელინი ფილოსოფოსების სიბრძნეზე.

ამჯერად, ქრისტიანულ-სარწმუნოებრივი მიზნებით „გარეშეთა“ სიბრძნის გამოყენების ფაქტის შესახებ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, რადგან ეს საკითხი კარგად არის ცნობილი და განხილული სამეცნიერო ლიტერატურაში.

იმ არსებითი კრიტერიუმის გვერდით, რომელიც „წინამძღუარს“ თავისი შინაარსითა და პრობლემატიკით ელინურ სამყაროსთან აკავშირებს და რომელსაც უცილობლად იზიარებს ქართველი მთარგმნელიც, „წინამძღურის“ ქართულ თარგმანში დასტურდება ისეთი მონაცემებიც, რომელნიც აშკარად ავლენენ ეფთვიმეს, როგორც სასულიერო პირისა და სამოძღვრო-საგანმანათლებლო მიზნებით დაინტერესებული მოღვაწის, საკმაოდ ფრთხილ და ზოგჯერ არაკეთილგანწყობლურ, ტენდენციურ დამოკიდებულებას „გარეშეთა“ სიბრძნის მიმართ.

ასეთი განწყობა მოულოდნელი არ უნდა იყოს, თუ გავითვალისწინებთ ეფთვიმეს მოღვაწეობის დროს, ადგილს, პირობებს. პოლიტიკურ-საზოგადოებრივ ცხოვრებას გარიდებული, ათონის უდიდეს ლავრაში ბერმონაზვნულ ცხოვრებაში ჩაღრმავებული მოძღვარი, ბუნებრივია, თავის უპირველეს ფუნქციას ქრისტიანული მრწამსის დაცვასა და ქრისტიანული მოძღვრების სწავლებაში ხედავდა. ამიტომ როცა „წინამძღურის“ ერთიან შინაარსობრივ მოდელში აქა-იქ დასტურდება უარყოფითი შეფასებანი „გარეშეთა“ სიბრძნისა, ან მათი გამონათქვამების უგულებელყოფა, ეს უნდა აიხსნას გარდამავალი პერიოდისთვის ნიშანდობლივი ნაირგვარობით, როცა ახალი, ელინოფილური ჰუმანისტური სულისკვეთების ნოვაციებს ჯერ კიდევ მყარად უპირისპირდება ტრადიციული ქრისტიანულ-სარწმუნოებრივი შეხედულებანი.

ეფთვიმეს „გარეშეთა“ სიბრძნისადმი დამოკიდებულების ხასიათი, უპირველეს ყოვლისა, ვლინდება „წინამძღურის“ სტრუქტურაში. ცნობილია, რომ ეფთვიმემ არ თარგმნა „წყაროჲ ცოდნისაჲ-ს“ პირველი ნაწილი „დიალექტიკა“ და მეორე ნაწილი – „ერესების შესახებ“. ძალზე ნიშანდობლივია „ფილოსოფიური თავების“ უთარგმნელობა.. ლოგიკური კატეგორიების და დეფინიციების შემცველი პირველი ნაწილის უგულებელყოფა მეტყველებს იმაზე, რომ ეფთვიმე მთაწმიდელი „გარეშეთა“ სიბრძნის თუნდაც ეკლესიის ინტერესებისა და მიზნებისათვის გამოყენებას (რასაც ხაზგასმით აღნიშნავს თვითონ იოანე დამასკელი), ღვთისმეტყველების სასწავლო-სამოძღვრო სახელმძღვანელოსათვის საჭიროდ არ თვლის.

„გარეშეთა“ სიბრძნის, რაციონალურ-მეცნიერული ცოდნის გვერდის ავლა „წინამძღურის“ შედგენილობაში სხვაგანაც დასტურდება. ცნობილია, რომ იოანე დამასკელი „გარდამოცემის“ რამდენიმე თავში უხვად იძლევა კოსმოგრაფიულ-ასტრონომიულ, თუ სხვა მეცნიერულ ცოდნას: ქვეყანა, ცეცხლი, მიწა,

მნათობები, წყალი, ადამიანის ანატომია და სხვა. ეს მეცნიერული ცოდნა თეოლოგიის მიზნებს კი არ ემსახურება, როგორც ეს არის ბასილი კესარიელის „ექუსთა დღეთაჲში“, არამედ დამასკელის მიერ ჩართულია ღვთისმეტყველების მთავარ კორპუსში, როგორც მისი აუცილებელი ნაწილი. ეფთვიმე მთაწმიდელს „წინამძღუარში“ არ გადააქვს ეს თავები. იგი მათ არ თარგმნის. საფიქრებელია, რომ ეფთვიმეს მიერ რაციონალურ-მეცნიერულის, „გარეშეთა“ სიბრძნის უგულებელყოფა გამოწვეული იყოს იმ კონკრეტული მიზნით, რა მიზნითაც იგი ადგენს „წინამძღუარს“. ეს არის ღვთისმეტყველების სახელმძღვანელო, სადაც დაწურულად, კომპაქტურად განხილულია მხოლოდ თეოლოგიის ძირითადი საკითხები.

ორიგინალურია „წინამძღურის“ კომპოზიცია. ათონელი მოძღვარი საკუთარი გეგმის მიხედვით აგებს თხზულებას, „წინამძღუარში“ შეაქვს ორი დამოუკიდებელი ნაწარმოები: მიქაელ სვინკელოსის „წარმოთქუმაჲ მართლისა სარწმუნოებისაჲ“ და იოანე დამასკელის „შეზავებულისა ბუნებისათჳს“. შეტანილია შიგ მთელი თავები ანასტასი სინელის „წინამძღურიდან“. ვხვდებით ნაწყვეტებს იოანე დამასკელის თხზულებიდან „სამწმიდაობის საგალობელი“, „სამწმიდაობისათჳს“.

ეს ის ტექსტებია, რომლებიც ასე სჭირდებოდა ქრისტიანულ მოძღვრებაში გაუწაფავ ქართველ მკითხველს რწმენის განსამტკიცებლად. ასე შეადგინა ეფთვიმემ მართლმადიდებლური მოძღვრების კატეხიზმო, რომელიც ორიგინალის შთაბეჭდილებას უფრო ტოვებს, ვიდრე კომპილაციური და თარგმნილი თხზულებისას.

„წინამძღუარში“ ერთი მომენტი იჩენს თავს, რაც შემოქმედის ტრადიციულ-ქრისტიანულ გაგებას ემყარება, რომელიც თავის მხრივ მონაზვნურ-ფსიქოლოგიურ იდეოლოგიას უკავშირდება. ეს არის ავტორის მხრივ ანონიმად დარჩენის სურვილი, საკუთარი თავის თვითდამცირების მიზნით, მონაზვნური ფსიქოლოგიის კარნახით ავტორის პიროვნება იმალება თხრობის ანონიმურობის უკან.

როგორც ცნობილია, ქრისტიანული მსოფლმხედველობის საფუძველში დევს ტრადიციონალიზმი: „არაფერი ახალი“. ამის გამო წინ წამოწეულია სხვისი ავტორიტეტი. III-X საუკუნეებში მონაზვნობის პრიორიტეტის გამო ინდივიდუალიზმი მიჩქმალულია. მინიმუმამდეა დაყვანილი პიროვნული შემოქმედებითი საწყისი: „ხოლო ვთქუა ჩემი არარაჲ, არამედ უწარჩინებულესთა მოძღუართა“ — იოანე დამასკელის ამ სიტყვებში ჩანს ინდივიდუალურ შემოქმედებაზე უარის თქმა.

როგორც მთარგმნელი, ამ პოზიციას იზიარებს ეფთვიმე მთაწმიდელიც. ამაზე მეტყველებს „წინამძღურის“ კომპოზიციაში შესავლის (პროოიმიონის) არარსებობა.

ამ მხრივ „წინამძღუარი“ დამასკელის „წყაროჲ ცოდნისაჲს“ ორიგინალთან შედარებით მეტ ანონიმურობას იცავს. იოანე დამასკელი, რომელიც კატეგორიულად

უარს აცხადებს რაიმე შემოქმედებით ინდივიდუალობაზე, თავის თხზულებას მაინც ურთავს შესავალს კოზმა იერუსალიმელისადმი მიწერილი ეპისტოლის სახით. ეს შესავალი მრავალმხრივი ინფორმაციულობით არის დატვირთული. ავტორი ლაპარაკობს წიგნის ხასიათზე, მიზანზე, შედგენილობაზე, გამოყენებულ წყაროებზე. ერთი სიტყვით, ეს არის ტიპური შუასაუკუნეობრივი პროოიმიონი, მრავალმხრივ საინტერესო და ანგარიშგასაწევი.

ეფთვიმე მთაწმიდელი არ თარგმნის ამ შესავალს. დამასკელის ვრცელი შესავლის ნაცვლად იგი ძალზე ძუნწად, ორიოდე ფრაზაში იძლევა წიგნის სათაურსა და ავტორს; საკუთარ თავზე, როგორც მთარგმნელზე, იგი დუმს.

ამით ეფთვიმე დიამეტრალურად განსხვავდება ეფრემ მცირისაგან, რომელიც „წყაროჲ ცოდნისაჲს“ საკუთარ თარგმანს ურთავს ისეთ წინასიტყვაობას, რომელიც სავსეა უამრავი ისტორიულ-კულტურული ხასიათის ცნობით.

მიუხედავად ასეთი ანონიმურობისა, „წინამძღუარში“ ინდივიდუალიზმი სხვა რამეში იჩენს თავს. ჰაგიოგრაფიისა თუ სქოლასტიზმის დამახასიათებელი ინდივიდუალური ნიშნების საწინააღმდეგოდ, ეფთვიმე სათარგმნ ტექსტში საკუთარი შემოქმედებითი პრინციპებით ერევა და თავის მიზანდასახულობას უმორჩილებს მას.

ეფთვიმეს მიერ „გარეშეთა“ სიბრძნისადმი დამოკიდებულების ერთ-ერთი გამოვლენაა მისი გაძლიერებული ინტერესი სხვა მიმართულებით, რაც თავს იჩენს საეკლესიო განწყობის გაძლიერებაში ბიბლიური თემების და ხასიათის შემოტანით.

„წინამძღუარში“ ორიგინალთან შედარებით გაძლიერებულია ბიბლიური სახეებისა და ადგილების გამოყენების შემთხვევები, ეფთვიმე ავრცობს ბიბლიურ ციტატებს ზოგჯერ ვულგატისეული ტექსტით, ზოგჯერ პარაფრაზირებული ფორმით. ბიბლიურ შინაარსზე ხაზგასმა სრულიად ბუნებრივია სასულიერო მოღვაწისთვის, მონაზონ-მწერლისთვის. ეფთვიმე ხომ დიდი ლავრის წინამძღვარი და მოძღვარი იყო.

„წინამძღუარში“ გადმოცემული მართლმადიდებლური სამყარო საოცარი სიყვარულით, ლმობიერებით იზიდავს მკითხველს. ყოველ სტრიქონში იგრძნობა ჭეშმარიტი მოძღვარი.

მაგრამ იმ ტენდენციების შესაბამისად, რასაც შემდგომში ანტიკური სამყაროსადმი შემობრუნება მოჰყვა როგორც ბიზანტიაში, ისე საქართველოში, ეფთვიმეს შემოქმედებაშიც თავი იჩინა „გარეშეთა“ სიბრძნისადმი გარკვეული ინტერესების გამოვლენამ, თუმცა ეს ინტერესები უფრო ზოგად-განმანათლებლურ ჩარჩოებშია მოქცეული. „წინამძღუარშიც“ დაახლოებით იგივე სურათი იკვეთება, რაც ეფთვიმეს მიერ თარგმნილ სხვა თხზულებებში არის შენიშნული, მაგალითად, ფსევდონონეს მითოლოგიურ კომენტარებში, გრიგოლ ნაზიანზელის ჰომილიებში და ა. შ.

„გარეშეთა“ სიბრძნისადმი ეფთვიმეს განწყობა „წინამძღურის“ მიხედვით მრავალწახნაგაა, ეფთვიმეს დამოკიდებულება ტექსტის მიმართ სხვადასხვა მანიპულაციაში იჩენს თავს.

გარდა ზემოაღნიშნული იმ ნაკლებობისა, რომელიც „წინამძღურის“ კომპოზიციას ეხებოდა („დიალექტიკის“ არ თარგმნა, კოსმოგრაფიული და სხვა მეცნიერული ცოდნის შემცველი თავების გამოტოვება) „წინამძღურში“ ადგილი აქვს წარმართობის შესახებ მსჯელობის შემცველი ცალკეული თავების გამოტოვებასაც.

„წინამძღურში“ ხშირია შემთხვევები, როცა ეფთვიმე თავს არიდებს „გარეშეთა“ სიბრძნის შესახებ მსჯელობას. ხშირად ამ საკითხისადმი მიძღვნილი მთელი თავებია გამოტოვებული ეფთვიმეს მიერ. მაგალითისთვის, დამასკელის „გარდამოცემიდან“ გამოტოვებულია თავები, სადაც წარმართ ბერძნებზე და ჰურიებზეა საუბარი.

ანასტასი სინელის ტექსტში (80,140) იხსენიება არისტოტელ-პითაგორელნი და სხვა წარმართები. ეფთვიმე არ თარგმნის ამ პასაჟს. სინელის ტექსტშივე ისევ ბუნებასთან და პირთან დაკავშირებით იხსენიება არისტოტელე (80,140). ეფთვიმე არც აქ ახსენებს არისტოტელეს.

„გარეშეთას“ შესახებ ცალკეული ადგილების გამოტოვების გარდა, ეფთვიმე ფილოსოფიურ თუ საღვთისმეტყველო ტერმინთა ქმნადობის მხრივაც არ არის ჩამოყალიბებული ისე, როგორც შემდგომ შეიმჩნევა ეფრემ მცირის და არსენ იყალთოელის შრომებში და რაც აშკარად ელინურ გავლენათა შედეგია. გარდა იმისა, რომ ეფთვიმე მთაწმიდელი ტერმინთა სტაბილურ გამოყენებას არ მიმართავს „წინამძღურაში“, იგი ზოგჯერ არ თარგმნის ამა თუ იმ ტერმინის მნიშვნელობის შესახებ ორიგინალში არსებულ მსჯელობას.

მაგალითად, „გარდამოცემის“ 73-ე თავში დასტურდება საყურადღებო მსჯელობა კატაფატიკური და აპოფატიკური ღვთისმეტყველების შესახებ. ეფთვიმე არ უძებნის ამ ტერმინებს შესაფერის ქართულ ეკვივალენტებს. ტერმინების მნიშვნელობის ნაცვლად იგი ზოგადი ხასიათის მსჯელობით იფარგლება, მაშინ, როცა კატაფატიკა-აპოფატიკის ანტინომიას ეფრემ მცირე „განჩინება-გამოჩინება“, ხოლო არსენი „წათქუმა-უკუთქუმა“ შესატყვისებით გადმოსცემენ. ეფთვიმეს სხვა თარგმანების საფუძველზეც გამოთქმულია აზრი, რომ ეფთვიმესთან ჯერ არ არის ფილოსოფიურ-საღვთისმეტყველო ტერმინთა ქმნადობის ის დონე, რომელიც შემდგომ დამკვიდრდება შავი მთისა და გელათის სკოლის მოღვაწეთა მიერ (51,645-648).

გარდა ისეთი შემთხვევებისა, როცა ეფთვიმეს „წინამძღურაში“ არ გადააქვს ორიგინალში არსებული მსჯელობანი წარმართული სიბრძნის შესახებ, ე.ი. გარდა გამოტოვებისა, ეფთვიმე სხვა მხრივაც ავლენს წარმართული სიბრძნის მიმართ თავის პიროვნულ დამოკიდებულებას და ამაში ნათლად ვლინდება მისი, როგორც მთარგმნელისა და შემოქმედის, აქტიური ინდივიდუალიზმი.

საქმე ისაა, რომ ეფთვიმე წარმართულ-მითოლოგიური სახეებისა და თემების მიმართ გაცილებით კრიტიკულად არის განწყობილი, ვიდრე ეს ორიგინალის ტექსტშია მოცემული. ეფთვიმე ულმობელია, როცა მსჯელობა „გარეშეთა“ მოძღვრებას ეხება. „მწვალებელთა მთხრებლთან“ შეყოვნებულ მკითხველს თვინიერი, სათნო მოძღვრის ნაცვლად რისხვით აღვსილი, ულმობელი პიროვნება უდგას წინ. წარმართი თუ მწვალებელი ეფთვიმესთვის „ეშმაკის ნაწილია“, „სულთა მკვლელი“, „ანტეს წინამორბედი“, „უკეთური“, „უშჯულო“... მათზე მსჯელობისას ათონელი მოძღვარი ხშირად მიმართავს დაპირისპირების მეთოდს: გამოხატავს მოწიწებას, აღტაცებას ქრისტიანული რჯულით, იქვე უპირისპირებს მათ „გარეშეებს“ და მკითხველებს მოუწოდებს განერიდონ მათ „საეშმაკო ცთომას“, რომელიც მკრეხელურ დასკვნებამდე მიგვიყვანს.

„გარდამოცემის“ ერთ-ერთ პასაჟში იოანე დამასკელი მსჯელობს მწვალებელთა ათ ფრაქციაზე (80,882). იგი თვლის, რომ არისტოტელეს მიერ ტერმინების „ბუნების“ და „გვამის“ გაიგივებამ გამოიწვია მწვალებელთა ცთომილებანი. ეფთვიმე ამ ადგილას მონოფიზიტური მწვალებლობის შეცდომის ჩვენებისას მეტი დამაჯერებლობისთვის დედნის ტერმინებს უმატებს სინონიმურ წყვილებს: „ბუნებაჲ და პირი, არსებაჲ და გუამი ერთ არს“. ორიგინალის სიტყვებს, რომ მართლმადიდებლებმა მონოფიზიტები ეშმაკზე უარესად უნდა ჩათვალონ, ეფთვიმე ამძაფრებს შემდეგი ფრაზით: „შეენერწყუე მათ და განეშორე“ (88).

წარმართების მიმართ უარყოფითი პოზიციის გამოხატვა მარტო ქართული მოვლენა არ იყო. ბიზანტიურ ლიტერატურაში მრავლადაა დადასტურებული ასეთი ძეგლები. ბერძენი ავტორები საეკლესიო პოზიციებდან უტევდნენ და განაქიქებდნენ მათ „ცრუ მოძღვრებას“, მაგრამ „წინამძღუარში“, ისევე როგორც ეფთვიმეს სხვა თარგმანებში, (რაც არა ერთი მკვლევარის მიერ არის დადასტურებული) ანტიწარმართული კრიტიკა გაცილებით უფრო მძლავრია, ვიდრე ბერძენი ავტორის ტექსტში (4,17).

საყურადღებოა, რომ ბიზანტიური სქოლასტიზმის კვალობაზე, რომელშიც არსებითი იყო ზოგად-სარწმუნოებრივი ქრისტიანული ღვთისმეტყველების დაცვა ყოველი სახის ცთომილებისგან, სერიოზული მნიშვნელობა ენიჭებოდა სხვადასხვა სახის ერესებისგან გამიჯვნას. ეფთვიმეს მთარგმნელობით საქმიანობაშიც იკვეთება ერესებთან შეურიგებელი ბრძოლის ტენდენცია. ამის ნათელ დადასტურებას ვხედავთ „წინამძღუარში“.

უპირველეს ყოვლისა, ეს გამოვლინდა იმ ფაქტში, რომ „წინამძღურის“ ქართულ ტექსტში ეფთვიმემ დამოუკიდებლად, თავისი შეხედულებისამებრ ჩართო შეჩვენებათა მუხლები. სხვადასხვა წყაროების კომპილაციის გზით გაერთიანებულ შეჩვენებათა ერთიან სისტემაში ეფთვიმე თავს ესხმის იმ მწვალებლებს, რომელთა კრიტიკასაც იგი, როგორც ჩანს, თავისი დროის საეკლესიო ცხოვრებისთვის აქტუალურად მიიჩნევს. შეჩვენებათა უმრავლესობა მიმართულია მონოფიზიტების წინააღმდეგ.

სპეციალურად შეჩვენებათა მუხლების შემოტანით ეფთვიმე ხაზს უსვამს იმას, რომ „წინამძღუარი“, როგორც ღვთისმეტყველების სახელმძღვანელო, გარდა თავისი პირდაპირი ფუნქციისა, გადმოსცეს მართლმადიდებლური მოძღვრების არსი, გარკვეულ იარაღს უნდა წარმოადგენდეს ამ მოძღვრების ნებისმიერი ტიპის ხელმყოფელის წინააღმდეგ.

გარდა შეჩვენებათა შემცველი სპეციალური თავის დამატებისა, „წინამძღურის“ მთელი ტექსტის მანძილზე ეფთვიმე შემთხვევას არ უშვებს, მკაცრად დაგმოს ნებისმიერი მწვალებლობა და მისი მატარებელნი.

„წინამძღურის“ ტექსტის ანალიზი იძლევა იმ დასკვნის გაკეთების საშუალებას, რომ, მართალია, ეფთვიმემ სხვადასხვა წყაროდან ისესხა შეჩვენებათა თემა, მაგრამ შეჩვენებების ფორმულირება მისი ორიგინალური ნააზრევი უნდა იყოს. ერესებზე მსჯელობისას ეფთვიმე ხშირად ავრცობს ტექსტს საკუთარი ჩანართებით. ბერძნულ ორიგინალთან შედარებით არსებული მეტობა ზოგჯერ რამდენიმე ფრაზისგან შედგება, ზოგჯერ კი გაცილებით ვრცელია.

„წინამძღურის“ კომპილაციისას იოანე დამასკელის „გარდამოცემის“ შემდეგ ეფთვიმე გადადის ანასტასი სინელის „წინამძღუარზე“. იგი აკეთებს შესავალს, რომელიც შეჯამებაა წინა თავში თქმულისა მართლადიდებლურ სარწმუნოებასთან დაკავშირებით, შემდეგ კი აცხადებს, რომ იწყებს ბჭობას მწვალებელთა ღვარძლზე: „ესე ყოველი ზემოწერილი წარმოვთქჳთ მართლისა მის და ჭეშმარიტისა სარწმუნოებისათჳს, ხოლო აწ მცირედი ვთქუათ წვალებათათჳს, თუ ვითარ დასთესა ღუარძლი იგი ბოროტი ეშმაკმან სოფელსა შინა“ (88,76v).

დედანში ერთ ადგილას მსჯელობაა ფლაბიანე ეპისკოპოსის მიერ ლეონ პაპის მიმართ მიწერილ ეპისტოლეზე. ეპისტოლე ქრისტეს ორბუნებოვნებას ეხება. ეფთვიმეს გადმოაქვს ეს პასაჟი, შემდეგ კი ავრცობს მას საკუთარი ჩანართით, რომელიც სევეროსის და მის მსგავსთა წყევლა-კრულვით მთავრდება: „ამათ ყოველთა წამებათა ზედა აღმოიკითხეთ ეპისტოლეცა წმიდისა ლეონ ჰრომთა პაპისაჲ, რომელი მიუწერა ფლაბიანეს, კონსტანტინუპოლელ მთავარეპისკოპოსს. და სცნათ განცხადებულად ორთა ბუნებათა ქრისტესთა მართლგამომეტყუელებაჲ, ვითარცა ასწავა მას სულმან წმიდამან. ვინაჲთგან უკუე ესრეთ ყოველთავე წმიდათა მამათა ხმამაღლა ქადაგნეს ორნი ბუნებანი ქრისტესნი და ორნი არსებანი: ღმრთეებისა და კაცებისაჲ და ერთი პირი, მიკვირს, ვითარ იკადრებენ სებეროს უთავოჲსა მოწაფენი ბრალობად კრებასა ქალკედონისასა, არამედ იგინი უკუეთუ მოიქცენ, გულისჴმა-ყონ ჭეშმარიტებაჲ, ხოლო უკუეთუ თჳსსავე ეგნენ წვალებასა ზედა, საუკუნოჲ იგი ცეცხლი გეჰენიისაჲ იყოს ნაწილ მათდა“ (88,115v-116r).

მწვალებლებზე ვრცელ მსჯელობას ეფთვიმე ურთავს შეჩვენებას:

„ნუ იყოფინ ესე! რამეთუ ქადაგებაჲ მართლისა სარწმუნებისაჲ შეურყეველ არს და შეუცვალებელ, ვითარცა იტყჳს მოციქული, ვითარმედ: დაღაცათუ ჩუენ, ანუ ანგელოზი ზეცით მოვიდეს და გახარებდეს თქუენ გარეშე მისა,

რომელი გახარე თქუენ, შეჩუენებულ იყავნ! ესე შეჩუენებაჲ სებეროსის თაესა და ყოველთა მსგავსთა მისთა“ (88,97v).

ელინური ;სიბრძნისადმი, „გარეშეთა“ მოძღვრებისადმი ეფთვიმეს დამოკიდებულების ერთ კონკრეტულ გამოხატულებად შეიძლება შეფასდეს ის ფაქტიც, თუ როგორ აქართულებს, ე.ი. როგორ შინაარსობრივ დატვირთვას ანიჭებს ეფთვიმე ელინური ფილოსოფიისა და რიტორიკის ყველაზე არსებითი მოვლენის სპეციფიკის შემცველ ისეთ ტერმინებს, როგორიცაა: „ფილოსოფოსი“ და „რიტორი“. „წინამძღუარში“ „ფილოსოფოსთან“ ერთად ნახმარია ერთგვარი ირონიული და კნინობითი ფორმა „ფილაფოზი“ (88,94r).

რაც შეეხება „რიტორს“, „წინამძღურის“ ბერძნულ ორიგინალში მისი ხმარების რამდენიმე შემთხვევა დასტურდება, მაგრამ ეფთვიმეს „რიტორი“ „წინამძღურის“ ქართულ ტექსტში სულ სხვა მნიშვნელობის მქონე სიტყვებით აქვს შენაცვლებული, ისეთით, როგორიცაა „წინამორბედი ანტესი“ (A-44, 96r), „უმადლოჲ“ (A440, 91r), „წინაალმდგომი“ (A440, 91v), „სწავლულნი სიბრძნითა მით სოფლისაჲთა, რომელი გან-მე-აცოფნა ღმერთმან“ (A440, 92v).

„გარეშეთა“ სიბრძნისადმი ეფთვიმეს დამოკიდებულება „წინამძღურის“ სტრუქტურისა და შინაარსის გარდა, ვლინდება იმ გამომსახველობით ფორმებშიც, იმ ენორივ-სტილისტურ ქარგაშიც, რომლითაც შესრულებულია „წინამძღუარი“.

ეფთვიმე, როგორც მთარგმნელი, კარგად არის გაცნობიერებული იმ რიტორიკულ ხერხებში, რომლებიც ასე ტიპური იყო ახალი ჰუმანისტური ტენდენციების წინაშე მდგარი ბიზანტიური მწერლობისათვის.

ეფთვიმეს მთარგმნელობითი პრინციპების სტილისტურ მხარეზე ორიგინალური დაკვირვებებია გამოთქმული მკვლევართა მიერ (4; 5; 36; 37, 45,61).

ელინური რიტორიკისათვის ტიპური ფორმების, ნაირგვარი ხერხების თვალსაჩინო მიბაძვით არის შესრულებული „წინამძღურის“ ეფთვიმესეული თარგმანის მთელი რიგი პასაჟები: რიტორიკული კითხვები (მკითხველთა ყურადღების მისაქცევად), მეტაბოლები (აზრის გასაშლელად, დასაზუსტებლად), პლეონაზმები და ჰენდიადისები (ემოციურობის გასაძლიერებლად), სიტყვათა თამაში (მეტი ემოციურობისათვის), მიმართვის ფორმები (მონოტონურობის დასარღვევად), სხვათა სიტყვის შემოტანა (ნათქვამის გაუცხოების მიზნით) და ა. შ.

სასწავლო-სამოძღვრო მიზანდასახულობით, მკითხველთა ყურადღების დაფიქსირებისადმი მისწრაფებით არის განპირობებული ეფთვიმეს მიერ ტექსტში შეტანილი რიტორიკული კითხვები:

E: მაშა, მარტივისა მისგან ბუნებისა იცვალა სადმე შეზავებულად და ვითარღა იყოს თანაარს მამისა... ანუ ვითარ იყოს თანაარსს დედისა... ვითარ ეწოდოს ღმერთ, ანუ ვითარ ეწოდოს კაც? 12,3.

ეფთვიმე ხშირად იყენებს მეტაბოლას სტილისტური ფუნქციით. მეტაბოლები ელფთვიმეს თარგმანში უფრო ხშირად გვხვდება, ვიდრე ორიგინალში. მეტაბოლა მკითხველის ყურადღების მისაპყრობად, აზრის განსამარტავადაა მოხმობილი.

καὶ ὁ ἀριθμὸς διαίρεσιν ἢ διάστασιν ἢ ἀλλοτρίωσιν, καὶ διατομὴν ἐν αὐταῖς οὐκ ἐργάζεται 118,23-24.

E: რიცხჳ იგი არა შემოილებს განყოფილებასა... რიცხჳ არცა განყოფილებისა მიზეზ არს, არცა შეერთებისა 13,4.

შდრ. I: რიცხჳ განყოფასა, ანუ განწვალებასა, ანუ უცხოყოფასა და განკუეთასა მათ შორის არა მოქმედებს 159,78vII

„წინამძღურის" ტექსტში ხშირადაა ჰენდიადისების და პლეონაზმების გამოყენების შემთხვევები: „მართალი და უცთომელი", „ზუაობაჲ და ამპარტავნებაჲ"...

გვხვდება სიტყვით თამაშის ნიმუშები, პარონომაზია:

Ἐμοὶ δὲ τὶς ἐδίδου κροτῆσαι τὸν ῥήτορα τοῦτον (PG89 c. 112 A13).

E: ხოლო მე მადლიერ ვარ უმადლოჲსა მისა (A-440,91r).

I: ხოლო მე ვინ განმამხნოს ამათთჳს ტყუილვით ქებად რიტორისა ამის?

Τότε δὴ λοιπὸν ἀδυνατῶν θεότητι πολεμεῖν (PG 89, c. 97 B4-5).

I: ესრეთ უკუე უძლურ იქმნა რაჲ ბრძოლად

E: ესრეთ მოუძლურდა რაჲ უძლური იგი (A-440, 79v).

ეფთვიმე ზოგჯერ ცვლის სტილს:

Καλῶς ἐμαθήτευσε τοῖς Ἰουδαίων, καὶ Ἑλλήνων, καὶ Αράβων διδασκάλοις ὁ Σευῆρος (PG 89, c. 120 C1-3).

I: „კეთილად დაემოწაფა სებეროს ჰურიათა და წარმართთა და არაბთა მოძღურებასა".

E: „ჭეშმარიტად წარმართთა და ჰურიათა მოწაფე ხარ" (A440, 98v).

„წინამძღურის" ტექსტში ავტორს ხშირად შეაქვს მიმართვის ფორმა:

„უშჯულოო და მედგარო" (მიმართავს სებეროსს) (A440, 98v).

„გარეშეთა" მიმართ თავისი უარყოფითი დამოკიდებულების გამოსახატავად ეფთვიმე მიმართავს სხვათა სიტყვის ღ-ს. ეს სტილისტური ხერხი საერთოდ დამახასიათებელია ეფთვიმე მთაწმიდელისთვის (45; 4; 37). აღნიშნულია, რომ სხვათა სიტყვის ღ ეფთვიმეს თარგმანებში ახალ სტილისტურ ნიუანსს იძენს, ამ ხერხის გამოყენებით მთარგმნელი თითქოს აუცხოებს მასალას, ცდილობს, ხაზი გაუსვას იმ ფაქტს, რომ თხრობა წარმართთა „ბილწ ღმერთებზე" უშუალოდ მისგან კი არ მომდინარეობს, არამედ მხოლოდ სხვათა ნათქვამს გადმოსცემს. „წინამძღუარშიც" სხვათა სიტყვის ღ-ს ეს დატვირთვა აქვს (37).

Τὸ δεκακέρατον τῆς πλάνης οὐκ ἐκ Γραφικῶν, καὶ Εὐαγγελικῶν, ἀλλ᾽ ἐκ τῶν Ἀριστοτελικῶν κατηγοριῶν παρέλαβον τὸ λέγειν, τὴν φύσιν πρόσωπον καὶ οὐκ ἔστι φύσιν ἀπρόσωπος (PG 89, c. 108 B11-15).

E: „ათნი ესე რქანი საცთურისანი ერთსა წვალებასა და ერთსა გმობასა ზედა არიან, რომელთა არათუ წმიდათა წერილთაგან, არამედ საწარმართოთა

სწავლათაგან მოიპოვეს, რომელ ბუნებასა პირად იტყჳან და მოძღურებენ თუ, არა არსო ბუნებაჲ უპიროჲ და არცა არსებაჲ უგუამოჲ“ (A-440, 87r).

ეფთვიმეს „არისტოტელებრი შესმენა“ გადმოაქვს მიახლოებითი მნიშვნელობით, როგორც „საწარმართოთა სწავლება“, კონტექსტს განმარტების მიზნით ავრცობს ორი ფრაზით. τὸ λέγειν გადმოაქვს „იტყჳან და მოძღურებენ“ ჰენდიადისებით, ჰიპოტაქსურ წინადადებას ურთავს სხვათა სიტყვის ღ-ს.

რიტორიკული ხერხების ოსტატურად გამოყენების წყალობით „წინამძღუარს“ თავისი სტილისტიკური ხელწერა აქვს.

საბოლოოდ დავასკვნით: „წინამძღუარი“ შესრულებულია იმ მაღალი სქოლასტიკის პრინციპებით, რომელიც ჭეშმარიტი ქრისტიანული სარწმუნოებისათვის აუცილებლად მიიჩნევდა ელინური სიბრძნის, განსაკუთრებით კი, ლოგიკური კატეგორიების გამოყენებას, რაც ბიზანტიურ მწერლობაში ყველაზე სრულყოფილად განახორციელა იოანე დამასკელმა. ეფთვიმე მთაწმიდელმა, პირველმა ქართულ სინამდვილეში, თარგმნა „გარეშეთა“ ლოგიკურ-ფილოსოფიურ კატეგორიებზე დაფუძნებული ქრისტიანული მოძღვრების სახელმძღვანელო წიგნი. ამავე დროს, „წინამძღურის“ სტრუქტურულ-შინაარსობრივი მონაცემები გვიდასტურებენ, რომ ეფთვიმე საკმაოდ ნეგატიურად არის განწყობილი „გარეშეთა“ სიბრძნის მიმართ, ყოველ შემთხვევაში, ეფთვიმე, იოანე დამასკელის კვალდაკვალ, იღებს ელინობიდან მხოლოდ იმ გონიერ მარცვალს, კონკრეტულად ტერმინოლოგიას, რომელიც ქრისტიანული მოძღვრების მიზნებისათვის არის საჭირო. თავისთავად აღებულ ელინურ სიბრძნეს, როგორც გარკვეულ ცოდნას, იგი არ ცნობს, როგორც იოანე დამასკელი და ამდენად, არც თარგმნის „გარდამოცემის“ ასეთ ადგილებს, განსხვავებით იოანე დამასკელისგან.

მრწამსის კარნახით და „წინამძღურის“ სამოძღვრო-სასწავლო დანიშნულებიდან გამომდინარე, ეფთვიმე შემთხვევას არ უშვებს გაამუქოს წარმართთა და მწვალებელთა კრიტიკა, რომ ამ გზით მკითხველი მწვალებელთა მთხრებლს აარიდოს და თვალსაჩინო გახადოს ქრისტიანული მოძღვრების ჭეშმარიტება.

ეფთვიმეს „წინამძღუარში“ გაფართოებულია მანამდე არსებული ორთოდოქსული ტრადიციული ჩარჩოები, მაგრამ ჯერ კიდევ სრულყოფილად არ ჩანს ახალი სქოლასტიკური იდეების გავლენა.

# თავი VI

## „წინამძღურის“ პოლემიკური ნაწილი

ეფთვიმე მთაწმიდელი იოანე ოქროპირის „განმარტებაჲ იოანეს სახარებისაჲ“-ზე დართულ საკუთარ ორიგინალურ ბოლოსიტყვაობაში შენიშნავს, რომ წმინდა მამები – ათანასე ალექსანდრიელი, გრიგოლ საკვირველთმოქმედი, ბასილი დიდი, გრიგოლ ღვთისმეტყველი, გრიგოლ ნოსელი – მწვალებლებთან „ბრძოლასა და წინააღმდგომასა შექცეულ იყვნეს და მრავლითა ღუაწლითა და შრომითა დაამტკიცეს მართალი სარწმუნოებაჲ“. ამის გამო „არა მოცალე იყვნეს იგინი თარგმანებად წერილთა, არამედ ყოველი აღწერაჲ მათი მართლისა სარწმუნოებისა იყო და წინააღმდგომად წვალებისა“. 56ა,336 საოცარი დამთხვევაა!

ცნობილია, რომ ეფთვიმე მთაწმიდელიც არ იყო მოცალე ბიზანტიური მწერლობის ყველა დარგიდან ეთარგმნა, მაგრამ „მართლისა სარწმუნოებისათჳს და წვალებათა წინააღმდეგ აღწერა“ პირველად ქართულ მწერლობაში მან განახორციელა. მხედველობაში გვაქვს „წინამძღუარი“.

„წინამძღუარში“ თითქმის თანაბარი შეფარდებით არის წარმოდგენილი მართალი სარწმუნოების გადმოცემა და მწვალებელთა მხილება. სარწმუნოების არსის განსაზღვრა, დოგმატების მართებული განმარტება, რაც ტრიადოლოგიური და ქრისტოლოგიური მოძღვრების უძირითადეს საკითხებს შეიცავს, არის „წინამძღურის“ მთავარი თემა.

სხვადასხვა ავტორთა საღვთისმეტყველო თხზულებების, საეკლესიო კანონიკური წყაროების საფუძველზე მათი კომპილაციისა და საკუთარი ორიგინალური აზრებით მათი შევსების გზით ეფთვიმემ „წინამძღურის“ სახით შექმნა მართლმადიდებლური სარწმუნოების პირველი ქართული სახელმძღვანელო.

კატეხიზმოს ანუ დოგმატიკური ხასიათის გარდა, „წინამძღუარი“ უაღრესად საყურადღებოა როგორც პოლემიკური ძეგლი, რომელშიც პირველად ქართულ მწერლობაში სრულად არის მოცემული ერესების ისტორია და ჩამოყალიბებულია მათთან პოლემიკის მეთოდოლოგია.

სხვადასხვა სარწმუნოებრივ საკითხთან დაკავშირებული პოლემიკური პასაჟები ადრინდელი ქართული ორიგინალური თუ თარგმნილი ძეგლებიდანაც არის ცნობილი (საკმაოდ ხშირია ისინი ქართულ მრავალთავებში წარმოდგენილ

მასალაში), მაგრამ წვალებათა სისტემატური განხილვა, და რაც მთავარია, მათი სწავლების ცდომილებათა გამოაშკარავება პირველად „წინამძღუარში“ დასტურდება.

პოლემიკური დატვირთვა საკუთრივ წარმოდგენილია „წინამძღურის“ ბოლო ნაწილ'ში. უკანასკნელი სამი თავის სათაურები ნათლად მიანიშნებენ, რომ ეფთვიმეს მიზანია, აჩვენოს ერესების სახე-სხვაობანი, მათი წარმომავლობა, წარმო'შობის მიზეზები, შეცდომების არსი და რაც მთავარია, მათი დაძლევის საჭიროება მართალი სარწმუნოების აღიარების გზით. ეს თავებია: კგ) მართლ-მადიდებლობისათჳს და თუ ვინაჲ იწყეს მწვალებელთა შემოსლვად სოფლად; კდ) წამებანი ძუელისა და ახლისა წერილისაგან, ვითარმედ არა ერთ არს ბუნებაჲ და პირი; კე) უთავოთა მიმართ მწვალებელთა.

„ესე ყოველი ზემოწერილი წარმოვთქუთ მართლისა მის და ჭეშმარიტისა სარწმუნოებისათჳს“ – ამ სიტყვებით მთავრდება „წინამძღურის“ დოგმატური ნაწილი და იწყება მეორე ნაწილი: „ ხოლო აწ მცირედი ვთქუათ წვალებათათჳს“ (23,1).

ეს სიტყვები ეფთვიმე მთაწმიდელის ჩამატებულია ორიგინალის ტექსტში. ამით ეფთვიმე გარკვეულ კვალიფიკაციას აძლევს იმ ფაქტს, რომ „წინამძღუარი“ ორი, ფუნქციურად სხვადასხვა დატვირთვის მქონე ნაწილისაგან (სარწმუნოება და მწვალებლობები) შედგება. შინაარსობრივად თარგმანი მისდევს დედნის თანმიმდევრობას, მაგრამ ამ ჩართული სიტყვების წყალობით აშკარად ჩანს, რომ ეფთვიმე სხვადასხვა წყაროს კომპილაციასთან ერთად მათ სისტემატიზაციასაც ახდენს. „წინამძღუარი“ მისი უშუალო დედნისაგან, „წყაროჲ ცოდნისაჲსაგან“ განსხვავებით, ეფთვიმეს სტრუქტურულად ასე აქვს აგებული: იგი არ თარგმნის (როგორც ზემოთ აღვნიშნეთ) „წყაროჲ ცოდნისაჲს“ I ნაწილს, ფილოსოფიურ თავებს, არ თარგმნის II ნაწილს – „წვალებათათჳს“, მხოლოდ III ნაწილის, „გარდამოცემის,“ კომპილაციას იძლევა. სამაგიეროდ, ეფთვიმე კატეხიზმოს ბოლოში ურთავს სამ თავს წვალებათა შესახებ, მაგრამ არა დამასკელის გარდამოცემის მიხედვით, არამედ ანასტასი სინელის „წინამძღურიდან“ და დამასკელის სხვა თხზულებიდან: „შეზაებულისა და შეერთებულისა ბუნებისათჳს უთავოთა მიმართ მწვალებელთა“

„წინამძღუარი“ რომ ნამდვილად ორ ნაწილად ჰქონდა ჩაფიქრებული ეფთვიმე მთაწმიდელს, ეს საკითხი ყოველგვარი ტექსტოლოგიური ანალიზის გარეშეც სრულიად ნათელი იყო ხელნაწერთა გადამწერებისათვისაც. ხელნაწერთა უმრავლესობაში დასტურდება ანდერძი, რომელიც როგორც ჩანს, ადრეული ნუსხიდან, კერძოდ ეფთვიმე გრძელის მიერ გადაწერილი ნუსხიდან, უნდა იყოს გადმოსული ყველა გვიანდელ ხელნაწერში. ეფთვიმე გრძელი თავის ანდერძში წერს: „დაესრულა დამასკელი ნებითა ღვთისათა, რომელსა ეწოდების „წინამძღუარი“ და არს ჭეშმარიტებით წინამძღუარი <u>მართლმადიდებელთა სასუფეველად და განმაბნეველი მწვალებელთა</u> ჯოჯოხეთად...“ (1119 ა, 91r). სრულიად გარკვევით ნათქვამია, რომ „წინამძღუარი“ დაწერილია ერთი,

მართლმადიდებელთა სასუფეველად და მეორე, მწვალებელთა ჯოჯოხეთში განსაბნეველად.

სანამ უშუალოდ შევეხებოდეთ იმ ერესებს, რომლებიც შეადგენენ ეფთვიმეს კრიტიკის ობიექტს, საჭიროდ მიგვაჩნია იმ მიზეზებზე შევაჩეროთ ყურადღება, რომლებზეც „წინამძღურის“ ავტორები (ხაზგასმით ვამბობთ, ავტორები, რადგან „წინამძღუარი“, როგორც ვნახეთ, სხვადასხვა წყაროს კომპილაციას წარმოადგენს) და მთარგმნელი, ეფთვიმე მთაწმიდელი, უკავშირებენ ერესების წარმოქმნას. ეფთვიმე წვალებათა წარმოშობის ორგვარი მიზეზის შესახებ ლაპარაკობს: ერთი წმინდა რელიგიურ – ბიბლიური ხასიათისაა: “მთავარი იგი ბნელისაჲ“(ეს ეფთვიმეს საკუთარი სიტყვებია) ანუ ეშმაკი „შევიდა კაცთა თანა და დათესა წვალებისა ღვარძლი“, ე. ი. ეშმაკმა წარმოშვა წვალებანი. მეორე ახსნა კი ფილოსოფიურ – მეცნიერულ საფუძველს გულისხმობს. ეს უკანასკნელი ფრიად საყურადღებო მომენტია, რადგან იგი უკავშირდება ეკლესიის მამათა მიერ საყოველთაოდ აღიარებულ ფაქტს: ქრისტიანულ-რელიგიურ დოგმატიკაში მტკიცების არგუმენტად ანტიკურ-ელინისტური ფილოსოფიური ცნებების, ლოგიკურ-ფილოსოფიური ტერმინების გამოყენებას.

ცოტა მოგვიანებით, ქართულ ღვთისმეტყველებაში ეს მისია შეასრულა იოანე დამასკელის „დიალექტიკის“ თარგმანმა. მანამდე კი ლოგიკურ-ფილოსოფიური ტერმინების ანალიზი მოცემულია ანასტასი სინელის „წინამძღუარში.“ საყურადღებოა ერთი ფაქტი, რაც ანტიკურ-წარმართული ფილოსოფიური ტერმინების ავთენტურობასთან დაკავშირებით დასტურდება „წინამძღურის“ ქართულ თარგმანში.

ქრისტოლოგიური ერესების სწავლებათა წყაროდ ბერძნულ დედანში, კერძოდ, ანასტასი სინელის „წინამძღუარში“, არისტოტელე და ჰომეროსი არიან დასახელებულნი. (ἀριστοτελικοὺς καὶ ὁμεροικοὺς) ეფთვიმეს თარგმანში ვკითხულობთ: „უკუეთუ სწავლისაებრ წარმართთაჲსა არისტოტელესსა და ომიროსისა თქუას, თუ ბუნებაჲ და პირი, არსებაჲ და გუამი ერთ არს“ (23, 44). ჰომეროსი ლოგიკურ-ფილოსოფიური ტერმინების შემქმნელი ვერ იქნებოდა. ეფთვიმეს იგი მოყვანილი აქვს, როგორც წარმართულ- ელინური მოძღვრების ზოგადი მეტაფორული სახე.

პირველ პლანზე წამოწეულია არისტოტელეს ლოგიკური ტერმინები: ბუნება (φύσις), არსება (οὐσία), გუამი (σώμα) და პირი (ὑπόστασις). არისტოტელე, „წინამძღურის“ მიხედვით, „ბუნებასა“ და „პირს“ ე. ი. φύσις-სა და ὑπόστασις -ს, ერთმანეთთან აიგივებდა, ხოლო წმ. მამები ამბობენ, რომ „არსება“ და „ბუნება“ ერთია, ასევე ერთია „პირი“ და „გუამი“. დაუშვებელია φύσις-ისა და ὑπόστασις -ის გაიგივება.

იმან, რომ ტერმინი „ბუნება“ გაიგივებული იყო „პირთან“, განაპირობა ქრისტოლოგიაში ქრისტეს ბუნებისა და პირის გაგების მცდარი დოგმატური გააზრება. პოლემიკა ერესების წინააღმდეგ „წინამძღუარში“ დაფუძნებულია ტერმინთა გვარ-სახეობრივ გააზრებებზე. „არსება“ და „ბუნება“ ლოგიკური

ტერმინოლოგიით ნათესავია, ანუ ზოგადი ხასიათისაა, ხოლო „ჳამი“ და „პირი“ – თჳთებაა, სახეა ანუ კონკრეტული ხასიათისაა. „არსების“ ზოგადობა და „პირის“ კონკრეტულობა არის მეორე ფაქტორი, რომელმაც ასევე განაპირობა ქრისტეს ბუნებისა და პირის გაგების მცდარი დოგმატური გააზრება, რაც საფუძვლად დაედო მთელ ერესიოლოგიას ქრისტიანობის ისტორიაში.

ძირითადად ამ ტერმინების ლოგიკურ – ფილოსოფიურ ინტერპრეტაციასთან შერწყმულია ეკლესიის მამების მიერ ქრისტოლოგიური დოგმების ორთოდოქსული გაგება. მართლმადიდებლური გააზრებიდან გადახვევამ დასაბამი მისცა სხვადასხვა წვალებას.

„წინამძღუარში“ თანმიმდევრობით არის გადმოცემული ერესების მთელი ისტორია. თუმცა, როგორც ჩანს, ავტორებისა და, განსაკუთრებით, მთარგმნელის ყურადღების ცენტრში გამორჩეულად დგას ერთადერთი ერესი – მონოფიზიტობა – თავისი სხვადასხვა განშტოებებით. დანარჩენი წვალებანი განხილულია დასახელების პრინციპით, როგორც ერესების ისტორიის შემადგენელი ნაწილები.

წვალებების მხილება იწყება ყველაზე ადრეული, მოციქულთა ხანის, წვალებებით, როცა მოციქულთა ქადაგებებს წინ აღუდგნენ სიმონ მოგვი სამარიტელი, კირინთოსი, ნიკოლაოს და მარკიონი, გნოსტიკურ მოძღვრებათა მიმდევრები. ისინი ახდენდნენ დუალიზმისა და დოკეტიზმის იდეების შერწყმას ქრისტიანობასთან, მსჯელობდნენ ორ ქრისტეზე და აცხადებდნენ ქრისტეს ღმერთკაცობის მოჩვენებითობას.

შემდეგ გამოჩნდნენ მანი და მონტანოსი. მანიმ საფუძველი დაუდო მანიქეველთა რელიგიას, რომელიც რელიგიისა და გნოსტიციზმის სინკრეტიზმს ახდენდა.

„წინამძღუარში“ ყურადღება გამახვილებულია ადამიანის გაჩენის საკითხზე. დაგმობილია ორიგენის „სიცბილი“. „ერთბამად იქმნა დაბადებაჲ კორცთაჲ და შთაბერვაჲ სულისაჲ, არათუ ერთი იგი პირველ და მეორე იგი უკუანაჲსკნელ სიცბილისაებრ ორიგენისა, არამედ ზოგად და ერთბამად“ (VIII).

ეფთვიმე ასახელებს ქრისტიანობის წიაღში წარმოშობილ ერესიარხებს: საბელიოსს, არიოზს; არიანელთა სხვადასხვა ფრაქციის ლიდერებს: შეურიგებელ არიანელებს, ანომეელებს, ევნომიოს კიზიკელს, აეტი ანტიოქიის დიაკონს, ევსები ნიკომიდიელს, ძველ არიანელებს: ევდოქსი კონსტანტინეპოლელს, აპოლინარ ლაოდიკიელს, მაკედონიოსს.

ეს იყო პირველი ტალღა არიანული ფრაქციების მოძრაობისა. მეორე ტალღა იმავე IV ს-ის ფარგლებში აგორდა. მათი წარმომადგენლები იყვნენ დიოდორე ტარსელი, თეოდორე ანტიოქელი ანუ მომფსუესტელი და მათ საფუძველზე აღმოცენებული ნესტორ კონსტანტინეპოლელის წვალება. ერესების ისტორიის შემდგომი გაგრძელება“წინამძღურის“ მიხედვით, წარმოდგენილია V ს-ში ჩამოყალიბებული მონოფიზიტობით. უპირველესად დასახელებული არიან ევტვიქი კონსტანტინეპოლელი და დიოსკორე ალექსანდრიელი.

ქალკედონის კრებაზე მათი დაგმობისა და განდევნის შემდეგ მონოფიზიტობა სხვადასხვა ფრაქციებად დაიშალა: სევეროს ანტიოქელი, ტიმოთე ელური, გაიანე, ივლიანე, იაკობ, პეტროზ მკაწრავალი, თევდოსი ალექსანდრიელი.“წინამძღუარში“ არა ერთგზის არის განხილული, რომ მონიფიზიტთა 10 ერესიარხი, „ათნი რქანი საცთურისანი, ერთსა წვალებასა და ერთსა გმობასა ზედა არიან.“ ასევე ყურადღება გამახვილებულია იმ კონკრეტულ, სპეციფიკურ მხარეებზეც, რითაც ერთი ფრაქციის სწავლება განსხვავდება მეორისგან.

ერესების განხილვის შემდეგ კიდევ ერთხელ წამოწეულია მათთან პაექრობისას მეთოდოლოგიური პრინციპების გათვალისწინების აუცილებლობა, რომელიც გულისხმობს, რომ თავიდანვე უნდა გაირკვეს, ვის როგორ ესმის „რაჲ არს ბუნებაჲ და რაჲ არს გუამი, და რაჲ არს არსებაჲ და რაჲ არს პირი?“

კიდევ ერთი მომენტი, რომელიც ჭეშმარიტმა მართლმადიდებელმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს, მდგომარეობს შემდეგში: მწვალებლები, კერძოდ, სევეროსი, თავის მცდარ ტერმინოლოგიურ გააზრებებს ამართლებდა იმით, რომ წმინდა მამები ზოგჯერ სხვადასხვა წვალების საპასუხოდ ცვლიდნენ თავიანთ ტერმინოლოგიურ მოსაზრებებს. ისინი ქრისტეს ორ ბუნებას ნესტორის გამოჩენამდე აღიარებდნენ, ნესტორის შემდეგ კი ერთი ბუნება სცნეს.

„წინამძღუარში“ მკვეთრად არის გაკიცხული მსგავსი სიცრუე წმ. მამების მიმართ: „უკუეთუ ხვალე სხუაჲ რაჲმე წვალებაჲ გამოჩნდეს, კუალად ჩუენ შევცვალოთა სარწმუნოებაჲ? და კუალად ოდეს სხუაჲ გამოჩნდეს, სხუად სახედ ვქადაგებთა? არა სცვალებდეს მამანი ჟამთაებრ სარწმუნოებასა, არამედ მარადის ერთსა სარწმუნოებასა ქადაგებდეს“(23,75).

მწვალებელთა მსგავს ცილისწამებებს წმ. მამების მოხმობით აბათილებს „წინამძღუარი“. ადგილები, სადაც წმ. მამები ამაღლებული ეპითეტებით არიან დაპირისპირებული მწვალებლებთან, მაღალი რიტორიკული ხელოვნებით არის გამორჩეული. მწვალებელთა ცილისწამების პასუხად ისმის ემოციური შეკითხვები: „დადუმნესა მოციქულთა სწორი დიონისიოს? დაცხრესა ირინეოს, მწვალებელთა მომწყუედული? (23,67).

ეს პასაჟი იმიტომ მოვიყვანეთ, რომ გარკვეული ახსნა მოეძებნოს მწვალებელთა მიმართ ზომაგადასულ გამკიცხავ მიმართვებს, რომელთა მაგინებელი ტონი მთარგმნელის მიერ ბევრად გაძლიერებულია, ვიდრე ეს წყაროდ გამოყენებულ დედნებში დასტურდება. „ბოროტო თავო და ეშმაკისა ნაწილო,“ „უძლური და მყრალი ვეშაპი,“ „ღორი ქალდეველი ნესტორ,“ „დასთესა გესლი და მწარე თჳსისა სიმყრალისაჲ“, “ბუდე გუელთა და ღრიაკალთაჲ.“ ეს სიტყვები ეფთვიმეს მიერ არის ჩამატებული ორიგინალის ტექსტში.

მონოფიზიტ მწვალებლებთან პოლემიკა წარმოებს წმინდა წერილიდან და ეკლესიის ცნობილი მამების შრომებიდან მოტანილი არგუმენტებით. ამ პოლემიკას დათმობილი აქვს სპეციალური 24-ე თავი, სათაურით“წამებანი

ძუელისა და ახლისა წერილისაგან, ვითარმედ არა ერთ არს ბუნებაჲ და პირი.“

ეფთვიმეს აქაც გარკვეული სისტემატიზაცია შეაქვს დედნის თხრობაში. ჯერ მოტანილია ციტატები ძველი და ახალი აღთქმიდან, რომლებშიც ერთარსებასა და სამგუამოვნებაზეა მინიშნებები, ხოლო შემდეგ მოხმობილია „სიტყუანი მამათანი, რომელთა შეუძლოთ მოკსენებად“ (24, 40). ეფთვიმეს მიერ დასახელებული არიან: ამფილოქე იკონიელი, კირილე ალექსანდრიელი, ამბროსი მედიოლანელი, გრიგოლ ნოსელი, გრიგოლ ღვთისმეტყველი, იოანე ოქროპირი, პროკლე კონსტანტინეპოლელი, ეფრემ ასური, ფლაბიანე კონსტანტინეპოლელი.

ეფთვიმე მწვალებლებთან პოლემიკისას მხოლოდ შეურაცხმყოფელი ეპითეტებით არ იფარგლება. მწვავე ტონი მისი პიროვნულ-ემოციური განწყობის გამოვლენაა. ერესებთან პოლემიკას ზნეობრივთან ერთად იგი იურიდიული ნორმებითაც ამაგრებს და საეკლესიო კანონიკიდან ცნობილ წესებსა და დადგენილებებს იშველიებს. მხედველობაში გვაქვს „წინამძღუარში“ დადასტურებული 14 შეჩვენება. ეფთვიმემ, ორიგინალისაგან განსხვავებით, საკუთარი შეხედულებით შეარჩია და ჩართო ტექსტში ანათემატიზმები. 14 ანათემის სახით შეჩვენება ეცხადება ბუნებისა და გვამის თვითნებურ და მცდარ განმარტებებს სამების დოგმასთან თუ ქრისტოლოგიურ საკითხებთან დაკავშირებით. „შეჩვენებების“ შესახებ ჩვენ ცალკე თავში ვილაპარაკეთ.

ამჯერად თავს ვიკავებთ თითოეული ერეტიკული სწავლების წინააღმდეგ მიმართული პოლემიკის არა თუ შინაარსის, არამედ ძირითადი აზრების წარმოჩინებისაგან. ეს განსჯა საკმაოდ დიდ ადგილს დაიკავებდა.

სამაგიეროდ, ჩვენ შევადგინეთ „წინამძღუარში“ მოცემული პოლემიკის მონაწილე ორივე მხარის: მართლმადიდებელი მოღვაწე მამებისა და მწვალებლების საძიებელი. თითოეულ მათგანს დავურთეთ მათი ცხოვრებისა და მოძღვრების უძირითადესი მომენტების შემცველი კომენტარები, რითაც წარმოვადგინეთ „წინამძღუარში“ დადასტურებულ ისტორიულ პირთა მცირე ენციკლოპედიური ხასიათის ცნობარი.

# თავი VII

## ტერმინოლოგია

„წინამძღურის“ ტექსტი საყურადღებოა თავისი საღვთისმეტყველო თუ სხვა შინაარსის ტერმინოლოგიით. ღვთისმეტყველების სახელმძღვანელოდ გამიზნულ ნაწარმოებში, ეფთვიმე მთაწმიდელი, ბუნებრივია, თავისი შემოქმედებითი და მთარგმნელობითი ხელოვნებისათვის შესაფერისი სიღრმითა და სიზუსტით შეიმუშავებდა ქართულ ტერმინებს, შეარჩევდა ბერძნულის ზუსტ ქართულ შესატყვისობებს. „წინამძღუარში“ კანტი-კუნტად კი არ არის წარმოდგენილი საღვთისმეტყველო ტერმინები, არამედ ტექსტი მთლიანად ასეთ ტერმინ-ლექსემათა ნაზავს წარმოადგენს, რადგანაც იგი ფაქტიურად ამ ტერმინთა განმარტება-კომენტარებს შეიცავს.

ეფთვიმე მთაწმიდელის მიერ თარგმნილი არა ერთი ძეგლია მკვლევართა მიერ შესწავლილი. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ტერმინოლოგიურად „წინამძღუარი“ ყველასგან გამორჩეულია, ზემოთ აღნიშნული საღვთისმეტყველო დანიშნულების გამო.

ეფთვიმე, რომელიც სათავეში უდგას ქართული მწერლობის ათონურ სკოლას, საფუძველდამდებია ქართული თეოლოგიური ტერმინოლოგიის განვითარების ათონური ეტაპისა. წინარე ათონური პერიოდისაგან განსხვავებით, ხდება მიბრუნება ბერძნული ტექსტების მაქსიმალური სიზუსტით გადმოღებისკენ, რაც ბერძნულზე ყურადღების გამახვილებასთან ერთად ითვალისწინებს ქართულ ტერმინ-შესატყვისობათა ქართული ენის ლექსიკურ მარაგში ძიებასა და ბერძნულ ტერმინთა მნიშვნელობის გადმოსაცემად მათ დანერგვას.

„წინამძღურის“ ლექსიკა ბერძნულთან მიმართებაში უაღრესი სიზუსტით გამოირჩევა, ამავე დროს ისინი ქართველი მკითხველისათვის სრულიად გასაგები და ბუნებრივია. ეფთვიმეს სიტყვათმარაგი დაულეველი ზღვაა. აქ წარმოდგენილია ქართული ენის სიტყვათწარმოების უმდიდრესი შესაძლებლობანი და ჩანს ეფთვიმე მთაწმიდელის მიერ ქართული ენის ღრმა ცოდნა.

რა გზით, როგორ ახერხებს მთაწმიდელი მოღვაწე ქართული საღვთის-მეტყველო ლექსიკის შერჩევას?

უპირველესი, რითაც „წინამძღუარი“ ტერმინოლოგიურად გამოირჩევა მომდევნო პერიოდის ძეგლებისგან, არის ის სიმარტივე და ბუნებრიობა, რაც ახასიათებს თითოეულ ქართულ შესატყვისს. იშვიათი გამონაკლისის გარდა, ეფთვიმეს ტერმინად აღებული აქვს ქართულ ენაში ცოცხალი სიტყვა. ზოგ მათგანს უკვე ეფთვიმემდე ჰქონდა დამკვიდრებული კონკრეტული ტერმინის მნიშვნელობა, ზოგი მათგანისათვის კი ასეთი მნიშვნელობის მინიჭებას ეფთვიმე ამკვიდრებს. სახეზეა გარდამავალი ხანისათვის დამახასიათებელი ბუნებრივი სურათი. ეფთვიმე ტერმინოლოგიური ძიების გზაზეა. ამა თუ იმ მნიშვნელობის მქონე ტერმინთა შერჩევა და სტაბილურად დამკვიდრება ჯერ არ შეინიშნება. ამ მხრივ მყარი ვითარება შემდეგი პერიოდის მოღვაწეებმა (განსაკუთრებით არსენ იყალთოელმა და იოანე პეტრიწმა) შექმნეს.

„წინამძღურის“ ტერმინთშესატყვისობათა სპექტრი ძალზე ფართოა, ბერძნული ტერმინების გადმოღებისას ეფთვიმე ერთ მეთოდოლოგიურ გზას არ ადგას (როგორც, მაგალითად, არსენ იყალთოელი).

ეფთვიმეს „წინამძღურის“ ტერმინოლოგიაზე სრული წარმოდგენის შექმნის მიზნით, ეფთვიმეს თითოეული ტერმინი შევუდარეთ ეფრემ მცირის და არსენ იყალთოელის ტერმინებს. ცნობილია, რომ სამივე მწერალს ერთი და იგივე, დამასკელის „გარდამოცემის“ ტექსტები, აქვთ თარგმნილი. ასე რომ, საშუალება გვეძლევა ერთი და იგივე ბერძნული ტექსტის სამი ქართული თარგმანის ტერმინთა შედარებისა.

როგორ შესატყვისობაშია „წინამძღურის“ ტერმინები ბერძნულ ტერმინებთან?

1. სხვადასხვა ბერძნულ სიტყვას, რომლებიც სინონიმებს წარმოადგენენ, ეფთვიმე ერთი და იგივე ტერმინით ან ერთი და იგივე ძირიდან ნაწარმოები სიტყვებით თარგმნის. ასევე პოლისემიური სიტყვის სხვადასხვა მნიშვნელობების აღსანიშნავად ეფთვიმე ერთსა და იმავე სიტყვას ხმარობს. ამ მხრივ თითქმის ანალოგიური სურათია ეფრემ მცირესთან, ხოლო არსენ იყალთოელი მკაცრად მიჯნავს ერთი სიტყვის სხვადასხვა მნიშვნელობებს. ბერძნული სიტყვის ერთი მნიშვნელობისათვის არსენთან ერთი სიტყვაა, მეორე მნიშვნელობისთვის – მეორე სიტყვა და ა. შ.

**არსი, არსება.**

უპირველესი საღვთისმეტყველო ტერმინით „არსი“ ეფთვიმეს მიერ გადმოცემულია ბერძნული εἶναι, რომლის მნიშვნელობაა „მყოფობა“ და τὸ ὄν, რომლის მნიშვნელობაა „არსება“. εἶναι-ის ზოგჯერ „არსება“ შეესატყვისება.

E: ბუნებაჲ მისი [ღვთის]... უზეშთაეს არს ყოვლისავე *არსებისა* 4,5 (τὰ ὄντα 13,29).

MI: *არსი* (40,55vl).

E: [ღმერთმან]... არაარსისაგან *არსებად* მოიყვანნა ყოველნივე უხილავნი და ხილულნი 6,2 (τὸ εἶναι).

M: *არსი*, I: *ყოფა*.

E: ღმრთისათჳს შეუძლებელ არს თქუმად, თუ რაჲ არს ბუნებაჲ მისი, რამეთუ ვერარას არსთაგანსა მიემსგავსების, არამედ უზეშთაეს არს ყოვლისავე *არსებისა* 4,4 ( τὸ ὄν 13,28).

MI: *არსი* (40,55vl).

E: ყოველნივე *არსნი*, რომელნიცა შეცვალებადნი არიან, დაბადებულნი არიან 3,5 (τὰ ὄντα 41,23).

M: *არსთაგანი*; I: *მყოფი* (37,55rl).

E:ყოველნივე *ხილულნი*... შეცვალებასა შინა არიან 3,6 (τὰ ὄντα 11,23).

M: *არსი*, I: *მყოფი* (37,55rl).

E: [ღმერთმან] არაარსისგან *არსებად* მოიყვანნა ყოველნივე *უხილავნი* და *ხილულნი*“

6,2 (ამ მაგალითებში „არსების“ განმარტება „უხილავით“ და „ხილულით“ ეფთვიმეს ეკუთვნის). τὸ εἶναι-ს ზუსტი შესატყვისი „ხილული“ და „უხილავი“ არ არის. ეს კონტექსტისეული აზრობრივი თარგმანია. ამ შემთხვევაში არსის სინონიმური მნიშვნელობა აქვს „ხილულს და უხილავს“. (იხ. გრიგოლ ნოსელი, „პასუხი ექუსთა მათ დღეთათჳს“: „ორკეცად გულისჴმა-იყოფების ბუნებაჲ დაბადებულთაჲ, ესე იგი არს *უხილავად* და *ხილულად*“).

„არს“ ძირიდან ნაწარმოები ტერმინი-არსება- დასტურდება ἡ οὐσία-ს გადმოსაცემადაც:

E: [არს ღმერთი]... მიზეზი ყოველთა *არსებათაჲ* 5,4 (ἡ οὐσία 18,19).

M: *არსი*, I: *მყოფი* 46,56vII.

E: სხუაჲ არს *არსებაჲ* და ბუნებაჲ და სხუაჲ არს გუამი 12,16 (ἡ οὐσία)

MI: *არსებაჲ* 156,78rII.

**ბუნებაჲ**

არს უკუე ყოველთა *არსებათა* უზეშთაესი *არსებაჲ* და *ბუნებაჲ* მიუწთომელი იგი ღმრთეებისაჲ 12,17

οὐσία-ს გადმოღება ორი ტერმინით: „არსება“ და „ბუნება“ – სრულიად ბუნებრივია, რადგან მათი მნიშვნელობა ფარავს ერთმანეთს.

*არსებაჲ* და *ბუნებაჲ* ერთ არს 12,16

*ბუნებაჲ* და *არსებაჲ* ერთ არს ზიარი იგი საქმე, რომელსა ჰქონან ერთარსნი იგი გუამნი 12,20

*ბუნებაჲ* და *არსებაჲ* არს ზოგადი იგი ყოველთაჲ საქმე ჭეშმარიტი 24,1

დასტურდება ტერმინიც „*არსებითი*“, რითაც ბერძნული οὐσιώδης არის გადმოცემული.

ჭე̃შმარიტი იყო შეერთებაჲ იგი *არსებითი* 114,66.

MI: *არსებითი* 155,78rI.

ასე რომ, „არსი“, „არსება“, „არსებითი“, „ბუნებაჲ“ შესატყვისობებით „წინამძღუარში“ გადმოცემულია ბერძნული τὸ ὄν, τὸ εἶναι, ἡ οὐσία ტერმინები.

გვხვდება სხვა შემთხვევაც: „არსება“ სიტყვით გადმოცემულია ლექსემა τὸ φύραμα( 123,14).

E: [ქრისტემ] მიიღო დასაბამი *არსებისა* ჩუენისაჲ – კორცნი სულიერით, გონიერით“ 14,2

MI: ამ სიტყვას თარგმნიან ზუსტი მნიშვნელობით „თბე“.

I: ესრეთ უკუე განკორციელდების, მიმღებელი მისგან დასაბამსა *თბისა* ჩუენისასა 164,79v II.

**განგებულება.**

ამ ტერმინით „წინამძღუარში“ გადმოცემულია ἡ οἰκονομία, ἡ κυβέρνησις. MI: „განგებულებას“ ხმარობენ οἰκονομία-ს შესატყვისად, ხოლო κυβέρνησις-თვის მიმართავენ „მართება“ შესატყვისს. არსენის სხვა თარგმანებშიც οἰκονομία „განგებულებით“ გადმოიცემა:

I: დიდ არს საიდუმლოჲ სიტყჳსა ღმრთისა *განგებულებისაჲ*; ἡ οἰκονομία (36,19).

I: სიკუდილი არს... ყოველივე საზრდელისა და აღორძინებისა *განგებულებაჲ* (97).

E: ხოლო ვითარცა ბუნებაჲ კაცობრივი მიიღო უფალმან, ეგრეთვე ბუნებითნი თჳსებანი კაცობრივისა მის ბუნებისანი თავს-ისხნა *განგებულებით* 16,16 ( ἡ οἰκονομία 136,73).

IM: *განგებულებაჲ* 178,82rI.

E: არათუ ბუნებანი ორ გუამად განიყოფებიან, არამედ შესაძრწუნებელი იგი *განგებულებაჲ* ორთა მათ ბუნებათა ერთ გუამად შეაერთებს (ἡ οἰκονομία).

I: *განგებულებაჲ* (ანასტასი სინელის „წინამძღუარი“).

E: საღმრთოჲსა მის *განგებულებისათჳს* და ჩუენისა მის წყალობისათჳს და ცხორებისა, რომელ ყო უფალმან განკაცებითა თჳსითა 11,1 (ἡ οἰκονομία 106,1).

M: *განგებულებაჲ* 148,77v ll.

ეფთვიმესთან დასტურდება „განგება“ ძირიდან ნაწარმოები მიმღეობა „განგებული“ (οἰκονόμος), „განმგებელი“

E: [კაცი არს]... ცხოველი აქა *განგებული* ამას საწუთროსა“8,3.

M:*განგებადი* 111,65rll

M: *განგებული* 111,70rl.

E: არს ღმერთი... *განმგებელი* ყოველთაჲ 3,1

E: დადგენილ არიან ვიეთნიმე მათგანნი კერძოთა ქუეყანისათა *განმგებელად* ნათესავთა 7,13.

E: არს ღმერთი... და აგებულებაჲცა დაბადებულთაჲ ... და პყრობაჲ მათი ... და *განგებულებაჲ* ჰქადაგებს დიდებულებასა... ღმრთისასა 1,5 ( ἡ κυβέρνησις) 7,16

MI: *მართებაჲ* 34,36rll.

ბასილი კესარიელის „სწავლანში“ ეფთვიმე ხან „მართებას“ იყენებს, ხან „განგებულებას“:

E:. *ჰმართებდი* თუალთა, ნუუკუე თუალთა მიერ შემოხდეს შენ შორის ბოროტი იგი გულისთქუმისა ღელვაჲ 4, 139 (ბერძნულში არაა).

E: *განგებულებაჲ* განუგებელსა მას საქმესა შინა მოპოვნებულ არს“ (ἡ οἰκονόμια) (იქვე).

ეფრემ მცირის მიერ თარგმნილ დიონისე არეოპაგელის თხზულებაში „საღმრთოთა სახელთათჳს“ გეხვდება ტერმინი „მართება“ (διακυβερνάω):

M: მათ შორის ედგეთ, რომელნი-იგი *ჰმართებენ* ყოველთავე ზეშთაცა მყოფთა წმიდათა წესთა არსებასა (39).

გიორგი მთაწმიდელთან ἡ οἰκονομία გადმოცემულია ტერმინით „განგება“. ბერძნულში ამავე ტექსტში „განგების“ მნიშვნელობით გეხვდება სხვა ტერმინიც: ἡ ἐπιμέλεια.

ბუნებაჲ იგი ცეცხლისაჲ საჭიროდ დაიბადა ყოველსავე შინა, არა ხოლო თუ ქუეყანისა საქმეთა *განსაგებელად* (3,33).

შესძინე სიმდიდრესა მას მისსა ძლიერებაჲცა რაჲმე სამოქალაქოჲ და მეფეთამიერნი პატივნი და ნათესავთა *განგებანი* (3,52).

დადასტურებულ მაგალითებში „განგებულება“ და „მართება“ სინონიმური ცნებებია.

**დაბადება.**

„დაბადება“ და მისგან ნაწარმოები ტერმინები „დაბადებული“, „დამბადებელი“, „დაუბადებელი“ ეფთვიმეს მიერ ნახმარია სხვადასხვა ბერძნული სიტყვების გადმოსაცემად. ესენია: ἡ κτίσις, δημιυργός, τὸ πλασθῆναι, ποιητικός და სხვა...

E: არს ღმერთი... *დაუბადებელი* 2,3 (ἄκτιστος 8,11).

MI: *აუგებელი*

E: ვინაჲთგან დაბადებულნი არიან, უეჭუელად *დამბადებელი* უვის დაუბადებელი 11,34 (ἡ κτίσις).

MI: *აგებული* 38,55rI

E: [არს] ჭეშმარიტი ღმერთი, იგივე ბუნებითა ღმრთეებისაჲთა დაუბადებელ და ბუნებითა კაცებისაჲთა *დაბადებულ*

I: *აუგებელი* 24,36.

E: *დამბადებელი* ყოველთაჲ... დაუბადებელ არს 3,8 (ἄκτιστος 11,36).

MI: *აუგებელი* 38,55rI.

E: [არს ღმერთი]... ხილულთა და არახილულთა *დამბადებელი* 5,4 (ποιητικός18,9).

MI: *შემოქმედი* 45,56vII.

E: *დამბადებელი* ყოველთაჲ ჭეშმარიტად დაუბადებელ არს 3,8 (δημιουργός 11,37).

MI: *დამბადებელი* 38,55rI.

E: წმიდაჲ იგი ქალწული ღმრთისშობელი ექმნა მიზეზ *დამბადებელსა* დაბადებად 16,74 (τὸ πλασθῆναι τῷ πλάστῃ 136,64).

MI: *დაბადებაჲ დამბადებელისაჲ* 178,82rI.

ეფრემი და არსენი ხშირად მკვეთრად მიჯნავენ აღნიშნულ ბერძნულ ტერმინთა შესატყვისობებს:

ἡ γένεσις-ის შესატყვისია „შობა“.

ποιητικός – „შემოქმედი“.

ἡ κτίσις – „აგებულება“.

არსენი „დიალექტიკაში“ ტერმინ ἡ κτίσις-ს თარგმნის სიტყვით „დაბადებულება“, ან „დაბადებული“, ხოლო სხვა თხზულების, კერძოდ, „ქრისტეს შორის ორთა ნებათათჳს“ საკუთარ თარგმანში იგივე ტერმინი „აგებულად“ გადმოაქვს. იმავე თხზულებაში ასეთი ტერმინიც გვხვდება: „დაბადებისმოქმედი“ (γενεσιουργὸς).

*დაბადებისმოქმედი* მათი ცნობილ იქნების 3,2.

„დიალექტიკაში“ ἡ ὕπαρξις ტერმინის შესატყვისად ეფრემ მცირე იძლევა ტერმინს „მყოფობა“, არსენის თარგმანში კი დასტურდება „დაბადება“. Πεφυκέναι= M: „დაწყებაჲ“, I: „დაბადებულ-ყოფნაჲ“. Κτίσις = M: „დაბადებული“, I: „დაბადებულებაჲ“.

ტერმინი „დაბადება“ ეფთვიმესთან „შექმნის“, „გაჩენის“ მნიშვნელობით იხმარება.

ეფთვიმეს მიერ ამ სიტყვის ხმარება ზემოთჩამოთვლილი ბერძნული ტერმინების შესატყვისად მყარი არ არის. გვხვდება შემთხვევები, როცა ერთ-

ერთი მათგანი სხვა ქართული სიტყვით არის თარგმნილი მაგ. κτίσις-ს ეფთვიმესთან ზოგჯერ შეესატყვისება „ბუნება“:

E: [გურწამს ერთი ღმერთი]... თაყუანისცემული ყოველთა მიერ პირმეტყუელთა ბუნებათა 5,5.

M: *აგებულებაჲ* 46,41rI, I: *აგებული* 46,56vII.

**ერთობა.**

„წინამძღუარში“ რამდენიმე ბერძნული სიტყვის ეკვივალენტად დასტურდება ტერმინი „ერთობა.“

ერთობა = ἁπλόος, M: მარტივობაჲ, I: სიმარტივე.
ერთობა = ἡ σύνθεσις. M: შეერთებითობაჲ, I: შეერთება,
ერთობაჲ = ἕν, M: ერთი, I: ერთობაჲ,
ერთობა = μοναδικός, MI: მხოლოობითობა
ერთობაჲ = τὸ ταυτόν M: ერთობაჲ, I: იგივეობაჲ.

E: ყოველსავე ბუნებისა და არსებისა საქმესა *ერთობით* ვიტყუთ 13,1 ( ἁπλότης 111,3). M: *მარტივობაჲ* 152,80rII. I: *სიმარტივე* 152,77vI.

E: ერთსა მას გუამსა ვიტყუთ ღმრთეებისა და კაცებისა მისისასა და ორთა ბუნებათა აღვიარებთ შემდგომად *ერთობისაცა* 12,10 ( ἡ σύνθεσις 114,60).

MI: *შეერთებაჲ* 155,78rI.

E: ვიტყუთ ყოვლითურთ ღმერთ და ყოვლითურთ კაც, რაჲთა *ერთობაჲ* იგი და განუყოფელობაჲ გულისჴმა-ვყოთ გუამისა მის ყოვლად წმიდისაჲ 14,16 ( τὸ μοναδικός 125,43).

MI*: მხოლოობითობაჲ* 165,79vII.

E: ოდეს-იგი მივხედნეთ ღმრთეებასა... ყოვლითურთ *ერთობასა* გულისჴმა-ვყოფთ 5,28; (ἕν 39,271).

M: *ერთღმრთეებაჲ* 58,45vII, I*: ერთი* 58,59rII.

„ერთობა“ ეფთვიმეს თარგმანში ატარებს შემდეგ მნიშვნელობებს: ერთი, შეერთება, მთლიანობა, იგივეობა და გადმოსცემს ბერძნულ ტერმინებს: ἁπλόος, ἡ σύνθεσις, ἕν, μοναδικός, τὸ ταυτόν.

არსენთან და ეფრემთან კი ეს ტერმინები მნიშვნელობათა მიხედვით გამიჯნულია:
ἡ σύνθεσις – შეერთებაჲ, μοναδικός – მხოლოობითობაჲ,
ἁπλόος – მარტივი, αὐτός – იგივეობა, ἕν – ერთი.

**სახე.**

ტერმინი „სახე“ სხვადასხვა ბერძნული ტერმინის შესატყვისად დასტურდება „წინამძღუარში“. ეს ტერმინებია: τὸ παράδειγμα, τὸ ἰδίωμα, ὁ ἰδιότης,

ἰδιωτικός, τὸ εἶδος, ἡ εἰκών (ამ ტერმინის შესატყვისად ზოგჯერ დასტურდება „ხატი“).

E: *იგავნი და სახენი* არა ეგებიან ესრეთ, რაჲთამცა ყოველადვე დაუკლებელად მიემსგავსებოდეს 20,10 (τὸ παράδειγμα 169, 20). ერთ ბერძნულ ტერმინს ეფთვიმე ორი შესატყვისით( იგავნი და სახენი) გადმოსცემს.

M: *სახედ შემოღებული სიტყუაჲ* 220,106vII; I: *სახე* 89 rI.

სხვა შემთხვევაში ეფთვიმეს ეს სიტყვა მხოლოდ ერთი ტერმინით გადმოაქვს:

E: [ღმერთმა]... *ქმნა* აგებულებაჲ კაცისაჲ *სახედ* უზეშთაესისა სიბრძნისა მისისა 8,1

E: ქრისტეს განკაცებისა *სახე* სრულიად მსგავსი არ იპოების 20,10

E: და ესე *სახე* მოასწავებს ერთსა მას გუამსა და ორთა ბუნებათა 16,7

ზემოთ მოყვანილ ნიმუშებში სახე „ნიმუშის“, „მაგალითის“ მნიშვნელობით გამოიყენება.

E: ოდეს ერთისა კერძოჲსად სახელ-ვსდებდეთ ძედ ღმრთისად და ღმრთად ჭეშმარიტად, შეიწყნარებს მეორისაცა ბუნებისა *სახეთა* 12,25. (τὸ ἰδίωμα 117, 33). „სახეს“ ამ მაგალითში „თვისების“ მნიშვნელობა აქვს. „თვისების“ მნიშვნელობით ეფთვიმე ხმარობს „თჳთება“ ტერმინს(τὸ ἰδίωμα).

არის შემთხვევა, როცა „თჳთება“ პირს აღნიშნავს. ამ შემთხვევაში ამ ტერმინს ბერძნული შესატყვისი არა აქვს:

E: ხოლო *თჳთებითა* ოდენ გუამოვნებისაჲთა მამისა და ძისა და სულისა წმიდისა ამით ხოლო სახითა განყოფილებასა გულისჴმა-ვყოფთ“ 5,25.

E: არსებაჲ და ბუნებაჲ ერთ არს, ვითარცა წმიდანი მამანი იტყჳან და კუალად, გუამი და პირი და *თჳთებაჲ* ერთ არს 12,16.

E: გუამი [არს] თითოეულისა განყოფილი იგი *თჳთებაჲ*, მყოფი ერთსა მას სახესა შინა 12,20.

ამ წინადადებაში „სახე“ გვარის მნიშვნელობით გამოიყენება.

E: ხოლო ოდეს *თჳთებანი* იგი მოვიგონნეთ, რომელთა შინა არს ღმრთეებაჲ, და უფროჲსად ვთქუა, რომელ არიან ღმრთეებაჲ, სამგუამოვნებასა გულისჴმა-ვყოფთ 5,29 (ὁ ἰδιότης).

„სახე“ გვხვდება „გარეგნობის“, „შესახედაობის“ მნიშვნელობით:

E: ესაია *სახითა* კაცობრივისა პირისაჲთა იხილა უფალი, მჯდომარე საყდართა ზედა მაღალთა 24,25.

E: არათუ ბუნებასა ღმრთეებისასა ხედვიდეს... არამედ *სახესა* იხილვიდეს პირისასა 24,25.

E: და ამის საქმისა ბევრეულნი წამებანი იპოვებიან წმიდათა წერილთა შინა, რომელნი *სახესა* და პირსა ღმრთისასა ხილვად აკსენებენ 24,24 (ἡ εἰκών). I: ხატი.

E: გუამი და პირი [არს] განყოფილი იგი თითოეულისა *სახე* მასვე ბუნებასა შინა მყოფთაჲ 23,49.

„სახე" ზოგჯერ ნიშნავს „წესს", „მანერას", „ნაირს":

E: არა რომლითა *სახითა* შესაძლებელი აღრიცხვად 5,3

E: ამით ხოლო *სახითა* განყოფილებასა გულისჴმა-ვყოფთ 5,25

E: ყოველნი კაცნი ამით *სახითა* არიან –სულისაგან და ჴორცთა შეერთებულ 12,9

E: [დამბადებელმა] მრავალსახედ ინება მოქცევაჲ ჩუენი ბოროტისაგან 11,1

**დასაბამი.**

რაც შეეხება ტერმინს „დასაბამი", მის სინონიმებს და მისგან ნაწარმოებ სიტყვებს, აქ ასეთი სურათია: „დასაბამი" და მისგან ნაწარმოები სიტყვებით ეფთვიმე გადმოსცემს ბერძნულ ἡ ἀρχή -სა და ამ ძირისგან ნაწარმოებ ტერმინებს. მათი მნიშვნელობაა „დასაწყისი", „პირველსაწყისი", „უწინარესი", „საფუძველი", „მიზეზი".

E: იგი [მამაჲ ] არს *დასაბამ* და მიზეზ არსებისა ყოველთაჲსა 5,15

E: ჭეშმარიტად ღმერთი იშვა მისგან, არა თუ ღმრთეებისაგან სიტყჳსაგან *მიიღო დასაბამი.*

Ἀρχή -სთვის ეფთვიმე ზოგან მიმართავს ტერმინ „პირველს":

E: *პირველითგან* იყო ღმერთი, და ღმერთი იყო *პირველითგან*, რომელ-იგი მარადის იყო 1,1.

გვხვდება „დასაბამიდან" ნაწარმოები სიტყვებიც: „დაუსაბამო", „თანადაუსაბამო", „თანადაუსაბამოება", „დასაბამიერი"...

E: *დაუსაბამო* და უჟამო არს შობაჲ მისი 5,9 (ἄναρχος 22,89).

E: რომელმანცა [ღმერთმა] დაჰბადნა ნათელნი მეორენი გონიერნი პირველისა მის *დაუსაბამოჲსა* ნათლისაგან განათლებულნი 7,7.

E: [ძე] მარადის იყო მამისა თანა *დაუსაბამოდ* და უჟამოდ მისგან შობილი 5,9.

M: *დაუსაბამოჲ*, I: სამარადისოჲ.

E: მუნ ერთობაჲ და ზიარებაჲ საქმით საცნაურ არს: *თანადაუსაბამოებაჲ* და ერთობაჲ არსებისაჲ 5,23 ( συναίδιος).

M: *ზოგადდაუსაბამოობაჲ* 56,45rI, I: *თანასამარადისოობაჲ* 56,59rI.

ეს ფრაზა იოანე დამასკელს აუღია გრიგოლ ნაზიანზელის ჰომილიიდან or.40, ოღონდ or.40-ის ბერძნულ ორიგინალში არსებული ტერმინი ἡ μοναρχία მას შეუცვლია ტერმინით συναίδιος ( 28, 240). ნაზიანზელის ჰომილიის ტექსტში ეფთვიმე ἡ μοναρχία-ს თარგმნის „ერთმთავრობა" სიტყვით, ხოლო დამასკელისეულ συναίδιος-ს– „თანადაუსაბამოება" ტერმინით.

E: *როშელი [სული წმიდაჲ ] მამისა და ძისა თანა თაყუანის-იცემების და იდიდების, ვითარცა თანაარსი და თანადაუსაბამოჲ* 5,12.

MI: *თანასამარადისოჲ* 53,58rII.

„დასაბამი" სიტყვიდან ნაწარმოები ტერმინით „დასაბამიერი" ეფთვიმე თარგმნის ბერძნულ ὑπὸ χρόνου -ს:

E: *და იგივე აღსასრულსა ჟამთასა იშვა ქალწულისაგან დასაბამიერითა მით ბუნებითა კაცთაჲსა* 16,7, MI: *ჟამიერი.*

E: *არა ვიტყჳთ, თუ ღმრთეებასა ეუნებოდა, ანუ თუ დაბადებული იყო და დასაბამიერი* 12,23.

ეს ტერმინი გვხვდება ბასილი კესარიელის „სწავლათა" ეფთვიმე ათონელისეულ თარგმანში:

E: *ყოველივე დასაბამიერი საქმე პატიოსან არს* 2,29.

ტერმინი ἄμα ეფთვიმეს და ეფრემს გადმოაქვთ სიტყვით „მარადის."

I: მეყსეულად":

E: „[ძე] *მარადის იყო მამისა თანა* 5,9.

ეფთვიმესთან გვხვდება ტერმინი „სამარადისო", ბერძნული შესატყვისი არაა.

„სიმრავლენი ანგელოზთანი *სამარადისოჲთა* მით მახლობელობითა ღმრთისაჲთა... აღუძრველ არიან ყოვლისაჲე ბოროტისა მიმართ" 8,14.

ბერძნული ტერმინები τὸ γινώσκειν, ἡ ἔννοια,τὸ νόημα ეფთვიმეს გადმოაქვს ტერმინით „მოგონება".

Τό γινώσκειν, I: ცნობა, M: ცებნა. τὸ νόημα და ἡ ἔννοία, IM: მოგონება.

სხუაჲ არს თქუმაჲ და სხუაჲ არს *მოგონებაჲ* 2,1. γινώσκειν 8,6.

M: ცებნა 35, 36vI, I: ცოდნა35,53vII

არა ქელ-გუეწიფების... რაჲმე თქუმად ანუ *მოგონებად* 2,8. ἡ ἔννοία 10,38. IM: მოგონება 36,54v.

აქუნდა საქმე კაცობრივისა ბუნებისაჲ და ესეცა, რომელი გონებასა შინა ჩუენსა გულისჴმის-ყოფაჲ აღსრულების და *მოგონებაჲ* უხილავად გონებასა შინა აღსრულებული 18,19. νόημα 145,22.

τὸ στοιχεῖον-ის შესატყვისია: „ნივთი". გვხვდება „ნივთისაგან" ნაწარმოები სიტყვები: ნივთიერი (ἡ ὕλη), უნივთო (ἀΰλος). არსენი და ეფრემიც იმავე სიტყვებს იყენებენ.

ქორცნი ჩუენნი ოთხთა *ნივთთაგან* შემზადებულ არიან 12,8. τὸ στοιχεῖον (47,8). ხოლო ითქუმიან უქორცოჲ უნივთოჲ ჩუენ თანა, ქორციელთა ამათთა და ნივთიერთა 7,4.

არსენი და ეფრემი „დიალექტიკაში" ἡ ὕλη-ს გადმოსცემენ ტერმინით „ნივთი". სულხან-საბა მას ასე განმარტავს:

„ნივთი – ესე არს ყოველივე საქმარი, რომელსა სპარსნი მასალას უხმობენ, ვიეთთა ოთხი კავშირნიც ნივთად აღუწერიათ" (35).

ოთხი კავშირის მნიშვნელობით განმარტავს საბა ასოს, კავშირს, სტუქოს (35).

Τὸ στοιχεῖον ძველ ქართულ ძეგლებში გადმოცემულია სიტყვებით: სტ҃ქსი, ნივთი, აგებულება, კავშირი, ასო (21,193-199).

2. „წინამძღურის" ტერმინულ შესატყვისობებში საპირისპირო სურათიც დასტურდება. რომელიმე ბერძნული ტერმინის შესატყვისად ქართველი მთარგმნელი სხვადასხვა სიტყვებს მიმართავს, რასაკვირველია, სინონიმური მნიშვნელობის მქონე სიტყვებს.

ὁ Κρίτης – განმკითხველი, მსაჯული

ἄγνωστος – უცნაური, უგულისკმოებაჲ

საყურადღებოა, რომ უკანასკნელი ტერმინის - „უგულისკმოების" - ძირი „გულისკმა" ყველაზე უფრო ხშირად ἡ ἐπινοια-ს შესატყვისად იხმარება ეფთვიმეს მიერ.

3. „წინამძღურის" ტერმინოლოგიაზე დაკვირვება კარგად აჩვენებს, რომ ეფთვიმე მთაწმიდელი წარმოების თვალსაზრისით არ თხზავს ახალ ტერმინებს, არ იყენებს რთულ სიტყვათწარმოებით ხერხებს, რათა ამა თუ იმ ცნების შინაარსის ზუსტ გამოხატვას მიაღწიოს. ნაწარმოებ ტერმინთა რიცხვი მინიმალურია. ამ მხრივ თვალში საცემია ის ტერმინები, ის სიტყვები, რომლებიც ბერძნულის აშკარა კალკებს წარმოადგენენ.

ერთსახეობაჲ – τὸ αὐτὸ εἶδος

ზედამდგომელობაჲ – ἡ ἐπιστασία

თანადაუსაბამოებაჲ – συναίδιος

ღმერთშემოსილი – θεόφορος

ღმერთყოფაჲ – ἡ θεότητος

ბერძნულის ანალოგიით შექმნილი ტერმინი - კალკები გაცილებით მეტია ეფრემ მცირის და უფრო მეტად, არსენ იყალთოელის თარგმანებში. ეფთვიმე უმრავლეს შემთხვევაში ქართული ლექსიკური ფონდიდან იღებს შესატყვისი მნიშვნელობის მქონე სიტყვას და თავს არიდებს ბერძნული წარმოების ბრმა მიბაძვას.

ასე მაგალითად:

ὥστε ἔχεσθαί ἀλλήλω E: განუშორებლობა, I: ურთიერთასდატევნა, M: მახლობლობა.

κάτω γενόμενος E: გარდამოვარდნა, I: ქუენაქმნილი, M: ქუედაკუეთებული.

ἁγιαζόμενον E: განწმენდილი, M: წმიდა-ყოფადი I: წმიდა-ქმნული,

4. „წინამძღუარში" არცთუ იშვიათად დასტურდება ისეთი შემთხვევები, როცა ესა თუ ის ტერმინი თარგმნილია სხვა სიტყვით, მაგრამ კონტექსტის აზრი არ ირღვევა. ეფთვიმეს მიერ შერჩეულია ისეთი შესატყვისი, რომელიც ზუსტად გამოხატავს კონტექსტში ჩადებულ აზრს.

οὐσιώση (151,188). E: განკაცნა, iM: არსქმნა.

უალრეს ბუნებათა *განკაცნა* 18,41

ეფთვიმე იყენებს ტერმინსაც „განკაცებული“, რომელიც ბერძნული ἐνανθρωπήσαντα -ს (110,34) ზუსტი შესატყვისია:

ამისთჳს ქრისტესა არა კაცად ვიტყჳთ განღმრთობილად, არამედ ღმერთად *განკაცებულად* 11,11.

τὰ ὄντα – *ხილულნი და არახილულნი;* შდრ. I: მყოფი; M: არსი.

ყოველნივე *ხილულნი და უხილავნი* შეცვალებასა შინა არიან 3,6.

τὰ ὄντα ზუსტი შესატყვისითაც გადმოდის: არსი.

ყოველნივე *არსნი,* რომელნიცა შეცვალებადნი არიან, დაბადებულნი არიან 3,36.

ἐνυπόστατος ζώης გადმოაქვს როგორც „საღმრთო ძლიერება“. შდრ.I: „გუამოანი ცხორება“.

ცხოველს-ყოფაჲ მკუდართაჲ [თჳსებაჲ არს] *საღმრთოჲსა ძლიერებისაჲ* 18,36.

'ενυπόστατος δύναμις თარგმნილია, როგორც „გუამოანი ძალი“. ასევეა ეფრემთანაც. I: გუამოანი სიბრძნე.

მან უშჯულომან [პეტროზ მკაწრვალმა] მეოთხე პირი შემოიღო და თჳსაგან განყო ძე ღმრთისაჲ, *გუამოანი იგი ძალი მამისაჲ* 15,1.

5. ხშირად ეფთვიმე ერთ რომელიმე ტერმინს ორი, ზოგჯერ სამი სიტყვითაც გადმოსცემს. ამ შემთხვევაში ტერმინულ შესატყვისთან კი არ გვაქვს საქმე, არამედ ტერმინის მნიშვნელობა გადმოცემულია ორი ან სამი სიტყვის ერთობლიობით. მსგავსი მაგალითები ნათლად ავლენენ, რომ ამ ცნებათა ტერმინული მნიშვნელობა ბოლომდე არაა დაზუსტებული: κτίσις– აგებულებაჲ დაბადებულთაჲ, IM: დაბადებული.

ἡ τρόπη, E: სხუად მიქცევა, IM: ქცეულება.

არა შეცვალებითა... ანუ *სხუად მიქცევითა...* ითქუმის განღმრთობაჲ ჴორცთა ქრისტესთა 19,1

ὑπερπλήρης, E: უზეშთაეს ყოვლისა სავსებისა
I: ზესთა სავსე; M: ზეშთა სავსება.
[არს ღმერთი] *უზეშთაეს ყოვლისავე სავსებისა* 5,4

ὑπερτελής, E: *უზეშთაესი ყოვლისავე სრულებისაჲ.* I: ზესთა სრული, M: ზეშთა სრულება.

სამთა სრულთა გუამთა შორის ერთსა აღვიარებთ არსებასა და ერთსა ბუნებასა, *უზეშთაესსა ყოვლისავე სრულებისასა* 5,18.

ორი, სამი ტერმინით ერთი ცნების მნიშვნელობის გამოხატვა უთუოდ ეფთვიმე მთაწმიდელის მთარგმნელობითი მეთოდის თავისებურებებითაც არის განპირობებული. არაერთხელ იქნა მითითებული, რომ ეფთვიმე სათარგმნი ტექსტის უკეთ გაგებინების მიზნით ხშირად მიმართავდა ორიგინალის ტექსტის გავრცობას, გაშლას, ამა თუ იმ აზრის განმარტების მიზნით იგი ურთავდა

სიტყვებს, ფრაზებს. ზემოთ მოხმობილ ტერმინებშიც იგივე მეთოდი იჩენს თავს: სინონიმური მნიშვნელობის სიტყვის ან განმარტებისათვის საჭირო ნიუანსის მქონებელი სხვა სიტყვის დართვით ეფთვიმე გადმოსცემს ერთი ბერძნული ტერმინის შინაარსს, ეს ფაქტი – ორი ან სამი სიტყვის სინტაგმური შეწყვილებით ერთი კონკრეტული მცნების გადმოცემა – ტიპურია „წინამძღურის" მთელი ტექსტის მანძილზე.

„წინამძღურის" ქართული ტერმინები იშვიათი სიზუსტით გადმოსცემენ ამა თუ იმ ცნების შინაარსს, მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ ტერმინთა მნიშვნელობა არ არის დაკონკრეტებული, ე.ი. ერთი რომელიმე ტერმინი ყოველთვის არ იხმარება ერთი და იგივე ცნების გამოსახატავად. უმრავლეს შემთხვევაში ეფთვიმე მთაწმიდელი მოხერხებულ და ზუსტ ტერმინთშესატყვისებს იძლევა. ეფთვიმეს ტერმინი ძალზე გამჭვირვალეა და კონტექსტის მთლიანი შინაარსიდან გამომდინარე, უფრო შესაფერისი და გასაგები, ვიდრე სხვა თარგმანებში არსებული ტერმინები. გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როცა „წინამძღურის" ტერმინი თავისი მნიშვნელობით თითქოს არ ფარავს ბერძნული ტერმინის მნიშვნელობას, მაგრამ მთლიან კონტექსტში იგი უფრო ორგანულად ზის, ვიდრე არსენ იყალთოელისა და ეფრემ მცირის ტერმინები.

τίθεμι (129,4) ეფთვიმე თარგმნის „განყოფა" სიტყვით, IM: „დამდებელი" 170-80vI.

„მან უსჯულომან მეოთხე პირი შემოიღო და თჳსაგან განყო ძე ღმრთისაჲ" 15,1

აღნიშნულ კონტექსტში „განყოფა" უფრო ბუნებრივად და გასაგებად გამოიყურება, ვიდრე არსენისა და ეფრემის „დამდებელი".

ასევე მშვენიერი და ხატოვანი ტერმინია „ნათელი მიუაჩრდილებელი":

E: გურწამს ღმერთი... *ნათელი მიუაჩრდილებელი* 5,3...

M: ნათელი საცნაური, შეუხებელი

I: ნათელი საცნაური, მიუახლებელი.

ტერმინი „ნათელი მიუაჩრდილებელი" გვხვდება ნევმირებულ ძლისპირში (16,561), „ძლისპირნში" (26,151), კურთხევანში (მოსკოვი, 1826, 346).

„მიუაჩრდილებელი" არ უდრის ბერძნულ νοερός-ს, მაგრამ აზრი ზუსტად არის გადმოცემული.

ἄτοπος, E: უპირული 112,27, IM: უჯერო 153,77vII.

„რომელი ესე *უპირული* არს და ყოვლითავე გმობითა საესე" 12,6.

„სამწმიდაარსობა" ცნობილი საღვთისმეტყველო ტერმინია. „წინამძღუარში" იგი ნახმარია მისი იმ მნიშვნელობით, რაც მიღებული იყო თეოლოგთათვის.

Τῆς τρισσῆς ἁγιότητος τὰς τρεῖς τῆς ὑπερουσίου 130,29,

E: *სამწმიდაარსობითა* სამგუამოვნებასა ღმრთეებისასა გუაუწყებენ წმიდანი იგი სერაბინნი 15,5. ეფთვიმეს ამ ცნობილი ტერმინის ადგილას არსენ იყალთოელი მიმართავს არა ერთ ტერმინს, არამედ აღწერით გადამოცემს მის

შინაარსს: სამობითა სიწმიდისაჲთა სამთა ზესთაარსისა; M: სამითა სიწმიდითა სამთა მათ ზეშთა არსებისათა 171,80vII.

„სამწმიდაარსობა“ გვხვდება ი. აბულაძის ძველი ქართული ენის ლექსიკონში. იგი განმარტებულია ასე: სამგზის „წმიდა არსის“ თქმა, „სამარადისოდ გალობს სამწიდაარსობისა მას გალობასა“ (19,391v).

7. საღვთისმეტყველო ტერმინთა თუ ჩვეულებრივი ხმარების სიტყვების თარგმნისას ეფთვიმე ზოგჯერ დაზღვეული არ არის გარკვეული უზუსტობებისაგან. უფრო სწორად, ზოგან ეფთვიმესეული ტერმინის შემთხვევაში საკითხავია, ეფთვიმეს მიერ გამოყენებული სიტყვა როგორ ჯდება მთლიანი კონტექსტის აზრში. შესაძლოა, ეფთვიმე კონტექსტის აზრიდან ამოდის და არა ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობიდან.

κέχρημαι 145, 31, E:თანაკმარებითა, I: მკუმეველი, M: იკუმევს 189,83vII.

E: [კაცებისა საქმენი].. რომელნიმე არიან სულისანი ხოლო, და სხუანი არიან სულისანი *თანაკმარებითა* კორცთაჲთა 18,20.

κέχρημαι-ს ბერძნულში „კუმევის“ მნიშვნელობაც აქვს და „თანაკმარებისაც“.

ბერძნული ტერმინი ἰώμενος ეფთვიმეს გადმოაქვს ტერმინით „მოძიება“.

E: ეგრეთვე მეორე ადამ მოვიდა რაჲ მორჩილებითა მამისაჲთა *მოძიებად* წარწყმედულთა 11,6.

IM: განკურნება 150,77rII.

ეფრემს და არსენს ტერმინი ზუსტი მნიშვნელობით გადმოაქვთ.

„მოძიებას“ ძველ ქართულში „შურისგების“ მნიშვნელობაც აქვს და „მოკითხვისაც“. ასე რომ, ეფთვიმეს მიერ სხვა სიტყვის გამოყენებით კონტექსტის აზრი არ ირღვევა.

ἀδύνατος, E:მოუზავებელი. არსენ იყალთოელს ეს ტერმინიც ზუსტი მნიშვნელობით გადმოაქვს: „შეუძლებელ“ (97,1r).

ი.აბულაძის ძველი ქართული ენის ლექსიკონში გვხვდება ტერმინები „უზავი“ (მოურიგებელი), „მოზავება“ (შეფერება), „მომზავებელი“ (დამამშვიდებელი), „დაზავება“ (შერიგება). ბასილი დიდის „ექუსთა დღეთა-ში“ გიორგი მთაწმიდელი იყენებს ტერმინს „მოუზავებელი“ ბერძნული ἀκαταλλήλως-ის შესატყვისად. ბერძნულ-ქართული ტერმინთშესატყვისობა ამ შემთხვევაში ზუსტია. Ἀκαταλλήλως ნიშნავს „შეუთანხმებელი“ ანუ „მოუზავებელი“, ეფთვიმეს კი ბერძნული ტერმინი მიახლოებითი მნიშვნელობით გადმოაქვს. ბასილი კესარიელის „სწავლათა“ ეფთვიმე ათონელისეულ თარგმანში გვხვდება ტერმინები „მოზავებული“ (შეწყობილი), „მომზავებელი“ (დამწყნარებელი).

8. „წინამძღურის“ ლექსიკაში თავს იჩენს ის ტენდენცია, რაც საერთოდ დამახასიათებელია ეფთვიმე მთაწმიდელის მთარგმნელობითი საქმიანობისთვის. ბერძნული სიტყვების ეფთვიმესეული შესატყვისები თავისი მნიშვნელობით ზუსტად არ ფარავენ ბერძნული სიტყვის შინაარსს. ეფთვიმესეული ტერმინი

ზოგჯერ უფრო ზოგად მნიშვნელობას შეიცავს, მისი სემანტიკური არე უფრო ფართოა, ვიდრე ბერძნულ ტერმინში წარმოდგენილი მნიშვნელობაა.

τὴν θείαν παράδοσις. E: წესი საღმრთოჲ, I: საღმრთო მოცემა.

περιχωρέω-ს ეფთვიმეს მიერ „წინამძღუარში“ გამოყენებულ სიტყვათაგან ზუსტად არც ერთი არ შეესაბამება. ამ ტერმინის გადმოსაცემად „გარდამოცემის“ არსენისეულ და ეფრემისეულ თარგმანში ყოველთვის გამოყენებულია ზუსტი ტერმინი „დატევნა“. ეფრემ მცირეს დიონისე არეოპაგელის შრომების თარგმნისას გარდა περιχωρέω-სი, „დატევნით“ გადმოაქვს ტერმინები ἐφικνέομαι, ἐνδεχομένην (დიონისე არეოპაგელი): ეს სიტყვები სინონიმური მნიშვნელობისაა და „შეძლებას“, „დასაშვებს“ ნიშნავს.

ტერმინი „დატევნა“ ეფთვიმე მთაწმიდელამდეც იყო დამკვიდრებული. სინურ მრავალთავში ვკითხულობთ: „გიხაროდენ, მარიამ, დამტევნელო დაუტევნელისაო, რომელმან დაიტიე მხოლოდშობილი ძე ღმრთისაჲ“. აქ „დატევნა“ დამკვიდრების, ტვირთვის, დატევის მნიშვნელობითაა. ი. აბულაძის ძველი ქართული ენის ლექსიკონში „დატევნა“ განმარტებულია, როგორც: ტვირთვა, ატანა, დათმენა, დაგდება, მიშვება.

სახარების ქართულ თარგმანში „დატევნა“ χωρέω-ს ეკვივალენტია. „დატევნა“ წვდომის, დამკვიდრების, შეთავსების, შეძლების მნიშვნელობითაა:

„არა ყოველი დაიტიან სიტყუაჲ ესე“ მ.19,11. „სიტყუაჲ ჩემი ვერ *დაიტევის* თჳუენ შორის“ ი.8,37. „არცაღა ვჰგონებ, ვითარმცა სოფელმან მან *დაიტია* აღწერილი წიგნები“ ი.21,25. გრიგოლ ღვთისმეტყველის „სიტყუაჲ შობისათჳს მაცხოვრისას“ ეფთვიმესეულ თარგმანში იგივე მნიშვნელობითაა ტერმინი „დატევნა“:

„არსი იგი არს იქმნების... დაუტევნელი *დაიტევის*“.

ეფთვიმეს „წინამძღუარში“ ტერმინი „დატევნა“ ერთხელაც არ გვხვდება. περιχορέω-ს ეფთვიმესთან სხვადასხვა შესატყვისები აქვს: „შეერთება“, „შეურევნელად განყოფილობა“, „ბუნებათა ჯერ-ჩინება“, „განუშორებელობა“, „მიწევა“, „ერთობა“, „ერთბამად ყოფა“.

E: დაღაცათუ ვიტყჳთ *შეერთებასა* ორთა მათ ბუნებათასა ერთ გუამად, არამედ ვიცით, ვითარმედ *შეერთებაჲ* იგი საღმრთოჲსა მის ბუნებისა მიერ იქმნა 14,18, IM: დატევნა 166,80rI.

E: ჯორცთა მათ მისცემს თჳსთა დიდებულებათა სახითა მით ურთიერთას მიცემისაჲთა ერთობისა მისთჳს გუამისა მის და *შეურევნელად განუყოფელობისა* ბუნებათაჲსა 12,12, I: ურთიერთასის დამტევნელობა, M: ტოვება 155,78r.

E: იგი ყოველთა ზედა *მიიწევის*, ვითარცა ენებოს და ჯერ-უჩნდეს 14,18. IM: დატევნა 166,80rI.

E: [მამაჲ, ძე და სული წმიდაჲ ] შეერთებულ არიან... *ერთბამად ყოფითა* და განუშორებელობითა, თუნიერ ყოვლისავე შერეულებისა 5,28.

I: ურთიერთას დატევა, M: მახლობელყოფა 57,59rII.

არსენს „ურთიერთას დატევნით“ გადმოაქვს ბერძნული ὥστε ἔχεσθαι ἀλλήλων 29,263, M: მახლობელობა.

პირველ წინადადებაში „შეერთების“ ნაცვლად ალბათ „დატევნას“ გამოყენება ჯობდა, რომელიც აზრს უფრო სხარტად გადმოსცემს. „დატევნა“ შეერთებასაც გულისხმობს, ამავე დროს ტვირთვასაც (საღვთო ბუნებამ იტვირთა ადამიანური ბუნება).

მეორე შემთხვევაში ეფთვიმე ცდილობს არა ტერმინის ზუსტად გადმოცემას, არამედ მისი მიზანია კონტექსტის აზრი ადვილი აღსაქმელი, გასაგები გახადოს მკითხველისათვის. ამიტომაც ერთი ტერმინი გადმოცემულია სამი სიტყვით: შეურევნელად განყოფილობა ბუნებათა.

მესამე შემთხვევაში „დატევნის“ ნაცვლად ეფთვიმე „ჯერ-ჩინებას“ წერს. ბერძნულ დედანში, შესაბამისად არსენთან და ეფრემთან, იმავე აბზაცის დასაწყისში ლაპარაკია საღვთო ბუნების მიერ ადამიანურის დატევნაზე. ავტორი აგრძელებს თხრობას, რომ საღვთო ბუნება ყოველივეს განაგებს და კიდევ ერთხელ იმეორებს, რომ იგი დაიტევს ადამიანურს. ეფთვიმე კი ამ შემთხვევაში განმეორებას ერიდება და ამ ტერმინის ნაცვლად უფრო ზოგადი მნიშვნელობის სიტყვას გვთავაზობს.

ბოლო მაგალითში ეფთვიმეს περιχωρέω გადმოაქვს ტერმინით „განუშორებელობა“. I: ურთიერთას დატევნა, M: მახლობელ-ყოფა. სამივე მთარგმნელს ტერმინის არსი სწორად გადმოაქვს.

საღვთისმეტყველო ტერმინები, რაც „წინამძღუარში“ დასტურდება, სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა. უმრავლესობა მკვიდრად დარჩა ქართულ საღვთისმეტყველო-ფილოსოფიურ ენაში. მომდევნო ეპოქაში მოხდა მათი დახვეწა, მნიშვნელობის დაკონკრეტება.

მაგრამ ზოგი ეფთვიმეს მიერ გამოყენებული ტერმინი შემდგომ ხმარებაში არ შემორჩა. იმავე მნიშვნელობის გადმოსაცემად სხვა ტერმინი დამკვიდრდა.

ასე მაგალითად, συμβεβεκός-სათვის „წინამძღუარში“ დასტურდება ტერმინი „მოწევნული“. ეს ტერმინი შემდგომში სხვა ტერმინით შეიცვალა. კერძოდ, ძველ ქართულ მწერლობაში დამკვიდრდა ტერმინი „შემთხუევითი“.

λογικός-ს „წინამძღუარში“ ორი შესატყვისი აქვს: „პირმეტყუელი“ და „სიტყჳერი“. პირველი მათგანის, „პირმეტყუელის“, ნაცვლად ხმარებაში დარჩა „სიტყჳერი“.

## დასკვნები

განუზომელია ათონის მწიგნობრული სკოლის მნიშვნელობა ქართული მწერლობისთვის. „არც ერთ სამონასტრო დაწესებულებას ისეთი მნიშვნელობა არ ჰქონია ჩვენი მწერლობის და კულტურის ისტორიაში, როგორც ათონის ივერთა მონასტერს, უიმისოდ ჩვენი კულტურის ისტორიას შეიძლებოდა სხვა სახე და ხასიათი მიეღო (13).

ათონის ლიტერატურული სკოლის ჩამოყალიბება, ბიზანტიურ კულტურასთან ქართველი ერის ზიარება ეფთვიმე მთაწმიდელის სახელთანაა დაკავშირებული. სწორედ მან მისცა დასაბამი ქართული მწერლობის საერთაშორისო სარბიელზე გაყვანას. ეფთვიმეს და მის თანამოღვაწეებს „ქართლის ქუეყნის“ ინტერესები აწუხებდათ მუდამ. მათ მჭიდრო კავშირი ჰქონდათ სამშობლოსთან, თანამემამულენი შესანიშნავად აცნობიერებდნენ წმინდა მამათა პატრიოტულ მისიას. გადამწერ იორდანე მაირენისელის ცნობით, ეფთვიმეს თარგმანთა გამრავლებით, სამშობლოში ჩამოტანით თვითონ დავით კურაპალატი იყო დაინტერესებული. მეფე გადამწერებს აგზავნიდა ათონზე და „სურვიელ იყო და მოსურნე საღმრთოთა მათ თქუმულთა და მოძღურებისათა მომლოდებელ“.

ეფთვიმეს ეკისრებოდა საქმე „მძიმე და მრავალფერი“ – ეპიტროპობა ანუ მესულეობა ათონის ლავრისა, სამას სულზე ზრუნვა, აღმშენებლობითი საქმიანობა, არაქართული სავანეების დაარსება. მაგრამ უპირველესი საზრუნავი ათონელი მოღვაწისათვის საკუთარი ერის ინტელექტუალური ცხოვრების სწორად წარმართვა იყო. სათარგმნი მასალა აურაცხელი იყო. „ქართველთა განმანათლებელი“ თარგმნისას მუდამ ერის პრაქტიკული საჭიროებიდან გამოდიოდა, მის პოლიტიკურ თუ კულტურულ ინტერესებს ითვალისწინებდა, თარგმნიდა „იმ დარგებიდან, რომლებიც ნაკლებად ან სრულებით არ იყო ცნობილი ქართულ მწერლობაში“ (25,5-6).

ეფთვიმეს წინაშე მუდამ ქართველი მკითხველის პრობლემა იდგა. ამ პრინციპით უთარგმნია მას თხზულებანი, რომელთა „აღრიცხუა კნინღა შეუძლებელ არს“.

ბიბლიოლოგია, ჰაგიოგრაფია, ჰომილეტიკა, დოგმატიკა, პოლემიკა, კანონიკა, ლიტურგიკა – ძველი მწერლობის თითოეული ეს დარგი ეფთვიმესთან წარმოდგენილია სრულიად გამორჩეული სერიოზული თხზულებებით, რომელთაგან ზოგი საეტაპო მნიშვნელობის მატარებელია. ასე მდიდრდებოდა ქართული კულტურა ეფთვიმეს ნათარგმნი თუ ორიგინალური თხზულებებით, ეფთვიმეს ღვაწლი შესანიშნავადაა გაცხადებული წმინდა მამათა სიტყვებში: „შემდგომად ღმრთისა ამათ სულთა ცხორებისა მომცემელნი ქართველთა ნათესავთა“. ეფთვიმემ შესძლო „უმეცრების საბურველის მოგლეჯა ქართველთა გონებათაგან“.

„ჩვილობა“ უკვე განვლილი ეტაპი იყო. ქართული კულტურა უკვე დიდად როდი ჩამორჩებოდა ბერძნულს.

ეფთვიმეს მიერ თარგმნილ თხზულებათაგან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია „წინამძღუარი“. ეს თხზულება პირველი პოლემიკური ნაწარმოებია ქართულ მწერლობაში, რომელშიც გადმოცემულია ქრისტიანული სარწმუნოების უძირითადესი საკითხები, მისი მიმართება სხვა რელიგიურ მიმდინარეობებთან თუ მწვალებლობებთან. პირველად ამ ნაწარმოებში გამახვილდა ყურადღება ფილოსოფიურ-თეოლოგიური ხასიათის თეორიულ საკითხებზე. ჩვენამდე მოღწეული „წინამძღურის“ ხელნაწერთა სიმრავლე ცხადჰყოფს, რომ ამ თხზულებამ ნამდვილად შეასრულა მისი შემდგენლის ეროვნულ-იდეოლოგიური მიზანდასახულობა: ყოფილიყო მართალი სარწმუნოებისა და ღვთისმეტყველების სახელმძღვანელო.

ამ თხზულებამ ჩვენამდე ორი სათაურით მოაღწია. ნაწარმოებს წინ უძღვის მოკლე წინასიტყვაობა, რომელიც დასათაურებულია შემდეგნაირად: „წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანე მონაზონისა და ხუცისა დამასკელისაჲ თქუმული მართლისა სარწმუნოებისათჳს სიტყჳსგებაჲ უთავოთა მიმართ მწვალებელთა, რომელნი ორთა მათ ბუნებათა ქრისტესთა უვარ-ყოფენ“. წინასიტყვაობის შემდეგ, უშუალოდ ტექსტის წინ, მეორე სახელწოდებაა „დაწყებაჲ წიგნისა ამის, რომელსა ეწოდების „წინამძღუარი“. იოანეს მიერ შედგენილ ეფთვიმეს შრომების ინდექსში ამ სათაურით თხზულება არ გვხვდება. „წინამძღუართან“ იდენტიფიკაციის თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს ინდექსში მე-18 თავად გატანილი დასახელება: თქუმული წმიდისა იოვანე დამასკელისაჲ-ორისა ბუნებისათჳს ქრისტესთა. იოანე დამასკელის ავტორად მოხსენიება და ორისა ბუნებისათვის დასახელება გვაფიქრებინებს, რომ იოანეს ანდერძში ამ სახელწოდების ქვეშ სწორედ „წინამძღუარი“ იგულისხმება.

შედგენილობის თვალსაზრისით ეფთვიმეს „წინამძღუარი“ იმდენად ინდივიდუალური და თავისებურია, რომ იგი შეიძლება ჩაითვალოს არა უბრალოდ თარგმნილ თხზულებად, არამედ ათონელი მოძღვრის ორიგინალურ ნაწარმოებად, რომელსაც ანალოგი არ ეძებნება ბერძნულ მწერლობაში. ყოველ შემთხვევაში, ეფრემ მცირის ეჭვი, რომელიც მან გამოთქვა „წინამძღურის“ მიმართ: „ესე არა უწყი, თუ თჳთ მამასა ეფთვიმის გამოუკრებია, ანუ ბერძნულად ესრეთ უპოვნია“ – დღესაც ძალაში რჩება. ძალიან საეჭვოა „წინამძღურის“ ანალოგის არსებობა ბიზანტიურ მწერლობაში, თორემ იგი უთუოდ ეცოდინებოდა ეფთვიმეს ლიტერატურული მოღვაწეობის უბადლო მცოდნეს, ეფრემ მცირეს, რომელიც როგორც ცნობილია, საგულდაგულოდ ეძებდა და არჩევდა ბერძნულ ხელნაწერებს და მთელ რიგ მოსამზადებელ სამუშაოებს ატარებდა საუკეთესო დედნის მოპოვების მიზნით.

დადასტურდა, რომ „წინამძღუარი“ შედგენილია რამდენიმე ბერძნული წყაროს საფუძველზე. ეს წყაროებია: 1) ანასტასი სინელის „წინამძღუარი“, 2) იოანე დამასკელის „გარდამოცემა“, 3) იოანე დამასკელის „სამწმიდაობის საგალობელი“, 4) იოანე დამასკელის „შეზავებულისა ბუნებისათჳს“, 5) მიქაელ სჳნკელოსის „მართლისა სარწმუნოებისა წარმოთქუმაჲ“, 6) I-IV მსოფლიო

კრებების აქტები, 7) მსოფლიო კრებების აქტები. ეს წყაროები ერთიმეორეს ავსებენ ნაწარმოების მთლიან კომპოზიციაში, ერთი წყარო აგრძელებს მეორეს. თითოეულ ნაწილს „წინამძღურის“ საერთო მსოფლმხედველობრივ-იდეოლოგიური მიზანდასახულობიდან გამომდინარე თავისი კონკრეტულ-შინაარსობრივი დატვირთვა აქვს. ყველაზე ვრცელი ნაწილი „წინამძღურისა“ „გარდამოცემიდანაა“ აღებული. ვფიქრობთ, დამასკელის ეს თხზულება წარმოადგენს „წინამძღურის“ კომპოზიციურ მოდელსაც.

ცნობილია, რომ „წყაროჲ ცოდნისაჲ“ ტრილოგიაა, I ნაწილია „დიალექტიკა“, ანუ ფილოსოფიური თავები, რომელიც ერთგვარ პროპედევტიკულ ანუ შემამზადებელ საფეხურს წარმოადგენს ძირითადი ნაწილისათვის. II ნაწილია „წვალებათათჳს“, რომელიც ერთგვარ ისტორიულ ფონს ქმნის. III და ძირითადი ნაწილია „გარდამოცემა მართლმადიდებელთა სარწმუნოებისაჲ“. ეს უკანასკნელი არის ქრისტიანული სარწმუნოების რაობისა და მოძღვრების გადმოცემა. „წინამძღუარი“ ძირითადად აგებულია „წყაროჲ ცოდნისაჲს“ ორი ნაწილის შესაბამისად. ძირითადი ნაწილი ეძღვნება სარწმუნოების უმნიშვნელოვანესი საკითხების გადმოცემას. ბოლო თავები დათმობილი აქვს მწვალებელთა არსის ჩვენებას და მათთან პოლემიკას. ტექსტში, არა ისეთი სიუხვით, როგორც „წყაროჲ ცოდნისაჲ-ში“, მაგრამ მაინც არის ყურადღება გამახვილებული ფილოსოფიურ საკითხებზეც.

არის კიდევ ერთი კომპოზიციური პარალელი. „წყაროჲ ცოდნისაჲს“ წამძღვარებული აქვს იოანე დამასკელის ვრცელი შესავალი. ამის ანალოგიით ეფთვიმეს მიერ შედგენილ „წინამძღუარსაც“ უძღვის ეფთვიმეს მოკლე შესავალი.

შედგენილობის კვლევისას ძირითადად ვეყრდნობოდით იმ მოსაზრებებს, რომლებიც თორნიკე ჭყონიას გამოკვლევაშია გამოთქმული.

უნდა ითქვას, მკვლევრის მოსაზრებანი ძირითადად ზუსტია და ამომწურავი, რამაც ბევრად გაგვიადვილა ტექსტის სავარაუდო წყაროებთან შედარების პროცესი. ამ შედარებამ შესაძლებლობა მოგვცა რამდენადმე დაგვეზუსტებინა ის ცნობები, რაც არსებობდა „წინამძღურის“ ბერძნულ წყაროთა შესახებ და ამდენად ზოგი კორექტივი შეგვეტანა ამ თხზულების შესახებ არსებულ შეხედულებებში. გამოვლინდა ზოგი დამატებითი წყარო, რომლითაც ეფთვიმეს უსარგებლია.

„წინამძღუარი“ თორნიკე ჭყონიას დაკვირვებით, იწყება ანასტასი სინელის „წინამძღურით“, მაგრამ მთავრდება არა სინელის თხზულებითვე, როგორც ამას ფიქრობდა მკვლევარი. ბოლო თავი ნაწარმოებისა წარმოადგენს იოანე დამასკელის „შეზავებულისა ბუნებისათჳს“-ს თარგმანს. ეფთვიმეს მიერ ამ წყაროს გამოყენების თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ იგი სრულად უთარგმნია ქართველ მოღვაწეს და არა მხოლოდ ფრაგმენტების სახით, როგორც ეს გვაქვს სხვა შემთხვევებში. ამ ტექსტის სახით ეფთვიმე მთაწმიდელის თარგმანებს შეემატა კიდევ ერთი ახალი ნაწარმოების თარგმანი. იმაზე, რომ აქ მთლიან დამოუკიდებელ

ნაწარმოებთან გვაქვს საქმე, მეტყველებს სახელმწოდებაც „თქუმული მისივე წმიდისა იოვანე დამასკელისაჲ შეზავებულისა და შეერთებულისა ბუნებისათჳს უთავოთა მიმართ მწვალებელთა“. სახელწოდება ნათლად მეტყველებს, რომ ის არ არის წინა წყაროს გაგრძელება, არამედ ახალი, სხვა ნაწარმოების დასაწყისია.

ბერძნულ დედანთან შედარებით გაირკვა, რომ ათონელი მამა „გარდამოცემის“ თავებს თანმიმდევრულად კი არ იღებს, არამედ მასალებს თავისი შეხედულებისამებრ გადააჯგუფებს ხოლმე. ეფთვიმეს „წინამძღურის“ სათაურები ემთხვევა „გარდამოცემის“ დასათაურებებს. მაგრამ ეფთვიმეს „წინამძღურის“ ერთ თავში „გარდამოცემის“ სხვადასხვა თავებიდან აქვს ხოლმე მასალა გაერთიანებული. ასეთი შემთხვევები საკმაოდ ხშირია. გაირკვა, რომ 23-ე თავში ჩართული ტექსტი, რომელსაც ჭყონია პირობითად „მრწამსს“ უწოდებს, შედგენილია არა „გარდამოცემის“ სხვადასხვა თავების მიხედვით, როგორც მკვლევარი თვლის, არამედ „მრწამსის“ წყაროს ამ შემთხვევაში წარმოადგენს მიქაელ სჳნკელოსის „მართლისა სარწმუნოებისა წარმოთქუმაჲ“. სვინკელოსის თხზულება ოდნავ შემოკლებული სახითაა შეტანილი ეფთვიმე მთაწმიდელის ტექსტში. ეს თხზულება ეფთვიმეს ცალკეც აქვს თარგმნილი. ამავე დროს, როგორც კ. კეკელიძე აღნიშნავს, ეფთვიმეს იგი ჩაურთავს სხვა თხზულების თარგმანშიც - „მაქსიმე აღმსარებლის „ცხოვრებაში“. ამ თხზულების ჩვენთვის ცნობილ ბერძნულ ტექსტში „მრწამსი“ არ დასტურდება. ეს ფაქტი საყურადღებოა ეფთვიმე მთაწმიდელის მთარგმნელობითი საქმიანობის დასახასიათებლად. ერთი და იგივე წყარო მას თავისი შეხედულებისამებრ ჩაურთავს სხვადასხვა ავტორთა ნაწარმოებების თარგმანებში.

საინტერესო იყო „წინამძღურის“ 14 შეჩვენების წყაროთა კვლევა. თხზულებაში დასტურდება ანათემები, რიცხვით 14. „წინამძღუარში“ არ დასტურდება არავითარი სხვა ტექსტი, რომელშიც მოქცევის წესი იქნებოდა განხილული. ეს სრულიად კანონზომიერია „წინამძღურისათვის“, როგორც მართლმადიდებლური სარწმუნოების არსის გადმომცემი ნაწარმოებისათვის. შთაბეჭდილება რჩება, რომ ეფთვიმემ თოთხმეტივე ანათემა გარკვეულ წყაროებზე დაყრდნობით თვითონ შეადგინა. ვვარაუდობთ, რომ მან სხვადასხვა წყაროდან ისესხა შეჩვენებათა თემა, ე. ი. ამა თუ იმ დოგმის დაცვა, შეჩვენებათა ფორმულირება კი, საფიქრებელია, რომ თვით მას უნდა ეკუთვნოდეს (თუ მომავალში არ გამოჩნდება ბერძნული მოდელი).

„წინამძღუარი“ შეგნებულად ისეა აგებული, რომ მისი კომპოზიცია ნათლად ავლენს შემდგენლის სპეციფიკურ მიზან-მიმართულებას: შექმნას წიგნი ქრისტიანული ღვთისმეტყველების შესახებ, მიუთითოს ქრისტიანული მრწამსის შიგნით ძირითადი მწვალებლობა-ცდომილებანი და ანათემათა სახით უჩვენოს მათთან ბრძოლის აუცილებლობა.

„წინამძღუარი“ თავისი შედგენილობით სრულიად გამორჩეული ნაწარმოებია და იმდენად ინდივიდუალური, რომ თუ მთარგმნელობითი თავისებურებებით

გაპირობებულ ორიგინალობასაც გავითვალისწინებთ, ეფთვიმე მთაწმიდელი თამამად შეიძლება ვაღიაროთ მის ავტორ-შემოქმედად.

გარდა კომპოზიციური თავისუფლებისა, ეფთვიმემ თავის კომპილაციურ საქმიანობაში მკვეთრად გამოავლინა მთარგმნელობითი თავისუფლება და განუმეორებელი ინდივიდუალურობა. თავისუფლება ეხება არა შინაარსს, არა რაიმე აზრს, არამედ ამ აზრის გამოხატვის, მათი უკეთ გადმოცემის საშუალებებს. ამ მხრივ ეფთვიმეს მთარგმნელობითი საშუალებანი, მართლაც რომ, ძალზე ფართო და მრავალმხრივია.

ჩვენ საშუალება გვქონდა შეგვესწავლა სამი ქართველი მოღვაწის - ეფთვიმეს, ეფრემისა და არსენის - თარგმანთა ერთმანეთთან და ბერძნულ ორიგინალთან მიმართების ხასიათი.

უნდა ითქვას, რომ ეფთვიმე ყოველთვის ახერხებს აზრის ზუსტად გადმოტანას. დამასკელთან შეგვხვდა რამდენიმე შემთხვევა, როცა მას ნაზიანზელის აზრი განსხვავებულად გადმოუღია ისე, რომ შეიძლება გამოუცდელი მკითხველი დამასკელის ტექსტმა შეცდომაში შეიყვანოს ან მწვალებელმა იგი თავის სასარგებლოდ გამოიყენოს.. ეფთვიმეს უგრძვნია ეს მომენტი და საჩითირო ადგილი პირველწყაროს მიხედვით შეუსწორებია.

საინტერესოა „წინამძღურის“ შემდგენლის დამოკიდებულება ბიბლიური ციტატების თარგმნის მიმართ. ბიბლიური წიგნების ციტირების შემდგომ ეფთვიმე ყველაზე ხშირად იმოწმებს ექსცერპტებს გრიგოლ ნაზიანზელის ჰომილიებიდან. ნაზიანზელის თხზულებებთან მიმართების შესწავლა მით უფრო საინტერესო იყო, რომ არსებობს ამ თხზულებათა თვითონ ეფთვიმეს, ეფრემის, და ანონიმი მთარგმნელის თარგმანები. დამასკელის მიმართებამ ბიბლიურ ტექსტთან თუ ნაზიანზელის თხზულებებთან კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ ეფთვიმეს მთარგმნელობითი მეთოდი ბიზანტიური მწერლობის ტრადიციებითაა განპირობებული. იოანე დამასკელს პირველწყარო ხან სიტყვასიტყვით გადმოაქვს, ხან ტექსტის პერიფრაზირებას ახდენს, ამარტივებს ტექსტს, საკმაოდ თავისუფლად ცვლის დედნის ამა თუ იმ ადგილს.

ნათელი გახდა, რომ ეფთვიმე დამასკელის მიერ პირველწყაროების პერიფრაზირების თუ ზუსტად ციტირების შემთხვევაში არ იცავს ერთიან სურათს. იგი ხან დამასკელის დედანს თარგმნის, ხან უშუალოდ პირველწყაროს მიმართავს, ხან კი არც ერთსა და არც მეორეს არ იმეორებს და პირველწყაროებიდან აღებული ადგილების საკუთარ ინტერპრეტაციას იძლევა, რომ ქართველ მკითხველს აღქმა გაუადვილოს.

კვლევამ დაადასტურა, რომ ეფთვიმე, როგორც მთარგმნელი, თავისუფლად ერევა დედანში და სხვადასხვა კუთხით წარმოაჩენს მას: ა) მთარგმნელი ავრცობს ტექსტს, ჩასვამს მთელ რიგ სიტყვებს და ფრაზებს; ბ) ამოკლებს დედნისეულ ტექსტს; გ) ქართული ენობრივ-გრამატიკული ნორმებიდან გამომდინარე, ამარტივებს დედნის რთულ აზრობრივ პასაჟებს, დ) არღვევს წინადადებათა იმ თანმიმდევრობას, რაც დედანშია; ე) დედნისგან განსხვავებით,

აკეთებს თავისებურ გადაბმებს ტექსტში, უშვებს განმეორებებს, ზ) ერთი სიტყვით ან ფრაზით გამოხატავს საკუთარ განწყობას, იძლევა დედნის ამა თუ იმ აზრის შეფასებას.

ეფთვიმესეული თარგმანის აზრობრივი სიცხადე და გამომხატველობითი ეფექტი მიღწეულია იმ თავისუფალი თარგმანის ხასიათითაც, რომლითაც ეფთვიმე აქართულებდა ბერძნულ ტექსტს. ეფთვიმეს თარგმანი სიტყვასიტყვითი ზედმიწევნულობით როდი მისდევს დედანს, ქართველი მოღვაწე მშობლიური ენის ბუნებრივი ენობრივ-გრამატიკული თუ სტილისტურ-გამომხატველობითი ფართო არსენალით სარგებლობს. აზრობრივი სიზუსტე მიღწეულია ქართული ენობრივ-გრამატიკული საშუალებებით, რადგან აზრი ყოველთვის გადმოცემულია ქართული ენისათვის ბუნებრივი ფორმებით. ეფთვიმე ცვლის დედნის სიტყვათა წყობას, მიმართავს ნიუანსურ განსხვავებებს, დედნისეულ აზრს გამოხატავს სინონიმური მნიშვნელობის სიტყვებით. ბერძნული ფრაზის ერთ ნაწილს აქტიურად აძლიერებს მეორის ხარჯზე, ახდენს რამდენიმე ბერძნული წინადადების კომბინაციას, თავისუფლად თარგმნის თვით თავების დასათაურებას, ცვლის დედნის სტილს.

„წინამძღურის“ ქართულ თარგმანში დასტურდება ისეთი მოვლენა, რომელიც საინტერესოა არა მარტო იმ პრინციპების გასათვალისწინებლად, რითაც შესრულებულია თარგმანი, არამედ ეფთვიმეს, როგორც მთარგმნელისა და მოღვაწის, ზოგადად ლიტერატურულ-შემოქმედებითი პოზიციების გასათვალისწინებლად.

საქმე ისაა, რომ თავებად დაყოფილ „წინამძღურის“ ტექსტში მსჯელობა მიმდინარეობს ღვთისმეტყველების ცალკეულ საკითხებზე, მთარგმნელის მიერ თითოეული საკითხი საგანგებოდაა გამოყოფილი ერთი სტილური ხერხის წყალობით: რაიმე საკითხზე მსჯელობის დამთავრებისას გაკეთებულია შემაჯამებელი ხასიათის დასკვნა და ამის შემდეგ იწყება სხვა საკითხზე მსჯელობა. ეს სავსებით ბუნებრივია, ვინაიდან დოგმატიკური სახელმძღვანელო მოითხოვდა ზუსტ დოგმატურ დეფინიციებს. დასკვნა შეიძლება ერთი ფრაზის ან რამდენიმე ფრაზისგან შემდგარი პასაჟისაგან შედგებოდეს. ამ დასკვნის შემცველი ტექსტი ქართულ თარგმანში მეტია ბერძნულ დედანთან შედარებით. მათი შინაარსიდან გამომდინარე, აშკარად იგრძნობა, რომ ეფთვიმე, რომელიც რაღაც საკითხებზე მსჯელობისას სხვადასხვა ბერძნული წყაროდან აკეთებს კომპილაციას, ამ განსხვავებული წყაროების ურთიერთგადასაბმელად, აზრის ბუნებრივი გაგრძელებისათვის მიმართავს შემაკავშირებელ ფრაზებს. ასეთივე დასკვნები გაკეთებულია ერთი წყაროს ფარგლებში სხვადასხვა საკითხებზე მსჯელობისას. ასეთი შემაჯამებელი ფრაზები დასტურდება როგორც ცალკეული თავის დასაწყისში, ისე შუაშიც, ბოლოშიც.

ნათელია, რომ ეს არის ეფთვიმეს ინდივიდუალური სტილი, რამდენიმე წყაროს საფუძველზე ერთი ნაწარმოების შედგენისა. სტილის ეს თავისებურება აშკარად ავლენს ეფთვიმე ათონელის მიზანდასახულობას: თავი მოუყაროს

ძირითად საღვთისმეტყველო საკითხებთან დაკავშირებულ შეხედულებებს და ასე ჩამოაყალიბოს ქრესტომათიული აზრი. „წინამძღუარი“ პრაქტიკული მიზნებით არის შედგენილი, როგორც ღვთისმეტყველების მოკლე სახელმძღვანელო. ეფთვიმესთვის მთავარია, ქართველ მკითხველს მიაწოდოს ქრისტიანულ-სარწმუნოებრივი მოძღვრების უძირითადესი საკითხების საღვთისმეტყველო გაგება. ქრისტიანული მოძღვრების ასეთი დაპროგრამებული საქრესტომათიო გადმოცემა აუცილებლად სასწავლო-საგანმანათლებლო მიზნებით იყო განპირობებული.

ეს ძალზე საყურადღებო მომენტია, რაც „წინამძღურის“ ავტორისეული ჩანაფიქრის დახასიათების და ამდენად, სამწერლო მოღვაწეობის ახალი კუთხით დანახვის საშუალებას იძლევა.

რაც შეეხება „წინამძღურის“ ტერმინოლოგიას, იგი უაღრესად ზუსტია ბერძნულთან მიმართებით, ამავე დროს ქართველი მკითხველისათვის სრულიად გასაგებია. ნათელი გახდა, როგორ ეფექტურად იყენებდა ეფთვიმე ქართული ენის სიტყვათწარმოების უმდიდრეს შესაძლებლობებს. „წინამძღუარი“ მომდევნო პერიოდის ძეგლთაგან განირჩევა სისადავით და ბუნებრივობით. იშვიათი გამონაკლისის გარდა, ეფთვიმეს ტერმინად აქვს აღებული ქართულ ენაში ცოცხალი სიტყვა. ზოგ მათგანს უკვე ეფთვიმემდე ჰქონდა დამკვიდრებული კონკრეტული ტერმინის მნიშვნელობა, ზოგი მათგანისათვის კი ასეთ მნიშვნელობას ეფთვიმე ამკვიდრებს. ეფთვიმესთან გარდამავალი ხანისათვის დამახასიათებელი სურათია - ჯერ არ შეინიშნება ამა თუ იმ მნიშვნელობის მქონე ტერმინთა შერჩევისა და სტაბილურად დამკვიდრების სურათი.

საშუალება გვქონდა ერთი და იგივე ბერძნული ტექსტის სამი ქართული თარგმანის ბერძნულთან შედარებისა.

სხვადასხვა ბერძნულ სიტყვას, რომლებიც სინონიმებს წარმოადგენენ, ეფთვიმე თარგმნის ერთი და იგივე ტერმინით, ან ერთი და იგივე ძირიდან ნაწარმოები სიტყვებით. თითქმის ანალოგიური სურათია ეფრემ მცირესთან, ხოლო არსენ იყალთოელი მკაცრად მიჯნავს ერთი სიტყვის სხვადასხვა მნიშვნელობებს. ბერძნული სიტყვის ერთი მნიშვნელობისათვის არსენთან ერთი სიტყვაა, მეორე მნიშვნელობისთვის — მეორე. „წინამძღურის“ ტერმინულ შესატყვისობებში საპირისპირო სურათიც დასტურდება. რომელიმე ბერძნული ტერმინის შესატყვისად ათონელი მოძღვარი სხვადასხვა სიტყვებს მიმართავს, რასაკვირველია, სინონიმური მნიშვნელობის მქონე სიტყვებს.

ამ თხზულების ტერმინოლოგიაზე დაკვირვებით გამოიკვეთა, რომ ეფთვიმე მთაწმიდელი წარმოების თვალსაზრისით არ თხზავს ახალ ტერმინებს, არ მიმართავს რთულ სიტყვათწარმოებით ხერხებს, რათა ამა თუ იმ ცნების შინაარსის ზუსტ გამოხატვას მიაღწიოს. ნაწარმოებ ტერმინთა რიცხვი მინიმალურია. ამ მხრივ თვალში საცემია ის ტერმინები, ის სიტყვები, რომლებიც ბერძნულის აშკარა კალკებს წარმოადგენენ.

ბერძნულის ანალოგიით შექმნილი ტერმინები გაცილებით მეტია ეფრემ მცირესთან და კიდევ უფრო მეტი არსენ იყალთოელის თარგმანებში. ეფთვიმე უმრავლეს შემთხვევაში ქართული ლექსიკური ფონდიდან იღებს შესატყვისი მნიშვნელობის მქონე სიტყვას და თავს არიდებს ბერძნული წარმოების ბრმა მიბაძვას.

დადასტურდა ისეთი შემთხვევები, როცა ბერძნული ტერმინი თარგმნილია სხვა სიტყვით, მაგრამ კონტექსტის აზრი არ ირღვევა. ეფთვიმეს მიერ შერჩეულია ისეთი შესატყვისი, რომელიც ზუსტად გამოხატავს კონტექსტში ჩადებულ აზრს. აქაც ეფთვიმე მკითხველთა ინტერესებიდან გამოდის. მთელი „წინამძღურის“ მანძილზე ტიპურია ორი ან სამი სიტყვის სინტაგმური შეწყვილებით ერთი კონკრეტული ბერძნული ტერმინის გადმოცემა.

გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როცა „წინამძღურის“ ტერმინი თავისი მნიშვნელობით თითქოს არ ფარავს ბერძნული ტერმინის მნიშვნელობას, მაგრამ მთლიან კონტექსტში უფრო ორგანულად ზის, ვიდრე არსენ იყალთოელისა და ეფრემ მცირის ტერმინები.

„წინამძღურის“ ლექსიკაში თავს იჩენს ის ტენდენცია, რაც საერთოდ, დამახასიათებელია ეფთვიმე მთაწმიდელის მთარგმნელობითი საქმიანობისათვის. ბერძნული ტექსტის ეფთვიმესეული შესატყვისები თავისი მნიშვნელობით ხშირად ზუსტად არ ფარავენ ბერძნული სიტყვის შინაარსს. ეფთვიმესეული ტერმინის სემანტიკური არე ზოგჯერ უფრო ფართოა, ვიდრე ბერძნულ ტერმინში წარმოდგენილი მნიშვნელობა.

ტერმინოლოგიური ქმნადობის თვალსაზრისით სახეზეა გარდამავალი ხანისათვის დამახასიათებელი ბუნებრივი სურათი.

# THE *ODEGOS* OF EUTHYMIUS THE ATHONITE

## Summary

### Chapter 1. General literary-cultural background of the *Odegos* of Euthymius the Athonite.

By the end of the tenth century, during the fervent enhancement of Byzantine humanism and culture, on Mount Athos of the Chalcedon peninsula Georgian monks, creators of Georgian Literature clearly saw the necessity of enlightening the Georgian nation, as well as that of the nation's active relation with the cultural world of that time. The Georgians of the Iviron Monastery had taken upon themselves a responsibility of acquainting the Georgian nation with Byzantine culture. An influential literary school was created on Mount Athos. Ioane the Iberian, Euthymius the Athonite, George the Athonite and other representatives of this school composed and translated different works that were necessary not only for the benefit of the nation, but also for the practical needs of the clergy. The literary school of Mount Athos created an especially peculiar epoch in the history of the development of Georgian literature.

Euthymius the Athonite is a brilliant representative of this school. He is considered to be "the enlightener of the Georgians." He always took into account the political and cultural needs of the nation. Euthymius translated works hitherto unknown in the fields, or relatively fairly known, in Georgian literature. He had a vast material at hand that needed to be translated. Bibliology, hagiography, homiletics, dogmatics, polemics, canonics, liturgy – all these fields of old Christian writings are represented by peculiar serious works in Euthymius' translation. Some of them are of epochal importance. It had not been easy for the Georgians to comprehend these texts. For this reason he was forced to relate the most difficult Byzantine texts in a modest manner, using contemporary colloquial language and to introduce his own commentaries.

The contemporary Byzantine literature recognized the high style for the literary elite, and the simple one for unprepared readers. Euthymius took the latter into account, always remembering what type of translation was necessary for his reader. He had to translate the way his contemporary time required. The literary works translated by Euthymius, the collections compiled by him and the texts with special intention clearly bear traces of the translating method of Euthymius the Athonite.

The aim of the present work is to demonstrate the essence and peculiarities of one of Euthymius' translations, namely, of the *Odegos*; to show how it fits into the framework of Euthymius' translations and to what extent it corresponds to the principles characteristic of them; to reveal what the *Odegos* is and for what purpose it was created.

**Chapter 2. Review of he scholarly literature on the *Odegos*.**

The *Odegos* is a famous work of ancient Georgian literature. For certain reasons it attracted the scholarly attention very early. The first issue that deserves attention is the fact that this text is known in the literary tradition by two titles. One is *Odegos*, and the other – *On the Faith*. The answer to the question of what had determined the formation of two titles is simple – the content of the text.

The two titles are invariably repeated in all the lists. It's worth to note how the text is referred to in different sources. From this point of view it is the Index of the texts translated by Euthymius, which is known to us through the last will of his father, Ioane, and from the *Life of George the Athonite*. Two titles attract our attention here:

1. Chapter 18. St. John of Damascus, On two natures of Christ
2. Chapter 25. Doctrine of St. Ephraem. Chapter – on the Faith.
3. The question arises which text is meant under Chapter 18.

Mentioning John of Damascus as the author and the title *Concerning the Two Natures of Christ* makes it plausible to pose a question whether the Index of Iovane connotes under this title the *Odegos* of Euthymius since, as is well known from the introduction of this work, it has almost the same title as the work of the Damascene. Given that the *Odegos* in manuscript tradition is also known under the title *Concerining the Orthodox Faith* makes its identification with the text that is mentioned under number 25 and bears the same title, that is to say, *Concerning the Orthodox Faith*, more probable. However, the possibility also exists that Iovane lists here the work of Michael Synkellos's *Exposition of the Orthodox Faith*, that was also translated by Euthymius.

The subsequent author that provides information about the *Odegos* of Euthymius is Ephrem Mtsire. **He became interested in this text much earlier than the period when critical evaluation of this text began.**

Ephrem Mtsire, with his usual critical-literary intuition, speaks about the *Odegos* in the preface to his translation of the *Source of Knowledge* of John of Damascus. His major arguments could be summarized as follows:

1. In the beginning one has to mention the opinion of Ephrem Mtsire concerning the title of Euthymiu's work. Ephrem calls it *Odegos*. It is difficult to imagine that this title was deliberately given by Ephrem Mtsire to the work of Euthymius. It would be more plausible to suppose that this title was provided by the text of Euthymius himself, since it is impossible to suppose that Ephrem would have ventured to change the title of the text translated by such an authority as Euthymius.

It is doubtless that Ephrem Mtsire knows the text under the title *Odegos*. He clearly distinguishes it from the *Odegos* composed by Anastasius of Sinai. Ephrem even expresses his surprise at the fact that the two texts bear the same name. He states: "I've found the [title] *Odegos* applied to the works of Anastasius of Sinai in Greek, but to this book – nowhere else, but in Georgian" (11,68). As becomes clear from this quotation, in Ephrem Mtsire's opinion the text translated by Euthymius is a rendition of the *Exposition Fidei* of John of Damascus.

2. With respect to the title the fact that Ephrem Mtsire calls the work of Euthymius *Short Odegos* is also worth mentioning. Obviously, this definition of Ephrem is conditioned by the content of Euthymius' work. According to Ephrem "one who wants to read the *Short Odegos* translated by the holy Father Euthymius, will **relish it**" (71, 67). Why is it called the *Short Odegos*? Ephrem provides this title as an exact definition of Euthymius' work, because he knows that the text composed by Euthymius, in comparison to its Greek original, is altered, shortened.

3. Together with the acceptance of the derivation of the *Odegos* of Euthymius the Athonite from the *Exposition* of John of Damascus, Ephrem Mtsire also notes the compilatory character of the *Odegos*. However, Ephrem also observes: "I do not know whether the compilation is made by Father Euthymius himself, or he found it [i.e. such a collection] in Greek, since other compilative works in Greek also represent compilations" (11,69).

The interest in the *Odegos*, after its evaluation by Ephrem Mtsire, persisted over the centuries. The fact that the text had been copied many times (the majority of the manuscripts is dated to the eighteenth century) as well as a graet number of the manuscripts, testifies to the popularity of Euthymius' text. Therefore, it is only natural that such a valuable and popular work of old Georgian literature became a subject of scrutiny for Georgian scholars and writers.

The primary issue studied pertained to the author's identity, to the content of this collection and to the plausible sources of the text. In this respect, the works of Tedo Zhordania, Sergi Gorgadze, Korneli Kekelidze, Ivane Javakhishvili, Roman Miminoshvili, Tornike Tchqonia and Michel van Esbroeck deserve special attention.

Dv Av თღმრთეებისანი, ვითარცა მადლითა /სულისა წმიდისაჲთა გ/უასწავეს წმიდათა მოციქულთა და ღმერთშემოსილთა მამათა.[a]

**30**. 1 სამგუამოვნისა BDFG **31**. 1 ღმრთისაჲ — A 2 უწყის — D 3 ~ შობილმან და მშობელმან BCDFG **32**. 1 თავადმან — BG 2 ~ უწყებაჲ ჯერ არს უკუე C 3 მამისად CF **33**. 1 გამომავალ C 2 აქუს C **34**. 1 ჩუენ — A **35**. 1 ვერა BCG, ვერ F 2 იპოების ABC 3 მცირესა D 4 რასამე C **36**. 1 მამისად D 2 სამებისა G

[19] გრიგოლ ნაზიანზელი, or. 20: 35 c.1073 B 4-11. [20] რომ. 8,9 [21] იოანე 20,22

a „ამის ყოვლისაგან გამოჩინებულ არს... ღმერთშემოსილთა მამათა" (5,1-36), Εκδοσις 18-31, „გარდამოცემა" 45-59

## დაბადებულთათჳს
## თავი ვ [E15,16]

**1**. მან თავადმან[1], სამგუამოვნებით ქადაგებულმან ღმერთმან, დაჰბადნა საუკუნენი, რომელ-იგი არს პირველ საუკუნეთა, რომლისა მიმართ დავით გალობს[2], / ვითარმედ: „საუკუნითგან და უკუნისამდე შენ ხარ“˙ და წმიდაჲ[3] მოციქული იტყჳს: „რომლისა მიერ შეიქმნენს[4] საუკუნენი“[1].ª **2**. რამეთუ სახიერმან მან და ყოვლად ტკბილმან ღმერთმან გარდამატ/ებულითა მით სახიერებითა სათნო-იყო ქმნაჲ დაბადებულთაჲ მხილველელად სახიერებისა მისისა. ამისთჳს არაარსისაგან არსებად მოიყვანნა[1] ყოველნივე უხილავნი და ხილულნი, და უხილავისაგან და ხილულისა შემზადებული კაცი.ᵇ C12 Bv

## ანგელოზთათჳს
## თავი ზ [E17]

**1**. პირველ[1] უკუე სხუათა დაბადებულთასა მოიგონნა ანგელოზნი, და მოგონებაჲ მისი საქმე იყო˙ª / ვითარცა ღმრთისმეტყველი გრიგოლ[2] იტყჳს, სიტყჳთა აღსრულებული და სულითა სრულქმნილი[3]. და[4] ესრეთ[5] დაებადნეს ზეცისა ძალნი: ქერობინნი და[6] სერაბინნი და[7] საყდარნი და[8] უფლებანი და[9] კელმწიფებანი და[10] ძალნი[11], / მთავრობანი, მთავარანგელოზნი და ანგელოზნი. რამეთუ ესრეთ გუაუწყებს წმიდაჲ დიონოსიოს განწყობილებასა[12] მათსა ცხრა დასად[13],˙[1] ვითარცა ესწავა მას უხილავთა მხილველისაგან[14], ნეტარისა პა/ვლე[15] მოციქულისაგან[16]. **2**. ხოლო არს ბუნებაჲ მათი უკორცოჲ. რამეთუ სულნი არიან გონიერნი[1], გინა თუ ცეცხლ უნივთო, ვითარცა იტყჳს A22 D20 B43

სათ. თავი ვ] თავი ე C 1. 1 თავად B 2 ჰგალობს CD 3 წმიდაჲ – BCFG 4 შეიქმნეს BG 2. 1 მომიყვანნა D

˙ ფსალმ. 89, 2 ˙[1] ებრ. 1.2

ª „მან თავადმან.. . შეიქმნეს საუკუნენი“( 6,1-4),˙Εκδοσις 43.2-4. “გარდამოცემა“ 73, 62rII ᵇ „რამეთუ სახიერმან... კაცი“ (6,4-8),˙Εκδοσις 45, 2-8. „გარდამოცემა“. 75, 62vI

სათ. ზ] ვA 1. 1 პირველად A 2 გრიგორი BC 3 სრულქმნული BDF 4 და – F 5 ესრე – G 6 და – G 7 და – G 8 და – ADF 9 და – G 10 და – G 11 ძალნი + და 12 განწყობილობასა B 13 დასად + და BG 14 მხილველისა F 15 პავლეს BCD 16 მოციქულისა A 2. 1 გონიერ A

˙ გრიგოლ ნაზიანზელი, or. 38: 36 c.320 C 6-8: or.45: 36 c.629 A. ˙[1] დიონისე არეოპაგელი, ზეცათა მღდელთმთავრობისათჳს, 104,1-105,7; გრიგოლ ნაზიანზელი, or.28:36,72 B1-3.

ª „პირველ უკუე.. საქმე იყო“ (7,1) .˙Εκδοσις 48. 75-77, „გარდამოცემა“ 79.63 vI

დავით წინაწარმეტყუელი: „რომელმან შექმნა[2] ანგელოზნი მისნი სუ-
Cv ლად და მსახურნი მისნი ალად ცეცხლისა[3]“.“[2] და ესრეთ გამოსა/ხა
სუბუქობაჲ[4] და მკურვალებაჲ და მოსწრაფებაჲ და სიმალე მათი
Av აღსრულებად[5] ბრძანე/ბათა ღმრთისათა.“[3]

3. არს უკუე ბუნებაჲ ანგელოზთაჲ არსებაჲ უხილავი, უკორ-
ცოჲ, თჳთმფლობელი, სამარადისოდ მსახური ღმრთისაჲ და მადლითა
მისითა აქუს უკუდავებაჲ. 4. ხოლო სახე და განსაზღვრებაჲ და
გუარი ბუნებისა მათისაჲ მხოლომან უწყის დამბადებელმან მათმან.
ხოლო ითქუმიან უკორცოჲ და უნივთოჲ[1] ჩუენ თანა, კორციელთა
Bv ამათ და ნივთიერთა, ხოლო ღმრთისა თანა, მხოლოჲსა მის შეუ/მსგავ-
სებელისა, იგინიცა ნივთიერ არიან და ზრქელ. რამეთუ ჭეშმარიტად
უნივთოჲ და უკორცოჲ მხოლოჲ ღმერთი არს, 5. და მისითა მით
მადლითა ანგელოზნიცა უკორცო არიან და უნივთო“[4], ჩუენ თანა თუ
იკსენებოდინ[1], ანუ სხუათა ზრქელთა გუამთა თანა[2]. სიტყჳერნი არიან
ბუნებით და გონიერნი[3], თჳთმფლობელნი და[4] ცვალებადნი, ვინაჲცა ენ-
A23 ებოს, / რამეთუ მხოლოჲ[5] ღმერთი არს უცვალებელ, ხოლო[6] დაბადე-
Dv ბულნი ყოველნი ცვალებასა შინა არიან[7]. და/ ყოველნი სიტყჳერნი
თჳთმფლობელ არიან.

6. აწ უკუე ანგელოზნიცა ვინაჲთგან სიტყჳერ[1] არიან და გონიერ,
თჳთმფლობელ არიან, ხოლო[2] ვინაჲთგან დაბადებულნი არიან, შეიცვა-
ლებიან, ვინაჲცა ენებოს. რამეთუ ქელმწიფებაჲ აქუს[3] დადგრომად[4]
კეთილსა შინა და წარმატებად და[5] ქელმწიფებაჲ აქუს, უკუეთუ
B44 უნდეს[6], შეცვალებად ბორო/ტისა მიმართ, ვითარ-იგი შეემთხჳა ეშმაკ-
C13 თა. 7. ხოლო სინან/ულისა არა შემწყნარებელ არს ბუნებაჲ მათი, რა-
მეთუ უკორცო[1] არიან“[5]. რამეთუ სინანული კაცთადა ოდენ მოცემულ[2]
არს უძლურებისათჳს ჴორცთაჲსა. უკუდავ არიან არა თუ თჳსისა
მიერ ბუნებისა, არამედ მადლითა ღმრთისაჲთა, რომელმანცა დაბადნა
ნათელნი მეორენი გონიერნი, პირველისა მის დაუსაბამოჲსა ნათლისა-
Av გან განა/თლებულნი“[6]. 8. არა უკმს მათ ენაჲ და სასმენელნი[1], არ-
ამედ თჳნიერ ჴმოანისა[2] სიტყჳსა აუწყებენ ურთიერთას ზრახვათა[3] და
გულისჴმისყოფათა მათთა ძალითა დამბადებელისა მათისა ღმრთისა

2 შექმნა ABD 3 ცეცხლისად D 4 სუბუქება AC 5 აღსრულებათა C 4. 1 ~ უკორ-
ცოჲ და უნივთოჲ D 5. 1 იხსენებოდნენ F 2 გუამთა ABCD 3 გონიერ BDGC 4 და
– BDC 5 მხოლოდ B 6 ხოლო] რამეთუ D 7 არიან –C 6. 1 სიტყჳერნი D 2 ხოლო
-D 3 აქუს + და D 4 დგომად – A 5 და –F 6 უნდეს] ენებოს D 7. 1 უკორცონი F
2 მიცემულ A 8. 1 სასმენელი D 2 ჴმოანისა D 3 ზრახვისა C

“2 ფსალმ. 103,4 “3 გრიგოლ ნაზიანზელი, or.38: 36, c. 320 C-321A; or.45:36 c. 629
AB. “4 Doctrina patrum 250, 1-5. “5 ნემესიოს ემესელი, ბუნებისათჳს კაცისა, XL.521
A–524 B. “6 გრიგოლ ნაზიანზელი, or. 6·35, c. 735 B.

სიტყუსაჲთა და მაძლითა სულისა წმიდისაჲთა, რომლისა მიერცა სრულებაჲ მოიღეს. ხოლო მიიღებენ იგინი[4] განათლებასა და მადლსა შემსგავსებულად პატივისა და წესისა მათისა[5].*[7] გარეშეწერილ არიან და არა გარეშემოუწერელ[6], რამეთუ გარეშემოუწერელ[7] მხოლოჲ[8] ღმერთი[9] არს. **9**. ხოლო ანგელოზნი ოდეს ცათა შინა იყვნეს, არა არიან ქუეყანასა ზედაცა[1] იგინივე. და რომელნიცა მათგანნი მოივლინნეს[2] ღმრთისა მიერ ქუეყანად[3], არა არიან ცათა შინაცა[4] / იგინივე[5], რომელნი[6] D21
მოივლინნეს[7] ქუეყანად[8]. ხოლო არა შეიწყუდევ/იან კართა[9] მიერ და A24
ზღუდეთა, არცა დაიყენებიან[10], არამედ ვინაჲცა ენების[11], მიიწინიან[12] და შეივიდიან[13] კართა ჴშულთა. უხილავნი არიან ბუნებით. ხოლო უხილავად ვიტყჳ[14], რამეთუ არა ესრეთ ვის ეჩუენები/იან, ვითარცა თჳთ Cv
ბუნებით არიან, რომელთა ეჩუენებოდიან[15] ბრძანებითა ღმრთისაჲთა, არამედ შეცვალებითა სახისაჲთა, ვითარცა ღმერთმან უბრძანოს. **10**. ხოლო სიწმიდე და ძალი და უხრწნელებაჲ და სხუაჲ ყოველივე კეთილი არა თუ თავით თჳსით აქუს, არამედ მადლისაგან სულისა წმიდისა, და[1] აღასრულებენ დაუცადებელად და[2] დაუყენებელად[3] ბრძანებათა[4] ღმრთისათა. გინა თუ ყოველნი სწორ არიან არსე/ბით, B45
გინა თუ არს მათ შორის განყოფილებაჲ, არა უწყით, არამედ მხოლომან ღმერთმან იცის, რომელმანცა დაბადნა იგინი.

**11**. ხოლო ესე გჳსწავიეს, ვითარმედ წესი დგომისა და პატივი/სა მათისაჲ განყოფილებით[1] არს. გინა თუ საზომისაებრ გა- Av
ნათლებისა მიიღებენ დგომასა, ანუ წესისაებრ დგომისა მიიღებენ განათლებასა. **12**. და ესეცა[1] საცნაურ არს, ვითარმედ უზეშთაესნი იგი დასნი შემდგომთა მათ მისცემენ[2] უწყებასა საიდუმლოთასა და გულის/ჴმისყოფასა*[8], ვითარცა წმიდაჲ დიონოსიოს[3] იტყჳს. **13**. ხოლო ძლიერნი არიან[1] ძალითა და მზანი აღსრულებად ნებასა[2] ღმრთისასა, და[3] სადაცა წამისყოფამან[4] საღმრთომან უბრძანოს, მეყსა შინა მუნ იპოებიან[5] სიმალითა[6] მით ბუნებითითა[7]. / და დადგინებულ არიან Dv

4 იგინი – C 5 ~ პატივისა მათისა და წესისა D 6 გარეშეუწერელ B 7 გარეშეუწერელ B 8 მხოლოდ B, მხოლო D 9 ~ არს ღმერთი D 9. 1 ზედა D 2 მოივლინნენ CD 3 ~ ქუეყანასა ზედა ღმრთისა მიერ D 4 შინა G 5 იგინივე – D 6 რომელნივე D 7 მოივლინნენ DC 8 ქუეყანად + იგინივე D 9 კართა] კაცთა D 10 დაიყენებიან] დაიპყრობიან B 11 ენებოს C 12 მიიწევიანBCDF 13 შევიდიან] შეველენან BDFG 14 ვიტყჳთ BDFG 15 ეჩუენებოდინ A 10. 1 და -D 2 და -D 3 დაუყოვნებელად CG 4 ბრძანებითა D 11. 1 განყოფილ F 12. 1 ესე C 2 მოსცემენ – BCDFG 3 დიონჳსიოს C 13. 1 ~ არიან ძლიერნი –BCFG 2 ნებისა D 3 და] რამეთუ BCDFG 4 წამისყოფამან + მან AC 5 იპოვნიან BCFG 6 სიმალითა] სიმაღლითა D 7 ბუნებითათა B

*7 გრიგოლ ნაზიანზელი, or.28: 36 c.72 B7-9.

*8 დიონისე არეოპაგელი, ზეცათა მღვდელთმთავრობისათჳს, 87-92.

ვიეთნიმე მათგანნი კერძოთა ქუეყანისათა[8] განმგებელად ნათესავთა[9].
Bv ხოლო ქრისტიანეთა / კაცად-კაცადსა[9] ანგელოზი განწესებულ[10] არს,
C14 ვითარცა წმიდათა წერილთაგან გჳსწავიე/ს, მცველად და შემწედ
A25 კეთილისა მიმართ, უკუეთუ ოდენ / არა ჩუენ თჳთ უღირსად გამოვა-
ჩინნეთ თავნი ჩუენნი შეწევნისა და თანადგომისა მათისა. და სხუანი
იგი აურაცხელნი სიმრავლენი ცათა შინა არიან და ერთი აქუს საქმე[11]:
მარადის გალობაჲ[12] ღმრთისაჲ და მსახურებაჲ ნებისა მისისაჲ[13].

**14**. ძნიად აღმძრველ არიან ბოროტისა მიმართ. და[1] ესრეთ
ითქუმის განდგომილებისა მისთჳს ეშმაკთაჲსა, რომელნი-იგი პატივისა
მისგან ანგელოზთაჲსა გარდამოცჳვნეს[2]. ხოლო მიერითგან სხუანი
იგი სიმრავლენი ანგელოზთანი სამარადისოჲთა მით მახლობელობითა
ღმრთისაჲთა, ვიტყჳ, ვითარმედ სრულიად აღუძრველ არიან[3] ყოვ-
ლისავე ბოროტისა მიმართ[4], რამეთუ სიხარულ და საშუებელ მათდა
არს[5] მარადის[6] ხილვაჲ ღმრთისაჲ და გალობაჲ მისი, და განათლებულ[7]
B46 / არიან სულისა მიერ წმიდისა,"[10] [b] **15**. ესენი დაიბადნეს[1] პირველ
სხუათა დაბადებულთასა, ვითარცა წმიდაჲ გრიგოლ[2] იტყჳს, რამეთუ
ესრეთცა[3] ჯერ-იყო პირველად უხილავთა დაბადებად[4] და მერმე[5] ხი-
Av ლულთა, რომელ არს ცაჲ, და ქუეყანაჲ, ზღუაჲ / და ყოველივე[6],
რაჲცა[7] არს მათ[8] შინა, და მერმე უხილავისაგან და ხილულისა[9]
ქმნაჲ[10] კაცისაჲ[11]. "[11] **16**. ხოლო რომელნიცა იტყჳან, თუ ანგელოზნი
მიზეზ არიან დაბადებისა რაჲსამე[1], იგინი პირნი არიან მამისა მათისა
D22 ეშმაკისანი. / რამეთუ ანგელოზნი დაბადებულნი ღმრთისანი არიან[2] და
Cv მათ დაბადებად არარაჲსა კელ-ეწიფების, არამედ / მხოლოჲ[3] ღმერთი
არს დამბადებელი და მპყრობელი ყოველთაჲ[4], სამგუამოვნებით დიდე-
ბული მამაჲ და ძე და სული წმიდაჲ.[c]

8 ქუეყანისათა + და BCDFG 9 კაცად-კაცადისა C 10 განჰვსწესებიესთ F11 ~ საქმე აქუს BCFG 12 გალობად D 13 მისისა ნებისა D 14. 1 და] რამეთუ A 2 გარდამოცჳვეს – ABCDFG 3 არიან – D 4 მიმართ + და C 5 არს] აქუს ACD 6 მარადის – A 7 განნათლებულ B 15. 1 დაებადნეს BCDFG 2 გრიგოლ + ღმრთისმეტყუელი F 3 ესრეთ F 4 დაბადებაჲ – D 5 მერმეღა CDFG 6 ყოველი BCDFG 7 რაჲ – BCDFG 8 მას – BCDFG 9 ხილულისაგან D 10 ქმნა. ABCD 11 კაცისაჲ – ABCD 16. 1 რაჲსავე ABCDFG 2 ~ არიან ღმრთისანი A 3 მხოლოდ G 4 ყოველთაჲ + და B

[a] დიონისე არეოპაგელი, ზეცათა მღდელთმთავრობისათჳს, 128-136; გრიგოლ ნაზიანზელი, or.28: 36 c.72 B-C.

[1] გრიგოლ ნაზიანზელი, or.38: 36 c.321 A; or.45: 36 c.629 B. [11] გრიგოლ ნაზიანზელი, or.38: 36 c.320 C6-8.

[b] „არს უკუე ბუნებაჲ... სულისა მიერ წმიდისა (7,3-14)," Εκδοσις 45-47, „გარდამოცემა" 75-78

[c] „ესენი დაიბადნეს... სული წმიდაჲ" (7, 15-16)," Εκδοσις 48, „გარდამოცემა" 79

## კაცისათჳს[1]
## თავი ϐ[2] [E 26]

1. მან თავადმან სამებით[1] დიდებულმან ერთღმრთეებამან[2] დაჰბადნა ყოველნივე ხილულნი და უხილავნი[3]. / და მერმე უხილავისაგან და Bv
ხილულისა ქმნა აგებულებაჲ კაცისაჲ სახედ უზეშთაესისა სიბრძნისა მისისა[4] და გარდამატებულისა მის სახიერებისა; დაჰბადა უკუე კაცი ქელითა თჳსითა, ვითარცა წერილი იტყჳს, ხატად თჳსად[5-6] და მსგავსად[7]. 2. რამეთუ კორცნი ქმნნა[1] მიწისაგან, ხოლო სული გონიერი და სიტყჳერი მისცა თჳსითა მით შთაბერვითა, რომელსაცა ვიტყჳთ / ხატად[2] და მსგავსად[3] ღმრთისა. რამეთუ ხატებაჲ გონიერებასა[4] A26
მოასწავებს და თჳთმფლობელობასა[5], ხოლო მსგავსებაჲ სათნოებათა[6] მიერ, რაოდენცა შესაძლებელ არს, მიბაძვასა[7] მისსა[8].* ესრეთ უკუე დაჰბადა კაცი უმანკოჲ, წრფელი, სახიერი, შეუწუხებელი, უზრუნველი, ყოვლითავე სათნოებითა შემკობილი, ვითარცა მეორე სოფელი დიდი მცირესა შინა. 3. ესრეთ[1] განაწესა / კაცი სოფელსა ამას შინა, Dv
სხუ/აჲ ანგელოზი თაყუანისმცემელი მისი, მხილველი ხილულთა მათ B47
დაბადებულთაჲ[2], გულისკმისმყოფელი უხილავთაჲ, მეუფე ქუეყანისათა ზედა, უფლებული ზეცით, ხილუ/ლი და უხილავი შორის სიდიდესა და C15
სიმცირესა[3], ცხოველი, აქა განგებული ამას[4] საწუთროსა[5] და სხუად მიცვალებადი, ესე იგი არს, მას საუკუნესა. 4. და აღსასრული საიდუმლოჲსაჲ მის[1] ესე იყო, რაჲთა სამარადისოჲთა მით ღმრთისაგან[2] განუშორებელობითა ესოდენ მოიღოს[3] ღმრთისაგან მადლი, ვიდრემდის ღმერთ იქმნეს, არა/ თუმცა[4] ბუნებად ღმრთისა შეიცვალა, არამედ Av
მსგავსებად მისა[5], რაოდენცა შესაძლებელ არს და მისაწთომელ*[1]. 5. ხოლო ერთბამად იქმნა დაბადებაჲ კორცთაჲ და შთაბერვაჲ სულისაჲ, არა თუ ერთი იგი პირველ და მეორე იგი[1] უკუანაჲსკნელ, სიცბილისაებრ[2] ორიგენისა[3],*[2] არამედ ზოგად და ერთბამად. ეს/რეთ Bv

სათ.1 კაცთათჳს BCDFG 2. ϐ] ზ C 1. 1 სამებით + დიდებით C 2 ერთღმრთეებამან -B 3 ~ უხილავნი და ხილულნი BCFG 4 მისისათა D 5 თჳსა BF 6 თჳსა] ღმრთისაჲ D 7 მსგავსებად ABCD 2. 1 ქმნა D 2 ხატებად F 3 მსგავსებად A 4 გონებასა C 5 ~ თჳთმფლობელობასა მოასწავებს D 6 სათნოებისა C 7 მიბაძებად BG, მიბაძვად CD 8 მისსა] თჳსსა B 3. 1 და ესრეთ F 2 დაბადებულთაჲ + და A 3 სიდიდისა და სიმცირისა F 4 ამის D 5 საწუთოსა D 4. 1 ~ მის საიდუმლოსა D 2 ღმრთისა BCDFG 3 მიიღოს A 4 თუმცა] თუ B 5 მისსა A, მისა D 5. 1 იგი – G 2 სიცბილისაებრ] სიცოფისაებრ B 3 ორიგენესა BD, ოროგინესა A

*გრიგოლ ნაზიანზელი, or.38: 36 c.321 BD; or.45: 36 c.629 C-632A.

*[1] გრიგოლ ნაზიანზელი, or. 38: 36 c.324 A1-13; or.45: 36 c.632 A13-B10

*[2] გრიგოლ ნოსელი, კაცისა შესაქმისათჳს: 44, 229 B7-C2

დაჰბადა კაცი ბუნებით უცოდველად, რამეთუ არცა ერთი ცოდვაჲ დაებადა ბუნებასა შინა მისსა და მიეცა მას კელმწიფებაჲ თჳთმფლობელობისაჲ, გინა თუ დადგრომაჲ ენებოს კეთილსა[4] შინა, გინა თუ მიდრეკაჲ – ბოროტისა მიმართ.[a]

D23 **სამოთხისათჳს**

**თავი თ[1] [E 24]**

**1.** ხოლო ესევითარისა მის[1] საკჳრველად დაბადებულისა კაცისა, რომელი დაიბადა ხილულისაგან და უხილავისა ხატად და მსგავსად[2] ღმრთისა*, ვითარცა მთავარსა ქუეყანისასა და ყოველთა მას[3] შინა მყოფთასა, შეუმზადა საყოფელიცა[4] შემსგავსებული*[1]. **2.**
A27 რამეთუ დაასხა სამოთ/ხე ედემს აღმოსავალისასა, რომელ-იგი არს
Cv საუნჯე ყოვლი/საჳ სიხარულისა და შუებისაჲ; რამეთუ ედემი შუებად გამოითარგმანების*[2]. და არს ადგილი იგი აღმოსავალს, უმაღლესად ყოვლისა[1] ქუეყანისა; ჰაეროვანი და შეზავებული ყოვლითავე კეთილ-
B48 ითა, ნერგითა დაუჭნობელითა; ნაყო/ფიერ მარადის, სავსე ყოვლითავე სულნელებითა[2] და ნათლითა, უზეშთაესი და უაღრესი ყოვლისავე ხილულისა შუენიერებისაჲ. და მას შინა დაადგინა ღმერთმან კაცი[3] იგი, ხატად თჳსა[4] დაბადებული, რაჲთა კორცითა იყოს შუენიერსა მას შინა[5] და ბრწყინვალესა საშუებელსა[6] და სულითა უზეშთაესსა კეთილსა შინა[7] იქცეოდის[8], რომელ არს ხედვაჲ ღმრთისაჲ გონებით და მისგან განუშორებელობაჲ[9]. ვიეთმე თქუეს, თუ უხილავ იყო სამო-
Av თხე იგი. არამედ არა ესრეთ არს, რამეთუ სამოთ/ხე იყო ხილულიცა და უხილავი, ესე ვითარცა ვთქუ, რაჲთა კორცითა[10] იყოს ხილულსა მას[11] საშუებელსა შინა[12] და სულითა - უხილავსა, რომელ არს ხედვაჲ ღმრთისაჲ, რომლისა არარაჲ არს უტკბილეს, არცა უსაწადელეს. **3.**
Dv და[1] შორის სამოთხისა[2] / დანერგა ღმერთმან ხე იგი ცხორებისაჲ და

4 კეთილთა B

a „მან თავადმან... ბოროტისა მიმართ“ (8,1 -5), Ἐκδοσις 75-80, „გარდამოცემა“ 110-112

სათ. თ] ϐ A 1. 1 ამის G 2 მსგავსებად F 3 მას] მათ A 4 საყოფელიცა] სოფელიცა F 2. 1 ყოვლისავე BCDFG 2 სუნნელებითა BC 3 კაცნი A 4 თჳსად ABCFG 5 შინა – A 6 საშუებელსა + შინა A 7 შინა – BCDFG 8 იქცეოდეს FG 9 განუშორებლობა CDFG 10 კორცითაცა D 11 ხილულისა მის D 12 ~ შინა საშუებელსა A 3. 1 და] ხოლო F 2 სამოთხესა BD, სამოთხესა + მას F

* შესაქმე 1-26. *1 გრიგოლ ნოსელი, კაცისა შესაქმისათჳს: 44, 132 D *2 ბასილი დიდი, ჰომილია სამოთხის შესახებ: 30, 68 D1-5; სევერიანე გაბალოვნელი, ქვეყნისა შესაქმე: 56, 477,32-40.

ხე იგი[3] ცნობადისაჲ კეთილისა და / ბოროტისაჲ, რომელ-იგი იყო Bv
გამოსაცდელ მორჩილებისა და ურჩებისა კაცისა მის, ამისთჳსცა ხე
ცნობადი კეთილისა და ბოროტისაჲ ეწოდა მას. რამეთუ არაჭამითა
მისითა გამოჩნდებოდა მორჩილებაჲ მისი და კეთილი გონებაჲ, და / C16
ღირს-იქმნებოდა[4] ყოველსავე კეთილსა[5], ხოლო ჭამითა მისითა იცნო-
ბებოდა ურჩებაჲ მისი და ბოროტისა მიმართ მიდრეკილობაჲ[6] და შეემ-
თხუეოდა ბოროტი. 4. და ბრძანებისა მისგან დამბადებელისა / ძალი A28
ესევითარი აქუნდა ხესა მას, რომელ გემოჲსხილვითა მისითა მიეც-
ემოდა კაცსა[1] ცნობაჲ[2] თჳსისა ბუნებისაჲ, რომელ-იგი სრულთათჳს
კეთილ იყო, ხოლო არასრულთათჳს – ბოროტ, ვითარცა ჩჩჳლთათჳს
არა ჯერ-არს სრული საზრდელი, არამედ სძე განწესებულ არს. რა-
მეთუ არა ენება ღმერთსა, რაჲთამცა იქმნა კაცი მრავალმოურნე და
/ მზრუნველ თჳსისა ცხორებისა, რომელ-იგი შეემთხჳა ადამს[3] გე- B49
მოჲსხილვითა მით ძელისაჲთა, რაჟამს ცნა სიშიშულე თჳსი და იწყო
მეყსეულად[4] ზრუნვად[5] საფარველისა[*3].

5. ხოლო პირველ გემოჲსხილვისა შიშულ იყვნეს ადამ და
ევა, და არა ჰრცხუენოდა[1],[*4] რომელ-ესე საქმე არს უვნებელობი-
საჲ. და ეგრეთცა[2] ენება ღმერთსა, რაჲთამცა უვნებელ იყო კაცი და
უზრუნველ. და იგივემცა საქმე აქუნდა ანგ/ელოზთა – დაუცხრომე- Av
ლად გალობაჲ დამბადებელისაჲ და[3] ხედვითა მისითა შუებაჲ და
მისა[4] მიმართ სასოებაჲ, ვითარცა იტყჳს დავით წინაწარმეტყუელი/სა D24
მიერ, ვითარმედ[5]: „მიუტევე უფალსა გულისსიტყუაჲ[6] შენი და[7] მან
გამოგზარდოს შენ“.[*5] 6. და თავადი უფალი საბარებასა შინა იტყჳს:
„ნუ ზრუნავთ სულისა თქუენისათჳს, რაჲ შჭამოთ[1], ნუცა ქორცთა
/ თქუენთათჳს, რაჲ შეიმო/სოთ[2]“.[*6] და კუალად იტყჳს: „ეძიებდით Cv Bv
პირველად[3] სასუფეველსა ღმრთისასა და სიმართლესა მისსა, და ესე
ყოველი შეგეძინოს თქუენ“.[*7] ხოლო მაშინ იცოდა ღმერთმან, ვითარმედ
რაჟამს ბუნებაჲ თჳსი ცნას, მეყსეულად ზრუნვასა და ვნებულებასა
შთავარდების. ამისთჳს არა ჯერ-უჩნდა ესე და ამცნო არახილვად
გემოჲ[4] ხისაჲ[5] მის, რომელსა აქუნდა ესევითარი ძალი, რომლისა გე-
მოჲსხილვაჲ მაშინ ჯერ-იყო, ოდესმცა[6] უბრძანა მეუფემან სახიერმან.
7. ხოლო ხე[1] ცხ/ორებისაჲ[2], გინა თუ ძალი აქუნდა უკუდავმყოფელი, A29

3 იგი –AD 4 და ღირს-იქმნებოდა – D 5 ყოელისავე კეთილისა D 6 მიდრეკილებაჲ F 4. 1 კაცსა – D 2 ცნობაჲ – D 3 ადამს – D 4 ~ მეყსეულად იწყო D 5 ზრუნუაჲ F 5. 1. პრცხუენოდა + და D 2 ეგრეცა BCF 3 და] ხოლო BCDG 4 მისსა BD 5 ვითარმედ – A 6 გულისსიტყუაჲ] ზრუნვაჲ B 7 და –FG 6. 1 სჭამოთ B, ესჭამოთ D 2 შეეიმოსოთ D, შემოსოთ A 3 პირველად – G 4 გემოჲსა BC 5 ხისაჲ – CFG 6 ოდესმანმცა A 7. 1 ხესა F 2 ცხორებისასა F

*3 შესაქმე 3,7. *4 შესაქმე 2,.25 *5 ფსალმ. 54, 23 *6 მათე 6, 25 *7 მათე 6, 33

ანუ თუ უკუდავთა და სამარადისოჲსა ცხორებისა ღირსქმნულთა საჭ-
მელ იყო, და ყოველით კერძო ხე ცხორებისაჲ იყო მცნებაჲ ღმრთი-
საჲ, ჯერ-უკუე-იყო ადამისა ჭეშმარიტითა მით და უზაკუველითა
B50 მორჩილებითა აღსრულებად მცნებისა მის საღმრთოჲსა, რაჲთა/მცა
ესრეთ ეგო განუშორებელად დამბადებელისაგან და ესრეთმცა მიეცა
მას პატივი[3] ღმერთყოფისა ჟამსა თჳსსა, ოდეს-იგი სათნო-იყომცა ჭეშ-
მარიტად ბუნებით ღმერთმან და მეუფემან ყოველთამან[4] მიცემად[5] მისა[6]
ჭეშმარიტისა მის მეცნიერებისა და გულისჴმისყოფისა და ცხორებისა
მის დაუსრულებელისაჲ.[a]

## ეშმაკისათჳს
## თავი ი[1] [E 18,44,45]

**1**. გარნა, ჱ, ჩუენი ესე განსაცდელი! შეშურდა პატივი კაცისაჲ
C17 ეშმაკსა, რომელ-იგი იყო პირველ ერთი ანგ/ელოზთაგანი და რწმუ-
Av ნებ/ულ იყო მისდა[1] ღმრთისაგან ცვაჲ ყოვლისავე ქუეყანისაჲ. ესე არა
თუ ბუნებით ბოროტ იყო, ნუ იყოფინ, არამედ კეთილსა ზედა დაიბადა
ღმრთისა მიერ და არა აქუნდა ყოვლადვე კუალიცა[2] ბოროტისაჲ
დაბადებულ ბუნებასა შინა მისსა, არამედ ნებითა და განზრახვითა
თჳსითა მიდრკა ბოროტისა მიმართ და არა[3] შეიშუენა პატივი იგი,
Bv ღმრთისა მიერ მიცემ/ული[4], არამედ თჳთმფლობელითა მით ნებითა
მიდრკა თჳსისაგან ბუნებისა[5] და იქმნა გარეგან ბუნებისა და აღზუავნა
უბადრუკი იგი და წინააღდგომაჲ[6] ღმრთისაჲ განიზრახა. **2**. განეშორა
კეთილსა და იქმნა ბოროტ და უკეთურ. და[1] უკეთურებაჲ არარაჲ არს
სხუაჲ, გარნა კეთილისაგან განშორებაჲ და დაკლებაჲ, ვითარცა-იგი
ბნელი მოკლებაჲ არს ნათლისაჲ[2].* იგი უკუე უკეთური ნათლად და
A30 კეთილად დაბადებულ იყო / ღმრთისაგან და ნებისით თჳსით ბნელ
იქმნა. და ესევითარისა მის უკეთურებისა მისისათჳს[3] შეჰრისხნა მას
ღმერთმან და გარდამოაგდო იგი პატივისა მისგან ზეცათაჲსა და წესი-
საგან ანგელოზთაჲსა და მის თანა ყოველივე დასი მისი, რომელნიცა[4]

3 პატივი + იგი BCDFG 4 ყოველთა B 5 მიცემად –BD 6 მისსა A, მის – C

a „ხოლო ესევითარისა მის... ცხორებისა მის დაუსრულებელისაჲ“ (9,1-7), Ἐκδοσις 71-74, „გარდამოცემა“ 104-109

სათ. 1. ი] თ A 1. 1 მისგან D. მისადა C 2 კუალი F 3 არა] არცა D 4 მოცემული D 5 თჳსისაგან ბუნებისა] თჳსისა ბუნებისაგან BCD 6 წინააღმდგომა D 2. 1 და] რამეთუ A. და – B 2 ნათლისაჲ + არამედ F 3 უკეთურებისა მისისათჳს] უკეთურებისათჳს CFG 4 რომელიცა D

* გრიგოლ ნოსელი, Oratio katechetika: PG 45 c.28C 12

თანამზრახველ[5] და მიმდგომ[6] იქმნნეს[7] ბოროტსა მას ზრახვასა მისსა. ყოველნივე / მის თანა გარდამოყარნა სიმრავლე ურიცხჳ და D25
იქმნნეს[8] / იგინი მიერითგან უკეთურ ნებსით თჳსით, რამეთუ კეთილსა B51
განეშორნეს"[1] და მიერითგან მბრძოლ არიან კაცთა.[a]

3. რამეთუ გარდამოვარდა რაჲ უკეთური იგი[1] დასით/ურთ თჳსით Cv
და მერმე იხილა, ვითარ პატივ-სცა ღმერთმან ადამს, და ცნა[2], ვითარმედ მას პატივსა, რომლისაგან იგი[3] გარდამოვარდა[4], ადამ[5] აღმავალ არს, შეშურდა ბოროტსა მას და ღონისძიებით მოუკდა და
ღმერთყოფაჲ უქადა და თჳსსა მას / ზუაობისა და ამპარტავანებისა Av
სიმაღლესა აღიყვანა განზრახვითა დედაკაცისაჲთა, და გარდასლვაჲ მცნებისა მის საღმრთოჲსაჲ აზრახა, რაჲთა მსგავსად თჳსა[6] იგიცა მთხრებლსა მას დაცემისასა შთააგდოს; და ეგრეთცა იქმნა.[b] 4. მაშინ
სცთა ადამ ზრახვითა მით ეშმაკისაჲთა და გარდაკდა[1] მცნებასა მეუფისასა და გემოჲ იხილა ხისა მისგან და განშიშულდა კადნიერები/ Bv
სა[2] მისგან, რომელი აქუნდა ღმრთისა მიმართ, და შეიმოსა სიზრქე
საწუთროჲსა[3] ამის ცხორებისაჲ და მოკუდავ იქმნა, და ექსორია-იქმნა სამოთხისაგან და ღმრთისა და სიკუდილი და ხრწნილებაჲ დაესაჯა."[2c]
5. და მიერითგან მიიღო ძალი ეშმაკმან ჩუენითა მით ურჩებითა და
იწყო დაუცხრომელად ბრძოლად კაცთა. და იპოვნეს[1] ნებანი კაცთანი
შემწყნარებელ / ბოროტთა მათ ზრახვათა მისთა. და ესრეთ ა/ღიჳსნეს A31 Dv
ყოვლითავე[2] ცოდვითა და ყოვლისა[3] უშჯულოებისა აღმასრულებელ
იქმნნეს[4]. და აღიჳსო სოფელი ცოდვითა.

5 თანამზრახველ] თანამოზრახუალ C 6 მიდგომილ D 7 იქმნეს B 8 იქმნეს B
3. 1 იგი – D 2 სცნნა BD 3 იგი – CDFG 4 გამოვარდა ADFG 5 ადამი CFG 6 თჳსად A, თჳსსა DC 4. 1 გარდაჰკდა B 2 კადრებისა BC 3 საწუთოსა BD, საწუთოჲსა C
5. 1 იპოვნეს BC 2 ყოველისაჲ D, ყოველნივე CFG 3 ყოველისაჲ D 4 იქმნეს BD

"1 ბასილი დიდი, ჰომილია IX : 3 c.352 A15 ss.

"2 შდრ. გრიგოლ ნაზიანზელი, or. 38: 36 c. 324 s; or.45: 36 c.632 s

a „რწმუნებულ იყო მისდა ღმრთისაგან... მიერითგან მბრძოლ არიან კაცთა" [10,1-2] Ἐκδοσις 48-49, „გარდამოცემა" 79-80 .

b „რამეთუ გარდამოვარდა რაჲ ... და ეგრეთცა იქმნა" [10,3] Ἐκδοσις 106.69-74, „გარდამოცემა" 147

c „მაშინ სცთა ადამ ზრახვითა... სიკუდილი და ხრწნილებაჲ დაესაჯა" [10,4], Ἐκδοσις 106,3-10, „გარდამოცემა" 148

C18 **საღმრთოჲსა მის[1] განგებულებისათჳს[2]**
**და ჩუენისა მის წყალობისათჳს და ცხორებისა,**
**რომელ ყო უფალმან განკაცებითა თჳსითა[3]**
**თავი ია[4] [E 45,46]**

**1.** გარნა ესევითარსა რაჲ შთავცჳვენით წარწყმედასა, არა სრულიად უგულებელს-გუყვნა დამბადებელმან, სახიერმან[1] მან[2] და მრა-
B52 ვალმოწყალემან, / არამედ მრავლით კერძო და მრავალსახედ ინება მოქცევაჲ ჩუენი ბოროტისაგან და განქარვებაჲ ცოდვისაჲ პირველად წყლითრღუნითა*, მერმე შერევნითა ენათაჲთა*[1] და[3] ზედამდგომელობითა ანგელოზთაჲთა*[2], დაწუვითა ქალაქთა უშჯულოთათა, სასწაულებითა
Av და ნიშებითა თითოსახითა, მოვლინებითა წინაწარმეტყუელთაჲთა. **2.** ხოლო არა იქმნა კურნებაჲ სენისაჲ მის, არცა განქარდა ცოდვაჲ, არამედ დღითი-დღედ აღორძნდებოდა*[3]. რამეთუ ვინაჲთგან ცოდვისა მიერ შემოვიდა სიკუდილი სოფლად*[4], ჯერ-იყო რაჲთამცა დამჴსნელი[1] იგი სიკუდილისაჲ უცოდველ იყო და არა თანამდებ სიკუდილისა, რაჲ-
D26 თამცა მის[2] მიერ განახლდა ბუნებაჲ ჩუენი და განერა / ხრწნილებისაგან და უხრწნელებაჲ შეიმოსა. **3.** ამისთჳს აჩუენა დიდი იგი სივრცე
Bv კაცთმოყუარებისაჲ და საბიერებისა თჳსისაჲ დამბადებელმან, / და მან თავადმან ყოველთა მეუფემან სათნო-იყო მოსლვაჲ[1] ჩუენდა ცხორებად, რაჲთა საქმით გუასწავოს, ვითარ ჯერ-არს ბრძოლაჲ მტერისაჲ. და
Cv აჩუენა სახიერებაჲ თჳსი / და სიბრძნე და სიმართლე და ძლიერებაჲ. და სახიერებაჲ, რამეთუ არა უგულებელს-ყო უძლურებაჲ თჳსისა მის
A32 დაბადებულისაჲ, არამედ / შეიწყალა დაცემაჲ მისი და ჴელი აღუპყრა. ხოლო სიმართლე, რამეთუ კაცი ძლეულ იყო ეშმაკისაგან, და არა სხუაჲ ვინ გამოაჩინა მძლედ[3] მისა[4]. არცა მძლეობით გამოსტაცა კაცი[5] სიკუდილისაგან[6], არამედ იგივე ბუნებაჲ, რომელი ცოდვისა მიერ დაიმორჩილა სიკუდილმან*[4], იგივე სახიერმან მან და მართალმან კუალად[7] მძლედ მისა[8] გამოაჩინა[9] და მსგავსითა მსგავსი იჴსნა, რომელ-ესე ულონო იყო ჩუენგან ქმნად. ხოლო სიბრძნე თჳსი ესრეთ
B53 აჩუენა, რამეთუ საქმისა მის ულონოჲსა ღონე პოვა შუენი/ერი, და ჯერჩინებითა ღმრთისა და[10] მამისაჲთა მხოლოდშობილმან მან[11] ძემან

სათ. 1. მის – D 2 განგებულებისა F 3 და ჩუენისა მის... თჳსითა – D 4 ია] ი A 1. 1 ~ სახიერმან დამბადებელმან F 2 მან – D 3 და – A 2. 1 დამხსნელი ABD 2 ამის D 3. 1 მოსლვად A 2 და ძლიერებაჲ D 3 მძლედ] მოძიებად A 4 მისსა – AD 5 კაცი] იგი D 6 სიკუდილსა F 7 კუალად – A 8 მისსა D 9 გამოაჩინნა D 10 და – F 11 მან – ADCFG

* შესაქმე 6,13 *[1] შესაქმე 11,7 *[2] შესაქმე 19,1 *[3] შდრ. გრიგოლ ნაზიანზელი, or.38: 36 c.313 C10 s. *[4] იგავნი 2,24

და სიტყუამან ღმრთისამან[13], ღმერთმან ჭეშმარიტმან, ღმრთისაგან ჭეშმარიტისა შობილმან, რომელი-იგი არს წიაღთა მამისათა*[5], თანაარსმან მამისა[14] და სულისა წმიდისამან, პირველ საუკუნეთამან, დაუსაბამომან, რომელი-იგი პირველითგან იყო და ღმრთისა თანა იყო / და ღმერთი Dv
იყო და არს და ი/ყოს*[6], მან[15] მოდრიკნა ცანი და გარდამოჴდა. ესე Av
იგი არს, დაუმდაბლებელი იგი[16] სიმაღლე მისი დაუმდაბლებელად დაამდაბლა[17] და გარდამოჴდა თჳსთა მომართ მონათა გარდამოსლვითა გამოუთქუმელითა და მიუწთომელითა.

**4**. და სრული იგი ღმერთი კაც იქმნა სრულ[1] და იქმნა საქმე ყოველთა ახალთა[2] უახლესი და ყოველთა საკჳრ/ველთა უსაკჳრველესი ცასა ქუეშე*[7], რომლისაგან საცნაურ იქმნა მიუწთომელი იგი C19
ძლიერებაჲ ღმრთისაჲ. რამეთუ რაჲმცა იყო უზეშთაეს ამისსა, რომელ
ღმერთი კაც / იქმნა და სიტყუაჲ უქცეველად ქორციელ იქმნა სულის- Bv
აგან წმიდისა და მარიამისგან*[8] წმიდისა მის და მარადის ქალწულისა ღმრთისმშობელისა? **5**. და იქმნა შუამდგომელ ღმრთისა და კაცთა მხოლოჲ იგი კაცთმოყუარე. არა თუ ნებითა ანუ შეერთებითა მამაკაცისაჲთა მუცლად-იღო იგი[1] ქალწულმან, ნუ იყოფ/ინ, არამედ უთესლოდ A33
მადლითა და მოსლვითა სულისა[2] წმიდისაჲთა იქმნა მუცლადღებაჲ იგი. **6**. რამეთუ პირველიცა ადამ[1] უთესლოდ დაიბადა ქელითა ღმრთისაჲთა, ეგრეთვე მეორე ადამ მოვიდა რაჲ მორჩილებითა მამისაჲთა მოძიებად წარწყმედულთა, უთესლოდ შევიდა საშოსა ქალწულისასა სულისა მიერ წმიდისა.[a] **7**. რამეთუ ანგელოზი ღმრთისაჲ მოივლინა ქალწულისა მის[1], რომელი იყო თესლისაგან და ტომისა / დავითისა, D27
და ახარა მას, და ჰრქუა: „გიხაროდენ, მიმადლებულო, / უფალი შენ B54
თანა, კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის“.*[9] ხოლო მან რაჲ იხილა, შეძრწუნდა სიტყუასა მას მისსა[2], და განიზრახვიდა: ვითარ-მე არს[3] მოკითხვაჲ ესე? და ჰრქუა მას ანგელოზმან მან: "ნუ გეშინინ, მარიამ, რამეთუ ჰპოვე მადლი წინაშე ღმრთისა. და[4] აჰა ესერა, შენ მუცლად-იღო და[5] ჰშვე ძე და უწოდი[6] სახელი მისი იესუ[7]. ესე იყოს დიდ და ძე მაღლის ეწოდოს[8]...“ *[10] / და შემდგომი ამისი. **8**. / ჰრქუა მარიამ ან- Av Cv
გელოზსა მას: „ვითარ-მე იყოს[1] ესე[2], რამეთუ მე მამაკაცი[3] არა ვიცი?“

13 ღმრთისამან] მამისამან BCDFG 14 მამისამან BCDFG 15 მან] ამან BCD 16 იგი – G 17 დამდაბლდა G **4**. 1 სრულ -A 2 ახალთა + საქმეთა A **5**. 1 იგი – D 2 სულითა C **6**. 1 ადამი BD **7**. 1 მის – D 2 მისსა + ზედა B 3 ვითარ-მეარს] ვითარმეა CDFG 4 და – CDFG 5 და – D 6 უწოდე BF 7 იესო BD **8** იწოდოს D **8**. 1 იყოს] იტყჳს D 2 ესე + ჩემდა B 3 მამაკაცი] კაცი D

*5 იოვანე 1,18 *6 იოვანე 1,1 *7 შდრ. ეკლ. 1,10 *8 იოანე 1,14 *9 ლუკა 1. 28 *10 შდრ. ლუკა 1, 32

a „გარნა ესეცითარსა... სულისა მიერ წმიდისა“ [11,1-6] Ἔκδοσις 106-108, „გარდამოცემა“ 148-150

მიუგო ანგელოზმან მან და ჰრქუა მას: „სული წმიდაჲ მოვიდეს შენ ზედა, და ძალი მაღლისაჲ გფარვიდეს შენ. ამისთჳსცა შობილსა მას წმიდა ეწოდოს და ძე ღმრთისაჲ“.“[11] ხოლო ოდეს-იგი თქუა[4] ქალწულმან: „აჰა, მკევალი უფლისაჲ, მეყავნ მე სიტყჳსაებრ შენისა“,“[12] და შეიწყნარა სიტყუაჲ იგი, 9. მეყსეულად მოვიდა მის ზედა სული
Bv წმიდაჲ / და ჰფარვიდა მას ძალი მაღლისაჲ, სიბრძნე იგი ღმრთისაჲ გუამოვანი, ძე და სიტყუაჲ, მამისა[1] თანაარსი და თანამოსაყდრე შევიდა საშოსა ქალწულისასა და შეიმზადა თავისა თჳსისა წმიდათა[2] და უბიწოთა კორცთა და სისხლთა მისთაგან კორცნი[3] მშჳნვიერნი[4] სულითა სიტყჳერითა და გონიერითა.

Dv A34 **10**. არა თუ მცირედ-მცი/რედ შეიმზ/ადა, არამედ ერთბამად სრულ იქმნა ყოველივე ასოები. რამეთუ თავადი[1] სიტყუაჲ ღმრთისაჲ გუამ ექმნა[2] კორცთა მათ. რამეთუ არა თუ პირველ თავით თჳსით შეიმზადნეს[3] კორცნი და ეგრეთ შეერთო მათ სიტყუაჲ ღმრთისაჲ, არამედ სიტყუაჲ იგი ღმრთისაჲ დაემკჳდრა საშოსა ქალწულისასა გარეშემოუწერელად და თჳსსა მას გუამსა კორცნი შეუმზადნა ქალწულისა[4] მისგან უბიწოჲსა, მშჳნვიერნი[5] სულითა გონიერითა, და თავადი იგი სიტყუაჲ ექმნა გუამ კორცთა მათ. და რაჟამს იქმნნეს[6] კორცნი იგი
B55 შემზადებულ, მეყ/სეულად კორცნი იყვნეს სიტყჳსა ღმრთისანი. **11**.
C20 ამისთჳსცა[1] ქრისტეს არა / კაცად ვიტყჳთ განღმრთობილად, არამედ ღმრთად განკაცებულად. რამეთუ იყო ბუნებით სრული ღმერთი და იქმნა იგივე ბუნებით სრული კაცი. არა იცვალა ბუნებაჲ მისი, არცა საოცრად აჩუენა განკაცებაჲ, არამედ კორცთა მათ სულითა გონი-
Av ერითა / და მშჳნვიერითა, რომელნი მიიხუნა ქალწულისაგან, შეერთო გუამოვნებით[2] შეურევნელად და უცვალებელად და განუყოფელად. **12**. არცა ბუნებაჲ ღმრთეებისა თჳსისაჲ შეიცვალა არსებად კორცთა, არცა არსებაჲ კორცთაჲ – ბუნებად ღმრთეებისა[1], არცა ბუნებისა მისგან ღმრთეებისა და ბუნებისა მისგან კაცებისა ერთი შეზავებული ბუნებაჲ[2] შეჰმზადა, ნუ იყოფინ! [b]

4 თქუა] ჰრქუა B **9**. 1 მამისა + და BCDFG 2 წმიდათა + მათ BCDFG 3 კორცი F 4 მშჳნჳერი B **10**. 1 თავად BCD, თუთ G 2 იქმნა DFG 3 შეიმზადეს CFG 4 ქალწულისაგან D 5 მშჳნჳერი B 6 იქმნეს ABDFG **11**. 1 ამისთჳს A 2 გუამოვნებით – D **12**. 1 ღმრთეებისად – D 2 ბუნებაჲ – D

[11] ლუკა I, 35 [12] ლუკა I.38

b „რამეთუ ანგელოზი ღმრთისაჲ... ნუ იყოფინ!“ (11,7-12), Ἔκδοσις 109-110, „გარდმოცემა“ 150-152

## ორთა მათთჳს ბუნებათა[1] D28
## თავი იბ[2] [E 47,48]

1. არამედ უქცეველად და უცვალებელად შეიერთნეს[1] / ბუნებანი Bv
ურთიერთას და არცა საღმრთოჲ იგი ბუნებაჲ განეყენა თჳსისა მის-
გან წესისა და სხუად იცვალა, არცა ბუნებაჲ კაცობრივი ბუნებად
ღმრთეებისა იქცა[2], ანუ არაარსებად მოვიდა, არცა ორთაგან ბუნებათა[3]
ერთი შეზავებული ბუნებაჲ იქმნა. 2. რამეთუ შეზავებული ბუნებაჲ
არცა ერთისა[1] მსგავ/ს არს, რომელთაგან შეიზავა. ვითარ-ესე კორცნი A35
ჩუენნი ოთხთა ნივთთაგან შემზადებულ[2] არს: ცეცხლისა და წყლისა
და[3] ჰაერისა და ქუეყანისა, არამედ არცა ერთისა მათგანისა მსგავს
არს, რამეთუ არც/ა ცეცხლ არს, არცა წყალ, არცა ჰაერ, არცა Cv
ქუეყანა და არცა ეწოდების რაჲ მათგანი.* 3. ხოლო მწვალებელნი
ვინაჲთგან იტყჳან, თუ შემდგომად განკაცებისა ერთი ბუნებაჲ იყო
ქრისტეს თანა, შეზავებული ღმრთეებისაგან და კაცებისა, უკუეთუმ-
ცა / ესრეთ იყო, მაშა, მარტივისა მისგან ბუნებისა იცვალა სადმე[1] A56
შეზავებულად[2], და ვითარღა იყოს თანაარს მამისა, რომლისა ბუნებაჲ
მარტივ არს და არა შეზავებულ? ანუ ვითარ[3] იყოს თანაარს დედისა,
რომლისა ბუნებაჲ არა ღმრთეებისა და კაცებისაგან შეზავებულ არს,
არამედ კაცი არს ბუნებით? / და ვითარ ეწოდოს ღმერთ ანუ ვითარ/ Av Dv
ეწოდოს კაც? დიდ არს გმობაჲ და წვალებაჲ[4] ესე, ბოროტ და განგ-
დებულ ეკლესიისაგან.

4. ხოლო ჩუენ არა ვიტყჳთ ქრისტესთჳს ერთსა შეზავებულსა
ბუნებასა, არცა სხჳსაგან სხუად შეცვალებულსა[1], ვითარ ოთხთა მათ
ნივთთაგან კორცნი[2], არამედ ორთა მათ ბუნებათაგან ორთავე ბუნებათა
აღვიარებთ. რამეთუ ღმრთეებისაგან და კაცებისა სრულსა ღმერთსა
და სრულსა კაცსა აღვიარებთ, მასვე თავადსა ორთა ბუნებათაგან
და ორთა ბუნებათა შინა ვიტყჳთ. ხოლო ქრისტე გუამოვნებისა / Bv
მის სახელი არს, არა ერთსა ზედა ითქუმის განთჳსებულად, არამედ
ორთა მათ ბუნებათა[3] მომასწავებელ არს. 5. რამეთუ ქრისტე ცხებუ-
ლად გამოითარგმანების. და მან თავადმან ქმნა ესე, სცხო, ვითარცა
ღმერთმან კორცთა თჳსთა ღმრთეებითა თჳსითა, / და ცხებულ იქმნა, A36
ვითარცა კაცი. რამეთუ იგი თავადი არს ორივე – ღმერთი და[1] კაცი,
და / საცხებელ კაცებისა არს ღმრთეებაჲ მისი. C21

სათ. 1 მათთჳს ბუნებათა] ბუნებათათჳს D 2 იბ] ია A 1. 1 შეერთნეს A 2 იქცა] იქმნა B 3 ბუნებათა + ქრისტესთა C 2. 1 ერთსა ADC 2 შემზადებულ] შეზავებულ DG 3 და –BCDFG 3. 1 სადმე – AD 2 შეზავებულებად AB 3 ვითარღა BCD 4 ~ გმობაჲ ესე და წვალებაჲ A 4. 1 შეცუალებასა B 2 კორცსა F 3 ბუნებათა – B 5. 1 და – D

* ნემესიოს ემესელი, ბუნებისათჳს კაცისა: 40 c. 516 C-517B.

6. ვპრქუათ უკუე მწვალებელთა: უკუეთუ ერთი ბუნებაჲ არს
ქრისტესი, შეზავებული ღმრთეებისაგან და კაცებისა, ხოლო ქრისტე
თანაარსი არს[1] მამისაჲ, მაშასადამე, მამასაცა შეზავებულსა[2] იტყჳთ
ღმრთეებისაგან და კაცებისა და თანაარს ჰორცთა, რომელ-ესე უპირული[3]
არს და ყოვლითავე გმობითა საესე. 7. ანუ ვითარ იყოს ერთი ბუნე-
D29 ბაჲ წინააღმდგომთა არსებათა შე/მწყნარებელი? ვითარ ეგების, თუმცა
D57 ერ/თი ბუნებაჲ ერთბამად დაბადებულმცა[1] იყო და დაუბადებელ, მოკუ-
დავ და უკუდავ, გარეშეწერილ და გარეშეუწერელ? 8. და კუალად,
უკუეთუ რომელნი-იგი ერთსა ბუნებასა იტყჳან ქრისტესსა[1], მარტივ
თქუან ბუნებაჲ იგი, ანუ ღმრთად[2] ხოლო აღიარონ და კაცებაჲ საო-
Av ცრად შერაცხონ, ანუ თუ[3] კაცად ლი/ტონად თქუან უშჯულოჲსა
მის ნესტორისებრ[4], ყოვლით კერძო მგმობარ და წარწყმედულ არიან
ესევითარისა მეტყუელნი, რომელთა ქუემორე უვრცელესად სიტყუაჲ
უგოთ[5] შეწევნითა ღმრთისაჲთა. რამეთუ რომელნი ორთა ბუნებათა არა
აღიარებენ[6], ვითარ კელ-ეწიფების თქუმად სრული ღმერთი და სრული
კაცი? არამედ ესე არს საცთური მწვალებელთაჲ, რომელ ბუნებასა და
გუამსა ერთად იტყჳან და[7] ამისთჳს შესცთეს ჭეშმარიტებისაგან.*[1]
Bv 9. ხოლო ჩუენ ჭეშმარიტად ორთა ბუნებათა აღვიარებთ და გუ/
Cv რწამს სრული ღმერთი და სრული კაცი. ხოლო ბუნებაჲ / იგი კაცო-
ბრივი დაღაცათუ თავით თჳსით არა ერთ ოდენ არს, რამეთუ სულისა-
გან და ჰორცთა შემზადებულ არს ბუნებაჲ[1] კაცთაჲ, ხოლო არა ერთ
არს ბუნებაჲ სულისა და ჰორცთაჲ, გარნა ვინაჲთგან ყოველნი კაცნი
ამით სახითა არიან – სულისაგან და ჰორცთა შეერთებულ, ესევითარი
A37 Dv ესე ზოგადი / ყოველთა / კაცთა აგებულებაჲ ერთი[2] ბუნებაჲ ითქუმის.
10. თუ არა ესე, ვინ არა უწყის, ვითარმედ თითოეული კაცი ორთა-
გან ბუნებათა არს შეერთებულ – სულისა და ჰორცთა. და[1] ესე სახე
ყოველთა კაცთაჲ არს. ამისთჳს ერთი ბუნებაჲ ითქუმის კაცებისაჲ,
რომელიცა შეიმოსა სიტყუამან ღმრთისამან, და არს იგი მხოლოჲ
სრული ღმერთი და სრული კაცი ორითა ბუნებითა – ღმრთეებისა და
კაცებისაჲთა. ხოლო შეერთებაჲ იგი ბუნებათა ქრისტესთაჲ[2] ერთსა
B58 შინა გუამსა არა თუ შჯულითა და წესითა ბუნებითითა[3] / იქმნა, არ-
ამედ უზეშთაეს ბუნებათა განგებულებითა იქმნა[4] ერთსა მას გუამსა
შეკრებაჲ ორთა ბუნებათა სრულთაჲ – ღმრთეებისა და კაცებისაჲ,

6. 1 არს – B 2 შეზავებულსა] შეერთებულსა ACDFG 3 უპირუმლესი F 7. 1 დაბადებულცა BCD 8. 1 ქ-ყნისსა A 2 ღ~თბაჲ A 3 თუ – D 4 ნისტორისებრ A, ნისტორიასებრ D 5 ვუგოთ D 6 აღიარებდენ ABDG 7 და A 9. 1 ბუნებაჲ – B 2 ერთ C 10. 1 და] არამედ BCDFG 2 ქრისტჱსთჳს G 3 ბუნებისათა B 4 არამედ... იქმნა – D

*1 ანასტასი სინელი, წინამძღუარი, PG 89 c. 140 D - 141 A2

არა შერევნით ანუ შერწყუმით, ანუ შეზავებით, ვითარცა შეჩუენებულმან თქუა დიოსკორე[5] და ევტუქი[6] და სებეროს და მათ თანა[7] ბილწმან[8] კრებულმან, არცა განყოფითა პირთა და გუამთაჲთა, და[9] ნებითა ოდენ, ანუ[10] განზრახვითა, ანუ სახელითა, ანუ / პატივითა შეერთებული, Av
ვითარცა დაწყეულმან ნისტორ[11] თქუა და დიოდორე და თეოდორე[12] მ/ომფსუესტელმან, და მათმან ეშმაკთა მობაძავმან[13] ლეგეონმან. არამედ C22
ჩუენ აღვიარებთ უქცეველად და უცვალებელად და შეურევნელად და განუყოფელად ერთსა გუამსა განკორციელებულისა ძისა ღმრთისასა
ორითა ბუნებითა სრულითა, ერთსა მას გუამსა ვიტყუთ ღმრთეებისა D30
და კაცებისა მისისასა[14] და ორთა ბუნებათა აღვიარებთ შემდგომად ერთობისაცა. / არა თუ თითოეულსა ბუნებასა თჳსაგან და განყოფილად Bv
დავსდებთ, არამედ შეერთებულსა ერთსა შინა გუამსა.

**11**. რამეთუ ჭეშმარიტი იყო შეერთებაჲ იგი არსებითი[1] და არა საოცრად. ხოლო არსებითსა ვიტყჳ, არა თუმცა ორთა მათგან ბუნებათა[2] ერთ[3] იქმნა შეზავებული ბუნებაჲ, არამედ შეიერთნეს ორნი იგი ბუნებანი ერთსა შინა გუამსა ძის/ა ღმრთისასა და არსებითი იგი განA38
ყოფილებაჲ მათი[4] ეგო შეურევნელად. რამეთუ დაბადებული იგი ეგო დაბადებულ და დაუბადებელი — დაუბადებელ. მოკუდავი[5] ეგო მოკუდავ და უკუდავი იგი — უკუდავ. გარეშეწერილი იგი — გარეშეწერილ[6] და გარეშემოუწერელი იგი — გარეშემოუწერელ, ხილული იგი — ხილულ და უხილავი იგი — უხილავ. ერთი იგი ბრწყინვიდა საკჳრველებითა[7], ხოლო[8] მეორე იგი თავს-იდებდა შეურაცხებათა[9].*[2] **12**. / ხოლო B59
მიიჩემებს[1] სიტყუაჲ იგი კაცებისაცა მისისა საქმეთა განგებულებით. რამეთუ[2] რაჲ-იგი წმიდათა მათ ჴორცთა მისთაჲ იყო, თჳსად შეერა/ Cv
ცხა[3]. და კუალად, ჴორცთა მათ მისცემს თჳსთა დიდებულებათა სახითა მით ურთიერთას / მიცემისაჲთა ერთობისა მისთჳს გუამისა მის და Dv
შეურევნელად განუყოფელობისა ბუნებათაჲსა[4], რამეთუ ერთი იყო და[5] იგივე, რომელი საღმრთოთაცა და კაცობრივთა იქმოდა თით/ოეულითა Av
ბუნებითა[6] ზიარებითა[7] მით მეორისაჲთა.*[3]

**13**. ამისთჳს წერილ არს, ვითარმედ: „უფალი[1] დიდებისაჲ ჯუარსაცუეს“,*[4] და[2] ესე ყოველთა მიერ საცნაურ არს, ვითარმედ ბუნებასა

5 ~ დიოსკორე ჰსთქუა F 6 ევსუქი A, ევსტუქი D 7 მათ თანა] მათთა B 8 ბილწმან + მან A 9 და — D 10 ანუ] და A 11 ნესტორ CF 12 და თეოდორე — F 13 მობაძავმან + ელმა D 14 მისისა B 11. 1 არსებით BCD 2 ბუნებათა — C 3 ერთი ABC 4 მათი — A 5 მოკუდავი + იგი BDFG 6 გარეშეწერილი ABC 7 საკჳრველად A 8 ხოლო] და BCD 9 შეურაცხებითა F 12. 1 მიჩემებსცა ABD მიჩემებსცა CG 2 რამეთუ — B 3 შერაცხა ACD 4 ბუნებითსა D 5 და — B 6 ბუნებათა F 7 ზიარებითა — C 13. 1 უფალი] ღმერთი B 2 და — A

*2 ლეონ პაპი, ეპისტ. 10, თ.4 *3 იგივე *4 1 კორ. 2,8

ღმრთეებისა მისისასა[3] არარაჲ სადა ჰვნებია[4]. და კუალად, უფალმან თქუა: „ძე კაცისაო, რომელი არს ცათა შინა“.“[5] ესევითარნი სიტყუანი ითქუმიან წერილთა შინა ამისთჳს, რამეთუ ერთი არს გუამითა უფალი იგი[5] დიდებისაჲ, ბუნებით ღმერთი ჭეშმარიტი და ბუნებით ჭეშმარი-
Bv ტად ძე კაცისაჲ. და მისნი / არიან სასწაულნიცა და ვნებანიცა. **14**. დაღაცათუ სხჳთა ბუნებითა იქმოდა სასწაულთა და სხჳთა ბუნებითა თავს-იდებდა ვნებათა, არამედ ერთი ქრისტე იყო, ერთი უფალი, მეუფე დიდებისაჲ. და ვითარცა ერთი გუამი ვიცით მისი, ეგრეთვე ორთა მათ ბუნებათა არსებითა განყოფილებაჲ შეურევნელად უწყით[1]. **15**. რამეთუ ღმრთეებითა შეერთებულ არს და თანაარს არს[1] მამისა და სულისა
A39 წმიდისა, ხოლო კაცებითა თანა/არს არს დედისა და ყოველთა კაცთა
D31 და განყოფილებითა მით ბუნებათაჲთა ეს/რეთ არს თანაარს[2] მამისა
C23 და სულისა წმიდისა[3], და თანა/არს[4] — დედისა და[5] კაცთა[6]. ხოლო ერთობითა მით გუამისაჲთა, რომელ-იგი ორნი ბუნებანი ერთ[7] გუამად შეკრბეს, ესე განთჳსებულად ქრისტესი არს, ძისა ღმრთისაჲ. არცა მამისათჳს ანუ სულისათჳს[8] ითქუმის ესე, არცა სხჳსა ვისთჳს კაცთა-
B60 განისა, არამედ ძისა არს ესე / ორთაგან ბუნებათა — ღმრთეებისა და კაცებისა — ერთი გუამი შეერთებული.[a]

**16**. ხოლო ესე საცნაურ არს, ვითარმედ სხუაჲ არს არსებაჲ და ბუნებაჲ, და სხუაჲ არს გუამი და[1] თჳთებაჲ და პირი. არსებაჲ და ბუნებაჲ ერთ არს,[2] ვითარცა წმიდანი მამანი იტყჳან, და კუალად, გუამი და[3] პირი და თჳთებაჲ ერთ არს. **17**. არს უკუე ყოველთა არსებათა უზეშთაესი არსებაჲ და ბუნებაჲ მიუწთომელი იგი ღმრთეებისაჲ, ხოლო გუამნი მისნი და პირნი: მამაჲ და[1] ძე და ყოვლად წმიდაჲ
Av სული, რამეთუ თითო/ეული ამათგანი სრული გუამი არს და სრული პირი. **18**. და კუალად, ყოველი დაბადებული ღმრთისაჲ არსებაჲ არს. ხოლო მრავალ არიან დაბადებულნი და მრავალი აქუს ურთიერთას განყოფილებაჲ. რამეთუ სხუაჲ არსებაჲ არს ანგელოზთაჲ, დაბადებული ღმრთისა მიერ, და სხუაჲ არს[1] კაცთაჲ და სხუაჲ არს[2] პირუ-
Dv ტყუთაჲ, და სხუაჲ დაბადებული ა/რს ცაჲ და სხუაჲ — ქუეყანაჲ,
Bv / და სხუაჲ — ცეცხლი და სხუაჲ — ჰაერი[3] და სხუაჲ — წყალი.
Cv და რაჲთა მოკლედ ვთქუა, მრავა/ლნი საბნი არიან დაბადებულთა

3 მისისასა — A 4 ვნებათა C 5 იგი — G **14**. 1 ვუწყით D **15**. 1 არს — BCD 2 თანაარს — D 3 წმიდისა — AD 4 თანაარს + არს CDFG 5 და + ყოველთა A 6 ~ კაცთა და დედისა A 7 ერთად A 8 სულისა BD **16**. 1 და — F 2 არსებაჲ და ბუნებაჲ ერთარს — F 3 და — F **17**. 1 და — BG **18**. 1 არს — BCDFG 2 არს — BCDFG 3 აჰერი A

[5] იოანე 3,13

[a] „არამედ უქცეველად და უცვალებელად... ერთი გუამი შეერთებული“ [12,1-15] Εκδοσις 112-116, „გარდამოცემა“ 152-156 3

შინა. და[4] თითოეული უკუე სახე ერთი ბუნებაჲ არს, ვითარ-იგი კაცნი მრავალ არიან და ყოველივე კაცებაჲ ერთბუნება არს. და ყოველნი ანგელოზნი ერთბუნება არიან. და ყოველნი საცხოვარნი ერთბუნება[5] არიან. ეგრეთვე სხუანი ყოველნი დაბადებულნი. 19. ხოლო გუამნი და პირნი განყოფილნი არიან თითოეულისაგან, რამეთუ ყოველთა კაცთა ბუნებაჲ და არსებაჲ ერთ არს, ხოლო თითოეული კაც/ი გუამი არს A40
და პირი. ადამ სხუაჲ[1] გუამი არს და ევა – სხუაჲ გუამი[2] და სეით – სხუაჲ გუამი და ეგრეთვე ყოველნი. თითოეული კაცი[3] სხუაჲ გუამი არს[4] და პირი და განყოფილი სხუათაგან კაცთა.

20. აწ უკუე საცნაურ არს, ვითარმედ ბუნებაჲ და არსებაჲ[1] არს ზიარი იგი საქმე, რომელსა ჰქონან ერთ/არსნი იგი გუამნი. B61
ხოლო გუამ და პირ თითოეულისაჲ განყოფილი[2] იგი თუთებაჲ, მყოფი ერთსა მას[3] სახესა შინა. რამეთუ თითოეული ანგელოზი გუამი არს და თითოეული კაცი გუამი არს[4]. აწ უკუე ამას წესსა ზედა ესეცა გულისჴმა-ვყოთ, ვითარცა ვთქუ: არსებაჲ ზიარსა მას ბუნებასა ერთ-სახეთა მათ გუამთასა მოასწავებს, გინა თუ ღმრთისა/თჳს ვიტყოდით[5], D32
გინა თუ ანგელოზთათჳს, გინა თუ კაცთათჳს. 21. ხოლო გუამი არს თითოეულისა თუთებაჲ, ღმრთისათჳს თუ ვიტყ/ოდით[1], მამაჲ და[2] Av
ძჱ და სული წმიდაჲ; ანგელოზთათჳს თუ ვიტყოდით[3], მიქაელ და გაბრიელ და სხუანი იგი თითოეულნი; კაცთათჳს თუ / ვიტყოდით,[4] C24
პეტრე, გინა თუ პავლე, ანუ თუ სხუაჲ ვინმე. გარნა უწყებაჲ ჯერ-არს, ვითარმედ სახელი ღმრთეებისაჲ და კაცებისაჲ ბუნებათა[5] გა-მომაჩინებელ არს, ხოლო / ღმერთი და კაცი გუამთათჳსცა ითქუმის, Bv
ვითარ-იგი ვიტყჳთ, ვითარმედ: ღმერთი მიუწთომელ არს და ერთ არს ღმერთი, აჰა ესერა, ღმრთეებასა მოვასწავებთ; ხოლო ითქუმის გუა-მათათჳსცა, ვითარცა იტყჳს წერილი: „ამისთჳს[6] გცხოს[7] შენ ღმერთმან, ღმერთმან[8] შენმან“[*6], აჰა ესერა[9], მამაჲ და ძე გუაუწყა. და კუალად,[10] წერილ არს: „კაცი ვინმე იყო სოფელსა[11] მას[12] ავსიტისასა“[*7], რამეთუ იობს ოდენ მოასწავებდა. 22. ეგრეთვე ამას წესსა ზედა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესთჳსცა ვინაჲთგან ორთა ბუნებათა აღვიარებთ და ერთსა გუამსა, ორთაგან/ ბუნებათა შემზადებულსა, ოდეს ბუნე- A41
ბათა განვიცდიდეთ, ღმრთეებასა და კაცებასა სახელ-ვსდებთ; ხოლო ოდეს გუამსა მას, ბუნებათაგან შემზადებულსა[1], ვიტყოდით[2], ოდესმე

4 და -A 5 ერთბუნებანი D 19. 1 სხუაჲ – D 2 გუამი + არს ABC 3 თუთეულნი კაცნი C 4 გუამნი არიან B 20. 1 არსებაჲ + ერთ BCDFG 2 განმყოფელი D 3 ერთისა მის B 4 გუამი არს – D 5 ვიტყოდეთ CF 21. 1 ვიტყოდეთ CF 2 და – CDF 3 ვიტყოდეთ CF 4 ვიტყოდეთ CF 5 ბუნებათა – D 6 ამისთჳსცა BCDFG 7 გცხო AB 8 ღმერთმან – B 9 აჰა ესერა – B 10 კუალად] ვითარმედ D 11 სოფელსა] ქალაქსა B. ქუეყანასა CD 12 მას – D 22. 1 ~ შემზადებულსა ბუნე-ბათაგან G 2 ვიტყოდეთ CDF

*6 ფსალმ. 44.8 *7 იობ 1, 1

Dv ქრისტესა სახელ-ვსდებთ[3] ორთაგანვე, ღმერთსა და კაცსა[4] ერთბა-
B62 მად და ღმერთსა / განჯორციელებულსა, და ოდესმე ერთისა კე/
რძოჲსა[5] სახელსა ვიტყჳთ და ღმრთად ვხადით, ანუ ძედ ღმრთისა,
და კუალად, კაცად და ძედ კაცისა[6] ვიტყჳთ. და ოდესმე მაღალთა
მათ და საღმრთოთა საქმეთა ვაკსენებდით[7] მისთა და ოდესმე კუალად[8]
მდაბალთა და კაცობრივთა. რამეთუ ერთ არს, რომელი-იგი[9] ორსავე
აღასრულებს და ორივე არს – ღმერთი და კაცი, ერთი იგი მარადის /
Cv იყო, მარადის არსისა მისგან მამისა, უზეშთაეს მიზეზისა და სიტყჳსა;
23. ხოლო მეორე იგი უკუანაჲსკნელ იქმნა გარდამატებულისა მის-
თჳს კაცთმოყუარებისა"[8]. /რაჟამს უკუე ღმრთეებასა ვიტყოდით[1], არა
Av მივაჩემებთ მას[2] წესთა და სახეთა კაცობრივთა, რამეთუ არა ვიტყჳთ,
თუ ღმრთეებასა ეენებოდა, ანუ თუ დაბადებული იყო და[3] დასაბამიერი,
ნუ იყოფინ ესე! და[4] არცა კუალად კაცობრივსა ბუნებასა მივაჩემებთ
ღმრთეებისა საქმეთა, რამეთუ არა ვიტყჳთ კაცებასა დაუბადებელსა
Bv და დაუსაბამოსა. 24. / ხოლო ოდეს გუამსა მას, ორთაგან ბუნებათა
შემზადებულსა ვაკსენებდეთ, გინა თუ ორკერძოჲთ[1], გინა თუ ერთისა[2]
ხოლო კერძოჲსაგან[3] სახელ-ვსდვათ[4], ორთავე ბუნებათა საქმეთასა[5]
დავსდებთ მას[6] ზედა. 25. რამეთუ ქრისტე ორთავე ბუნებათა
სახელი არს და ღმრთადცა ითქუმის და კაცადცა, / დაუბადებელად და
D33 დაბადებულად, და უვნებელად ღმრთეებითა და ვნებულად ჴორცითა.
ხოლო ოდეს ერთისა კერძოჲსად[1] სახელ-ვსდებდეთ[2] ძედ ღმრთისა[3]
და ღმრთად ჭეშმარიტად, შეიწყნარებს მეორისაცა ბუნებ/ისა სახეთა[4],
B42 ესე იგი არს, კაცებისათა. ამით წესითა თქუმულ არს წერილთა შინა,
თუ ჯუარს-ეცუა უფალი დიდებისაჲ"[9], ვითარცა მოციქული იტყჳს.
არა თუმცა[5] ღმრთეებისა ბუნებასა[6] მიაჩემებდეს ვნებასა, ნუ იყოფინ,
არამედ რამეთუ იგივე არს ღმერთიცა და კაციცა[7]. 26. და კუალად,
ოდეს[1] კაც ეწოდების და ძე კაცისაჲ, ი/თქუმის მის ზედა საღმრთოთა
C25 B63 მათცა საქმეთა დი/დებულებაჲ, ვითარცა-იგი თქუმულ არს, ვითარმედ:
„ყრმაჲ ახალი პირველ საუკუნეთა". არა თუ ბუნებითა ყრმისაჲთა[2]
ითქუმის[3] პირველ საუკუნეთა, არამედ[4] ბუნებითა ღმრთეებისაჲთა იყო
პირველ საუკუნეთა და უკუანაჲსკნელ იქმნა ყრმაჲ. 27. და ამას სახ-

3 სახელს-ვსდებთ 4 კაცსა + და BCDFG 5 კერძისა ACFG 6 კაცისად BCFG 7 ვაკსენებთ BCDFG 8 კუალად] ვითარმედ D 9 რომელი-იგივე D 23. 1 ვიტყოდეთ F 2 მათ D 3 და – D 4 და – D 24. 1 ორკერძოთა D 2 ერთსა D 3 კერძისაგან ACDFG 4 სახელს-ვსდებთ D 5 საქმეთა B, საქმესა DC 6 მის D 25. 1 კერძისად CDF 2 სახელს-ვსდებდეთ D 3 ღმრთისაჲ A, ღმრთისა B 4 სახეთა] სახელთა BFG 5 არა თუ F 6 ბუნებასა – A 7 კაცი BCD 26. 1 ოდესმე BCDFG 2 ყრმებისათა AC, ყრმებრისათა D 3 ითქუმის] იყო D 4 არამედ ბუნებითა... საუკუნეთა – D

[8] გრიგოლ ნაზიანზელი, ეპისტოლე 101, PG 37 c. 180 A 13-15 [9] 1 კორ. 2.8

ესა ეწოდების წერილთა შინა წესი მიცემისაჲ, რამეთუ თითოეული ბუნებაჲ მისცემს მეორესა თჳსსა მას თჳსებასა ერთობისა მისთჳს გუამისა[1]. ამით სახითა ვიტყჳთ ქრისტესთჳს, ვითარმედ: ესე არს ღმერთი ჩუენი, რომელი ქუეყანასა ზედა გამოჩნდა და კაცთა შორის იქცეოდა"[10]. და კუალად ვიტყჳთ: ესე არს ღმერთი ჩუენი, რომელი ქუეყანასა ზედა გამოჩნდა და კაცთა შორის იქცევის. ღმერთი არს დაუბადებელი და გარეშეუწერელი.[b]

/ ორთათჳსვე ბუნებათა Dv
თავი იგ[1] [E 49]

1. უწყებაჲ უკუე ჯერ-არს, ვითარცა-იგი წმიდისა სამებისა ერთსა ბუნებასა აღვიარებთ და სამთა / გუამთა ჭეშმარიტებით და ყოველსავე Bv
ბუნებისა[1] და არსებისა საქმესა ერთობით ვიტყჳთ, ხოლო განყოფასა მას გუამთასა სამითა მით ოდენ თჳთებითა ვქადაგებთ[2]: მამასა უშობელსა და[3] ძესა შობილსა და სულსა წმიდას/ა მამისაგან[4] გამომავალსა, Cv
რომელნი-იგი[5] განუყოფელ არიან და განუშორებელ ურთიერთას, რამეთუ შეერთებულ არიან[6] შეურევნელად და განიყოფებიან განუყოფელად. 2. რამეთუ დაღაცათუ თითოეული სრული გუამოვნებაჲ არს და თჳსი იგი თჳთებაჲ[1] განწესებულად აქუს, არამედ შეერთებულ არიან / ბუნებითა და[2] არსებითა, ძალითა და მეუფებითა, და ყოვლითავე A43
საქმითა ღმრთეებისაჲთა, ამისთჳსცა ჭეშმარიტად ერთი[3] ღმერთი[4] არს წმიდაჲ სამებაჲ. ეგრეთვე კუალად, დიდებულსა მას და ბუნებათა უაღრესსა და ყოვლითურთ ჩუენგან მიუწდომელსა განკაცებისა განგებულებასა ერთისა მის სამებისაგანისა, სიტყჳსა ღმრთისა უფლისა ჩუენისა იე/სუ ქრისტესისა ორთა ბუნებათა აღვიარებთ, ღმრთეები- B64
სა და კაცებისასა, შეერთებულთა გუამითა. და ერთსა გუამსა ვქა/ D34
დაგებთ ორთა მათგან ბუნებათა შემზადებულსა. და ვიტყჳთ, ვითარმედ შემდგომად[5] შეერთებისაცა[6] ჰგიან ორნივე ბუნებანი ერთსა მას გუამსა შინა, ორთაგან[7] ბუნებათა შემზადებულსა, ესე იგი არს, ერთსა მას

b „აწ უკუე საცნაურ არს... დაუბადებელი და გარეშეუწერელი" [12,20-27]. Ἔκδοσις 116-118, „გარდამოცემა" 156-158

27. 1 გუამთასა FG სათ. იგ] იბ A 1. 1 ბუნებასა DG 2 უქადაგებთ D 3 და – BCDFG 4 მამისაგან – D 5 რომელნი-იგი] რომელნი მით D 6 და განუშორებელ... არიან – F 2. 1 თჳისება B, ბუნება G 2 და – D 3 ერთიცე A 4 ღმერთი – A 5 შემდგომად – F 6 შეერთებისასაცა BCG 7 ორთაგანვე BCDFG

"[10] ბარუქ 3,38

ქრისტეს[8] თანა არიან ორნივე ბუნებანი შეურევნელად და განუყოფელად ჭეშმარიტებით[9] თჳსითა მით საქმითა.

**3**. და ვითარცა სამგუამოვნებაჲ იგი[1] წმიდისა სამებისაჲ შეურევნე-
Av ლად შეიერთებიან / და განუყოფელად განიყოფვიან[2] და აღირაცხვიან
სამებად და რიცხჳ იგი განყოფასა, ანუ განშორებასა, ანუ განკუეთი-
C26 ლობა/სა[3] მათ შორის არა იქმს, რამეთუ ერთ ღმრთად ვიცით მამაჲ და
ძე და სული წმიდაჲ, ეგრეთვე ორნი იგი ბუნებანი ქრისტესნი დაღა-
Bv ცათუ შეერთებულ არიან, გარნა შეურევნელად შეერთებულ[4] არიან. /
დაღაცათუ განუყოფელ არიან და[5] ურთიერთას ცვალებასა და ქცევასა
არა მიიღებენ, არამედ თითოეულსა დაუმარხავს ბუნებითი იგი თჳთე-
ბაჲ თჳსი უცვალებელად და უქცეველად. **4**. ამისთჳსცა აღირაცხვიან
და რიცხჳ იგი არა შემოიღებს განყოფილებასა, რამეთუ ერთ არს
ქრისტე ღმრთეებითა და კაცებითა სრული. რამეთუ რიცხჳ არცა გან-
ყოფილებისა მიზეზ არს, არცა შეერთებისა, არამედ რიცხჳსა მის ოდენ
A44 გამომაჩინებელ, რომელთაცა აღჰ/რაცხვიდეს, გინა თუ შეერთებულნი
იყვნენ, გინა თუ განყოფილნი. შეერთებულნი, ვითარ-იგი უკუეთუ ვინ
Dv თქუას, თუ ამას / კედელსა შინა ერგასისი ქვაჲ ძეს[1], ხოლო გან-
ყოფილნი, ვითარცა ვინ თქუას[2], ვითარმედ ველსა[3] მას შინა ერგასისი
ქვაჲ ძეს[4]. კუალად, შეერთებულნი, ვითარცა ვინ თქუას, ვითარმედ
B65 ორნი ბუნებანი არიან ნაკუერცხალსა შინა — ცე/ცხლისა[5] და შეშისა[6],
ხოლო განყოფილნი, რამეთუ სხუაჲ არს ბუნებაჲ ცეცხლისაჲ და სხ-
უაჲ არს[7] შეშისაჲ. **5**. აწ უკუე სხუათა[1] ესევითართა ყოველთა სხუანი
სახენი შეაერთებენ, გინა თუ განყოფენ, და არა თუ რიცხჳ, ვითარცა
უკუე შეუძლებელ არს სამთა მათ გუამთა წმიდისა სამებისათა ერთ
Cv გუამად[2] თქუმად, დაღაცა/თუ ბუნებით და ერთარსებით შეერთებულ
არიან. არამედ ერთგუამად[3] თქუმაჲ არა ეგების, რაჲთა არა შერევნაჲ
Av და შერწყუმაჲ განყოფილებისა მის გუამთაჲსა / შემოვიდეს. ეგრეთვე
ორთა მათ ბუნებათა ქრისტჱსთა, ერთგუამად შეკრებულთა, შეუძლებ-
ელ არს ერთბუნებად თქუმაჲ, რაჲთა არა უჩინოებაჲ და შერევნაჲ
და არაარსობაჲ განყოფილებისა მათისაჲ შემოვიღოთ და სრულიად
წარვწყმდეთ.[a]

8 ქრისტესა B 9 ჭეშმარიტად A **3**. 1 იგი — A 2 განიყოფიან CD 3 განკეთილე-
ბასა A 4 ~ შეერთებულად შეურევნელ A 5 და — A **4**. 1 ძევს B. ჰსძევს C 2
სთქვის C. თქვის D 3 ველსა] კედელსა CFG 4 ჰსძევს C 5 ცეცხლისასა G 6
შეშისასა EF 7 არს — D **5**. 1 სხუათა — BCDFG 2-3 ერთგუამად] ერთბამად A
a „უწყებაჲ უკუე ჯერ-არს... სრულიად წარვწყმდეთ" [13,1-5], Ἔκδοσις 118-119,
„გარდამოცემა" 158-160

## / ერთისა მისთჳს გუამისა[1] უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა[2] თავი იდ[3] [E 51, 50, 52, 53] D35

**1.** / რამეთუ იყო პირველითგან უჟამოდ და დაუსაბამოდ საღმრთოჲ Bv
იგი გუამი სიტყჳსა ღმრთისაჲ, უნივთოჲ, მარტივი, დაუბადებელი[1], უხილავი, უკორცოჲ, შეუხებელი, გარეშეუწერელი, განუყოფელი მამისაგან, ყოველივე აქუნდა, რაოდენი აქუს მამასა, თჳნიერ ხოლო უშობელობისა. რამეთუ მამაჲ უშობელ არს და ძე შობილ და არაოდეს სადა[2] განეშორა მამასა. **2.** ხოლო უკუანაჲსკნელთა ჟამთა განუშორებელად წიაღთაგან მამისათა მოვიდა ქუეყანად სიტყუაჲ ღმრთისაჲ და დაემკჳდრა გარ/ეშემოუწერელად საშოსა ქალწულისასა უთესლოდ, A45
ვითარცა იცის მან მხოლომან. და გუამმან მან დაუსაბამომან ძისა ღმრთისამან მიიხ/უნა კორცნი ქალწულისაგან. იყო უკუე ყოველ- C27
განვე უზეშთაეს ყოვლისა, ოდეს-იგი საშოსა წმიდისა ღმრთისმშობელისასა იყო, არამედ მის თანა საქმითა მით განკორციელებისაჲთა
იყო. განკ/ორციელდა უკუე მისგან ძე და სიტყუაჲ ღმრთისაჲ ნებითა B66
მამისაჲთა და შეწევნითა[1] სულისა[2] წმიდისაჲთა და მიიღო[3] დასაბამი არსებისა ჩუენისაჲ — კორცნი სულითურთ გონიერით.[a] **3.** რამეთუ არარაჲ დაუტევა, რომელიცა პი/რველსა მას დაბადებასა[1] დაებადა Dv
ჩუენ თანა სიტყუასა ღმრთისასა, არამედ ყოველივე მიიღო — კორცნი და სული გონიერი. რამეთუ ყოვლითურთ შეიმოსა ბუნებაჲ[2] ჩუენი[1] და ყოველივე ყოველსა[4] შეერთო, რაჲთა[5-6] ყოველივე ბუნებაჲ ჩუენი აცხოვნოს, რამეთუ უკუეთუმცა არა[7] ყოველივე მიელო, მიუღებელი იგი უკურნებელმცა იყო.[b] **4.** ამის/თჳს ყოვლითურთ ბუნებაჲ ჩუენი მიიღო Av
და შეიმოსა თჳნიერ ცოდვისა. და გუამი იგი სიტყჳსა ღმრთისაჲ ექმნა გუამ კორცთა მათ და მარტივი იგი გუამი სიტყჳსა იქმნა შეზავებულ ორთაგან სრულთა ბუნებათა — ღმრთეებისა და კაცებისა[1] — და[2] ჰქონან ორთავე ბუნებათა თჳთებანი / განწესებულად. **5.** ბუნებითა მით Bv
ღმრთეებისაჲთა შეერთებულ არს მამისა და სულისა წმიდისა[1] და ბუნებითა[2] კაცებისაჲთა შეერთებულ არს დედისადა[3] და ჩუენ[4] ყოვ-

სათ. 1 ერთისა მისთჳს გუამისა] ერთისა გუამისათჳს D 2 უფლისა... ქრისტესა – D 3 იდ] იგ A 1. 1 დაუბადებელი + და D 2 სადა – D 2. 1 შეწევნითა] შერწევნითა D 2 სულისა + ყოვლად F 3 მოიღო CFG 3. 1 დაბადებასა – D 2 ბუნებაჲ – FG 3 ჩუენი – BCDFG 4 ყოველსა] უფალსა D 5 რაჲთა] რამეთუ D 6 რაჲთა + ყოველი B 7 უკუეთუმცა არა] არათუმცა BC, არა – D 4. 1 კაცებისათა F 2 და – BCDFG 5. 1 წმიდისა – D 2 ბუნებითა + მით BCDFG 3 დედისა AD 4 ჩუენ – A

a „რამეთუ იყო პირველითგან უჟამოდ... კორცნი სულითურთ გონიერით" [14,1-2] Ἐκδοσις 122-123, „გარდამოცემა" 164

b „რამეთუ არარაჲ დაუტევა... უკურნებელმცა იყო" [14,3], Ἐκδοσις 120-121, „გარდამოცემა" 162

ელთა კაცთადა[5], ხოლო რომელ-იგი ღმერთ არს და კაც, ამით არცა
მამასა და სულსა წმიდასა შეერთების, არცა დედასა[6] და კაცთა.[c]
Cv **6**. ეს/ე[1] ქრისტეს გუამოვნებისა თჳთებაჲ ვიცით, რამეთუ იგი
მხოლოჲ არს[2] ღმერთი და კაცი. ხოლო დაღაცათუ განკორციელდა
სიტყუაჲ ღმრთისაჲ, არამედ არა შეიცვალა ბუნებაჲ მისი, რამეთუ
შეცვალებაჲ ენებაჲ არს, ხოლო უვნებელი იგი უცვალებელცა არს. რა-
A46 მეთუ არ/ცა ბუნებაჲ მისი იცვალა ღმრთეებისაგან და[3] არცა მეტობაჲ[4]
D36 რაჲმე მივიდა მის ზედა და[5] არცა გუამი იგი ძისა /ღმრთისაჲ იცვალა,
რამეთუ ძედ ღმრთისავე ეგო[6], დაღაცათუ ძედ[7] კაცისა იქმნა. და მან
B67 თავადმან იშენა თა/ვისა თჳსისა ტაძარი იგი კორცთაჲ სულითურთ
გონიერით და თავი თჳსი გუამ ყო კორცთა მათ წმიდათა და თავსა
შორის თჳსსა შეჰმზადნა იგინი. რამეთუ საცნაურ არს, ვითარმედ გან-
კურვებასა შინა რკინისასა, გინა შეშისასა, ორისა საქმისა ჯერ-არს
გულისჴმისყოფაჲ[8]: რამეთუ განკურვებაჲ ითქუმის განკურვებულისა
მის ერთითა სახითა, რამეთუ რკინაჲ იგი, გინა თუ შეშაჲ ცეცხლად
პირველ ყოფილად შევალს და მიიღებს მისგან ცეცხლსა არღა[9] ყო-
ფილსა და ექმნების ცეცხლსა მას გუამ. **7**. რამეთუ რკინასა მას შინა
პირველ ყოფილსა აღეგზნების ცეცხლი იგი, რომელი[1] მიიღო პირველ
Av ყოფილისა მისგან ც/ეცხლისა და იქმნების გუამი იგი რკინისაჲ მის
და მას შინა მყოფისა[2] ცეცხლისა გუამი[3] ერთგუამად. რამეთუ არა
Bv თავით თჳსით აღეტყინა ცეცხლი იგი რკინასა მას შინა მყოფი[4] /ანუ
თუ შეშასა[5], არამედ მიზეზად გუამოვნებისა მისისა და განთჳსებულად
C28 /სხუათა ცეცხლთაგან შემზადებისა რკინაჲ იგი ანუ თუ შეშაჲ ექმნა
მას, და არს ერთი გუამი რკინისაჲ მის და ცეცხლისაჲ მის, მას
შინა მყოფისაჲ. **8**. ხოლო ითქუმის სხჳთაცა სახითა განკურვებაჲ და
Dv მოტყინარეობაჲ[1] რკინისაჲ გინა შეშისაჲ. რამეთუ განკურვებული /
იგი რკინაჲ ანუ თუ მოტყინარე იგი შეშაჲ შეიწყნარებს ძალსა მას
და საქმესა ცეცხლისასა. რამეთუ წულილი იგი ბუნებაჲ ცეცხლისაჲ
მისცემს ზრქელსა მას რკინასა თჳსისა საქმისა ძალსა. აწ უკუე გან/
A47 კურვებასა მას შინა რკინაჲ განწურთდების, არა[2] თუ ცეცხლი გან-
გრილდების, და ითქუმის განცეცხლებაჲ რკინისაჲ გინა შეშისაჲ და
არა თუ განრკინებაჲ ანუ[3] განშეშებაჲ ცეცხლისაჲ, რამეთუ რკინაჲ
იგი ანუ შეშაჲ[4] შეიწყნარებს საქმესა ცეცხლისასა.

5 კაცთა A 6 დედისა D 6. 1 ეს] რამეთუ ესე BCDFG 2 – არს მხოლოჲ D 3 და – AC 4 მეტობაჲ] ცნება A 5 და – DBFG 6 ეგოს D, ეგო + და A 7 ძე BCDFG 8 გულისჴმისყოფისა D 9 არღარა A 7. 1 რომლით B 2 მყოფისა + მის BCFG 3 გუამისა B, გუამ F 4 მყოფი – A 5 შეშისა D **8**. 1 მოტყინარებაჲ A 2 არა] ანუ D 3 ანუ თუ A 4 ცეცხლისაჲ... ანუ შეშაჲ – D

c „ამისთჳს ყოვლითურთ ბუნებაჲ ჩუენი... არცა დედასა და კაცთა“ [14,4-5]. Ἐκδοσις 123-124, „გარდამოცემა“ 164-165

**9**. / ხოლო უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესთჳს ყოვლითურთ B68
ვერ შემოვიღებთ ერთსა სახესა, სრულიად მსგავსსა, რამეთუ ესე
შეუძლებელ არს. არამედ რაოდენი საკმარ იყოს სახისა რაჲსაგანმე,
გულისჴმა-ვჰყოფთ, და კუალად, სხჳსაგან სახისა მცირედსა აღვი-
ღებთ, და ესრეთ მრავლითკერძო და მრავალსახედ გულისჴმისყოფასა
საღმრთოსა მოვიგებთ. **10**. ამისთჳსცა განკორციელებაჲ სიტყჳსაჲ
ითქუმის, რამეთუ სიტყუაჲ გუამ ექმნა კორცთა მათ. პირველითგან
იყო სიტყუაჲ და უკუანაჲსკნელ კორციელ იქმნა და მისგან[1] / იქმნა Av
აგებულებაჲ იგი კორცთაჲ. ხოლო ითქუმის განღმრთობაჲცა კორცთა
მათ წმიდათაჲ. განღმრთობასა ვიტყჳ, არა / თუ ბუნებად ღმრთეე- Cv
ბისა იცვალა კორცთა იგი ბუნებაჲ, არამედ თანაშეყოფითა სიტყჳსა
ღმრთისაჲთა მიეცნეს მას საღმრთონი[2] იგი[3] დიდებულებანი. **11**. /რა- Bv
მეთუ კორცთა მათ მიეც/ნეს დიდებულებანი / იგი[1] საღმრთონი, ხოლო B69 D37
ღმრთეებასა ვნებანი იგი[2] კორცთანი არა შეეხნეს. რამეთუ კორცთა
შინა აღასრულებდა ღმრთეებაჲ საკჳრველებათა და რაჲცა[3] ენება, და
არა კორცნი ღმრთეებისა მიერ იქმოდეს[4]. **12**. არარაჲ ევნო უკუე სი-
ტყუასა განკორციელებითა, არამედ აღასრულა განკორციელებაჲ და
გუამ ექმნა კორცთა მათ და მისცა მათ[1] თჳსი იგი[2] დიდებულებაჲ. რა-
მეთუ ცხოველსმყოფელ[3] იყვნეს კორცნი იგი წმიდანი არა თუ თჳსისა
ბუნებისაგან, არამედ შეერთებითა მით ღმრთეებისაჲთა. და[4] თაბორს / A48
განბრწყინდეს არა თუ თჳსისა ბუნებისაგან, არამედ ბრწყინვალებისა
მისგან ღმრთეებისა, რომელმან გუამოვნებით შეიერთნა კორცნი იგი[5],
ვითარცა-იგი განკურვებული რკინაჲ, ანუ მოტყინარე შეშაჲ ბრწყინვენ
და დასწუენ არა თუ[6] თჳსისა ბუნებისა საქმითა, არამედ ცეცხლისა
მის საქმითა, / გუამოვნებით მათდა შეერთებულისა. B69

**13**. ამისთჳს უკუე ყოვლით კერძო გჳსწავიეს გულისჴმისყოფაჲ
საღმრთოჲ და აღვიარებთ მხოლოდშობილსა მას ძესა ღმრთისასა[1]
ერთად შემდგომად განკაცებისაცა. იგივე არს ძე ღმრთისაჲ და იგივე
არს ძე კაცისაჲ, ერთი ქრისტე, ერთი უფალი, ერთი[2] მხოლოდშო-
ბილი იგი ძე[3] და სიტყუაჲ ღმრთისაჲ, უფალი ჩუენი იესუ ქრისტე
ორითა ბუნებითა. და ორთა შობათა მის/თა აღვიარებთ: ერთსა მას C29
პირველ საუკუნეთა მამისაგან უზეშთაეს მიზეზისა, უზეშთაეს სი-
ტყჳსა, უზეშთაეს ჟამთა, / უზეშთაეს ბუნებათა. **14**. და მეო/რესა მას, Dv Av
რომელი-ესე უკუანაჲსკნელთა ჟამთა იქმნა ჩუენთჳს, მსგავსად[1] ჩუენ-
და და უზეშთაეს ჩუენსა: ჩუენთჳს, რამეთუ ცხორებისათჳს ჩუენისა[2]

10. 1 მისგან] მისთანა BCDFG 2 საღმრთონიცა F 3 იგი – F 11. 1 იგი – A 2 იგი – A 3 რაჲცა] არცა D 4 იქმოდა B 12. 1 მას F 2 იგი – BCDFG 3 ცხოველმყოფელ] ცხოველ C 4 და – D 5 იგი – A 6 თუ – A 13. 1 ღმრთისა D 2 ერთი – BFG 3 ერთი ... ძე - D 14. 1 მზგავს BCDF 2 ცხორებისა ჩუენისათჳს A

იყო შობაჲ მისი ქალწულისაგან; მსგავსად[3] ჩუენდა, რამეთუ კაც იქმნა და დედაკაცისაგან იშვა ჟამიერითა მით შობითა; უზეშთაეს ჩუენსა, რამეთუ უთესლოდ იქმნა შობაჲ იგი სულისაგან წმიდისა და წმიდისა მისგან ქალწულისა, უზეშთაეს წესთა მათ შობისათა[4], რამეთუ დედაჲ იგი ქალწულადვე ეგო შემდგომად შობისაცა. **15**. არა ვქადაგებთ მას ღმრთად ოდენ განშიშულებულად კაცებისაგან, არცა კაცად ხოლო ლიტონად, განყოფილად[1] ღმრთეებისაგან, ნუ იყოფინ ესე! არცა[2] სხუასა და სხუასა ვიტყჳთ განყოფილად, არამედ[3] ერთსა მასვე[4] ერთბამად ვქადაგებთ ღმრთად და კაცად[5]. სრული ღმერთი გურწამს და სრული კაცი, ყოვლითურთ ღმერთ და ყოვლითურთ კაც: ყოვლითურთ ღმერთ
A49 კორცთა თანა თჳსთა[6] და ყოვლითურთ კაც ღმრთეებასა თანა თჳსსა[7] / დიდებულსა. **16**. ვიტყჳთ სრულსა ღმერთსა და სრულსა კაცსა, რაჲთა დაუკლებელობაჲ[1] იგი გამოვაჩინოთ ორთა მათ ბუნებათაჲ. ვიტყჳთ ყოვლითურთ ღმერთ და ყოვლითურთ კაც, რაჲთა ერთობაჲ იგი და განუყოფელობაჲ გულისკმა-ვყოთ გუამისა მის[2] ყოვლად წმიდისაჲ.

B70 Cv **17**. / იტყჳს წმიდაჲ კჳრილეცა ალექსანდრიელი, ვითარმედ: ერთ-
D38 სა ბუნებასა აღვიარებთ სიტყჳსა / ღმრთისაჲსა განკორციელებულსა. და კეთილად[1] იტყჳს, რამეთუ განკორციელებული რაჲ თქუა, მეორე იგი კორცთა ბუნებაჲ გუაუწყა[2]. რამეთუ ჭეშმარიტად ერთ არს ბუნებაჲ სიტყჳსა ღმრთისაჲ, რომელი-იგი განკორციელდა რაჲ, მიიღო ბუნებაჲცა იგი კაცებისაჲ[3] და არს ორითა ბუნებითა — სრული — ღმერთი და სრული კაცი. **18**. რამეთუ სიტყუაჲ იგი[1] ღმრთისაჲ განკორციელდა და თჳსისა მის უნივთოებისაგან არა დააკლდა, არამედ ყოვლითურთ კორციელ იქმნა და ყოვლითურთ გარეშეუწერელ[2] არს,
Av კორციელად და/მდაბლდა და ღმრთეებით არს დიდებულ და გარეშეუწერელ. საცნაურ არს, ვითარმედ დაღაცათუ ვიტყჳთ შეერთებასა[3] ორთა მათ ბუნებათასა ერთ გუამად, არამედ ვიცით, ვითარმედ შეერთებაჲ იგი საღმრთოჲსა მის ბუნებისა[4] მიერ იქმნა, რამეთუ იგი ყოველსა
Bv ზედა მიიწევის, ვითარცა ენებოს და ვითარცა / ჯერ-უჩნდეს, **19**. ხოლო მას ზედა არარაჲ მიიწევის, არცა რაჲ შეეხების, რამეთუ[1] იგი არს უფალი და მეუფე[2] ყოველთაჲ. მისცემს იგი კორცთა თჳსსა მას დიდებულებასა[3] და ბრწყინვალებასა. ხოლო ჰგიეს უვნებელად და ვნებათაგან კორცთა ბუნებისათა შეუხებელად. რამეთუ უკუეთუ მზე მოე-

3 მზგავს BCDFG 4 შობისათა] ბუნებისათა A **15**. 1 განუყოფელად B 2 არა A 3 არამედ — F 4 მასვე] მას BCDFG 5 კაცად + და A 6 მისთა D 7 თჳსსა — G **16**. 1 დაუკლებელობაჲ] დიდებულობაჲ G 2 გუამისა მის] გუამისათჳს D **17**. 1 კეთილად] კ-დ CFG 2 გუაუწყა] გამოსახა A 3 კაცებისაჲ] კორცსაჲ A **18**. 1 იგი — BCDFG 2 გარეშეუწერად D 3 შერთებასა + მას G 4 ბუნებისა + მის BCDFG **19**. 1 რამეთუ] რომელი A 2 ~ მეუფე და უფალი BCDFG 3 დიდებულებასა + მისსა D

ფინების ჩუენ ზედა და მოგუცემს ნათელსა და მრავალსა რას საქმესა
თჳსითა მით / მჯურვალე/ბითა და ბრწყინვალებითა აღასრულებს ჩუენ C30 Dv
ზედა და ჩუენგან არცა ერთი რაჲ ვნებაჲ[4] შეეხების მას, რაო/დენ A45
უმეტესად დამბადებელმან მან და უფალმან მზისამან და ყოველთა
დაბადებულთამან აღასრულამცა ადვილად და უვნებელად ყოველივე,
რაჲცა ენების[5], რამეთუ ყოველივე ძალ-უც.[d]

**20**. ერთი არს უკუე ქრისტე[1], სრული ღმერთი და სრული კაცი.
და თაყუანის-ვსცემთ მას თანა მამით და სულით წმიდითურთ, ერ-
თითა თაყუანის/ცემითა, უხრწნელით ჯორცითურთ მისით[2] და არა B71
თაყუანისუცემელად[3] დაუტეობთ ჯორცთა მათ, რომელნი შეიმოსნა სი-
ტყუამან ღმრთისამან, რამეთუ თაყუანის-იცემებიან ერთსა მას გუამსა
თანა სიტყჳსასა, რომელი-იგი გუამ ექმნა ჯორცთა მათ. **21**. და ვერ
კელ-ეწიფების მწვალებელთა თქუმად ჩუენდა, თუ დაბადებულსა[1] თა-
ყუანის-ვსცემთ[2], რამეთუ არა თუ ჯორცთა ლიტონთა თაყუანის-ვსცემთ,
არამედ შეერთებულთა ღმრთეებასა თანა, და რამეთუ ერთ პირად და
ერთ გუამად სიტყჳსა[3] ღმრთისა[4] შეკრბებიან ორნივე ბუნებანი მისნი.
**22**. და/ ვითარცა-იგი მეშინის შეხებად ნაკუერცხალსა[1] ცეცხლისასა[2] Av
მისთჳს შეშასა მას თანა[3] შეერთებულსა[4], ეგრეთვე თაყუანის-ვსცემ[5]
შეერთებულსა მას ქრისტეს / გუამსა ღმრთეებისა მისთჳს შეერთე- D39
ბულისა ჯო/რცთა მათ[6] თანა. **23**. არა მეოთხესა პირსა შევჰმატებთ Cv
სამებასა თანა, / ნუ იყოფინ! არამედ ერთსა პირსა და ერთსა გუამსა B71v
აღვიარებთ[1] სიტყჳსა ღმრთისაჲსა და ჯორცთა მისთაჲსა. რამეთუ
სამებადვე[2] ეგო[3] წმიდაჲ სამებაჲ შემდგომად განკორციელებისაცა სი-
ტყჳსა.[e] **24**. რამეთუ არა თუ[1] განთჳსებულად იქმნნეს[2] ჯორცნი სიტყჳსა
ღმრთისანი, არცა სხუაჲ გუამი იქმნა განყოფილად გუამისა მისგან
სიტყჳსა ღმრთისა, არამედ მის თანა აღეგო ერთგუამოვან და არა თუ
თავით თჳსით სხუა გუამ. ამისთჳს არცა უგუამო არს, არცა სხუასა
გუამსა შემოიღებს წმიდასა სამებასა შინა, არამედ ერთი / გუამი არს A51
ღმრთისა სიტყჳსაჲ და ჯორცთაჲ მათ, რომელნი ჩუენგან შეიმოსნა.
ერთი გუამი არს ორითა ბუნებითა სრულითა.[f]

4 რაჲ ვნებაჲ – G 5 ენებოს F 20. 1 ქრისტე – D 2 ჯორცით მისითურთ AF 3 უთაყუანისცემოდ A 21. 1 დამბადებელსა F 2 თაყუანის-ვცემთ AB 3 სიტყუასა BCDFG 4 ღმრთისასა BF 22. 1 ნაკვერცხალისა F 2 ცეცხლისა ABC 3 თანა – D 4 შეერთებულისა ABCFG 5 თაყუანის-ვსცემთ D 6 მათთა A 23. 1 აღუიარებ C 2 სამებავე F 3 ეგოს B 24. 1 არათუ] არა D 1 იქმნეს D

d „ამისთჳს უკუე ყოველით კერძო გუსწავიეს ... ყოველივე ძალ-უც" [14,13-19],˝Εκδοσις 124-126, „გარდამოცემა" 165-166 ; e „ერთი არს უკუე ქრისტე... შემდგომად განკორციელებისაცა სიტყჳსა" (14,20-23)˝Εκδοσις 127-128, „გარდამოცემა" 168 ; f „რამეთუ არათუ განთჳსებულად იქმნნეს ჯორცნი... ერთი გუამი არს ორითა ბუნებითა სრულითა" (14,24),˝Εκδοσις 128, „გარდამოცემა" 169

Dv

## / წმიდაო ღმერთოჲსათჳს
## თავი იე[1]

1. ამისთჳსცა შემატებასა მას, რომელი „წმიდაო ღმერთოსა“ შინა
B72 ქმნა უკეთურმან მან პეტროს მკაწრ/ვ[ა]ლმან[1], გმობად შევრაცხთ[2], და შევაჩუენებთ მომპოვნებელსა მას ესევითარისა გმობისასა, და ყოველ[თა][3], რომელნი შეუდგენ წვალებასა მისსა. რამეთუ მან უშჯულომან მეოთხე პირი შემოიღო და თჳსაგან განყო ძე ღმრთისაჲ, გუამოვანი იგი ძალი მამისაჲ და თჳსაგან – ჯუარცუმული იგი, ვითარმცა[4] სხუაჲ იყო[5] ძლიერისა მისგან კიდე; ანუთუ ვნებულად შე-
C31 რაცხა ბოროტმან მან წმიდაჲ სამებაჲ და ჯუარცუმუ/ლად თქუა ძისა თანა მამაჲ[6] და სული წმიდაჲ. 2. შეჩუენებულ იყავნ ესევითარი იგი[1] გმობაჲ და მეტყუელი იგი[2] მისი. რამეთუ ჩუენ „წმიდაო ღმერთოსა“
Av მამისათჳს გულისკმა/-ვყოფთ, არა თუმცა მას ხოლო მივაჩემებდით[3] სახელსა მას ღმრთეებისასა, არამედ ძეცა ღმრთად ვიცით და სული წმიდაჲცა. და „წმიდაო ძლიერო“ – ძესა ვიტყჳთ, არა თუ მამისა-
Bv გან განვჰყოფთ ძლიერებასა ანუ სულ/ისაგან[4] წმიდისა. და „წმიდაო უკუდავო“ – სულსა წმიდასა ვიტყჳთ, არა თუ მამასა და ძესა უკუ-
D40 დავებისაგან განვაყენებთ[5], ნუ იყოფინ! არამედ თითოეულსა გუამოვნე/ბასა ზედა ყოველთავე საღმრთოთა სახელთა[6] გულისკმა-ვჰყოფთ. და წმიდისა მოციქულისა პავლეს მოძღურებასა შეუდგთ[7], ვითარცა იტყჳს, ვითარმედ: ჩუენდა ერთ არს ღმერთი მამაჲ, რომლისაგან ყოველი და ჩუენ მისა[8] მიმართ და ერთ არს უფალი იესუ ქრისტე, რომლისა მიერ ყოველი და ჩუენ მისა მიერ და[9] ერთ არს სული წმიდაჲ, რომლისა ძლით არს ყოველი.“[10]

3. საცნაურ არს უკუე, ვითარმედ, რომელი-იგი თქუა მამისათჳს,
A52 თუ[1] „რომლისაგან ყოველი“, და / ძისათჳს, თუ[2] „რომლისა მიერ ყოველი“, და სულისა წმიდისათჳს, თუ[3] „რომლისა ძლით ყოველი“, – არა ბუნებათა[4] განკუეთს, ვითარ-იგი მწვალებელთა თქუეს[5]. რამეთუ იგივე მოციქული მრავალგზის სცვალებს სიტყუათა ამათ[6]. და რომელი
B73 Cv აწ მამისათჳს თქუა, იტყჳს კუალად[7] ძისათჳს / და სულისა წმიდისა. /
Cv და რომელი აწ ძისათჳს თქუა, იტყჳს მამისათჳს. და რომელი სულისა

სათ. იე] იდ A 1. 1 მკაწრველმან ABCDFG 2 შევრაცხავთ A 3 ყოველნი ABCDFG 4 ვითარცა C 5 იყო – D 6 მამაჲ – D 2. 1 იგი – D 2 იგი – G 3 მივაჩემდეთ D 4 სულისა F 5 განვაყენებთ] განვყოფთB, განვიყვანებთ AD 6 სახელთა] საქმეთა G 7 შეუდგეთ ACDE 8 მისსა ABD 9 და – BG 10 ყოველივე A 3. 1 თუ – BCDFG 2 თუ – BCDFG 3 თუ – FG 4 ბუნებითა D 5 თქუეს] ზრახეს BCDFG 6 მათ A 7 კუალად] სხუაგან BCDFG

* 1 კორ. 8,6

წმიდისათჳს[8] თქუა, იტყჳს მამისათჳსცა და ძისა. არამედ აწ ამას ადგილსა ესე სიტყუანი თქუნა გამომსახველად ერთისა მის ბუნებისა შეურევნელთა თჳთებათა[9]. 4. და ესე საცნაურ არს, ვითარცა წმიდაჲ გრიგოლ გუასწავებს, რამეთუ კუალად ერთად[1] შემოკრბებიან ესე სიტყუანი[2], ვითარცა იგივე მოციქული ერთობით[3] იტყჳს, ვითარმედ: „ვინ-მე ცნა გონებაჲ უფლისაჲ, ანუ ვინ თანამზრახვალ[4] ეყო მას?“[*1] რამეთუ „მისგან, და მის მიერ, / და მისა[5] მიმართ არს ყოველი და Dv
მისი არს / დიდებაჲ უკუნითი უკუნისამდე, ამენ“.[*2] 5. ხოლო ესე Av
განცხადებულად საცნაურ არს[1], ვითარმედ „წმიდაო ღმერთო“ არა ძისა მიმართ ოდენ თქუმულ არს, არამედ წმიდისა სამებისა მიმართ, ვითარცა[2] წმიდაჲ და ღმერთშემოსილი ათანასი და ნეტარი / ბასილი Bv
და ღმრთისმეტყუელი გრიგოლ, და ყოველნივე წმიდანი მამანი წამებენ ამას, ვითარმედ[3] სამწმიდაარსობითა[4] სამგუამოვნებასა ღმრთეებისასა გუაუწყებენ წმიდანი იგი სერაბინნი და ერთითა მით უფლებითა ერთსა[5] მას წმიდისა სამებისა ერთარსებასა და მეუფებასა გამოსახვენ.

6. იტყჳს უკუე გრიგოლ ღმრთისმეტყუელი, ვითარმედ: ესრეთ არს[1] წმიდაჲ იგი წმიდათაჲ, რომელსა სერაბინნი დაეფარვიან[2] და შიშით ადიდებენ სამწმიდაარსობითა, რომელი-იგი ერთად შეკრბების უფლებად და ღმრთეებად[3].[a] და პირველითგანვე წმიდათა მოციქულთა მიერ და წმიდათა მამათა ესე გალობაჲ წმიდისა / სამებისაჲ ესრეთ C32
განწესებულ არს: „წმიდაო ღმერთო /, წმიდაო ძლიერო, წმიდაო A53
უკუდავო, შეგჳწყალენ ჩუენ.“ 7. ამას გალობასა წინაწარე[1] დაჳით წინაწარმეტყუელი მეცნიერ იყო სულისა მიერ წმიდისა, ვითარმედ ახალსა მას ეკლესიასა შინა და ერსა ღმრთისმსახურ/სა აღსრულებად B74
არს; ამისთჳს იტყოდა: „ჰსურის[2] სულსა ჩემსა შენდამი, ღმერთო ძლიერო და ც/ხოველო“, რამეთუ ცხოველი და უკუდაჲი ერთ არს. D41

8. ჰხედავა, ვითარ[1] კეთილად მოასწავა „წმიდაო ღმერთოჲსა“ წესი? ვითარცა ესე კათოლიკე ეკლესიაჲ იტყჳს: „წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკუდავო, შეგჳწყალენ ჩუენ.“ აჩუენა სულითა წინაწარმეტყუელმან, ვითარმედ სურვიელ იყო სმენად[2] გალობასა ამას[3] მართლმადიდებელთასა, ამისთჳს ღაღადებდა: „ჰსურის სულსა

8 სულისათჳს წმიდისა BCD 9 თჳსებათა D 4. 1 ერთად – D 2 სიტყუანი] სახენი CDFG 3 ერთობით – F 4 თანამზრახველ ABDFG 5 მისა BCD, მისსა A 5. 1 – საცნაურ არს განცხადებულად D 2 ვითარცა + ამას წამებს A 3 ვითარმედ – BCDFG 4 სამწმიდაობით F 5 ერთისა D 6. 1 არს – F 2 ეფარვიან A 7. 1 წინასწარვე AB 2 სურის A 8. 1 ვითარ – F 2 სმენად] ხილვად F 3 გალობისა ამის F

*1 რომ. 11,34 *2 რომ. 11,36; გრიგოლ ნაზიანზელი, or. 39: 36 c.348 A s. *3 გრიგოლ ნაზიანზელი, or. 38: 36 c.320 B13-C2; or. 45:36 c.629 C15-629A3.

a „ამისთჳსცა შემატებასა მას... უფლებად და ღმრთეებად“ (15,1-6), Ἔκδοσις 129-130, „გარდამოცემა“ 170-171

ჩემსა შენდამი, ღმერთო ძლიერო და ცხოველო". ცხადად თქუა „წმიდაო ღმერთოჲსა" გალობაჲ, ვითარცა ესერა ჩუენ ვიტყჳთ: „წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკუდავო, შეგჳწყალენ ჩუენ",
Av ეგრეთვე / მან უწოდა: „ღმერთო და ძლიერო და[4] ცხოველო",*[4] რომელ არს „უკუდავო". რამეთუ ვითარცა ვთქუ, ცხოველი და უკუდავი ერთ არს. და ნანდჳლვე[5] უწყებულ იყო მისდა სულისა მიერ წმიდისა,
Bv ვითარმედ ან/გელოზნიცა ესრეთ გალობენ ამას წმიდისა[6] სამებისა გალობასა.[b]

**9**. და ამათ ჩუენთაცა ჟამთა გამოცხადნა[1], ვითარმედ ესრეთ გალობენ ზეცისა მკედრობანი. რამეთუ წერილ არს მოსაკსენებელთა[2] შინა
Cv ეკლესიისათა, ვითარმედ დღეთა მათ პროკლე კონსტანტინეპ/ოლელ[3] მთავარეპისკოპოსისათა[4] იქმნა ძრვაჲ დიდი. და მრავალ დღე იძრვოდა სამეუფოჲ იგი ქალაქი. და განვიდა ყოველი ერი ლიტანიობად. მაშინ
Dv ყრმაჲ ვინმე აღტაცებულ იქმნა ერისა მისგან და ეს/მა კმაჲ ანგელოზთაჲ, რამეთუ გალობდეს[5] ამას გალობასა და იტყოდეს[6]: „წმიდაო
A54 ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკუდავო, / შეგჳწყალენ ჩუენ". და მერმე მოიქცა ყრმაჲ იგი თავადვე თჳსა[7] და მიუთხრა გალობაჲ ესე პატრიაქსა[8] და ყოველსა ერსა. და მეყსეულად იწყეს „წმიდაო ღმერთოჲსა" კმობად ყოველთა. და მასვე ჟამსა დასცხრა რისხვაჲ
B75 იგი მოწევნული. **10**. / და კუალად მოსაკსენებელსა მას წმიდისა და დიდისა კრებისა ექუსას ოცდაათთა მამათასა[1], რომელნი შეკრბეს ქალკიდონს, ესრეთ განწესებულ არს ესე გალობაჲ, ვითარცა მათ ყოველთა, სულისა მიერ წმიდისა აღვსებულთა, კმაჲ ყვეს, ვითარცა ერთითა პირითა: „წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკუდავო, შეგჳწყალენ ჩუენ", — და ეგრეთვე სხუათა კრებათა.

**11**. საცინელ არს უკუე და საკიცხელ, უკუეთუ ვინმე შეცვალოს წმიდაჲ იგი გალობაჲ წმიდისა სამებისაჲ, რომელსა სერაბინნი გალობენ[1], და კმითა ანგელოზთაჲთა დაემტკიცა და სასწაულითა მით
Av სარწმუნო იქმნა / და[2] წინაწარმეტყუელისა მიერ იქადაგა და მოციქულთა მიერ დაეწესა და წმიდათა მღდელთმოძღუართა[3] მიერ განეფინა
C33 ყოველსა სოფელსა და დიდისა მის კრებისა მიერ ერთბა/მად ითქუა

4 და — G 5 ნამდჳილვე B 6 ამას წმიდისა] ამა სამწმიდისა D 9. 1 გამოუცხადნა D 2 მოსაკსენებელსა C 3 კოსტანტინოპოლელ A, კოსტანტინეპოლელ BD 4 მთავარეპისკოპოზისა A 5 გალობდენ D 6 იტყოდენ D 7 თჳსად AEFG 8 პატრიარქსა ABD 10. 1 მამათა BD 11. 1 უგალობენ A 2 და — BDFG 3 მღდელთმთაჳართა BFG

*შდრ. ფსალმ. 41,1

[b] „ამას გალობასა წინაწარვე... წმიდისა სამებისა გალობასა" (15,7-8), Περὶ τοῦ τρισαγίου ὑμνοῦ, PG 95 c 21-62

და მათ ყოველთაგან გუესწავა, ვითარმედ სამგუამოვნისა მის წმიდისა სამებისა მომასწავებელ არს და მისა[4] მიმართ ითქუმის. **12.** / აწ ვინ Bv
არს ცნობამიღებული / იგი[1], რომელმან დაუტეოს ამათ ყოველთა D42
წესი და შჯული[2], რომელნი ზემო მოვიკსენენ[3], და შეუდგეს მოძღურებასა უგუნურისა მის მწვალებელისა[4] პეტროს[5] მკაწრვ[ა]ლისასა[6]. ჱ, დიდი ესე უგუნურებაჲ და სიცოფე! **13.** ხოლო ჩუენ ესევითართა მათ, რომელთა „წმიდაო ღმერთოჲსა“ თანა ჯუარცუმაჲ თქუან და სამებასა[1] ოთხებაჲ შეჰმატონ ანუ უვნებელისა მის და უკუდავისა ბუნებისა ვნებისა მიჩემებაჲ იკადრონ[2], შევაჩუენებთ და ეშმაკთა თანა / შეგჯრაცხიან ბრძანებისაებრ წმიდათა[3] მამათაჲსა. და მართლმადიდე- A55
ბელითა გონებითა ესრეთ ვღაღადებთ[4]: „წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკუდავო, შეგჳწყალენ ჩუენ“.[c] არამედ პირველსავე სიტყუასა მოვიდეთ სრულებით წარმოთქუმად მართლისა მის[5] და უცთომელისა სარწმუნოებისა[6].

## წმიდისა ღმრთისმშობელისათჳს
## თავი ივ[1] [E 56]

**1.** ყოველთა[1] მათ პირველთქუმულთა ზედა ამასცა აღ/ვიარებთ: B76
ღმრთისმშობელად ჭეშმარიტად[2] და მტკიცედ ვქადაგებთ წმიდასა მას[3] ქალწულსა მარიამს. რამეთუ ვითარცა მისგან შობილი იგი ჭეშმარიტი ღმერთი არს, ეგრეთვე წმიდაჲ იგი ქალწული ჭეშმარიტად[4] ღმრთისმშობელ / არს, რომელმან ჭეშმარიტი იგი ღმერთი მისგან Dv
კორციელქმნული შვა. **2.** / რამეთუ ჭეშმარიტად ღმერთი იშვა მისგან, Cv
არა თუ ღმრთეებამან სიტყჳსამან მისგან მიიღო დასაბამი, ნუ იყოფინ! არა ამას ვიტყჳთ[1], არამედ თავადი იგი სიტყუაჲ ღმრთისაჲ, რომელი პირველ საუკუნეთა იშვა მამისაგან[2] / დაუსაბამოდ და უჟამოდ, და Av
არს თანადაუსაბამოჲ და თანამოსაყდრე მამისაჲ და სულისა წმიდისაჲ, უკუანაჲსკნელთა ჟამთა ჩუენისა ცხორებისათჳს საშოსა ქალწულისასა დაემკჳდრა უთესლოდ და მისგან კორცნი შეისხნა და

4 მისსა D **12.** 1 იგი – D 2 რჩული D 3 ვაკსენენ CFG 4 ~ მწვალებელისა უგუნურისა BCD 5 პეტროზ BCD 6 მკაწრველისასა ABCDFG **13.** 1 სამებისა D 2 იკადროს BCDFG 3 წმიდათა – A 4 ეღაღადებდეთ D 5 მის – A 6 სარწმუნოებისათჳს A

c „და ამათ ჩუენთაცა ჟამთა... შეგჳწყალენ ჩუენ“ (15,9-13). Ἔκδοσις 130-131, „გარდამოცემა“ 171-172

სათ. ივ] იე A **1.** 1 ყოველთა] პირველთა D 2 ~ ჭეშმარიტად ღმრთისმშობელად D 3 მას – BCDFG 4 ჭეშმარიტი D **2.** 1 ვიტყჳ B 2 ~ მამისაგან იშვა D

იშვა უცვალებელად. რამეთუ არა თუ ლიტონი კაცი შვა წმიდამან
მან[3] ქალწულმან, არამედ ღმერთი ჭეშმარიტი, არა უპორციოდ, არა-
Bv ამედ პორციშესხმული[4]. არა ზეცით აქუნდეს*/ მას პორცნი, ვითარცა
ვითმე მწვალებელთა თქუეს უშჯულოთა, არამედ საშოჲსაგან ქალ-
წულისა მიიხუნა პორცნი ჩუენისა ამის[5] ბუნებისანი და თავისა თანა
თუსისა აღასრულა აგებულებაჲ[6] მათი. 3. რამეთუ უკუეთუმცა ზეცით
აქუნდეს პორცნი და არა ჩუენისა ბუნებისაგან, ვითარმცა ითქუმოდა
განკაცებაჲ, ანუ რაჲ იყო საქმე[1] მისი? რამეთუ განკაცებაჲ სიტყჳსა
A56 ღმრთისაჲ / ამისთჳს იქმნა, რაჲთა ბუნებაჲ იგი შეცთომილი და
წარტყუენული[2] კაცთაჲ[3] მიიღოს და ყოს იგი მძლედ ეშმაკისა და
იკსნას იგი ხრწნილებისაგან[4], ვითარცა იტყჳს მოციქული, ვითარმედ:
კაცისა მიერ იყო სიკუდილი და კაცისა მიერ აღდგომაჲ მკუდართაჲ*[1].
4. უკუეთუ პირველი იგი კაცი ჭეშმარიტ არს, მეორეცა ესე ჭეშმარიტ
D43 C34 არს. ხოლო / რომელი იტყჳს, თუ პირველი იგი კაცი ქუეყანისაგან
მიწისა, მეორე იგი კაცი – უფალი ზეცით*[2], არა თუ პორცთა იტყჳს
B77 ზეცით, / ვითარ-იგი მწვალებელნი წარჰრევენ, არამედ ამას მოას-
წავებს, ვითარმედ არა ლიტონი კაცი იყო, არამედ უფალი, ზეცით[1]
მოსრული და ქალწულისაგან განკაცებული.

5. რამეთუ, აჰა ესერა, მეორე ადამ უწოდა[1] მას და კუალად უფალი[2]
სახელ-სდვა, რაჲთა ორნივე ბუნებანი გამოსახნეს. რამეთუ ადამ ქუ-
Av ეყანისაგან გამოითარგმანების, ხოლო[3] ქუეყანისაგან ა/რს მიწისაგანი
იგი ბუნებაჲ კაცისაჲ[4], ხოლო უფალი[5] საღმრთოჲსა მის ბუნებისა
მომასწავებელ[6] არს. და კუალად იტყჳს მოციქული: ოდეს მოიწია
აღსასრული ჟამთაჲ, მოავლინა ღმერთმან ძე თჳსი, რომელი იშვა დე-
დაკაცისაგან. და ამით სიტყჳთა გამოაჩინა მოციქულმან, ვითარმედ იგი
თავადი არს მხოლოდშობილი ძე ღმრთისაჲ და ღმერთი ჭეშმარიტი,
რომელი ქალწულისაგან კაც იქმნა, და ქალწულისაგან შობილი იგი
Bv თავადი არს / ძე ღმრთისაჲ. და ღმერთი ჭეშმარიტი იშვა პორციელად
ქალწულისაგან და კაც იქმნა უქცეველად[7]. არა თუ გუამსა პირველ
დაბადებულისა კაცისასა დაემკჳდრა, არამედ იგი თავადი ჭეშმარიტად
კაც იქმნა, რამეთუ თჳსსა მას გუამსა მიიხუნა პორცნი სულითურთ

3 მან – F 4 პორცთშესხმული A 5 მის BCDF 6 განგებულება G 3. 1 საქმე
+ იგი D 2 წარტყუენილი FG 3 კაცთაჲ – B 4 და ... ჴრწნილებისაგან – D 4.
1 ~პირველი იგი კაცი ამას მოასწავებს, ვითარმედ არა ლიტონი კაცი იყო, არამედ
უფალი ზეცით, ვითარ-იგი მწვალებელნი წარჰრევენ, არამედ ამას მოასწავებს, ვი-
თარმედ არა ლიტონი კაცი იყო, არამედ D 5. 1 უწოდს B 2 უფალ ABD 3 ხოლო
– G 4 კაცთაჲ BDFG 5 უფლისა B 6 მომასწავებელი ACDFG 7 უქცეველად]
უცვალებელად BCDFG

* გრიგოლ ნაზიანზელი, ეპისტოლე 101, კლიდონის მიმართ PG 37 c.181 B 5 *1
1 კორ. 15,2 *2 1 კორ. 15,47

გონიერით და ექმნა გუამ კორცთა მათ. **6**. ამისთჳს იტყჳს, ვითარმედ: იშვა დედაკაცისაგან[1] და იქმნა იგი შჯულსა ქუეშე[*3], რამეთუ ვითარმცა იქმნა სი/ტყუაჲ ღმრთისაჲ შჯულსა ქუეშე, არა თუმცა კაც ქმნულ[2] Cv იყო / მსგაჳსად[3] ჩუენდა[4]? / ამისთჳს ჭეშმარიტად და სამართლად A57 Dv ღმრთისმშობელად ვქადაგებთ წმიდასა მას[5] ქალწულსა მარიამს, რამეთუ ესე სახელი ღმრთისმშობელისაჲ ყოველსა[6] მას საიდუმლოსა ქრისტეს განკაცებისასა დაამტკიცებს. რამეთუ ვინაჲთგან ღმრთისმშობელი იგი[7] არს ჭეშმარიტად მშობელი[8], საცნაურ არს, ვითარმედ შობილი იგი ღმერთ არს და კაც. რამეთუ ვითარმცა ეგებოდა შობად დედაკაცისაგან / პირველ საუკუნეთა ღმერთი, არა თუმცა კაც ქმნულ B78 იყო? რამეთუ ძე კაცისაჲ კაცი არს[9] ჭეშმარიტად, ვინაჲთგან უკუე[10] შობილი იგი ქალწულისაგან ღმერთ არს და კაც, საცნაურ არს, ვითარმედ ერთ[11] არს, რომელი-იგი[12] იშვა[13] პირველ საუკუნეთა მამისაგან ბუნებითა მით ღმრთეებისაჲთა **7**. და იგივე აღსასრულსა ჟამთასა იშვა ქალწულისაგან დასაბამიერითა მით ბუნებითა კაცთაჲთა. და ესე სახე მოასწავებს ერთსა მას / გუამსა და ორთა ბუნებათა და ორთა შობათა Av უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესთა.

**8**. ხოლო ქრისტესმშობელად არა სახელ-ვსდებთ[1] წმიდასა მას ქალწულსა. რამეთუ ბილწმან მან და საძაგელმან, ჰურიათა მსგავსმან, უშჯულომან ნესტორ[2] დამჴსნელად[3] სახელსა მას ღმრთისმშობელისასა ესე მოიპოვა და არა უწოდა[4] ღმრთისმშობელად, არამედ ქრისტესმშობელად, რამეთუ ჭურჭელი იგი ყოვლისაგე / გინებისაჲ სახელსა მას[5] Bv პატიოსანსა ჭეშმარიტ/ისა მის, უფროჲს ყოველთა დაბადებულთა პატივცემულისა წმიდისა[6] ღმრთისმშობელისასა[7] აღკოცად[8] მოსწრაფე C35 იყო. **9**. ამისთჳსცა აღიკოცა სახელი მისი წიგნისაგან ცხოველთაჲსა / და მამასა მისსა ეშმაკსა[1] თანა შეირაცხა[2]. ხოლო ჩუენ კმითა მაღ- D44 ლითა და ბრწყინვალითა ღმრთისმშობელად ვქადაგებთ მშობელსა მას ღმრთისასა.

**10**. ხოლო[1] ქრისტე ცხებულად გამოით/არგმანების, ვითარცა A58 ყოველნი მეცნიერ ხართ. ხოლო დაღაცათუ[2] დავითცა ცხებულ იყო და ცხებულ ეწოდებოდა და აჰრონ[3] მღდელი და სხუანი მეფენი მრავალნი[4] და მღდელთმოძღუარნი[5] და ყოველთა ღმერთშემოსილთა კაცთა ცხე-

**6**. 1 დედაკაცისაგან] დედისაგან A 2 ქმნილ ABCFG 3 მსგავს BCDFG 4 ჩუენდა + და D 5 მას – BCD 6 ყოველსავე A 7 იგი – A 8 მშობელი + იგი BCD 9 არს – G 10 უკუე – BCDG 11 ერთი D 12 რომელი-იგი] რომელი A 13 პირველ ... იშვა – F **8**. 1 სახელს-ვსდებთ D 2 ნესტორმან AF, ნისტორმან BCD 3 დამხსნელად] ნაცვლად GC 4 უწოდდა ABC 5 ~ მას სახელსა D 6 წმიდისა – B 7 ღმრთისმშობელისა A 8 აკოცად A **9**. 1 ეშმაკისა D 2 შერაცხა A **10**. 1 ხოლო] რამეთუ ACDFG 2 დაღაცათუ – BCDFG 3 ჰარონ BD 4 ~ მრავალნი მეფენი A 5 მღუდელთმთავარნი B

[*] გალ. 4,4

ბულ ეწოდებოდა, ხოლო ბუნებით ღმერთი უფალი ჩუენი ოდენ არს
იესუ ქრისტე. **11**. აწ უკუე ულმრთომან მან[1] ნისტორ[2] ქრისტე კიდეგან
ყო ღმრთეებისაგან და წმიდასა ღმრთისმშობელსა ქრისტესმშობელად
B79 იტყოდა და მისგან შობილსა უფალსა[3] / ჩუენსა ღმერთშემოსილად
უწესდა[4]. **12**. ხოლო ჩუენდა ნუ იყოფინ ღმერთშემოსილად თქუმად[1]
უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა, არამედ ღმრთად განკორციელე-
ბულად. რამეთუ თავადი იგი სიტყუაჲ ღმრთისაჲ კორციელ იქმნა
ქალწულისაგან და იშვა მისგან სრული ღმერთი და სრული კაცი.
და ბუნებაჲ[2] იგი[3], რომელი მიიღო, განაღმრთო[4] არა თუ შეცვა-
Av ლებით ბუნებად ღმრთეებისა, / არამედ შეერთებითა მით[5] ღმრთი-
Cv საჲთა. ამისთჳსცა სამ/ართლად და ჭეშმარიტად ღმრთისმშობელად
გულისჴმა-ვჰყოფთ და ვქადაგებთ წმიდასა მას ქალწულსა. რამეთუ
ღმერთი ჭეშმარიტი იშვა მისგან კორციელქმნული[6] და ბუნებაჲ იგი,
რომელი შეიერთა გუამოვნებით, შეერთებითა მით თჳსითა ღმერთ
Dv ყო. **13**. რომლისა მუცლადღებაჲცა და შობაჲცა / საკჳრველ არს
საკჳრველებათაჲ. მუცლადღებაჲ[1] იქმნა სიტყჳსა ღმრთისაჲ და აგე-
Bv ბულებაჲ იგი კორცთაჲ — თავადსა მას სიტყუასა თანა ერთგუა-
მოვნებად, / რომელნი მიიხუნა ღმრთისმშობელისაგან. **14**. რამეთუ
წმიდაჲ იგი ქალწული ღმრთისმშობელი ექმნა[1] მიზეზ დამბადებელისა[2]
დაბადებად და ღმრთისა[3] განკაცებად, რაჲთა კაცებაჲ[4] განაღმრთოს
უცვალებელად. რამეთუ ღმერთი განკორციელდა და კაცებაჲ[5] გან-
ღმრთობად ღირს იქმნა. და თითოეული შეერთებულთა მათ ბუნება-
A59 თაჲ ეგო თჳსსავე ზედა ბუნებასა: ბუნებაჲ / სიტყჳსა ღმრთისაჲ —
უცვალებელად და უქცეველად, და ბუნებაჲ კაცისაჲ — უცვალებელად
და უქცეველად[6], რომელი-იგი[7] მსგავს ჩუენდა იყო და უზეშთაეს
ჩუენსა. **15**. არა თუ პირველ მსგავს ჩუენდა იყო და უკუანაჲსკნელ
იქმნა უზეშთაეს ჩუენსა, არამედ პირველითგან[1]. და[2] რაჟამს შეიერ-
თა სიტყუამან კაცებაჲ, მეყსეულად ადიდა იგი შეერთებითა თჳსითა.
C36 და ბუნებაჲ იგი კაცობრივი არს თჳსით/ა მით ბუნებითა, ხოლო
შეერთებითა მით ღმრთეებისაჲთა[3] — განღმრთობილ, ვითარცა რკი-
B80 ნაჲ შე-რაჲ-ვიდის[4] ცეცხლად და განკურდის, თჳსითა მით ბუნებითა
/რკინაჲ არს, ხოლო შეერთებითა მით ცეცხლისაჲთა — განცეცხ-
ლებულ. **16**. ხოლო ვითარცა ბუნებაჲ კაცობრივი მიიღო უფალმან,

**11**. 1 მან — B 2 ნისტორმან ACDG. ნესტორმან B 3 უფალსა + ღმერთსა F 4 უწესდა] უწოდა B **12**. 1 თქმა G 2 ბუნებაცა FG 3 იგიცა BCD 4 განიღმრთო D 5 მით — A 6 ქმნილი — A **13**. 1 მუცლადღებაჲ + იგი F **14**. 1 იქმნა ABCDFG 2 დამბადებელსა D 3 ღმრთისაგან G 4 კაცებად D 5 კაცებად D 6 და ბუნებაჲ... უქცეველად — D 7 რომელი-იგი] რომელი BCDFG **15**. 1 პირველითგანვე A 2 და — A 3 ღმრთეებისათა BD 4 ~ შე-რაჲ-ვიდის რკინაჲ D

ეგრეთვე ბუნებითნი[1] თჳსებანი[2] კაცობრივისა მის ბუნებისანი თავს-ისხნა განგებულებით, რომელნი[3] ჭეშმარიტად ბუნებითნი იყვნეს.[d]

## / თჳთებათათჳს[1] ორთა / ბუნებათაჲსა თავი იზ[2] [E 57] D45 Av

1. ამისთჳსცა[1] აღვიარებთ მას სრულსა ღმერთსა და სრულსა კაცსა, რამეთუ ყოველივე აქუს, რაჲცა აქუს მამასა, თჳნიერ უშობელობისა, და ყოველივე აქუს, რაჲცა[2] პირველსა მას[3] ადამს აქუნდა[4] თჳნიერ ცოდვისა, ესე იგი არს, ჴორცნი და სული პირმეტყუელი და გონიერი. და აქუს შემსგავსებულად ორთა მათ ბუნებათა თჳთებანი[5], ორნი ბუნებითნი ნებანი[6] — საღმრთოჲცა და კაცობრივიცა[7], და ორნი ბუნებითნი საქმენი — საღმრთოჲ და კაცებისაჲ, და თჳთმფლობელობაჲ აზნაურებისაჲ — საღმრთოჲ და კაცობრივი, და სიბრძნე / და Bv
გულისკმისყოფაჲ — საღმრთოჲ და კაცობრივი, რამეთუ[8] თანაარს არს[9] ღმრთისა და მამისა და კელმწიფებით ჰნებავს და იქმს, ვითარცა ღმერთი. და კუალად, იგივე ზიარებითა მით / ბუნებისა ჩუენისაჲთა Cv
თანაარს არს[10] ჩუენდა. და კელმწიფებითა მით თჳთმფლობელითა[11] ჰნებავს / და იქმს, ვითარცა კაცი. რამეთუ მისნი არიან[12] ვნებანიცა[13], A60
რომელნი[14] ჩუენთჳს თავს-ისხნა ბუნებითა მით[15] კაცობრივითა. და მისნივე არიან საკჳრველებანიცა, რომელნი ღმრთეებრ აღასრულნა.[a]

16. 1 ბუნებითნი + იგი A 2 ~ თჳსებითნი ბუნებანი D 3 რომელნიცა BCDFG
d ყოველთა მათ პირველთჳთმულთა... ჭეშმარიტად ბუნებითნი იყვნეს (16,1-16), Ἐκδοσις 133-136, „გარდამოცემა“ 175-178
სათ. 1 თჳსებათათჳს BCDF 2 იზ] ივ A 1. 1 ამისთჳს F 2 რაჲმცა D 3 მას] მამასა G 4 აქუნდა – BCDFG 5 თჳსებანი ABCDFG 6 ბუნებითნი ნებანი – B 7 კაცობრივი BCDFG 8 რამეთუ – AB 9 არს – G 10 არს – A 11 თჳთმფლობელობითა BG 12 არნ D 13 ნებანიცა D 14 რომელ B, რაჲთა D 15 მით – D
a „ამისთჳსცა აღვიარებთ... ღმრთეებრ აღასრულნა“ (17,1), Ἐκδοσις 136-137, „გარდამოცემა“ 179

Dv

## /ორთა მათ თჳთმფლობელთა[1] ნებათათჳს[2] უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესთა[3] თავი იზ[4] [E 58,59]

**1**. აწ უკუე საცნაურ არს, ვითარმედ ორთა ბუნებათა აღვიარებთ ქრისტესთა და ორთა ბუნებითთა ნებათა და ორთა ბუნებითთა საქმეთა. ხოლო ვინაჲთგან ორთა მათ ბუნებათა მისთა ერთ არს გუამოვნებაჲ, ამისთჳს ერთსა ვიტყჳთ ქრისტესა. რამეთუ მას თავადსა ნებაჲს
B81 და / იქმს, რაჲ-იგი[1] შეჰგავს ორთა მათ ბუნებათა, რომელთაგან და რომელთა შინა და რაჲ-იგი არს ქრისტე, ღმერთი ჩუენი. **2**. ხოლო ნებავს და იქმს ორითავე ბუნებითა, ზიარებითა მეორისაჲთა. რამეთუ[1] რომელთა არსებაჲ და ბუნებაჲ ერთ არს, მათი ნებაჲცა და საქმე
Av / ერთ არს, ხოლო რომელთა არსებაჲ და ბუნებაჲ განყოფილ არს, მათი ნებაჲცა და საქმე[2] განყოფილ არს. **3**. და კუალად, წინაუკუმო: რომელთა ნებაჲ და საქმე ერთ არს, მათი არსებაჲცა და ბუნებაჲ ერთ არს. ხოლო[1] რომელთა ნებაჲ და საქმე განყოფილ არს, მათი არსებაჲცა და ბუნებაჲ განყოფილ არს. ამისთჳსცა ოდეს მამასა და ძესა
C37 და სულსა წმიდასა ღმრთისუმეტყუელებდეთ / ერთობითა საქმისა და ნებისაჲთა, ერთობასა მას ბუნებისასა გულისჴმა-ვყოფთ. ხოლო განგებულებასა მას შინა ქრისტეს განკაცებისასა განყოფითა მით საქმეთა
Bv და ნება/თაჲთა, განყოფილებასა მას ბუნებათასა გულისჴმა-ვყოფთ.
D46 რამეთუ ვინაჲთგან ვიცით განყოფილებაჲ, ორთა მათ/ ბუნებათა თანა აღვიარებთ ორთა ნებათა და ორთა საქმეთა[2] განყოფილებასა. **4**. რა-
A61 მეთუ ვითარცა ერთისა მის ქრის/ტეს ბუნებათა ორად აღრაცხვაჲ, უკუეთუ კეთილად გულისჴმა-იყოფებოდის[1] და ითქუმოდის[2], არა განჰყოფს ქრისტესა, არამედ ერთობასა მას შინა გუამისასა გამოაჩინებს ორთა მათ ბუნებათა განყოფილებასა, ეგრეთვე რიცხჳ ნებათა მათ და საქმეთაჲ, რომელნი არიან ბუნებათა თანა მისთა. და[3] ორნივე ბუნებანი მისნი მნებებელ იყვნეს და მოქმედ ცხორებისა ჩუენისა. **5**. არა თუ ქრისტესა ორად განყოფს, ნუ იყოფინ, აღრაცხვაჲ[1] იგი ნებათა მათ[2] და საქმეთაჲ, არამედ ერთობასა მას შინა გუამისასა, ვითარცა ორთა ბუნებათა, ეგრეთვე ორთა ნებათა და ორთა საქმეთა გამოაჩინებს
A82 ბუნებიოთა[1], არა თუ გუამოვანთა, რამეთუ / ძალსა მას ვიტყჳ მნებებელსა და მოქმედსა ღმრთეებრ და კაცებრ ერთსა მას გუამსა შინა.

სათ. 1 მათ თჳთმფლობელთა] მათთჳს მფლობელთა B 2 ორთა ბუნებათა შინა თუთმფლობელთა ნებათათჳს D 3 უფლისა ... ქრისტესთა – D 4 იზ] იზ A 1. 1 რაჲ იგი] რომელი-იგი A 2. 1 რამეთუ] და D 2 ერთ არს ხოლო... და საქმე – D 3. 1 ხოლო] და A 2 საქმესა D 4. 1 გულისჴმა-იყოფებოდეს FG 2 ითქმოდეს FG 3 და] რამეთუ A 5. 1 აღრიცხვაჲ A 2 მათ – D 3 ბუნებითითა D

**6**. აწ უკუე ვინაჲთგან ერთ / არს / ქრისტე და ერთ არს გუამი Cv Av
მისი[1], ერთ[2] არს იგი თჳთმნებებელი[3] ღმრთეებრ და კაცებრ[4], ხოლო
ვინაჲთგან ორნი ბუნებანი ჰქონან, ნებიერნი და სიტყჳერნი, რამეთუ
ყოველი სიტყჳერი ნებიერ არს და თჳთმფლობელ, ამისთჳს ორთა[5]
ბუნებითთა ნებათა მისთა ვიტყჳთ, რამეთუ ნებიერ არს იგი ორითაცე
ბუნებითა. და ძალი იგი ნებებისაჲ, რომელი ბუნებით[6] არს ჩუენ თანა,
მიიღო. და ერ/თი[7] იგი ქრისტე ნებიერ არს ორითაცე[8] ბუნებითა. **7**. რა- Dv
მეთუ არა იგი[1] ხოლო უნდა, რაჲ-იგი ბუნებასა ღმრთეებისასა უნდა[2].
რამეთუ ნებებაჲ[3] ჭამისაჲ და სუმისაჲ და სხუათა ესევითართაჲ არა
ღმრთეებისაჲ იყო, არამედ კაცობრივისა ნებისაჲ*. გარნა დამამტკიცე-
ბელნიცა კაცობრივისა ბუნებისანი არა წინა/აღმდგომითა[4] განზრახვითა Bv
ენებნეს, არამედ თჳთებითა ბუნებათაჲთა. რამეთუ მაშინ ინებებდა მათ[5]
ბუნებით, ოდეს საღმრთომან / მან[6] ნებამან[7] მისმან[8] ინების მიშუებად A62
კორცთა ბუნებისა აღსრულებად ბუნებითთა წესთა მისთა.

**8**. ხოლო ესე ყოველთა მიერ საცნაურ არს, ვითარმედ ბუნებით
არს კაცსა[1] თანა ნებაჲ თჳთმფლობელი[2]. რამეთუ[3] თჳთმფლობელობაჲ[4]
სხუაჲ რაჲ[5] არს, გარნა ნებაჲ ბუნებითი? ვინაჲთგან უკუე სიტყჳაჲ
კორციელ იქმნა და მიიხუნა კორცნი ბუნებისა ჩუენისანი და სული
გონიერ იქმნა, თჳთმფლობელისაცა ნებისა შემწყნარებელ. რამეთუ
ბუნებითნი ნებანი უსწავლელად არიან ჩუენ / თანა და არავინ ისწავ- C38
ლის მოგონებასა ანუ სიცოცხლესა, ანუ მომშევასა, ანუ წყურილსა[6],
ანუ ძილსა, ანუ ნებებასა, არამედ ესე ყოველნი უსწავლელად არიან
კაცთა თანა. ჩანს უკუე, / ვითარმედ ბუნებით ნებიერ არს კაცი. **9**. B83
რამეთუ პირუტყუნი ბუნებისადა[1] დამორჩილე/ბულ არიან და სადა Av
ბუნებაჲ მიიზიდვიდეს, მიჰყვებიან. ხოლო კაცისა ბუნებაჲ დამორჩილე-
ბულ არს და ქელმწიფებითა ნებისაჲთა, ვიდრეცა ენებოს, მიჰყვების. D47
და ამი/თცა ჩანს, ვითარმედ ნებაჲ ბუნებითი[2] არს კაცისაჲ. და არა
თუ რომელთამე კაცთა თანა[3] არს ნებაჲ და რომელთამე თანა[4] არა
არს, არამედ ყოველთა თანა არს სწორებით, ამისთჳს ჩანს, ვითარმედ
ბუნებით არს ნებაჲ კაცთა თანა, ნებასა ვიტყჳ ბუნებითსა.

**10**. აწ უკუე ვითარცა ბუნებაჲ ჩუენი მიიღო უფალმან, ეგრეთვე
ნებაჲ ბუნებითი ჩუენი[1] მიიღო. და ამით სახითა იტყჳან მამანი, ვი-

6. 1 მისი + და BCD 2 ერთი A 3 თჳთმნებებელი] თჳთმფლობელი BD 4 კაცებრივ A 5 ორთა – D 6 ბუნებითი AD 7 ერთ B 8 ორითა FG 7. 1 იგი – D 2 – უნდა ღმრთეებისასა D 3 ნებებაჲ – G, ნებაჲ DF 4 წინაღმდგომთა D 5 მათ] რა D 6 მან – B 7 ნებამან – F 8 მისმან – BCDFG 8. 1 კაცთა D 2 თჳთმფლობაჲ BD 3 რამეთუ] ვითარ F 4 თჳთფლობა D 5 რაჲ] ერთ რაჲ F 6 წყურვილთა A, წყურვასა B 9. 1 ბუნებისა G 2 ბუნებით B 3 რომელთა თანამე კაცთა AD 4 რომელთა თანამე A 10. 1. ჩუენი – B

* მაქსიმე აღმსარებელი, სიტყჳსვება პიროსისადმი: PG 91, c.289 AB

თარმედ ბუნებითი ნებაჲ ჩუენი გამოისახვოდა[2] მის თანა. რამეთუ
არცა ეგების ერთი ნებაჲ თქუმად ქრისტეს თანა, რაჲთა არა წვა-
Bv ლებასა ბოროტსა შთავცუენეთ[3]. **11.** / რამეთუ კეთილად იტყჳან მა-
A63 მანი, ვითარმედ რომელთა ნებაჲ ერთ არს, მათი[1] ბუნებაჲცა[2] ერ/თ
არს და არსებაჲ[3.4]. აწ უკუეთუ ერთი ვთქუათ ნებაჲ ქრისტეს თანა[5],
ერთსაცა[6] სადმე ვიტყჳთ[7] ბუნებასა, რომელ-ესე არა ეგების, არამედ
ორსა ბუნებასა აღვიარებთ ქრისტესსა და ეგრეთვე ორსა ნებასა,
რამეთუ რომელი[8] ერთსა ნებასა იტყოდის[9], განყოფილებასა[10] ორთა
Cv ბუნებათასა ვერ იტყჳს. **12.** / და ესე[1] ესრეთ გულისჴმა-ყავთ. წმიდასა
სახარებასა შინა წერილ არს ესრეთ, ვითარმედ: წარვიდა იესუ საზ-
ღვართა ტჳროსისა და სიდონისათა და შევიდა სახლსა და არა უნდა,
რაჲთამცა აგრძნა ვინ და ვერ კელ-ეწიფა დაფარვად[2].*[1]

**13.** აწ უკუე ესე ყოველთა მიერ საცნაურ არს, ვითარმედ საღმრთოჲ
იგი ნებაჲ მისი ყოვლად ძლიერ არს და ყოველივე, რავდენიცა ენებოს
B84 Dv ღმრთეებისა მისისა ნებასა[1], ძალ-უც და ვერარაჲ წინა-აღუდგებ/ის.
Av ხოლო / ესე[2], რომელ იტყჳს მახარებელი, / თუ: „არა უნდა, რაჲთამ-
ცა აგრძნა ვინ და ვერ კელ-ეწიფა დაფარვად“, ცხად არს, ვითარმედ
კაცობრივ უნდა ესე და ვერ კელ-ეწიფა დაფარვად[3], რამეთუ იყო მის
თანა ნებაჲ ესე ბუნებითი კაცთაჲ. **14.** და კუალად იტყჳს სახარებაჲ:
და მოვიდეს[1] ადგილსა მას, რომელსა ჰრქჳან გოლგოთაჲ[2] და თქუა:
მწყურის. და მისცეს მას ძმარი, ნაღლითა[3] შეზავებული. და გემოჲ[4]
იხილა და არა ინება[5] სუმის.*[2] ვითარ უკუე გულისჴმა-იყოფების ესე?
უკუეთუ ღმრთეებითა მოეწყურა და გემოჲ რაჲ იხილა, არა ინება[6] სუ-
მის, ვნებასა მიაჩემებს ღმრთეებასა, რომელი ამას იტყოდის[7]. რამეთუ
წყურვილი[8] და გემოჲსხილვაჲ კაცობრივნი ბუნებითნი ნებანი არიან.
არამედ კაცობრივ მოეწყურა და გემოჲ იხილა და არა უნდა სუმის,
C39 A64 რამეთუ იყო მის თანა ბუნებითი იგი[9] ნებაჲ კაცების/აჲ[10]. **15.** / და
Bv კუალად, პავლე მოციქული იტყჳს, ვითარმედ: მორჩილ / იქმნა, ვიდრე
სიკუდილადმდე, და[1] სიკუდილითა[2] ჯუარისაჲთა*[3]. აწ უკუე მორჩილე-
ბაჲ საქმე არს ნებისაჲ. ხოლო მორჩილ იქმნა უფალი მამისა ვიდრე
სიკუდილადმდე. ამას არა ღმრთეებისათჳს იტყჳს, არამედ კაცებისა[3].

2 გამოისახოდა BFG 3 შთავცვივეთ AD **11.** 1 მათი] და B 2 ბუნებაჲცა] არსებაცა BF 3 არსებაჲ] ბუნებაჲ B 4 ~ არსებაჲცა ერთ არს და ბუნებაჲ C 5 თანა + და C 6 ერთსამცა CD 7 ვიტყოდეთ BCDFG 8 რომელი – G 9 იტყოდეს FG 10 განყოფილებისა D **12.** 1 ესერა AG 2 დაფარვად – D **13.** 1 ~ ნებასა ღვთაებისა მისისა BCDFG 2 ესე -A 3 ცხად არს... დაფარვად – D **14.** 1 მოვიდის A. მოვიდა D 2 გოგგოთაჲ B. გოგოთა G 3 ნაღვლითა A, ნაღულითა D 4 გემოჲ + რაჲ B 5 ინების D 6 უნდა D 7 იტყოდეს FG 8 წყურვილნი D 9 იგი – A 10 კაცისა D **15.** 1 და – A 2 სიკუდილითა მით B, სიკუდილითაღა A 3 კაცებისასა ABC, კაცებისათჳს D

*[1] მარკოზ 7,24; მათე 15, 21 *[2] მათე 27,34 *[3] ფილიპელთა 2,8

რამეთუ ღმრთეებით არცა მორჩილ არს, არცა ურჩ, ვითარცა წმიდაჲ გრიგოლ ღმრთისმეტყველი იტყჳს[*4], რამეთუ მორჩილებაჲ კელმწიფებასა შინა მყოფთათჳს ითქუმის, ხოლო ღმრთეებით ყოვლითურთ თანასწორ არს ძე მამისა. არამედ[4] კაცობრივისა ბუნებისათჳს ითქუმის, თუ მორჩილ იქმნა ვიდრე სიკუდილადმდე. საცნაურ / არს უკუე, ვი- D48
თარმედ ბუნებითი იგი ნებაჲ კაცებისაჲ იყო ქრისტეს თანა[*5].

**16**. ხოლო ბუნებითსა რაჲ ნებასა ვიტყოდით[1], არა იძულებითსა ვიტყჳთ, არამედ თჳთმფლობელსა. რამეთუ ყოველი სიტყჳერი ბუნებაჲ თჳთ/ მფლობელ არს. არა თუ საღმრთოჲ იგი ხოლო და Av B85
დაუბადებელი ბუნებაჲ გარეგან არს ყოვლისავე იძულებისა, არამედ დაბადებულნიცა[2] *[6] მისნი[3], რომელნიცა[4] სიტყჳერ არიან, თჳთმფლობელცა არიან, ანგელოზნი და კაცნი, რამეთუ[5] სიტყუაჲ ესე თჳთმფლობელობისაჲ ითქუმის ღმრთისათჳსცა და ანგელოზთათჳს და კაცთა, გარნა სხჳთა და სხჳთა საბითა. რამეთუ ღმრთისათჳს ითქუმის უზეშთაეს ყოვლისა სიტყჳსა და არსებისა, რამეთუ იგი მხოლოჲ არს ყოველთა დამბადებელი და მფლობელი და მეუფე. ხოლო ანგელოზნიცა
თჳთ/მფლობელად დაბადებულ არიან ღმრთისა მიერ, გარნა დაუყენე- Cv
ბელად აქუს საქმე მათი, რომელსაცა წარემართნენ. არა უკმს ჟამისა სიგრძე და სიტყუათა განზრახვაჲ. **17**. ხოლო კაცნი თჳთმფლობელვე[1]
არიან ბუნებით, არამედ აქუს ეშმაკთამიერიცა წინააღდგომაჲ[2] / და Bv
ჴორ/ცთა სიზრქე და სიმძიმე, და არა მსწრაფლ აღასრულებს დაუყ- A65
ენებელად საქმესა თჳსსა, არამედ გჳანად-რე. **18**. და ესეცა საცნაურ არს, უკუეთუ ადამ ნებსით[1] მიერჩდა ჭამად ხისა მისგან და ნებსით[2]
ჭამა, ნებაჲ იგი ჩუენ შორის ვნებულ იქმნა. ხოლო ვი/ნაჲთგან ნებაჲ[3] Dv
იგი ვნებულ იქმნა[4], უკუეთუ ბუნებასა თანა ჩუენსა[5] არა იგიცა მიიღო უფალმან, არა სადამე[6] ყოვლითურთ განვთავისუფლდით[7] ცოდვისაგან.[*7]
[a]და კუალად ორთაგან ნებათა ერთი შეერთებული ნებაჲ თქუმად ყოვლითურთ შეუძლებელ არს ქრისტესთჳს. ამისთჳს ჭეშმარიტებითა მით მართლმადიდებლობისაჲთა აღვიარებთ ერთსა შინა გუამსა ქრისტესსა ორთა ბუნებათა, ღმრთეებისა და კაცებისასა[8], და ორთა ნებათა

4 არამედ – F **16**. 1 ვიტყოდეთ FG 2 დაბადებულიცა B 3 მისი B 4 რომელნი D 5 რამეთუ] ხოლო D **17**. 1 თჳთმფლობელ FG 2 წინააღმდგომი F **18**. 1-2 ნებსით B 3 ნებაჲ] ვნება D 4 ხოლო ვინაჲთგან... იქმნა – F 5 ~ ჩუენსა თანა C 6 სადმე D 7 განთავისუფლდით B 8 კაცებისათა BCDFG

*[4] გრიგოლ ნაზიანზელი, or.30: 36 c.109 C2-4. *[5] მაქსიმე აღმსარებელი, სიტყუსგება პიროსის მიმართ: PG 91 c.324 A 12-B7. *[6]მაქსიმე აღმსარებელი, სიტყუსგება პიროსის მიმართ: PG 91 c. 293 B4-10, C10-15. *[7] მაქსიმე აღმსარებელი, სიტყუსგება პიროსის მიმართ: PG 91 c.324 D10-325 B9.

a „აწ უკუე საცნაურ... ცოდვისაგან“ (18,1-18), Εκδοσις 137-142, „გარდამოცემა“ 179-185

ბუნებითთა: საღმრთოსა და კაცებისასა, და ორთა საქმეთა: საღმრთოსა[9]
Av და კაცებისასა[10].*[8] [b] **19.** / რამეთუ აქუნდა, ვითარცა ღმერთსა და მამისა
B86 თანაარსსა, სა/ქმე იგი საღმრთოჲ და, ვითარცა კაცსა და ჩუენდა[1] თანაარსსა[2], კაცობრივისა ბუნებისა საქმე.

C40 უწყ/ებაჲ უკუე ჯერ-არს, ვითარმედ ცხორებაჲ[3] ესე ჩუენი საქმე არს ბუნებითი, და აღზრდაჲ და ჰასაკებაჲ და წარმართებაჲ რომელსამე[4] საქმესა და გონებითი თჳთმფლობელი ცნობაჲ და სხუანი ესევითარნი. ვინაჲთგან უკუე ესე ყოველი იყო ქრისტეს თანა, საცნაურ არს, ვითარმედ აქუნდა საქმე კაცობრივისა ბუნებისაჲ*[9]. და ესეცა, რომელი გონებასა[5] შინა ჩუენსა გულისკმისყოფაჲ აღესრულების და მოგონებაჲ, უხილავად გონებასა[6] შინა აღსრულებული, რომელი თჳნიერ მისა[7] არა ეგების ყოფაჲ, გონებისა საქმე არს ბუნებითი[8].

D49 **20.** კუალად ითქუმის საქმედ ბუნებითად პირმეტყუელებითიცა /
A66 ესე გამოცხადებაჲ ზრახვათა გონებისათაჲ, რამეთუ / რაჲ-იგი[1] გონებამან შინაგან უხილავად განიზრახის, სიტყჳერობამან[2] პირისამან გა-
Bv მოაცხადის / და სხუათა აუწყის[3]. და სხუანი იგი თითოსახენი საქმენი კაცებისანი საქმედ იწოდებიან. და რომელნიმე[4] არიან სულისანი ხოლო, და სხუანი არიან სულისანი[5] თანაკმარებითა კორცთაჲთა, და[6] სხუანი კუალად არიან კორცთა[7] გონიერთა და მშჯნვიერთანი, რამეთუ გონებამან წინაწარ იხილის ყოფადი იგი და განიზრახის და მერმელა კორცთა მიერ იქმნის[8]. არს უკუე მთავრობაჲ სულისაჲ და კორცნი
Cv ჰქონან, ვითარცა ჭურჭელი საქმედ მომზადებული, და ვიდრე/ცა ენებოს, იმორჩილებს მათ[9]. **21.** რომელნიმე უკუე საქმენი სულისა მიერ განიზრახვიან და გულისკმა-იყოფებიან და კორციელად არა აღესრულებიან. და სხუანი კუალად თანაშეწევნითა კორცთაჲთა იქმნებიან.
Av არს უკუე საქმე კორცთაჲ: შეხებაჲ და კელ/ყოფაჲ და ყოფადისა მის საქმისა აღსრულებაჲ, ხოლო სულისაჲ: გამოსახვაჲ და მოგონებაჲ და
B87 განწესებაჲ საქმი/საჲ მის.

**22.** ეგრეთვე უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესთჳს ვიტყჳთ, ვითარმედ[1]: ძალი იგი სასწაულთაჲ საქმე იყო ღმრთეებისა მისისაჲ,

9 საღმრთოთა CFG 10 კაცებისათა FG **19.** 1 ჩუენ BD 2 ჩუენთა არსსა B 3 ცხორებაჲ + მებრ ABCDG 4 რომელსაცე BDG, რომელსა F 5 გონებასა] ბუნებასა BCDFG 6 გონებასა] მოგონებასა FG 7 მისსა A, ამისსა BDF 8 ~ ბუნებითი არს BD **20.** 1 რაჲ-იგი] რაჲ D 2 სიტყჳერებამან DFG 3 უწყის D 4 რომელნიმენი A 5 ხოლო... სულისანი – D 6 და – A 7 და სხუანი... კორცთა – D 8 ქმნის A 9 მას D **22.** 1 ვითარმედ] რამეთუ BCDFG

*) მაქსიმე აღმსარებელი, სიტყჳსგება პიროსის მიმართ: PG 91 c.236 A7-C12. *) ანასტასი ანტიოქიელი, ფრაგმენტები: PG 94 c.1049 D 9s

b „და კუალად ორთაგან... კაცებისასა“ (18,18), Ἐκδοσις 142-143, „გარდამოცემა“ 186

ხოლო შეხებაჲ კელისაჲ და თქუმაჲ[2], თუ „მნებავს[3], განწმდი!"[*10], კაცებისა მისისა საქმე იყო. რამეთუ განტეხაჲ იგი პურთაჲ[*11] და სიტყუაჲ კეთროვნისა მის[4] მიმართ კაცებისა საქმე იყო, ხოლო განმრავლებაჲ იგი პურთა მათ და განწმედაჲ კეთროვნისაჲ ღმრთ/ეებისა საქმე Dv
იყო. **23**. რამეთუ ორივე იგი საქმე, საღმრთოჲ და კაცობრივი, ერთსა მას[1] ქრისტეს თანა ერთსა მას გუამსა შინა მისსა აღესრულებოდეს. რამეთუ ვითარცა ბუნებათა მათ ორთა ერთგუამად შეერთებასა აღვიარებთ და განყოფილებასა მათსა არა უვარ-ვჰყოფთ[2], არამედ ორა/დ A67
აღვრაცხავთ[3] და განუყოფელად[4] ვიტყჳთ, რამეთუ ერთისა გუამისა და ერთისა ქრისტესნი არიან, **24**. ეგრეთვე ნებათა და / საქმეთა Bv
შეერთებაჲცა ვიცით და ორად აღვრაცხავთ[1] და განყოფილებასა არა[2] შე/მოვიღებთ"[*12], რამეთუ ერთისა გუამისა და ერთისა ქრისტესნი არიან. C41
რამეთუ ვითარცა ჴორცნი უფლისანი განღმრთნეს[3] და შეცვალებაჲ თჳსისა ბუნებისაგან არა შეემთხჳა მათ, ეგრეთვე ნებაჲ და საქმე კაცებისა მისისაჲ საღმრთო იქმნეს[4] და თჳსთა წესთაგან არა განვიდეს. რამეთუ ერთი არს ქრისტე ორსავე[5] შინა, რომელი-იგი ღმერთ არს[6] და კაც და იგი თავადი იქმს ღმრთეებითაცა და კაცებითა.

**25**. საცნაურ უკუე იყავნ, ვითარმედ ორი საქმე ჯერ-არს ქრისტესთჳს თქუმად ორთა მათთჳს ბუნებათა. რამეთუ რომელთა ბუნებაჲ განყოფილ არს, საქმეცა განყოფილ არს, და რომელთა საქმე განიყოფის[1], ბუნებაჲცა განიყოფის[2]. და რომელ/თა ბუნებაჲ ერთ არს, საქმეცა ერთ Av
არს. და რომელთა[3] საქმე ერთ არს, ბუნებაჲცა ერთ არს, ვითარცა წმიდანი მამანი იტყჳან"[13]. **26**. / აწ უკუე რომელნი ერთსა საქმესა B88
და ერთსა ნებასა იტ/ყჳან ქრისტესსა, ერთიცა ბუნებაჲ[1] თქუმად[2] D50
შეემთხუევის. ხოლო ჩუენ, რომელნი სიტყჳსაებრ ჭეშმარიტებისა და სწავლისაებრ წმიდათა მოციქულთა და მამათაჲსა[3] ორთა ბუნებათა და ორთა არსებათა ქრისტესთა აღვიარებთ – ღმრთეებისა და კაცებისა, ეგრეთვე ორთა ნებათა და ორთა საქმეთა თანა-გუაც აღსაარებად და ქადაგებად. **27**. რამეთუ ღმრთეებითა სწორ არს და თანაარს მამისა და საქმითაცა[1] სწორ არს და თანაარს[2] მისა[3], ხოლო კაცებითა თანაარს ჩუენდა იქმნა და საქმითაცა მსგ/ავს იქმნა კაცთა. იტყჳს უკუე წმიდაჲ Cv
გრიგოლ ნოსელი, ვითარმედ: რომელთა საქმე ერთ არს, მათი ძალიცა

2 თქუმად D 3 ნებავს C 4 მის – BCDFG **23**. 1 ერთისა მის A 2 უარ-ვჰყოფთ BD 3 აღვჰრიცხუთ A, აღვრიცხავთ BD 4 განყოფილად B **24**. 1 აღვრიცხავთ –D, აღვჰრიცხუავთ A 2 არა – FG 3 განღმრთდეს FG 4 იქმნეს C 5 ორთავე D 6 ~ არს ღმერთ A **25**. 1-2 განიყოფვის B 3 რომელთამცა D **26**. 1 ბუნებად D 2 თქუმად – D 3 მამათა BCDFG **27**. 1 საქმითცა B 2 და თანაარს – ABCFG 3 მისსა B

*10 მათე 8,3 *11 მათე 15,36; იოანე 6,11 *12 მაქსიმე აღმსარებელი, სიტყჳსგება პიროსის მიმართ: PG91c.344 D-345 A *13 კონსტანტინეპოლის კრების (681 წ.) აქტი 10.

A68 / ერთ არს, რამეთუ ყოველი საქმე ძალისა სრულებაჲ არს. *[14] შეუ-
ძლებელ არს უკუე დაუბადებელისა მის და[4] დაბადებულისა ერთ
Bv ბუნება და ერთ ძალ და ერთ საქმე ყოფად. **28.** / ხოლო რომელნი
ერთსა საქმესა იტყჳან ქრისტესსა, იგინი კაცობრივისა მის სულისა
ვნებათა ღმრთეებასა[1] მას სიტყჳსასა მიაჩემებენ: შიშსა და მწუხარებასა
და ურვასა, რომელ-ესე უჯერო არს და უპირულ და ყოვლადვე შეუ-
ძლებელ. ამისთჳს ორთა აღვიარებთ საქმეთა მისთა ერთსა შინა გუამსა
განუყოფელსა. ვითარცა-იგი მახჳლისა განკურვებულისა ბუნებანიცა
ჩანან – ცეცხლისა და რკინისანი, და ეგრეთვე ორნი საქმენი იხილ-
Dv ვებიან, რამეთუ აქუს რკინა/სა მკუეთელობაჲ[2], ხოლო ცეცხლსა –
მწუველობაჲ. **29.** არს უკუე განკუეთაჲ საქმე რკინისაჲ და დაწუვაჲ[1]
Av – ცეცხლისაჲ. და იხილვების განყოფილებაჲ მათი დამწ/უარისა მის[3]
განკუეთილებასა შინა და განკუეთილისა[4] – დამწუარსა. და არცა
დაწუვაჲ იგი[5] თჳნიერ განკუეთისა მის იქმნა, არცა განკუეთაჲ[6] –
B89 თჳნიერ დაწჳსა. / არცა ვიტყჳთ, თუ ვინაჲთგან ესე რაჲ ორნი საქმენი
ჩანან, ორნი სადამე არიან დანაკნი განკურვებულნი. რამეთუ ერთისა
C42 დანაკისა მიერ[6] განკურვებულისა იქმნა ყოველივე – განკ/უეთაჲცა და
დაწუვაჲ. არცა კუალად ერთობისათჳს განკურვებულისა მის დანაკისა
შერევნასა ვყოფთ ბუნებითისა მის განყოფილებისა მათისასა[8]. *[15]

**30.** ეგრეთვე ქრისტეს თანა იყო ღმრთეებისა მისისა საღმრთოჲ
იგი და ყოვლად ძლიერი საქმე და კაცებისა[1] მისისაჲ – მსგავსი
ჩუენისა ბუნებისაჲ[2]. რამეთუ[3] რომელ-იგი უპყრა კელი ყრმასა მას
მომკუდარსა და აღზიდნა, კაცებისა საქმე იყო, ხოლო განცოცხლე-
ბაჲ მკუდრისაჲ საქმე იყო საღმრთოჲ. რამეთუ[4] სხუაჲ არს ესე / და
A69 სხუაჲ არს იგი, დაღაცათუ განუყოფელ[5] არიან ურთიერთას, რამეთუ
ერთისა მის ქრისტესნი არიან ორნივე საქმენი. **31.** ხოლო რომელნი
Bv ერთგუამოვნებისათჳს ქრისტესა[1] ერთსა / საქმესა იტყჳან, მათ ერ-
თიცა სადამე ბუნებაჲ[2] თქუან და სრულ-ყონ თჳსი იგი[3] გმობაჲ. ანუ
ვითარ-მე იტყჳან ერთსა საქმესა უფლისასა, საღმრთოსა იტყჳან ანუ
კაცობრივსა, ანუ ორისა მისგან სხუასა რასმე ახალსა იგონებენ[4]? **32.**
უკუეთუ საღმრთოჲ ოდენ თქუან, კაცებისაგან განაშიშულებენ[1] და
უკუეთუ კაცობრივი ოდენ თქუან, ლიტონად კაცად გონებენ. ხოლო

4 და – A **28**. 1 ღმრთეებისა B 2 მკუეთობაჲ CDG **29**. 1 დაწუვაჲ 1 საქმე F 2 დამწუარსა მას AC 3 მის – D 4 განკუეთილსა ABD 5 იგი – BG 6 განკუეთილებაჲ A 7 ~ მერ დანაკისა F 9 მათისასა BCFG **30**. 1 კაცობისა C 2 ~ ბუნებისა ჩუენისა D 3 რამეთუ – C 4 რამეთუ] ხოლო D 5 განუყოფელ] განყოფილ B **31** 1 ქრისტესსა B 2 ~ ბუნებაჲ სადმე A 3 იგი – B 4 გონებენ D **32**. 1 განაშიშულებენ] განაშორებენ B

*[14] გრიგოლ ნოსელი. De Oratione Dominica, or.4: PG 44, c. 1160 A6-8.

*[15] მაქსიმე აღმსარებელი, სიტყვისგება პიროსის მიმართ: PG91 c. 337 D-340 A; 344CD.

უკუეთუ ორსავე უვარ-ჰყოფენ, სრულიად ქრისტე უვარ-უყოფიეს[2], რამეთუ შეერთებაჲ გუამისაჲ იქმნა, ხოლო ბუნებათა თჳთებაჲ[3] არა შეირია. ვინაჲთგან უკუე ბუნებანი განწესებულად არიან, განწესებულ არიან საქმენიცა, რამეთუ/ არა არს ბუნებაჲ უსაქმოჲ. Cv

**33**. აწ უკუე რომელნი ერ/თსა საქმესა იტყოდიან[1] ქრისტესსა, Av
ანუ დაბადებულსა იტყჳან, ანუ დაუბადებელსა, რამეთუ საშუალ ამ-
ათსა არა არს სხუაჲ / საქმე. ვითარცა-იგი არცა ბუნებაჲ იპოვების B90
შორის დაუბადებელსა და დაბადებულსა, ცხად არს უკუე, ვითარმედ
უკუეთუ დაბადებულად თქუან საქმე ქრისტესი, დაბადებულსა ოდენ
მოასწავებენ ბუნებასა, და უკუეთუ დაუბადებელად თქუან საქმე მისი,
დაუბადებელსა ოდენ იტყჳან[2] ბუნებასა, და ორკერძოვე წვალებასა[3]
შთავარდებიან."[16] **34**. რამეთუ რავდენიცა საქმე იყოს და ვითარიცა[1],
ეგრეთვე ბუნებანიცა მოესწავებიან. ვითარ უკუე ეგების ქრისტესთჳს
ერთისა საქმისა თქუმაჲ, რომლისა მიერ საღმრთონიცა აღესრულე-
ბოდეს წესნი და კაცო/ბრივნი? რამეთუ არარაჲ არს, რომელიმცა Dv
ბუნებითსა[2] წესსა თჳსსა ზედა ეგო და წინააღმდგომსაცა თჳსისა
ბუნებისასა აღასრულებდა, ვითარ-იგი ცეცხლისაგან / არა ეგების, A70
თუმცა გრილმცა[3] იყო და მკურვალე. არცა წყლისაგ/ან შესაძლებელ Bv
არს, თუმცა კმელიმცა იყო და ნოტიაჲ. არამედ ცეცხლისაჲ არს
სიმკურვალე და სიკმელე და წყლისაჲ არს სიგრილე და ნოტიობა.

**35**. ეგრეთ არიან[1] ყოველნი ბუნებანი. ვითარმცა უკუე ეგე-
ბოდა, რაჲთამცა რომელი-იგი ბუნებით ღმერთ არს და ბუნებით კაც
იქმნა, რაჲთამცა სასწაულთაცა და ვნებათა, რომელნი ჯორციელად C43
თავს/-ისხნა, ერთითამცა საქმითა აღასრულებდა, ნუ იყოფინ! არამედ
სასწაულთა იქმოდა ღმრთეებისა საქმითა და კაცობრივთა — კაცებისა
საქმითა[2]. **36**. ვითარცა[1] იტყჳს წმიდაჲ იოვანე ოქროპირი „თარგმანებასა
შინა მოციქულთა საქმეთასა[2]", ვითარმედ: ვნებასა მასცა ქრისტესსა
საქმედ სახელ-ვსდებთ. რამეთუ[3] ვნებითა მით ცხოველსმყოფელითა
ქმნა დიდი იგი და საკჳრ/ელი საქმე: დაჴსნაჲ სიკუდილისაჲ და Av
წარმოტყუენვაჲ[4] ჯოჯოხეთისაჲ. **37**. / ხოლო ვინ არს იგი კაცი, რომ- B91
ელი იყოს უფალი გონებისაჲ და თქუას ერთი საქმე ღმრთეებისა და
კაცებისაჲ? ვითარცა იტყჳს ნეტარი კჳრილე, ვითარმედ: არცა ლაზ-
ყოველივე არასრულთა საქმეთაგან შეერთებული შეზავებულ იწოდების, ხოლო სრულთა გუამთაგან შერეულებაჲ არა იქმნების 5,19.

*უსრული* M 55,44v I ; I 55,58v I.

**არახილული** – **ἀόρατος** 8,8 – თვალით უხილავი, არამატერიალური:

[არს ღმერთი]... არახილულთა დამბადებელი 5,4.

*უხილავი* M 145,40v II ; I 45,56v I.

**არსებაჲ** – 1. **ἡ οὐσία** 4,2 – არსება, სუბსტანცია, შინაგანი არსი, თვითმდგომი, თვითმყოფი:

თუ რაჲ არს არსებაჲ და ბუნებაჲ ღმრთისაჲ, ესე მიუწთომელ არს 4,2.

რაჲ არს არსებაჲ იგი ღმრთისაჲ ... ვითარ იშვა ღმრთისაგან მამისა ღმერთი ძე... ესე საიდუმლონი უცნაურ არიან ჩუენგან 2,7.

ვინ იპყრობს და სცავს დაუკსნელად არსებასა ყოველთა არსთასა 3,12.

2. **τὸ ὄν** 13,29 – არსი, არსებული, მყოფი:

ბუნებაჲ მისი [ღმრთის]... უზეშთაეს არს ყოვლისავე არსებისა 4,4.

*არსი* M 40,38v I; I 40,55v I.

3. **τὸ φύραμα** 123,14 მასალა, მატერია:

[ქრისტემ] მიიღო დასაბამი არსებისა ჩუენისაჲ – კორცნი სულითურთ გონიერით 14,2.

*თბე* M 164, 86r ; I 164,79v. (*თბე* – ესე არს ახალი ფქვილი რა შეზილო. ხოლო ცომი რა დამჟავდეს, საფუარ იქმნას. ლექსიკონი ქართული).

**არსებაჲ და ბუნებაჲ** – **ἡ οὐσία** 48,2 – სუბსტანცია:

სხუაჲ არს არსებაჲ და ბუნებაჲ და სხუაჲ არს გუამი და თჳთებაჲ და პირი 12,16.

ბუნებაჲ და არსებაჲ არს ზიარი იგი საქმე, რომელსა ჰქონან ერთარსნი იგი გუამნი 12,20.

*არსებაჲ* M 156,83r I; I 156, 78r II.

**არსებითი** – **οὐσιώδες** 114,67 – ბუნებითი, არსობრივი:

ჭეშმარიტი იყო შეერთებაჲ იგი არსებითი და არა საოცრად 12,11.

**არსებითი განყოფილებაჲ** – **ἡ οὐσιώδες διαφορά** 115,70 – არსების მიხედვით განსხვავებულობა:

შეიერთნეს ორნი იგი ბუნებანი ერთსა შინა გუამსა ძისა ღმრთისასა და არსებითი იგი განყოფილებაჲ მათი ეგო შეურევნელად 12,11.

ორთა მათ ბუნებათა არსებითი განყოფილებაჲ შეურევნელად უწყით 12,14.

**არსი** – **τὸ ὄν** 11,22 – არსება, მყოფი, ქმნილება:

ყოველნივე არსნი... დაბადებულნი არიან 3,5.

*არსთაგანი* M 37, 37v I; *მყოფი* I 37,54v II.

**ასოჲ** – **τὸ στοιχεῖον** – ელემენტი, ნაწილი:
არა თუ მცირედ-მცირედ შეიმზადა, არამედ ერთბამად სრულ იქმნა ყოველივე ასოები 11,10.

**აღვსებული** – **πληρούμενον** 26,179:
[სული წმიდაჲ ]... არს ყოველთა აღმავსებელ და არა აღვსებულ 5,14.

**აღზუავება** – **ἐπαίρω** 18,8 – გაკადნიერება, აღბორგება:
აღზუავნა უბადრუკი იგი [ეშმაკი] 10,1.

**აღმავალი** – **ἄνω τυγχάνω** 106,71-72:
[ეშმაკმან] ცნა, ვითარმედ მას პატივსა, რომლისაგან იგი გარდამოვარდა, ადამი აღმავალ არს 10,3.
*ზეაღსრულ* M 147, 79v I. *ზენათა მიმთხუეულ* I 147,76v II.

**აღმავსებელი** – **πληροῦν** 26,179:
[სული წმიდაჲ არს] ყოველთა აღმავსებელ და არა აღვსებულ 5,14.

**აღორძინება** – **ἡ αὔξεσις** 11,32 – გამრავლება, განახლება:
ხილულნი აღორძნდებიან 3,7.

**აღრაცხუა** – **ἀριθμέω** 118,23 – აღრიცხვა:
სამგუამოვნებაჲ იგი წმიდისა სამებისაჲ ... აღირაცხუან სამებად 13,3.

**აღტყინება** – ანთება, აღგზნება:
არა თავით თჳსით აღეტყინა ცეცხლი იგი რკინისაჲ მას შინა მყოფი 14,7.

**აღუძრველი** – **ἀκίνετος** 47,58 – არ ამყოლი, მიუდრეკელი:
[ანგელოზები] სრულიად აღუბრველ არიან ყოვლისავე ბოროტისა მიმართ 7,14.

## ბ

**ბევრის-ბევრეული** – ათასობით, მრავალი:
არა ერთი პირი არს კაცთაჲ, არამედ ბევრის-ბევრეული 24,25.
*ბევრეულნი* I S 1463, 13v (ანასტასი სინელი, „წინამძღუარი").

**ბნელი** – **ὁ σκότος** 49,10 – სიბნელე:
ბნელი მოკლებაჲ არს ნათლისაჲ 10,2.

**ბუნებაჲ** – 1. **ἡ οὐσία** 132,5 – არსება, სუბსტანცია:
ხოლო რომელსა ენებოს ბუნებისა რაჲსაჲმე თქუმად, არა იგი უკმს თქუმად, რომელ არა არს, არამედ რომელ არს 4,4.
*არსებაჲ* M 40,38v II; I 40,55v I.

2. ἡ φύσις 12,2 – ბუნება, არსება:

თუ რაჲ არს არსებაჲ და ბუნებაჲ ღმრთისაჲ, ესე მიუწდომელ არს 4,2.

გუამოვნითა თჳთებითა განიყოფების სამგუამოვნებაჲ იგი წმიდისა სამებისაჲ, არა არსებითა ანუ ბუნებითა, არამედ გუამოვნებითა თჳთებითა 5,17.

ბუნებაჲ და არსებაჲ ერთ არს, ზიარი იგი საქმე, რომელსა ჰქონან ერთარსნი ივი გუამნი 12,20.

ხოლო რომელსა ენებოს ბუნებისა რაჲსაჲმე თქუმად, არა იგი უკმს თქუმად, რომელ არა არს; ხოლო ღმრთისათჳს შეუძლებელ არს თქუმად, თუ რაჲ არს ბუნებაჲ მისი 4,4.

არსებაჲ M 40, 38v II; I 40,5v II.

3. τὸ εἶδος 116,3 – სახეობა:

არსებაჲ ზიარსა მას ბუნებასა ერთსახეთა მათ გუამთასა მოასწავებს გინა თუ ღმრთისათჳს ვიტყოდით, გინა თუ ანგელოზთათჳს 12,21.

სახე M 156, 83r I; I 156, 78r II.

4. ἡ κτίσις 19,25 – ქმნილება:

არს ღმერთი თაყუანისცემული ყოველთა მიერ პირმეტყუელთა ბუნებათა 5,5.

აგებულება M 46, 41 r I; აგებული I 46,56v II.

ბუნებაჲ დაბადებულთაჲ – ყოველივე არსებულის ბუნება:

ყოველივე მის მიერ შეიქმნა ბუნებაჲ დაბადებულთაჲ 5,11.

ბუნებაჲ ჴორცთაჲ – ἡ φύσις τῆς σαρκός (ანასტასი სინელი, წინამძღუარი) PG 89 c.137 C 4-5 – კაცობრივი ბუნება:

ნუ უვარ-ჰყოფ ბუნებასა ჴორცთასა, მწვალებელო! 24,36.

ბუნებით – φυσικῷς 10,4 – ბუნებრივად, ბუნების მიხედვით:

მეცნიერებაჲ ღმრთისაჲ დანერგულ არს ბუნებით ჩუენ თანა 3,1.

ბუნებითად – φυσικός (ანასტასი სინელი, წინამძღუარი) PG 89, c.136 D – ბუნებრივი, ბუნების შესაბამისი:

ბუნებითად შობად ჭეშმარიტი შობაჲ ვთქუ 24,33.

ბუნებითი ნებაჲ – τὸ φυσικὸν θέλημα 142,115 – ბუნებითი ნება, თანდაყოლილი, ნებაყოფლობითი:

ხოლო ბუნებითსა რაჲ ნებასა ვიტყოდით, არა იძულებითსა ვიტყუთ, არამედ თჳთმფლობელსა 18,16.

**გამოთქუმული – ῥητός** 8,3 – რაც გამოითქმება:
საღმრთონი საქმენი... არცა ყოველნი გამოთქუმულ არიან 2,1.
*სათქუმელ* I 34,54r II.

**გამომავალი – ἐκπορεύω** 9,19
სული წმიდაჲ [არს] გამომავალი მამისაგან 2,5.

**გამოსლვაჲ – ἐκπορεύω** 26,191
სული წმიდაჲ მამისაგანვე არს, გარნა არა შობით, ვითარცა ძე, არამედ გამოსლვით 5,16.
რაჲ არს განყოფილებაჲ შობისა მის და გამოსლვისაჲ, არცა გუსწავიეს, არცა უწყით 5,16.

**გამოუთქუმელი – ἄρρητον** 8,2 – სიტყვით გამოუხატველი:
სხუაჲ არს საცნაური და სხუაჲ არს გამოუთქუმელი 2,1.

**გამოუსახველი – ἀσχημάτιστος** 12,4
[არსებაჲ და ბუნებაჲ ღმრთისაჲ ... არს] გამოუსახველ 4,2.
*უსახო* I 39,54r II.
[ესაიას] ეგრეცა ეჩუენებოდა უხილავი იგი და გამოუსახველი ღმერთი 24,25.
*დაუსახველი* I S 1463,14v, ანასტასი სინელი, წინამძღუარი.

**გამოცხადება – φανερόω** 145,26 – უწყება, გამჟღავნება:
გამოგუცხადა ღმერთმან და მამამან ძალისაებრ ჩუენისა მეცნიერებაჲ თჳსი 1,5.
კუალად ითქუმის საქმედ ბუნებითად პირმეტყუელებითიცა ესე გამოცხადებაჲ ზრახვათა გონებისათაჲ 18,20.
2. **ἡ ἀποκάλυψις** – გამჟღავნება:
შემდგომად დიდებულისა მის ბუნებისა ღმრთეებისა არავინ იცის ღმერთი, გარნა რომლისა მას უნდეს გამოცხადებად, გამოუცხადოს 1,4.

**განათლებაჲ – ὁ φωτισμός** 46,30
მიიღებენ იგინი [ანგელოზები] განათლებასა და მადლსა შემსგავსებულად პატივისა და წესისა მათისა 7,8.

**განახლება – ἡ ἀνακίνησις** 107,22
დამჴსნელი იგი სიკუდილისაჲ უცოდველ იყო და არა თანამდებ სიკუდილისა, რაჲთამცა მის მიერ განახლდა ბუნებაჲ ჩუენი 11,2.

**განგება – συντηρέω** 11,38 – მართვა:
და თჳთ აგებულებაჲცა... დაბადებულთაჲ და განგებაჲ მათი... გუასწავებს, ვითარმედ არს ღმერთი 3,9.

**განგებული** – ὁ οἰκονόμος 76,33 – განწესებული:
[კაცი არს] ცხოველი აქა განგებული ამას საწუთროსა 8,3.
*განგებადი* M 111,65r II.

**განგებულებაჲ** – 1. ἡ οἰκονομία (ანასტასი სინელი, წინამძღუარი) PG 89 117 B 7 – განგება, მოწყობა, განწესება:
არათუ ბუნებანი ორ გუამად განიყოფიან, არამედ შესაძრწუნებელი იგი განგებულებაჲ ორთა მათ ბუნებათა ერთ გუამად შეაერთებს 23,78.
საღმრთოჲსა მის განგებულებისათჳს და ჩუენისა მის წყალობისათჳს და ცხორებისა, რომელ ყო უფალმა განკაცებითა თჳსითა 11,1.
2. ἡ κυβέρνησις 7,16 – განგება, მართვა:
არს ღმერთი... და აგებულებაჲცა დაბადებულთაჲ ... და განგებულებაჲ ჰქადაგებს დიდებულებასა... ღმრთისასა 1,5.
*მართებაჲ* M 34,36r II; I 34,54r I.

**განდრეკილი** – არასწორი, არაჭეშმარიტი:
მოგეცინ უფალმან მეცნიერებაჲ ცნობად, ანუ რომელი არს დრკუაჲ და განდრეკილი 23,70.

**განზრახვაჲ** – ἡ γνώμη139,52 – ზრახვა, ფიქრი, ცნობა, გაგება:
არა წინააღმდგომითა განზრახვითა ენებნეს, არამედ თჳთებითა ბუნებათაჲთა 18,7.
*ნებაჲ* M 181,92r II; *ჯერჩინება* I 181,82v I.
არცა ნებისა განყოფილებაჲ არს, ანუ განზრახვისა, ანუ საქმისა, ანუ სხჳსა რაჲსაჲმე, რომელი განყოფილებასამცა იქმოდა, ვითარ-ესე ჩუენ შორის იქმნების 5,27.
*ცნობა* M 57,45v I; *სათნოყოფა* I 57,59r II.

**განთჳსებული** – 1. ἰδικός (ანასტასი სინელი, წინამძღუარი) PG 89, c.137 A 14 – საკუთარი, განცალკევებული:
პირი მოასწავებს განთჳსებულსა მას გუამსა 24,34.
2. μονότροπος 111, 22 – განცალკევებული, კონკრეტული:
ქრისტე გუამოვნებისა მის სახელი არს, არა ერთსა ზედა ითქუმის განთჳსებულად, არამედ ორთა მათ ბუნებათა მომასწავებელ არს 12,4.
*ერთი რაჲმე პირი* M 153,81v I; *ერთსახეობაჲ* I 153,77v I.

**განკაცებაჲ** – 1. τὸ ἀνθρωπισθῆναι 136,65 – ქრისტეს განხორციელება:
წმიდაჲ იგი ქალწული ღმრთისმშობელი ექმნა მიზეზ დამბადებელისა დაბადებად და ღმრთისა განკაცებად 16,14.
2. οὐσιωθῆναι 51, 188 – განხორციელება, ადამიანად ქცევა:
[ქრისტე] უაღრეს ბუნებათა განკაცნა 18,41.
*არს-ქმნა* M 197,98r I; I 197,85r II.

მწვალებელნი ვინაჲთგან იტყჳან, თუ შემდგომად განკაცებისა ერთი ბუნებაჲ იყო ქრისტეს თანა შეზავებული ღმრთეებისაგან და კაცებისა 12,3.

**განკაცებისა განგებულებაჲ** – **ἡ ὑπερεχούσης οἰκονομία** 118,14

კუალად დიდებულსა მას... განკაცებისა განგებულებასა... უფლისა ჩუენისა იესუ ქრიტესსა, ორთა ბუნებათა აღვიარებთ 13,2.

*ზეშთა აღმატებული განგებულებაჲ* M 159,84r I; *ზესთა აღმატებული განგებულებაჲ* I 159,78v II.

**განკაცებული** – **ἐνανθρώπησας** 110, 34:

ამისთჳს ქრისტესა არა კაცად ვიტყჳთ განღმრთობილად, **არამედ** ღმერთად განკაცებულად 11,11.

**განკუეთა** – **τέμνω** 129,21 – განყოფა, დაცალკევება:

საცნაურ არს უკუე ვითარმედ, რომელი-იგი თქუა მამისათჳს, თუ „რომლისაგან ყოველი“, და ძისათჳს, თუ „რომლისა მიერ ყოველი“, და სულისა წმიდისათჳს, „რომლისა ძლით ყოველი“, არა ბუნებათა განკუეთს 14,3.

[სამების წევრები] არცა განიყოფებიან, ანუ განიკუეთებიან არსებითა და ბუნებითა წვალებისა მისებრ არიოზისა 5,28.

**განმგებელი** – **ὁ οἰκονόμος** 47,56 – მმართველი:

დადგინებულ არიან ვიეთნიმე მათგანნი კერძოთა ქუეყანისათა განმგებელად ნათესავთა 7,13.

არს ღმერთი... განმგებელი ყოველთაჲ 3,1.

**განმკითხველი** – **ὁ κριτής** 9,15 – განმსჯელი:

არს ღმერთი... ყოველთა მეუფე... განმკითხველი 2,3.

*მსაჯული* M 35,36v I , I 35,54r II.

**განმწმედელი** – **ἁγιάζον** 26,180 – წმიდა-მყოფელი:

[სული წმიდაჲ არს] განმწმედელ და არა განწმედილ 5,14.

*წმიდა-მყოფელი* M 54,44r I; I 54,57 v II.

**განრომა** – **ἀπάγω** 107,24 – გარიდება:

მის [ქრისტეს] მიერ განახლდა ბუნებაჲ ჩუენი და განერა ხრწნილებისაგან და უხრწნელებაჲ შეიმოსა 11,2.

*განმყოფელი* M 149,80r; *წასლვა* I 149,77r I.

**განსაზღვრებაჲ** – **ὁ ὅρος** 45,11 – განსაზღვრება, ხასიათი:

ხოლო სახე და განსაზღვრებაჲ და გუარი ბუნებისა მათისაჲ მხოლომან უწყის დამბადებელმან მათმან 7,4.

*საზღვარი* I 76,62v II.

**განუყოფელად** – **ἀδιαστάτος** 19,25

[სამებაჲ]... განუყოფელად განიყოფჳს საკჳრველად 5,6.

**განუყოფელი** – 1. **ἀμέριστος** 29,263 – განუცალკევებელი, განუწვალებელი:

განუყოფელ არს ბუნებით ღმრთებაჲ განყოფილთა გუამთა შორის 5,28.

*განუკერძოებელ* I 58,58v II.

ერთი [არს] ღმერთი კაცი სრული, სამთა სრულთა შინა ერთი სრული, განუყოფელი და შეურწყუმელი 5,30.

2. **ἀδιάστατος** 19,25 – განუშორებელი:

[სამებაჲ]... განუყოფელად განიყოფის საკჳრველად 5,5.

*განუშორებელი* I 46,56v II.

**განუყოფელი განყოფა** – **ἀδιαστάτως διαιρουμένη** 19,25

შეურევნელად შეიერთების წმიდაჲ იგი სამგუამოვნებაჲ და განუყოფელად განიყოფის საკჳრველად 5,5.

*განუშორებელად განყოფილ* I 46,56v II.

[მამაჲ, ძე და სული წმიდაჲ] შეერთებულ არიან შეურევნელად და განიყოფებიან განუყოფელად 18,18.

*განყოფაჲ განუშორებელი* I 159,78v I.

**განუყოფელობაჲ** – 1. **ἄτμητος** 125,44

ვიტყჳთ, ყოვლითურთ ღმერთ და ყოვლითურთ კაც, რაჲთა ერთობაჲ იგი და განუყოფელობაჲ გულისჴმა-ვყოთ გუამისა მის ყოვლად წმიდისაჲ 14,16.

*განუკუეთელობაჲ* M 165,86v I; I 165,79v II.

2. **ἀδιαίρετος** 27,220

განუყოფელობითა ყოვლისავე საქმისაჲთა ერთღმრთებასა აღვიარებთ 5,20.

*განუწვალებელობაჲ* I 55,58v I.

**განუშორებელი** – **ἀνεκφοίτητος** 26,185 – განუყოფელი:

[სული წმიდაჲ არს]... განუშორებელ მამისაგან და ძისა 5,14.

**განუშორებელობაჲ** – 1. **περιχωρέω** 29,263 – განუყოფლობა:

[მამაჲ, ძე და სული წმიდაჲ] შეერთებულ არიან... ერთბამად ყოფითა და განუშორებელობითა თჳნიერ ყოვლისავე შერეულებისა 5,28.

*ურთიერთას განყოფა* M 57,45v I;

*ურთიერთასის შორის ყოფა* I 57,59r II.

2. **ἔχεσθαι** 29,255 – თანაობა, თანაყოფა:

ერთბამად არიან გუამნი იგი, არათუ შერეულებით, ნუ იყოფინ! არამედ განუშორებელობით 5,26.

*მახლობელობა* M 57,45r II; *ურთიერთას დატევნა* I 57,59r II.

**განღმრთობილი** – **ἀποθεωθήν** 110,33 – ღმერთად ქცეული:
ამისთჳს ქრისტესა არა კაცად ვიტყჳთ განღმრთობილად 11,11.

**განყენება** – 1. **τίθημι** 129,13 – გამოყოფა:
არათუ მამასა და ძესა უკუდავებისაგან განვაყენებთ 15,2.
*განჴუება* M 170,87v II; *გარეგან დასხმა* I 170,80v I.
2. **χωρίζω** 111,4
არცა სალმრთოჲ იგი ბუნებაჲ განეყენა თჳსისა მისგან წესისა 12,1.
*ქცეულ* M 152,81r II; *განდგომა* I 152,77v I.

**განყოფა** – 1. **τίθημι** 129,4 – დაცალკევება, გაყოფა:
მან უშჯულომან მეოთხე პირი შემოიღო და თჳსაგან განყო ძე ღმრთისაჲ 14,1.
*განყოფილად დამდებელი* M 170,78v II; *თჳსაგან დამდებელი* I 170, 80v I.
2. **ἐξίστημι** 29,264
[სამების წევრები] არცა განიყოფებიან, არცა განიკუეთებიან არსებითა და ბუნებითა წვალებისა მისებრ არიოზისა 5,28.

**განყოფადი** – **ἡ διάστασις** 27,215
ყოველივე შეზავებული განყოფადი არს 5,19.
*განწვალება* M 55,44v II; *განყოფა* I 55,58v II.

**განყოფილი** – 1. **φιλοῦν** 125,37
არა ვქადაგებთ მას ღმრთად ოდენ განშიშულებულად კაცებისაგან, არცა კაცად ხოლო ლიტონად, განყოფილად ღმრთეებისაგან 14,14.
*განშიშულებული* M 165,86r II.
2. **μεμερισμένος** 29,265 – განცალკევებული, დამოუკიდებელი:
განუყოფელ არს ბუნებით ღმრთეებაჲ განყოფილთა გუამთა შორის 5,28.
*განყოფა* M 58,45v I; *განკერძოებული* I 58,58v II.
3. **ἴδιος** 28,231 – თავისთავადი, განცალკევებული, დამოუკიდებელი:
თითოეული თავად თჳსად განყოფილ არს 5, 22.
განუყოფელ არს ბუნებით ღმრთეებაჲ განყოფილთა გუამთა შორის 5,28.
[პეტრეს, პავლეს და იოვანეს გუამნი]... ადგილითაცა განყოფილ არიან და ჟამითა 5,22.

**განყოფილებაჲ** – 1. **ἡ διαίρεσις** 29,250 – განსხვავება:
განყოფილებაჲ იგი გუამოვნებისაჲ გონებით გულისჴმა-იყოფების 5, 10.
2. **ἡ διαφορά** 26,191 – განსხვავება:
თუ რაჲ არს განყოფილებაჲ შობისა მის და გამოსლვისაჲ, არცა გჳსწავიეს 5,16.

**განყოფილებით** – ἰδικῶς (ანასტასი სინელი, წინამძღუარი) PG 89 c.153 – ცალკე:

[ქრისტე] განყოფილებით ვთქუათ კაცად და განყოფილებით ღმრთად 24,48.

*განთკსება* I 17v.

**განშიშულება** – **γυμνόω** 106,4:

[ადამი] განშიშულდა კაღნიერებისა მისგან, რომელი აქუნდა ღმრთისა მიმართ 10,4.

უკუეთუ საღმრთოჲ ოდენ თქუან, კაცებისაგან განაშიშულებენ 18,31.

**განშიშულებული** – **γυμνός** 125,36 – მოცილებული, დაცლილი:

არა ვქადაგებთ მას ღმრთად ოდენ განშიშულებულად კაცებისაგან, არცა კაცად ხოლო ლიტონად, განყოფილად ღმრთეებისაგან 14,15.

**განშორებაჲ** – **ἡ διάστασις** 118,23:

რიცხჳ იგი განყოფასა ანუ განშორებასა ანუ განკუეთილობასა მათ შორის არა იქმს, რამეთუ ერთ ღმერთად ვიცით მამაჲ და ძე და სული წმიდაჲ 13,3.

*განწვალებაჲ* M 159,84rI; I 159 78vII.

**განწესება** – **ἡ τάξις** 11,44 – დაწესება, დადგენა:

ვინ განაწესნა ზეცისათანი და ქუეყანისანი, რავდენნი არიან ჰაერთა შინა და რავდენნი წყალთა შინა? 3,10.

**განწესებული** – **τάσσω** 47,55 – დაწესებული, დადგენილი:

ქრისტიანეთა კაცად-კაცადსა ანგელოზი განწესებულ არს... მცველად და შემწედ კეთილისა მიმართ 6,13.

ესრეთ განაწესა კაცი სოფელსა ამას შინა 8,3.

ვინ განაწესნა ზეცათანი და ქუეყანისანი? 3,10.

*წესიერება* I 38,55r II.

**განწმედილი** – **ἁγιαζόμενον** 26,180:

[სული წმიდაჲ არს] განმწმედელ და არა განწმედილ 5,14.

*წმიდაყოფადი* M 54,44r I; *წმიდაქმნული* I 54,57r II.

**განწყობილებაჲ** – დაწესება, დაწყობა:

ესრეთ გუაუწყებს წმიდაჲ დიონისიოს განწყობილებასა მათსა ცხრა დასად 7,1.

**განხრწნა** – **ἡ φθορά** 11,32 – განადგურება, მოსპობა:

ხილულნი... განიხრწნებიან 3,7.

**განჴორციელებული** – ἡ σάρκωσις 125,45 – განკაცებული:

ერთსა ბუნებასა აღვიარებთ სიტყჳსა ღმრთისასა განჴორციელებულსა 14,17.

**გარდამეტებული** – ἡ ὑπερβολή 45,2 – გადაჭარბებული, მეტისმეტი:

ღმერთმან გარდამეტებულითა მით სახიერებითა სათნო-იყო ქმნაჲ დაბადებულთაჲ 6,2.

[ღმერთმა] ქმნა აგებულებაჲ კაცისაჲ სახედ უზეშთაესისა სიბრძნისა მისისა და გარდამეტებულისა მის სახიერებისა 8,1.

**გარდამოგდება:**

შეჰრისხნა მას ღმერთმან და გარდამოაგდო იგი პატივისა მისგან ზეცათაჲსა 10,2.

**გარდამოვარდნა** – κατωγενόμενος 106,71 – დაცემა:

[ეშმაკმა] ცნა, ვითარმედ მას პატივსა, რომლისაგან იგი გარდამოვარდა, ადამი აღმავალ არს 10,3.

*ქუე-დაკუეთებულ* M 147,79v I; *ქუენა-ქმნილი* I 147,76v II.

**გარდამოცჳნება:**

რომელნი-იგი [ეშმაკნი] პატივისა მისგან ანგელოზთაჲსა გარდამოცჳნეს 7,14.

**გარდასლვაჲ** – გადახვევა, ურჩება, შეცოდება:

[ეშმაკმა ადამს] გარდასლვაჲ მცნებისა მის საღმრთოჲსაჲ აზრახა 10,3.

გარდასლვითგან მცნებისაჲთ დაგუსაჯნეს 20,2.

**გარეგან** – ἐκ 49,7 – გარეშე, გარეთ:

[ეშმაკი] იქმნა გარეგან ბუნებისა 10,1.

არათუ საღმრთოჲ იგი ხოლო და დაუბადებელი ბუნებაჲ გარეგან არს ყოვლისავე იძულებისა 18,16.

**გარეშემოუწერელი** – ἀπείριστον 18,4 – შემოუსაზღვრელი, ფორმის არმქონე:

და გურწამს ერთი ღმერთი... გარეშემოუწერელი 5,2.

*გარეშეუწერელი* M 45,40v II; I 45,56v I.

გარეშემოუწერელი მხოლოჲ ღმერთი არს 7,8.

**გარეშეუწერელი** – ἀπερίγραπτος 9,12 – შემოუსაზღვრელი:

არს ღმერთი... გარეშეუწერელი 2,1.

**გემოჲსხილვაჲ** – γεύω 72,4 – გემოს გასინჯვა:

პირველ გემოჲსხილვისა შიშუელ იყვნეს ადამ და ევა და არა ჰრცხუენოდა 9,5.

**გლისპი** – **ἀπερυθριαόμενος** (ანასტასი სინელი, წინამძღუარი) PG 89, c.113 B1 – თავხედი:

ვითარ უძლო ულმრთომან მან სებეროს ესრეთ გლისპად და ურცხჳნოდ ბრალობად ყოველსავე სიმრავლესა წმიდათა მამათასა 23,65.

*კადნიერი* I.

**გონებაჲ** – 1. **ἡ ἔννοια** 18,17 – გონება, შემეცნება:

ერთ არს ღმერთი უზეშთაეს ყოვლისავე სიტყჳსა და გონებისა 5,4.

*მოგონება* M 46,41r; I 46,56v.

2. **ἡ προαίρεσις** – 11,24 – განსჯა, აზროვნება:

ესენი [არსნი] უეჭუელად შეცვალებასა ქუეშე არიან გინათუ ხრწნილებითა, გინათუ გონებითა 3,5.

*ნებისა შეცვალება* M 37,37v I; *წინააღრჩევისა მიერ შეცვალება* I 37,55r I.

3. **ὁ λόγος** 8,224 – განსჯა, აზრი:

სხუაჲ არს საქმით ხილვაჲ და სხუაჲ არს გონებით გულისკმისყოფაჲ 5,21

*სიტყუაჲ* 56, 44v II; I 156,58v II

და ესე ზიარი ბუნებაჲ მათი გონებით გულისკმა-იყოფების 5,22.

**გონებით გულისჴმისყოფა** – **ἡ ἐπίνοια** 29,49 – გონებით, განსჯით, აზროვნებით გაგება:

განყოფილებაჲ იგი გუამოვნებისაჲ გონებით გულისკმა-იყოფების 5,235.

*გულისჴმისყოფა* M 57,45r II; *წულილმოგონებაჲ* I 57,59r I.

**გონიერი** – **νοερός** 76,18 – გონების მქონე:

[ღმერთმა] სული გონიერი და სიტყჳერი მისცა თჳსითა მით შთაბერვითა 8,2.

[ძე ღმრთისამ] მიიღო დასაბამი არსებისა ჩუენისაჲ – კორცნი სულითურთ გონიერით 14,2.

*საცნაური* M 164,86r I.

იგი თავადი ღმერთ არს... ორთა შინა ბუნებათა გონიერთა 2,5.

*საცნაური* M 35,36 v II.

**გონიერებაჲ** – **νοερός** 70,20 – გონების ქონა:

ხატებაჲ გონიერებასა მოასწავებს 8,2.

*საცნაურებაჲ* M 111, 65r I.

*გონიერობაჲ* I 111, 69v II.

**გჳანად-რე** – მოგვიანებით, გარკვეული დროის შემდეგ:

[კაცი] არა მსწრაფლ აღასრულებს დაუყენებელად საქმესა თჳსსა, არამედ გჳანად-რე 18,17.

**გუამი** – ἡ ὑπόστασις 116,3 – ჰიპოსტასი:

ბუნებაჲ და არსებაჲ ერთ არს, ზიარი იგი საქმე, რომელსა ჰქონან ერთარსნი იგი გუამნი, ხოლო გუამ და პირ თითოეულისაჲ – განყოფილი იგი თჳთებაჲ, მყოფი ერთსა სახესა შინა 12,20.

*გუამი* M 156, 83r I; I 156,78r II

ბუნებაჲ და არსებაჲ არს ზოგადი ყოველთაჲ საქმე ჭეშმარიტი, ხოლო გუამი და პირი არს კაცად-კაცადისაჲ 24,1.

*პირი* I 13r II (ანასტასი სინელი, წინამძღუარი S1463).

და გუამი იგი სიტყჳსა ღმრთისაჲ ექმნა გუამ ჯორცთა მათ 14,4.

გუამი ოდესმე ყოვლითურთ მოასწავებს გუარსა საქმისასა და ამით სახითა არა მარტივად არსებასა გამოაჩინებს, არამედ მოწევნულსაცა, ხოლო ოდესმე თჳთ ერთსა პირსა... თავით თჳსით ეწოდების გუამ, რომელი მოასწავებს ერთსა ვისმე – პეტრეს, ანუ პავლეს... 25,23.

**გუამოვანი** – τὸ ἐνυπόστατος 109,20 – გვამის მქონე, სხეულის მქონე:

მეყსეულად მოვიდა მის ზედა სული წმიდაჲ და ჰფარვიდა მას ძალი მაღლისაჲ, სიბრძნე ღმრთისაჲ გუამოვანი 11.9.

გუამოვანი ოდესმე არსებასა მოასწავებს ვითარცა გუამსა შინა ხილულსა და თჳთგუამოვანსა და ოდესმე თითოეულსა შემზადებად ერთისა გუამისა 25,24.

**გუამოვანი ძალი** – ἡ ἐνυπόστατος δύναμις 129,5 – ჰიპოსტასური ენერგია:

მან უშჯულომან [პეტროზ მკაწრვალმა] მეოთხე პირი შემოიღო და თჳსაგან განყო ძე ღმრთისაჲ, გუამოვანი იგი ძალი მამისაჲ 15,1.

*გუამოანი სიბრძნე* I 170,8v I.

**გუამოვნებაჲ** – ἡ ὑπόστασις 27,214 – პირი, ჰიპოსტასი:

სრულთა ვიტყჳთ გუამოვნებათა, რაჲთა არა შერევნაჲ ... მოვიგონოთ ბუნებასა მას შინა საღმრთოსა 5,19

*გუამი* M 55,44v II; I 55,58v II.

**გუამოვნებით შეერთება** – ἑνωθεῖς καθ' ὑπόστασιν 110,37-38 – პიროვნული, ჰიპოსტასური შეერთება:

[ქრისტე]... ჯორცთა მათ სულითა გონიერითა და მშჯვიერითა, რომელნი მიიხუნა ქალწულისაგან, შეერთო გუამოვნებით შეურევნელად 11,11.

**გუამოვნითი თჳთებაჲ** – ἡ ὑποστατικὴ ἰδιότης 27,200 – პიროვნული, ჰიპოსტასური თვისება:

გუამოვნითა თჳთებითა განიყოფების სამგუამოვნებაჲ იგი წმიდისა სამებისაჲ 5,17.

**გულისზრახვაჲ** – ფიქრი:

და ნებანიცა მათნი განყოფილ არიან... და პატივი და გულისზრახვანი 5,22.

**გულისსიტყუაჲ** – **τὸ μερίμνημα** 72,3 – ფიქრი, საზრუნავი, გულისთქმა, წადილი:

მიუტევე უფალსა გულისსიტყუაჲ შენი 9,5.

ზრუნვა M 105,63v I ; I 105,68v II.

**გულისჴმისყოფაჲ** – 1. **ἡ ἐπίνοια** 28,224 – გაგება, შემეცნება:

სხუაჲ არს საქმით *ხილვაჲ და სხუაჲ არს გონებით გულისჴმისყოფაჲ 5,20.*

*მოგონებაჲ* M 56,44v II; წულილმომგონებლობაჲ I 56,58v II.

2. **ἡ γνῶσις** 136,8 – ცოდნა, მეცნიერება:

და აქუს [ქრისტესა]... სიბრძნე და გულისჴმისყოფაჲ საღმრთოჲ და კაცობრივი 17,1.

*ცნობაჲ* M 179,91r II; I 179,82r I.

3. გაგებინება, ცოდნა, შემეცნება:

არა დაგჳტევნა ჩუენ ღმერთმან სრულიადსა უგულისჴმოებასა შინა, არამედ ყოველთა გულისჴმა-გჳყო ბუნებით 1,5.

**გულისჴმისმყოფელი** – მცოდნე:

ესრეთ განაწესა კაცი... გულისჴმისმყოფელი უხილავთა 8,3.

## დ

**დაბადებული** – 1. **τὸ κτίσμα** 48,83 – შექმნილი, ქმნილება:

ანგელოზნი დაბადებულნი არიან ღმრთისანი 7,16.

2. **ἡ κτίσις** 11,34

ყოველნივე არსნი, რომელნიცა შეცვალებადნი არიან, დაბადებულნი არიან 3,5.

ვინაჲთგან დაბადებულნი არიან, უეჭველად დამბადებელი უვის დაუბადებელი 3,8.

*აგებული* M 37,37v II; I 37,55r I.

[არს] ჭეშმარიტი ღმერთი, იგივე ბუნებითა ღმრთეებისაჲთა დაუბადებელ და ბუნებითა კაცებისაჲთა – დაბადებულ 24,35.

**დადგინებული** – **τάσσω** 47,55 – განწესებული, დაყენებული:

დადგინებულ არიან ვიეთნიმე მათგანნი კერძოთა ქუეყანისათა განმგებელად ნათესავთა 7,13.

*დანესება* I 78,63r II.

**დაკლება** – **ἐξίστημι** 125,48:

სიტყუაჲ იგი ღმრთისაჲ განჴორციელდა და თჳსისა მის უნივთოებისაგან არა დააკლდა 14,8.

*ქცევაჲ* M166, 86v I; ჴუებაჲ I 166,80r I.

**დაკნინება** – **μειόω** 11,32:

ხილულნი... დაკნინდებიან 3,7.

*მოკლება* M 37,37v II; I 37,55r I.

**დამარხვა** – **φυλάσσω** 119,28 – დაცვა:

თითოეულსა [სამების პირებს] დაუმარხავს ბუნებითი იგი თჳთებაჲ თჳსი უცვალებელად 13,3.

*დაცვა* M 159,84r II; I 159 78v II.

**დამბადებელი** – 1. **ὁ δημιουργός** 11,37 – შემოქმედი, ღმერთი:

დამბადებელი ყოველთაჲ ჭეშმარიტად დაუბადებელ არს 3,8.

2. **ποιητικός** 8,7 – შემოქმედი, შემქმნელი:

[არს ღმერთი]... ხილულთა და არახილულთა დამბადებელი 5,4.

*შემოქმედი* M 45,40v II; I 45,56v II.

წმიდაჲ იგი ქალწული ღმრთისმშობელი ექმნა მიზეზ დამბადებელისა დაბადებად 16,14.

**დამჴსნელი** – **λυτρῶν** 107,21 – აქ: დამმარცხებელი

დამჴსნელი იგი სიკუდილისაჲ უცოდველ იყო 11,26.

*დაჴსნაჲ* M 148, 80r I; *გამოჴსნის მნებებელი* I 148, 76v II.

**დანაკი** – **ἡ μάχαιρα** 148,11 – მახვილი:

ორნი სადამე არიან დანაკნი განკურვებულნი 18,28.

*რკინაჲ* M 193,96v I; *მახკლი* I 193,84v I.

**დასაბამი** – **ἡ ἀρχή** 26,187:

იგი [მამაჲ] არს დასაბამი და მიზეზი არსებისა ყოველთაჲსა 5,15.

ჭეშმარიტად ღმერთი იშვა მისგან, არათუ ღმრთეებამან სიტყჳსამან მისგან მიიღო დასაბამი 16,2.

**დასაბამიერი** – **κατὰ τὴν ἠργμένην καὶ ὑπὸ χρόνον** 135,44-45 – დასაბამის, დასაწყისის მქონე:

და იგივე აღსასრულსა ჟამთასა იშვა ქალწულისაგან დასაბამიერითა მით ბუნებითა კაცთაჲთა 16,7.

*დაწყებული და ჟამიერი* M 177,90v I; I 177,81v II.

არა ვიტყჳთ, თუ ღმრთეებასა ევნებოდა, ანუ თუ დაბადებული იყო და დასაბამიერი 12,23.

**დასასრული:**

და სუფევისა მისისა [ღმრთისა] არა არს დასასრული 5,3.

**დასი** – რიგი, ჯგუფი:

ესრეთ გუაუწყებს წმიდაჲ დიონისიოს განწყობილებასა მათსა ცხრა დასად 7,1.

**დაუბადებელი** – ἄκτιστος 18,2 – შეუქმნელი, აუგებელი:
და გურწამს ერთი ღმერთი... დაუბადებელი 5,3.
აუგებელი M 45,40v II; I 45,56v I.
დამბადებელი ყოველთაჲ ჭეშმარიტად დაუბადებელ არს 3,8.
აუგებელი M 37, 37v I; I 37,55r I.
[არს] ჭეშმარიტი ღმერთი, იგივე ბუნებითა ღმრთეებისაჲთა დაუბადებელ 24,35.

**დაუდგრომელი** – ἄστατος 149,189 – არამყარი, მდინარი:
[ქრისტე] წყალთა ზედა დაუდგრომელთა კორციელითა ფერკითა ვიდოდა 18,41.
*დაუპყრობელი* M 197,98r I.

**დაუკლებელობაჲ** – ἀνελλιπής 125,42 – მოუკლებლობა:
ვიტყჳთ სრულსა ღმერთსა და სრულსა კაცსა, რაჲთა დაუკლებელობაჲ იგი გამოვაჩინოთ ორთა მათ ბუნებათაჲ 14,16.
*უნაკლულოებაჲ* M 165,86v I; უნაკლულობაჲ I 165,79v II.

**დაუმდაბლებელად დამდაბლება** – ἡ ἀταπείνωτως ταπενίωσις 108,41:
მან [ქრისტემ] მოდრიკნა ცანი და გარდამოჴდა, ესე იგი არს, დაუმდაბლებელი იგი სიმაღლე მისი დაუმდაბლებელად დააშდაბლა 11,3.

**დაუმდაბლებელი სიმაღლე** – τὸ ἀταπείνωτον αὐτοῦ ὕψος 108,41:
[ქრისტემ] მოდრიკნა ცანი და გარდამოჴდა, ესე იგი არს, დაუმდაბლებელი იგი სიმაღლე მისი დაუმდაბლებელად დაამდაბლა 11,3.

**დაუსაბამოჲ** – ἡ μία ἀρχὴ ἄναρχος 18,2 – დასაბამის არ მქონე:
და გურწამს ერთი ღმერთი... დაუსაბამოჲ 5,3.
ერთი დასაბამი დაუსაბამოჲ M 45,40v I; I 45, 56v I.
დაუსაბამო [არს ღმერთი], ვითარმედ არა აქუს დასაბამი 4,3.
უჟამო და დაუსაბამო არს შობაჲ მისი [ქრისტესი] 5,9.
არს ღმერთი დაუსაბამო 2,2

**დაუსაბამოდ** – ἀϊδίως 20,43 – დასაბამის გარეშე:
[ძე]... მარადის იყო მამისა თანა დაუსაბამოდ და უჟამოდ მისგან შობილი 5,9.
*საუკუნოდ* M 47,40r II; *სამარადისოდ* I 47,57r I.
იყო პირველითგან უჟამოდ და დაუსაბამოდ საღმრთოჲ იგი გუამი სიტყჳსა ღმრთისაჲ 14,1.
*სამარადისოდ* I 164,79v I.

**დაუსაბამოდ შობა:**
[მამისაგან] იშვა დაუსაბამოდ ძე და სიტყუაჲ ღმრთისაჲ 5,31.

**დაუსაბამო ნათელი** – τὸ ἄναρχος φῶς 46,25 – დასაბამის არმქონე, მარადიული ნათელი:

[ღმერთმან]... დაჰბადნა ნათელნი მეორენი გონიერნი, პირველისა მის დაუსაბამოჲსა ნათლისაგან განათლებულნი 7,7.

**დაუსრულებელი** – ἀτελεύτητος 8,10 – უსასრულო:

[არს ღმერთი]... დაუსრულებელი 2,3.

დაუსრულებელ [არს ღმერთი], ვითარმედ არა აქუს დასასრული 4,4.

**დაუყენებელი** – ἀπαρεμπόδιστος 142,126 – დაუბრკოლებელი, დაუგვიანებელი:

ანგელოზნიცა თჳთმფლობელად დაბადებულ არიან ღმრთისა მიერ, გარნა დაუყენებელად აქუს საქმე მათი 18,16.

და აღასრულებენ დაუცადებელად და დაუყენებელად ბრძანებათა ღმრთისათა 7,10.

**დაუცადებელად** – მეყსეულად:

და აღასრულებენ [ანგელოზები] დაუცადებელად და დაუყენებელად ბრძანებათა ღმრთისათა 7,10.

**დაფარვა** – συγκαλύπτω 130,34 – დამალვა:

ესრეთ არს წმიდაჲ იგი წმიდათაჲ, რომელსა სერაბინნი დაეფარვიან 15,6.

**დაცემაჲ** – ἡ πτῶσις 106,74 – აქ: შეცოდება, ცოდვა:

[ეშმაკმა კაცს] გარდასლვაჲ მცნებისა მის საღმრთოჲსა აზრახა, რაჲთა მსგავსად თჳსა იგიცა მთხრებელსა მას დაცემისასა შთააგდოს 10,3.

[ღმერთმა] არა უგულებელს-ყო უძლურებაჲ თჳსისა მის დაბადებულისაჲ, არამედ შეიწყალა დაცემაჲ მისი და ხელი აღუპყრა 11,1.

**დიდებულებაჲ** – τὸ αὔχημα 126,60:

მისცემს იგი [უფალი] კორცთა თჳსსა მას დიდებულებასა და ბრწყინვალებასა 14,19.

*საქადულობაჲ* I 166,80r I.

**დრკუჲ** – მრუდე, არასწორი:

მოგეცინ უფალმან მეცნიერებაჲ ცნობად, თუ რომელი არს ჭეშმარიტებისა სიტყუაჲ, ანუ რომელი არს დრკუჲ და განდრეკილ 23,70.

**ერთარსებაჲ** – ἡ μία οὐσία 2,15-16 – ერთი არსების მქონე, თანაარსი:
ერთ არს ღმერთი, ერთარსებაჲ 2,4.
*ერთარსებაი* M 35,36v II; ერთი არსებაჲ I 35, 54v I.
მამაჲ და ძე და სული წმიდაჲ იდიდებიან სამგუამოვნებით და ერთარსებით 5,17.

**ერთარსი** – ὁμοειδής 116,4 – ერთი და იმავე არსების, ბუნების მქონე:
ბუნებაჲ და არსებაჲ ერთ არს ზიარი იგი საქმე, რომელსა ჰქონან ერთარსნი იგი გუამნი 12,20.
*ერთსახე* M 156,83r I; *თანამოსახე* I 156,78r II.

**ერთბამად** – ერთდროულად:
ხოლო ერთბამად იქმნა დაბადებაჲ ჯორცთაჲ ... ზოგად და ერთბამად 8,5.

**ერთბუნებაჲ** – ერთი ბუნების მქონე:
ერთ არს ღმერთი... ერთბუნებაჲ 2,4.

**ერთი** – ὁ αὐτός 28,228 – აქ: ერთი და იგივე
პეტრე და პავლე და იოვანე ერთისა ბუნებისანი არიან და ზოგადი აქუს ბუნებაჲ ერთი, თითოეული ცხოველი არს 5,21.
*მისვე* M56,44v II; I 56,58v II.

**ერთი არსებაჲ** – ἡ μία οὐσία 28,244:
[სამებაჲ] ერთი არსებაჲ არს 15,24.

**ერთი ბუნებაჲ:**
[სამებაჲ]... ერთი ბუნებაჲ [არს] 5,24.

**ერთი მეუფებაჲ** – ἡ μία ἐξουσία 28,245
[სამებაჲ ]... ერთი მეუფებაჲ [არს] 5,24.

**ერთი მიზეზი** – τὸ ἓν αἴτιον 29,260:
ერთად მიზეზად, რომელ არს მამაჲ, შეერთებულ არიან ძე და სული წმიდაჲ 5,27.

**ერთი ნებაჲ** – ἡ μία θέλησις 28,244-5:

[სამებაჲ]... ერთი ნებაჲ [არს] 5,24.

**ერთი სახიერებაჲ** – ἡ μία ἀγαθότης 28,244:
[სამებაჲ]... ერთი სახიერებაჲ [არს] 5,24.

**ერთი ძალი** – ἡ μία δύναμις 28,244:

[სამებაჲ]... ერთი ძალი [არს] 5,24.

**ერთი ჴელმწიფებაჲ:**

[სამებაჲ]... ერთი ჴელმწიფებაჲ [არს] 5,24.

**ერთ-კერძო** – ერთი მხრივ:

წამებანი ქრისტესთჳს თქუმულნი ორ-სახედ განიყოფებიან: ერთ-კერძო გამოაჩინებენ ერთსა მას პირსა... და ერთ-კერძო წამებენ ორთა მათ ბუნებათა მისთა 24,67.

**ერთმთავრობაჲ** – ἡ μοναρχία 30,269:

ამისთჳსცა ოდეს-იგი მივხედნეთ ღმრთეებასა და ერთმთავრობასა, ყოვლითურთ ერთობასა გულისჴმა-ვყოფთ 5,28.

**ერთობაჲ** – 1. ἡ ἕνωσις 115,78 – შეერთება:

ერთსა მას გუამსა ვიტყჳთ ღმრთეებისა და კაცებისა მისისასა და ორთა ბუნებათა აღვიარებთ შემდგომად ერთობისაცა 11,37.

ჴორცთა მათ მისცემს თჳსთა დიდებულებათა... ერთობისა მისთჳს გუამისა მის 12,12.

*შეერთებაჲ* M 155, 82v I; I 155,78r I.

2. ἕν 28,240; 30, 269:

მუნ ერთობაჲ და ზიარებაჲ საქმით საცნაურ არს 5,21.

*ერთობაჲ* M 56,45r I; *ერთი* I 56,59r.

ამისთჳსცა ოდეს-იგი მივხედნეთ ღმრთეებასა და ერთმთავრობასა და ერთობასა არსებისა და ბუნებისა... ყოვლითურთ ერთობასა გულისჴმა-ვყოფთ 5,28

**τὸ ἕν καὶ ταὐτὸν 30,269:**

*ერთისა მის* M 58,45v II; *ერთისა და მისვე* I 58,59r II.

4. τὸ μοναδικός 125,43

ვიტყჳთ: ყოვლითურთ ღმერთ და ყოვლითურთ კაც, რაჲთა ერთობაჲ იგი და განუყოფელობაჲ გულისჴმა-ვყოთ გუამისა მის ყოვლად წმიდისაჲ 14,16.

*მხოლოობითობაჲ* M 165, 86v I; I 165,79v II.

5. ἁπλόος 118,4 – სიმარტივე:

ყოველსავე ბუნებისა და არსებისა საქმესა ერთობით ვიტყჳთ 13,1.

*მარტივი* M 158,83v II; I 158,78v I.

**ერთობაჲ არსებისაჲ** – τὸ ταὐτὸν τῆς οὐσίας 28,241 – არსების იგივეობა:

მუნ ერთობაჲ და ზიარებაჲ საქმით საცნაურ არს: თანადაუსაბამოებაჲ და ერთობაჲ არსებისაჲ 5,23.

*ერთობაჲ არსებისაჲ* M 56,45r I ; *იგივეობაჲ არსებისაჲ* M 156,59r I.

**ერთობაჲ და ზიარებაჲ** – κοινόν 28,240:

[სამებაში] ერთობაჲ და ზიარებაჲ საქმით საცნაურ არს 5,23.

*ზოგადობაჲ და ერთობაჲ* M 56,45r I; *საზოგადოჲ და ერთი* I 56,59r I.

**ერთობაჲ საქმისაჲ** – τὸ ταὐτὸν τῆς ἐνεργείας 28,241 – მოქმედების იგივეობა:
მუნ ერთობაჲ და ზიარებაჲ საქმით საცნაურ არს... ერთობაჲ არსებისაჲ და საქმისაჲ 5,23.
*ერთობაი მოქმედებისაი* M 56,45r I; იგივეობაჲ მოქმედებისაჲ I 56,59r I.

**ერთობაჲ ძალისაჲ** – τὸ ταὐτὸν τῆς δυνάμεως 28,242 – ძალის იგივეობა:
მუნ ერთობაჲ და ზიარებაჲ საქმით საცნაურ არს... ერთობაჲ ძალისაჲ 5,23.

**ერთღმრთეებაჲ** – ერთი ღმერთი:
ერთღმრთეებამან დაჰბადნა ყოველნივე ხილულნი და უხილავნი 8,1.
[არიოზმა] სამნი არსებანი თქუნა მამისა და ძისა და სულისა წმიდისანი, ერთარსებისა მის და ერთღმრთეებისანი 23,38.

## ვ

**ვნებაჲ** – τὸ πάθος 115,85 – ტანჯვა:
ერთი არს გუამითა უფალი იგი დიდებისაჲ ... და მისნი არიან სასწაულნიცა და ვნებანიცა 12,13.

## ზ

**ზედამდგომელობაჲ** – ἡ ἐπιστασία 107,14 – მეთვალყურეობა:
[დამბადებელმა] ინება მოქცევაჲ ჩუენი ბოროტისაგან... ზედამდგომელობითა ანგელოზთაჲთა 11,1.
*მოვლინებაი* M 148,79v II.

**ზეცისა ძალნი** – αἱ ὑπερκοσμίαι δυνάμεις 7,12 – ზეციური ძალები, ანგელოზები:
გამოუცხადოს... უზეშთაესთა მათცა ზეცისა ძალთა 1,4.
*ზეშთა სოფლისა ძალნი* M 3436r I; I 34,54r II.
ვინ დაჰბადნა აურაცხელნი იგი მკედრობანი ზეცისა ძალთანი? 3,11.
ესრეთ დაებადნეს ზეცისა ძალნი: ქერობინნი და სერაბინნი... უფლებანი და კელმწიფებანი და ძალნი 7,1.

**ზიარებაჲ** – 1. τὸ κοινόν 28,240 – ერთიანობა:
მუნ ერთობაჲ და ზიარებაჲ საქმით საცნაურ არს 5,21.
*ზოგადობაი* M 56,45r I; *საზოგადოი* I 56,59r I.
ერთი იყო და იგივე, რომელი საღმრთოთაცა და კაცობრივთა იქმოდა თითოეულითა ბუნებითა ზიარებითა მით მეორისაჲთა 12,12.

2. ἡ κοινώνησις 138,8

ხოლო ნებავს და იქმს ორითავე ბუნებითა, ზიარებითა მეორისაჲთა 18,2.

*თანაზიარებაჲ* M 179,91v I; I 179,82r I.

**ზიარი – κοινός** 28,229 – საერთო, ერთიანი:

და ესე ზიარი ბუნებაჲ მათი გონებით გულისკმა-იყოფების 5,32.

*ზოგადი* M 56,44v II; I 56,58v II.

არა ზოგადსა მას და ზიარსა ბუნებასა სამგუამოვნებისასა... ეგულების ქუეყანასა ზედა გამოჩინებაჲ 25,26

ღმრთეებაჲ და კაცებაჲ ქრისტესი გუამოვან არს, რამეთუ თითოეულსა მათგანსა აქუს ზიარად ერთი იგი ორთაგან შემზადებული გუამი მისი 25,24

**ზიარი ბუნებაჲ – ἡ κοινὴ φύσις** 28,230 – საერთო ბუნება:

და ესე ზიარი ბუნებაჲ მათი გონებით გულისკმა-იყოფების 5,22.

*ზოგადი ბუნებაჲ* M 56,45r I; I 56,59r I.

**ზოგადი – κοινός** 28,228 – საერთო:

პეტრე და პავლე და იოვანე ერთისა ბუნებისანი არიან და ზოგადი აქუს ბუნებაჲ 5,21.

*ზოგადი* M 56,44v II; *საზოგადოჲ* I 56,58v II.

ესევითარი ესე ზოგადი ყოველთა კაცთა აგებულებაჲ ერთი ბუნებაჲ ითქუმის 12,9.

არა ზოგადსა მას და ზიარსა ბუნებასა სამგუამოვნებისასა... ეგულების ქუეყანასა ზედა გამოჩინებაჲ 24,27.

**ზოგადობაჲ – ἡ κοινότης** 28,226 – ერთიანობა:

ერთობაჲ და ზოგადობაჲ მათი გონებით გულისკმა-იყოფების 5,21.

**ზრახვაჲ** – 1. **τὸ βούλημα** 46,27 – ფიქრი, აზრი:

არა უკმს მათ ენაჲ და სასმენელნი, არამედ თჳნიერ კმოანისა სიტყჳსა აუწყებენ ურთიერთას ზრახვათა 7,8.

*განზრახვა* M 76,52v I; I 76,62v II.

2. ἡ ἐξάπλωσις 145, 27 – ნაფიქრი:

კუალად ითქუმის საქმედ ბუნებითად პირმეტყუელებითაცა ესე გამოცხადებაჲ ზრახვათა გონებისათა 18,20.

*სიტყუაჲ* M 189,95r I; I 189,83v II.

3. განზრახვა:

[ანგელოზნი] თანამზრახველ და მიმდგომ იქმნნეს ბოროტსა მას ზრახვასა მისსა 10,1.

**ზრუნვა – περιέπω** 72,23:

[ადამმა] იწყო მეყსეულად ზრუნვად საფარველისა 9,4.

*გარემორტყმა* M 105,63r II; *ურვა* I 105,68v I.

**ზრქელი – παχύς** 45,14 – მატერიალური:
ღმრთისა თანა მხოლოჲსა მის შეუმსგავსებელისა იგინიცა ნივთიერ არიან და ზრქელ 7,4. .

**ზუაობაჲ და ამპარტავანებაჲ – ἡ ἔπαρσις** 44,72:
[ეშმაკმა ადამი]... ზუაობისა და ამპარტავანებისა სიმაღლესა აღიყვანა 10,3.
*ამპარტავანებაჲ* M 147,79v I; I 147,76v II.

**ზღუდე – τὸ τεῖχος** 46,33 – გალავანი, კედელი, ზღუდე:
ხოლო [ანგელოზები] არა შეიწყუდევიან კართა მიერ და ზღუდეთა 6,9.

## თ

**თავადი – ὁ αὐτός** 110,25 – თვით, თვითონ:
თავადი სიტყუაჲ ღმრთისაჲ გუამ ექმნა კორცთა მათ 11,10.
*თჳთ* I 151,77r II.

**თავად თჳსად – ἰδίᾳ δὲ ἑκάστη** 28,231 – ცალ-ცალკე:
თითოეული [გუამი] თავად თჳსად განყოფილ არს 5,22.
*თჳს-თჳს* M 56,45r I; *თჳსაგან და განთჳსებით* I 56,59r I.
ხოლო ბუნებაჲ იგი კაცობრივი დაღაცათუ თავით თჳსით არა ერთ ოდენ არს 12, 9.

**თავისა მიერ თჳსისა მპყრობელ – δι᾽ ἑαυτὸν κτίζον 26,183**
[სული წმიდაჲ არს] თავისა მიერ თჳსისა მპყრობელ 5,14
თავისა მიერ თჳსისა დაჰბადებს და არს-ჰყოფს ყოველთა M 54,44 II
თავისა მიერ თჳსისა აღმგებელი და არსმყოფელი I 54,58r II

**თავსდება – 1. ὑποπίπτω** 115,74 – თავის თავზე აღება:
ერთი იგი ბრწყინავდა საკურველებითა, და მეორე იგი თავს-იდებდა შეურაცხებათა 12,11.
*თავს-სხმა* M 155,82v I; I 155,78r I;
**2. φέρειν** 8,26 – ტვირთვა, ატანა:
[ღმერთმა]... რომელი ვერ ძალ-გუედვა თავს-დებად, დაგვიფარა 1,7.
*დატევნაჲ* M 34,36r II; I 34,54r II.

**თანაარსი – ὁμοούσιος** 8,36 – ერთარსი:
ეგრეთვე გურწამს ერთი ძე ღმრთისაჲ ... თანაარსი მამისაჲ 5,8.

**თანადაუსაბამოჲ – συναΐδιος** 26,175
სული წმიდაჲ ... მამისა და ძისა თანა თაყუანის-იცემების... ვითარცა თანაარსი და თანადაუსაბამოჲ 5,12.
*თანასამარადისოჲ* M 53 44r I; I 53,58r II.

**თანადაუსაბამოებაჲ** – **συναΐδιος** 28,240 – თანასამარადისოობა:
მუნ ერთობაჲ და ზიარებაჲ საქმით საცნაურ არს: თანადაუსაბამოებაჲ და ერთობაჲ არსებისაჲ 5,21.
*ზოგადდაუსაბამოებაჲ* M 56,45r l; *თანასამარადისოობაჲ* I 56,59r l.

**თანამდები** – **ὑπεύθυνος** 107,22 – მოვალე:
დამჴსნელი იგი სიკუდილისაჲ უცოდველ იყო და არა თანამდებ სიკუდილისა 11,25.

**თანამოსაყდრე**:
... მარადის იყო ძე მამისა თანა თანაარსი და თანამოსაყდრე 66-67.

**თანაჴმარებაჲ** – **χράω** 145,31 – გამოყენება, თანამონაწილეობა:
[კაცებისა საქმენი]... რომელნიმე არიან სულისანი ხოლო, და სხუანი არიან სულისანი თანაჴმარებითა ჯორცთაჲთა 18,20.
*ჴუმევაჲ* M 189,95r l; I 189,83v II.

**თითოეული** – **ἡ ἕκαστος** 28,228:
პეტრე, პავლე და იოვანე ერთისა ბუნებისანი არიან და ზოგადი აქუს ბუნებაჲ, ერთი, თითოეული ცხოველი არს 5,21.

**თითოფერი** – **διάφορος** [ანასატასი სინელი, წინამძღუარი] PG 89 c.124 A3 – სხვადასხვა:
ჰხედავ, ვითარ თითოფერთა მათ ნათესავთა ბუნებად უწოდა ძმამან უფლისამან 24,2.
*თითოსახე* I ანასატასი სინელი, წინამძღუარი, S 1463, 13v.

**თუალთშეუდგამი – ἀπρόσιτος** 18,6 – თვალმიუწვდომელი:
და გურწამს ერთი ღმერთი... ძლიერებაჲ თუალთშეუდგამი 5,1.
*შეუხებელი* M45,40v II; *მიუახლებელი* I 45,56v l.

**თუთი** – იხ. მღრინავი

**თჳთგუამოანი** – **τό ἐνυπόστατον** 26,184 – დამოუკიდებელი ჰიპოსტასის, პირის, გვამის მქონე:
[სული წმიდაჲ არს] თჳთგუამოან 5,14.
*გუამოანი* I 54,58v l.

**თჳთებაჲ** – 1. **ἡ ἰδιότης** 29,250 – თვისება, ინდივიდუალობა:
ერთი ღმერთი ვიცით ხოლო თჳთებითა ოდენ გუამოვნებისაჲთა ... ამით ხოლო სახითა განყოფილებასა გულისჴმა-ვყოფთ 5,25.
*განყოფილება* M 57,45 r II.
თითოეული სრული გუამოვნებაჲ არს და თჳსი იგი თჳთებაჲ განწესებულად აქუს 13,2.
*თჳთებაჲ, რომელ არს გუამისა სრულებაჲ* M 157,84r I;

*თჳთებაჲ, რომელ არს გუამი მყოფობისაჲ* I 57,78 v II.

ხოლო ოდეს თჳთებანი იგი მოვიგონნეთ, რომელთა შინა არს ღმრთეებაჲ, და უფროჲსად ვთქუა, რომელ არიან ღმრთეებაჲ, სამგუამოვნებასა გულისჴმა-ვყოფთ 5,29.

*განყოფილებაჲ* M 57,45r II.

2. ἡ ἄτομος 48,4 - განუყოფლობა, განუკვეთლობა:

გუამი არს თითოეულისა თჳთებაჲ 12,21.

*განუკუეთელი* M 156,83r I; I 156,78r II.

არსებაჲ და ბუნებაჲ ერთ არს, ვითარცა წმიდანი მამანი იტყჳან, და კუალად გუამი და პირი და თჳთებაჲ ერთ არს 12,16.

**თჳთებისა სახე** – ἡ οἰκεία ἰδιότης ἤτοι ὁ τῆς ὑπάρξεως τρόπος 8,10 – თვისების სახეობა:

ხოლო შეურევნელად განყოფისათჳს გუამთაჲსა, რომელ არს თჳთებისა სახე, უშობელსა ვიტყჳ, და შობილსა, და გამომავალსა 25,18.

*თჳსი თჳთება* M 159,83v II; I 159,78v I.

**თჳთმფლობელი** – αὐτεξούσιος 45,9 – თვითუფალი:

არს უკუე ბუნებაჲ ანგელოზთაჲ არსებაჲ უხილავი, უკორცო, თჳთმფლობელი 7,3.

*თჳთჴელმწიფე* M 75,52r II; I 75,62v II.

ყოველი სიტყჳერი ნებიერ არს და თჳთმფლობელ 18,39.

**თჳთმფლობელობაჲ** – ἡ αὐτεξουσιότης 139,61 – სრული თავისუფლების მქონე:

თჳთმფლობელობაჲ სხუაჲ რაჲ არს, გარნა ნებაჲ ბუნებითი? 18,8.

**თჳთნათელი** – αὐτοφῶς 18,17

[არს ღმერთი] თჳთნათელი 5,4.

**თჳთსახიერებაჲ** – αὐτοαγαθός 18,17

[არს ღმერთი]... თჳთსახიერებაჲ 5,4.

**თჳთუფალი** – თვითხელმწიფე:

სული ღმრთისაჲ ეწოდების მას ... თჳთუფალი 5,13.

**თჳთცხორებაჲ** – ἡ αὐτοζωή 18,17

[არს ღმერთი]... თჳთცხორებაჲ 5,4.

**თქუმაჲ** – τὸ λαλεῖν 8,5

სხუაჲ არს თქუმაჲ და სხუაჲ არს მოგონებაჲ 2,1.

## ი

**იგავი** – მაგალითი, ნიმუში:

იგავნი და სახენი არა ეგებიან ესრეთ, რაჲთამცა ყოვლადვე დაუკლებელად მიემსგავსებოდეს 20,10.

**იგივე** – **ἡ ταυτότης** 28,243:

არა თქუა თუ მსგავსებაჲ, არამედ ერთობაჲ უცვალებელი და იგივე 5,24. *ერთ და იგივე* M 57,45r II; I 57,59r I.

**იძულებითი** – **ἀναγκαῖος** 58,116

ხოლო ბუნებითსა რაჲ ნებასა ვიტყოდით, არა იძულებითსა ვიტყჳთ, არამედ თჳთმფლობელსა 18,16.

## კ

**კადნიერებაჲ** – **ἡ παῤῥεσία** – 106,5 – გაბედულება:

[ადამ] განშიშულდა კადნიერებისა მისგან, რომელი აქუნდა ღმრთისა მიმართ 10,4.

**კერძოჲ** – **τό μέρος** 47,54 – მხარე:

დადგინებულ არიან ვიეთნიმე მათგანნი [ანგელოზები] კერძოთა ქუეყანისათა განმგებელად ნათესავთა 7,13.

**კიდეგანყოფა** – მოცილება:

აწ უკუე უღმრთომან მან ნესტორ ქრისტე კიდეგან-ყო ღმრთეებისაგან 16,11.

## ლ

**ლეგეონი** – **ἡ ὁμήγυρις** 114,60 – კრებული, სიმრავლე:

ვითარცა დაწყეულმან ნესტორ თქუა და დიოდორე... და მათმან ეშმაკთა მობაძავმან ლეგეონმან 12,10.

*შესაკრებელი* M 154,82r II; *კრებული* I 154,78 r I.

**ლიტონი** – **ψιλός** 12,35 – აქ: მხოლოდ

და კუალად უკუეთუ რომელნი იგი ერთსა ბუნებასა იტყჳან ქრისტესსა... ანუ ღმრთად ხოლო აღიარონ... ანუ თუ კაცად ლიტონად თქუან უშჯულოსა მის ნესტორისებრ 12,8.

**ლმობა** – **συναλγέω** 169,8 – ტკივილი:

ღმრთეებასა მას სრულიად უვნებელსა არცა ელმოდა, არცა რაჲ ევნებოდა 20,6.

მარადის – 1. ἀεί 47,55:
ერთი აქუს საქმე [ანგელოზებს] – მარადის გალობაჲ ღმრთისაჲ 8,13.
2. ἅμα 20,44:
მარადის იყო მამაჲ 5,9.

მართალი – δίκαιος 2,13 – სამართლიანი:
არს ღმერთი... მართალი 2,3.

მართებაჲ – ἡ κυβέρνησις 3,38 – მართვა, წარმართვა:
და თჳთ აგებულებაჲცა... დაბადებულთაჲ და განგებაჲ მათი და მართებაჲ გუასწავებს, ვითარმედ არს ღმერთი 3,9.

მარტივი – ἁπλους 8,4
არს ღმერთი მარტივი 5,31.
მამაჲ არა შეზავებულისა ბუნებისაჲ არს ღმრთეებისაგან და კაცებისა, არამედ მარტივი ბუნებაჲ აქუს ღმრთეებისაჲ 25,5.
[მამის] ბუნებაჲ მარტივ არს და არა შეზავებულ 12,3.

მეორე – δεύτερος 46,25 – არსის სტრუქტურაში მეორე რიგის:
[ღმერთმან] დაჰბადნა ნათელნი მეორენი გონიერნი 7,7.

მეუფე – ὁ βασιλεύς 18,10:
[არს ღმერთი]... მეუფე 5,4.

მეუფებაჲ – ἡ κυριότης19,22:
[და გურწამს ერთი ღმერთი], ერთი მეუფებაჲ 5,5.

მეცნიერი – ἰδυῖα 19,21 – მცოდნე:
[არს ღმერთი]... ყოვლისავე მეცნიერი 5,4.

მეცნიერებაჲ – ἡ γνῶσις 7,19 – ცოდნა:
გამოგუცხადნა ღმერთმან... მეცნიერებაჲ თჳსი 1,5.

მთავარანგელოზი – ὁ ἀρχάγγελος 48,73:
ესრეთ დაებადნეს ზეცისა ძალნი: ქერობინნი და სერაბინნი... მთავარანგელოზნი და ანგელოზნი 7,1.

მთავრობაჲ – ἡ ἡγεμονία 145,39 – მოთავეობა, წინამძღვრობა:
არს უკუე მთავრობაჲ სულისაჲ და ჯორცნი ჰქონან 18,20.
*სამთავროჲ* M 190, 94r II; *მთავრებრივობაჲ* I 190,83v II.

მიბაძვაჲ:
ხატებაჲ გონიერებასა მოასწავებს და თჳთმფლობელობასა, ხოლო მსგავსებაჲ სათნოებათა მიერ, რაოდენცა შესაძლებელ არს, მიბაძვასა მისსა 8,2.

მიდრეკა – ἐτράπην 49,7 – გადახრა, გადახვევა:

[ეშმაკი] თჳთმფლობელითა მით ნებითა მიდრკა თჳსისაგან ბუნებისა 10,1.
*გარდაქცევა* M 79,53v II; *ქცეულება* I 79,63v I.

**მიზეზი** – 1. **ἡ αἰτία** 18,20 – საფუძველი, დასაბამი:
[არს ღმერთი]... მიზეზი ყოველთავე კეთილთაჲ 5,4.
ერთად მიზეზად, რომელ არს მამაჲ, შეერთებულ არიან ძე და სული წმიდაჲ 5,22.
ხოლო რომელნიცა იტყჳან, თუ ანგელოზნი მიზეზ არიან დაბადებისა რაჲსაჲმე, იგინი პირნი არიან მამისა მათისა ეშმაკისანი 7,16.
ორთა შობათა მისთა აღვიარებთ: ერთსა მას – პირველ საუკუნეთა მამისაგან უზეშთაეს მიზეზისა 14,13.
2. **ἡ πηγή** 18,19 – წყარო, სათავე:
[არს ღმერთი]... მიზეზი ყოველთა არსებათაჲ 5,4.
*წყაროჲ* M 46,41r I; I 46,56v II.

**მიზეზი უმიზეზოჲ** – მიზეზი, რომელსაც არ აქვს მიზეზი, ღმერთი:
მამასა არა ვიტყჳთ სხჳსაგან ყოფად, რამეთუ იგი არს პირველი მიზეზი უმიზეზოჲ 5,32.

**მიმადლებული – κεχαριτώμενος** 109,7
გიხაროდენ, მიმადლებულო, უფალი შენ თანა 11,7.

**მიმდგომი – ὁ ὑπ' αὐτῷ τεταγμένος** 49,15 – მომხრე, მიმდევარი:
[ანგელოზნი]... მიმდგომ იქმნეს ბოროტსა მას ზრახვასა მისსა 10,2.
*მის ქუეშე დაწესებული* M 80,54r I; I 80,63v II.

**მირჩოლა – σύνειμι** 162,26 – მორჩილება:
ნებსით ჩუენით მიეერჩით ბოროტთა მათ ზრახვათა მისთა 20,1.
*მიდევნება* M 211,103v I; *შემტკიცება* I 211,87v I.

**მიტევება – ἐπιῤῥίπτω** 72,10 – მინდობა:
მიუტევე უფალსა გულისსიტყუაჲ შენი და მან გამოგზარდოს შენ 9,5.
*მიგდება* I 105,68v II.

**მიუაჩრდილებელი – ἀπρόσιτος** 8,6:
და გურწამს ღმერთი... ნათელი მიუაჩრდილებელი 5,3.
*შეუხებელი* M 45,40v II; *მიუახლებელი* I 45,56v I.

**მიუწდომელი** – 1. **ἀκατάληπτος** 12,3
თუ რაჲ არს არსებაჲ და ბუნებაჲ ღმრთისაჲ, ესე მიუწდომელ არს 4,2
გამოუთქუმელ არს ღმერთი და მიუწდომელ 1,2
2. **ἄπειρος** 9,12 – უსაზღვრო:
არს ღმერთი მიუწდომელი 2,3.
ჰე, ჭეშმარიტად მიუწდომელ არს ღმერთი 4,5.

**მიუწდომელი გონებათაგან** – **ἄπειρος** 18,4 – უსაზღვრო:

და გურწამს ერთი ღმერთი... მიუწდომელი გონებათაგან 5,3.

*მიუწდომელი* M45, 40v II; *უსაზომო* I 45, 56v I.

**მიუწდომელი ძალითა** – **ἀπειροδύναμος** 26.177 – განუსაზღვრელად ძლიერი:

ეგრეთვე გურწამს ერთი სული წმიდაჲ ... მიუწდომელი ძალითა 5,12.

*ძალმიუწთომელი* I 4,57v I.

**მიჩემება** – **οἰκειόω** 115,75 – მისაკუთრება, გათავისება:

ხოლო მიიჩემებს სიტყუაჲ იგი კაცებისაცა მისისა საქმეთა განგებულებით 12,12.

*განთკსება* I 155,78r I.

რაჟამს უკუე ღმრთეებასა ვიტყოდით, არა მივაჩემებთ მას წესთა და სახეთა კაცობრივთა 12,23.

**მინევა** – **διήκω** 126,59 – გავრცელება:

[საღმრთოჲ ბუნებაჲ] ყოველსა ზედა მიიწევის, ვითარცა ენებოს და ვითარცა ჯერ-უჩნდეს 14,18.

*მართება* M 166,86v II; *განგება* I 166,80r I.

**მნებებელი** – **θελητικός** 138,22 – მოსურნე, ნების მქონე:

ორნივე ბუნებანი მისნი მნებებელ იყვნეს და მოქმედ ცხორებისა ჩუენისა 18,4.

**მობაძავი** – მიმბაძველი:

ვითარცა დაწყეულმან ნესტორ თქუა და დიოდორე და თეოდორე მომფსუესტელმან, და მათმან ეშმაკთა მობაძავმან ლეგეონმან 12,10.

**მოგონებაჲ** – 1. **τὸ νόημα** 145,23 – აზრი, ფიქრი:

აქუნდა საქმე კაცობრივისა ბუნებისაჲ, და ესეცა, რომელი გონებასა შინა ჩუენსა გულისკმის-ყოფაჲ აღესრულების და მოგონებაჲ, უხილავად გონებასა შინა აღსრულებული 18,19.

2. **τὸ γινώσκειν** 8,6 – ცოდნა, ცნობა:

სხუაჲ არს თქუმაჲ და სხუაჲ არს მოგონებაჲ 2,1.

*ცებნაჲ* M 35,36v I; *ცნობაჲ* I 35,54r II.

3. **ἡ ἔννοια** 10,38 – მოაზრება, გაგება, წარმოდგენა:

არა კელ-გუეწიფების... უმეტესი რაჲმე თქუმად ანუ მოგონებად 2,8.

**მოდრეკა** – **κάτειμι** 108,4

მან მოდრიკნა ცანი და გარდამოჴდა 11,3.

**მოკლებაჲ** – **στερέω** 18,11:

ბნელი მოკლებაჲ არს ნათლისაჲ 10,2.

**მომცემელი სიტყჳსაჲ** – **τοῖς λόγου μετέχουσι τοῦ λόγου** 18,19-20:
[არს ღმერთი]... მომცემელი სიტყჳსაჲ 5,4.
*სიტყუაჲ მიმღებელთაჲ სიტყჳსათაჲ* M 46,41r I; *მქონელთა სიტყჳსათა სიტყუაჲ* I 46,56v II.

**მომცემელი ცხორებისაჲ**:
[არს ღმერთი]... მომცემელი ცხორებისაჲ 5,4.

**მოუგონებელი** – გონებით მიუწვდომელი, შეუცნობელი:
არს ღმერთი... მოუგონებელი 2,3.

**მოუზავებელი** – **ἀδύνατος** (ანასატასი სინელი, წინამძღუარი) PG 89 c.129 C 9 – შეუფერებელი, შეუძლებელი:
ესე სიტყუაჲ მოუზავებელ არს 24,19.
*შეუძლებელ* I 14r (S 1463 ანასატასი სინელი, წინამძღუარი).

**მოქმედი** – **ἐνεργητικός** 138,22-23 – შემქმნელი:
ორნივე ბუნებანი მისნი მნებებელ იყვნეს და მოქმედ ცხორებისა ჩუენისა 18,4.

**მოძიებაჲ** – **ἰώμενος** 108,52 – მოძებნა:
ეგრეთვე მეორე ადამ მოვიდა რაჲ მორჩილებითა მამისაჲთა მოძიებად წარწყმედულთა 11,6.
*განკურნება* M 150,77r I; I 150,77r II.

**მოწევნული** – 1. მოვლინებული:
და მასვე ჟამსა დასცხრა რისხვაჲ იგი მოწევნული 15,9.
საბა: მოწევნა – ერთი რამ ავი იქნას.
**συμβεβηκός** PG 95 c.124 A4 – არაარსებისმიერი, შემთხვევითი:
[ქრისტე] არა თურე ბუნებით არს ვნებულ ანუ უვნებელ, არამედ მოწევნულითა 25,32.
გუამი ოდესმე ყოვლითურთ მოასწავებს გუარსა საქმისასა და ამით სახითა არა მარტივად არსებასა გამოაჩინებს, არამედ მოწევნულსაცა 25,23.

**მოწყლვა** – ვნება, დაზიანება:
ელვარებაჲსაჲ... რომელი... ბრწინავნ ხესა ზედა, ... არა მოიწყლვის 20,8.

**მპყრობელი** – მფლობელი:
[სული წმიდაჲ არს]... მპყრობელ, არა პყრობილ 5,14.

**მსგავსი** – **ὅμοιος** 5,17:
დაჰბადა კაცი ქელითა თჳსითა... ხატად თჳსად და მსგავსად 8,1.
იგივე ბუნებაჲ, რომელი ცოდვისა მიერ დაიმორჩილა სიკუდილმან, იგივე სახიერმან მან და მართალმან კუალად მძლედ მისა გამოაჩინა და მსგავსითა მსგავსი იკსნა 11,3.

**მსგავსებაჲ** – 1. ἡ ὁμοίωσις 76,20:

ხატებაჲ გონიერებასა მოასწავებს და თჳთმფლობელობასა, ხოლო მსგავსებაჲ სათნოებათა მიერ... მობაძვასა მისსა 8,21.

*მსგავსებისაებრიობაჲ* I 111, 69v II.

2. ὁμοῖος 28, 243:

არა თქუა თუ მსგავსებაჲ, არამედ ერთობაჲ უცვალებელი 5,24.

**მღრინავი** – საბას მიხედვით „მღრინავი – დიდი ჭრელი ზორაყი". B ნუსხის აშიაზე მითითებულია: მღრინავი – თუთი. „თუთი – სხვათა ენაა, ქართულად ზორაყი ჰრქჳან. ზორაყი – ფრინველია ინდოეთსა მოლაპარაკე" (საბა). მღრინავი – „ეროდიო" cygnus olor. (ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი). გედის ჯიში

**მყოფი** – არსებული:

გუამი და პირი [არს] განყოფილი იგი თითოეულისა სახე მასვე ბუნებასა შინა მყოფთაჲ 23,49.

[ღმერთმა კაცს] ვითარცა მთავარსა ქუეყანისასა და ყოველთა მას შინა მყოფთასა, შეუმზადა საყოფელიცა შემზადებული 9,1-6.

**მყოფობაჲ** – არსებობა:

არს ღმერთი ჭეშმარიტად და აგებულებაჲ დაბადებულთაჲ ... ჰქადაგებს მყოფობასა ღმრთისასა 1,5.

**მშჯვიერი** – ἐψυχωμένη 109,22 – სულიერი, განსულიერებული:

შეიმზადა თავისა თჳსისა წმიდათა და უბიწოთა კორცთა და სისხლთა მისთაგან კორცნი მშჯვიერნი სულითა სიტყჳერითა და გონიერითა 11,78-80.

*სულიერი* M 151,81r I; I 152,77r II.

რომელნიმე [კაცებისა საქმენი] არიან სულისანი თანაკმარებითა კორცთაჲთა და სხუანი კუალად არიან კორცთა გონიერთა და მშჯვიერთანი 18,20.

*სულიერქმნული* M 190,95r II; I 190,83v II.

**მცნებაჲ**:

ყოველითკერძო ხე ცხორებისაჲ იყო მცნებაჲ ღმრთისაჲ 9,7.

**მხოლოდშობილი** – μονογενής 1,6:

ხოლო ღმერთი არავინ სადა იხილა, არამედ მხოლოდშობილმან ძემან 1,2.

**მხოლოჲ** – μόνος 45, 13 – აქ: ერთადერთი

ხოლო ღმრთისა თანა მხოლოჲსა მის შეუმსგავსებელისა, იგინიცა [ანგელოზები] ნივთიერ არიან და ზრქელ 7,4.

**მჴედრობაჲ ზეცისა ძალთანი** – ზეციურ ძალთა დასი:

ვინ დაჰბადნა აურაცხელნი იგი მჴედრობანი ზეცისა ძალთანი? 3,10.

**ნათელი** – **τὸ φῶς** 49,10:

ბნელი მოკლებაჲ არს <u>ნათლისაჲ</u> 10,21.

ეგრეთვე გურწამს ძე ღმრთისაჲ ... <u>ნათელი ნათლისაგან</u> 5,8.

**ნათელი მიუაჩრდილებელი** – **τό φῶς ἀπρόσιτος** 8,6:

გურწამს ღმერთი... <u>ნათელი მიუაჩრდილებელი</u> 5,3

*ნათელი შეუხებელი* M 45,40 v II; *ნათელი მიუახლებელი* I 45,56 v I.

**ნათესავი** – **τό ἔθνος** 47,55 – ტომი, ეთნოსი:

დადგინებულ არიან ვიეთნიმე მათგანნი [ანგელოზები] კერძოთა ქუეყანისათა განმგებელად <u>ნათესავთა</u> 7,13.

ჰხედავა, ვითარ თითოფერთა მათ <u>ნათესავთა</u> ბუნებად უწოდა ძმამან უფლისამან? 24,2.

**ნათლისცემა** – **βαπτίζω** 79,27:

<u>ნათელს-სცემდით</u> სახელითა მამისაჲთა 5,6.

**ნებაჲ** – 1. **ἡ θέλησις**19,22:

[და გურწამს ერთი ღმერთი]... ერთი <u>ნებაჲ</u> 5,4.

2. **θελητικός** 9,25:

იგი თავადი ღმერთი არს სრული და კაცი სრული... ორითა <u>ნებითა</u> 2,5.

*მნებებელი* M 35,36 v II; *ნებებაჲ* I 35,54v I.

**ნებაჲ და განზრახვაჲ** – **τὸ βούλημα** 8,7:

ერთ არს ღმერთი... არა რომლითა სახითა შესაძლებელი აღრაცხვად, გარნა თჳსისა მიერ <u>ნებისა და განზრახვისა</u> 5,3.

*განზრახვაჲ* M 45,40 v II; *ნებაჲ* I 45,56v I.

**ნებებაჲ** – **τὸ θέλειν** 139,51 – ნება, სურვილი:

<u>ნებებაჲ</u> ჭამისაჲ და სუმისაჲ და სხუათა ესევითართაჲ არა ღმრთეებისაჲ იყო 18,7.

**ნებიერი** – **θελητικός** 139,45 – მნებებელი:

[ქრისტეს] ორნი ბუნებანი ჰქონან: <u>ნებიერნი</u> და სიტყვიერნი 18,6.

*ნებებითი* M 181, 92r I; *მნებებელობითი* I 181, 82v I.

**ნივთი** – **τὸ στοιχεῖον** 111,8 – 4 ელემენტი: აქ ოთხი სტიქია: მიწა, წყალი, ცეცხლი, ჰაერი.

ჯორცნი ჩუენნი ოთხთა <u>ნივთთაგან</u> შემზადებულ არს 18,2.

რაჟამს შეიზავნენ ჯორცნი ოთხთა <u>ნივთთაგან,</u> ოთხნი ჰქონან რომელობანი

**ნივთიერი** – **ὑλικός** 45,14 – მატერიალური:

ხოლო [ანგელოზები] ითქუმიან უკორცოჲ და უნივთოჲ ჩუენ თანა კორციელთა ამათთა და ნივთიერთა 7,4.

ღმრთისა თანა მხოლოჲსა მის შეუმსგავსებელისა იგინიცა ნივთიერ არიან და ზრქელ 7,4.

**ნივთიერებაჲ** – მატერია:

[ღმერთი]... უკორცო არს და უზეშთაეს ყოვლისა ნივთიერებისაჲ 4,1.

## ო

**ოთხებაჲ** – **τετραπρόσωπος** (ანასტასი სინელი, წინამძღუარი) PG 89 c.108 C 8 – ოთხი პირი:

და სწამეს წმიდასა მას კრებასა [ქალკიდონისა], თუ ორსა გუამსა და ორსა პირსა იტყჳსო ქრისტესსა და ოთხებასა შემოიღებსო წმიდასა სამებასა ზედა 23,41.

*ოთხპირადი* I (ანასტასი სინელი, წინამძღუარი) S1463, 11v.

**ორკერძოჲ** – **συναμφότερος** 117,28 – ორმხრივი:

ხოლო ოდეს გუამსა მას ორთაგან ბუნებათა შემზადებულსა ვაკსენებდეთ, გინათუ ორკერძოჲთ გინათუ ერთისა ხოლო კერძოჲსაგან სახელ-ვსდვათ, ორთავე ბუნებათა საქმეთა დავსდებთ მას ზედა 12,24.

*ორი* M 157, 83 v I; *ორთაგანვე* I 157, 78v I.

**ორობაჲ** – **σύζυγος** (ანასტასი სინელი, წინამძღუარი) PG 89 c.117 B 15.

[ქრისტეს] ბუნებაჲ ორობაჲ თომა იხილა 2,3.

*უღლეულობაჲ* I (ანასტასი სინელი, წინამძღუარი) S 1463, 12v.

## პ

**პატივი** – **ἡ ἀξία** 46,29 – ღირსება:

მიიღებენ იგინი [ანგელოზები] განათლებასა და მადლსა შემსგავსებულად პატივისა და წესისა მათისა 7,8.

**პირველ** – თავიდან, პირველად:

შეშურდა პატივი კაცისაჲ ეშმაკსა, რომელ-იგი იყო პირველ ერთი ანგელოზთაგანი 10,1.

**პირველი მიზეზი:**

იგი [მამაჲ] არს პირველი მიზეზი უმიზეზოჲ 5,32.

**პირმეტყუელი** – **λογικός** 19,25 – მოაზროვნე, გონიერი:

არს ღმერთი... თაყუანისცემული ყოველთა მიერ პირმეტყუელთა ბუნებათა 5,5.

*სიტყჳერი* M 46,41r I; I 46 56v II.

პეტრე, პავლე და იოვანე... თითოეული ცხოველ არს <u>პირმეტყუელი</u> 5,21.

**პირმეტყუელებაჲ** – 1. **ἡ προφορᾶ τοῦ λόγου** 145,26 – სიტყვის წარმოთქმა:

კუალად ითქუმის საქმედ ბუნებითად <u>პირმეტყუელებითაცა</u> ესე გამოცხადებაჲ ზრახვათა გონებისათაჲ 18,20.

*ჴმოვანი სიტყუაჲ* M 189, 95 r I; *წარმოჩინებითი სიტყუაჲ* I 189,83v II.

2. **ὁ λόγος** 145,26 – სიტყვა:

კუალად ითქუმის საქმედ ბუნებითად <u>პირმეტყუელებითაცა</u> ესე გამოცხადებაჲ ზრახვათა გონებისათაჲ 18,20.

**პყრობაჲ** – **ἡ συνοχή** 7,16 – ფლობა:

აგებულებაჲცა დაბადებულთაჲ და <u>პყრობაჲ</u> მათი... ჰქადაგებს მყოფობასა ღმრთისასა 1,5.

და თჳთ იგი აგებულებაჲცა და <u>პყრობაჲ</u> დაბადებულთაჲ ... გუასწაებს, ვითარმედ არს ღმერთი 3,9.

*შეკრება* M 38,37v II; პყრობა I 38, 55r I.

**პყრობილი**

[სული წმიდაჲ არს] მპყრობელ, არა <u>პყრობილ</u> 5,14.

## ჟ

**ჟამი** – 1. **ὁ χρόνος** 28,233 – დრო:

[პეტრეს, პავლეს და იოვანეს გუამნი] ადგილითაცა განყოფილ არიან და <u>ჟამითა</u> 5,22.

ორთა შობათა მისთა აღვიარებთ, ერთსა მას პირველ საუკუნეთა მამისაგან უზეშთაეს მიზეზისა... უზეშთაეს <u>ჟამთა</u> 14,13.

2. **ἡ ἡμέρα** 123,7 – დღე, აქ: დრო

უკუანაჲსკნელთა <u>ჟამთა</u> განუშორებელად წიაღთაგან მამისა მოვიდა ქუეყანად სიტყუაჲ ღმრთისაჲ 14,2.

დღე I 164, 79v I.

**ჟამითა განყოფილი** – **χρόνῳ διαφέρουσι** 28,233 – დროში დაცალკევებული:

[პეტრეს, პავლეს და იოვანეს გუამნი] ადგილითაცა <u>განყოფილ</u> არიან და <u>ჟამითა</u> 14,22.

## რ

**რიცხჳ** – ὁ ἀριθμός 49,31 – რაოდენობა:

რიცხჳ არცა განყოფილებისა მიზეზ არს, არცა შეერთებისა, არამედ რიცხჳსა მის ოდენ გამომაჩინებელ, რომელთაცა აღჰრაცხჳდეს 14,36.

**რწმუნებული** – ἐγχειρισθείς 48,3 – დაკისრებული, მინდობილი:

რწმუნებულ იყო მისდა [ეშმაკისადმი] ღმრთისაგან ცვაჲ ყოვლისავე ქუეყანისაჲ 9,3-4.

*ჴელთდებული* I 79, 63v I.

## ს

**სავსე** – πλήρης 18,11:

ყოველივე სავსე არს დიდებითა მისითა 5,4.

აღსება M 45, 40v II; *აღმავსებელი* I 45,56v II.

**საზომი:**

[ანგელოზები] გინათუ საზომისაებრ განათლებისა მიიღებენ დგომასა, ანუ წესისამებრ დგომისა მიიღებენ განათლებასა 7,11.

**საზღვარი** – ὁ ὅρος 1,27:

ნუ შევცვალებთ საზღვართა საუკუნეთა 1,8.

**სამარადისოჲ:**

ხოლო მიერითგან სხუანი იგი სიმრავლენი ანგელოზთანი სამარადისოჲთა მით მახლობელობითა... ღმრთისაჲთა... სრულიად აღუძრველ არიან ყოვლისავე ბოროტისა მიმართ 8,87-92.

**სამგუამოვნებაჲ** – ὑποστάσεις τρεῖς 9,16 – სამების სამი ჰიპოსტასი:

ერთ არს ღმერთი... და სამგუამოვნებით არს 2,25.

*სამგუამოვნებაჲ* M 35, 36 v II; *სამი გუამი* I 35,54 v I.

**სამგუამოვნებისა თჳსებაჲ** – სამების ჰიპოსტასების თვისება:

ხოლო ოდეს სამგუამოვნებისა თჳსებაჲ გულისჴმა-ვყო, უწყი მამაჲ, პირველი მიზეზი 5,40.

**საოცარი** – ἡ φαντασία 47,34 – მოჩვენებითი:

რომელნი იგი ერთსა ბუნებასა იტყჳან ქრისტესსა... ღმრთად ხოლო აღიარონ და კაცებაჲ საოცრად შერაცხონ 12,8.

*ოცნება* I 153, 77v II.

ჭეშმარიტი იყო შეერთებაჲ იგი არსებითი და არა საოცრად 12,11.

*საოცრებითი* M 155, 82r II; I 155,78r I.

**საუფლოჲ** – უფლის:

განლმრთობასა კორცთა მათ საუფლოთაჲსა ვქადაგებთ 19,2.

**საქმე** – **ἐνεργητικός** 9,26 – მოქმედება, ენერგიის გამოვლენა:

იგი თავადი ღმერთი არს სრული და კაცი სრული... ორითა საქმითა 2,5.

*მოქმედი* M 35,36v II; *მოქმედება* I 35,54v I.

ყოველივე არასრულთა საქმეთაგან შეერთებული შეზავებული იწოდების, ხოლო სრულთა გუამთაგან შერეულებაჲ არა იქმნების 5,19.

**საქმე ბუნებითი** – **ἡ ἐνέργεια** 145,24 – ბუნებითი მოქმედება:

კუალად ითქუმის საქმედ ბუნებითად პირმეტყუელებითაცა ესე გამოცხადებაჲ ზრახვათა გონებისათა 18,20.

*მოქმედება* M 189,95r I; I 189,83v II.

**საღმრთოჲ** – **θεῖος** 142,118:

არა თუ საღმრთოჲ იგი ხოლო და დაუბადებელი ბუნებაჲ გარეგან არს ყოველისავე იძულებისა 18,16.

**საღმრთოჲ საქმეჲ:**

საღმრთონი საქმენი არცა ყოველნი გამოუთქუმელ არიან 2,1.

**საღმრთოჲ ძლიერებაჲ** – **ἡ ἐνυποστάτου ζωή** 150,155:

ცხოველყოფაჲ მკუდართაჲ [თჳსებაჲ არს] საღმრთოჲსა ძლიერებისაჲ 18,36.

*გუამოვანი ცხორებაჲ* M 195,97v I; I 195,84v II.

**საყდარნი** – **οἱ θρόνοι** 48,72 – ერთ-ერთი ანგელოზთა დასი:

ესრეთ დაებადნეს ზეცისა ძალნი: ქერობინნი და სერაბინნი და საყდარნი 7,1.

**საყოფელი** – საცხოვრებელი:

[ღმერთმა კაცს] შეუმზადა საყოფელიცა შემსგავსებული 9,1.

**საშუებელი** – სამოთხე:

დაადგინა ღმერთმან კაცი იგი, ხატად თჳსა დაბადებული, რაჲთა ქორცითა იყოს შუენიერსა მას და ბრწყინვალესა საშუებელსა შინა 9,2.

**საცნაური** – **γνωστός** 8,4 – შემეცნებადი:

სხუაჲ არს საცნაური და სხუაჲ არს გამოუთქუმელი 2,1.

*ცნობილი* M 34,36v I; I 34, 54r II.

საცნაურ არს მიუწდომელობაჲ მისი [ღმრთის] 4,5.

**საცხოვარი** – საქონელი:

და ყოველნი საცხოვარნი ერთბუნება არიან 12,18.

**სახე** – **τὸ εἶδος** 45,11 – სახეობა:

ხოლო სახე და განსაზღვრებაჲ და გუარი ბუნებისა მათისაჲ მხოლომან უწყის დამბადებელმან მათმან 7,4.

**სახიერი** – **ἀγαθός** 9,13 – კეთილი:
არს ღმერთი... სახიერი 2,3.

**სახიერებაჲ** – **τὸ ἀγαθόν** 128,1 – სიკეთე:
და გურწამს ერთი ღმერთი... წყაროჲ სახიერებისაჲ 4,3.
ღმერთმან გარდამატებულითა მით სახიერებითა სათნო იყო ქმნაჲ დაბადებულთაჲ მხილველად სახიერებისა მისისაჲ 5,2.

**სერაბინი** – **τὸ Σεραφίμ** 7,13 – ერთი ზეციურ ძალთაგანი:
ესრეთ დაებადნეს ზეცისა ძალნი: ქერობინნი და სერაბინნი 1,4.

**სიბრძნე ამის სოფლისაჲ** – **ἡ σοφία τοῦ αἰῶνος τούτου** (ანასტასი სინელი, წინამძღუარი) PG 89 c.108 D 6 – ამქვეყნიური, წარმართული, ფილოსოფიური სიბრძნე:
წერილ არს: „წარვწყმიდო სიბრძნეჲ იგი ბრძენთაჲ“ და „გან-რაჲ-მე-აცოფა ღმერთმან სიბრძნე ამის სოფლისაჲ “ 23,307-309.
*სიბრძნეჲ სოფლისაჲ ამის* I S 1463,11v.

**სიტყუაჲ** – 1. **ὁ Λόγος** 110,31 – ლოგოსი:
თავადი იგი სიტყუაჲ ექმნა გუამ კორცთა მათ 11,10.
ერთ არს ღმერთი... მომცემელი სიტყჳსაჲ 5,4.

2. აზრი:
ესე წესი და ესე სიტყუაჲ დავიმარხოთ 1,8.
ორთა შობათა მისთა აღვიარებთ: ერთსა მას, პირველ საუკუნეთა მამისაგან უზეშთაეს მიზეზისა, უზეშთაეს სიტყჳსა 14,13.

**სიტყუაჲ გუამოვანი** – **ὁ Λόγος ὁ ἐνυπόστατος** 8, 41 – განხორციელებული სიტყვა, ძე ღმერთი:
[ძე ღმრთისაჲ არს]... სიტყუაჲ გუამოვანი 5,9.

**სიტყუაჲ ღმრთისაჲ** – ლოგოსი, ძე ღმერთი, ქრისტე:
რომლისაგან [მამისაგან] იშვა დაუსაბამოდ ძე და სიტყუაჲ ღმრთისაჲ 5,31.

**სიტყჳერი** – **λογικός** 45,15 – აზროვნების უნარის მქონე:
[ანგელოზნი] სიტყჳერნი არიან ბუნებით და გონიერნი 7,5.
შეიმზადა თავისა თჳსისა წმიდათა და უბიწოთა კორცთა და სისხლთა მისთაგან კორცნი მშჳნვიერნი სულითა სიტყჳერითა და გონიერითა 11,10.
ყოველი სიტყჳერი ნებიერ არს 18,5.

**სიტყჳთა აღსრულებული** – ლოგოსის, ძე ღმრთის მიერ აღსრულებული:
ღმრთისმეტყუელი გრიგოლ იტყჳს: „სიტყჳთა აღსრულებული და სულითა სრულქმნული“ 7,1.

**სოფელი** – **ὁ κόσμος** 76,26 – 1. სამყარო, ქვეყნიერება:
[ღმერთმა] დაჰბადა კაცი... ვითარცა მეორე სოფელი, დიდი – მცირესა შინა 8,2.

**სრული** – **τέλειος** 18,41 – მთლიანი, სისავსით მყოფი:
ერთი ღმერთი ვიცით სრული 5,9.

## უ

**უნივთოებაჲ** – **ἡ ἀυλότης** 125,47-48 – არამატერიალურობა:
სიტყუაჲ იგი ღმრთისაჲ განკორციელდა და თჳსისა მის უნივთოებისაგან არა დააკლდა, არამედ ყოვლითურთ კორციელ იქმნა 14,18.
*უსხეულობაჲ* I 166,79v II.

**უნივთოჲ** – **ἀσώματος** 122,3 – არამატერიალური:
რამეთუ იყო პირველითგან უჟამოდ და დაუსაბამოდ საღმრთოჲ იგი გუამი სიტყჳსა ღმრთისაჲ, უნივთოჲ, მარტივი, დაუბადებელი 14,1.
*უჴორცოჲ* M 164,85v II; I 164,79v I.
სულნი არიან გონიერ, გინათუ ცეცხლ უნივთოჲ 7,2

**უპირული** – **ἄτοπος** 112,27 – უადგილო, უჯერო:
რომელი ესე უპირული არს და ყოვლითავე გმობითა სავსე 12,6.
*უჯეროჲ* M 153,81v II; I 153,77v II.

**უჟამოდ** – 1. **ἀνάρχως** 20,43 – დაუსაბამოდ:
[ძე]... მარადის იყო მამისა თანა დაუსაბამოდ და უჟამოდ მისგან შობილი 56,9.
*დაუსაბამოდ* M 47,40r II; I 47,57r I.
2. **ἀχρόνος** – დროის გარეშე:
იყო პირველითგან უჟამოდ და დაუსაბამოდ საღმრთოჲ იგი გუამი სიტყჳსა ღმრთისაჲ 14,1.

**უწყებაჲ** – ცნობა:
უზეშთაესნი იგი დასნი შემდგომთა მათ მისცემენ უწყებასა საიდუმლოთასა 1,12.

**უჴორცოჲ** – **ἀσώματος** 45,12 – უსხეულო:
ხოლო [ანგელოზები] ითქუმიან უჴორცოჲ და უნივთოჲ ჩუენ თანა, კორციელთა ამათთა და ნივთიერთა 7,3.
*უსხეულოჲ* I 75,62v II.

## ფ

**ფარვა** – ἐπισκιάζω 109,19 – დაცვა:

და ჰფარვიდა მას [მარიამს] ძალი მაღლისაჲ 11,9.

*გრილობა* M 151,77r 11.

**ფერი:**

და ნებანიცა მათნი [ადამიანების] განყოფილ არიან, და ძალი და ფერი და სახე და ჩუეულებაჲ და აგებულებაჲ და პატივი და გულისზრახვანი 5,22.

**ფილაფოზი** – აქ: კნინობითი ფორმით: მითხრასღა სუბერიეს ფილაფოზგან ... შესაძლებელ იყოა ... თქმულად, თუ „ვიხილე ღმერთი ბუნებითი ბუნებად" 23,14.

**ფილოსოფოსი** – γραμματικός 101,5 – მწიგნობარი, მწერალი:

იოვანე ფილოსოფოსმან, კესარიელმან...აღწერეს ქებაჲ... მის კრებისაჲ 23,27

**ფილოსოფოსთაგანი** – ფილოსოფოსი:

მრავალნი წარმართთა მათ ფილოსოფოსთაგანნიცა აღიარებენ 3,1.

## ქ

**ქერობინნი** – τὰ Χερουβίμ 7,14 – ანგელოზთა ერთ-ერთი დასი:

ესრეთ დაებადნეს ზეცისა ძალნი: ქერობინნი და სერაბინნი 1,4.

**ქმნა** – შექმნა:

ვინ ქმნნა ცაჲ და ქუეყანაჲ? 3,10

ერთღმრთეებამან... მერმე უხილავისაგან და ხილულისა ქმნა აგებულებაჲ კაცისაჲ 8,1.

**ქმნული** – ποιήθεις 18,36 – შექმნილი:

ეგრეთვე გურწამს ერთი ძე ღმრთისაჲ ... შობილი და არა ქმნული 5, 45-48.

**ქრისტესმშობელი:**

უსჯულომან ნესტორ... არა უწოდდა ღმრთისმშობელად, არამედ ქრისტესმშობელად 16,8.

**ქუემორე** – ცოტა ქვემოთ:

ყოვლით კერძო მგმობარ და წარწყმედულ არიან ესევითარისა მეტყუელნი, რომელთა ქუემორე უვრცელესად სიტყუაჲ უგოთ შეწევნითა ღმრთისაჲთა 12,8.

**ქუეყანაჲ** – ἡ γῆ 11,41 – მიწა:

ყოვლად ძლიერი ძალი მისი სცვიდა... ცეცხლსა... და წყალსა და ჰაერსა და ქუეყანასა 3,9.

[ქრისტე] წყალთა ზედა დაუდგრომელთა კორციელითა ფერკითა ვიდოდა, არა თუ წყალი იგი ქუეყანა იქმნა 18,41.

*მიწაჲ* I 197,85r II.

**ქუეყანისაგანი** – γηγενής 56,23 – მიწისაგან შექმნილი:

ადამ ქუეყანისაგან გამოითარგმანების, ხოლო ქუეყანისაგან არს მიწისაგანი იგი ბუნებაჲ კაცისაჲ 16,5.

*ქუეყანისაგან შობილი* M 176,90r II; *მიწით შობილი* I 176, 81v I.

**ქცევა** – ἡ μεταβολή 119,28 – შეცვლა, ცვლილება:

ორნი იგი ბუნებანი ქრისტესნი... დაღაცათუ განუყოფელ არიან და ურთიერთას ცვალებასა და ქცევასა არა მიიღებენ 13,7.

*ქცეულებაჲ* I 159,78v II.

## ღ

**ღმერთმყოფაჲ** – ἡ θέοσις 106,72 – განღმრთობა, თეოზისი:

[ეშმაკმა ადამს] ღმერთმყოფაჲ უქადა 10,3.

*განღმრთობაჲ* M 147,79v I; I 147,76v II.

**ღმერთშემოსილი** – θεόφορος 56,55 – ღმერთობამიღებული:

ნესტორ... წმიდასა ღმრთისმშობელსა ქრისტესმშობელად იტყოდა და მისგან შობილსა უფალსა ჩუენსა ღმერთშემოსილად უწესდა 16,11.

**ღმრთეებაჲ** – ἡ θεότης 19,21 – ღმერთი:

[გურწამს ერთი ღმერთი]... ერთი ღმრთეებაჲ 4,5.

არიოზ ერთსა მას ბუნებასა და არსებასა ღმრთეებისასა განყოფდა 23,17.

ხოლო შემდგომად დიდებულისა მის ბუნებისა ღმრთეებისა არავინ იცის ღმერთი 1,4.

ღმრთეებაჲ და კაცებაჲ ქრისტესი გუამოვან არს, რამეთუ თითოეულსა მათგანსა აქუს ზიარად ერთი იგი ორთაგან შემზადებული გუამი მისი, ღმრთეებასა... უჟამოდ, ხოლო კორცთა ამათ... უკუანაჲსკნელთა ჟამთა 25,24.

**ღონისძიებაჲ** – მოხერხება:

შეშურდა ბოროტსა მას [ეშმაკს] და ღონისძიებით მოუკლა 10,3.

**ყოველგან და ყოველთა შინა – ἐν πᾶσιν** 9,31 – ყველგან და ყველაფერში:
ვითარ არს [ღმერთი] ყოველგან და ყოველსა შინა 2,7.
*ყოველთა შინა* M 36,37r I; I, 36 54v I.

**ყოველთა განმგებელი – ὁ πάντων προνοητής** 9,14 – ყოვლის გამრიგე:
არს ღმერთი... ყოველთა განმგებელი 2,3;
*ყოველთა წინაგანმგებელი* I 35,54r II.

**ყოველთა დაბადებულთა შემოქმედი – ὁ πάντων κτισμάτων δημιουργός** 9,13-14:
არს ღმერთი... ყოველთა დაბადებულთა შემოქმედი 2,3.
*ყოველთა დაბადებულთა დამბადებელი* M 35,36v II;
*ყოველთა აგებულთა დამბადებელი* I 35,54r II.

**ყოველთა დამბადებელი – ὁ δημιουργός** 26,177 – დამბადებელი, შემოქმედი:
ეგრეთვე გურწამს ერთი სული წმიდაჲ ... ყოველთა დამბადებელი 5,12.
*აღსავსე დამბადებელობითა* M 54, 44r II; *დამბადებელი* I 54,58r II.
არს ღმერთი ჭეშმარიტად ყოველთა დამბადებელი 4,1.

**ყოველთა მეუფე**
არს ღმერთი... ყოველთა მეუფე 2,3.

**ყოველთა მხედველი – παντεπόπτης** 9,14:
არს ღმერთი ყოველთა მხედველი 2,3.
*ყოვლისა მხედველი* M 35,36v II; *ყოვლისა ზედამხედველი* I 35,54r II.

**ყოველთავე აღმავსებელი – πληροῦν** 26,175:
[სული წმიდაჲ არს]... ყოველთავე აღმავსებელი 5,14.

**ყოვლად ბრძენი – σοφός** 12,35:
[ღმერთი]... ყოვლად ბრძენ [არს] 4,5.

**ყოვლად ძლიერი – παντοδύναμος** 8,13:
არს ღმერთი... ყოვლად ძლიერი 2,3.

**ყოვლითურთ ყოველნივე** – სრულიად, მთლად ყველანი:
ყოვლითურთ ყოველნივე ესე ცვალებასა შინა არიან 3,7.

**ყოვლისამპყრობელი – ὁ παντοκράτωρ** 9,14:
არს ღმერთი... ყოვლისამპყრობელი 2,3.
გურწამს ერთი სული წმიდაჲ ... ყოვლისამპყრობელი 5,3.

**ყოფადი – ἐσόμενον** 59,32 – მყოფადი, მომავალი:
გონებამან წინაჲსწარ იხილის ყოფადი იგი 18,20.
ქმნადი I 190,83v II.

არცა ქრისტე ეწოდებოდა, გარნა თუ საწინაწარმეტყუელოჲთა სიტყჳთა, რომელი მოასწავებდა ყოფადსა მას 20,256-260.

## შ

**შეერთება – ἑνωμένη** 8,25:

შეურევნელად შეერთების წმიდაჲ იგი სამგუამოვნებაჲ 5,33-34.

**შეერთებაჲ – ἡ περιχώρησις** 126,58 – შეერთება, შეთავსება:

დაღაცათუ ვიტყჳთ შეერთებასა ორთა მათ ბუნებათასა ერთ გუამად, არამედ ვიცით, ვითარმედ შეერთებაჲ იგი საღმრთოჲსა მის ბუნებისა მიერ იქმნა 14,18.

*დატევნა* M 166, 86r II; I 166,70r I.

**2. ἡ συνάφεια** 29,267 – შერწყმა, შეზავება:

ერთისა იყო ნათლისა მათისა შეერთებაჲ და შეზავებულებაჲ 5,28.

**შეზავებული – 1. ἡ σύνθεσις** 27,215 – ურთიერთშერეული, შერწყმული:

ყოველივე შეზავებული განყოფადი არს 5,19.

*შეზავებულებაჲ* M 55, 4v II; შეზავებაჲ დასაბამი არს განყოფისაჲ I 55,58v II.

**2. σύνθετος** 27,207:

ყოველივე არასრულთა საქმეთაგან შეერთებული შეზავებულ იწოდების 5,19.

**შეზავებული ბუნებაჲ – ἡ σύνθετος φύσις** 111,6 – ბუნებათა შერწყმა, რომლის შედეგადაც მიიღება ახალი, მასში შემავალ ბუნებათაგან განსხვავებული ბუნება:

შეზავებული ბუნებაჲ არცა ერთსა მსგავს არს, რომელთაგან შეიზავა 12,2.

**შემატება – παρεντίθημι** 128,33:

არა მეოთხესა პირსა შევჰმატებთ სამებასა თანა 14,23.

*შემოყვანება* M 168,87r II; *შერთვა* I 168,80r II.

**შემდგომი** – მომდევნო:

ესე იყოს დიდ და ძე მაღლის ეწოდოს... და შემდგომი ამისი 11,7.

**შემზადება – πήγνυμι** 109,21 – შექმნა, შედგენა:

[ქრისტე] შეიმზადა თავისა თჳსისა წმიდათა და უბიწოთა კორცთა 11,9.

*დაშენება* I 151,77r II.

**შემზადებული – συγκείμενος** 45,6 – შექმნილი, შემდგარი:

იგი თავადი ღმერთი არს სრული და კაცი სრული... ორთაგან ბუნებათა შემზადებულისა 2,5.

*შეზავებული* M 35,37r I; I 35,54v I.

[ღმერთმან] არარსისგან არსებად მოიყვანნა ... უხილავისაგან და ხილულისა შემზადებული კაცი 6,2.

*შემზადებული* M 75,52r I;

**შემოსვა** – აქ: მიღება:

ამისთჳს ერთი ბუნება ითქუმის კაცებისაჲ, რომელიცა შეიმოსა სიტყუამან ღმრთისამან 12,10.

**შემოქმედი** – შემქმნელი:

არს ღმერთი შემოქმედი ყოველთაჲ 3,1.

**შემსგავსებული** – **ἀναλογία** 46,29 – შესაფერისი:

[ანგელოზები] მიიღებენ... განათლებასა და მადლსა შემსგავსებულად პატივისა და წესისა მათისა 7,8.

*შეტყუება* M 76,52v I; შემსგავსებულ I 76,62ვ II.

**შემწყნარებელი** – **δεκτικός** 112,29 – მიმღებელი:

ვითარ იყოს ერთი ბუნებაჲ წინააღმდგომთა არსებათა შემწყნარებელი? 12,7.

*მიმთუალველი* I 153,77v II.

**შერევნაჲ და შეზავებულებაჲ** – **ἡ σύνθεσις** 27,214 – ურთერთშერწყმა:

სრულთა ვიტყჳთ გუამოვნებათა, რაჲთა არა შერევნაჲ და შეზავებულებაჲ მოვიგონოთ ბუნებასა მას შინა საღმრთოსა 5,19.

*შეზავებულებაჲ* M 55,44v II; I 55,58v II.

**შერეულებაჲ** – 1. **ἡ σύνθεσις** 27,208 – შეზავება, შერწყმა:

სრულთა გუამთაგან შერეულებაჲ არა იქმნების 5,3.

*შეზავებაჲ* M 55,44v; I 55,58v I.

შეერთებულ არიან [სამების წევრები], ვითარცა ვთქუ, არა თუ შერწყუმით, არამედ ერთბამად ყოფითა და განუშორებელობითა თჳნიერ ყოვლისავე შერეულებისა 5,28.

2. **συγχεῖσθαι** 29,263:

ერთბამად არიან გუამნი იგი, არათუ შერეულებით 5,26.

*შერევნაჲ* M 57,45r II.

**შეუმსგავსებელი** – **ἀσύγκριτος** 17,13:

[ანგელოზები] ღმრთისა თანა, მხოლოჲსა მის შეუმსგავსებელისა, იგინიცა ნივთიერ არიან და ზრქელ 7,4.

*შეუტყუებელი* M 76,51r II; I 76,62v II.

**შეურაცხებაჲ** – **ἡ ὕβρις** 115,74 – შეურაცხყოფა, გინება:

ერთი იგი ბრწყინავდა საკჳრველებითა და მეორე იგი თავს-იდებდა შეურაცხებათა 12,11.

*გინებაჲ* M 155,82v I; I 155,78r I.

**შეურევნელად** – ἀσυγχύτως 19,25:
შეურევნელად შეიერთების წმიდაჲ იგი სამგუამოვნებაჲ 5,5.

**შეურევნელად განუყოფელობაჲ** – ἡ μερῶν περιχώρησις 115,77 –
განუყოფელობა ანუ ერთობა შერევნის გარეშე:
კორცთა მათ მისცემს თჳსთა დიდებულებასა სახითა მით ურთიერთას მიცემისაჲთა ერთობისა მისთჳს გუამისა მის და შეურევნელად განუყოფელობისა ბუნებათაჲსა 12,12.

**შეურევნელი შეერთება** – ἀσυγχύτως ἡνωμένη 19,25 – შეერთება ურთიერთშერწყმის გარეშე:
შეურევნელად შეიერთების წმიდაჲ იგი სამგუამოვნებაჲ და განუყოფელად განიყოფის საკჳრველად 5,5.

**შეურევნელობაჲ** – ἡ ἀσυνθεσία 27,17 – შეუზავებლობა:
შეურევნელობასა და შეურწყუმელობასა გულისკმა-ვყოფთ წმიდისა სამებისასა 5,20.

**შეურწყუმელი** – შეურევნელი, შეუზავებელი:
ერთი ღმერთი ვიცი სრული, სამთა სრულთა შინა, ერთი სრული, განუყოფელი და შეურწყუმელი 5,30.

**შეურწყუმელობაჲ** – ἡ ἀσύγχυσις 27,217:
სამგუამოვნებისა მიერ შეურევნელობასა და შეურწყუმელობასა გულისკმა-ვყოფთ წმიდისა სამებისასა 5,20.

**შეუწუხებელი** – ἄλυπος 76,24 – დაუმწუხრებელი:
დაჰბადა კაცი უმანკოჲ... შეუწუხებელი 8,13-14.
*უმწუხარებოჲ* I 111,69v II.

**შეუხებელი** – ἀναφής 4,5:
[ღმერთი] უკორცოჲ არს და შეუხებელ 4,2.

**შეცვალებაჲ** – ἡ τροπή 11,23 – ცვალებადობა, შეცვლა:
ესენი უეჭველად შეცვალებასა ქუეშე არიან 3,5.
*ქცეულებაჲ* M 37,37v I; *ქცევადობაჲ* I 37,55r I.
და ბუნებაჲ, რომელი მიიღო, განაღმრთო არა თუ შეცვალებით ბუნებად ღმრთეებისა, არამედ შეერთებითა ღმრთისაჲთა 16,12.

**შეცვალებადი** – τρεπτός 11,33 – ცვალებადი:
[ხილულნი]... შეცვალებადნი არიან 3,8.
*ქცევადი* M 37,37v II; I 37,55r I.
ყოველნივე არსნი, რომელნიცა შეცვალებადნი არიან, დაბადებულნი არიან 3,5.
*ქცევადობაჲ* M 55,37v II; *ქცევადი* I 55,55r I.

**შეწყუდევაჲ – περιορίζω** 46,33 – შეზღუდვა:

[ანგელოზები] არა შეიწყუდევიან კართა მიერ 7,9.

*გარეშესაზღვრება* M 77,52v I; I 77, 3r I.

**შობილი – γεννηθεὶς** 2,18:

ძე [არს] შობილ მამისაგან 2,29.

გურწამს ერთი ძე ღმრთისაჲ ... შობილი და არა ქმნული 8,8.

**შობილობაჲ – ἡ γέννησις** 26,187:

[სულსა წმიდასა] ყოველივე აქუს, რავდენი აქუს მამასა და ძესა, თჳნიერ უშობელობისა და შობილობისა 5,15.

**შჯული** – 1. **ὁ νόμος** 135,36 – წესი, კანონი:

შეერთებაჲ იგი ბუნებათა ქრისტესთაჲ ერთსა შინა გუამსა არა თუ შჯულითა და წესითა ბუნებითითა იქმნა, არამედ უზე̆შთაეს ბუნებათა განგებულებითა იქმნა ერთსა მას გუამსა შეკრებაჲ ორთა ბუნებათა სრულთაჲ 12,10.

და იქმნა [იესუ] იგი შჯულსა ქუეშე 16,6.

2. **ἡ διαθήκη** 10,3 – რჯული, აღთქმა:

...შეიწყნარებენ ძუელსა და ახალსა შჯულსა 3,1.

## ჩ

**ჩუეულებაჲ** – ზნე-ჩვეულება:

და ნებანიცა მათნი [ადამიანების] განყოფილ არიან, და ძალი და ფერი და სახე და ჩუეულებაჲ და აგებულებაჲ და პატივი და გულისზრახვანი 5,22.

## ც

**ცაჲ – ὁ οὐρανός** 108,40:

ვინ ქმნა ცაჲ და ქუეყანაჲ? 3,10.

მან მოდრიკნა ცანი და გარდამოჴდა 11,53.

**ცეცხლი – τὸ πῦρ** 11,41 – ერთი ოთხ ელემენტთაგანი:

ყოვლად ძლიერი ძალი სცვიდა... ცეცხლსა... და წყალსა და ჰაერსა და ქუეყანასა 3,9.

**ცვალება – τραπεζιτεύω** 110,35 – შეცვლა:

არა იცვალა ბუნებაჲ მისი [ქრისტესი] 11,11.

*ქცეულება* M 151,81r I; I 151,77r II.

**ცვალებაჲ – ἡ μετάβασις** 11,33 – ცვალებადობა:

ყოველნივე ესე [ხილულნი] ცვალებასა შინა არიან 3,7.

*ქცევადობაჲ* M 37,37v II; I 37,55r I.

**ცვა** – 1. **τηρέω** 11,43 – დაცვა:
ყოვლად ძლიერი ძალი მისი [ღმრთის] სცვიდა... ყოველსავე 3,9.
2. **ἡ φύλαξις** 48,3 – დაცვა:
რწმუნებულ იყო მისდა [ეშმაკისადმი] ცვაჲ ყოვლისავე ქუეყანისაჲ 10,1.
*მცველობა* I 79,63v I.

**ცვალებადი** – **τρεπτός** 46,15:
[ანგელოზნი]... სიტყჳერნი არიან ბუნებით და გონიერნი, თჳთმფლობელნი და ცვალებადნი 7,5.
*ქცევადი* M 76,52r II; I 76,62v II.

**ცნობაჲ** – 1. **ἡ γνῶσις** 8,26 – ცოდნა:
რომელი ჯერ- იყო და უმჯობეს ჩუენდა ცნობად, გუაუწყა 1,7.
მოგეცინ უფალმან მეცნიერებაჲ ცნობად, თუ რომელი არს ჭეშმარიტებისა სიტყუაჲ, ანუ რომელი არს დრკუჲ და განდრეკილი 23,70.
2. **ἡ γνωστικὴ δύναμις** – შეცნობის უნარი, ძალა:
გემოჲსხილვითა მისითა მიეცემოდა კაცსა ცნობაჲ თჳსისა ბუნებისაჲ 8,4.
*ძალი მეცნიერებისაჲ* M 104,63r II; *შემამეცნებელობითი ძალი* I 104,68v I.

**ცოდნა** – **ἐπιγνώσκειν** 7,8:
არავინ იცის მამაჲ 1,3.
*უწყება* M 33,36rI; I 33,54rI.

**ცხებული:**
ქრისტე ცხებულად გამოითარგმანების 12,5.

**ცხოველი სიბრძნე** – **ἡ ζῶσα σοφία** 20,40 – ძე ღმრთისას ეპითეტი:
არათუ არაარსისგან არსად მოვიდა ძე ღმრთისაჲ, ცხოველი იგი სიბრძნე 5,9.

**ცხოველსმყოფელი** – **ζωοποιά** 151,193 – სიცოცხლის მიმნიჭებელი, მაცოცხლებელი:
ვნებანი კაცებისა მისისანი ცხოველსმყოფელნი არიან 18.
*გამოსაჴსნელი* M 197,98 r I.

**ცხორებაჲ** – **ἡ σωτερία** 106,2 – ხსნა:
საღმრთოჲსა მის განგებულებისათჳს და ჩუენისა მის წყალობისათჳს და ცხორებისა, რომელ ყო უფალმან განკაცებითა თჳსითა 11,1.
*ცხოვნებაჲ* M 148,79v II; *მაცხოარებაჲ* I 148,76v II.

## ძ

**ძალი** – 1. ἡ **δύναμις** 139,48:

[ქრისტემ]... ძალი იგი ნებებისაჲ, რომელი ბუნებით არს ჩუენ თანა, მიიღო 18,6.

2. **ἐφικτός** 1,19 – შესაძლებლობა, შეძლება:

გამოგჳცხადა ღმერთმან და მამამან ძალისაებრ ჩუენისა მეცნიერებაჲ თჳსი 1,5.

*დატევნად შესაძლებელი* M 1,36r II; *მიმწდომელობა* I 54r I.

და ნებანიცა მათნი [ადამიანების] განყოფილ არიან, და ძალი და ფერი და სახე და ჩუეულებაჲ და აგებულებაჲ და პატივი და გულისზრახვანი 5,22.

**ძლიერებაჲ** – ἡ **ὑπόστασις** 20,40:

[ძე ღმრთისა არს]... ხატი ძლიერებისა მამისაჲ 5,9.

*გუამოვნებაჲ* M 47,41r II; I 47,57r I.

**ძნიად აღმძვრელი** – **δυσκίνητος** 47,58:

ძნიად აღმძვრელ არიან ბოროტისა მიმართ 7,14.

*ძნიად აღსაძრველ* M 78,53rII; I 78,63rII.

**ძრვაჲ** – მიწისძვრა:

დღეთა მათ პროკლე კონსტანტინეპოლელ მთავარეპისკოპოსისათა იქმნა ძრვაჲ დიდი 15,9.

## წ

**წამებაჲ** – ἡ **ἀπόδειξις** (ანასტასი სინელი, წინამძღუარი) PG 89 c.121 A8-9 – დამოწმება, აღიარება:

წამებანი ძუელისა და ახლისა წერილისაგან, ვითარმედ არა ერთ არს ბუნებაჲ და პირი 24,1.

*გამოჩინებაჲ* I (ანასტასი სინელი, წინამძღუარი) S 1463,13r.

**წამისყოფაჲ** – ἡ **ἐπίνευσις** 47,54 – მინიშნება:

[ანგელოზებს]... სადაცა წამისყოფამან საღმრთომან უბრძანოს, მეყსა შინა მუნ იპოებიან სიმალითა მით ბუნებითითა 7,17.

**წარმოტყუენვაჲ** – დამარცხება:

[ქრისტემ] ვნებითა მით ცხოველსმყოფელითა ქმნა დიდი იგი და საკჳრველი საქმე: დაჰსნაჲ სიკუდილისაჲ და წარმოტყუენვაჲ ჯოჯოხეთისაჲ 18,35.

**წარწყმედული** – ἡ **παρακοή** 108,52 – შემცდარი, გზასაცდენილი:

ეგრეთვე მეორე ადამ მოვიდა რაჲ მორჩილებითა მამისაჲთა მოძიებად

წარწყმედულთა 11,6.
*ურჩი* M 150,80v I; I 150,77r II.

**წესი** – 1. **ἡ τάξις** 46,30 – წყობა, რიგი:
მიიღებენ იგინი [ანგელოზები] განათლებასა და მადლსა შემსგავსებულად პატივისა და წესისა მათისა 7,8.
2. ნორმა, კანონი:
ესე წესი და ესე სიტყუაჲ დავიმარხოთ 1,8.

**წესი და სახე** – **τὸ ἰδίωμα** 117,25 – თვისება:
რაჟამს უკუე ღმრთეებასა ვიტყოდით, არა მივაჩემებთ მას წესთა და სახეთა კაცობრივთა 12,23.
*თჳსებაჲ* M 157,83r II; *თჳთებაჲ* I 157,78r II.

**წესი მიცემისაჲ** – **ὁ τρόπος τῆς ἀντιδόσεως** 117,38 – ერთი ბუნებიდან მეორეში თვისებათა მიცემის წესი:
და ამას სახესა ეწოდების წერილთა შინა წესი მიცემისაჲ, რამეთუ თითოეული ბუნებაჲ მისცემს მეორესა თჳსსა მას თჳსებასა ერთობისა მისთჳს გუამისა 12,27.
*სახე ურთიერთას მიცემისაჲ* M 158, 83v I;
*სახე ნაცვალმიმცემელობისაჲ* I 158,78v I.

**წყალი** – **τὸ ὕδωρ** 11,45 – ერთი ოთხ ელემენტთაგანი:
ყოვლად ძლიერი ძალი მისი სცვიდა... წინააღმდგომთა ბუნებათა... ცეცხლსა ვიტყჳ და წყალსა და ჰაერსა და ქუეყანასა 3,9.

## ჭ

**ჭეშმარიტი** – **ἀληθής** 114, 7:
ჭეშმარიტ იყო შეერთებაჲ იგი არსებითი და არა საოცრად 12,11.
*ჭეშმარიტებითი* M 155,82r II; I 155,78r I.

**ჭურჭელი** – **τό ὄργανον** 145,34 – ორგანო, იარაღი:
არს უკუე მთავრობაჲ სულისაჲ და კორცნი ჰქონან, ვითარცა ჭურჭელი საქმედ მომზადებული 18,20.
*ორღანოჲ* M 190,95r II; I 190,84r I.

## ხ

**ხატი** – 1. **ἡ εἰκών** 76,17:

დაჰბადა... კაცი... ხატად თჳსად 8,1.

2. **ἡ μορφή** – (ანასტასი სინელი, წინამძღუარი) PG 89 c.181 C11 – ფორმა, სახე:

ხატი მონისაჲ ბუნებასა კაცებისასა გამოაჩინებს 24,70.

3. **ὁ χαρακτήρ** – ხატება, სახე:

[ძე ღმრთისა არს] ხატი ძლიერებისა მისისაჲ 5,9.

**ხატებაჲ** – **ἡ εἰκών** 76,20:

ხატებაჲ გონიერებასა მოასწავებს და თჳთმფლობელობასა 8,2.

*ხატებისაებრობაჲ* I 111,69v II.

**ხატი ცხოველი** – **ἡ ζῶσα εἰκών** 20,40:

არაარსისაგან არსად მოვიდა ძე ღმრთისაჲ ... ხატი ცხოველი და სრული უხილავისა ღმრთისაჲ 5,9.

**ხე ცნობადისაჲ** – **ξύλον τῆς γνώσεως** 71,14:

და შორის სამოთხისა დანერგა ღმერთმან ხე იგი ცხორებისაჲ და ხე იგი ცნობადისაჲ 9,3.

**ხილული** – 1. **ὁρατός** 45,6:

[ღმერთმან] არაარსისაგან არსებად მოიყვანნა ყოველნივე უხილავნი და ხილულნი 6,2.

2. **τὸ ὄν** – 11,27:

ყოველნივე ხილულნი...შეცვალებასა შინა არიან 3,6

*არსი* M 37,37v I; *მყოფი* I 37,55r I.

**ხოლო** – **γυμνός** 112,34 – აქ: მხოლოდ:

და კუალად უკუეთუ რომელნი-იგი ერთსა ბუნებასა იტყჳან ქრისტესსა, მარტივ თქუან ბუნებაჲ იგი, ანუ ღმრთად ხოლო აღიარონ 12,8.

*შიშუელ* M 153,81v II; I 153,37v II.

## ჴ

**ჴელმწიფებაჲ** – 1. **ἡ ἐξουσία** 48,73:

[სიტყუაჲ ღმრთისაჲ] შეჰგუანდა სიტყუასა ჴელმწიფებითა მით 18,39.

ესრეთ დაებადნეს ზეცისა ძალნი: ქერობინნი და სერაბინნი და საყდარნი და უფლებანი და ჴელმწიფებანი 7,1.

[და გურწამს ერთი ღმერთი]... ერთი ჴელმწიფებაჲ 5,5.

2. **ἡ χείρ** 141,114:

მორჩილებაჲ ჴელმწიფებასა შინა მყოფთათჳს ითქუმის 18,15.

ჴელოვანი – ἄριστος (ანასტასი სინელი, წინამძღუარი) PG 89 c.117:
მკურნალიმცა ვინმე ჴელოვანი ეტყოდა წყლისა არა სუმად 24,82.
მკურნალნი ხელოვანნი ვიკმარებთ სიტყუათა სარწმუნოებისათა 23,69.
არა შეესმის კმაჲ მსახურალისა ჴელოვნისაჲ 23,37.

ჴელყოფაჲ – κρατέω 145,36 – შეპყრობა, შეხება:
არს უკუე საქმე კორცთაჲ: შეხებაჲ და ჴელ-ყოფაჲ 18,21.
*პყრობაჲ* M 190,84r I; I 190,94r II.

ჴმოანი – προφορικός 46,27 – გამოთქმული:
არა უკმს მათ ენაჲ და სასმენელნი, არამედ თჳნიერ ჴმოანისა სიტყჳსა აუწყებენ ურთიერთას ზრახვათა 7,8.

ჴორცთა შესხმაჲ – σαρκοῦσθαι (ანასტასი სინელი, წინამძღუარი) PG 89 c. 133 C – განხორციელება:
არა ზოგადსა მას და ზიარსა ბუნებასა სამგუამოვნებისასა ეგულების ქუეყანასა ზედა გამოჩინებაჲ და ჴორცთა შესხმაჲ 24,27.
*განჴორციელებაჲ* I S 1463,15r.

ჴორცი – 1. ἡ σάρξ 28,229 – სხეული:
თითოეული [ადამიანი] შეერთებულ არს ჴორცთაგან და სულისა 5,.21.
გუამოვანი ოდესმე არსებასა მოასწავებს... და ოდესმე თითოეულსა შემოკრებულსა შემზადებად ერთისა გუამისა, ვითარ-იგი სული და ჴორცნი 25,24.
[ქრისტემ] მიიღო დასაბამი არსებისა ჩუენისაჲ: ჴორცნი სულითურთ გონიერით 14,2.
2. τὸ σῶμα 76,18 – სხეული:
ჴორცნი ქმნა მიწისაგან 8,1.

ჴორციელი – 1. ἡ σάρξ 108,46 – სხეულის, ხორცის მქონე:
სიტყუაჲ უქცეველად ჴორციელ იქმნა 11,4.
*ჴორცშესხმული* M 150,80v I; *ჴორცქმნა* I 150,77r II.
2. γήϊνος 150,189 – მიწიერი:
[ქრისტე] წყალთა ზედა დაუდგრომელთა ჴორციელითა ფერჴითა ვიდოდა 18,41.
*მიწიერი* I 197,85r II.

ჴორციელქმნული – σεσαρκομένον 133,4 – განხორციელებული:
წმიდაჲ იგი ქალწული ჭეშმარიტად ღმრთისმშობელ არს, რომელმან ჭეშმარიტი იგი ღმერთი მისგან ჴორციელქმნული შვა 16,1.
*განჴორციელებული* M 175,89v II; I 175,81v I.

ჴრწნილებაჲ – ἡ φθορά 106,10 – გახრწნა, დაღუპვა:
[ადამს] ჴრწნილებაჲ დაესაჯა 10,4.

ⴝსნა – ἀναστεύω 108,35 – გადარჩენა, ცხოვნება:
[ქრისტემ] მსგავსითა მსგავსი ⴑსნა 11,3.
*ცხოვნება* M 149,80r II; *აღმოწოდება* I 149,77r I.

## ⴟ

ⴟერ-ჩინებაჲ – ἡ εὐδοκία 108,36 – ნება, სურვილი, განჩინება:
და ⴟერ-ჩინებითა ღმრთისა და მამისაჲთა მხოლოდშობილმან ძემან და სიტყუამან ღმრთისამან... მოდრიკნა ცანი 11,3.
*სათნოყოფაჲ* M 149,77r I; I 149,80r II.
2. საჭიროდ მიჩნევა:
იგი ყოველსა ზედა მიიწევის, ვითარცა ენებოს და ⴟერ-უჩნდეს 14,18.

## ⴡ

ⴡაერი – ἡ ἀήρ 11,41 – ერთი ოთხ ელემენტთაგანი:
ყოვლად ძლიერი ძალი მისი სცვიდა... ცეცხლსა... და წყალსა და ჰაერსა და ქუეყანასა 3,9.

# პირთა საძიებელი

**აბელ** – (ბიბლ.) 23,5

**აბრაჰამ** – (ბიბლ.) 23,6

**ადამ** – (ბიბლ.) 7,5; 8,3; 11,5; 16,5; 17,1; 23,5

**აგუსტინე** [Αὐγυστῖνος] – ნეტარი ავგუსტინე [354 – 430], ქრისტიანული დასავლეთის დიდი ღვთისმეტყველი, ფილოსოფოსი, წარუშლელი გავლენა იქონია ქრისტიანული მოძღვრების შემდგომ განვითარებაზე, იყო მთელი რიგი იდეებისა და მიმართულებების საფუძველდამდები ღვთისმეტყველებასა და ფილოსოფიაში, ეთიკაში, საეკლესიო წყობასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ახალგაზრდობაში პლატონიზმით გატაცებული, მოგვიანებით გახდა მტკიცე კათოლიკე და ასეთად დარჩა სიცოცხლის ბოლომდე 23,67

**აეტი** [Ἀέτιος] – [300/ 313 – 366/7], ანტიოქიის დიაკონი, რადიკალური არიანელი, ანომიანელთა ერესიარხი, 356 წ. ალექსანდრიაში დაარსა სექტა. აეტი ცნობილი იყო თავისი ბრწყინვალე დიალექტიკით. აეტი ქრისტიანულ მოძღვრებას უყურებდა როგორც მასალას დიალექტიკური ვარჯიშებისთვის. მას ეკუთვნის ცნობილი გამოთქმა: მე ვიცი ღმერთი ისე კარგად, როგორც არ ვიცი საკუთარი თავი. აეტი აღიარებდა მამისა და ძის სხვადასხვა ბუნებას (ἑτεροούσιον), ძე არ არის მსგავსი მამისა (ἀνόμοιος), ამის გამო მის მიმდევრებს ეძახდნენ ჰეტეროუსიანელებს, ანომიანელებს, ევნომიანელებს, აეტის მოწაფისა და მეგობრის, ევნომიოსის, მიხედვით. ღმერთი არ არის აეტისთვის ცოცხალი არსება, არ არის მყოფიც (τὸ ὤν) კი, არამედ არის უბრალო მყოფი (τὸ ὄν), მოკლებული ყოველგვარ განსაზღვრებას. მისი „პირველი დაუბადებელი დამბადებელი“ (πρῶτον γεννῶν ἀγέννητον) გვაგონებს არისტოტელეს „პირველ უძრავ მამოძრავებელს“(μόνον κινοῦν ἀκίνητον). ღმერთი უცვლელია თავისი არსებით და თვისებებით. მისი არსება მის დაუბადებლობაშია, მაგრამ ეს არ ნიშნავს მის ნაკლულევანებას. მას არ შეუძლია თავისი არსებიდან შვას სხვა, ეს შეეძლო მას ან დაშლით და დაყოფით (διάστασις) ან შერწყმით (σύγκρισις), ეს კი მისი უცვლელობის უარყოფას ნიშნავს. აეტის მოძღვრება ფრიად საშიში იქნებოდა, მას თავისი სწავლების გავრცელების მიზნით სერიოზული ბრძოლა რომ დაეწყო. იგი მხოლოდ დიდ ავტორიტეტებთან (ბასილი ანკვირიელი, ევსტათი

სებასტიელი) კამათით კმაყოფილდებოდა. აეტის სწავლება გარკვეულად არიანელთა თვითმხილება იყო. ამიტომ მათ წინააღმდეგ ეკლესიის ბრძოლამ (ბასილი დიდი, გრიგოლ ღვთისმეტყველი, იოანე ოქროპირი) კრიტიკულ მომენტში გამოიწვია აღმოსავლეთში მართლმადიდებელთა კონსოლიდაცია, რამაც საბოლოოდ დაამარცხა ანომიანელობა. 381 წ. მსოფლიო კრებაზე ანომიანელები ანათემას გადასცეს 23,12

**ათანასი** [Ἀθανάσιος] – [295– 373], ალექსანდრიის არქიეპისკოპოსი, ეკლესიის დიდი მამა, წმინდანი, მართლმადიდებლობის მამად წოდებული, არიანელობის თავგამოდებული მოწინააღმდეგე. არიანელთა ინტრიგების წყალობით, ცხოვრების მეტი ნაწილი გაატარა დევნილობაში; იცავდა წმ. სამების ერთარსებობისა და სამგვამოვნების ნიკეის კრებაზე მიღებულ მართლმადიდებლურ მრწამსს, ამავე დროს იყო საეკლესიო იერარქიასა და მონაზვნობას შორის კომპრომისის მომხრე, დატოვა მნიშვნელოვანი რელიგიურ-ლიტერატურული მემკვიდრეობა 15,5; 23,36,67; 24,106; 25,11

**აკვლა** [Ἀκύλας] – [~130 ჩვ. წ-ით], ძველი აღთქმის ბერძნულად მთარგმნელი, მისი განსაკუთრებული რედაქციის ავტორი 23,34

**ამბროსი** [Ἀμβρόσιος] – მედიოლანელი ეპისკოპოსი 340-397 წწ., 374 წ. აირჩიეს ეპისკოპოსად. 381 წ. კონსტანტინეპოლის II მსოფლიო კრებაზე მართლმადიდებლური მრწამსის დამტკიცების შემდეგ ამბროსიმ აკვილაში მოიწვია 32 ეპისკოპოსის კრება, სადაც ამხილა არიოზის დოქტრინა. არიოზის მომხრე ეპისკოპოსები განდევნეს. ამბროსის ტრაქტატის გავლენით იმპერატორმა ვალენტინიანემ ზურგი აქცია წარმართებს. არიანელთა წინააღმდეგ ბრძოლაში იგი დიდ წინააღმდეგობას აწყდებოდა სამეფო ოჯახის მხრივ, მაგრამ იგი მტკიცედ იცავდა მართლმადიდებლური ეკლესიის ინტერესებს, აქტიურად ერეოდა სახელმწიფო საქმეებში. ბოლო წლებში ლიტერატურით იყო დაკავებული. მისი შემოქმედების ძირითად ნაწილს ქადაგებები წარმოადგენს. ამბროსის ბრწყინვალე ქადაგებებმა მრავალი ნეოფიტი მოაქცია. მისი შემოქმედება იყოფა დოგმატიკურ, ეგზეგეტიკურ, მორალურ-ასკეტურ ნაწარმოებებად, აღსანიშნავია მისი წერილები, ჰიმნები. ებრძოდა წარმართებს, არიანელებს, იცავდა ნიკეის მრწამსს 23,30, 77; 24,44,49,50,74

**ამფილოქე** [Ἀμφιλόχος] – [340/345 – 394], იკონიელი ეპისკოპოსი, ეკლესიის მამა, ღვთისმეტყველი, წმინდანი. იყო გრიგოლ ღვთისმეტყველის ბიძაშვილი. ბასილი დიდთან და გრიგოლ ღვთისმეტყველთან ერთად იბრძოდა არიანობის წინააღმდეგ. მონაწილეობდა 381 წ. II მსოფლიო კრებაში. არწმუნებდა იმპერატორ თეოდოსი დიდს გამოეცა ედიქტი, რომლის ძალით ერეტიკოსებს აეკრძალებოდათ საეკლესიო კრებების გამართვა. იბრძოდა მესალიანელთა წინააღმდეგ. მონაწილეობა მიიღო კონსტანტინეპოლის

ადგილობრივ კრებაზე 394 წ. იკონიის კრების (376 წ.) სახელით დაწერა კრების მიმართვა მაკედონიოსის წინააღმდეგ. ცნობილია მისი დოგმატურ-პოლემიკური ნაწარმოებები. მის მსოფლმხედველობაზე დიდი გავლენა იქონიეს კაპადოკიელმა მამებმა. განავითარა სწავლება ღმერთკაცის ორი ბუნებისა და ერთი პირის შესახებ, აღიარებდა ქრისტეს სრულ კაცობრივ ბუნებას, ქადაგებდა დაცემული კაცობრივი ბუნების გარდაქმნას ღმერთი ლოგოსის განკაცებით. თხზულებათაგან, რომლებიც მის სახელს ატარებენ, ზოგი ფსევდო ხასიათისაა 23,68; 24,46,47,58,59-61,72

**ანტიოხოს პტოლემაიდელი** [Ἀντίοχος Πτολεμαΐδος] – [~ 400], სირიელი ეპისკოპოსი, იოანე ოქროპირის მოწინააღმდეგე 24,66

**აპოლინარი** [Ἀπολινάριος] – [310 -390], ლაოდიკიელი ეპისკოპოსი, უაღრესად განათლებული პირი, სალექსო ზომებით გადმოჰქონდა ბიბლია. ეკუთვნოდა ღვთისმეტყველთა ალექსანდრიულ სკოლას, ჰქონდა მიმოწერა ათანასე ალექსანდრიელთან და ბასილი დიდთან. იცავდა ნიკეის მრწამსს. IV ს. 70-იანი წლებიდან შეიცვალა მსოფლმხედველობა. გახდა აპოლინარისტთა ერესიარხი. იგი არ ასხვავებდა ბუნებას და ჰიპოსტასს, ამიტომაც ქრისტეში აღიარებდა არა მხოლოდ ერთ ჰიპოსტასს, არამედ ერთ ბუნებას, რომელიც რთულია და შედგენილი, რადგან შედგენილია ღმერთისა და კაცის მიერ. არ ცნობდა ქრისტეს მიერ ადამიანური გონების მიღებას, მისი სწავლებით, შეუძლებელია ორი გონების ერთ გვამში არსებობა. ქრისტეს ადამიანური გონება რომ მიეღო, ამით სრულ კაცს შეუერთდებოდა სრული ღმერთი და ორ საწყისს მივიღებდით და ნამდვილი შეერთება არ მოხდებოდა. ორი სრული არსებიდან ერთი მთლიანის მიღება შეუძლებელია. აპოლინარიმ ქრისტეს ადამიანურ ბუნებას წაართვა მთლიანობა და სისრულე, აღიარა, რომ ქრისტემ მხოლოდ ადამიანური გვამი და სული მიიღო, ხოლო გონების ადგილი დაიკავა სიტყვამ. მოხდა განხორციელება და არა განკაცება. აპოლინარი არ ცნობდა გამოხსნას, არ ცნობდა, რომ ქრისტემ ადამიანურობა წმ. ქალწულისაგან მიიღო. ქრისტემ თავისი გვამი ციდან ჩამოიყვანა. აპოლინარი იყო ტიპური წარმომადგენელი ალექსანდრიული სკოლისა, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, ქრისტეში ერთობას აღიარებდა. აპოლინარის იდეებმა დიდად მოუმზადა ნიადაგი მონოფიზიტობის გამოჩენას. აპოლინარის სწავლებას მრავალი მიმდევარი ჰყავდა. პირველ ხანებში მის მიმართ კეთილად იყო განწყობილი თვით ათანასე ალექსანდრიელი. ბრძოლა აპოლინარის წინააღმდეგ დაიწყო 362 წ. ალექსანდრიის კრებაზე. მის წინააღმდეგ მკვეთრად აიმაღლეს ხმა ბასილი დიდმა, გრიგოლ ნოსელმა და გრიგოლ ნაზიანზელმა, რომელთაც განავითარეს მართლმადიდებლური სწავლება ერთ ჰიპოსტასში ორი ბუნების ერთიანობის შესახებ. აპოლინარიზმი მისი სხვადასხვა განშტოებებით დაგმობილი იყო რამდენიმე ადგილობრივ კრებაზე და ბოლოს 381 წ. II მსოფლიო კრების მიერ 23,12; 24,107

**არიანოზნი** – არიანელები, ერესი, საფუძველი ჩაუყარა 318 წ. არიოზმა. ეყრდნობოდა ანტიოქიური საღვთისმეტყველო სკოლის მსოფლმხედველობას. ნიკეის კრებაზე (325 წ.) დამარცხების შემდეგ არიანელები განაგრძობდნენ ბრძოლას მართლმადიდებელთა წინააღმდეგ, რომელთაც ათანასე ალექსანდრიელი ხელმძღვანელობდა. 357 წ. არიანელებმა შეიმუშავეს II სირმის ფორმულა, რომელშიც არ ჩანს არც ὁμοούσιος და არც ὁμοιούσιος. არიოზს მრავალრიცხოვანი მიმდევრები გაუჩნდნენ როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის ეკლესიაში. ნიკეის კრებაზე დამარცხების შემდეგ არიანობა რამდენიმე ფრაქციად დაიშალა: 1) უკიდურესი, შეურიგებელი არიანელები: ანომიელები (აეტი) და ევნომიანელები (ევნომიოს). ისინი მამისა და ძის მსგავსებასაც უარყოფდნენ (ἀνομοιον), აქედან სახელწოდება ანომიელები, და მათ სხვადასხვა არსებად მიიჩნევდნენ (ἑτεροούσιον), აქედან სახელწოდება ჰეტეროუსიანელები. 2) ადრინდელი, წმ. წერილით მანიპულირებელი არიანელები: ევსებიოს ნიკომიდიელი, ევდოქსიოს კონსტანტინეპოლელი. 3) ომიელები, აღიარებდნენ მამისა და ძის მსგავსებას არა არსებით, არამედ მადლით: აკაკი კესარიელი. 4) ჰომოიუსიანელები, აღიარებდნენ მამისა და ძის არსებით მსგავსებას: ბასილი ანკვირელი, ვასილიანები. ამ ფრაქციებს შორის მიმდინარეობდა პერმანენტული ბრძოლა, პერიოდულად ხდებოდა სიმბოლოდან οὐσία და ὑποστάσις–ის ამოღება. მართლმადიდებლურ ეკლესიას საუკუნეების მანძილზე უხდებოდა მათთან ბრძოლა 23,12,13,31

**არისტოტელე** – [384-342], დიდი ბერძენი ფილოსოფოსი 23,38,42,44

**არიოზი** [Ἀρείος] – [250-336], ერესიარხი, წარმოშობით ლიბიელი, ლუკიანეს მოწაფე ანტიოქიაში, 311 წ. ალექსანდრიაშია. არიოზის სწავლებას საფუძველი ჩაეყარა დაახლ. 316-317 წწ. არ ცნობდა წმ. სამებაში მამასთან ძის თანასწორობას, რადგან უარყოფდა დასაბამიდან ძის არსებობას მამასთან ერთად. იგი მიიჩნევდა, რომ ძე წარმოიშვა ἐξ οὐκ ὄντων, რომ ქრისტეში ჭარბობს ადამიანური ბუნება, იგი ნახევარღმერთია. არიოზის დარტყმა მოდიოდა არა საეკლესიო და ბიბლიური მოძღვრების წინააღმდეგ, არამედ ფილოსოფიური ელემენტების წინააღმდეგ. ბიბლიის ტერმინოლოგია ღმერთთან მიმართებით არ აღმოჩნდა საკმარისი. ამიტომ მის წინააღმდეგ გამოყენებულ იქნა ფილოსოფიური ტერმინები οὐσία და ὁμοούσιος. არიოზმა დიდი განზეთქილება შეიტანა როგორც ქრისტიანულ წრეებში, ისე მთლიანად ბიზანტიისა და რომის გავლენის ორბიტაში მოქცეული პროვინციების საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. 320-21 წ. ალექსანდრიის კრებამ იგი განკვეთა ეკლესიისაგან. ნიკეის მსოფლიო კრებამ (325 წ.) არიოზი მწვალებლად გამოაცხადა და ექსორია უყო, მაგრამ არიანობა საკმაოდ ფეხმოდგმული იყო საეკლესიო წრეებში ეგვიპტის გარეთაც და ხალხშიც ბევრი მიმდევარი ჰყავდა. მას მხარს უჭერდნენ

ევსევი ნიკომიდიელი, ევსევი კესარიელი, სეკუნდ პტოლემაიდელი, თეონ მარმარიკელი. მართლმადიდებლობას პერმანენტული ბრძოლა უხდებოდა არიოზისა და მისი მიმდევრების წინააღმდეგ. აღმოსავლეთის ეკლესიაში წარმოიშვა შემთანხმებლური (ნახევრადარიანული) მიმდინარეობა, რომელიც ამტკიცებდა მამისა და ძის არა ერთარსებობას, არამედ მსგავსებას (ὁμοιούσιος). კონსტანტინეპოლის საეკლესიო კრებამ (381 წ.) საბოლოოდ დაგმო არიოზი და აღიარა მამის, ძისა და სული წმიდის ერთარსებობა (ὁμοούσιος). დასავლეთის ეკლესიაში მოძღვრებას წმ. სამების შესახებ დაუმატეს დოგმატი სულიწმიდის წარმოშობისა არა მარტო მამა ღმერთისაგან, არამედ ძე ღმერთისაგანაც (Filioque) 5,28; 23,12,17,39,60,61; 24,36,38,42,96

**არტემონი** [Ἀρτέμων] – [III ს.] ანტიტრინიტარელთა სექტის მეთაური რომში, აღიარებდა, რომ ქრისტე ლიტონი კაცი იყო. მისი სწავლება იყო მიბრუნება წარმართული მრავალღმერთიანობისაკენ. ისტორიკოსი ევსებიოს კესარიელი მას პავლე სამოსატელის წინამორბედად მიიჩნევს 23,73

**აჰრონ ( ბიბლ ) – 16,10**

**ბარსანოფი** [Βαρσανούφιος] – [+545], მონოფიზიტი 23,40,62

**ბასილი** [Βασίλειος] – [329-379], დიდი, კესარია-კაპადოკიის ეპისკოპოსი, უაღრესად განათლებული პირი, გამორჩეული თვისებებით დაჯილდოებული დიდი ღვთისმეტყველი, ერთი კაპადოკიელ მამათაგანი, არიანობისა და საბელიანოზობის წინააღმდეგ დაუღალავი მებრძოლი, საღვთისმეტყველო ტერმინოლოგიის ჩამომყალიბებელი. წმ. სამების დოგმასთან დაკავშირებით იცავდა ნიკეის მრწამსს, თუმცა ტერმინი ერთარსება (ὁμοούσιος) ესმოდა რო გორც „მსგავსი არსებით“, რაც ნახევრადარიანელთა პოზიციას ემთხვეოდა. ბასილი დიდი თავისი საეკლესიო-საღვთისმეტყველო მოღვაწეობის გამო სამართლიანად წოდებულია აღმოსავლეთის ეკლესიის სვეტად 15,5; 23,30,67,69,72; 24,46

**გაბრიელ** – (ბიბლ.) მთავარანგელოზი 12,21; 23,52

**გაიანოსი** [Γαϊανος] – [~535], ალექსანდრიის მონოფიზიტი პატრიარქი, იულიანე ჰალიკარნასელის კანდიდატი ალექსანდრიის პატრიარქის კათედრაზე. გაიანოსის მიმდევრები გაიანიტებად იწოდებოდნენ, იყვნენ სეეროს ანტიოქიელის მიმდევრები, ამტკიცებდნენ, რომ ქრისტეს სხეული განხორციელებისთანავე უხრწნელია. ამიტომ მათ შეერქვათ ავთარდოკეტები 23,40,62

**გრიგოლი** [Γρηγόριος ὁ Θεόλογος] – [329/30 – 380/81], ნაზიანზელი, დიდი ღვთისმეტყველი, ერთი კაპადოკიელ მამათაგანი, ტრინიტარული პრობლემის ერთ-ერთი მესვეტე. იცავდა ნიკეის მრწამსს წმ. სამების ერთარსებობასა

და სამგვამოვნებასთან დაკავშირებით, აღიარებდა სამების მესამე წევრის, წმ. სულის ერთარსებობას მამასთან და ძესთან. სული წმიდის შესახებ მისი მოძღვრება უფრო დასრულებულია, ვიდრე ბასილი დიდთან ; ქრისტოლოგიაში ებრძოდა აპოლინარ ლაოდიკიელს და აღიარებდა, რომ ქრისტემ მიიღო ადამიანური გონებაც. მის მოძღვრებაზე გარკვეული გავლენა იქონია ორიგენიზმმა და ნეოპლატონიზმმა. მან თავისებურად გადაამუშავა ორიგენის სწავლება რწმენასა და გნოსისზე, სწავლება გონებაზე, როგორც შუამავალზე უსხეულო ლოგოსსა და ადამიანის სულსა და გვამს შორის, სწავლება საიქიოში ცოდვილთათვის გამწმენდი ცეცხლის არსებობის შესახებ. გრიგოლ ნაზიანზელი მისი საღვთისმეტყველო თხზულებების გამო ღვთისმეტყველად არის წოდებული. ითვლება, რომ ბიბლიის შემდეგ იგი ყველაზე ხშირად ციტირებადი მწერალია საეკლესიო მოღვაწეთა შორის 5,11,23; 7,1,15; 15,4,6; 18,19; 19,1,7; 23,30,36,68; 24,52; 25,11,27

**გრიგოლი ნოსელი** [Γρηγόριος ὁ Νύσσης] – [335/340 – 394], ნისის ეპისკოპოსი, დიდი ღვთისმეტყველი, ერთი კაპადოკიელ მამათაგანი, ბასილი დიდის უმცროსი ძმა. ცნობილია თავისი მრავალრიცხოვანი დოგმატიკურ-პოლემიკური, ეგზეგეტიკური, მორალურ-ასკეტიკური თხზულებებით. მისი ღვთისმეტყველების მეთოდოლოგიას წარმოადგენს: გონებრივი განსჯა სამყაროს თვისებებიდან პირველმიზეზამდე, კათარზისის შედეგად სულიერი ჭვრეტა, ექსტაზი, როგორც მგრძნობელობისა და გონებისგან განთავისუფლება ღმერთის უშუალო განცდის მიზნით. წმ. სამების შესახებ იგი იზიარებს ბასილი დიდისა და გრიგოლ ნაზიანზელის მოძღვრებას. ქრისტოლოგიაში აღიარებს ქრისტეს საღვთო და ადამიანურ ბუნებას ერთ ჰიპოსტასში. მისი ქრისტოლოგიური ტერმინოლოგია ბოლომდე სრულყოფილი არაა. ერთ პიროვნებაში ორი ბუნების ერთობის გამოსახატავად ნოსელი მიმართავს ტერმინებს: ἕνωσις, κράσις, συνάφεια, μίξις. ამ ტერმინებს შემდგომში მიმართავდნენ ნესტორიანელები, ევტიქიანელები. ესქატოლოგიაში იგი იმეორებს ორიგენის სწავლებას ბოროტების საყოველთაო აღორძინებისა და მოსპობის შესახებ. ცნობილია მის მოძღვრებაზე ორიგენის, ფილონ ალექსანდრიელის და ნეოპლატონიზმის გავლენა, მაგრამ მთელი ეს ცოდნა მან მოარგო ქრისტიანულ მოძღვრებას 18,27; 24,51,70

**გრიგოლი საკრველთმოქმედი** [Γρηγόριος ὁ Θαυματουργός] – [~213 – 270] – ნეოკესარიის ეპისკოპოსი 240 წ. ახალგაზრდობაში იყო ორიგენის მოწაფე. შემდგომში იზიარებდა ათანასე დიდის, დიონისე ალექსანდრიელის მოძღვრებას. 250-257 წწ. დეციუსის დევნის დროს გადახვეწილი იყო ნეოკესარიიდან. 264 წ. ესწრებოდა ანტიოქიის კრებას, რომელზეც დაგმეს პავლე სამოსატელი. სახელი გაითქვა თავისი სასწაულთმოქმედებით. არის რამდენიმე შრომის ავტორი, მათ შორის გამორჩეულია ეკლესიასტეს განმარტება 23,67

**დავით** – (ბიბლ.) 3,2; 6,1; 7,2; 15,7

**დანიელ** – (ბიბლ.) 24,25

**დიოდოროს** – [Διόδωρος ὁ ἐπίσκοπος Ταρσοῦ] [+394], დიოდორე, ტარსის ეპისკოპოსი, ღვთისმეტყველი, თეოდორე მომფსუესტელისა და იოანე ოქროპირის მასწავლებელი. ხშირად და წარმატებით იცავდა ნიკეის სიმბოლოს, თუმცა არ ცნობდა ქრისტეში საღმრთო და კაცობრივი ჰიპოსტასების ერთობას. იგი სიკვდილის შემდეგ ერეტიკოსად ჩათვალეს. წერდა ძველი და ახალი აღთქმის წიგნთა კომენტარებს, იბრძოდა მანიქეველთა (მათ წინააღმდეგ აქვს 25 თხზულება), აპოლინარის, ასტროლოგიური ვიტალიზმის, ფატალიზმის წინააღმდეგ. მისი მდიდარი მემკვიდრეობიდან მხოლოდ ნაწყვეტები შემოგვრჩა, რომელთა მიხედვით ძნელია დიოდორე ტარსელის მსოფლმხედველობის შესახებ მსჯელობა 12, 10; 23, 15,73,74

**დიონისიოს** [Διονύσιος Ἀρεοπαγίτης] – დიონისე არეოპაგელი [~ 500 წ.), მისი პიროვნების შესახებ უეჭველი ცნობები არ მოიპოვება. შემოქმედებით დიდი ქრისტიანი ფილოსოფოსი, ღვთისმეტყველი, არეოპაგიტული კორპუსის ავტორი. მიუხედავად ავტორის ცდისა, თავი მოციქულთა ხანის მოღვაწედ გამოაცხადოს, მისი თხზულებები მთელი რიგი სუბიექტური თუ ობიექტური ნიშნებით გვიანდელ ხანას (V ს.) განეკუთვნება. მისი ქრისტიანული ფილოსოფია წარმოადგენს ქრისტიანობისა და ნეოპლატონიზმის, განსაკუთრებით პროკლეს ნეოპლატონური მოძღვრების, სინკრეტიზმს. დიონისე არეოპაგელის მისტიციზმმა და სიმბოლიზმმა დიდი როლი ითამაშა ქრისტიანული ღვთისმსახურების, როგორც სიმბოლოებისა და საიდუმლო მსახურების სისტემის, გაგებაში. დიონისე არეოპაგელის მოძღვრებამ დიდი გავლენა იქონია შუა საუკუნეების როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის ქრისტიანულ აზროვნებაზე 7,1; 7,12,23,67

**დიოსკოროს** [ Διόσκορος – [+451), ალექსანდრიის პატრიარქი, მან ალექსანდრიის კათედრაზე შეცვალა კირილე ალექსანდრიელი. მონოფიზიტი, ევტიქიანელთა მიმდევარი, ხელმძღვანელობდა ეფესოს II „ყაჩაღურ“ კრებას (σύνοδος λυστρική) (449 წ.), რომელმაც დაამხო ფლაბიანე კონსტანტინეპოლელი, ევსებიოს კესარიელი, ივა ედესელი. ამავე კრებამ გაამართლა კონსტანტინეპოლის 448 წ. კრებაზე ანათემა გამოცხადებული ევტიქი. დიოსკორე შეჩვენებულ იქნა ქალკედონის კრებაზე (451 წ.) 12,10; 23,22,23,40,44,62; 24,104,107

**დოკეტიზმი** – გნოსტიკურ-ერეტიკული სწავლება, ამტკიცებდა, რომ ქრისტეს ღმერთკაცობა მოჩვენებითი იყო. მისი გვამი მხოლოდ მოჩვენებითად იყო სხეულებრივი. ქრისტეს არ შეიძლებოდა ჰქონოდა ადგილი უშუალო სიახლოვეში მატერიასთან, რომელიც არის ბოროტება. ხოლო თუ ეს ასე

ჩანდა, ეს მხოლოდ მოჩვენებითი იყო. იპოლიტე თავის "ერესების განკიცხვაში" მათ გნოსტიკურ სექტად მიიჩნევს. მათ კოსმოლოგიაში განსაკუთრებული ფუნქცია აკისრიათ ეონებს. ღმერთთან მიმართება წარმოუდგენიათ თესლის, ხისა და ნაყოფის სახით. როგორც თესლი ხდება ნაყოფი, ასევე ღმერთი იხსნება თავდაპირველად ინტელეგიბილურ, ეონების სამყაროში, შემდეგ ხილულ სამყაროში. ქრისტეს მიწიერ ცხოვრებას განმარტავენ თავიანთი კოსმოლოგიური შეხედულებების მიხედვით, მაგ., ქრისტეს ცხოვრების 30 წელს უკავშირებენ ოცდაათი იონის ,30 იდეას. განასხვავებენ დოკეტთა 7 სახეობას: 1) იოსები და ფილონი: სხეული, რომელშიც გამოჩნდა ზეციური არსებები, სინამდვილეში მათ კი არ ეკუთვნოდა, არამედ მათი ფორმის გარეშე იყო; 2) ვასილიდი: ქრისტეს კაცობრივი ელემენტი არ მონაწილეობდა მონანიებაში; 3) სიმონი: ქრისტეს კაცობრივი ბუნება ილუზია იყო; 4) ვალენტინიანელები: ქრისტე ზებუნებრივი არსებაა, აქვს მხოლოდ გრძნობადი სახე; 5) ვასილიდის მიმდევრები: ქრისტეს ბუნება მისი სიკვდილის შემდეგ შეიცვალა ; 6) კერინთოსი: ქრისტე იყო ორი ბუნების, რომელთა შეერთება შემთხვევითი იყო; 7) აპოლინარი და ევტიქი: ქრისტეში აღიარებდნენ ორ ბუნებას, მაგრამ ღვთაებრივმა თითქმის მთლიანად შთანთქა კაცობრივი.

**ევა** – (ბიბლ.) 7,5; 23,5

**ევდოქსი** [Εὐδόξιος] – [+370], კონსტანტინეპოლელი ეპისკოპოსი, რადიკალური არიანელი. იმპერატორ იობიანეს დროს იგი იყო არიანობის ომიელთა ფრაქციის წევრი. სარგებლობდა იმპერატორ ვალენტის კეთილგანწყობით და იყენებდა მას მოწინააღმდეგეებთან საბრძოლველად 23,12

**ევლოგი** [Εὐλογίος] – კონსტანტინეპოლელი მღვდელი, კირილე ალექსანდრიელის ადრესატი. იხ. Epistola XLIV, PG 77 c.224-228 24,64

**ევნომიანოზნი** – ევნომიანელები, არიანელთა სახესხვაობა, სახელწოდება მიიღო ფრაქციის დამფუძნებლის, ევნომიოსისგან. ევნომიანელთა აზრით, ძე არ არის მამის მსგავსი (ἀνόμοιος), იგი სხვა არსებისაა (ἐξ ἑτέρας οὐσίας), შექმნილია არაფრისაგან (ἐξ οὐκ ὄντων). ამ მიმდინარეობის მიმდევრებს ეძახდნენ ანომიანელებს, ჰეტეროუსიანელებს, ექსუკონტიანელებს 23,13

**ევნომიოზი** [Εὐνόμιος] – [+398 წ.], ევნომიოს, კიზიკის ეპისკოპოსი, უკიდურესი არიანელი, ანომიანელთა ლიდერი, წარმოშობით კაპადოკიელი. ანომიანელთა გნოსეოლოგიის საფუძველი იყო სახელთა სპეციფიკური თეორია. სახელი ან შეიცავს სარწმუნო ცოდნას მისი არსების შესახებ ან არის თვითნებური მეტაფორა, არსებაზე არაფრის მთქმელი. ევნომიოსის მიხედვით, სახელები ორგვარია: ერთი, ადამიანთა მიერ შერქმეული, რომლებიც არ უჩვენებენ საგანთა ბუნებას და არიან მხოლოდ გარკვეული ნიშნები და სახელწოდებები. მეორე, საკუთრივ საგნისეული, რომლებიც საგნის არსებაზე მიუთითებენ. ისინი მისაწვდომია ადამიანისათვის, მათი

საშუალებით ვჭვრეტთ თვით არსებას, ვიძენთ უცილობელ ცოდნას. სახელთა ეს თეორია სტოიკურ მოძღვრებას ეყრდნობა. ევნომიანოსი აღიარებდა ღმრთის შეუქმნელობას, დაუბადებლობას (ἀγέννητος). წმ. სამებაში მამა ევნომიოსის მიხედვით, აბსოლუტური მონადაა, იგი დაუსრულებლად ერთიანია, თავის ღვთაებრობაში არ უშვებს არანაირ თანამონაწილეობას. არ არსებობს არანაირი გამოსვლა ერთიანი არსებიდან სამ ჰიპოსტასად, არსების სიმარტივე გამორიცხავს ყოველგვარ განსხვავებას, თვით საღმრთო თვისებების განსხვავებასაც კი. სიმარტივის ასეთ გაგებას ევნომიანოსი შეიძლებოდა მიეყვანა აგნოსტიციზმამდე. სამების მეორე წევრი, როგორც დაბადებული, ევნომიოსის აზრით, არ შეიძლება იყოს საღმრთო ბუნებას ზიარებული. ძის ბუნება არა თუ იგივეა მამის ბუნებისა, არამედ მსგავსიც კი არაა მისი (ἀνόμοιος). ერთადერთ კავშირს ღმერთსა და ჩვენს შორის ისინი ხედავდნენ გონებაში. ამიტომაც ნათლობის დროს ისინი წყალში აყურყუმალავებდნენ სხეულის მხოლოდ ზედა ნაწილს, თლიდნენ რა, რომ ქვედა ნაწილი არ ექვემდებარება ხსნას და რჩება სატანას. ეს შეხედულება მათ მანიქეველთა დუალიზმთან აკავშირებდა. ევნომიანელთა სექტა დიდი პოპულარობით სარგებლობდა ვალენტის მეფობის დროს. მათთან მწვავე დისკუსიები ჰქონდათ ბასილი დიდს, გრიგოლ ნაზიანზელს და გრიგოლ ნოსელს. ბასილი დიდი ადანაშულებდა ევნომიოსს, რომ თავის მტკიცებებში იგი სარგებლობდა ქრიზიპეს შეხედულებებით და არისტოტელეს კატეგორიებით 23,11; 24,107

**ევსევი კესარიელი** [Εὐσέβιος ἐπίσκοπος Καισαρείας] – [260 -340 წწ.], დაახლ. 313 წ. კესარიის ეპისკოპოსი, საეკლესიო ისტორიის მამა. როგორც ორიგენიზმის თაყვანისმცემელი, იგი გარკვეულად იხრებოდა არიანობის სუბორდინაციონიზმისაკენ, მაგრამ ნიკეის კრებაზე მხარი დაუჭირა ὁμοούσιος-ს. კრების შემდეგ ანტინიკეურ მოძრაობას მიემხრო. 335 წ. ესწრებოდა კრებას, რომელმაც დაგმო ათანასი დიდი. მას ეკუთვნის აპოლოგეტური, ისტორიული, ეგზეგეტიკური და დოგმატიკურ- პოლემიკური თხზულებები. ყველაზე მნიშვნელოვანი მათგან არის „ საეკლესიო ისტორია “ 10 წიგნად 23,12

**ევსევი** [Εὐσέβιος ἐπίσκοπος Νικομηδείας] – ნიკომიდიის ეპისკოპოსი, კონსტანტინეპოლის პატრიარქი 338 წ.-დან, იმპერატორ იულიანეს ალმზრდელი. არიანული ერესის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე. მონაწილეობას იღებდა არიოზსა და ალექსანდრე ალექსანდრიელს შორის არსებულ დისკუსიაში, ნიკეის კრებაზე (325 წ.) იცავდა არიოზს, ხოლო მოგვიანებით ევსებიოს კესარიელთან ერთად იყო შემრიგებლური პარტიის, ევსებიანელთა, მეთაური. თავის სიმბოლოში ძის შესახებ დაუშვა κτίσμα. 325 წ. ექსორია ქმნულ იქმნა. 328 წ. დააბრუნეს თავის კათედრაზე. იბრძოდა ათანასი დიდის

წინააღმდეგ და მიაღწია მის განდევნას. ხელმძღვანელობდა 341 წ. კრებას, რომელზეც აღმოსავლეთში მიღებულ იქნა ნახევრადარიანელობა.

**ევსტათი** [Εὐστάθιος ἀρχιεπίσκοπος Ἀντιοχείας] – ევსტატი ანტიოქიელი (IV ს.). 323/ 324 წწ. ანტიოქიის პატრიარქი. ღრმად განათლებული როგორც ღვთისმეტყველებაში, ისე ფილოსოფიაში. არიანობასთან შეურიგებელი მებრძოლი. არიანელების მხრივ ცრუ ბრალდებების წამოყენების შედეგად 330 წ. კრებამ იგი განკვეთილად გამოაცხადა. გარდაიცვალა ექსორიობაში. მისი თხზულებები ძირითადად მიმართულია არიანობის წინააღმდეგ 23,36,68

**ევტიქი** [Εὐτύχιος] – კონსტანტინეპოლის არქიმანდრიტი, (V ს.), ევტიქიანელთა მონოფიზიტური ფრაქციის ლიდერი. აღიარებდა, რომ ქრისტე განხორციელებამდე იყო ორი ბუნების, განხორციელების შემდეგ მასში მხოლოდ ერთი ღვთაებრივი ბუნება იყო. აღიარებდა ქრისტეს, როგორც ღმერთს და უარყოფდა მას, როგორც კაცს. ევტიქი უარყოფდა ადამიანური ბუნებით ქრისტეს თანაარსებობას ჩვენთან. მისი სწავლების თანახმად, ქრისტემ თავისი სხეული ციდან მოიტანა. ბოლოს მან აღიარა, რომ ქრისტემ თავისი სხეული წმ. ქალწულისაგან მიიღო, მაგრამ არ მიიღო განხორციელების შემდეგ ორი ბუნების არსებობა. კონსტანტინეპოლის ადგილობრივ კრებაზე (448 წ.) ევსები დორილეის ეპისკოპოსმა ამხილა ევტიქის ერესი, გამჟღავნდა, რომ მისი სწავლება აპოლინარის იდეებს შეიცავდა. კრებამ მას არქიმანდრიტის ხარისხი ჩამოართვა. ევტიქიმ დასაყრდენი იპოვა იმპერატორ თეოდოსი II-ის სახით. ეფესოს IV ე. წ. „ყაჩაღურმა კრებამ“ (449 წ.) გაამართლა ევტიქი. შემდეგ რომის პაპმა ევტიქი განკვეთილად გამოაცხადა და ეფესოს კრებაზე მიღებული გადაწყვეტილებები გააუქმა 12,10; 23,19,22,35,40,44,62,64; 24,104

**ენუქი** (ბიბლ.) – 24,12

**ეპიფანე** [Ἐπιφάνιος] – ეპიფანე კვიპრელი, სალამინის ეპისკოპოსი 367 წ.-დან. გამოჩენილი ერესიოლოგი, აქტიურად მონაწილეობდა არიანობის წინააღმდეგ ბრძოლაში. ერესების წინააღმდეგ დაწერილი აქვს ორი თხზულება: 1) ანკორატოსი (ἀγκυρωτός) „ღუზა“, რომელშიც გაშლილია წმ. სამების შესახებ სწავლება არიანელების, ნახევრადარიანელების, აპოლინარელებისა და დუხობორების წინააღმდეგ. 2) პანარიონი (πανάριον) „აფთიაქი“, რომელშიც აღწერილია და გაკიცხული 20 ქრისტიანობამდელი და 80 ქრისტიანობისდროინდელი ერესი 23,68

**ერმია** [Ἑρμείας] – კირილე ალექსანდრიელის ადრესატი, მღვდელი
იხ. კირილეს Λόγος, PG 75, c. 659-712. 24,44.

**ესავი** (ბიბლ.) – 24,15

ესაია (ბიბლ.) – 24,20,25

ეფესოს კრება – მე-3 მსოფლიო კრება (431 წ.). კირილე ალექსანდრიელის წინამძღოლობით კრებამ დაგმო ნესტორი და მისი მომხრეები და მიიღო მართლმადიდებლური მრწამსი: ქრისტეში ორი ბუნება, საღვთო და კაცობრივი, შეერთებულია განუყოფლად და შეურწყმელად 23, 76

ეფრემი [Ἐφραίμ] – ანტიოქიელი პატრიარქი, ებრძოდა მონოფიზიტებს; აღიარებულია ერთადერთ მწერლად, რომლის პოლემიკაც მონოფიზიტებთან ყოველთვის წარმატებული იყო. იგი აიძულებდა ცნობილ მონოფიზიტებს, საჯაროდ ეპაექრათ მართლმადიდებლებთან, რათა ამ გზით ეჩვენებინა მათი ნამდვილი სახე 23, 68; 24,56-57,71

ვალენტიანელი – ვალენტინის მიმდევრები, გნოსტიციზმის ერთ-ერთი მიმდინარეობა, II ს. მისი საფუძველია საერთო გნოსტიკური იდეა: მარადიული ყოფიერების აბსოლუტური სისავსე (πλήρωμα) ანუ ეონთა სამყარო (αἰῶνες). ყოველივე გამოდის აქედან და მასვე უბრუნდება.ტრანსც ედენტალურ სფეროში მარადიულად იმყოფება ეონი- პირველსაწყისი ანუ სიღრმე (βυθός), რომელსაც აქვს ყოველი განსაზღვრული ყოფიერების აბსოლუტური ძალა (Δύναμις). თავის შინაგან გამოუთქმელ მდგომარეობაში ამ ეონის აზრს ჰქვია დუმილი (Σιγή). მეორე საწყისი არის გონება (Νοῦς) ე. წ. ერთარსება და მამა ყოველივესი. მასთან ერთად იქმნება ჭეშმარიტება (Ἀλήθεια). ისინი ქმნიან აზრს (Λόγος) და სიცოცხლეს (Ζωή). ეს ორი კი ქმნის ადამიანს (Ἄνθρωπος) და ეკლესიას (Ἐκκλησία). ეს ოთხი წყვილი (სიღრმე და დუმილი, გონება და ჭეშმარიტება, აზრი და სიცოცხლე, ადამიანი და ეკლესია) ქმნის დანარჩენ ეონებს, რომლებიც თავიანთი ხარისხის მიხედვით მონაწილეობენ შესაქმეში. სულ ბოლოს იქმნება ორი ახალი ეონი: ქრისტე და სული წმიდა. ქრისტემ ასწავლა ეონებს თანმიმდევრობისა და შეთავსების კანონი, ხოლო სული წმიდამ გაუხსნა მათ იგივეობა, რომლის ძალითაც ერთი ყველაშია და ყველა – ერთში. ეონებმა ერთად წარმოშვეს ეონი იესო ანუ მაცხოვარი 23,19

თევდოსი – ალექსანდრიის პატრიარქი, მონოფიზიტი, სევეროსის მიმდევარი, ტრითეისტების მოწინააღმდეგე 23,40,62; 24,91

თეოდორე მომფსუესტელი [Θεόδωρος Μοψουεστίας] – [350 – 428 წწ.], მოფსუესტის (კილიკია) ეპისკოპოსი 392-93 წწ.-დან, იოანე ოქროპირის მეგობარი, დაწერილი აქვს თხზულებები არიოზის, ევნომიოსის და აპოლინარის წინააღმდეგ. მისი სწავლება მთლიანად ატარებს ნესტორიანულ ხასიათს. ქრისტეს განიხილავდა როგორც უბრალო კაცს, ღვთის ძეს მადლით. იგი აღიარებდა ღვთის ორ ძეს: ერთი ერთარსებაა მამისა, მეორე შობილია ქალწულისაგან. ამრიგად, იგი აღიარებდა იესო ქრისტეს ორ პირს, აღიარებდა ქრისტეში ღვთაებრივი და კაცობრივი ბუნების ერთობას არა

არსებით (κατ' οὐσίαν), არც ენერგიით (κατ'ἐνέργιαν), არამედ მხოლოდ კეთილი ნებით. უარყოფდა ღვთაებისა და კაცობის ჰიპოსტასურ შეერთებას, რადგან ვერ წარმოედგინა ორი ბუნება თავ-თავისი ჰიპოსტასების გარეშე. მისი ერეტიკოსობა მის სიცოცხლეში არ გამჟღავნებულა, გარდაცვალებიდან მცირე ხანში მისი ერეტიკოსობა ნათელი გახდა. ნესტორიანები III მსოფლიო კრებაზე მათი დაგმობის შემდეგ თავს იმართლებდნენ, რომ მათი სწავლება სავსებით ემთხვევა თეოდორე მომფსუესტელის სწავლებას. თეოდორეს განსაკუთრებით ბევრი დამცველი ჰყავდა ანტიოქიის საეკლესიო წრეებში. მისი მოძღვრების გარშემო დიდხანს გრძელდებოდა დავა. კონსტანტინეპოლის 553 წ. კრებაზე თეოდორე მომფსუესტელი თეოდორიტე კვირელთან და ივა ედესელთან ერთად დაგმობილ იქნა 12,10; 23,15,35,73; 24,91,100, 104,107

**თეოდორე ანტიოქელი** – იხ. თეოდორე მომფსუესტელი.

**თეოდორიტე** [Θεοδωρήτος] – [393 – 466 წწ.], კურელი ეპისკოპოსი 423 წ.-დან, საეკლესიო მწერალი, ღრმად განათლებული მოაზროვნე, კირილე ალექსანდრიელის მოწინააღმდეგე ქრისტეში ორი საწყისის-ღვთაებრივისა და კაცობრივის- ჰიპოსტასური ერთობის საკითხთან დაკავშირებით. თეოდორე იცავდა სწავლებას ორი არსების ერთ პირში არსებობის შესახებ, კირილე კი იცავდა ჰიპოსტასურ ერთიანობას. 431 წ. ეფესოს კრებაზე თეოდორემ მოახერხა კირილესა და ნესტორის დამარცხება. შემდეგ თეოდორემ ბრძოლა ევტიქის წინააღმდეგ გააგრძელა. 449 წ. ეფესოს „ყაჩაღურ კრებაზე" თეოდორე დაამხეს. შემდეგში ქალკედონის კრებამ (451 წ.) გაამართლა იგი და მიღებულ იქნა მისი ქრისტოლოგიური ფორმულა. მან დატოვა მრავალრიცხოვანი შრომა ეგზეგეტიკაში, დოგმატიკაში, აპოლოგეტიკასა და ეკლესიის ისტორიაში. მასვე ეკუთვნის შესანიშნავი ქადაგებები და წერილები 24,33

**თეოდოსი** [Θεοδοσίος] – V ს. მონოფიზიტი ბერი. ქალკედონის კრების გადაწყვეტილებით აღშფოთებულმა პალესტინაში ამბოხება მოაწყო, შემდეგ სინაზე გაიქცა და იქიდან ებრძოდა მართლმადიდებლობას 24,98

**თომა** – (ბიბლ.) მოციქული 23, 52,77; 24,55

**იაკობ** – (ბიბლ.) უფლის ძმა 24,2

**იაკობ** – (ბიბლ.) მამამთავარი 23,6; 24,13

**იაკობიკი// იაკობიტი** – იაკობიტთა (სირიული მონოფიზიტობის) მიმდევარი, ერესი დასაბამს იღებს 542 წ.-დან იაკობ წანწალოსიდან (Ζάνζαλο) რიანელთ). თუმცა მონოფიზიტობას ინდივიდუალური მიმდევრები ჰყავდა ქალკედონის კრების შემდეგ, მაგრამ მოძრაობას არ მისცემია მყარი ინსტიტუციონალური ხასიათი იაკობ წანწალოსის მისიონერულ

მოღვაწეობამდე. იაკობიტობა ფართოდ მოედო მთელ აღმოსავლეთს: სირიას, მცირეაზიას, ეგვიპტეს, სპარსეთს. მათ სიღვიძიდა ყველა იმპერატორი, გარდა ზენონისა და ანასტასისა. სამაგიეროდ, ისინი სარგებლობდნენ მუსულმანთა დიდი მხარდაჭერით. 16-18 სს.-ში მათი რაოდენობა საგრძნობლად შემცირდა, მაგრამ მცირე აზიაში და თვით ინდოეთში მათი ეკლესიები მე-19 ს.-შიც არსებობდა. იაკობიტთა დოგმატიკურ თავისებურებას წარმოადგენს სამწმიდაობით გალობაში ჩამატება სიტყვების: „ჯვარს ეცვა ჩვენთვის“. კონფესიონალურ საკითხებში არამცირედ როლს თამაშობს მათი ლიტურგიკის თავისებურებანი. მათი ლიტურგიის პური არის საფუარიანი, მარილისა და ზეთის მიმატებით. პირჯვარს ერთი თითით იწერენ ქრისტეს ერთი ბუნების აღსანიშნავად და სხვ. მართლმადიდებლური ეკლესია დაუღალავად ებრძოდა იაკობიტური იდეების გავრცელებას 23, 35; 24,15

**იაკობი** [Ἰάκωβος Βαραδαῖος / Ζάνζαλος] – [500-578 წ.] – ედესის ეპისკოპოსი 542-3 წწ.-დან, იაკობიტთა ერესიარხი. ზედწოდება ბარადეი შეერქვა იმის გამო, რომ უხეშ ჯვალოს ატარებდა, ხოლო წანწალოსი – მთელ მცირე აზიაში, სირიასა და ეგვიპტეში მონოფიზიტთა სასარგებლოდ მისიონერული მიზნებით მათხოვარივით ხეტიალის გამო. იგი 527-8 წწ.-ში იმყოფებოდა კონსტანტინეპოლში, იყო დედოფალ თეოდორას რჩეული ფავორიტი. თეოდორამ დაიყოლია ალექსანდრიის მონოფიზიტი პატრიარქი თეოდოსიოსი, რომ ეფრემ ანტიოქიელის, მონოფიზიტების წინააღმდეგ აქტიური მებრძოლის, საქმიანობის საპირწონედ მას სირიაში დაენიშნა ორი ეპისკოპოსი: თეოდორე – ბოსტრიაში და იაკობი – ედესაში. სწორედ ამ იაკობიდან იღებს დასაბამს იაკობიტთა ერესი. მან აქტიური საქმიანობა გასწია იაკობიტური ეკლესიის იერარქიული ორგანიზებისა და კონფესიონალური განმტკიცების მხრივ. მისი ბერძნულად დაწერილი წერილები ფართოდ გავრცელდა სირიაში 23, 40, 44, 62

**იესო** – იესო ქრისტე.

**ივლიანე** [Ἰουλιανὸς ὁ ἐπίσκοπος τῆς Ἁλικαρνασσοῦ] – [+518 წ.] ჰალიკარნასელი ეპისკოპოსი, საეკლესიო მოღვაწე და მწერალი, მონოფიზიტი, აფთარდოკეტთა ერესის საფუძველდამდები. აქტიურ მონაწილეობას იღებდა კონსტანტინეპოლის პატრიარქის, მაკედონიოსის, დამხობაში (511 წ.). დიდი ანტიმონოფიზიტური მოძრაობების დროს 518 წ. დაკარგა ეპისკოპოსის ხარისხი და გაიქცა ალექსანდრიაში. იქ შეხვდა ანტიოქიიდან გაძევებულ სევეროსს. მასთან უთანხმოება მოუვიდა ქრიასტეს სხეულის ხრწნადობის საკითხთან დაკავშირებით. ალექსანდრიის ეკლესიაში წაბოძრალი დისკუსიის დროს, რომელიც ეხებოდა საკითხს, რაოდენი იყო ქრისტეს სხეული მიწიერი ცხოვრების ჟამს, ხრწნადი (φθαρτόν) თუ უხრწნელი (ἄφθαρτον), ივლიანე ჰალიკარნასელმა მხარი დაუჭირა იმას, რომ ქრისტეს სხეული არის უხრწნელი. Φθορά, მაშების გაგებით, ხრწნას, ცოსპობას კი

არ ნიშნავს, არამედ თავისთავად უცოდველ უძლურებებს, როგორიცაა: შიმშილი, წყურვილი, დაღლილობა და ა. შ. დაცემის შემდეგ ადამიანებისთვის დამახასიათებელ ამ უძლურებებს, აფთარდოკეტიზმის მიხედვით, ქრისტეს სხეული არ ემორჩილება. ივლიანეს მიხედვით, ქრისტემ მიიღო სული და სხეული იმ სახით, რა სახითაც ჰქონდა იგი ადამს დაცემამდე. თუკი ქრისტე იღლებოდა, ტიროდა, ამას აკეთებდა არა აუცილებლობის გამო, არამედ იმიტომ, რომ ასე სურდა. მაგრამ ივლიანე დოკეტი არ ყოფილა. ის ამტკიცებდა, რომ ქრისტემ ნამდვილად მიიღო ადამიანური სული და სხეული. სეველოსსა და მას შორის დავამ დიდი განხეთქილება გამოიწვია, რაც გამოიხატა ალექსანდრიის ტახტზე ორი პატრიარქის, თეოდოსისა და გაიანეს, არჩევაში. ორივე პარტია – თეოდოსიანებისა და გაიანიტებისა – არსებობდა მე-7ს-მდე. ივლიანეს სწავლება გავრცელდა სომხეთსა და არაბეთში. 536 წ. კონსტანტინეპოლის ადგილობრივ კრებაზე ივლიანეს ანათემა გამოუცხადეს. მის თხზულებებს, გარდა რამდენიმე წერილისა სირიულ და ლათინურ ენებზე, ჩვენამდე არ მოუღწევია 23,40, 62

**იობი** (ბიბლ.) – 12,21

**იოვანე** – (ბიბლ.) ღვთისმეტყველი 24,22

**იოვანე დამასკელი** [Ἰωάννης ὁ Δαμασκηνός] – ოქრონექტარად წოდებული, [VIII ს.], წმინდანი, ეკლესიის დიდი მამა, ღვთისმეტყველი, ჰიმნოგრაფი, პოლემისტი, მქადაგებელი, ცხოვრობდა დამასკოში, იცავდა ხატთთაყვანისმცემლობას, მოგვიანებით მოღვაწეობდა საბას მონასტერში, აღესრულა იერუსალიმში. მისი მთავარი შრომა „ წყაროჲ ცოდნისაჲ “ (Πήγη γνώσεως) თავისი სამი შემადგენელი ნაწილით („დიალექტიკა“ – Κεφάλαια φιλοσοφικά, „ერესების შესახებ“ – Περὶ αἱρέσεων და „გარდამოცემა“ – Ἔκδωσις) წარმოადგენს მართლმადიდებლური ღვთისმეტყველების კლასიკურ სახელმძღვანელოს. პირველი ნაწილი მოიცავს ფილოსოფიურ შესავალს, მეორე ნაწილში განხილულია 100 ერესი, მითითებულია მათი წყაროები: ბარბარიზმი, სკვითიზმი, ელინიზმი, იუდაიზმი. მესამე ეძღვნება ქრისტიანული ღვთისმეტყველების არსის გადმოცემას. გარდა დოგმატიკა- პოლემიკისა, დამასკელს ეკუთვნის მრავალრიცხოვანი შრომა ჰომილეტიკაში, ასკეტიკაში. განსაკუთრებით განუზომელია მისი ღვაწლი საეკლესიო ჰიმნოგრაფიაში (პირველი თავის სათაური)

**იოვანე ფილოსოფოსი კესარიელი** [Ἰωάννης ὁ Καισαριεὺς ὁ Γραμματικός] – [VI ს.], მისი ბიოგრაფია უცნობია, დაუზუსტებელია, სად იყო ეს კესარია: პალესტინაში თუ კაპადოკიაში, იყო პირველი ნეოქალკედონიანელი, 514 -518 წწ.-ში დაწერა ქალკედონის კრების აპოლოგია, რომელშიც სცადა ქალკედონელთა დოქტრინის შეთანხმება კირილე ალექსანდიელის იდეებთან. წიგნი შედგება სამი ნაწილისაგან: იოანეს მემრიგებლური სწავლება, კირილეს პოზიციის ანალიზი, სეველოს ანტიოქიელის კრიტიკა 23,27,28

**იოვანე ოქროპირი** [Ἰωάννης ὁ Χρυσόστομος] – [347-407 წწ.], წმინდანი, ეკლესიის დიდი მამა, ღვთისმეტყველი, ეგზეგეტი, მქადაგებელი, იყო ბრწყინვალე ორატორი. 397 წ. კონსტანტინეპოლის არქიმანდრიტი. პიროვნული თავისუფლების მისაღწევად, საზოგადოების დესპოტური ზნეჩვეულებებისგან თავის დასაღწევად და იმავე საზოგადოების სულიერი ინტერესების მსახურებისათვის საუკეთესო საშუალებად თვლიდა განდეგილობას. იბრძოდა ადამიანთა პიროვნული თავისუფლებისათვის, ღატაკთა, ჩაგრულთა უფლებებისათვის. მისი ცხოვრების წესი მიუღებელი აღმოჩნდა საზოგადოების მაღალი წრეებისთვის, თვით დედოფალ ევდოქსიასთვის. საეკლესიო კრებაზე დაგმობის შემდეგ იგი გადაასახლეს, შემდეგ დედოფალმა იოანე დააბრუნა კათედრაზე, მაგრამ ოქროპირის მტრებმა 404 წ. მას ხელახლა ჩამოართვეს არქიეპისკოპოსობა და გადაასახლეს ჯერ სომხეთში, შემდეგ ბიჭვინთაში (პიტიუნტში), მაგრამ იგი გზაში გარდაიცვალა კომანაში (აფხაზეთი). თავისი ბრწყინვალე ქადაგებების გამო მას მიეკუთვნა ზედწოდება ოქროპირისა. რამდენადაც დოგმატიკურ-პოლემიკური თხზულებებით იგი ვერ უტოლდება ეკლესიის გამოჩენილ მამებს, იმდენად შეუდარებელია იგი ჰომილეტიკურ მწერლობაში. მისი ქადაგებები ქრისტიანული ზნეთსწავლების ნამდვილი ენციკლოპედიაა 18,36; 23,36,68; 24,53,54

**ირინეოსი** [Εἰρηναῖος ὁ Λουγσούνου ἐπίσκοπος] – [130-202 წწ.], მილანელი ეპისკოპოსი, დიდი ღვთისმეტყველი, დაწერილი აქვს თხზულებები ვალენტინიანელების და სხვა გნოსტიკოსების წინააღმდეგ ესქატოლოგიურ საკითხებზე. იგი წარმოაჩენს ერეტიკული სწავლების ძირითადი პრინციპების უსაფუძვლობას, ააშკარავებს სისტემის შინაგანი წინააღმდეგობის არათანმიმდევრულობას, საღვთო წერილზე მათი დაყრდნობის უსაფუძვლობას. იგი გნოსტიციზმს აღიქვამდა როგორც ქრისტეს მოძღვრების ელინურ-ფილოსოფიური სულით დამახინჯებას. მისი თხზულებების ციტირებას ახდენდნენ ტერტულიანე, კიპრიანე, ბასილი დიდი, ავგუსტინე და სხვ 23,67

**ისაკ** – (ბიბლ.) მამამთავარი 23,16

**ისიდორე პელუსიელი** [Ἰσίδορος ὁ Πηλουσιότης] – [360/370-433 წწ.], წმინდანი, იოანე ოქროპირის მოწაფე, ანტიოქიური სკოლის ეგზეგეტი, ებრძოდა არიანელებს, მანიქეველებს; იყო კირილე ალექსანდრიელის თანამოაზრე მონოფიზითა წინააღმდეგ ბრძოლაში. მისი განმარტებები წერილების სახეს ატარებენ, შემორჩენილია 2000-მდე წერილი 24,44,58

**კაენი** – (ბიბლ.) 24,9

კირინთოსი [Κήρινθος] – მოციქულთა ხანის გნოსტიკოსი, ირინეოსისა და იპოლიტეს ცნობით, იგი განასხვავებდა ერთმანეთისგან ქრისტესა და იესოს, როგორც ორ განსაკუთრებულ ინდივიდუალობას, რომლებიც ერთმანეთთან შეერთებული არიან შემთხვევით. ქრისტე ზეცით მოვლენილია, იესო – უბრალო კაცია. იორდანეში ნათლისღებისას იესოს შეუერთდა ზეციდან მტრედის სახით მოვლენილი ქრისტე. მისი ძალით ჩადიოდა იესო სასწაულებს. სიკვდილის წინ, ქრისტე, რომელიც ბუნებით უვნებელი იყო, გამოეყო იესოს. კერინთოსის სწავლებას დოკეტიზმის ერთ-ერთ სახეობად მიიჩნევენ 23,9

კლემენტოსი [Κλήμης ὁ Ἀλεξανδρεύς] – კლიმენტ ალექსანდრიელი, [2-3ს.], ცნობილი მწერალი, თეოლოგი, ეგზეგეტი, აპოლოგეტი, პოლემისტი და მორალისტი, ალექსანდრიის საღვთისმეტყველო სკოლის დამაარსებელი. მისი წყალობით ეს სკოლა იქცა საგანმანათლებლო-სასწავლო ცენტრად, რომელშიც საფუძველი ჩაეყარა ქრისტიანული მოძღვრების მეცნიერულად დამუშავებას. ითვლება, რომ ის წარმოშობით წარმართი იყო, იმდენად ფართო იყო მისი განათლება ბერძნულ ლიტერატურასა და ფილოსოფიაში, ზეპირგადმოცემებსა და მისტერიებში. თავის რელიგიურ ცნობიერებაში მან დიდი შინაგანი ევოლუცია განიცადა და ქრისტიანობამდე მივიდა. ალექსანდრიაში ელინურ-რომაული განათლების გარემოში, გნოსისის ცენტრსა და იუდეველთა დიასპორაში ჩამოაყალიბა მან თავისი ქრისტიანულ-ფილოსოფიური მოძღვრება. მას ეკუთვნის დიდი ტრილოგია: პროტრეპტიკოსი, პედაგოგი და სტრომატები. ეს არის პირველი ცდა ქრისტიანული სარწმუნოებისა და მორალისტური სწავლების სისტემატიზაციისა, ქრისტიანული რწმენის ანტიკურ კულტურასთან და კონკრეტულად, ანტიკურ ფილოსოფიასთან შერწყმისა. ქრისტოლოგიაში მისი ყურადღება ძირითადად ლოგოსის დოგმატს ეხებოდა. ლოგოსს იგი უკავშირებდა ადამიანთათვის ჭეშმარიტი ფილოსოფიის გაცხადების იდეას. კლიმენტის უპირველესი დამსახურება ქრისტიანული სარწმუნოების წინაშე გამოიხატება იმაში, რომ მან საგრძნობლად შეანელა გნოსტიციზმის გავლენა თავის თანამედროვეთა შორის 23,76

კვრილე [Κύριλλος ὁ ἀρχιεπίσκοπος Ἀλεξανδρείας] – კირილე ალექსანდრიელი, [+444 წ.], ეკლესიის დიდი მამა, წმინდანი, ღვთისმეტყველი, ეგზეგეტი, პოლემისტი, ნესტორიანობის წინააღმდეგ მებრძოლი. კირილე ესწრებოდა 403 წ. კონსტანტინეპოლის კრებას, რომელზეც დაგმეს იოანე ოქროპირი. თავისი საღვთისმეტყველო მოღვაწეობის დასაწყისში იგი ებრძოდა წარმართებს, ნავატიანელებს და ებრაელებს, 419 წ.-დან ებრძოდა ნესტორს. გამოირჩეოდა თავისი მმართველობის მკაცრი ხასიათით. თავის თხზულებებში მან დაიცვა და განავითარა „საეკლესიო მრწამსი“, რაც მთელი ეკლესიის სწავლებად იქცა. ალექსანდრიის კრებაზე კირილემ

ანათემა გამოუცხადა ნესტორს, კრებაზე წაკითხულ იქნა მისი ცნობილი 12 ანათემატიზმა. კირილეს დოგმატიკური თხზულებები ყველა პოლემიკური ხასიათისაა. ადრეული თხზულებები მიმართულია არიანობის წინააღმდეგ, გვიანდელი – ნესტორიანობის წინააღმდეგ. კირილეს ქრისტოლოგიაში ზოგან ჩანს აპოლინარიზმის გავლენა, თუმცა მან აღიარა ქრისტეს მიერ ადამიანური გონების მიღების რეალობა, ამდენად აღიარა ქრისტეში ღვთაებრივი ბუნებისა და ადამიანური ბუნების ერთობა და სისრულე. განხორციელების საიდუმლოს კირილე ორი ასპექტით განიხილავდა: იდეალური, როცა ქალწულის სხეულში ჩასახვამდე ღვთის ლოგოსი შეუერთდა ქრისტეს მხოლოდ იდეით, და რეალური, როცა ქალწულისგან შობილ ძეს რეალურად შეუერთდა საღვთო ლოგოსი. კირილე ღმერთისა და კაცის ერთობას გამოხატავდა ტერმინებით ἕνωσις καθ'ὑπόστασις და ἕνωσις κατὰ φύσιν. თავისი დროის ბევრი ღვთისმეტყველისა და მწვალებლის მსგავსად, კირილე აიგივებდა ტერმინებს φύσις და ὑπόστασις-ს. ორი ბუნების შეერთება ხდება შერწყმის გარეშე, მათი თვისებების შენარჩუნებით. განხორციელებისას ღვთაებრივი არ შთანთქავს კაცობრივს. ნესტორის მიერ ორი ბუნების გაყოფას, ცალ-ცალკე არსებობას კირილემ დაუპირისპირა μία φυσις τοῦ Θεοῦ Λόγου σεσαρκωμένη – განხორციელებული ღვთის სიტყვის ერთი ბუნება. კირილე ალექსანდრიელის საღვთისმეტყველო ტერმინოლოგიაში მისი დროის ანტიოქიური სკოლის ღვთისმეტყველები დოკეტიზმისა და აპოლინარიზმისაკენ გადახრას ხედავდნენ, რაც მათ შორის მწვავე დისკუსიების საგანი იყო 14,17; 18,37; 23,19,31,32,36,57,59,68,76-78,84,85; 24,33,43,45,46-48,61-64,100; 25,11,12

**ლაზარე** – (ბიბლ.).

**ლეონ პაპი** [Λέων ὁ πάπα Ῥώμης] – [440-461 წწ.], რომის პაპი, წმინდანი. მისი, როგორც პონტიფიკატის, მოღვაწეობა, მიზნად ისახავდა ქრისტიანულ სამყაროში რომის ეკლესიის პრიმატის ცნობას, იბრძოდა პელაგიანობისა და მანიქეველობის წინააღმდეგ, 448 წ.-დან ებრძოდა ევტიქიანელთა ერესს, ევტიქის მიმდევრების მიერ დევნილი მართლმორწმუნენი დახმარებისთვის მიმართავენ პაპს. იგი ხდება ანტიევტიქიანური მოძრაობის ცენტრი. მან ხელი შეუწყო მართლმადიდებლობის აღდგენას ქალკედონის კრებაზე 451 წ. ტომოსის სახელით ცნობილია მისი თხზულება ფლაბიანე კონსტანტინეპოლელ ეპისკოპოსის მიმართ 23,26; 24,67,75.

**მაკედონიოსი** [Μακεδόνιος] – კონსტანტინეპოლის ეპისკოპოსი 342-360 წწ. ითვლება დუხობორების მეთაურად. აღიარებდა რა მამისა და ძის ერთობას (ὁμοούσιον), სული წმიდას არ თვლიდა მათ ერთარსებად და ღმერთად. ორიგენის შეხედულებათა გავლენით, იგი სული წმიდას აღიარებდა, როგორც შექმნილს (κτίσμα). ათანასე ალექსანდრიელი, დასავლეთის ეკლესია და ახალნიკეელები კი სული წმიდას ცნობდნენ, როგორც მამისა და ძის

ერთარსებას. II მსოფლიო კრებამ 381 წ. მაკედონიოსი და მისი მომხრეები დაგმო 23,12; 24,107.

**მაკედონიანოზნი** – მაკედონიოსის მიმდევრები 23,13.

**მანი** [Μάνης] – [+276/277 წწ.], სპარსი, მანიქეველთა რელიგიის ლიდერი. მისი ბიოგრაფია ლეგენდებით არის მოსილი. კტესიფონში მიიღო ფართო განათლება. სპარსული გადმოცემებით, იგი ერთ დროს იყო ქრისტიანი პრესვიტერი. 240 წ. მანი ქადაგებდა თავის რელიგიას სპარსეთის მეფის შაპურის კარზე. შემდეგ სამისიონერო მიზნებით გაემგზავრა ჩინეთში და ინდოეთში. 270 წ. იგი ისევ სპარსეთშია. 276-77 წწ. მაგების წაქეზებით იგი ჯვარს აცვეს. არის ავტორი მთელი რიგი ტრაქტატებისა და ეპისტოლეებისა, მაგრამ მათგან მხოლოდ ნაწყვეტებია შემორჩენილი. მისი სისტემის ზუსტი გადმოცემა ჭირს, მაგრამ შემონახული ნაწყვეტების მიხედვით ჩანს, რომ მისი მოძღვრება დუალისტურია, აღიარებდა ორ საწყისს: კეთილსა და ბოროტს, სინათლესა და სიბნელეს, სიცოცხლისა და სიკვდილის ხეს. სიკეთე უკავშირდება სინათლეს, ბოროტება – მატერიას. მსოფლიოს ისტორია სინათლისა და სიბნელის, სიკეთისა და ბოროტების, ღვთისა და ეშმაკის ბრძოლაა. ადამიანს ორმაგი ბუნება აქვს: იგი შექმნილია ციური პირველადამიანის ნიმუშის მიხედვით და შეიცავს სინათლის ელემენტებს. იმავე დროს ადამიანი ეშმაკის ქმნილებაც არის. მანის კოსმოგონიაში არის იესო (არა ისტორიული ქრისტე), მას მხსნელის ფუნქცია აკისრია. მანი ავითარებდა გნოსტიციზმთან რელიგიურ სინკრეტიზმს, მან წინა აზიის ყველა რელიგიის ელემენტები მიიღო, მისი მიზანი იყო მთელი ქვეყნიერება ეზიარებინა თავის სინკრეტულ რელიგიასთან 23,11.

**მანიქეველნი** – რელიგიურ-გნოსტიკური მოძღვრება, წარმოიშვა III ს-ში, სახელი მიიღო მისი დამაარსებლის, მანისაგან. არსებობს აზრი, რომ მანიქეველობას საფუძვლად უდევს ბაბილონური რელიგია, მასში მრავალი რამ შესულია პარსიზმიდან, ბუდიზმიდან, ქრისტიანობიდან. ამდენად, იგი სინკრეტული რელიგიაა. ქრისტიანობის გავლენა მანიქეველობაზე გამოიხატა გნოსტიკური მიმართულებების გავლენების მხრივ. მანიქეველობამ დიდი გავრცელება ჰპოვა როგორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთში. მას ნაწილობრივ ნიადაგი მოუმზადა აღმოსავლური კულტების, განსაკუთრებით მითრას კულტის, მოზღვავებამ, ასევე ბევრმა საერთო თემამ გნოსტიკოსების (მარკიონის, ვალენტინის) მოძღვრებებთან. მანიქეველებს მიმდევრები გამოუჩნდნენ, მათ შორის იყო ნეტარი ავგუსტინე. მანიქეველთა მიმართ სახელმწიფოებრივი ხელისუფლება მუდამ მტრულად იყო განწყობილი. თუმცა მანიქეველობას ამის გარეშეც, თავისი მკაცრი ასკეტიზმის გამო, ფართოდ გავრცელება არ ეწერა 23,19.

**მარიამ** – ღვთისმშობელი 11,4; 24,80,105.

**მარკიონი** [Μαρκίων] – [II ს.], ერთი დიდ გნოსტიკოსთაგანი, წარმოშობით პონტოელი. 140 წ. რომში ქრისტიანულ თემშია, ესწრაფოდა ეკლესიის რეფორმებს. უარყოფდა ძველ აღთქმას, ცდილობდა, გაემიჯნა ევანგელე და კანონი, ახალი აღთქმის ღმერთი – ძველი აღთქმის ღმერთისაგან. ახალი აღთქმის ღმერთი არის deus bonus (სიკეთის ღმერთი), ძველისა – deus justus, crudelis, durus (მსაჯული, სასტიკი, მკაცრი); როგორც ყოველი გნოსტიკოსი, იგი მკვეთრად ანტიიუდაისტია. იგი მსჯელობს ორ ქრისტეზეც, ასეთი დაშვება იმით აიხსნება, რომ მარკიონი აღიარებს ძველი აღთქმის თხრობათა უტყუარობას. ქრისტეს მიწიერი ცხოვრების საკითხში იგი ემხრობა გნოსტიციზმს, ქრისტე იყო მხოლოდ სული, გვეჩვენებოდა იმად, რაც არ იყო. ქრისტე თუმცა მოჩვენებითი იყო, მისი მოქმედება და ქადაგება ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენდა ხალხზე და ყურადღება დემიურგიდან მასზე გადადიოდა. მარკიონი იყო დუალიზმისა და დოკეტიზმის მიმდევარი, რაც მას აახლოებს გნოსტიკოსებთან. გნოსტიკური ეთიკის ცენტრალური პრობლემა იყო დამოკიდებულება სხეულისა და მისი მისწრაფებებისადმი, მიზანი – სულის განთავისუფლება მატერიისაგან. ეს კი ორი გზით მიიღწეოდა: მკაცრი ასკეტიზმით და სხეულის უარყოფით. ეს შეხედულება დუალიზმიდან მომდინარეობდა. მატერია ან ბოროტებაა, ან – ცოდვა. მარკიონს სძულდა სხეული და მისთვის ყოველგვარ სიამოვნებას კრძალავდა. მარკიონი ავითარებდა გნოსტიციზმისა და ქრისტიანობის სინკრეტიზმს; მარკიონის დოქტრინაში იყო პუნქტები, რომლებიც მას აახლოებდა ეკლესიასთან, რაც განსაკუთრებით საშიში იყო: მან მიიღო ლუკას სახარება და პავლე მოციქულის 10 ეპისტოლე, თუმცა იგი ამახინჯებდა მოციქულის აზრებს. იგი იღებდა საეკლესიო ღვთისმსახურებას. მარკიონი ქადაგებდა სასტიკ ასკეტიზმს. გნოსტიკოსებისაგან განსხვავებით, არ ცნობდა ეონებს. VI-VII სს.-ში მარკიონელები მიემხრნენ მანიქეველებს. ეკლესიის ყველა მოღვაწე (იუსტინე, თეოფილე ანტიოქიელი, აპოლინარ იერუსალიმელი, მოდესტი, კლიმენტი ალექსანდრიელი, ორიგენი, ტერტულიანე) მარკიონის წინააღმდეგ მკაცრ პოლემიკას აწარმოებდა 23,9.

**მარკიანელნი** – მარკიონის მოძღვრების მიმდევარი 23,20.

**მიქაელ** – (ბიბლ.) მთავარანგელოზი 12,21; 23,52.

**მონტანიოს** [Μοντανός] – მონტანი [II ს.], წარმოშობით ფრიგიელი, გნოსტიკურ-მისტიკური მიმდინარეობის ლიდერი, იგი თავის მოძრაობას „ახალ წინასწარმეტყველებას“ უწოდებდა. მისი წინასწარმეტყველებანი არ იყო ახალი, იგი მისი ეპოქის სულისკვეთებას შეესაბამებოდა. იმდროინდელი ქრისტიანული ლიტერატურის წყაროებიდან ირკვევა, რომ ქადაგების დროს მონტანს თავი ექსტატიურ მდგომარეობამდე მიჰყავდა, რაშიც მისი მიმდევრები უმაღლესი ცნობიერების გამოხატულებას ხედავდნენ. მონტანი წინასწარმეტყველებდა სამყაროს უახლოეს დასასრულს, ამიტომ იგი

ქადაგებდა, რომ ადამიანებს დარჩენილი დრო არ გაეფლანგათ ამქვეყნიურთან კომპრომისებით, თავი დაენებებინათ ამცხოვრებისეულზე ზრუნვისთვის. იგი ცრუ წინასწარმტყველებით უპირისპირდებოდა ახალფეხადგმული ეკლესიის მრწამსს, კანონებს. ეკლესია ებრძოდა მონტანისა და მისი მიმდევრების ინდივიდუალურ პროფეტიზმს, მაგრამ ამ მოძრაობამ დიდხანს იარსება: 5 ს.-ში ისინი იყვნენ კაპადოკიაში, ფრიგიაში, კილიკიაში, კონსტანტინეპოლში. VIII ს.-ში ისინი გამოდიან პავლიკიანელებთან ერთად. დასავლეთში მონტანის მოძრაობის საუკეთესო წარმომადგენელი იყო ტერტულიანე 23,11.

**მოსე** – (ბიბლ.) წინასწარმეტყველი 23,6; 24,1, 16-19.

**ნავატი** [Ναυᾶτος] – [III ს.], კართაგენის ეკლესიის პრესვიტერი, ნავატიანელთა განდგომის ლიდერი, დამოუკიდებლად განაგებდა საეკლესიო საქმეებს, განსაკუთრებით განდგომილთა ეკლესიაში მიღების საქმეებს 23,12.

**ნესტორი** [Νεστορίος] – [+ 451 /452 წწ.], ერესიარხი, დასაბამი მისცა ნესტორიანობის ერეტიკულ მოძრაობას, ღრმად განათლებული და ნიჭიერი მქადაგებელი, კონსტანტინეპოლის პატრიარქად ხელდასხმულ იქნა 428 წ. მისი წვალება ანტიოქიური სკოლის ღვთისმეტყველებიდან აღმოცენდა. მან განავითარა თეოდორე მომფსუესტელის სწავლება. მისი სწავლება ძირითადად ქრისტოლოგიას ეხებოდა. ნესტორის საღვთისმეტყველო ტერმონოლოგია ხშირად სრულიად შეუთავსებელი იყო მართლმადიდებლურ ტერმინოლოგიასთან. იგი ბუნებას (φύσις) აიგივებდა პირთან (ὑπόστασις), ქრისტეს ორ ბუნებასთან ერთად აღიარებდა ორ პირს, რითაც დაარღვია ღმერთკაცის ჰიპოსტასური ერთობა. აღიარებდა რა ქრისტეში ორი ბუნების ცალ-ცალკე არსებობას, ნესტორი მათ ერთობას ცნობდა მხოლოდ იდეით, აზრით. ქრისტე იყო კაცი, რომელშიც სულიწმიდის საშუალებით ჩასახლდა სიტყვა-ღმერთი, ამიტომ არ ცნობდა მარიამის ღვთისმშობლობას; მარიამს, მისი აზრით, კაცისმშობელი (ἀνθροποτόκος) ან ქრისტესმშობელი (Χριστότοκος) უნდა ეწოდოს. ნესტორის მიმდევრები ქრისტეს ორბუნებოვნებასთან დაკავშირებით ამჯობინებდნენ ტერმინ συναφεία εἰς ἑνὸς-ს, ვიდრე მართლმადიდებლურ ἕνωσις κατ'οὐσίαν-ს. ნესტორის სწავლების მიხედვით, ἕνωσις σχετική გამოხატავს მჭიდრო ერთობას, წინააღმდეგ შემთხვევაში, ღმერთი იცვლება ადამიანად, ან პირიქით, ღმერთი შთანთქავს ადამიანს, ანუ ხდება ორივეს შერწყმა (σύγχυσις). ნესტორი იყო დაუძინებელი მტერი კირილე ალექსანდრიელისა. ნესტორი და მისი სწავლება დაგმობილ იქნა ეფესოს III მსოფლიო კრებაზე 431 წ. 12,8; 16,8,11; 23,15,18,32,33,56,57, 65,68,74,76,83; 24,31,36,38,39,100,107.

**ნიკიის კრება** – პირველი მსოფლიო კრება [325 წ.], კრებამ დაგმო არიოზის სწავლება და ალექსანდრე და ათანასი ალექსანდრიელების

ხელმძღვანელობით მიიღო მართლმადიდებლური სიმბოლო წმიდა სამების ერთარსების (ὁμοούσιος) შესახებ 24,42.

**ნიკოლაოსი** [Νικόλαος] – ადრეული ქრისტიანობის ხანის მწვალებელი, ერთი შვიდ დიაკონთაგანი, რომელთა შესახებ ლაპარაკია „საქმენი მოციქულთანიში ", ადრეულ ქრისტიანობაში უპირისპირდებოდა იუდაიზმს 23,9.

**ნიფალიოსი** [Νηφάλιος] – სევეროს ანტიოქიელის ადრესატი. იხ. Or. I προς Νηφάλιος... 23,30.

**ნოე** – (ბიბლ.) 24,11.

**ომიროსი / უმიროსი** – ჰომეროსი 23,44.

**ორიგენი** – [185-254 წწ.], ალექსანდრიული სკოლის დიდი ღვთისმეტყველი, ნაყოფიერი მწერალი. მას 2000 შრომის ავტორობას მიაწერენ. ორიგენის შრომები წარმოადგენენ ქრისტიანული ღვთისმეტყველების სისტემატიზაციის პირველ ცდას. წმ. სამების დოქტრინაში მისი ინტერესები მამისა და ძის ურთიერთმიმართებას ეხებოდა. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა სულისა და ადამიანური სხეულის კავშირს. ორიგენი ასწავლიდა სულის პირველმყოფობას და ესქატოლოგიურ აპოკატასტასისს. კლიმენტი ალექსანდრიელისაგან განსხვავებით, ორიგენი მსჯელობდა ღმერთზე, არა ლოგოსზე და ცნობდა სამების იერარქიას. მას ბრალს სდებდნენ სუბორდინაციონიზმის აღიარებაში. 542-3 წწ.-ში იუსტინიანემ გამოსცა ედიქტი, სადაც დაგმო ორიგენი და მისი შრომები. დიდი იყო ორიგენეს მოძღვრების გავლენა მომდევნო საუკუნეების მთელ რიგ ქრისტიან მოღვაწეებზე 8,5; 24,107.

**პავლე ემეწელი** [Παῦλος ὁ Ἐμέσεος] – [300-351 წწ.] პავლე ემესელი, მქადაგებელი, აქვს შრომები ქრისტეს ორი ბუნების შესახებ.

**პავლე მოციქული** – (ბიბლ.) 7,1; 15,2; 18,14; 23,32,42; 24,3-6,109.

**პავლე სამოსატელი** [Παυλός ὁ Σαμοσατεύς] – [III-IV ს.], მწვალებელი, ანტიტრინიტარელი, უარყოფდა მოძღვრებას წმ. სამების შესახებ. არ ცნობდა ძე ღმერთის ციურ წარმომავლობას. მისი სწავლებით, ღვთაებაში არ განირჩევა ჰიპოსტასები, სიტყვა და სული წმიდა მამაში ისეა, როგორც ადამიანში სული და გონი. იესო იყო უბრალო კაცი, სიტყვა ღვთის ეწოდა იმიტომ, რომ ასეთი გახდა მასში ღვთის სიტყვის დამკვიდრების შედეგად. ამ მოძღვრების გამო ანტიოქიაში მოიწვიეს სამი კრება – 264 წ., 267 წ., 269 წ. ბოლო კრებაზე მას ჩამოართვეს ეპისკოპოსის ხარისხი. 272 წ. გააძევეს ეკლესიიდან და მისი სწავლება ერესად გამოაცხადეს 23,42,73,74; 24,109.

**პავლე ტარსელი** – იხ. პავლე მოციქული.

**პეტრე მოციქული** – (ბიბლ.).

**პეტროზ მკაწრვალი** [Πέτρος ὁ Κναφεύς] – [+482 წ.], ანტიოქიის პატრიარქი, მონოფიზიტი, დაამკვიდრა ფრაზა: ღმერთი ჯვარს აცვეს (θεός ἐσταυρώθη), სამწმიდაობით გალობაში – „წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკუდავო“ – მიამატა: „ჩვენთვის ჯვარცმულო“ (ὁ σταυρωθεὶς δι'ἡμᾶς). იმპერატორი ვასილისკი მიემხრო პეტროზს და აიძულა 500 ეპისკოპოსი, ხელი მოეწერათ დადგენილებისთვის, რომელშიც უარყოფილია ქალკედონის კრების მრწამსი. პეტროზ მკაწრვალის გარდაცვალების შემდეგ სირიაში მონოფიზიტთა მეთაური გახდა ფილოქსენი. პეტროზ მკაწრვალის წერილებს პარალელები აქვს ფსევდო-დიონისე არეოპაგელის შრომებთან 15,1,12; 23,40,44; 24,109,110.

**პროკლე კონსტანტინეპოლელი** [Πρόκλος] ] – [+446 წ.], კონსტანტინეპოლის მთავარეპისკოპოსი, წმინდანი, ოქროპირის მოწაფე, ნესტორიანობის მოწინააღმდეგე. 429 წ. ერთ-ერთი პირველი გამოვიდა და საჯაროდ ამხილა ნესტორი. პირველმა აჩვენა პავლე სამოსატელის თხზულებათა ერეტიკული ხასიათი. ცნობილია მისი 21 ქადაგება. მათგან ორში მნიშვნელოვანი დოგმატური აზრებია ქრისტეს პიროვნებაზე და ინკარნაციაზე, ღვთისმშობელზე. საყურადღებოა მისი სწავლება იაკობის ძველ ლიტურგიასთან დაკავშირებით 15,9; 23,30,73,77,78; 24,44,55,73.

**რაფაელ** – (ბიბლ.) მთავარანგელოზი 23,52.

**საბელიოზი** [Σαβέλλιος] – [III ს.], ერეტიკოსი, მან პირველმა შემოიყვანა წმ. სამებაში მე-3 წევრი, სული წმიდა. უარყოფდა წმ. სამების ჰიპოსტასებით განსხვავებას. ღმერთი თავის თავში მონადაა, ჰიპოსტასებით განსხვავება არაა. მხოლოდ სამყაროსთან მიმართებაში იგი გამოვლინდება სამი განსხვავებული ფორმით, როგორც მამა, ძე და სული წმიდა 5,28; 23,13,17; 24,36,42,96,107.

**სებეროსი** – [Σεβήρος], სევეროს ანტიოქიელი, (+542 წ.), 512-519 წწ. ანტიოქიის პატრიარქი, მონოფიზიტობის ერთ-ერთი ლიდერი, მკვეთრად ეწინააღმდეგებოდა რა ქალკედონის კრებას, ეფესოს „ყაჩაღურ კრებას“ მსოფლიო მნიშვნელობას ანიჭებდა და მის ორგანიზატორ დიოსკორეს ეკლესიის მასწავლებლად თვლიდა. სევეროსი თავის ინტერპრეტაციას აძლევდა ეკლესიის წმიდა მამათა შრომებს, რომლებშიც ქრისტეს ორბუნებოვნების შესახებ მოძღვრება იყო ჩამოყალიბებული. თვითონაც შექმნა თეორიული ნაშრომები ქრისტეს ერთი ბუნების მტკიცების სასარგებლოდ. იმპერატორმა იუსტინემ ჩამოართვა მას ეპისკოპოსის კათედრა და გადაასახლა. სევეროსის მიმდევრები ორ შტოდ დაიყვნენ: 1. სევერიანები

ანუ თეოდოსიანები. აღიარებდნენ ქრისტეს ერთ ბუნებას, უშვებდნენ მასში ღმერთის და კაცის განსხვავებულ თვისებებს და აღიარებდნენ, რომ ქრისტეს სხეული განხორციელებამდე ჩვენი მსგავსი ანუ ხრწნადი იყო. 2. ივლიანიტები ანუ გაიანიტები. კონსტანტინეპოლის ადგილობრივ კრებაზე 536 წ. სევეროსი და მისი მომხრეები სხვა მონოფიზიტებთან ერთად დაგმეს 12,10; 23, 27,28,34-36,40,44,55,57,58,65,66,69,79,76,83,85; 24, 7,14,29,32,36,38,39,76,88,91,107.

**სეითი** – (ბიბლ.) 12,19.

**სელევკოსი** – ამფილოქე იკონიელის ადრესატი. ცნობილია ქრისტესთვის წამებული ორი სელევკოსი: პირველი აწამეს პალესტინის კესარიაში 308/309 წწ., მეორე აწამეს გალატიაში 320 წ. 24,47,59.

**სუკენსონი** – ერთ-ერთი იმ პირთაგანი, რომლებიც ადანაშაულებდნენ კირილე ალექსანდრიელს ნესტორიანულ აღმოსავლეთთან კავშირში. კირილეს მოუხდა მტკიცება, რომ აღმოსავლელთა სწავლება δυο φύσις ἀδιαιρέτως არაფრით ეწინააღმდეგებოდა ფორმულას μία φύσις τοῦ θεοῦ λόγου σεσαρκομένη 24,47; 25,12.

**სჳმონ მოგჳ სამარიტელი** [Συμεον ὁ μάγος ὁ Σαμαρείτης– მოციქულთა თანამედროვე, მის შესახებ პირველი ცნობები დასტურდება „საქმე მოციქულთაში“ (8,9-24). ადრეული ხანის ქრისტიანი მწერლების (იუსტინე, ირინეოსი, იპოლიტე, ტერტულიანე) ცნობით, სიმონ მოგვი არის ყველა სახის გნოსტიციზმისა და ერესის დამწყები 23,9.

**ტიმოთე** [Τιμοθέος] – ელური, კონსტანტინეპოლის პატრიარქი 457 წ. იმპერატორ ლეონ პირველის დროს ტიმოთე დაამხეს 23,26,35,40,62.

**ულიმპე ფილოსოფოსი** – 23,69.

**ურიელ** – (ბიბლ.) მთავარანგელოზი 23,52.

**ფლაბიანოს კონსტანტინეპოლელ მთავარეპისკოპოსი** [Φλαβιανός]] – [+449 წ.], ადრე ემხრობოდა ევტიქის, მაგრამ დაუპირისპირდა მის მოძღვრებას. მან მოიწვია საეკლესიო კრება და ევტიქი განკვეთა ეკლესიიდან. „ყაჩაღთა კრებამ“ დიოსკორეს ხელმძღვანელობით ისევ აღადგინა ევტიქი, ხოლო დიოსკორემ ისე სცემა ფლაბიანე, რომ იგი სამ დღეში გარდაიცვალა. ქალკედონის კრებამ ფლაბიანე წამებულად შერაცხა 23,21,22,23,26; 24,67.

**ქალკედონის კრება** – მეოთხე მსოფლიო კრება [451 წ.]. კრებამ დაგმო ევტიქიანელთა და სხვა მონოფიზიტთა სწავლება ქრისტეში ერთი ბუნების შესახებ და მიიღო ქრისტეს ერთი გვამისა და ორი ბუნების შესახებ ქრისტოლოგიური სიმბოლო 15,10,11; 23,23,24,41,56,58,63; 24,8,40,88.

**ქამი** – (ბიბლ.) 24,11

**ღრატიანე** – გრაციანე, ბიზანტიის იმპერატორი [375-383 წწ.], ვალტიანე I-ის უფროსი შვილი, ამბროსი მედიოლანელის გავლენით, იგი აქტიურად უჭერდა მხარს ნიკეის კრების [325 წ.] მართლმადიდებლურ მრწამსს. უწევდა ბრძოლა წარმართობის გადმონაშთებთან. 382 წ. მისი ბრძანებით რომის სენატის სხდომათა დარბაზიდან გაიტანეს ნიკე ქალღმერთის ქანდაკება, რომელიც იულიანე განდგომილის დროს იყო იქ დადგმული. გრაციანემ არ მიიღო წარმართების საპროტესტო დეპუტაცია. 383 წ. გრაციანე მოკლეს უზურპატორ მაგნუს მაქსიმეს მომხრეებმა 24,70.

**ღმრთისმეტყველი გრიგოლ** – იხ. გრიგოლ ნაზიანზელი.

# სარჩევი


წინასიტყვაობა ..... 5

თავი I

**„წინამძღურის“ ზოგად ლიტერატურულ-კულტუროლოგიური წანამძღვრები** ..... 9

თავი II

**„წინამძღურის“ კვლევის ისტორია** ..... 22

თავი III

**„წინამძღურის“ შედგენილობა და მისი მიმართება გამოყენებულ წყაროებთან** ..... 35

1. „გარდამოცემა“ და ანასტასი სინელის „წინამძღუარი“, როგორც ძირითადი წყარო ..... 35
2. ანასტასი სინელის „წინამძღუარი“, როგორც წყარო ..... 42
3. 24-ე თავი, როგორც ეფთვიმეს მთაწმიდელის კომპილაციის იშვიათი ნიმუში ..... 42
4. ანათემები ..... 44
5. დამასკელის ერთი თხზულების ეფთვიმესეული უცნობი თარგმანი ..... 55

თავი IV

**თარგმნის ტექნიკა** ..... 57

1. ეფთვიმე მთაწმიდელის თავისუფალი თარგმანი ..... 57
2. ტექსტის გავრცობა ..... 59
3. ტექსტის შემოკლება ..... 67
4. ეფთვიმესეული „გაქართულება“ ..... 70
5. განსხვავებული თარგმანი ..... 76
6. კონტექსტუალური მნიშვნელობით თარგმნა ..... 77
7. ბიბლიური ციტაცია ..... 79

8. გრიგოლ ნაზიანზელის ჰომილიათა ციტაცია ..... 85
9. კომპოზიციის ერთი სტილური თავისებურება ..... 94

თავი V

ეფთვიმე მთაწმიდელის დამოკიდებულება „გარეშეთა“ სიბრძნის მიმართ ..... 96

თავი VI

„წინამძღურის“ პოლემიკური ნაწილი ..... 110

თავი VII

ტერმინოლოგია ..... 116

დასკვნები ..... 132

The *Odegos* of Euthymius the Athonite (summary) ..... 140

ბიბლიოგრაფია ..... 158

„წინამძღუარი“

თხრობაჲ პირველთაგანისაჲ ..... 169
თქუმულთათჳს და გამოუთქუმელთა ..... 171
დამტკიცებაჲ, ვითარმედ ჭეშმარიტად არს ღმერთი ..... 172
ვითარმედ მიუწთომელ არს ღმერთი ..... 175
წმიდისა სამებისათჳს ..... 176
დაბადებულთათჳს ..... 183
ანგელოზთათჳს ..... 183
კაცთათჳს ..... 187
სამოთხისათჳს ..... 188
ეშმაკისათჳს ..... 190
საღმრთოჲსა განგებულებისათჳს ..... 192
ორთა მათთჳს ბუნებათა ..... 195
ორთათჳსვე ბუნებათა ..... 201
ერთისა გუამისათჳს ..... 203
წმიდაო ღმერთოჲსათჳს ..... 208

წმიდისა ღმრთისმშობელისათჳს ..... 211
თჳთებათათჳს ორთა ბუნებათაჲსა ..... 215
ორთა მათ თჳთმფლობელთა ნებათათჳს ..... 216
განღმრთობისათჳს ბუნებისა ..... 226
ბუნებითთა კაცებისა საქმეთათჳს ..... 227
განუშორებელობისათჳს გუამისა ..... 230
ჯოჯოხეთს შთასლვისათჳს ..... 231
მართლმადიდებელობისათჳს და თუ ვინაჲ იწყეს მწვალებელთა შემოსლვად სოფლად ..... 233
წამებანი ძუელისა და ახლისა წერილისაგან, ვითარმედ არა ერთ არს ბუნებაჲ და პირი ..... 251
თქუმული მისივე წმიდისა იოვანე დამასკელისაჲ შეზავებულისა და შეერთებულისა ბუნებისათჳს უთაჳოთა მიმართ მწვალებელთა ..... 273

ლექსიკონი ..... 282

საძიებელი ..... 333

გამომცემლობა **არტანუჯი**

**კორნელი კეკელიძის ხელნაწერთა ინსტიტუტი**

---

**ერთობლივი გამოცემები:**

1. პირთა ანოტირებული ლექსიკონი. XI-XVII სს. ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით. III. მასალები შეკრიბეს და გამოსაცემად მოამზადეს ანა ბაქრაძემ, ლევან რატიანმა და გიორგი ოთხმეზურმა. ტომი შეადგინეს დარეჯან კლდიაშვილმა და მზია სურგულაძემ. თბ. 2004.

2. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლების სიმფონია-ლექსიკონი. I. ნარგიზა გოგუაძის, ზურაბ სარჯველაძისა და მზექალა შანიძის რედაქციით. თბ. 2005.

3. ენრიკო გაბიძაშვილი. ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები. ბიბლიოგრაფია. 2. ასკეტიკა და მისტიკა. თბ. 2006.

4. მანანა მაისურაძე. ქართულად თარგმნილი უცხოური ჰომილეტიკური ლიტერატურის კატალოგი. თბ. 2006.

5. ნიკო ხუციშვილი. იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მიწათმფლობელობა საქართველოში. თბ. 2006.

6. აბუბექრ ბინ აბდულაჰი. გამარჯვებათა წიგნი. თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლითა და შენიშვნებით გამოსაცემად მოამზადა მარინე ილურიძემ. თბ. 2006.

7. მზია სურგულაძე. ქართული საისტორიო აქტები (XI-XV სს.). თბ. 2006.

8. „ავგაროზის ეპისტოლის" ძველი ქართული რედაქციები. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ნესტან ჩხიკვაძემ. თბ. 2007.

9. წმ. ეფთვიმე მთაწმიდელი. წინამძღუარი (სარწმუნოებისათვის). ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს თორნიკე ჭყონიამ და ნანა ჩიკვატიამ. გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ნანა ჩიკვატიამ. თბ. 2007.

**გამოსაცემად მზადდება:**

- კათალიკოსი კალისტრატე (ცინცაძე). რაც გამახსენდა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, ბოლოსიტყვაობა და საძიებლები დაურთო მიხეილ ქავთარიამ.
- იოანე ხოჯაშვილი, სტეფანე აბინაშვილი, სტეფანე ნავროზაშვილი. დღიური-მატიანე. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს აკად. ნიკო ბერძენიშვილმა და მიხეილ ქავთარიამ. გამოკვლევა და საძიებლები დაურთო მიხეილ ქავთარიამ.
- ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლების სიმფონია-ლექსიკონი. II. ნარგიზა გოგუაძის, ზურაბ სარჯველაძისა და მზექალა შანიძის რედაქციით.
- პირთა ანოტირებული ლექსიკონი. XI-XVII სს. ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით. IV. ზაზა ალექსიძის რედაქციით.
- ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. II. ედიშერ ხოშტარია-ბროსეს რედაქციით.
- ენრიკო გაბიძაშვილი. ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები. ბიბლიოგრაფია. 3. ბიბლიოლოგია, ეგზეგეტიკა, აპოკრიფები.
- საქართველო VII-X საუკუნეების სომხურ საისტორიო წყაროებში (სებეოსი, ღევონდი, თომა არწრუნი, ანონიმი არწრუნი, ფსევდო შაპუჰ ბაგრატუნი). ძველი სომხურიდან თარგმნა და გამოსაცემად მოამზადა ელენე ცაგარეიშვილმა.
- სტეფანოს ტარონეცი. მსოფლიო ისტორია. ძველი სომხურიდან თარგმნა და გამოსაცემად მოამზადა ელენე ცაგარეიშვილმა.
- სტეფანოს ორბელიანი. სისაკანის სახლის ისტორია. ძველი სომხურიდან თარგმნა და გამოსაცემად მოამზადა ელენე ცაგარეიშვილმა.
- გულიკო მჭედლიძე. გუდარეხის მონასტერი. ქვემო ქართლის სამონატრო სენიორიების ისტორიიდან.
- გულიკო მჭედლიძე. ფიტარეთის მონასტერი. ქვემო ქართლის სამონატრო სენიორიების ისტორიიდან.
- დარეჯან კლდიაშვილი. სინას წმ. ეკატერინეს მონასტრის ქართველთა ეკლესიის სულთა მატიანე. ქართული სამონასტრო სულთა მატიანეები. I.

# THE *ODEGOS* OF EUTHYMIUS THE ATHONITE

ARTANUJI Publishers
· Tbilisi 2007

საგამომცემლო ჯგუფი

ეთერ გაიდოშვილი
თამარ გეგია
გუგა კუდავა
ვიოლა ტულუში
არიანე ჭანტურია
თემო ჯოჯუა

გამომცემლობა არტანუჯი

თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 17ა. 25-05-22, 91-22-83, 8(93) 25-05-22.
www.artanuji.ge artanuji@artanuji.ge